

# האנטי

5

1976



არღაღებები



# სესია

228

გამოცემის მეცხრამეტი წელი

5

გაიბი

1976

თბილისი

საქ. კვ. ცვ-ის გამოცემლობა

ლიბერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მფრალთა კავშირის ორგანო

ქ. ბორჩხის ს.ა. ს.ა. ს.ა.  
სახ. რ. შიგომ ჩ. სიგომ  
ბი ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## პროზა, პოეზია

- 3. ლადო სულაბერიძე — ბედობა. პოემა
- 12. ჯემალ ქარჩხაძე — მღვმური. რომანი. დასასრული
- 65. ვასილ გვითაძე — ბალადა სირუანტში. ლექსი
- 67. ბაადურ ბალაგურიშვილი — მოთხრობები
- 79. იორაგ ქვიშტიანი — ნოველა ჯოხში. პოემა

## ნარკვევი

- 84. ვახტანგ გურული, ვალერიან მთავრიაძე — სტატი-  
თა კარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ კო-  
ლონიებში

## კრიტიკა, კუბლიცისტობა, მეცნიერება

- 92. ჯანსუღ ღვინჯილია — „არც მორჩა და არც გა-  
თავდა!“
- 103. დავით ჩხიკვიშვილი — სუბვანტაჟი და შიშა-  
პირის თეატრი. დასასრული.
- 119. დენიზა ჯუმბაძე — „სამართა წმიდა და წმინთა  
რამული“
- ჩვენი კუბლიცისტობა

- 126. მარიკა ჩიქოვანი — დღიურები

## ბიბლიოგრაფია

- 143. ბადრი მონთელიძე — წიგნა პატარა ქალაქში  
ნილო კილურაძე — საუბრადღებო წიგნი ბიჭვინ-  
თაში ჩატარებული არამოლოგიური ბათხობის  
შესახებ  
სიმონ არველაძე — დრო და პროვლემები  
ლუიზა გოჩოვაძე — მოთხრობა მხრიდან  
ბ. ტალაგაძე — კოეტი ქალის სახლი  
ლ. ზიდარელი — ერთი წიგნის ბაგო  
ალექსი ვინაგაული — მარლითა მაღლისათა..  
პეტანდელი ჩხიკვიშვილი — უჩინარი

## წერილები

- 158. იაკოვ ბალახუვილი — ცხოვრება ალექსანდრე  
შავვაძისა. გაგრძელება.

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
ბაბუა ამირჯიანი,  
ვალერიან ბაქრაძე,  
გურამ გვირდვინიძე,  
გივი გვახუაძე,  
რისმაგ გორდუნიანი,  
ვიტორი გუგულია,  
ნოდარ დუმბაძე,  
მერაბ ელიზოვილი,  
ედუარდ მენაგაძე,  
ოტია პაპაიანი,  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ წერეთელი,  
ტარიელ ჯანთურია,  
რაზი შიშვილი.

# ბ ე ლ უ კ ა

პოემა

1.

მე ჩემი დროის  
მეკვლე — მეცისკრეს,  
ჩემ გმირს მივყვებოდი  
ჟინვალჭესისკენ.

დროის პათეტიკას  
ვერ ავერიდე.  
ვუცქერდი შიშველ მთებს  
და შიშველ ველ-მინდვრებს.

ენატრობდი თბილისს  
ტყეებით დაბურულს.  
ვერძნობდი გადაგვალულ  
სევდას ხოდაბუნურს.

ჩემს გმირს უხვად ჰქონდა  
იმედის მარაგი,  
ამბობდა: — ჟინვალთან  
ორია არაგვი.

მე ძალა შემწევს  
მათი გზის ჩარაგვის,  
ზღვად უნდა ვაქციო  
ის ორი არაგვი.

უნდა დავარწყულო  
მთები და მინდვრები.  
მე ამ გატაცებით  
ყოველდღე ვითვრები.

თბილისთან ტყე მინდა  
ბიბინებდეს,  
გვალვა რო ველარ  
იბინებდეს

ამ მთებზე, ამ ზვრებში,  
ამ ჯვართანჭ.

.....

გმირმა ეს ზღაპრად  
არ ჩათვალა.

ნეილონის ბლუზით,  
ჯინსით გაცრეცილით,  
მომყვება, მივდევ და  
ვარ მართლაც ცეცხლივით.

2.

მზემ ჯვარის ჩრდილი  
არაგვზე გაშლართა.  
კაშხალთან შევჩერდი,  
ზაჰესის კაშხალთან.

გაღმა ველი ჩანს  
თივით და ნაშჳითა.  
ახლო წარსულისკენ  
გახედვა დამჭირდა.

დამჭირდა ხსოვნის  
კვიცის გახედვნა,  
ოცდაათიანი  
წლებისკენ გახედვა.

შუბლდაღარულმა  
ხელი მომათითა  
ოცდაათიანი  
წლების რომანტიკამ.

მზეზე აელვარდა  
ბარი და წერაქვი.  
მომესმა ჩაქუჩით  
კოდვა და კვერა ქვის.

აღზევდა ერი და  
აღზევდა ხელოვანი,

საქართველოს ზეცა  
ღრუბლოვან — ბნელოვანი,

რომ მჭედელს,  
რომ ხუროს,  
რომ პოეტს,  
რომ ანტიკვარს  
სინათლით გაეფერათ, —  
აი, ის რომანტიკა.

3.

ოფლი დაღვრილია  
იმ შაბათობების.  
ღელო გატანილი, —  
ხალხის ნანდომები.

დგას მტკვრისპირ ლანდი,  
მკერდს ცეცხლმინაფარი,  
ოცდაათიანი  
წლებების წინაპარის.

არა ნეილონით  
და არა ჟინსით, —  
ბარით და ლომით  
ქართული ჟიშის.

წვიმით გალუმპული,  
ნახევრად მშვიერი,  
ცეცხლის მომტაცები  
გმირის ნაშვიერი.

გაშლილი მკერდით და  
კორძიან მუხა ტანით,  
ჯერ გაულექსავი,  
ჯერ დაუხატავი.

მაგრამ გმირის, (დეკაცს  
რომ ჰგავს, ეგეთისა),  
ოცდაათიანი  
წლების ლეგენდისა.

ბოძსა დგამს ნათლის,  
სვეტს მართლა ცხოველსა,  
რომ შუქი მისწვდეს  
ქართლსა ყოველსა.

კაშხალი, როგორც  
ღვევი გაბაწრული,

დგას მტკვარში, ნათლის  
სხივებგადაწნული.

ამოდის,  
ამოდის  
ზაპესის მნათობი,  
ნათელი, ნატრული  
და ერის ნანდომი.

გორებზე შექანდნენ  
კერპები არმაზის,  
არ მომე ხმიადები  
და წყალი არ მასვი?!

აჰა, ხმიადებიც  
და, აჰა, წყაროცა.  
გმირმა ნათლის სვეტი  
ერისთვის დალოცა.

4.

დაღლილი ვიყავი,  
მშვიერი ვიყავი,  
ამ გზას მივადექი  
მტკვართან მიყვანილს.

წვიმაშიც აქ ვიდექი,  
აქ ვიდექი თოვლაშიც  
იმ წლებში, იმ დროში  
ღირსსახსოვარში.

გჭრიდი არხსა და  
გმართავდი ტურბინებს.  
ჩემმა კვიცებმა  
მთებს გადაურბინეს.

მიჰქრიან, მიჰქრიან,  
მიჰქრიან ჭენებით.  
მისღვევნი მარაბდის,  
დიდგორის ცხენები.

ხედავ, შენს რაშეხსაც  
გამოდევნებთან.  
მომავლის რომანტიკას  
მისღვევნი ვნებთან.

ასლა პატარა ჩანს  
ეს ჩემი ნახელავი.  
მე კი აქ დავეტოვე  
სიცოცხლის ნახევარი.



ახლა პატარა ჩანს  
    ზაქესის კაშხალი,  
ალიც პატარაა  
    იმ ჩემი მაშხალის.

ახლა პატარა ჩანს  
    ზაქესის ტურბინაც.  
მაგრამ აქ ნუროდეს  
    ჩაივლი გულგრილად.

მაგ შენი ჰესების  
    ეს არის ბალავარი,  
ოცდაათიანი  
    წლების ფალავანი.

ეს — არხი კი არა, —  
    გავჭერი სანგარი,  
შიგ ჩემი ცეცხლით  
    ვიყავი ჩამდგარი.

საკუნოვანი  
    სიბნელე ვიგერიე  
და მზისთვის ბრძოლაში  
    მიგაბერდ-მიგეულიე.

და მტკვარში, მომავალო,  
    ჩავდგი ეს ფაცერი,  
მტკვარში ჩამალული  
    ელვების დამჭერი.

რომ ცეცხლის ნაპერწკლები,  
    როგორც კალმახები,  
ამფართქალეობდა  
    შენსკენ გალაღებით.

რომ შენ აგემართა  
    უფრო დიადი  
მზე, გამფანტველი  
    მამულის წყვილიადის.

5.

მე ორ გმირს შუა,  
    ვით ორ ბოძს შორის,  
ვიდექ, ეკიდათ  
    სული ცეცხლივით.  
ჯვარს ზემოთ თრთოდა  
    ცისარტყლის შოლი,

არავის ჩქერში  
    ამორეცხილი.

თუთრად ელავდა  
    მცხეთის ტაძარი,  
ძველი ოსტატი  
    მხმოზდა ცალხელა.  
მე ჩემი დროის  
    გმირის ხანძარი  
მწვავედა ზვირთოვან  
    გზნების სათქმელად.

ვგრძნობდი, ვხედავდი  
    რაც რამ უჭირდათ, —  
ის ტკივილები  
    განა მოძველდა, —  
ოცდაათიან  
    წლების ბურჯიდან  
ოთხმოციანი  
    წლების ბოძებთან.

გახარჯა გმირმა  
    სიცოცხლის ხვითო,  
მე იმის აჩრდილს  
    ახლა გავცქერი.  
ზაქესი კი დგას,  
    როგორც —  
(თქვა თვითონ) —  
მტკვარში ფართქალა  
    ელვის ფაცერი.

რა პატარა ჩანს,  
    მართლაც პატარა,  
ზაქესი ჩვენი  
    დროის პესებთან.  
მაგრამ ის დამე  
    მიმოფანტა რა,  
დღევანდელი დღის  
    წესს აწესებდა.

უმამაპაპოდ  
    რად ველირებით?!..  
ასე ვარსებობთ  
    მტკვრის ნაპირებთან.  
დგანან ბურჯებად  
    იმ წლის გმირები  
ოთხმოციანი  
    წლების გმირებთან.

მე ჩემი დროის  
მეკვლე — მეცისკრეს,  
ჩემ გმირს გავყევი  
ჟინვალპესისკენ.

ჩემმა მეგზურმა  
დაიჟინა და  
ხინკალთან არაყიც  
დავლიეთ ჟინვალთან.

ბრდღვინავდა არაგვი  
ფშავის, მთიულეთის  
მთები მეძახოდნენ  
რომანტიულები.

რკინები ეყარა  
ჯერ აუწყობელი.  
გრგვინავდა, ზრიალებდა  
მინდორი წობენის.

იდგნენ ძროღადრდნილინი  
არაგვით მშფოთავით  
მთები  
დადაურის,  
დგანალის,  
ბოდავის.

მთის წვერზე ირემივით,  
მზეს, როგორც ქვამარილს,  
ლოკავდა ყელის ციხე, —  
ციხე თამარის.

„თამარ მეფემ ამაშენა  
სისხლის წვიმის წინა წელსა.  
არაგვიდან ქვა ვეზიდე,  
ხელი მიაწვდიდა ხელსა.  
ათი საკირე მომინდა,  
თერთმეტი მიბამდა ყელსა“.

კირი გამოუწვავთ  
თერთმეტი საკირის,  
რომ ციხით დაეცვათ  
არაგვის ნაპირი.

აშენდა წინა წელს  
სისხლისა წვიმისა.  
მყარია ნაშენი  
მოდგმისა წინისა.

მიტომაც გადაგვირჩა:  
მთები საარაკო.

მიტომაც არაგვი  
ისევე არაგვობს.

7.

მიტომაც ვაშენებ  
ამ კაშხალს, ამ გვირაბს.  
მგოსანო, რას ბრძანებ,  
რამ გამაგმირა?!

აქ ვტოვებ კერიის  
ნაკვერცხლებს ჩანავლულს.  
ვერსად გაქცევივარ  
ამ მთებს და ანანურს.

იმ სოფლად პაპა მყავს  
ასი წლის ბედუკა.  
ბევრ მხედარს აჯობა,  
აჯობა ბევრ დურგალს.

მეც, გავა წლები და,  
ვიქცევი წინაპრად.  
ამ შუქით გავფერავ  
თვალს შენკენ მინაპყარს, —

მომავლის გმირო,  
მომავლის რაინდო,  
ავენთე მე, რათა  
შენ უფრო აენთო.

ყალყზე შევაცენებ  
ორ არაგვს. — ორ თეთრონს.  
თბილისი მეძახის —  
ტყეებით მომრთეთო.

წილებში ჩავაგებებ  
ორ არაგვს — გულოვანთ.  
აქ ზღვას დაგახვედრებთ,  
სამამულო ვანს.

რომ შენი თბილისი,  
რომ შენი რუსთავი —  
ტყით იყოს მარადის  
სულმეუხუთავი.

ბედუკა, ბედუკა,  
 ასი წლის პაპა.  
 ალად შელღობია  
 მამულის ლამპარს.

ჭაფივით მოდებია  
 არაგვის ტალღას.  
 ნისლებად წაფენია  
 დადაურს მალღას.

ფესვებზე ჩახლართვია  
 ბაღნარს და ვაზნარს,  
 აქვე მოწიფული  
 აქვე ჩაჟღენა.

არაყი უხდია,  
 ლუდიც ეღუდა.  
 კაცობით გათურდა  
 პაპა ბედუკა.

სოფელი აიყარა,  
 დასახლდა წობენთან.  
 ძალდიც აღარ დარჩა  
 არცერთ ღობესთან.

და გაიჭრიალეს  
 ახალმა ჭიშკრებმა, —  
 ხვალ-ზეგ ეს სოფელი  
 ზღვის ფსკერი იქნება.

ახალ კოტეჯებში  
 ჩასახლდა სოფელი.  
 გზა მისცეს დროის ქარს,  
 ახლად მობერილს.

არაო, ბედუკამ,  
 ასი წლის ბერი ვარ.  
 ამ ხეობების და  
 ამ სოფლის ფსკერი ვარ.

სულს დავლევ მალე და  
 დასცალეთ ხვალადა,  
 დამმარხეთ, ვივარგებ  
 თქვენი ზღვის ფსკერადაც.

წუთისოფლის ცეცხლს  
 მორიგით მიუწვავს,  
 დანაცრებულა,  
 ქცეულა დადარად.  
 პაპა ბედუკას  
 მე ცოცხალს მივუსწარ,  
 თვითონ ქრებოდა,  
 მე ამახანძრა.

ფარდაგადაფენილ  
 თეთრ ტახტზე მწოლარე,  
 ჰგავდა ღვთაებას  
 თეთრთმაწვეროსანი.

აღარ უძლოდა  
 ცხვარს მთიდან მონარგეს,  
 და ჯავრი კლავდა  
 წლევანდელ მოსავლის.

სიცოცხლისა და  
 სიკვდილის საზღვართან  
 თითქოსდა წამით  
 შეჩერებულეყო.  
 შეირხა ოდნავ,  
 ფეხები გაშხვართა  
 და თვალთ მითხრა,  
 რაც უნდა თქმულიყო.

და თვალთ მითხრა,  
 ჯერ კიდევ ეღვართ...  
 ტახტი კიარა, —  
 კლდე იყო არაგვის,  
 რომელზეც იწვა  
 სული, მტევარი  
 ასა წლის ქართა,  
 სული მარადი.

დამწვრიტა უთქმელ  
 სიტყვის ბურძღვლებით;  
 მუნჯად მითხრობდა, —  
 (მე წინ ვუდექი), —  
 ორი არაგვის  
 სული უძღვბი,  
 ორი ხეობის  
 სული უდრევი.

არაგვი ბუღრაობს  
 ჩემი სიჭაბუკე,  
 ძარღვებად გამიტოტდა  
 ორი არაგვი.  
 დღეს კალმასხს ჩქერებში  
 ვეღარ ვიჭერ უკვე  
 და მოზომილი მაქვს  
 საფლავის ალაგი.  
 ჟინვალთან კი არა,  
 ჩემს მკერდზე ერთდება  
 ორი არაგვი, —  
 ფშავის და ხევისა.  
 სიბერე აბიბინდა  
 ჩემს გზაზე გლურტებად,  
 აღარა ვხალისობ  
 ზვავების რღვევისას.  
 დათვებს აღარ ეძებს  
 ჩემი სიათა,  
 ურმის ფოსოებიც  
 დამიჭიანდა.  
 აქ დიდი მორები  
 დამიჭირია და  
 სახლი დამიდგამს  
 ამ მთებთან, მზიანთან.  
 მუხისა შევუდგი  
 სახლს ლარძაყინები,  
 მუხისვე ფიცრებით  
 გავმართე კარები.  
 არ მომკარებია  
 არცა ყინვები,  
 ჭვრქვემ ჩამისახლდა  
 არაგვის ქარები.  
 იმ მაღალ ხეებზე  
 მიმიწნავს ბუდენი,  
 წიგ ჩამიფენია  
 მშფოთარე სიზმრები.  
 მე და ეს გორები  
 ცას შევეყუდენით,  
 აქ ამოვივსე და  
 აქვე ვიცლები.  
 აქ მხარში ვუღექი  
 ზოგ უბედურ კაცს,

ვდეგდი ჯიხვებს და  
 ვზარდე ხარები.  
 უამხეობებოდ  
 მკვდარია ბედუკა,  
 თქვენს ზღვასაც კლდესავით  
 ამოვეფარები.

ვკრები და გაქრება  
 ეს მშვენიერებაც, —  
 ტყეები, ხეები,  
 ზვრები და ყანები.  
 მე შევემავრები  
 თქვენს ახალ შენებას,  
 თქვენს ზღვასაც ბალავრად  
 ამოვეფარები.

ხორცი გამიცრიცეს  
 საწუთროს ქარებმა,  
 ჭვლები მაგარი მაქვს, —  
 აქ ჩაალაგეთ.  
 სულს ვტოვებ არაგვთან,  
 არ გაებზარება  
 სულის კლდე არასდროს —  
 ბედუკა არაგველს.

ჩავქრები მალე და  
 დასცალეთ ხელადა,  
 დამმარხეთ, ვივარგებ  
 თქვენი ზღვის ფსკერადაც.

სიცოცხლისა და  
 სიკვდილის საზღვართან  
 თითქოსდა წამით  
 შეჩერებულიყო,  
 შეირხა ოდნავ,  
 ფეხები გაშვართა  
 და თვალით მითხრა,  
 რაც უნდა თქმულიყო.

ბულდოზერების  
 ისმოდა გრიალი,  
 და ინგრეოდა  
 ძველი სახლები,  
 და ორი ხეობა  
 არაგვიანი  
 დაგლეჯილიყო  
 ფეთიან ნაღმებით.



მიწას ასკდებოდნენ  
ხეები დათხრილი,  
რსმოდა შხუილი,  
რტოების ლაწანი.  
ვიდექ ბედუკასთან  
მე თავდახრილი,  
ბუხარშიც ქრებოდა  
კუნძი დამწვარი.

არაყიც გამოხადეს,  
ლუდიც ელუათ.  
და როგორც ბალავარი,  
ძრო გაუბზარავი,  
მომავალ ზღვის ფსკერზე  
გაწვა ბედუკა.

12.

მას ნგრევის ზანზარი  
ალარ ესმოდა,  
ის იწვა ტახტზე,  
ვით კლდეზე ღვთაება.  
გარს იყრ ჯანყი,  
რათა შეზრდოდა  
ძველი უკვდავება  
ახალ უკვდავებას.

და აპა, ინგრევა  
ბედუკას სოფელი.  
სხვაგან გადასახლდა  
მეზვრე და მყნობელი.

გარეთ შფოთი იდგა  
ორი არაგვის  
და ოთხმოციანი  
წლების გზნებისა.  
და მოზომილი  
საფლავის ალაგი  
გათხარეს ბიჭებმა  
გათეებისას.

აქამდე არაგვის  
ხეობის მშვენება  
ახლა ეწირება  
ახალ შენებას.

სოფლის სასაფლაოს  
ერთი იარაც  
გაეხსნა, გაიჭრა  
ბედუკას საფლავიც.  
ბოლო ტიშკარმაც  
გაიჭრიალა,  
გასრულდა სიცოცხლე, —  
დაიწყო ზღაპარი.

და აპა, ითხრება  
ძველი ხეები,  
სკდება, იბზარება  
არაგვის კლდეები.

ხევში სულს ლაფავენ  
ძველი შარაგზები.  
და ცეცხლი ბობოქრობს,  
ახლად ანაგზნები.

ზღაპარი ზღვის ფსკერზე  
დარჩენილ ცხოვრების,  
ზღაპარი მომავალ  
ტყეების, ბაღნარის,  
არაგვის ტალღების,  
აქ შესატბორების,  
ღვარების, მთებიდან  
აქ ჩამოსადვარის.

მე სევედას ვაგროვებ  
მარადის ბედ უკმარ  
სოფლის და ტყეების,  
გზების და ბედუკას.

მე ფერებს ვაგროვებ  
ზღვის ფსკერზე დასარჩენს.  
(მაღლობა, მუზავ,  
ამად რომ გამსარჯე).

ვაწნავ ბუდეებად  
რითმებს სტრიქონებს,  
რომ შიგ ჩავაფინო.  
რაც აქ ვიპოვნე.

ვოდგენ სოფლელები,  
არ აკლდა არაფონ,

და ჩემ გმირს ვუტოვებ  
გულმართალ პოემას.  
ყველამ გაიხაროს,  
შიგ სევედის მპოველმან.



ამ ზღვასთან მოსული  
 მომავლის მემკვიდრე,  
 ფიქრით ზღვის სიღრმეში  
 თუ ჩაეკიდე.

ამ პწკარებს ჩაეჭიდე,  
 ვით გემის ბაგირებს,  
 გაჩვენებს ზღვის ფსკერზე  
 ჩაფშუტულ საკირეს.

წინაპრის საფლავთა  
 ნაღველი შენც თუ გკლავს,  
 უსმინე, უსმინე  
 არაგველ ბედუკას.

აოლოთჱჱა  
 1980

მე და ჩემმა გმირმა  
 დროს გავუსწართ და  
 ზღვას წამოვადექით  
 ოცნების კარვიდან.

ჩვენ წინ ალივილივდა  
 ტალღები ცისფერი,  
 ჩიტს ვდიეთ თამარის  
 ციხესთან მიფრენილს.

ანანურიდან  
 ნავი შევაცურეთ.  
 გაგზედეთ მაღალ მთებს,  
 ნისლით შენაცრულებს.

მზე ამოდიოდა,  
 რუხ ნისლებს ფერავდა.  
 შეეჩერდით კლდიდან  
 მოსხლეტილ ჩქერალთან.

მე ზღვაში ვყრიდი  
 სტრიქონთა ანკესებს.  
 გმირი კი მღეროდა  
 ჰიმნს ახალ აკვნებზე.

გმირი კი მღეროდა  
 თავის ნაამაგარს, —  
 ჟინვალთან კაშხალი  
 როგორ გაამაგრა.

გმირი უმღეროდა  
 თბილისის ტყეებს,  
 ოთხმოციანი  
 წლების ცხელ დღეებს.

მიწისქვეშ გრგვინავდა  
 ელექტრო სადგური,  
 ამ გმირის ნახელავი,  
 ამ გმირის ჩადგმული.

და იყო არაგვის  
 ხეობა წინანდელი  
 ლურჯი ზღვის ზვირთებით  
 მონათელ-მინათელი.

და სხვა სილამაზის  
 ზეიმი ღრეთბდა.  
 მთას ღრუბლის ზვავი  
 ჩამორღვეოდა.

უეცრად დიდ კლდეზე  
 დილის ნისლიდან  
 ბედუკას აჩრდილი  
 წამოიზიდა.

სიომ შეურხია  
 თმა-წვეერი ქათქათა  
 კუზიან ზვირთებზე  
 ლაჯები გადგა და

ზღვაში შემოვიდა  
 ფეხებით შიშველით,  
 თეთრი მოსასხამით, —  
 თხელი ნისლებით.

თვალი მიმოავლო  
 ზღვის მწვანე ნაპირებს.  
 ხეებმა ჩრდილები  
 მხრებს წამოაფინეს.

ნაგები გამოცურდნენ  
 მყუდრო სანაოდან.  
 ბედუკა ზვირთებზე  
 ნელა ქანაობდა.

ამოდ ხასხასებდა  
 უცხო სანახები.  
 ამოუფართქალდა  
 ზღვიდან კალმახები.

მზე ადგა, სხივები  
ზღვაზე ალიცლიცდა.  
ნეტა რას ფიქრობდა?!!  
ნეტა რას განიცდიდა?!

ხომ არ თქვა: — საწუთროვ  
ადრე მომამთე რად?! —  
და მაშინდელივით  
თვალი მომაშტერა.

მერე ვერ გაუძლო  
მზის გადმონათებას

და ზღვაში ჩაიძირა  
წმინდა მოლანდება.

ვიდექი ჩემს გმირთან  
ძირს თავდახრილი  
და მე შემომესმა  
პელუკას ძახილი:

„— სულს დავლევ მალე და  
დასცალეთ ხელადა.  
დამმარხეთ, ვივარგებ  
თქვენი ზღვის ფსკერადაც“.



# მ დ გ მ უ რ ი

## რომანო

ტვინში რაღაცა, რაც ღერძს ჩამოკ-  
გავდა, უცნაური სისწრაფით დაბზრია-  
ლდა. წამით ყველაფერი გაქრა მხედვე-  
ლობის არედან. დარჩა მხოლოდ ელვი-  
სებური და გაუგებარი ცვალებადობის  
შეგრძნება. საღვაც მისალმების ყრუ და  
შორეული ხმები გაისმა. მერე, აჰვე,  
ჩემს გვერდით, აბელ დვალის გაუცხოე-  
ბულმა ჩურჩულმა შრიალით გადაკვეთა  
ჰაერი: „გეყოფათ. უკვე მეჩვიდმეტე  
„ა“-ზე ხართ“. ბოლოს ტვინის ღერძმა  
ბზრიალი შეანელა და შეჩერდა, საგნები  
თავთავიანთ ადგილზე განლაგდნენ და  
ცნობიერებაში თანმიმდევრულად გაი-  
რა გაკვირვებამ, შიშმა და ფარულმა  
სიხარულმა, რომელსაც სინათლის ეშა-  
ნოდა და ამიტომ შავ ქაღალდში იყო გა-  
ხვეული.

როდის გაჩნდა, ან რატომ გაჩნდა  
მაკა ჩემს გვერდით, არ გამიგია.

წინელის ირინე ჩვენკენ მოყავდა.

ირინე ილიმებოდა და მის ღიმილში  
უცხო ნაპერწკლები შევნიშნე.

„თქვენ გახდილი უნდა ნახოთ“...

გაცნობის ცერემონიალი მაკათი და-  
იწყო.

როდესაც ერთმანეთს ხელი ჩამოა-  
რთვეს, თითქოს სამყაროს სუნთქვა შე-  
ეკრაო, ერთბაშად ყველაფერმა შეწყვი-

ტა მოძრაობა. ერთბაშად ყველაფერი  
ფოტოსურათად იქცა. წინა პლანზე მაკა  
და ირინე იდგნენ, ერთმანეთის ხელი ხე-  
ლში ეჭირათ და ილიმებოდნენ. სურათი  
უხმო კვილით შემოვიდა ჩემს არსება-  
ში და გული შემეკუმშა. რადგან მაკა  
უმწეო და გამხდარი მეჩვენა.

მაკას შემდეგ მე გამომიწოდა ხელი.  
ღიმილი ირგვლივ უცხო ნაპერწკ-  
ლებს აფრქვევდა.

„აა! (ჩვიდმეტი „ა“) ირინე! როგო-  
რა ხარ? რა თქმა უნდა, წინელი, ჩვენ  
რახანია ვიცნობთ ერთმანეთს!“

ეს გავიფიქრე. მერე ხელი ჩამოვარ-  
თვი, ბორძიკით, ოდნავ გასაგონად ვთქვი  
ჩემი სახელი, თვალი ავარიდე და ფერ-  
მა გადამკრა. თვითონ მკაფიოდ და  
მშვიდად მიიხრა თავისი სახელი და  
აბელ დვალს მიუბრუნდა.

ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მო-  
ხდა. არც თავი მქონდა ფიქრის და არც  
ღრო.

ახლაც არ ვიცი, რატომ მეგონა, რომ  
გამცემდა.

ფაქტია, რომ მეგონა.

კატასტროფა ჰინკასავით დახტოდა  
ჩემს ირგვლივ და დვარძლიანი მხიარუ-  
ლებით იცინოდა. და მე მეგონა, ირი-  
ნეც გაიცინებდა და მეტყობდა: „ნუთუ  
მართლა ვერ მიცანი? ნუთუ მართლა  
აღარ გახსოვს ორი საღამო რომ მართო

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 8, 4.



ვიყავით და, ნანას გიმღერებო, მეუბნებოდრი?”

ალბათ, საჭიროდ არ დაინახა, თორემ მეტყოდა კიდევ.

ჰქონდა ხასიათში რაღაც დაუნდობელი და ავი კვიმატობა.

კატასტროფას გადაეურჩი, მაგრამ გაცნობის ცერემონიალი შედგა.

გაცნობის ცერემონიალი მაკას თანდასწრებით შედგა და უკვე ყველა გზა მოჭრილი მქონდა. ტყუილის ქსელში საბოლოოდ გავიხლართე და ახლა, სანამ ძალა მეყოფოდა, როლი უნდა მეთამაშა.

როლი!  
აბელ დვალს ჰამლეტის როლი ჰქონდა სათამაშო.

ჩემს ადგილას რომ ყოფილიყო, ალბათ, ამ როლსაც იოლად გაართმევდა თავს.

აბელ დვალს შევხედე და ცხადად დავინახე, რომ მას არასოდეს მოუწევდა ასეთი როლის თამაში. იმიტომ, რომ ტყუილს გველად გადაქცევას არ აცლიდა. მანამ მოიშორებდა, სანამ ჯერ კიდევ უბრალო ბეწვი იქნებოდა პიჯაკზე მიკრული. ორი თითით აიღებდა, ფფუო, შეუბერავდა და გზას განაგრძობდა.

ამ მხრივ კოტე ენუქიძე უფრო ახლო უნდა ყოფილიყო ჩემთან.

ნეტა მე მქონდეს ჰამლეტი სათამაშო და ნეტა მე ვიყო ასეთი მშვიდი და არხეინი-მეთქი, შურით გავიფიქრე და გამახსენდა, რომ ერთ დროს არანაკლებ მშვიდი და არხეინი ვიყავი, სანამ ხეზე გამობმული უგუნური ცხოველივით დაწიწყებდი ტრიალს და თოკს საკუთარი ნებით შემოვიკრავდი ტანზე...

თამადამ სუფრასთან მიგვიწვია.

ახლა ჩემს ხელმარტხნივ ორი სკამი უკვე აღარ იყო თავისუფალი, რადგან ერთ მათგანზე, რომელიც ჩემკენ იდგა, ირინე დამჯდარიყო.

მე ირინესა და მაკას შუა ჩავჯექი.

— ო! მე კიდევ შიში მქონდა უკავალროდ დავრჩი-მეთქი! — თქვა ირინემ.

ეს ერთგვარი მაგალითის ჩვენება იყო.

მეც არ დავაყოვნე.

— რა მოგართვათ? ბადრიჯნის საცივი გნებავთ? — ვუთხარი და მივაწოდე კიდევ.

— გმადლობთ. — ცოტა გადაიღო.

მაგიდის ქვეშ მუხლი მუხლზე წამომედო და ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

გაწრიბული გოგო მაკას ყურში ეუბნებოდა რაღაცას. ჩურჩული რომ მოათავა, ორივეს სიცილი აუტყდა. თავი თავს მიადეს და დიდხანს იცინოდნენ.

— ცოტა ღვინო დამისხით.

დავუსხი.

— გმადლობთ.

თამადა სადღეგრძელოს ამბობდა.

მაკა მომიბრუნდა და მკითხა:

— „ჰიში“ როგორ მოგეწონა? რატომ არაფერი მითხარი?

— ძალიან მომეწონა, არც კი მოველოდი. რაც თვალეში ეშმაკობა გეტყობა, ყველაფერი გამომქლავდა. ახლა ჩემი მუსიკალური დახასიათების კიდევ უფრო მეშინია.

მაკამ ფართოდ გახელილი თვალები მომაპყრო და მცირე პაუზის შემდეგ, თითქოს თავისთვის ამბობსო, ისე თქვა:

— შენი მუსიკალური დახასიათების მეც მეშინია.

— თუ შეიძლება, ტყემალი მომაწოდეთ.

— ინებეთ. მაპატიეთ, ყურადღება ვერ მოვაქციეთ.

ქეიფი გრძელდებოდა. თამადა უკვე საკუთარ თავს ძარცვავდა. ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი სხარტი გამოთქმა უკვე სამოთხვერ გაიმეორა.

მერე მაკა ისევ როიალთან მიიწვიეს.

გაწრიბული გოგოც გაყვა.

მაკა უკრავდა. ორივენი მღეროდნენ.

ერთი სტროფი რომ იმღერეს, დანარჩენი სტუდენტებიც აყვნენ.

მე სუფრა დავზვერე.

---

ჯამალ ჰარხაძე  
მღვდელი

ყველანი თავთავიანთი საქმით იყვნენ გართულნი.

თამადას თვალები მიელულა, სკამის საზურგეზე გადაწოლილიყო და სიმღერას უსმენდა.

აბელ დვალი და კოტე ენუქიძე რაღაცაზე დავობდნენ.

მე მარჯვენა იდაყვი სუფრაზე შემოვდე, ნიკაბი ხელს ჩამოვყარდნე და მაკას მივაჩერდი. ვუყურე, ვუყურე და ირინეს ვკითხე:

— სად დაიკარგე?

ირინესაც არ მოუხედავს, ისე მითხრა:

— როგორა ხარ?

— მეგონა, ტელეფონის ნომერს მაინც დატოვებდი.

— არ დაგავიწყდი?

— დილით, დეიდა მარიამი რომ დავინახე, გულზე შემომეყარა.

— ორჯერ გნახე სიზმარში.

— რატომ მისამართი არ დატოვე?

— მოგენატრე?

— ღვინო დაგისხა?

— არ მინდა.

— კონიაკი?

— ბევრი?

ირინეს ხმაში ღიმილი მოისმა.

— მეც გნახე სიზმარში.

— არ იყო საჭირო მისამართის დატოვება.

— აქ როგორ მოხვდი?

— საკუთარ თავს ჯერ არავინ გადახტომია.

— ის ორი ღამე სამყაროს მოწყდა და დროის სათვალავში არ შესულა.

— დეიდა მარიამი როგორაა?

— გმადლობთ. ჯერ არ უნდა აბირებდეს სიკვდილს.

სიმღერა დამთავრდა. მაკა და გაწრიბული გოგო დაბრუნდნენ და თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ. ქეიფი გაგრძელდა და მეც განვგრძე ჩემი როლი, ჩემი გზა დახლართულ ბილიკზე.

კოტა ხნის შემდეგ კოტე ენუქიძე წავიდა. მანამ კიდევ რამდენიმე კაცი წავიდა ნათესავებისა და მეზობლების წრიდან, მაგრამ კოტე ენუქიძის წასვ-

ლამ თითქოს გული ჩამწყვიტა. შეიძლება იმის ბრალია, რომ უკვე ნასკვამ ვიყავი.

ხალხი ხელ-ხელა ტოვებდა სუფრას.

სადღეგრძელოები ამოიწურა.

მაშინ აბელ დვალი წამოდგა და თამადის სადღეგრძელო თქვა.

თამადა იდგა, მთვრალი იყო და კმაყოფილი, ნასიამოვნები ღიმილით უსმენდა.

— ამ საღამოს ჭეშმარიტად ღირსეული კაცის მოადგილეობა მხვდა წილად. თქვენმა ახლობლებმა, ალბათ, იციან, თქვენი სიძლიერის ამბავი, მე კი დღეს ვნახე და აღტაცებული ვარ, თქვენ ჭეშმარიტი ვაჟაკი ხართ, მაშინაც, როცა პალსტუხი გიკეთით და მაშინაც, როცა პალსტუხი არ გიკეთით. ბოლოსადბოლოს, ვინც რა უნდა თქვას. პალსტუხი მაინც არ წარმოადგენს ადამიანური ღირსების საზომს. თქვენი ღირსებისა და ვაჟაკობის საბუთი არის თქვენი სიმკვრივე და შეუვალობა. თქვენ შეუვალი ხართ ყოველივე იმისათვის, რაც ზედმეტია, რაც მეორეხარისხოვანია, რაც მერე ეჭვების, ყოყმანის, ტვინის ჭყლეტისა და უძილობის მიზეზი ხდება. თქვენ გჯერათ საკუთარი თავის და ამაშია თქვენი ძალა. ცოლ-შვილი გყავთ?

— სამი ბიჭი! — თითი მალლა ასწია თამადამ და ამაყი ღიმილით გაიღიმა.

— ღმერთმა გაგიზარდოთ. თქვენ საკუთარ თავში პოულობთ ყველა კითხვის პასუხს და, ალბათ, არასოდეს არ გჭირდებათ თავის ტკივილის წამალი.

— თუ მოწამლული ღვინო არ დავლიე. — ჩაურთო თამადამ.

— თქვენ იცით, რომ დღეს საქმელსასმელი გაქვთ, კარგი, მსუყე, გემრიელი. და კმაყოფილი ხართ. კმაყოფილი ხართ ცხოვრებით, კმაყოფილი ხართ იმით, რომ არსებობთ. თქვენ მიწაზე დგახართ და ცაში არ იყურებით, რადგან იქ საინტერესო არაფერი გეგულებათ...

კიდევ ბევრი ილაპარაკა. ბოლოს იმდენი ქნა, გული აუჩუყა. თამადამ პოსტი დატოვა, ოღნავ არეული ნაბიჯით

მივიდა აბელ დვალთან და მხურვალედ  
გადაჯვარდა.

მერე აბელ დვალის წავიდა და  
კვლავ გამიჩნდა ისეთი გრძობა, კოტე  
ენუქიძის წასვლისას რომ გამიჩნდა.

ცხადია, ეს სისულელე იყო, მაგრამ  
რატომღაც მეგონა, თითქოს რაღაც სა-  
ყრდენი გამოემეცალა და ახლა იძულე-  
ბული შევიქნებოდი, მარტო გამეცა პა-  
სუხი რომელიღაც უმიძიმეს კითხვაზე.

მაგრამ მეც უკვე გვარიაანად ნასვამი  
ვიყავი და აზრებს ერთ ადგილას ველარ  
ვუყრიდი თავს.

ნაშუალამევეს სუფრა აიშალა.

უცნაურ მოუსვენრობას ვგრძნობდი.  
თითქოს რაღაცის მოლოდინი მქონდა.

სტუმრები ხმაურით ემშვიდობებო-  
დნენ მასპინძლებს, მადლობას უხდიდ-  
ნენ და მიდიოდნენ.

მაკა დავიმარტოხელე და ვკითხე:

— რა ქენი, ხომ არ გადაიფიქრე?  
დარჩები თუ წამოხვალ?

ამას რომ ვეკითხებოდი, მოუსვენ-  
რობამ უმალღეს წერტილს მიადწია და  
წამით გაირინდა. ტვინი ელვასავით გაკ-  
ვეთა ფიქრმა: „რატომ ვეკითხები? რა-  
ტომ ვეკითხები? რატომ ვეკითხები?“  
ამ ელვის შუქმა სულში რაღაც სიცა-  
რიელე გაანათა, მაგრამ, სანამ აზრს მო-  
ვიკრებდი, ჩაქრა კიდევ.

— დავრჩები, — მითხრა მაკამ და  
თვალეში შემხედა. — შენ ხომ არ  
გაწყინება?

„ნუ დარჩები, მაკა. წამოდი“, —  
თითქოს ლოცულობდა ვიღაც ჩემს არ-  
სებაში.

— კარგი, დარჩი. აბა, მამ ხვალამდე.  
მაკამ გამიღიმა.

მიმოვიხედე. თვალთ ირინეს ვეძე-  
ბდი.

ირინე არსად ჩანდა.

„წასულა“. — გავიფიქრე და რაღაც  
გაუგებარი, არეული გრძობა დამეფუ-  
ლა. მერე ერთბაშად შეება ვიკრძენი  
და ძალა. და ის საღამო გამახსენდა,  
ბურუსი რომ იყო და ცრიდა.

მასპინძლებს გამოვეთხოვე.

ნინელი მითხრა:

— იცოდე, დღეიდან მე და შენ ისე-  
თივე მეგობრები ვართ, როგორც მე და  
მაკა.

ნინელის დედამ მითხრა:

— ამიერიდან ხშირ-ხშირად უნდა  
მოხვიდეთ. ჩვენ ახლობელ ხალხს არ  
ვპატიებთ. ისე უნდა მოხვიდეთ, უბ-  
რალოდ და უცებ.

მადლობა გადავუხადე და გასასვლე-  
ლისაკენ გავემართე.

კართან რომ მივედი, თითქოს ღენ-  
მა დამკრა.

სწრაფად მოვტრიალდი.

მაკა მიყურებდა.

იღვა გამართული, მკლავებდაშვებუ-  
ლი. ერთიანი კაბა ლალად ადგა ტანზე.  
საოცრად ბავშვური იყო და საოცრად  
ქალური.

მე რომ მოვტრიალდი, გამიღიმა. სა-  
ხე გაუნათდა და მწყობრი კბილები გა-  
მოუჩნდა.

ერთ წამს ვუყურე, მერე ჩემდაუ-  
ნებურად თვალეები დავხუჭე, თითქოს  
ეს სურათი მესსიერებაში მინდოდა შე-  
მენახა.

ახლა რომ ვინმეს ეთქვა, მაკას უკა-  
ნასკნელად ხედავო, შეიძლება დამეჭყ-  
რებინა, ისე დამიარა განშორების ტვი-  
ვილმა სხეულში.

თვალეები ისევ გავახილე, კარი გა-  
მოვალე და გავედი.

კბეზე გრილმა ჰაერმა შემომიბუ-  
რა და თითქოს გონებიდან ბურუსი გა-  
დამაცალა. ცოტა ხანს შევჩერდი. სახე-  
ზე ხელი მოვისვი, რამდენჯერმე ღრმად  
ამოვისუნთქე.

უეცრად აბელ დვალი და კოტე  
ენუქიძე გამახსენდნენ. ეტყობა, ჩემმა  
ფანტაზიამ ამ ორ უცნობ კაცს რაღაც  
მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრა. თო-  
რემ რა იყო, რომ მათი წასვლა ისე გან-  
ვიცადე, ძვირფასსა და ძალიან მახლო-  
ბელ ადამიანს რომ მატარებელზე გაა-  
ცილებ და უცნაური სევდა შემოგაწვე-  
ბა.

გამვალ მარჩხაძე  
მღვამური



ისევ დაეუყვიე კიბეს. თავში ფიქრების ქარავანი უთავბოლოდ მოძრაობდა.

ჯერ იყო და, ის გამახსენდა, აბელ დვალმა რომ უთხრა თამადას, ცაში არ იყურები, რადგან იქ საინტერესო არაფერი გეგულებო. ამის გახსენებაზე გავიფიქრე: „იქნება ესაა ერთადერთი სწორი გზა? ცაში, ბევრიც რომ გეგულებოდეს, მაინც ვერაფერს იპოვი“. მერე აბელ დვალი გაწირბულმა გოგომ შეეცვალა, დიდი ამბით რომ გამიხმო განზე, დაიხარეთ მითხრა და, როგორც საშინელი საიდუმლო, ისე ჩამჩურჩულა ყურში, ვერ გავიგე ვინ არიანო. ამას მოყვა ფიქრი: „როგორ უყვართ მაკა ამხანაგებს!“ აქ წინელის დედის სახე გამახსენდა, უცნაური, თითქმის გაუგებარი სიკეთით სავსე. ისე უნდა მოხვიდეთო, მითხრა, უბრალოდ და უცებ.

ამასობაში კიბე ჩავათავე და ქუჩაში გავედი.

ზედ სადარბაზოს წინ შავი „ეოლგა“ იდგა.

საღლაც ქუჩის სიღრმიდან შავკეპიანი უცნობის ხილვა წამოვიდა.

მაგრამ ხილვა წამსვე გაქრა, რადგან მანქანის კარი გაიღო.

— დაჯექი!

მწარე და უდღეური შგება ყოფილა ის, წელან რომ ვიგრძენი, როცა ირინე ოთახში ვერ ვიპოვე და, წასულა-მეთქი, ვიფიქრე.

— მაშ, არ წასულხარ?

— შენ გელოდი.

მე ვიდექი.

— დაჯექი. სახლში წავიყვან.

დაჯექი, კარი მივიხურე და ვუთხარი:

— სახლი რომ არა მაქვს?

ირინემ ცერად გამომხედა.

— გინდა გქონდეს?

— არა.

— გექნება.

გასაღები გადაატრიალა და მანქანა დაძრა.

მე უკან გადავწექი, კეფა სკამის ზურგს ჩამოვადე და ირინეს მივაჩერდი.

შავი შარვალი ეცვა და სქელი, მანქანის ცელიანი თეთრი ჯემპრი. თმა მხრებზე ედინა.

ხმას არც ერთი არ ვიღებდით.

ირინე წინ იყურებოდა და მარჯვედ მიპყავდა მანქანა. მე ირინეს ვუყურებდი და არაფერზე არ ვფიქრობდი.

მანქანაში თბილოდა და ღვინო უფრო მეკიდებოდა.

მივჩერებოდი ირინეს. თვალს არ ვაშორებდი.

დიდხანს ვისხედით უხმოდ.

ვუყურებდი ირინეს პროფილს და არაფერზე არ ვფიქრობდი.

უცებ ვიღაც უცხომ ჩემი პირით თქვა:

— შენ დედამიწის ღერძი ხარ, ირინე.

ირინემ მკვეთრად დაამუხრტუჭა. მანქანა კივილით გაჩერდა.

ჩემს აღმართთან ვიყავით. ზედ იმ მალაზიის წინ, რომელშიც ქაჩალი და ყურპარტყუნა გამყიდველი მუშაობდა. მალაზია ახლა დაკეტილი იყო და ორი ბოქლომი ედო. ერთი დიდი, მეორე — მომცრო. მინის კედლებზე ფარდები ჩამოეფარებინათ და მე, რატომღაც, მიცვალებული გამახსენდა.

ირინეს ხელები საჭეზე დაეწყო და დაეინებით მიყურებდა. და გარდა დაეინებისა, კიდევ იყო რაღაც მის მზერამში.

— გაიმეორე.

— დედამიწის ღერძი ხარ.

— შენ თუ იცი, რომ ეგ სიტყვები არ გეპატიება?

— ვიცი, მაგრამ ახლა ეგ არ არის მთავარი. მთავარია, მანდ არ შეუხვიო!

ირინემ გაიღიმა.

— აბა, რა ექნათ?

— რაც გინდა. მთავარია, მანდ არ შეუხვიო.

— მაშ, საით წავიდეთ?

— საითაც გინდა.

— სიტყვებს უპატრონოდ ნუ დაყრი. არ გეშინია, რომ მაგ ნათქვამით ბოროტად ვისარგებლო?

— ამ აღმართის მეშინია...





— კარვად მოიფიქრე, რასაც ამბობ? — შენ: დედამიწის ღერძი ხარ, ირინე. წარმოსახვითი და მაინც რეალური. — ირინემ მანქანა დაძრა და ასახვევს გავცდით. — არ მომიფიქრებია. ფიქრი ყელში გამოსმული დანაა.

— ხვალაც ეგრე იტყვი? — „ხვალ“ არ არსებობს. „ხვალ“ მეოცნებეების მოგონილი ილუზიაა. „ხვალ“ ყოველთვის ერთი დღის სავალზეა „დღეისაგან“. და რამდენიც არ უნდა ვიაროთ, მუდამ ერთი დღის სავალზე იქნება. ჯერ არ დაბადებულა კაცი, „ხვალ“ რომ საკუთარი თვალთ ენახოს. — მანქანა უკაცრიელ გზატკეცილზე მიქროდა. — სინამდვილეში არსებობს მხოლოდ დღევანდელი დღე. ცხოვრება დღევანდელი დღეების ჯამია. არ არსებობს არც „ხვალ“, არც „გუშინ“. მხოლოდ ის არსებობს, რასაც ვგრძნობ. გუშინდელი დღეც დღევან-

დელი დღეა; ოღონდ, სადღაც, სხვა სივრცეში დევს და ვერ ვხედავთ. ღრმ მკვდარი ცნებაა. ეს უნდა მეთქვა კოტე ენუქიძისა და აბელ დვალისთვის. კაცობრიობის ისტორია აწმყოში გაჭიმული ერთიანი ჯაჭვია, რომლის ყველა წერტილი მყისიერად არსებობს, დროის გარეშე, მხოლოდ ახლა, მხოლოდ სივრცეში. ჩვენ ამ წუთს ვართ ყველგან, საცა „ვიყავით“ და საცა „ვიქნებით“.

არ ვიცი, ღვინომ დამაძინა, თუ საკუთარი ხმის მონოტონურობამ. ის კი მახსოვს, რომ, თითქოს ორმოში ჩაგვარდიო, უეცრად ჩავეფლე ღრმა ძილში. ერთბაშად, მეყსეულად. და ასევე ერთბაშად, ყოველგვარი გარდამავალი წუთის გარეშე, გავიღვიძე. ვითომ მექანდაკება ვიყავი, ხოლო ძილი — ის თეთრი სუღარა, ქანდაკებას რომ საჯარო გახსნისას ჩამოაცლიან.

## ს ა ტ რ ი ა რ ქ ი

ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლა მიცემად.

— რიყრაყი იყო. მანქანა ვიწრო ხეობაში მიდიოდა. ხელმარჯვნივ, ზემოდან, მთის მდინარე მოქშუოდა და კისრისტეხით მიბრუნდა ქვემოთ. მდინარე პატარა იყო და, როგორც ყველა და ყველაფერი, რაც პატარაა, ყურისწამლებად ხმაურობდა, სამყაროსთვის რომ თავისი არსებობა ეცნობებინა.

საამო სიგრილე იგრძნობოდა. ჰაერი თხელი და გამჟვირვალე იყო. სადღაც, ალბათ, მზე ამოდიოდა. მაგრამ სად? ხეობას ორივე მხრიდან მაღალი მთები გადმოჰყურებდა. წინ ხეობა კიდევ უფრო ვიწროვდებოდა და მთებში იკარგებოდა. თანაც არავითარი წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ საით უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთი.

ირინე მშვიდად მართავდა საჭეს და უძილობისა არაფერი ეტყობოდა. მგონი, არც გაუგია, მე რომ გავიღვიძე.

უეცრად, თითქოს რალაცამ შემამფოთა, მაგრამ მაშინვე გამიარა. ირინეს შევხედე და ვთქვი:


— ადამიანი შიშველი უნდა დადიოდეს.

ირინემ გაიღიმა. — მომეცი სიგარეტი.

სიგარეტი მივაწოდე და ავუნთე. მეც ავინთე.

ნათაზი რომ დავარტყი, არ მესიამოვნა. ყელი გამომშრალი მქონდა და ბოლმა თითქოს წაიბორძიკა ამ სიმშრალეზე.

ჯიშვალ ჭარჩხაძე  
მღვმერი



მინც განვაგრძე მოწევა.

ირინემ გააბოლა და მითხრა:

— სიშვილვე ვერ გამოდგება გულწრფელობის სიმბოლოდ.

„ყალბ სირცხვილს მინც არ გავსმება ხაზი“, — გავიფიქრე. ხმამალა თქმა დამეზარა.

კარის მინა ჩამოვწიე.

— ხომ არ შეგცივდება?

— არა.

მდინარე ლოდებზე იმსხვრეოდა და მერე ისევ ერთდებოდა. შეერთების ადგილას ქაფი რჩებოდა.

სუფთა ჰაერი ფილტვებში მილიტი-ნებდა და ისე მაბრუებდა, დიდი ხნის ნაავადმყოფარი კაცი რომ პირველად გამოხვალ გარეთ.

ჩუმად ვისხედით.

ღია ფანჯრიდან ვაკვირდებოდი, როგორ გარბოდა ქვემოთ მთის კალთებზე შეფენილი ტყე.

მთაც გარბოდა.

— ერთი ტელეგრაფის ბოძი არ შეგვხვედრია.

— ტელეგრაფი ჯერ არ გამოუგონებიათ.

ირინეს შევხედე.

ილიმებოდა და გზას გაჰყურებდა.

მე ისევ ტყის მწვანე მასას მივანჩრდი, რომელიც მდინარის მხარდამხარ მივრბოდა.

„ემანსიპაცია“, — გავიფიქრე და შევშფოთდი, რადგან ვერ მოვიგონე, რას ნიშნავდა ეს სიტყვა.

„ლათინური იქნება და, ეჭვი არაა, რაღაცას უნდა ნიშნავდეს. მინც რას? ვიცოდი და აღარ მახსოვს. ემანსიპაცია... ემანსიპაცია...“

— როგორ მოგწონს აქაურობა?

— სადაურობა?

— რაზე ფიქრობდი?

— ემანსიპაციაზე. ხომ არ იცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა?

— სუფთა ჰაერი არც ისე უცხო სტიქიაა ადამიანისთვის. ხელად შეეჩვევი.

„ღმერთები სკაფანდრებში ემალებოდნენ სუფთა ჰაერს... ნეტა როგორი უნდა იყოს სასიცოცხლო პროცესი,

როცა ჟანგბადი მომაკვინებელი მია?...“

მთა ტყიანად გარბოდა.

გზა ოღროზოლო იყო.

რაც უფრო ზევით მივიწევდით, მდინარე მით უფრო პატარავდებოდა, და რაც უფრო პატარავდებოდა, მით უფრო ყურთასმენის წამლებად ხმაურობდა.

მთების ვიწრო ყელთან შენაკადს მივადექით. შენაკადი პატარა ნაკადული იყო და მხიარული ჩუხჩუხით ინთქმებოდა უფროსი ძმის სტომაქში.

მარცხნივ შევეხვიეთ და ნაკადულს ავუყვებით.

აქეთ გზა აღარ იყო. იყო მხოლოდ ძალიან ვიწრო ხეობა, რომელშიც ჩვენი მანქანა და ნაკადული ძლივს ეტეოდნენ. ტყით შემოსილი მთები ლამის მხრებზე გვებჯინებოდა. ნაკადულის ორივე მხარეს ჩამწყობებულ ცაცხვისა და რცხილის ხეებს კენწეროები თავებივით მიედოთ ერთმანეთზე და ჩაბნელებულ ხეივანს ქმნიდნენ. შიგადაშიგ თელა და მუხაც ერია. ცა მხოლოდ აქა-იქ იჭყიტებოდა ფოთლებსა და ფოთლებს შუა და ნაკადულს სიზმარულ იღუმალებას ანიჭებდა.

— ქინკები არ ცხოვრობენ ამ ტყეებში?

ირინემ გაიცინა.

— მე მეგონა, იტყოდი, რა ზღაპრული სილამაზეაო.

მეც ასე მეგონა.

— გინდა სიგარეტი?

— მოიტა.

ნაკადულის პირას, ტყესა და ტყეს შუა, პატარა მდელო გამოჩნდა. ჩვენ ამ მდელოზე შევეხვიეთ და ნაკადულს დავშორდით. მდელო მალე დამთავრდა და ტყეში შევედით. მანქანა ძლივს მიიკვლევდა გზას. მარცხნივ მოვტრიალდით და ცოტა ხანს ნაკადულის დინების მიმართულებით ვიარეთ. მერე ისევ მარჯვნივ შევეხვიეთ, ტყის სიღრმისკენ. მცირე აღმართი ავიარეთ. კიდევ რამდენჯერმე მივეხვ-მოვეხვიეთ და ცაცხვები და რცხილები რომ მსხმოი-

რე მსხალმა და შაკვლიავმა შეცვალა, მივხვდი, გზა დასასრულს უახლოვდებოდა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ხეხილის ბაღში მრგვალი ფორმის პატარა, კონხტა სახლი გამოჩნდა.

სახლი შთის ბუნებრივ ტერასაზე იდგა. ირგვლივ მოზრდილი ვაკე იყო. ვაკის იქით მთა, თითქოს დანაკარგს იწინააღმდეგებდა, მკვეთრად მალღღებოდა.

— არც ღობე იყო, არც კიშკარი.  
ირინემ ზედ სახლის კართან გააჩერა მანქანა.

— მოვედით.  
ბალახი მძალი იყო, რბილი, ფაფუკი. სანამ შევეჩვიეოდი, ახლად ფეხადგმულივით დავდიოდი.

ღრმად ჩავისუნთქე და გავიფიქრე: „ნუთუ კიდევ დარჩა ქვეყანაზე ასეთი პერი?“

მერე ირინეს ვკითხე:  
— მზე საიდან ამოდის?  
— მზე არ ამოდის. უბრალოდ, დედამიწა ბრუნავს თავისი ღერძის ირგვლივ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აღამიანს კი ჰგონია, თითქოს მზე ამოდის.

გამეცინა და მეტი აღარაფერი მიკითხავს.

ირინემ ხელი ჰკრა კარს. კარი გაიღო.  
— მობრძანდი, ეს დედამიწის ცენტრია. შთავარი ღერძი აქ გამოდის.

— წარმოსახვითი ღერძი, — შეეუხსწორე მე.

— ყველა ღერძი წარმოსახვითია, — გაიღიმა ირინემ და მის ხმაში და მის ღიმილში ნიშნისმოგების მავგარი რაღაც მომეჩვენა.

— შევედი და დავილოცე:  
— აქა მშვიდობა!

ეს ქვედა სართული იყო, დაახლოებით ისეთი, დასავლეთ საქართველოში რომ პალატი იციან. ხელმარცხნივ, ბუხარი იყო, ხელმარჯვნივ, კედელთან, ხის ტახტი — შიშველი, ძველებური. შუაში მაგიდა და ოთხი სკამი იდგა. მაგიდა წარმოადგენდა ვეება ხის კუნძს, კარგად გამოთლილს და მოსწორებულს;

ირგვლივ შემოწყობილი სკამები — ასევე კარგად გამოთლილსა და მოსწორებულს, შედარებით მომცრო კუნძებს. პალატის შორეულ მარჯვენა კუთხეში განჯინა იდგა.

— დაჯექი, დაისვენე. მე საუზმეს გავაკეთებ, წაიხემსოთ. — განჯინის კარი გამოაღო და საუზმის სამზადისს შეუღდა. — მე ყავას დავლევ. შენ ჩაი გინდა, ხომ?

— ყავა მინდა!  
ჩემდა გასაოცრად, საკუთარ ხმაში რაღაც მბრძანებლური კილო მომესმა. შეგვართი და თვალი ირინესაკენ გავაპარე. ირინე თავის საქმეს განაგრძობდა, ჩემი მბრძანებლური კილოსათვის ყურადღება არ მიუქცევია.

საუზმე რომ მოვათავეთ, მითხრა:  
— წამო ახლა, სახლი დავათვალიერებინო.

— არ დილაღე?  
— დასვენება გინდა?  
— მე არა. მე მანქანაშივე გამოვიძინე. შენზე ვამბობ.

— მე ქალი ვარ. ქალი თავის მძიმე ხვედრს უნდა შეეგუოს და დაღლილობა და ავადმყოფობა არასოდეს არ შეიმჩნიოს.

გამეცინა.  
— შუასაუკუნეები?

ირინემ შემომხედა, ერთხანს მიყურა, მერე, დაღვრილი მელანი რომ მაგიდას მოედება, ისე ნელ-ნელა მოედო სახეზე ღიმილი.

— წამო!  
პირველ სართულზე სახლის ცალ მხარეს პალატი იყო, მეორე მხარეს — მარანი. მარანი საწნახლით, საწურით და ყოველგვარი მოწყობილობით. მარანსა და პალატს შორის მთელ სივრცეს ავსებდა ნახევრად ღია სადგომი. უკანა მხარეს კედელი იყო ამოშენებული, წინ კი არც კედელი იყო, არც კარი. აქ სამი სვეტი იდგა, როგორც ჩანს, მეორე სართულის გასამაგრებ-

ჯემალ ქარჩხაძე  
მღვდელი



ლად, და მიწაზე ორი ცალი გაურკვეველი დანიშნულების ვარცლი ეგდო.

მეორე სართულს წინა და უკანა მხარეს მთელ სიგრძეზე მრგვალი აივანი ერტყა. აივანის შიგნით სამი ოთახი იყო. შუა ოთახს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა, განაპირა ოთახებს კი, სახლის სიმრგვალის გამო, თითო კედელი გამოზურცული ჰქონდა და შიგ ასევე გამოზურცული ფანჯრები იყო დატანებული.

ავიხირე, სახურავზე უნდა ავიდე, მიდამოს თვალი მოვაგლო-მეთქი. ავიდეთო, მაშინვე დამეთანხმა ირინე და დაუმატა, ჩემი მეუფისა და მპრძანებლის სიტყვა ჩემთვის კანონიაო. სიტყვები რომ არ ყოფილიყო ასეთი, კილოზე ვერაფრით ვერ შეატყობდით, თუ იხუმრა.

შუა ოთახსა და მარჯვენა განაპირა ოთახს შორის პატარა ბნელი დერეფანი იყო. დერეფანში კიბე იდგა, რომლითაც ჯერ სხვენში ავედით, მერე — სახურავზე. სახურავი დამრეცი იყო და წაბოები ისე ლღად და შეუუმჩნევლად გადადიოდა ერთმანეთში, რომ გამყოფი ხაზი არც კი ეტყობოდა. ამის გამო გუმბათს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჩვეულებრივ სახურავს.

წვერში ავედი. ირინეც ამოვიდა.

— ალბათ აქ გამოდის ღერძი, — ვთქვი და გუმბათის წვერს ფეხი დავადგი.

ირინემ არაფერი მიპასუხა. ორივე ხელი მკლავში მომიკიდა და სახეში შემხედა. მე დავიხარე და ცხვირზე ვაკოცე. ირინემ გაიცინა და თავი მხარზე დამაბღო. მე წელზე ხელი მოვხვიე და თმაში ვაკოცე. ირინე უფრო მომიკრა.

როგორც მოვახსენეთ, სახლს მრგვალი ფორმა ჰქონდა. ახლა, როცა არემარე ყველაზე მაღალი წერტილიდან მოვთვალე, დავინახე, რომ ეს სახლი იყო ორი კონცენტრიკული წრეხაზის ცენტრი. პირველ წრეხაზად შიშველი მღვლო ერტყა, დაახლოებით ხუთი-ექვსი საყენის რადიუსის. შემდეგ მოდიოდა დიდი წრეხაზი — ხეხილის

ბალი. ორივე წრეხაზი იდეალურად ზუსტი ჩანდა. და სახლიც ზუსტად ცენტრში იდგა. ხეხილის ბაღს იქით, ოთხსავე მხარეს, ტყე იწყებოდა. სამ მხარეს მაღლა მიუყვებოდა მთებს, ხოლო მეოთხე მხარეს, საღაც, ჩემი ვარაუდით, ნაცნობი ნაკადული უნდა ყოფილიყო, ქვემოთ მისდევდა ფერდობს.

ირინემ კიდევ შემომხედა. თვალები უბრწყინავდა და ძალიან ლამაზი იყო.

— აღარ ჩავიდეთ ძირს?

უცებ მომეჩვენა, თითქოს აქ მარტო მიდამოს მოსათვალეირებლად არ ამოვსულვარ. რალაც მიზანი მქონდა, რალაც მაინტერესებდა. საჭირო და მნიშვნელოვანი. მოიცა-მეთქი, ვუთხარი, წელზე შემოხვეული ხელი შევეუშვი და შევეცადე ის საჭირო და მნიშვნელოვანი მიზანი გამეხსენებინა: მაგრამ, რამდენიც არ დაეატანე თავს ძალა, არაფერი გამოვიდა. მომელანდა რალაც-მეთქი, აგდებულად გავიფიქრე, ხელი ჩავიქნიე და ჩემს თავზე გამეცინა.

— ჩავიდეთ, ჩავიდეთ.

ჩამოვედით. ბალახზე ჯერ კიდევ ისე დავაბიჯებდი, როგორც ბრმა დააბიჯებს ნახნავში.

— ხეხილის ბაღში გავიაროთ? — მკითხა ირინემ.

— გავიაროთ.

პირველი წრეხაზი გადავჭერით და ხეხილის ბაღში შევედით.

აქეთობას მარტო მსხალი და შავქლიავი შევამჩნიე. ახლა კი დავრწმუნდი, რომ აქ ჩვენებური ხილის სრული ნაირსახეობა იყო წარმოდგენილი: ატამი, კაკალი, ვაშლი, თხილი, ლეღვი, უნაბი, წაბლი, ბალი... რა ვიცი, ყველაფერი.

ერთი-ორ ადგილას ისეთსავე მაგიდასა და სკამებს წავაწყდით, პალატში რომ ედგა.

ბევრი ვიარეთ, თუ ცოტა ვიარეთ, ბოლოს დავიღალეთ და ვეება სამტრია კაკლის ძირში ბალახზე დაესხედით დასასვენებლად.

— ვისია ეს ეზო-გარემო და კარმიდამო?



— შენი. — მიპასუხა ირინემ, გულადმი დაწვა ბალახში და მკლავები გადაშალა.

— ჩემი?

— ვისაც არ უნდა, ექნება. შენა ხარ აქაურობის პატრონი და მბრძანებელი. მოდი ჩემთან.

მისკენ გადავიხარე. მარცხენა ხელი კისერქვეშ შევუტურე, მარჯვენა თმაში შევუყავი.

— შენ დედამიწის ღერძი ხარ, ირინე.

ირინემ ოდნავ წამოიწია, ხელები კისერზე მომხვია, ყელში მაკოცა.

— შენა ხარ ჩემი დედამიწაც და სამყაროც, — მითხრა.

ხმა ორთავეს მოგუდული გვექონდა. მე საკინძის გახსნა დაეუწყე.

წამით, დანისლულ გონებაში გაიელვა სიტყვებმა: „გინდა, ნანა გიმღერო?“ მაგრამ ეს სიტყვები უცნაურად იყო დამახინჯებული და ძლივს ვიცანი.

თუ ადამიანისა და ცხოველის ნათესაობა უეჭველად უნდა დამტკიცდეს, საუკეთესო საბუთი ენებით გათანაგული კაცია. კაცი, რომელსაც გონება ამღვრეული აქვს, თვალები ამღვრეული აქვს, აზრები და ფიქრები ამღვრეული აქვს. ყველაზე მეტად ენების სიმზურვალე გვაახლოვებს ცხოველთან, ყველაზე მეტად უსასრულობის სევდა გვაშორებს. და დაბადებიდან სიკვდილამდე ასე ვირწევით ქანქარასავით ორ პოლუსს შორის. ვუახლოვდებით და ვშორდებით, ვუახლოვდებით და ვშორდებით.

ირინეს ტანთ გავხადე. მეც გავიხადე. თან სულ რაღაცას ვლულულუდები, გაუგებარსა და დაუნაწერებელს.

ირინე მკერდით მეკვროდა და კრუტუნებდა.

კაკლის ხე ვეება იყო და სამტოტა. საღადაც, ფეხებთან, ჩვენი ტანსაცმელი ეყარა. ერთმანეთში არეული...

მერე მე ვიწეკი გულადმა, ირინეს თავი ჩემს მკერდზე ედო და ჩურჩულებდა:

— მე შენ ბრძოლით მოგიბოვე და

ჩემს მეუფედ გაგამწესე. ახლა ყველაფერი შენია და შენს ხელთაა. მე ისე მეყვარები, ვინმემ რომ გაიგოს, არც კი დაიჯერებს და იტყვის, ასეთი სიყვარული შეუძლებელიაო. ყოველი შენი სურვილი ჩემთვის გარდაუვალი კანონი იქნება. მე მანამ მივხედები რა გსურს, სანამ გაიფიქრებდე. შენ იქნები ღონიერი და მარჯვე მონადირე. და როცა დალილ-დაქანცული ნანადირევს აიკიდებ და შინისაკენ წამოხვალ, ძალას შეგმატებს იმის ფიქრი, რომ სახლში ლამაზი ცოლი გელის, რომელიც დაღლილობას თავისი სიყვარულით გაგიქარებს. შენ იქნები ნამდვილი პატრიარქი, გრძელი წვერი გექნება და დარბაისლური მიხვრა-მოხვრა. ათი შვილი გვეყოლება და ათჯერ ათი შვილი-შვილი. შვილიშვილები შენს გამოჩენაზე ყვილ-ხივილს შეწყვეტენ და შიშითა და კრძალვით დაგიწყებენ ცქერას. შენ მკაცრი სახე გექნება და არასოდეს არ აგრძნობინებ შვილებსა და შვილიშვილებს სიყვარულს, რომ არ განაზღვრე და გულჩვილობის სენი არ შეეყაროთ. შენ გექნება გრძელი თეთრი წვერი, ხოლო შენს შვილებს ექნებათ მოკლე, შავი წვერი და ფართო მხრები; მიწის ძალა გამოყვებათ და მგლის მუხლი. მე ვიქნები შენი დედოფალი და მხევალი, შენ კი — ტყის ნადირთა მეფე და ძლიერი მონადირე. მკაცრად მომეპყრობი, მბრძანებლურად, უხეშად. და მხოლოდ ძალიან იშვიათად, რათა არ შევეჩვიო, წამით გაიელვებს სინაზე შენს თვალებში და წამით გადაიბრუნს თბილი ღიმილი შენს ბაგეებზე. ეს მე ერთგულების ძალას შემმატებს და ჩემს სიყვარულს ფრთებს გამოასხამს. და შენ იცოცხლებ დიდხანს, ძალიან დიდხანს, როგორც ცოცხლობდნენ ძველი პატრიარქები, და შენი მრავალრიცხოვანი შთამომავლობა იქნება ღონიერი, ჯანმრთელი და ლამაზი მიწის ღონით, მიწის ჯანმრთელობით, მიწის სი-

ჯამალ ქარჩხაძე  
მღვდელი

ლამაზით. და მიწა იქნება შენი და შენი ნაშიერის სამყოფელი, სიუხვის, სიძლიერისა და მხნეობის წყარო და სარბიელი...

მე ჩამეძინა.

თვალი რომ გავახილე, ირინე თავით მეჯდა. ხელები შიშველ მკერდზე დაეკრიფა და მიყურებდა.

— მეძინა?

— ცოტა.

— ეს რა ძილქუში დამაწვა დღეს! — წამოვიწიე. გვერდით დიდ-დიდი, დაბრაწული ატმები მეწყო. — ეს საიდან?

— მე დავიკრიფე.

მე ატმებს დავაკვირდი და ვკითხე:

— წყავი თუ არის ამ ჩემს სამფლობელოში?

ირინემ შემხელა და გაკვირვებისაგან თვალები მოჭუტა.

— რაა?

— წყავი.

— წყავი რა არის?

— მაშ, არ ყოფილა.

მეხსიერებაში დეიდა მარიამმა გაიარა და წავიდა. მაგრამ ისე იყო შეცვლილი, ვერ ვიცანი.

— ბანაობა არ გინდა? — მკითხა ირინემ.

— კი მინდა. ნაკადულზე ჩავიდეთ?

— რა ნაკადულზე? აა! არა. წამო. ერთმანეთს ხელები ჩავკიდეთ და წამოვდექით.

ბაღს გავუყევით და სახლს მეორე მხრიდან შემოვუარეთ. მოშორებით ხეებსა და ხეებს შუა მოლივილივე წყალი გამოჩნდა.

— აი, ოკეანე! — წამოიძახა ირინემ და გაიქცა.

მეც დავედევნე და წყალში ერთდროულად გადავეშვიტ.

თავები რომ ამოვყავით, ირინემ მკითხა:

— როგორ მოგწონს?

— გრილია და საამო.

მე ცურვით გავედი ტბის მეორე მხარეს. ირინემ გამომყვა.

გაღმა ნაპირზე ხეხილის ბაღი გრძელდებოდა. სადაც ჩვენ გავედით, იმ

ადგილას სულ ლედვის ხეებია.

წყლის პირას ჩამოვხედით. ირინემ თავი გადაიქნია და შეხედები შემომასხა. მერე ერთხანს ჩუმად ვისხედით და წყლის ლივლივს ვუტკეპროდით.

— რა არის წყავი? — მკითხა ირინემ.

მე უცებ ვერ მივხვდი, რა წყავზე იყო ლაპარაკი. მერე მივხვდი.

— ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა. წყავი მცენარეა, რომელსაც ეშმაკივით შავი და ეშმაკივით გემრიელი ნაყოფი აქვს. თევზი არის ამ ტბაში?

— რამდენიც გინდა!

— მაშ, დამიჭერია. ანკეის რომ არა მაქვს?

— ლარი და ნემსკავი მე მაქვს.

— ბამბუკი?

— ბამბუკი არა მაქვს. თხილი შეიძლება გამოვიყენოთ. გაღმა მხარეს სწორი თხილი იზრდება, მაღალი. მოქნილობით ბამბუკს არაფრით ჩამოუვარდება. გაჩვენო?

— მაჩვენე!

მეორე ნაპირზე დაღლილები გამოვედით.

ირინე წყლის პირას ჩამოჯდა. მე წამოვწექი და თავი კალთაში ჩავუდე. სანამ ვისვენებდით, ჩემს თმას აწვალეზდა. ხან აქეთ გადავარცხნა თითებით, ხან იქით, ხან შუაში გაყო. დაწვინაც კი სცადა.

— წავიდეთ თხილებში? — მკითხა ბოლოს, როცა თმას ყველა შესაძლო ოპერაცია ჩაუტარა.

— წავიდეთ.

თხილები მართლა აშოლტილი და მაღალი იყო. სულ ერთმანეთზე უკეთესი. ერთ-ერთი ავარჩიე, რომელიც ყველაზე სწორი ჩანდა.

— აი, ეს კარგია.

— ეგ იყოს.

თხილს ხელი მოვკიდე და უცებ ირინეს შევხედე.

— დანა?

ირინემაც შემომხელა და ორივეს გაგვეცინა.

— წავალ, სახლიდან მოვიტან.  
— ეგ როდის იქნება!  
— მაშინ სხვა დროს მოვტრათ, რა გეჩქარება!

— მეჩქარება. ახლა უნდა მოვტრა.  
— მოჭერი. — ირინემ ხელები მკერდზე დაიკრიფა და ხაზგასმული გულმოდგინებით მოემზადა საყურებლად.  
— მოვჭრი კიდევ!  
— მოჭერი.

ჯერ იქვე მივიხედ-მოვიხედე, მერე შორიასლო დავიწყე ძებნა და ბოლოს ერთი წვერწამახული ქვა ვიპოვე. ავიღე და იმით დავუწყე ხეს ჩორკნა.

— მალე კი გადავედით ქვის ნაჯახზე, — ირინე ისევ ისე გულხელდაკრეფილი იდგა.

მე გამეცინა და უფრო მუყაითად განვაგრძე საქმე.

— უნდა შეულოცო. ისე არაფერი გამოვა.

— შეულოცე მერე!

— მე?

— შელოცვა და ჯადოქრობა ხომ ქალების საქმეა.

ირინე ახლო მოვიდა, თმა წინ გადმოიყარა და სახეზე ჩამოიფარა. ხელებს სასაცილოდ ასავსაევბდა და გაურკვევლად ბუტბუტებდა რაღაცას.

მე ჯოტლად განვაგრძობდი ჩემს საქმეს. ახლა მეორე მხრიდან შევეუტიე. ნაჭდევი თანდათან გაღრმავდა. ბოლოს ხელით რანდენჯერმე გადავწიე, გაღმწეწი და მოვტეხე.

— ჩემმა ჯადოქრობამ გიშველა, — გამომიცხადა ირინემ.

— რა თქმა უნდა! — დავეთანხმე მეც. — შენი ჯადოქრობის გარეშე რას გააწეწობდი.

თხილს წვრილ-წვრილი ტოტები გავაცალე და მხარზე გავიდე.

— ახლა კი დავბრუნდეთ. დანარჩენს სახლში გავაკეთებ.

შინ რომ მივედით, ეზო მოვათვალიერე და ისეთი გრძობა გამიჩნდა, თითქოს თვალში რაღაც მაკლდა. თითქოს რაღაც უნდა ყოფილიყო და ის რაღაც, რაც უნდა ყოფილიყო, არ იყო.

„გონება მიბნელებდა, თუ რა უბედურება მჭირს!“ — გავიფიქრე ჩემთვის.

თქმით არაფერი მითქვამს. თხილი იმ ნახევრად ღია სადგომში შევიტანე და ირინეს ნაჯახი ვთხოვე. დასაკეცი დანა მეც მქონდა პიჯაკის ჯიბეში, მაგრამ ჩემი პიჯაკი საღდაც ბაღში იყო, კაკლის ძირას. ირინემ ნაჯახთან ერთად ლარი და ნემსკავიც მომცა და მითხრა, წავალ, ტანისამოსს მოვიტანო.

მე საქმეს შევეუდექი. თხილს ტოტები დავაცალე, ვიწრო ბოლოში ნაჭდევი გავუკეთე, ზედ ლარი გამოვავი; ტიტიცა ხისგან გამოვთალე, ტყვის მავიერად ქვა გამოვიყენე, ბოლოში ნემსკავი დავამაგრე. დიდხანს კი ვეწვალე, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ მოხერხებული ანკესი გავმართე.

ირინემ ტანსაცმელი მოიტანა და სადილი მოამზადა.

ნასადილევს ბაღში ჭიკაყვლები ამოვიჩიჩქნე და სათევზაოდ წავედი.

— ვასშად ცოცხალი თევზი გვექნება. — დავუბარე ირინეს.

ირინემ ღიმილით დამიჩინა თავი.

— მე მანამ აქაურობას მივხედავ.

წასვლის წინ ერთხელ კიდევ მოვათვალიერე ეზო და წედანდელი გრძობა, თვალში რომ რაღაც მაკლდა, ისევ ამედევენა.

თევზი მართლა ბლომად იყო ტბაში და ბლომდაც დავიჭირე.

თავიდან ვერ ვიჭერდი.

დავეყვებოდი ტბის ნაპირს აღმა-ღამა და ბედს ვცდიდი ყველგან, სადაც ადგილი, ასე თუ ისე, შესაფერისი მეჩვენებოდა. მთელი საათი ვიარე და ერთი თითისტოლა ჭიჭყინის მეტი ვერაფერი დავიჭირე.

ბოლოს პატარა ყურეს მივადექი. ირგვლივ ბექობი ერტყა. ბექობის თავში თხილისა და ვაშლის ხეები იდგა. წყალი აქ, ეტყობოდა, საკმაოდ ღრმა უნდა ყოფილიყო. საცა წესია, ამ მო-

ჯემალ ძარჩხაძე  
მდგმური





რევში ბლომად უნდა იყოს-მეთქი თევზი, გავიფიქრე. ჯერ ხის ძირას წამოვწეკი, დავისვენე და სიგარეტი გავაბოლე. მერე ბეჭობის თავზე შემოვჯექი და ნემსკავი ღრმად ჩავუშვი წყალში. თვალის დახამხამებაში ვერ მოვასწარი, რომ ტივტივა შეირხა, ცეკვა დაიწყო წყლის ზედაპირზე და ჩაიძირა. სწრაფად ამოვკარი. თევზი ჰაერში აფართხლდა. მტკაველის ოდენა მურწა იყო. ბალახებში რომ ჩავაგდე, კიდევ დიდხანს ფართხალებდა. ნემსკავზე ჰიყუელა გავასწორე და ხელახლა ჩავუშვი. ამჯერად ცოტა ლოდინი დამჭირდა. ტივტივა ერთხანს უმოძრაოდ იდო წყლის ზედაპირზე. მერე წელანდელივით აცეკვდა და ჩაიძირა. მეორე მურწა უფრო მოზრდილი გამოდგა.

გამარჯვების აღსანიშნავად კიდევ ერთი სიგარეტი მოვწიე.

მერე თევზაობა განვაგრძე. სპორტულმა უინმა ამიტაცა და მთელი ჩემი არსება დაიპყრო.

ჩავუშვებდი ნემსკავს წყალში და სულგანაბული დაცეკეროდი ტივტივას. ტივტივა ჯერ უმოძრაოდ იდო, თითქოს მიწაში ჩარკობილი პალოაო, მერე ორგვლივ პატარა წრეები გაუჩნდებოდა, წრეების ცენტრში ტივტივა ერთბაშად შეირხეოდა და ცეკვას დაიწყებდა. იცეკვებდა, იცეკვებდა და ჩაიძირებოდა.

როგორ წამომადგა თავს ირინე, არ გამიგია. როცა შევამჩნიე, ჩემს გვერდით იჯდა, ჩითის მოკლე კაბა ეცვა, გულამოჭრილი და უსახელო. იჯდა თავისთვის და რალაცას ქსოვდა.

— შენ აქ როდის გაჩნდი?  
— რახანია აქა ვარ. მაგრამ ჩემმა მეუფემ არ ინება ჩემი არსებობა შეგმჩნია.

— შენი მეუფე ახალ ხელობას დაეუფლა. ამბობენ, მეთევზეები კეთილი ხალხიაო. რასა ქსოვ?

— ჯემპრს გიქსოვ.  
— მე?  
— შენ, აბა ვის!  
— ყოჩაღ, ჩემო დედოფალო! აი, შენ

კილდო! — გადავიხარე და ვაკოცე მერე თევზაობა განვაგრძე.

— გეყოფა.  
— ცოტაც დამაცადე.  
— რად გინდა ამდენი თევზი? მე დაჭერილ თევზს გადავხედე და გამეცინა. მართლა ძალიან ბევრი იყო.  
— რა ვიცი. კატა მაინც გვეყავდეს.  
— წამო, წავიდეთ.  
— მოიცა, იქნება ოქროს თევზი დავიჭირო.

ირინემ ქსოვა შეწყვიტა და შემომხედა.

— ოქროს თევზი დაჭერილია. ხომ ხედავ, ღამდება.

არ მეთმობოდა თევზაობა, მაგრამ მართლა ღამდებოდა.

წამოვდექი. ლარი ნემსკავით მივამაგრე ჯოხზე. მერე თხილის ბუჩქს პატარა კაუჭიანი ტოტი შევაჭერი, თევზები ზედ ავასხი და შინისაკენ წავედით.

შემწვარი თევზით გემრიელად ვივახშმეთ.

ნავაზშევეს ირინემ ქსოვა განაგრძო.

— რა კარგი ქსოვა გცოდნია!  
ირინემ ნაქსოვი ორივე ხელით გაშალა და დაკვირვებით შეათვალიერა, თითქოს ჩემს ნათქვამს ამოწმებსო. მერე თქვა:

— დღეისთვის კმარა. წავალ, ლოგინს გავშლი.

საქსოვი გვერდზე გადადო და ლოგინის გასაშლელად წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დამიძახა და მეც ავედი.

გავიხადეთ და დავწეკით.

ირინეს მალე ჩაეძინა.  
მე კი ერთხანს კიდევ ვიტრიალე ლოგინში. თითქოს რალაცას ვფიქრობდი, მაგრამ ბურანი წამომეპარა და ფიჭის ძაფები დამიწყვიტა.

ის იყო უნდა ჩამძინებოდა, რომ მომაგონდა, რა მაკლდა წედან თვალში: მანქანა!

მანქანა აღარ იდგა სახლის წინ. გამოფხიზლება დავაპირე, მაგრამ ველარ გამოფხიზლდი. ამ მოგონებასთან ერთად ჩავიძირე ძილის მორევში.



— ასე რატომ მიყურებ?  
თვალის უპკებთან ნაოქები გასჩენოდა.

— როგორ ვიყურებ?  
— ამრეზით. გაჯავრებული ხომ არა ხარ. ჩემზე?  
— არა.

და თვალი ავარიდებ.  
გარეთ უხვად ბარდნიდა. ეზოში საბანივით იდო თოვლი. ბალში ხეები ისე იდგნენ, როგორც თეთრი ზვინები. ბაღს გადაღმა მთები და ტყეები თოვლით იყო დაფარული. თეთრი ფერის მეტი არსაით არაფერი ჩანდა.

— რამხელა თოვლი მოსულა!  
— აქ ასე იცის.  
— ვერ ვითევზავებ დღეს.  
— ხვალ ითევზავე. ნუ მიყურებ ასე. მეშინია.

ირინეს ნაღვლიანი ხმა ჰქონდა და შემეცოდა. ხელი მოვკიდე, ჩემკენ მოვიხიდე და თმაში ვაკოცე. ირინემ მორჩილი და ერთგული თვალებით შემომხედა.

— დღეს რა ვქნა?  
— დღეს სანადიროდ წადი.  
— წავალ.  
— აი, ჯემპრები. რომელიც გინდა. ის ჩაიცვი. სქელი ჯემპრებია, თბილი...  
— შენ წამოხვალ თუ დარჩები?  
— როგორც მეტყვი. გინდა წამოვალ; გინდა დავრჩები.

— წამოდი. არა. დარჩი. ეს რა ზმუილი ისმის?  
— ძროხები ზმუიან. ჭამა უნდათ. წავალ, მოვწველი და ვაჭმევ. ცეცხლსაც დავანთებ.

მე სწრაფად გადავიცივი პირველივე ჯემპრი, რომელიც ხელთ მომყვა, და აივანზე გავედი. ირინე ჯერ პალატში შევიდა და თოვლში ღრმა კვალი დატოვა. იქ ცოტა ხანს შეყოვნდა, ეტყობა, ცეცხლს დაანთო, მერე ქოთნით ხელში გამოვიდა და სადგომისაკენ გასწვია, სადაც ძროხები ებზ.

მე ქვემოთ ჩავედი. მუხლამდე თოვლი იდო.

ირინე ჩაცუცქულიყო და ორივე ხელით მარჯვედ წველიდა ძროხას. ძროხა მშვიდად იდგა, კისერი წაეგრძელებინა და იცოხნებოდა.

— ნიჩაბი არა გვაქვს?  
— აგერ, იქა დეეს, — ხელით მაჩვენა. წამით წველა შეწყვიტა და გამომხედა. — რად გინდა?  
— გზას გავკვალავ. ხომ ხედავ, რამხელა თოვლია!

ნიჩაბი ავიღე და მუშაობას შევეუდექი. ორი ბილიკი გავიყვანე პალატისკენ: ერთი მეორე სართულის კიბემდე, მეორე — სადგომამდე.

ირინემ ორივე ძროხა მოწველა, ჩალა დაუყარა და პალატისკენ რომ წავიდა რძით სავსე ქოთნით ხელში, კმაყოფილმა შემომცინა.

— რა კარგად გავიკვალავს.  
პალატში უკვე თბილოდა.

კატებმა თითო ნაბიჯით დაიხიეს უკან და გამომცდელად შემათვლიერეს.

კუთხეში თევზის ძელები ეყარა. მერე ერთმა კატამ მიაუღო, მითხრა და ყურადღებით დამაცქერდა. ეტყობა, იმის დადგენა უნდოდა, ხელის გადასმა უფრო იყო მოსალოდნელი ჩემგან, თუ წიხლის ამოკვრა. რაკი მტრობა ვერ შემამჩნია, ფრთხილად წამოვიდა. შუა გზაზე შეჩერდა და კიდევ ერთხელ შემომკნავლა, ამჯერად უფრო იმედიანი ხმით.

— მოდი, ფისო! — ვუთხარი მე და ხელი გავუწოდე.

ამ სიტყვებმა საბოლოოდ გაუფანტა ეკვები და თამამად მომიახლოვდა. მე თავზე ხელი გადავუსვი. მან თავი ხელზე მომაპირა და დაიკრუტუნა. მერე ფეხზე გამეხახუნა და დაიწყო ჩემს ირგვლივ სიარული. ხან ერთ ფეხზე გამომედგობოდა, ხან — მეორეზე; ხან ლაჯებში გამოძვრებოდა. ერთი სიტყვით, ყოველნაირად ცდილობდა თავის კეთილგანწყობილებაში დავერწმუნებინე.

ჯამალ ძარჩხაძე  
მღვმელი

დანარჩენი ორი თავთავიანთ ადგი-  
ლებზე ისხდნენ და შურით გვიყურებ-  
დნენ.

— მაღლობას გიხდის თევზისათ-  
ვის. — განმიმარტა ირინემ.

კატებს ხის ჯამით დაუდგა რძე, მე—  
თიხის ჯამით. თვითონაც თიხის ჯამით  
დაიდგა.

ნასაუზმევს წასასვლელად მოვემზა-  
დებ.

ირინემ თოფი, ვაზნებით სავსე პატ-  
რონტაში და თხილამურები გამომი-  
ტანა.

თოფი გაცისჩე. პატრონტაში წელ-  
ზე შემოვიკარი. თხილამურები ავიღე.  
— მოიცა, გავპოხო! — მითხრა  
ირინემ.

ბუხრის თაროდან ქონი ჩამოიღო  
და თხილამურებს ძირებზე წაუსვა.

ეზოში გამოვედი. თხილამურები  
ამოვიკარი და გზას გავუდღექი.

ეზო რომ გადავკვერი და ბაღს მივალ-  
წიე, უკან მივიხედე. ირინე კარის  
ზღურბლზე იდგა და მიყურებდა.

ლიმილით დავუქნიე ხელი და წა-  
ვედი.

ჯერ სულ პირდაპირ ვიარე. ბაღს რომ  
გავცდი და ტყეს მივატანე, შევეჩერდი.  
ახლა დიდი წრის კიდეზე ვიდექი.

იქნება ეს ტყე და მთებიც წრედ ერ-  
ტყმის-მეთქი ამ ბაღს, გვივლე გუნე-  
ბაში, წრის ფორმა, უბრალოდ, არ  
ჩანს, იმიტომ რომ ძალიან განიერია და  
ჰორიზონტს სცდება.

გზა რომ უნდა განმეგრძო, ახირე-  
ბული სურვილი დამებადა, ტყის პირს  
გავყოლოდი და ხეხილის ბაღისთვის  
ირგვლივ მომეგლო. ახირება უაზრო და  
ბავშვური იყო, მაგრამ რაკი არც სხვა  
რომელიმე მიმართულებას ჰქონდა  
რაიმე მკაფიო აზრი, ავეყვი ამ ჩემს  
სურვილს და დეადექი წრეხაზს, ზუს-  
ტად ტყისა და ბაღის გამყოფ ზოლს.  
ჩემი ვარაუდით, სადილობამდე უნდა  
დამემთავრებინა გარშემოვლა და იმა-  
ვე გზით დავბრუნებულყავი შინ.

ირგვლივ ისე იყო ჩამოთეთრებული  
ყველაფერი, ხეებს ვერც კი ვცნობდი.

ტყეში დროდადრო რაღაც გავისო-  
ვინებდა. ეტყობა, ნადირი მათობა  
ბლომად იყო აქ.

კარგა გზა რომ გავიარე, კურდღელი  
შევნიშნე. ხის ძირას დაყუნტულიყო  
და მომჩერებოდა.

კურდღელზე უფრო მახინჯი ცხოვე-  
ლი ჩემს დღეში არ მინახავს.

ადამიანი კი მინახავს. ზოგიერთი  
ბავშვია, დაბადებიდანვე ჩამოყალიბე-  
ბული, დასრულებული ნაკვთები დაყ-  
ვება. შეხედავ და მიხვდები. ასი წელი  
რომ იცოცხლოს, ასეთი იქნება, ოდ-  
ნავაც არ შეიცვლება. კურდღლის და-  
ნახვაზე ყოველთვის ასეთი ბავშვი მა-  
გონდება.

საკმაოდ ახლო მივედი, მაგრამ ყუ-  
რიც არ შეიბერტყა.

ალბათ, არ იცნობს-მეთქი ადამიანს,  
ვიფიქრე.

თოფი გადმოვიღე და დავუმიზნე. ის  
კი, ვითომც აქ არაფერიაო, იჯდა და  
მიყურებდა.

თოფი ისე დავუმიზნე, შესაშინებ-  
ლად, მოკვლა არც მიფიქრია. ქათამი  
არ დამიკლავს ჩემს დღეში. საერთოდ,  
არავითარ ნადირობას არ ვპირებდი.  
თოფი მხოლოდ იმიტომ წამოვიღე თან,  
ვაითუ თავის დაცვა დამჭირდეს-მეთქი  
რაკი ვერ შევაშინე, თოფი ისევე მხარ-  
ზე გადავიკიდე. მეც ვუყურებდი, ისიც  
მიყურებდა. წადი, სულ ერთია, შენს  
ცოდვას არ დავიდებ-მეთქი, ვეუბნე-  
ბოდი ჩემს გულში.

ბოლოს, როგორც იქნა, მობეზრდა  
ჩემი ყურება, ზურგი შემაქცია და  
სკუპ-სკუპით გაიქცა. მაგრამ შორს არ  
წასულა. ახლა სხვა ხის ძირში დაყუნ-  
ცდა. იმავე წამს მის თავზე ხის ტოტი  
შეირხა და, სანამ მოვისაზრებდი რა  
მოხდა, ფოცხვერი თავის ნადავლიანად  
ტყის სიღრმეში გაუჩინარდა.

თოვლი ჯერ კიდევ ცვიოდა ტოტი-  
დან.

მკვლელობის ადგილას მივედი. იქ  
ფოცხვერის კვალი და კურდღლის სის-  
ხლი იყო დარჩენილი. კურდღელი სრუ-  
ლებით არ შემცოდებია. წერას ჰყავ-



და ატანილი, თორემ რას მიკეთებდა აქ. ცნობისმოყვარე დედაკაცივით რომ წამოსკუბებულყო ამ სიცივეში!

მე ხომ არ გამისვრია ხელი და ჯანდაბას მაგის თავი-მეთქი, გავიფიქრე და ჩემი გზით წაველი.

კაცმა რომ თქვას, მე რომც მომეკლა, მაინც ვერაფერში გამოვიყენებდი: მეზინღება კურდღლის ხორცი; ფოცხვერს კი დღეს გემრიელი სადილი ექნება.

ერთხანს ტყეში ჩამიჩუმი არ ისმოდა. მეც წყნარად მივსრიალებდი და კურდღლის ფათერაკი სულ გადამაკვიწყდა.

მოულოდნელად წინიდან, კარგა მოშორებით, ხმაური შემომესმა. დათოვლილი ბუჩქის უკან, ეტყობა, რაღაც ხდებოდა. ხმაური ერთი და იმავე ადგილიდან ისმოდა და მხოლოდ მაშინ შეწყდა, როცა სულ ახლო მივედი. იმავე წამს თვალი მოვკარი მეგლს, რომელსაც პირში კურდღელი ეჭირა და ძუნძულით შორდებოდა იქაურობას. ბუჩქის უკან კი, თოვლში, გასისხლიანებული ფოცხვერი ეგდო. თხილამურის საბარჯენი ამოვდე და გადავატრიალე. მკვდარი იყო. „საწყალო! რა გემრიელი სადილის მოლოდინი ჰქონდა და როგორ გაუტრუვედა იმედი. არაფერია, ჩემო მეგობარო, ნუ ინაღვლებ; სამაგიეროდ დღეის ამას იქით აღარასოდეს შეგაწუხებს შიმშილი!“ ამ დროს ზემოდან ყვავების ყრანტალი მოისმა. ავიხედე. სამი ყვავი დაგვტრიალებდა თავს და მოუთმენლად ელოდა ჩემს წასვლას. გამეცინა და გავიფიქრე: „ჰამა ვინდოდა და თვითონ კი იქეცი საკმელად. რას იზამ! ბედისწერას ვერავინ გაეჭკევა!“ სწრაფად გავეცავე იქაურობას და ასპარეზი ყვავებს დავუთმე.

ცოტა გზა რომ გავიარე, უკან მივიხედე. ყვავები ცოტა დაბლა დაშვებულ იყვნენ, მაგრამ სადილად დასხდომას ვერ ბედავდნენ. ჭერჭერობით სისხარბეს შიში ძლევდა და ფრთხილად ზვერავედნენ იქაურობას.

„რა იციოთ, რა მოგელით! იქნებ მეზობელი ბუჩქის ძირას მეღაა ჩასაფრებული და თავის რიგს ელის!“

სადილობის უამს, როგორც ვვარადობდი, შინ დავბრუნდი. მაგრამ, შინ დაბრუნების გარდა, იმასაც ვვარადობდი, რომ ბალის ირგვლივ სრულ წრეს შემოვივლიდი და, საიდანაც დავიწყე მოგზაურობა, ისევ იქ მივივლიდი. ეს ვარაუდი აშკარად გამიცურდა. გვარიანად რომ დავდივალე, გვარიანად რომ მომშვივდა და ვვარიანი დრო რომ გავიდა, არავითარი წარმოდგენა არა მქონდა იმის შესახებ, თუ რა ადგილას ვიმყოფებოდი ჩემი მოგზაურობის წრეზე. ერთი კი ცხადი იყო: წრე ჯერ არ შემეკრა. გადავწყვიტე, ეს საქმე სხვა დროისთვის გადამედო და ახლა, რაკი გვიანი იყო, შინ დავბრუნებულ იყავი. ბალი წრეხაზის პერპენდიკულარულად გადავჭერი და მალე სახლს მივაღდექი იმ ადგილას, სადაც მარნის კარი იყო; ხოლო რაკი აქეთობისას გზა პალატის კართან დავიწყე, გამოვიდა, რომ დაახლოებით წრის მესამედი გამეგლო. მაშასადამე დილიდან სადილობამდე მთელ წრეს ვერასგზიით ვერ შევკრავდი. თუ ბალის შემოვლა მართლა აუცილებელი იყო, რაშიც უცებ ეჭვი შემეპარა, სერიოზული და კარგად მომზადებული ლაშქრობა უნდა მომეწყო.

ბალს რომ გამოვცდი და ეზოში შემოვედი, ძალი შემომეგება. კუდის ქიციინითა და თამაშ-თამაშით გამოიქცა ჩემკენ, მკერდზე ამეტორღიალა და მხიარულ წკმუტუნს მოჰყვა. მე ხელი მოვუთათუნე და წამით გამიკვირდა, რატომ მურაც თან არ წავიყვანე-მეთქი. მერე ის გამოიკვირდა, ჩემს გულში რომ ამ სახელით მოვიხსენიე, რადგან ირინემ, რომელიც პალატის ზღურბლზე გამოჩნდა, გიშერა დუძახა და, საერთოდაც, ცხადია, გიშერა ერქვა.

— დილაღე? — მკითხა ირინემ.

ჯიშალ მარჩხაძე  
მღმურნი





მე პასუხი არ გამიცია; ვიფიქრე, სულაც არაა საჭირო, ქალის ყოველ ქაღალტულ კითხვას უპასუხო-მეთქი. უხმოდ მოვისხენი თოფი და პატრონტაში და მივაწოდე. მერე თხილამურები მოვიძიე და პალატში შევედი. გიშერა კართან დაწვა.

ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა და ირგვლივ სითბოს საამო სუნი იდგა.

პატარა კუნძუზე ჩამოვჯექი ბუხარის პირას და შემცივნი ხელები ცეცხლს მივუშვირე.

გამბედავი კატა, დილით რომ თავისი სიმამაცის წყალობით ჩემი მეგობრობა მოიპოვა, თამამად მომიახლოვდა და წვივზე გამეხახუნა.

ირინე შემოვიდა.

— ფეხები დაგსველებია, — მითხრა და გვერდით ჩამიცუტკდა.

მე უხმოდ მივუშვირე ფეხები.

ირინემ ფეხსაცმელები და წინდები გამახადა:

— სულ მთლად სველია! — თქვა და თავი გადაიქნია. — ხომ არ დაიბან?

მე უხმოდ მივუთითე შემის ნაპობებზე.

ირინემ ერთი ნაპობი აიღო და წინ დამიდო. მე ქუსლები ზედ შემოვაწყე და ფეხები ცეცხლს მივუფიცხე.

ირინემ სუფთა წინდები და საშინაო ფლოსტები გამოიტანა და გვერდით დამიწყო.

მე დამცხა და ჯემპრი გავიხადე.

ირინემ ჯემპრი ჩამომართვა. მერე სუფრის გაშლას შეუდგა.

მე ფეხები გავითბე და წინდას დავწვიდი.

— ჩაგაცემე! — ირინე წამსვე ჩემთან გაჩნდა.

მე თავი გავიქნიე უარის ნიშნად და ოდნავ გავუღიმე.

ირინემ დაირცხვინა. ლოყებზე სიწითლემ გადაურბინა.

სანამ მე ვიცმევდი, ასე მორცხვად იდგა. ხანდახან ჩუმად გამომხედავდა და მაშინვე მომარიდებდა თვალს. ჩაცმა რომ მოვათავე, ვარცლი და დოქით

წყალი მოარბენინა და ხელები დამიბუნინა.

მე სუფრას მივუჯექი.

— ღმერთი შეგვეწიოს — ვთქვი, პირჯვარი გადავიწერე და პური გავტეხე.

ირინეც დაჯდა. ჭამა რომ დავიწყე, ღვინო დამისხა.

ერთხანს უხმოდ ვჭამდით. მერე თავაუღლებლივ ვკითხე:

— გიშერას აჰამე?

გიშერამ თავისი სახელის გაგონებაზე პალატში შემოიხედა და კუდი გააქიციანა.

— კი, ვაჰამე.

— ბევრი არ აჰამო. გაზარამაცდებან.

— ძვლები დავუყარე.

მე კმაყოფილებით დავუქნიე თავი და ჭამა განვაგრძე.

ირინეც ჭამდა და თან ცალი თვალი ჩემკენ ეჭირა.

ღვინო გადავკარი და ვუთხარი:

— დალიე შენც ერთი ჭიქა.

ირინე აღგა, განჯინიდან ჭიქა გამოიღო. ნახევრამდე დაისხა, დალია და მორიდებით გამომხედა.

ნასადილევს ისევ ბუხარს მივუჯექი და ჩიბუხი დავტენე.

ვიჯექი უხმოდ, ვაბოლებდი და ცხელ ლადარში ვაპურტყებდი.

ირინემ სუფრა ააღაგა, კატები დააპურა, იქაურობა დაასუფთავა, მერე საქსოვი აიღო და ისიც ბუხარის პირას ჩამოჯდა.

ვისხედით ასე.

ირინე ქსოვდა. მე ჩიბუხს ვაბოლებდი. გარეთ ბინდი იწვა.

— ხვალ წახვალ სათევზაოდ?

მე უხმოდ გავიქნიე თავი. ისე რომ ცეცხლისთვის თვალი არ მომიშორებია.

— საგზალი გამიშადე. გამთენიის ხანს სხვაგანა ვარ წასასვლელი.

ირინემ შემომხედა. ეგონა, ვერ გამჩნევდი თუ მიყურებდა. ამიტომ უფრო მეტხანს გაბედა ცქერა, ვიდრე სხვა დროს გაუბედა.



— კარგი, — მითხრა.

ამის მერე სულ წრიალებდა. ქსოვას გულს ვერ უღებდა. რამდენჯერმე თვალი ჩაუვარდა. დროდადრო ქურდულად გამომხედავდა. უნდოდა გაეგო, სად მივდიოდი ხვალ, მაგრამ კითხვას ვერ ბედავდა.

და მხოლოდ ნავახშმეკს, ფეხებს რომ მზანდა, როგორც იქნა, ძლია თავს და სწრაფად, სულმოუთქმელად მკითხა:

— შორს მიდიხარ?

— თან, საკუთარი გაბედულებით გამოწვეული შიში რომ დაეფარა, ხელე-ბი უფრო გულმოდგინედ აამუშავა და წყალი ააქყაუნა.

— გვიან დავბრუნდები.

— კარგი.

ღილით ირინემ დამასწრო ადგომა. თვალი რომ გავახილე, ხელი მოვაფათურე, მაგრამ ლოგინში არ დამხვდა.

ალიონი ძალას იკრებდა და ნელ-ნელა ფანტავდა სიბნელეს.

სწრაფად წამოვდექი, ტანთ ჩავეცივი და აივანზე გამოვედი.

ბინდბუნდში ბალი ისე მოჩანდა, როგორც ჭრელი ხალიჩა. ნაირ-ნაირი ფერები ერთმანეთში ირეოდა. ეზო მწვანე ბალახს დაეფარა.

ირინე პალატში ფუსფუსებდა. საგზალი ბოლჩაში გამოეკრა. რძე აედუღებინა.

— გიშერას წაიყვან? — მკითხა, პალატში რომ შევედი.

— არა.

— რძე დალიე.

— ჰო.

ცხელი რძე მესიამოვნა და მეორე ჭიკაც დაველიე.

— წავედი.

ჯოხი ავიღე, ბოხჩას კვანძქვეშ გავუყარე; მხარზე გავიდე და გზას გავუდექი.

თოფი არ წამილია. ჯაყვა მედო მართო ჯიბეში.

ირინე ეზოში გამომყვა და მერე ისევ უკან შებრუნდა. გიშერამ ბალის კიდემდე მიმაცილა. იმის იქითაც უნდოდა წამოსვლა, მაგრამ მე არ ვქენი.

ინათლა.

და რაც უფრო ნათდებოდა არემარე, მით უფრო საოცარ ფერებს გამოსცემდა ხეხილის ბალი. თითქოს თავზე ულამაზესი ყვავილების კვირგვინი მეხურა. ფერები უცნაური ვილღოვით გადადიოდა ერთმანეთში. ტყემლის ქათქათა, თოვლზე უფრო თეთრი და ხალისიანი ყვავილები, იისფრად და არც მთლად იისფრად გადაპენტილი ატამი: ალუბალი, ნუში, ალუჩა, ქლიავი... ყველას თავისი საკუთარი ფერი ჰქონდა და ყველა თავის განსაკუთრებულ იერს ანიჭებდა ყვავილწუნლის გვირგვინს. ფერთა ამ საოცარ ზღვას ქვემოდან ნამით დაცვარული ბალახის, ხოლო ზემოდან ლურჯი ცის ანარეკლი ერთვოდა და სულ მთლად ზღაპრულ იერს ანიჭებდა. თითქოს სამყაროს ნივთიერი სახე დაეკარგა, წმინდა ფერებად ქცეულიყო და ეს ერთიანი სამყარო-ფერები ჩემს ირგვლივ ლივლივებდა და ღელავდა. ზღაპრულ ელვარებას უერთდებოდა ასევე ზღაპრული მუსიკა, რომელსაც ფუტკრები უკრავდნენ. ფუტკრები ბზუილით დაფრინავდნენ ერთი ყვავილიდან მეორეზე. აფრინდებოდა ფუტკარი, ბზუილით გადაკვეთდა მოლივლივე ფერებს და მეორე ყვავილზე დაჯდებოდა. აქ მცირე ხანს გაყუჩებული იჯდა, მერე ისევ აფრინდებოდა და ახლა სხვა ყვავილისკენ გასწევდა ბზუილით. როცა ფუტკრების ერთი წყება ყვავილზე იჯდა, მეორე წყება ჰაერში იყო. ამიტომ მუსიკა არასოდეს წყდებოდა.

მე მივაბიჯებდი და ფერებისა და მუსიკის ეს უცნაური ტალღა უცხო განწყობილებად შემოდინოდა ჩემს სხეულში. თითქოს ვიღაც უხილავი გულის კოვზზე მიდიტივებდა. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, იქნებ გულაღმა გავწვეე ცვრიან ბალახში და ვუყურო როგორ ერევა ცის ფერი ყვავილების ფერს-მეთქი. მაგრამ ასე არ მოვ-

ჯემალ მარჩხაძე  
მემატიანი

ქვეულვარ, რადგან ამის გაფიქრების-  
თანავე ისიც გავიფიქრე, მოწოდულ  
კაცს ამგვარი საქციელი არ შეეფერე-  
ბა-მეთქი. სამაგიეროდ ფეხზე გავიხადე  
და, სანამ ტყის პირს არ მივადღწიე, ასე  
ფეხშიშველამ ვიარე. თუმცა კარგად  
არც ის ვიცი, მომწონდა თუ არა, ნამი  
რომ ფეხს მისველებდა.

ბალი გადავიარე და ტყეში შევედი.  
ახლა ყოველ ხეს თავისი ფერი ჰქონ-  
და, თავისი ფოთოლი, თავისი ყლორ-  
ტი. კმაყოფილები იყვნენ და მხიარუ-  
ლი ღიმილით მეგებებოდნენ. მეც ყო-  
ველ მათგანს ვცნობდი და გულში ვიმე-  
ორებდი მათს სახელებს. მუხა, ცაცხ-  
ვი, რცხილა, წიფელი, თელა, ნეკერჩ-  
ხალი, წაბლი, თხმელა... ყველანი აქ  
იყვნენ. იდგნენ ზეივად წელში გა-  
მართულები და ხარბად ისუნთქავდ-  
ნენ გაზაფხულის დამატრობელ სურ-  
ნელს.

წამით შევჩერდი ტყისპირას, მიმო-  
ვიხედე, ფეხთ ჩაიცივი და დავადექი  
გზას დიდ წრეხაზზე.

მალე ჰაერი გათბა. ბალახი გაშრა.

და მიწას მისი ნამდვილი მფლობე-  
ლები და ბატონ-პატრონები მოედე-  
ნენ: ჭიანჭველები, ნაირ-ნაირი ხოჭო-  
ები და ათასი სხვა პატარა არსება, რო-  
მელთა სახელები არ ვიცი. დაფუსფუ-  
სებდნენ, თამაშობდნენ, ცეკვავდნენ  
და ხარობდნენ.

ჭიამაია ავიყვანე და ხელისგულზე  
დავისვი. არც გაუგია, თუ სხვა სამყა-  
როში მოხვდა. როგორც იქ დაცოცავ-  
და, სამყურა ბალახის ფოთოლზე, ისე  
განაგრძო აქაც ცოცვა. რას ეძებდა, არ  
ვიცი. ერთი ორჯერ ფრთები გაშალა და  
გაფრენა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.  
გადაწყვიტა კარგად მოეთვალეობინა  
და შეესწავლა აქაურობა. ბოლოს, რო-  
ცა ხელისგული სულ შემოიარა და შუა  
თითის ბოლოში გავიდა, ეტყობა იფიქ-  
რა, უკვე სამყაროს კიდეში ვარო, და  
გაფრინდა.

მე კი გზა განვაგრძე.

მარჯვნივ მწვანე ტყე იყო, მარცხ-  
ნივ — ფერებით სავსე ბალი.

სანამ არ მომშივდა, არ გავჩერე  
ბულვარ. როცა მომშივდა, ნეკერჩხლის  
ძირას ჩამოვჯექი, ბოხჩა გავხსენი და  
ვისაიღიე. რაც მომჩხა, ისევ ბოხჩაში  
გავხსვი. ნამცეცები ჭიანჭველებს და-  
ვუყარე და იმათაც ძალიან გავხარდათ.  
იფიქრეს, ნამდვილად იმ აღთქმულ  
ქვეყანას მივადექით, სადაც უფალმა  
ღმერთმა თავისი მოწყალე კალთა დაი-  
ბერტყაო. ნამცეცებს შეეხივნენ, თან  
ოთხსავე მხარეს მალემსრბოლები დაგ-  
ზანეს, რათა თანამომძიებებისთვის ეც-  
ნობებინათ, აქეთ წამოდით, ბოლოსდა-  
ბოლოს ვიპოვეთ ის, რასაც ჩვენი მამა-  
პაპა და მთელი ჩვენი წინაპრები ამოდ  
ეძებდნენო.

მე საჭიროდ არ ჩავთვალე, ჭიანჭ-  
ველებისთვის ამეხსნა, რომ მთლად  
ისე არ იყო საქმე, როგორც ისინი  
ფიქრობდნენ. ჯოხი ისევ გავუყარე  
ბოხჩას, მხარზე გავიდე და წავიდე.

რბილ ბალახში სიარული თითქოს  
რალაც მივიწყებულ სიამოვნებას მაგო-  
ნებდა და დალლას არ ვგრძნობდი. მივ-  
დიოდი და მივდიოდი. წარმოდგენა არ  
მქონდა, რა მანძილი გამოვიარე და რა  
მანძილი დამჩხა გასავლელი. მაგრამ ეს  
არც მადარდებდა. ბოლოს და ბოლოს  
იმ ადგილს მივადღწევი, საიდანაც წა-  
მოვედი, და ყველაფერი ცხადი შეიქ-  
ნებოდა.

ბევრი ვიარე, თუ ცოტა, ხელახლა  
მომშივდა. ალბათ, სამხრობის დროა-  
მეთქი, ვიფიქრე. დავჯექი, ბოხჩა გავხ-  
სენი და დარჩენილ საქმელს ბოლო  
მოვუღე. მერე ცარიელი ბოხჩა ჯიბეში  
ჩავიკმულქნე, ჯოხი გარდიგარდმო გავი-  
დე ბუკებზე, ზედ ხელები ჩამოვასვენე  
და გზა განვაგრძე.

მერე დაღამდა და სიბნელეში მივა-  
ბიჯებდი.

იმის შიში არ მქონდა, რომ გზა და-  
მეგბნებოდა. მართალია სიბნელემ ფე-  
რები თითქმის წაშალა, მაგრამ ტყე და  
ბალი მაინც მკაფიოდ გაირჩეოდა ერთ-  
მანეთისაგან.

ბოლოს იმ ადგილს მივადექი, საი-  
დანაც მოგზაურობა დავიწყე.

დავჯექი. დავისვენე. ჩიბუხი გავაბო-  
ლე.

არ გამიგია, როდის ამოვიდა ვარსკ-  
ვლავები.

ვიჯექი, ვაბოლებდი და არაფერზე არ  
ვფიქრობდი.

არაფერზე არ ვფიქრობდი მანამ, სა-  
ნამ მოულოდნელმა ფრაზამ არ გამი-  
ელვა თავში: „ამ მთაზე უნდა ავიდე“.

ზურგსუჯან რომ ციცაბო მთა იდგა,  
იმას ვგულისხმობდი.

ჩიბუხი ჩამქრალიყო და გაციებუ-  
ლიყო.

რა მინდა-მეთქი ამ მთაზე, გაკვირვე-  
ბით გავიფიქრე და გამახსენდა, რომ  
ერთხელ, დიდი ხნის წინ, სახლის სა-  
ხურავზე ავედი. სანამ ავდიოდი, ვიცო-  
დი, რისთვის ავდიოდი. რომ ავედი, და-  
მავიწყდა.

და უცებ რაღაც მტკივნეულმა მო-  
გონებამ გამკრა გულში.

ელვის უსწრაფესად დაკვესა, რო-  
მელიდაც ნერვი შეარხია და გაქრა  
ისე, რომ თვალის მიტანება ვერ მოვას-  
წარი.

სამაგიეროდ, სანამ ნერვი ირხეოდა  
და ზრიალებდა, მე უცნაურმა და გაუ-  
გებარმა შეძრწუნებამ მომიცვა.

მერე ნერვი ნელ-ნელა მიყუჩდა და  
ბოლოს, როგორც იქნა, გაჩერდა.

წამოვდექი.

ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს  
რაღაც უნდა მომგონებოდა და თან  
ისიც ვიცოდი, რომ არ მომავგონდე-  
ბოდა.

„უნდა ავიდე ამ მთაზე“. — კიდევ  
ერთხელ გავიფიქრე და სახლის გზას  
დავადექი.

წელანდელ შეძრწუნებას უკვალოდ  
არ ჩაუვლია. გაბრუებული და გამო-  
თმული ვიყავი.

გუნებაც გამიფუტდა.

ბალი რომ გადავიარე და ეზოში შე-  
ვედი, გიშერა წამოვარდა და ყვფით  
გამოექანა ჩემკენ. ის იყო, თავში გა-  
მიელვა, მგონი ვერ მიცნო-მეთქი, და  
ინსტინქტურად ჯოხი მოვიმარჯვე, რომ

ყეფა შეწყვიტა და მხიარულ წკმუტუნს  
მოჰყვა.

პალატის ზღურბლზე ირინეს სილუ-  
ეტი გამოჩნდა.

„ამ ეზოში, სახლის წინ, ოდესღაც  
თითქოს რაღაც იყო ისეთი, რაც უც-  
ნაურ და ფანტასტიკურ მოგონებებს  
იწვევდა“, — გავიფიქრე და გამიკვირ-  
და, რომ გიშერა ჩვეულებისამებრ არ  
ამეტორღილა; რაღაც უცნაურად და  
საეჭვოდ წრიალებდა ჩემს ირგვლივ.

— რა იყო, გიშერა?! — ცოტა არ  
იყოს, გული მომივიდა და სვეუტით.  
მაშინ კი ამეტორღილა, კუდი ააქი-  
ცინა და ლოკვა დამიწყო.

— ცოტა შემეშინდა, რომ დაიგვი-  
ნე. — წყნარად თქვა ირინემ.

ირინეს უხმოდ შევხედე და უცებ  
ისეთი რამ გავიფიქრე, რასაც მის ნათ-  
ქვამთან არავითარი კავშირი არ ჰქონ-  
და და რაც, საცა წესია, ადრევე უნ-  
და მეფიქრა: „რისთვის გავიარე ამხელა  
გზა? რა საჭირო იყო? საიდანაც წა-  
ვედი, ისევ იქ მოვედი. მერე რა?“ და  
ისევ უკავშიროდ და უმიზეზოდ ახლა  
სხვა ფიქრმა გამიელვა: „თუკი, საერ-  
თოდ, არის სადმე წყავი, ტყეში იქნება  
და არა ბაღში“.

მეორე დღეს ირინესთან და გიშე-  
რასთან ერთად სათევზაოდ წავედი.

დილით, სანამ ჩავიცმევდი და ეზოში  
გამოვიდოდი, მოსვენებას არ მაძლევ-  
და ერთი უცნაური აზრი: სულ მეგონა,  
თითქოს რაღაც განზრახვა მქონდა და  
ვერ ვიხსენებდი. ამ აკვიატებულ აზრს  
მაშინდა დავაღწიე თავი, როცა ეზოში  
გამოვედი, ნაყოფით დახუნძლული ხე-  
ხილის ბაღი დავინახე და რბილ ბა-  
ლანში გავიარ-გამოვიარე.

ხოლო ირინემ რომ ახალი, გულის-  
პირთან ღრმად ამოკრილი ხალათი,  
რომელიც მის ტანზე აქამდე არასოდეს  
მენახა, ბეჭებთან სწრაფი მოძრაობით  
აიწია, რათა მოშიშვლებული მკერდი  
დაეფარა, და ამ ღროს სახეზე სიწით-

ჯემალ ქარჩხაძე  
მდგმური



ლემ გადაუარა, საბოლოოდ გამოფხიზ-  
ლდი და არა მარტო გამოფხიზლდი,  
არამედ უცებ ისეთ გუნებაზე დაედ-  
ქი, მოწიფული კაცი რომ ენერჯის  
მოზღვავენას იგრძნობს და ბავშვივით  
მოუნდება ცელქობა და თამაში...

მერე ანკესი ავიღე და ტბაზე წავე-  
დი.

გიშერა თავისთვის ერთობოდა. ხან  
გავარდებოდა, თვალს მიეფარებოდა  
და ცოტა ხნის შემდეგ ხტუნვა-ხტუნ-  
ვით შემოგვეგებებოდა, ხან დიდ მან-  
ძილზე ჩამოგვრჩებოდა, რომ საშუა-  
ლება ჰქონოდა სირბილით დაგვედევნე-  
ბოდა.

ირინე გზაშიც დროდადრო გაისწო-  
რებდა ხოლმე თავის ახალ ხალას.

რამდენჯერმე მორიდებით გამოაპარა  
თვალი ჩემკენ. აშკარად შეფიქრებულ-  
ბული იყო, ვაითუ გავწყრომოდი ესო-  
დენ თამაში ჩაკმულობის გამო.

მაგრამ მე ჩინებულ გუნებაზე ვიყავი  
და გაწყრომის ნაცვლად მხარზე ხელი  
მოვხვეცი.

— ძალიან გიხდება ეგ ხალათი.

ირინე გახალისდა და ხალათის წარა-  
მარა სწორება შეწყვიტა...

რიგრიგობით ვთევზაობდით, რადგან  
ერთი ანკესი გვქონდა.

რომ მოშუადღევდა, თევზაობას თა-  
ვი მივანებე, ტანთ გავიხადე და ქვე-  
და საცვლის ამარა გადავეშვი წყალში.

— თბილი წყალია? — მკითხა ირი-  
ნემ, თან ცდილობდა ჩემკენ არ ეცქი-  
რა.

— თბილია. ჩამოდი.

ირინე ნაპირს მოადგა. ჯერ კოჭე-  
ბამდე შემოვიდა წყალში. მერე კაბა  
ოდნავ აიწია, თვალი ჩემკენ გამოაპარა  
და მუხლამდე შემოვიდა.

— გაიხადე და ჩამოდი!

— უი, რას ამბობ! — გაწითლდა  
ირინე.

— აბა, ვნახოთ, თუ არ გაიხდი! —  
დავემუქრე მე და ცურვით წამოვედი  
მისკენ.

ირინემ შეჰივლა და ნაპირზე ავარდა.

მეც ავედი. გამოვეკიდე და დავეშვი-  
რე.

ჯერ ხალათი გავხადე, მერე ქვედა  
კაბა.

ქარხალივით იყო გაწითლებული,  
მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ხელი ხელში ჩავვიღე და სირბილით  
შევიყვანე წყალში.

მორცხვობამ მალე-გაუარა და გათა-  
მამდა.

ჰყუმპალაობით რომ გული ვიჭერეთ,  
ნაპირზე გამოვედით და ბალახში დაე-  
სხედით.

გიშერა ბუზებს დასდევდა და წამდა-  
უწუმი პირს აწყლავუნებდა. დაჭერით  
არც ერთი არ დაუჭერია. თუმცა დაჭე-  
რას, ალბათ, არც ცდილობდა, თამაში  
უნდოდა. ისეთი თბილი და საამო დღე  
იღვა, ყველა სულიერი თამაშის ხასი-  
ათზე უნდა ყოფილიყო.

მე ირინეს წელზე ხელი მოვხვეცი და  
ბალახში დავაწვიე.

— სირცხვილია... — მიბნედილი  
ხმით მითხრა ირინემ, თვალები მილუ-  
ლა, ხელები მომხვია და მკერდზე მაგ-  
რად მიმიკრა...

მერე მე გულადმა ვიწიქე ბალახში,  
ის თავითი მეჭდა.

უცებ შევნიშნე, რომ თვალის უბეებ-  
თან ნაოჭები გასჩენოდა და მომეჩვენ-  
და, თითქოს ეს სხვა დროსაც შემინიშ-  
ნავს.

ეტყობა, სახე შემეცვალა; იმიტომ  
რომ ირინემ შემფოთებით მკითხა:

— რა დაგემართა?

— არაფერი. — ცოტა უხეშად  
ვუთხარი და თვალი ავარიდე.

ირინე მიხვდა, რომ რაღაც მოხდა,  
და მოიწყინა. მერე უხმოდ წამოადგა და  
ტანთ ჩაიცვა.

უკან მთელი გზა უბრად გავიარეთ.  
მე იმაზე ვფიქრობდი, თუ რა ცუდი  
შესახედავია დანაოჭებულ ქუთუთო-  
ები. ირინესკენ არც ერთხელ არ გამი-  
ხედავს, ნაოჭებს კი მაინც ცხადად  
ვხედავდი. ერთი პირობა დათვლაც და-  
ვიწყე, მაგრამ მალევე მივანებე თავი,  
რადგან ვიფიქრე, რაოდენობას მნიშვნე-



ნელობა არა აქვს, მთავარი სიდრმე-  
მეთქი. ყველაზე ღრმა ნაოკები თვა-  
ლის კუთხეებში ჰქონდა. ორივე მხა-  
რეს, თითქოს ჭრილის გაგრძელებააო,  
ისე გაწოლილიყო ორი მიზრდილი ნაპ-  
რალი. ამ ორ მთავარ ნაპრალს ზემოდან  
და ქვემოდან შევიღებოთ მიწოლოდ-  
ნენ მომცრო ნაპრალები, ჩვილი ნაპ-  
რალები და ძლივს შესამჩნევი ბზარები.

შეუხედავია ქალები ისე დაბერდე-  
ბიან, ვერც შეამჩნევ. ლამაზებს კი ბედი  
არ სწყალობთ: ერთი ბაწაწიკიტელა ნა-  
ოჭი ხელად გეცემა თვალში.

ირინე თავჩალუნული მოაბიჯებდა.

ცოტა კი მეცოდებოდა, მაგრამ გუ-  
ლი არ მიმდიოდა, რომ მივფერებოდი.

მარტო გიშერა იყო კარგ ხასიათზე.  
გარბოდა, გამორბოდა, დახტოდა, პე-  
ლებსა და ბუზებს დაქერობანას ეთამა-  
შებოდა და სრულებით ვერ ამჩნევდა,  
რომ ჩვენი დაძაბული დუმილის ფონ-  
ზე მისი წრეგადასული მხიარულება  
ერთობ ვამაღიზიანებელი ჩანდა, რის-  
თვისაც, საცა იყო, ერთ კარგ წიხლს  
ვუთავაზებდი.

იმ საღამოს კატა, რომელმაც თავის  
ღროზე ჩემთან დამეგობრება განიზ-  
რახა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ  
საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ისე  
კი, უნდა ითქვას, შესაშური შეუბოფ-  
რობა და მოთმინება გამოიჩინა. მეხუ-  
თედ რომ ვკარი წიხლი, მაშინდა შე-  
ურიგდა ბედს და დამანება თავი.

ირინე ფეხაკრფით დადიოდა და აშ-  
კარად ცდილობდა, ყველა ჩემი სურვი-  
ლი წინასწარ გამოეცნო.

ბოლო ხანებში ფიქრი დამჩემდა.

დაძაბულად ვფიქრობდი. ყოველ  
შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა.  
დაძაბულად ვფიქრობდი და თავს ვიმ-  
ტვრევდი, რომ რაღაც მომეგონებინა,  
რაც დავიწყებული მქონდა. რა იყო ეს  
„რაღაც“, არ ვიცი, მაგრამ დარწმუ-  
ნებული ვიყავი, რომ მისი მოუგონებ-  
ლობა არასგზით არ შეიძლებოდა.

განსაკუთრებით ეზოში, პალატის  
წინ ამეკვიატებოდა ფიქრი. აქ უეჭვე-

ლად შევჩერდებოდი, გავიტრუნებოდი  
სუნთქვასაც კი შევიკრავდი და საკუ-  
თარ თავს ვუგდებდი ყურს. რატომღაც  
მეგონა, რომ ის, რაც უნდა მომეგო-  
ნებინა, სადაღაც აქ იყო. უფრო სწო-  
რად, აქ მეგულებოდა უცნაური და  
ფანტასტიკური ჩვენება, რომელიც  
უხილავი და გაუგებარი არხით იმ „რა-  
ღაცას“ უკავშირდებოდა. ხანდახან ეჭ-  
ვი შემეპარებოდა და ვფიქრობდი, ეს,  
ალბათ, ჩემი აკვიატებული აზრია, თით-  
ქოს აქ, ამ ადგილას, ოდესღაც რაღაც  
იყო და ახლა აღარ არის-მეთქი. მაგ-  
რამ ინსტინქტი ანგარიშს არ უწყევდა ამ  
ეჭვებს და ყოველთვის, როცა პალატი-  
დან გამოვიდოდი, ან პალატში უნდა  
შეესულიყავი, შევჩერდებოდი, გა-  
ვიტრუნებოდი, სუნთქვას შევიკრავდი  
და ყურს მივუგდებდი საკუთარ თავს.  
სხვაგანაც ვფიქრობდი, რა თქმა  
უნდა.

ყველგან ვფიქრობდი.

ყველგან და ყოველთვის.

კატები ჩემს გამოჩენაზე კუთხეში  
მიყუყუებოდნენ და ცდილობდნენ, არ  
განძრეულიყვნენ.

გიშერა გარეგნულად მშვიდი ჩანდა,  
მაგრამ, როცა ახლომახლო ვეგულებო-  
დი, ცალი თვალი ყოველი შემთხვევი-  
სათვის მუდამ ჩემკენ ეჭირა.

ირინე ფეხაკრფით დადიოდა და  
ცდილობდა, ყველა ჩემი სურვილი წი-  
ნასწარ გამოეცნო.

ვნება რომ მომეძალებოდა და მუ-  
ცელში სიმხურავლეს ვიგრძნობდი,  
ირინეს თვალებთან ნაოკები ცოტა  
ხნით ქრებოდა.

ხანდახან მომეჩვენებოდა, თითქოს  
ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი, აქვე იყო,  
ჩემს გვერდით; ხელი რომ გამეწვდი-  
ნა, დავიჭერდი. მაგრამ ხელის გაწო-  
ლებას ვერ ვებდავდი, მეშინოდა, არ  
დაფრთხეს და არ გაიქცეს-მეთქი. გავი-  
ნაბებოდი. სამყაროც გაინაბებოდა. და  
იმ წამს, როცა დავიწყების ფარდა უნ-

ჯივალ ქარჩხაძე  
მდგმური

და ახდლიყო და მეხილა რაღაც, უაღრესად საოცარი, ერთბაშად ვიგრძნობდი, რომ ვასხლტა, დაიკარგა და მის ადგილას ახლა სიცარიელე იდგა.

მაინც ჭიუტად ვფიქრობდი. ერთხელ, ნასადილევს, ჩვეულებისამებრ, სათევზაოდ წავედი. მაგრამ არ მითევზავია. ანკესი ბალახებში მივაგდე, ტბის პირას დავჯექი, თვალები დავხუჭე და თავი ფიქრებს მივეცი.

რამდენ ხანს ვიჯექი ასე, არ ვიცი. უცებ გუგუნი მომესმა.

თავიდან ეს გუგუნი გარე-გარე უვლიდა ჩემს ცნობიერებას, როგორც ბუნდოვანი და უაზრო ხმა. ხოლო როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ცნობიერებაში შემოაღწია, შიშითა და განცვიფრებით შეენიშნე, რომ ხმა ზემოდან მოდიოდა. თითქოს ცაზე რაღაცამ გრილით გადაიარა. ინსტინქტურად მოვიკუნტე, ხელები თავზე დავიფარე და გავიფიქრე, ქუხილს არ ჰგავდა-მეთქი. ამასობაში გუგუნი მიწყდა კიდევ. მაშინ თვალის გახელა გავბედე და ნელ-ნელა ავიხედე. შორს, ჰორიზონტს ზემოთ, ცაზე ვიწრო და გრძელი თეთრი ზოლი ჩანდა. მე ჩემდაუნებურად ეს ზოლი გუგუნს დავუკავშირე, თუმცა არავითარი წარმოდგენა არ მქონდა, რაკავშირი შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ორ უცნაურ მოვლენას შორის. მერე, შიში რომ როგორმე დამეძლია, ვიფიქრე, ალბათ, ღრუბელია-მეთქი. არც ასეთი ვიწრო ღრუბელი მენახა ჩემს აღდგომი, არც ასეთი გრძელი და არც ასეთი თეთრი, მაგრამ სხვა რა მეფიქრა! თუ ღმერთმა რაიმე მიზნით ჩემთან ურთიერთობის დამყარება სცადა, საეჭვო იყო, რომ ასეთი გაუგებარი საშუალება აერჩია. ყოველი შემთხვევისთვის, თვალები ისევ დავხუჭე და ყური მივუვადე, აბა გუგუნი თუ გამეორდება-მეთქი. ერთხანს ასე გატრუნული ვიყავი, მაგრამ არაფერი მომხდარა. მაშინ თვალი გავახილე და ისევ ზოლს გავხედე. ზოლი თანდათან ქვემოთ ეშვებოდა და ბოლოს მთის უკან მიიმალა. იმავე წამს, თითქოს ხმამალა მეთქ-

ვას, ისე მკაფიოდ და ცხადად გავიფიქრე: „იმ მთაზე უნდა ავიდე“.

თოფნაკრავივით წამოვვარდი ზეზე. აი, თურმე რისთვის ვიმტვრევდი თავს ამდენი ხანი!

იმ მთაზე უნდა ავიდე! აღარც კი მახსოვდა, როდის იყო, იმ მთაზე ასვლა რომ გადაწყვიტე-მერე დავეპევი.

მართლა ეს უნდა მომეგონებინა? ახლა ამაზე ვიმტვრეე თავი. ბოლოს დავასკვენი, ალბათ, მართლა ეს უნდა მომეგონებინა-მეთქი. ასეა ყოველთვის: რამე რომ დავავიწყდება, სანამ გაიხსენებდე, გგონია, თითქოს საოცრად მნიშვნელოვანი რაღაცაა და იმაზეა დამოკიდებული მთელი შენი სიცოცხლე. ხოლო როცა გაიხსენებ, აღმოჩნდება, რომ სულ უბრალო რამე ყოფილა.

ანკესი ავიღე და შინსაკენ წავედი. მთელი გზა იმის შიშში ვიყავი, ისევ არ დამავიწყდეს-მეთქი. მაგრამ არ დამვიწყებია. პირიქით. სხვა რაღაცეებიც გამახსენდა. მაგალითად, სახლის სახურავი, სადაც ერთხელ ავედი; წყავი, რომელიც ტყეში უნდა ყოფილიყო და არა ბაღში.

გიშერა პალატის წინ იწვა. მე რომ დამინახა, თავი ოდნავ ასწია, რაღაც ღრძობდ შენმოდირინა და ბასრი კბილები ვადმოყარა. მე გული მომივიღა და ანკესის ჯოხი მოვუქნიე. მაშინ ზანტად წამოვდგა, სახლის მეორე მხარეს გადაინაცვლა და მარნის წინ დაწვა. მე ავი მზერა გავაყოლე და პალატში შევედი.

დაწოლის წინ ირინემ ფეხსაბანი წყალი გამიციხელა, ვარცლში ჩამისხა, თვითონ ვარცლის წინ ჩაუტედა და ხელები დაიკაპიწა.

— მე თვითონ დავიბან. — ვუთხარი მე.

ირინემ გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს. მორჩილად წამოვდგა და გვერდზე გადაგა.

რეყრავი იყო, რომ გამეღვიძა. ფიქრმა გამომალღვიძა.

„იმ მთაზე უნდა ავიდე“, — გავიფიქ-

რე და ძილი ერთბაშად შეცვალა სიფხიზლემ.

ირინეს მშვიდად ეძინა.  
ფრთხილად წამოვდევქი.  
ციოდა.

ტანთ ჩაიცივი და ირინეს გავხედე. ოთახში ბინდი იდგა და ამიტომ თვალის უპეებთან ნაოჭები ვერ გავარჩივ. ბალიშზე თმა ეფინა და თავი თმაზე ედო. სწორი სახე ჰქონდა, მკვრივი და საესე. მთელი სხეული ასე მკვრივი და საესე ჰქონდა.

გულში თითქოს რაღაც ჩამწყდა. მწვავე ტკივილი ვიგრძენი.  
წასასვლელად მზად ვიყავი. ირინეს ვუყურებდი და მეცოდებოდა.

შეიძლება აღრე მიყვარდა. მაგრამ ახლა მეცოდებოდა და, რაკი მეცოდებოდა, მასასადამე არ მიყვარდა. შეუძლებელია, კაცი გიყვარდეს და თან გეცოდებოდეს. იმიტომ რომ, სიყვარული, ალბათ, მუხლმოყრილი ლოცვაა, სიბრალული კი საკუთარი უპირატესობის შეგნება. ხოლო თუ ვინმეზე მუხლმოყრილი ლოცულობ, იქ უპირატესობის გრძნობა გამორიცხულია.

ერთი პირობა დავაპირე, ვაკოცებ გამომშვიდობების ნიშნად და ისე წავალ-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე; ვაითუ, გაღვიძებოდა.

კარი რომ გამოვადე, ერთხელ კიდევ მიეტრიალდი და შევხედე.

მშვიდად ეძინა. არც ცუდ სიზმარს ხედავდა, არც ავი წინათგრძნობა ჰქონდა.

გავედი და კარი ფრთხილად გავიხურე.

გარეთ სუსხი იყო და ქარი ქროდა. გავედი თუ არა, ცივი ჰაერი დამეტაკა, სახელოებში შემიძვრა, მთელ ტანში დამიარა და ნამძინარევი სხეული ერთბაშად გამოაფხიზლა. გამოაფხიზლებული სხეული გაკვირვებით შედგაკიბის ზედა საფეხურზე. გული რომ ამჩიუდა წელან და სიბრალულით ამევსო, ეს სასაცილო იყო და არა საკვირველი. საკვირველი კი ის იყო, რომ კოცნა დაუპირე „გამომშვიდობების

ნიშნად“. მაშინ ამ „გამომშვიდობებისთვის“ ყურადღება არ მიმიქცევია; ისე გავივლე გულში, უბრალოდ. და მხოლოდ ახლა, როდესაც სუსხიანმა ქარმა ძვალსა და რბილში დამიარა, მივხვდი ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობას და ჩემი განზრახვის ნამდვილ ფასს. მე უნდა აესულიყავი მთაზე და უკან აღარ დავბრუნებულყავი.

ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ თითქოს ძალა შემმატა, სწრაფად ჩავიარე კიბე და ეზოში გავედი. აქ ერთხელ კიდევ შევათვალე რე სახლი, მერე შეეტრიალდი და ჩქარი ნაბიჯით გავუდევქი გზას. სანამ ეზოს გადავკრიდი, ასე ვიარე. ბაღში რომ შევედი, კიდევ უფრო ავუჩქარე ნაბიჯს და სირბილზე გადავედი. ბეჭები მოვხარე, როგორც შეუმჩნევლად და უნებურად მოვიკუნტე. და გავრბოდი ასე, როგორც ნამდვილი ქურდი, რომელიც დღის სინათლეს უფრთხის. გავრბოდი და თვალეზს აქეთ-იქით ვაცეცებდი. ვგრძნობდი, რომ ეს ქურდული სირბილი შეურაცხყოფელი იყო, მაგრამ სხვანაირად მოქცევა არ შემეძლო. ქარი ავი სისინით მომდევდა უკან და ხალათის უბეებს მიბერავდა. მივრბოდი და, შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა რომ დამეშოშმინებინა, ვტყუოდი: იმიტომ კი არ გავრბივარ ასე თავქუდმოგლეჯილი, რომ მეშინია ან ჩემი საქციელის მრცხვენია, არამედ იმიტომ, რომ ძალიან თხლად მაცვია და, თუ არ ვირბინე, ამ სიცივეში სულ მთლად გავითოშები-მეთქი.

ამასობაში ბაღს გავცდი და ტყეს მივადევქი. დაღლილობისაგან ვქლოშინობდი.

ცოტა ხანს შევჩერდი სულის მოსათქმელად. და რაკი შევჩერდი, ისევე ფიქრი დავიწყე.

ამ დილით, გამთენიის ხანს, ირინე მივატოვე. არა. „მივატოვე“ რბილი

---

ჯემალ მარჩხაძე  
მდგომარეობა



გამოთქმა. გავიპარე, გავქუსლე, მოვკურცხლე, კისრისტებით გავიქეცი. სხვა საკითხია, რატომ გავიქეცი. ისიც სხვა საკითხია, შემძლო თუ არა, არ გავქეცილიყავი და უბრალოდ წავსულიყავი. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს „სხვა საკითხები“ ბუნდოვანი და საექვო ჩანდა, გაქცევა ვამჯობინე. კეთილი და პატიოსანი. გაქცევა, გაქცევა იყოს. ოღონდ ერთი რამ მაინც გაუგებარია: რატომ ვგულისხმობ გაქცევაში მაინცდამაინც ამ ციცაბო მთაზე აფორთხებას, საიდანაც ასეთ ყინვაში შეიძლება დავგორდე და კისერი მოვიტეხო. უფრო ადვილი არაა დაბლა დავეშვა, ნაკადულს გავყვე და, ასე თუ ისე, ნაცნობი გზით ვიარო? რატომ აქამდე არ მომაგონდა ეს იოლი გზა? ალბათ, იმიტომ, რომ აქამდე მთაზე ასვლა მქონდა აკვიტებული და ის კი არ ვიცოდი, რისთვის ავდიოდი. მიზანი არ მქონდა შეცნობილი. ახლა მიზანი ვიცი და არჩევანიც ჩემია.

ფიქრები სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაქროდნენ თავში. და მე ჯერ ბუნდოვნად, მერე კი უფრო და უფრო აშკარად ვიგრძენი, რომ ისევ ექლოშინობდი. ქლოშინი თანდათან გაძლიერდა, მთელი ჩემი ყურადღება მიიქცია და ბოლოს ფიქრებს გამოვეთიშე. ხოლო როცა ფიქრებს გამოვეთიშე, ჩემდა გასაოცრად შევნიშნე, რომ; სანამ საკუთარ თავს ვეკამათებოდი და არჩევანს ვაკეთებდი, თურმე უკვე შევდგომოდი ციცაბო მთას და კარგა მანძილიც გამომეწლო.

შუბლი ოფლით მქონდა დაცვარული. ბეჭებიც დამსველებოდა.

სული მოვიტყვი და გზა განვაგრძე. ვატყობდი, ფიქრსა და გზის რჩევას ახლა არავითარი აზრი არ ჰქონდა.

ზოგან შედარებით ადვილი სავალი იყო. ზოგან კი იძულებული ვიყავი ბუჩქებსა და ხის ფესვებს მოვკიდებოდი და ისე მევლო.

ხშირ-ხშირად ვისვენებდი.

ირგვლივ უზარმაზარი ხეები იდგა და ამიტომ ვერც გამოვლილ მანძილს

ვზომავდი და ვერც გასავლელს. იმის იმედალა ვიყავი, რომ ასე იქნებოდა თუ ისე, ბოლოსდაბოლოს, მწვერვალს მივალწევდი.

დამცხა. სულ ერთიანად ოფლში ვცურავდი. საყინე გავიხსენი. სახელოები დაეკარწახე და გზა განვაგრძეთან გულგრილად გავიფიქრე, ნეტა ფილტვების ანთება თუ შემეყრება-მეთქი.

ერთგან მომცრო ხეების ტევრს მივადექი.

გასვლა ძნელი იყო. ვიფიქრე, ირგვლივ შემოვუვლი-მეთქი, და მოვათვალეირე, რათა დამედგინა, რამდენად გამიგრძელებდა გზას ირგვლივ შემოვლა. არც მარჯვნივ და არც მარცხნივ ამ მოულოდნელ დაბრკოლებას ბოლო არ უჩანდა. ჯანდაბას, როგორმე გავარღვევ-მეთქი, ვიფიქრე და თან ბრაზით ახედე, ვაუიგო მაინც, რა ტყუა ამისთანა, ასე კედელივით რომ აღმართულა-მეთქი.

ტყე მართლა კედელივით იყო აღმართული. დაბალი ხეები ერთმანეთში გადახლართულიყვნენ, ვერც კი გაარჩევდი, რომელი ტოტი რომელს ეკუთვნოდა.

წამით გაშტერებული ვუყურებდი. და უცებ ვიცანი.

წყავი იყო!

ნაყოფის დიდი ნაწილი ქარსა და წვიმას ჩამოეყარა, ან საკუთარი სიმწიფის გამო ჩამოცვენილიყო და მიწაში ჩამპალიყო. ნაწილი ჯერ კიდევ შერჩენოდა. მაგრამ ძველებური ბზინვა დაეკარგა. დამქნარი და ცოცხლად დაქიშმიშებული საცოდავად ეკიდა ფოთლებგაძარცვულ ტოტებზე.

მიწიდანვე მივწვდი რამდენიმე მარცვალს, მოვწყვიტე და შევჭამე. მაშინდა ვიგრძენი, რომ კუჭი შიმშილისაგან მეწვოდა და ჩემს თავზე გული მომივიდა, როგორ ვერ მოვიფიქრე, სახლიდან ცოტა საგზალი წამომეღო-მეთქი.

ჩახლართული ტოტები გადაწვიე, ტევრში შევედი და ერთ-ერთ ხეზე

ავძვერი, რომელსაც შედარებით მეტი ნაყოფი ესხა.

ვერფელი და ვკამდი, ვერფელი და ვკამდი. დავეძვრებოდი ხიდან ხეზე და გაურჩევლად ვიტენიდი პირში შავ მარცვლებს. თუ რამე ზედმეტი შემეყვებოდა, ვთქვიათ, გამხმარი ფოთოლი, ან ქერქი, ენით გავაცალკევებდი, პირის ერთ კუთხეში მოვავროვებდი და, ნაყოფს რომ გადავყალბავდი, მერე გადმოვყრიდი.

ბოლოს დავიქანცე და ძირს ჩამოვედი. დანაყრებით ვერ დავნაყრიდი, მაგრამ ვატყობდი, რომ საცა იყო დღლილობისაგან გადმოვვარდებოდი, ამიტომ ჩამოსვლა ვამჯობინე.

ერთი პირობა გადავწყვიტე, გზა გამეგრძელებინა და ლასლასით შევეუყევი აღმართს; ორიოდ ნაბიჯის შემდეგ მივხვდი, რომ ვერც სიარულს შევძლებდი, რადგან ენერჯის ნატამალი აღარ მქონდა შემორჩენილი. მაშინ მოხერხებულ ადგილს დავუწყე ძებნა. ვიფიქრე, ცოტას დავისვენებ-მეთქი.

ადგილის მოძებნა არ გამჭირვებია. დაკვირვებით მოვათვალიერე იქაურობა და ერთი ბუნებრივი კარავი შევნიშნე. სამი მხრიდან ტოტებგადახლართული წყავეებით იყო შემოზღულული, ზემოდანაც ისე მჭიდროდ ეფარა ტოტები, სინათლე თითქმის ვერ ატანდა. მხოლოდ ერთი, ზედა, მწვერვალისაკენ მიმართული მხარე იყო ღია.

კარავში შევედი. დავეჭეი თუ არა, სიცივემ ამიტანა და ავძაგძაგდი. სანამ ფეხზე ვიდექი, დაღლილობა მტანჯავდა და სიცივეს ვერ ვგრძნობდი. ახლა, რაკი მუხლებს ცოტა შევბა მიეცათ, სიცივემ დრო იხელთა და მთელი ძალით შემომიტია. სულ ერთიანად სველი ვიყავი ოფლში ამოვლებული ხალათი და შარვალი ყინულებითა შემომეკრა ტანზე. ვკანკალებდი და კბილს კბილზე ვაცემინებდი.

ტანთ გავიხადე, საცვლები მაგრად გავწურე და ისე ჩავიცვი. ხალათიც გავწურე და ისე ჩავიცვი.

მაინც მციოლა.

„თუ დამეძინა, შეიძლება ვეღვი გავიღვიძო“, — გავიფიქრე გულგრილად. — „ცოტას დავისვენებ, მერე ვიმოდრავებ და გავთბები. საგზალი უნდა წამომეღო. შაშხი, ან რამე...“

შაშხის გახსენებაზე პირში ნერწყვი მომადგა და თვალი გავახილე. თვალი რომ გავახილე, მივხვდი, რომ აქამდე თვალდახუჭული ვიჯექი, და გავიფიქრე: „თვალი არ უნდა დავხუჭო, თორემ, ისე ჩამეძინება, ვერ გავიგებ. რამეზე უნდა ვიფიქრო“. და ისევ შაშხი გამახსენდა. მერე სხვა ფიქრებმა გამოიტაცეს.

რას წამოვჩერჩეტდი, რომ წამოვჩერჩეტდი! რა მინდა ამ მთის წვერზე? კარვის ქვედა მხარეს მივადექი და შევეცადე, ტოტებს შორის გამეჭვრიტა. გავიჭვრიტე კიდევ, მაგრამ ქვემოთ ტყე მოჩანდა, დიდრონი ხეები. მეტი არაფერი.

მოჩანს თუ არა, სულ ერთია, იქ მაინც არის სახლი. მრგვალი, მყუდრო სახლი. პალატში ბუხარი გუზგუზებს და ირგვლივ სითბოს საამო სუნი ტრიალებს. მაგიდაზე ჯამით რძე დგას. რას წამოვჩერჩეტდი!... საწოლის თავზე თბილი ჯემპრებია გადაკიდებული. რა კარგია, გაოფლილი რომ მიხვალ შინ და ტანსაცმელს გამოიცვლი!.. რას წამოვჩერჩეტდი!.. ზიხარ წენტვის ბუხარის პირას, ჩიბუხს აბოლებ, ლადარში აპურჭყებ და უყურებ, როგორ იტაცებს ცეცხლი თუთუნის კვამლს... არაფერზე არ ფიქრობ. კატა ვარს გივლის, გეხახუნება, კუდი აპრებილი აქვს, ლაჩებს შორის გამძვრება და გამოძვრება... რას წამოვჩერჩეტდი! მკვრივია სხეული... სავსე ტუჩები. მორჩილი და ლამაზი. ძალიან ლამაზი... რას წამოვჩერჩეტდი! რა გინდა ამ უდაბურ ტყეში! რა გინდა ამ გაყინულ მთაზე! რა გინდა, რა!... ულამაზესი ქალი, ულამაზესი ბალი, ულამაზესი სიმშვიდე... შაშხი... რძე... თბილი... უჰ! მთავარია,

გზივალ ქარჩხაძე  
მდგმურნი

თვალი არ მოგხუტო. ფუტკრები როგორ ბზუოდნენ! საკვირველი მუსიკა, რომელიც მთელ სხეულში დაგივლის... შენ იცოცხლებ დიდხანს, დიდხანს, როგორც ცოცხლობდნენ ძველი პატრიარქები, და შენი შთამომავლობა იქნება ძლიერი, ლამაზი და ჯანმრთელი.. რას წამოგჩერჩეტდი!.. დიდხანს, დიდხანს... მაინც რამდენ ხანს?.. მათუსალა... ვინ არის მათუსალა? ალბათ ვილაცაა, ისე არ გამახსენდებოდა... მათუსალა... რას წამოგჩერჩეტდი! მაინც რამდენ ხანს? რამდენ ხანს შეიძლება იცოცხლოს ერთმა კაცმა, რომ ეყოს? შთამომავლობა... შთამომავლობა სხვაა, შენ სხვა ხარ. არსებობენ ერთუკრედიანი ორგანიზმები, რომლებიც უკვდავნი არიან... საიდან ვიცი მე ეს? ვიცი კია? თუ ახლა ვიგონებ და რაღაცას მივედ-მოვედები. როდესაც ამება ზრდას დაასრულებს, გაიყოფა ორ დამოუკიდებელ ამებად და ცალ-ცალკე განაგრძობს არსებობას. მერე ორივე დაასრულებს ზრდას და ოთხი ამება გაჩნდება. უკვდავები არიან! მამ რატომ არ წაღვეს ამებებმა მთელი ქვეყანა? რას წამოგჩერჩეტდი!... მათუსალა ის კაცი იყო, რომელმაც ძალიან დიდხანს იცოცხლა. მართლა?.. ძალიან დიდხანს... მერე რა ქნა? მერე მოკვდა. ჰე! ხომ მაინც მოკვდა? ახია მათუსალაზე! აბა რა ეგონა! უკვდავი მარტო ამებაა... როგორც ძველი პატრიარქები... იქნები და იქნები! ზაფხულში ითევზავენ, ზამთარში ინადირებ, საღამოს ბუხარს მიუჯდები და ჩიბუხს გააბოლებ, ღამე ყველაზე ლამაზ ქალთან დაწვები, მერე? მერე ისევ ითევზავენ, ისევ ინადირებ, ისევ გააბოლებ ჩიბუხს და ისევ... და კიდე და კიდე „ისევ“. სახლი წრე, ეზო წრე, ბალი წრე. წრეს შემოივლი და ისევ იმ ადგილას მოხვდები... ნეტა არ ეზარებოდით პატრიარქებს, ამდენ ხანს რომ ცოცხლობდნენ?.. რაღაც აკლია წრეხაზს... მათუსალას, ალბათ, ეგონა, ცას გამოვეკვრებო. ვერ მიართვეს!... რა აკლია წრეხაზს? კურდღელი ხომ არა?

ან ფოცხვერი? ან მგელი?... სულელი ქიანქველები! დარწმუნებული ფეხები, რომ აღთქმულ ქვეყანას მიაღწიეს. ის ნამცეცები რომ გამოეღვეათ. მაშინ-ღა მიხვდებიან, რა მწარედ მოტყუდნენ!.. პატრიარქობა ძნელია... უნდა იყო და ელოდო, როდის მოკვდები... ამება კარგია. გაიყოფა შუაში და ორ ამებად იქცევა. ცოტა უცნაური კია... ის ძველი, საწყისი ამება რომელია ამ ორიდან? ორივე? არც ერთი? იქნება გაყოფა სიკვდილი? იქნება საწყისი ამება იმით მოკვდა, რომ ორ ამებად იქცა? საინტერესოა, რას იგრძნობ კაცი, ორად რომ გაიყო... მავრამ არსებობს კია ამება, ან მათუსალა, ან პატრიარქები, რომლებიც დიდხანს, დიდხანს ცოცხლობდნენ?... თუ ეს ფანტაზიაა, რომელსაც სცივა და შია?... იქნება შიმშილი და სიცივე აკლია წრეხაზს?.. თბილა... ახლა თბილა... და კარგია... სიმშვიდეა და სითბო... კარგი სიმშვიდე... კარგი სითბო...

უკვე ბურანში ვიყავი, მავრამ ჯერ მაინც მედგრად ვებრძოდი საკუთარ თავს. ვცდილობდი, მთელი შემორჩენილი ენერგია მომეკრიბა და ქუთუთოების სიმძიმისთვის საყრდენად შემეყენებინა. ბრძოლა ძნელი იყო და მტკივნეული. ვატყობდი, ქუთუთოები თანდათან მიმდებოდა, ენერგია კი ილეოდა და ილეოდა. როდესაც შევატყე, ქუთუთოების სიმძიმის უკვე ვეღარ გავუძლებდი და ერთს წამის შემდეგ ჩამეძინებოდა, ტკივილი ჯერ შვებამ შეცვალა, მერე სრულმა ნეტარებამ. თავში საამო და ტკბილი ფიქრები შემოცურდნენ. „რა საჭიროა ბრძოლა... ბუნებამ უკეთ იცის თავისი საქმე... კარგია ძილი... ტკბილი. მშვიდი. ძილში გაქრება ყველაფერი, ისე რომ ვერც გავიგებ... თბილი სიკვდილი ფეხაკრფით მოვა, ძილი რომ არ დამიფრთხოს, და ფრთხილად გამახვევს არსებობის საბანში... სიმშვიდის საბანში... გაქრება სიმძიმე, გაქრება სხეულის მტკივნეული შეგრძნება... ახლაც გამქრალია... ახლაც ნებოვრად ვირწევი სივრცეში და ირგვლივ



სამო სიმშვიდეა... სისულელეა ბრძო-  
ლა... რატომ უნდა დავარდვიო ეს უშ-  
ფოთველი ძილი, ასე თბილად რომ შე-  
მომეფინა მთელ სხეულზე? თუ გამო-  
ვიღვიძე, შემცივდება კიდევ, ავაგაძაგ-  
დები, დალილი მუხლები ამტკივდება..  
იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ ამ  
საშინელ აღმართს ხელახლა უნდა შე-  
ვუყვე... სისულელეა... კიდევ რომ გან-  
ვავრო გზა, ავათავებ კი როდისმე ამ  
მთას?... ავალ მწვერვალზე? ვერა...  
მანც გზაში დავეცემი სადმე ძალაგა-  
მოკლილი და ქანცგაწყვეტილი... და წა-  
მებით ამომხდება სული... აუტანელი  
ტკივილით... საშინელი ტანჯვით... ასე  
არა სჯობს?... აქ, კარავში... მყუდროდ.  
თბილად. მშვიდად. ღმერთო, რა ნეტა-  
რებაა.. რა ნეტარებაა... რა ნეტარებაა...

...შემოსასვლელი რაღაცამ დაფარა  
და კარავში წამით სიბნელე ჩამოწვა.  
იქნება უკვე მოკვდი-მეთქი, გავივლე  
გულში. მაგრამ ჩემი ვარაუდი მცდარი  
გამოდგა. კაცი რომ შემოვიდა, უკნი-  
დან სინათლეც შემოყვა. კაცი დაიხარა,  
რადგან შემოსასვლელი დაბალი იყო.  
და ასე მოხრილმა შემოაბიჯა. მერე  
გვერდზე მიდგა, რათა სინათლისთვის  
გზა მიეცა, კარავი მოათვალიერა და,  
გამარჯობათ, მითხრა.

„ეს კაცი მე ვარ და ამიტომ უნდა  
მოკვლა“. — გავიფიქრე გულგრილად და  
ვუთხარი:

„გავიმარჯოს“.  
წვერმომვებული იყო, თმაგაბურძგ-  
ნული. და რაღაც გამაღიზიანებლად კე-  
თილი გამოხედვა ჰქონდა.

„ცივა“. — ვთქვი მე და კაცმაც  
თქვა:

„ცივა“.  
„სიკეთეს მკვეთრი საზღვარი აქვს,—  
გავიფიქრე მე. — რომელიც სისულელის  
მიჯნაა. წარმოუდგენელია, ადამიანს  
ასეთი გამომეტყველება ჰქონდეს და სა-  
ლად აზროვნებდეს“.

„ღამდება“. — ვთქვი მე და კაცმაც  
თქვა:

„ღამდება“.  
ჩემი შარვალი ეცვა და ჩემი ხალათი.

„მე ზევით მივდივარ“.  
„მე ქვევით მივდივარ“.  
გაბოროტებული ვუმზერდი და არც  
კი ვცდილობდი, ზიზღი დამემალა.  
ის ბრიყვულად მომჩერებოდა სიკე-  
თით სახეს თვალებით და მთელ სახეზე  
კმაყოფილი ღიმილი ეფინა.  
„ძნელია ამ აღმართის ავლა“.  
„ჩამოვლა არაა ძნელი“.  
კაცი ჩემს პირდაპირ ჩამოვლა, შემო-  
სასვლელის გვერდით.

მე სიავისა და სიძულვილის მთელი  
მარაგი ამოვწურე და ახლა სრულიად  
გულგრილად ვუყურებდი, ისე რომ მის  
მიმართ არავითარი გრძნობა აღარ მქონ-  
და, — არც ავი, არც კარგი. ის კი სა-  
ხეგაბადრული მომჩერებოდა, თითქოს  
ჩემზე უკეთესი თავის სიცოცხლეში არა-  
ფერი ენახა.

„საინტერესოა, შუაში გაყოფილი ამე-  
ბები როგორ უყურებენ ერთმანეთს, რას  
გრძნობენ?... ჰმ! თითო ქეცაანი უჯრედით  
რა უნდა იგრძნონ! ჩვენ მილიარდობით  
უჯრედი გვაქვს და, რაც საჭიროა, ყვე-  
ლაფერს მანც ვერა ვგრძნობთ... ალ-  
ბათ, არაფერსაც არ გრძნობენ. წარ-  
მოდგენაც არა აქვთ ერთმანეთის არსე-  
ბობაზე... მკვლელობის სურვილი საი-  
დან გაუჩნდებათ!..“

დაღამდა. სიბნელე ჩამოწვა.  
კაცმა ჯიბიდან სანთელი ამოიღო, აან-  
თო, წყავის გამოშვერილი ტოტი მო-  
ძებნა, ზედ რამდენიმე წვეთი დაადვენ-  
თა და სანთელი დაამავრა.

„დილაადრიან განვაგრძობ გზას“. —  
თქვა მერე, გულაღმა დაწვა მიწაზე და  
დაიძინა.

კარგად იწვა. თავი ოდნავ უკან ჰქონ-  
და გადაგდებული და მთელი ყელი მკა-  
ფიოდ უჩანდა.

„რა უნდა ამ სულელს ქვემოთ? თუ  
ისა ჰგონია, რახან ჩასვლა ადვილია,  
უეჭველად უნდა ჩავიდეს?... მე რომ არ  
შემხვედროდი, მაშინ მართლა ადვილი  
იქნებოდა ჩასვლა... რას ვერჩი, კაცმა

---

ჯამალ მარჩაბი  
მღამური



რომ თქვას?... ნუთუ გაყოფილი ამებებუ მართლა ვერ გრძნობენ ერთმანეთს?... სანთელი წინდახედულად ანთო. სიბნელეში გამიჭირდებოდა მუშაობა...“

ღვარძლიანად ჩამეცინა; მერე ჯიბიდან ჯაყვა ამოვიღე, გავშალე და ახლო მივედი.

სანთლის შუქი სწორედ ყელზე სცემდა.

ამან გამახარა, რადგან სანთლის მოტანა და სადმე უფრო ახლოს დამაგრება შეზარებოდა.

კაცს მშვიდად ეძინა. ცალ მუხზე ჩაეიჩოქე. ყელი დაკვირვებით მოვათვალიერე.

მერე დავფიქრდი.

წარმოდგენა არ მქონდა, რა ადგილას უნდა ჩამერტყა დანა. მე ხომ არასოდეს არავინ მომიკლავს. ისიც არ ვიცოდი, ჩამერტყა თუ გარდიგარდმო გადამესვა.

დანა მარცხენა ხელში დავიჭირე და მარჯვენაით ჩემს საკუთარ ყელს დავუწყე სინჯვა შესაფერისი ადგილის მოსაძებნად. ზემოდან დავიწყე. ნიკაპქვეშ თითქოს კარგი ადგილი შევიგულე. ორივე მხარეს, აქედან და იქიდან. რბილი იყო და, თითები რომ დვაჭირე, რაღაც ისეთი ვიგრძენი, კაცს რომ სასუნთქი გზები გადაგეკეტება.

ახლა ქვემოთ ჩამოვავალიე ხელი; ვიფიქრე, იქნებ უკეთესი ადგილი ვიპოვო, თუ არადა, ეს სად. გამეჭკვევა-მეთქი. კარგად მოვისინჯე მთელი ყელი და სულ ბოლოში, ლავიწის ძვლებს შუა, მშვენიერი რბილი ადგილი აღმოვაჩინე.

„ეს უკეთესი ჩანს“, — გავიფიქრე და მეტი დამაჯერებლობისთვის ცერა თითი ჩავიჭირე. მეტყინა, სული შემიგუბდა და ლამის გული ამერია.

თითქოს საქმე გაჩარხული იყო, მაგრამ ვამჯობინე, ერთხელ კიდევ დავფიქრებულიყავი და გულდინჯად ამეწონდამეწონა ყველაფერი. მეშინოდა, რამე გაუთვალისწინებელი შეცდომა არ მომსვლოდა და ამდენი შრომა ბოლო წამს წყალში არ გადამყროდა.

შევეცადე ჩემს ადგილას გამოცდილი და დახელოვნებული მკვლელი წარმო-

მედგინა და, როგორც კი წარმოვიდგინე, მაშინვე მივხვდი, რომ ყველა დასრულებული მკვლელი თავის დროზე ახალბედა და გამოუცდიელი უნდა ყოფილიყო. ყველა როდისმე იწყებს და, როცა იწყებს, ჩემსავით უკანკალებს ხელი. მერე თანდათან იწაფება და ხელსაც სიმტკიცე ემატება.

ამან დამამშვიდა და ცოტა გამამხიარულა კიდევ, რამდენადაც კი შეიძლება რამემ გაამხიარულოს კაცი, რომელსაც ყინვაში სველი ტანსაცმელი აცვია.

მართლა ყველაფერი რიგზე ყოფილამეთქი, კმაყოფილებით გავიფიქრე და ის ადგილი, რომელიც ჩემს საკუთარ ყელზე შევიგულე და მოვიწონე, ახლა იმ კაცის ყელზე მოვისინჯე.

რბილი იყო და ღრუ. თითქოს საგანგებოდ ამისთვის დაეტოვებინა ღმერთს. დანა ორივე ხელით ჩავბღუჯე, ყელთან მივუტანე და ოდნავ ირიბად დავუმიხსნე.

კაცს მშვიდად ეძინა.

ცალი თვალით მოინშნულ ადგილს ვუყურებდი ყელზე, მეორე თვალით სახეს ვაკვირდებოდი. მაინტერესებდა, შეეცვლებოდა თუ არა. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩემი ცნობისმოყვარეობა დაუკმაყოფილებელი დარჩა, რადგან გამოუცდელობამ მაინც თავისი ქნა და ყველა წვრილმანი ვერ გავითვალისწინე. ჩაეკარი თუ არა დანა, იმავე წამს პირიდან სისხლმა იფეთქა. სახის ცვლილება ვიღას გაახსენდა! მაშინვე გვერდზე გადავხტი, რომ არ დავსვრილიყავი. მარჯვედ კი გადავხტი, მაგრამ სისხლის ერთი წვრილი ჭავლი მაინც მომწვდა და ტუჩის მარცხენა კუთხეში შემომესხა. სანამ მოწმენდას მოვახერხებდი, პირის ჭრილში შეაღწია, ნერწყვს შეერია და, რაღაც საძაგელი მოტკბო-მომლაშო გემო რომ ვიგრძენი, გული ამერია.

სული რომ მოვიფიქვი, მერედა მოვიცალე კაცისთვის. მაგრამ მისი სახე ისე მოეთხვარა სისხლსა და ნარწყევს, იქ რაიმე ცვლილების შემჩნევა სრულიად შეუძლებელი იყო.



დაეხარე. დანა ამოვადრე ყელიდან და, მიწით გავწმინდე.

კაცი რალაც უცნაურ ხმაზე ხროტი-ნებდა. გარედან რომ მიეგდო ვინმეს ყური, დაბეჯითებით, ალბათ, ვერ იტყო-და, ხროტინი ესმოდა თუ სიცილი. სი-ნამდვილეში, რა თქმა უნდა, ხროტინი იყო, რადგან ძნელი წარმოსადგენია, კაცს ამ მდგომარეობაში სასაცილო ეპო-ვა რამე.

ბოლოს ხროტინს უკლო და, როცა სულ გაჩუმდა, თითქოს სამყაროში აღა-რავეინ დარჩენილიყოს, ერთბაშად შემაძ-რწუნებელი დუმილი ჩამოვარდა.

ეტყობა, სწორედ ამ დუმილმა გამო-მალვია.

გამოღვიძებული კიდეც დიდხანს ვი-ჯექი გაუძნრევლად და უაზროდ მიეჩე-რებოდი სივრცეს. მერე გავიფიქრე, მგონი გადავრჩი-მეთქი, სწრაფად წა-მოვდექი და კარვიდან გავედი.

გასვლისას, არ ვიცი, მომეჩვენა. არ ვიცი, მართლა დავინახე: კარავში, წყა-ვის გამოშვერილ ტოტზე, ჩამქრალი სან-თელი იყო დამაგრებული...

ის იყო მწვერვალს მივალწვიე, რომ მზეც ამოვიდა. და მაშინვე გამახსენდა: რისთვის ავედი ერთხელ მრგვალი სან-ლის სახურავზე: მზე მინდოდა დამენა-ხა. მერე დამავიწყდა. გინდაც არ დამ-ვიწყებოდა, რას გავაწყობდი! რაც იქ ვიყავი, მზე თვალით არ მინახავს, ალბათ, მთები უშლიდა. ირგვლივ ხომ სულ მთები იყო. ჰაერი კი თბებოდა, მაგრამ მზე არ ჩანდა.

ახლა, როცა მწვერვალზე ვიდექი და მზეს ვუყურებდი, ეს ამბავი ცოტა უც-ნაურად მეჩვენებოდა.

მუხლები მეკეცებოდა და ძალღვივით მშობდა.

ბალახში ჩავჯექი.

იმავ წამს ისევ წამოვდექი, მთის კი-დეს მივადექი და ქვევით გადავიხედე. იმ მხარეს, საიდანაც ამოვედი. ჩემი ჭკუით, ვითომ სახლი და ბალი მინდოდა დამენახა, მაგრამ ვერაფერი დავინახე. არც იყო გასაკვირი. თუკი მზე ვერ ხე-

დავდა იმ სიმალიდან, მე აქედან რავე დავინახავდი!

ისევ ბალახში ჩავჯექი. სახე მზეს მი-ვუშვირე და ვცდილობდი, საჭმელზე არ მეფიქრა. მზის სხივები ნელ-ნელა მილ-ლობდა გაყინულ სხეულს. თანდათან მოვითენთე, თვალები თავისთავად მი-მელულა და ბოლოს ჩამეძინა.

როდესაც გამოვიღვიძე, უკვე მშრალი და თბილი ვიყავი. აღარც ფეხები მტკიოდა.

მზე ზენიტზე იდგა.

ავდექი და გზას გავუდექი.

ჩემი ვარაუდი მარტივი იყო: ფერ-დობი ხევში ჩამიყვანდა. მერე ხევს და-ვუყუებოდი და სადმე გავიღოდი, ან გზასთან, ან მდინარესთან. რა თქმა უნდა, გზაზე ვასვლა ჯობდა. მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, მდინარეს მა-ინც წავაწყდებოდი. მდინარე კი, ბო-ლოსდაბოლოს, იგივე გზაა. არ შეიძ-ლება მდინარის პირას იარო და სადმე სოფელს არ მიადგე.

ეს კია, რომ გზა საკმაოდ გამოგრძელ-და. ჯერ იყო და, ფერდობი არ იქნა, არ ჩათავდა; მერე, ხევს რომ ჩავუყუევი, ვიარე, ვიარე და მეორე, უფრო მოზრ-დულ ხევს მივადექი. გული მაინც არ გამტეხია. შეიძლება რამდენიმე ხევი იყო ერთმანეთზე გადაბმული, მაგრამ ბოლოს მაინც სადმე გახვალ.

კარგა ხნის დაღამებული იყო, გზა რომ გამოჩნდა. გული სიხარულით აწი-ფანცქალდა, ნაბიჯს მოვუჩქარე და თი-თქმის სირბილით მივადექი გზას.

გზის პირას შეეჩერდი, ხარბად მო-ვათვალიერე იქაურობა; რამდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქე. საშინლად ვიყავი აფორაქებული და ვცდილობდი, ცოტა დავმშვიდებულიყავი.

როდესაც, ასე თუ ისე, საღი აზროვ-ნების უნარი დამიბრუნდა, შემდგომი მოქმედების გეგმა შევადგინე. ჯერ ვი-ფიქრე, გავუყუევი გზას და, აღრე იქ-ნება თუ გვიან, რამე მანქანა წამომე-

ჯამალ მარჩხაძე  
მღაპერი



წვეა-მეთქი. მაგრამ ძალიან დაღლილი ვიყავი და გადავიფიქრე. ბოლოსდაბოლოს, ის მანქანა, რომელიც უნდა წამომწეოდა, აქაც ხომ ჩამოივლიდა!

ჩამოვჯექი გზის პირას და დავიწყე ლოდინი.

ნათელი ღამე იყო. ჩემს პირდაპირ ცაზე ვეებერთელა მთვარე ეკიდა და მისი შუქი ფანტასტიკურ ჩრდილებს ქმნიდა მიწაზე.

ვიჯექი და ველოდი.

ირგვლივ სიჩუმე იყო.

დიდხანს ვიჯექი.

ბოლოს მანქანის ხმა შემომესმა. გულმა ბაგაბუგი დამიწყო. სწრაფად წამოვხტი. გზაზე გავედი და ხელი ავეწვიე.

მანქანამ ჩაიარა და წავიდა.

არაფერია, სხვა ჩამოივლის-მეთქი, ვინუგეშე თავი, დავჯექი და ლოდინი განვაგრძე.

არც მეორე მანქანა გაჩერდა.

მესამე გაჩერდა.

არც ის აპირებდა, მგონი, გაჩერებას. სვლა არ შეუწყლებია, ისე ჩამიქროლა. მერე, არ ვიცი, რა იფიქრა მძღოლმა, მოშორებით გააჩერა მანქანა და უკან-უკან წამოიყვანა.

ვეებერთელა ჭველი იყო. ძლივს ეტეოდა მანქანაში. გრძელი ბაკენბარდები და დიდი თმა ჰქონდა. ლურჯი კოსტუმში ეცვა, თეთრი, ქათქათა ხალათი; ჭრელი, განიერი პალსტუხი ეკეთა. პალსტუხის დანახვაზე რაღაც გაურკვეველი, ბუნდოვანი, მაგრამ კარგი გრძნობა გამიჩნდა.

— საით მიბრძანდებით? — თავაზიანად ვკითხე.

მძღოლი მდუმარედ მიყურებდა. სახე მშვიდი ჰქონდა და არაფერს ისეთს არ გამოხატავდა, რის მიხედვითაც ამ ხანგრძლივი ღუმელის მიზეზს გამოვიცნობდი.

ბოლოს ბუხუნა ხმით მითხრა:

— დაჯექით.

მე უკან დავჯექი, კარი მოვიხურე და ჩემს თავზე გამეცინა.

— ისე გეკითხებით, საით მიბრძანდე-

ბით-მეთქი, ვითომ სულ ერთი იყოს!.. მთავარია, რამე დასახელებული ადგილს მივალწიო...

მძღოლმა მანქანის სარკიდან გამომხედა.

— თბილისში მივდივარ.

— აგაშენათ ღმერთმა! ერთი გზა გვექონია. — და უცებ შევეწუხდი. ავეწრიალდი. წარმოდგენა არ მქონდა, სად ვიყავი და რამოდენა გზა მქონდა გასაეული თბილისამდე. კითხვაც ვერ გავბედე, რადგან მეგონა, მისი მშვიდი გამომეტყველების უკან ეჭვი იმალებოდა, და შემეშინდა, უარესად არ დაეკედეს-მეთქი. ამიტომ ესლა დავამატე. — მაგრამ ჯობს წინასწარ გითხრათ: კაბიკი ფული არა მაქვს.

მძღოლმა კიდევ გამომხედა სარკიდან. ამჯერად უფრო დიდხანს მიყურა და უცებ ისეთი ხმით გაიცინა, თითქოს ტრაქტორი არახნახდაო. სიცილი რომ მოათავა, მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი მაღლა აწია და რაღაცნაირი სახე-იმო-პათეტიკური კილოთი გამოაცხადა:

— მსახიობ ასლან გორდაძეს თავისი ფეხმარდი რაშით მგზავრები გადაჰყავს და გადმოჰყავს, გადაჰყავს და გადმოჰყავს. — მერე თითქოს ნათქვამს ბეჭედი დაუსვავო, დაუმატა. — ხალტურა!

და ისევ ხმამაღლა გაიცინა.

მე შემოვცხვა და ჩემი თავი შემეზიზნო. მაგრამ სირცხვილისა და ზიზლის გრძნობას ზემოდან რაღაც ბუნდოვანი მოგონება გადაიფარა.

— მსახიობი ხართ? — ვკითხე ბოლოს.

— გახლავართ! — ამყად მიბასუხა, მერე სარკეში ცერემონიულად დამიკრა თავი. — უნიჭო მსახიობი ასლან გორდაძე. — აქ ისევ გაიცინა. — ბიჭებს ჰგონიათ, არ ვიცი, უნიჭო თუ ვარ, და ჩუმ-ჩუმად დამცინიან. სინამდვილეში ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ისე მიჭირავს თავი, ვითომ არ ვიცი. ისინი მე მატყუებენ, მე იმათ ვატყუებ. ასე ვკლავთ დროს.

ტვინი ბუტუავდა, როგორც მიმქრალი ცეცხლი.

— აბელ დელს თუ იცნობთ?  
მძლოლმა ისევ გამომხედა სარკიდან  
და ამჯერად მის გამომეტყველებაში რა-  
ღაც შეიცვალა. დიდხანს მიყურებდა  
უხმოდ, ბოლოს თვალი ამარია და,  
როცა ვიფიქრე, აღარ მიპასუხებს-მეთ-  
ქი, წყნარი, თითქმის ნაღვლიანი, ან შე-  
საძლებელია უფრო დაფიქრებული,  
ვიდრე ნაღვლიანი, კილოთი მიიხრა:

— ყველა დებოზისა და აყალ-მაყა-  
ლის სულისჩამდგმელი და ორგანიზა-  
ტორი.

აქ თითქოს კიდევ რაღაც უნდა ეთქვა.  
ბირიც კი გააღო, მაგრამ უცებ გადაი-  
ფიქრა და გაჩუმდა.

მერე მე უნდა მეთქვა.

მე გავიფიქრე, ჰამლეტი თუ ითამა-  
შა-მეთქი და ის იყო, უნდა მეკითხა  
კიდევ, რომ უეცრად ტვინში მიმქრალი  
ცეცხლი ერთბაშად ავიზიზნდა, თავში  
თითქოს გავარჯრებული შანთი ჩა-  
მარქვეს, წარმოუდგენელმა ტკივილმა  
მთელ სხეულში დამიარა, ვიგრძენი, რო-  
გორ შევკრთი, როგორ შევხტი სკამზე  
და დავვარდი მოწყვეტით, ირგვლივ ნა-  
პერწყლები ცვიოდა, როგორც მეტეო-  
რების წვიმა და გარეთ დამეში საშინელი  
კივილი გაისმა:

მაკა! მაკა! მაკა!

სხეულში რაღაც გაუგებარი კატასტ-  
როფა ხდებოდა. ყველაფერი ერთმანეთ-  
ში აირია, ყველაფერი ერთად ლამობ-  
და გარეთ გამოვარდნას. და იწვოდა  
ყველაფერი.

თავში ხანძარი ენთო.

ყურებში საშინელი წივილი მედგა  
და ბუნდოვნად მიკვირდა, ასეთ წივილ-  
ში მაკას სახელი როგორ მესმის-მეთქი.

მერე ერთბაშად ყველაფერი დაცხრა  
და სამარისებური დუმილი ჩამოვარდა

მე გაშეშებული ვიჯექი ამ დუმილში  
და სუნთქვას ვერ ვებდავდი.

მძლოლი ეტყობა, რაღაცას მელაპარა-  
კებოდა. ყოველ შემთხვევაში, ტუჩებს  
ამოძრავებდა და ღროღადრო ხელსაც  
რშველიებდა. მაგრამ მე არ მესმოდა.  
არც ერთი სიტყვა. არც ერთი ჩქამი.

თავის ტკივილს ვგრძნობდი მარტო,

მეტს არაფერს. თავი საშინლად მტკიო-  
და: თითქოს ვიღაც უხილავი წარმოუდ-  
გენელი ძალით ჩასჭიდებოდა ქალას;  
ჩასჭიდებოდა და ცდილობდა, დაეტრია-  
ლებია და ამოეხრახნა. ტკივილი იმდენ-  
ად აუტანელი იყო, რომ კვნესასაც ვერ  
ვახერხებდი. ვიჯექი ლენჩივით და ხუ-  
თივე გრძნობა წართმეული მქონდა.

მანქანა კი მიქროდა.

დიდი ღრო გავიდა თუ ცოტა, არ ვი-  
ცი. მარტო ის ვიცი, რომ, როდესაც  
ქალაქში შევედი, ჯერ კიდევ არ გათე-  
ნებულიყო.

ელექტროშუქით გაჩირაღდნებული  
ქუჩები ნელ-ნელა, ფეხაკრეფით შემო-  
დიოდნენ ცნობიერებაში. მერე, ეტყო-  
ბა. რაღაცას წამოედნენ იქ, ქურდი  
რომ ბნელაში ტაბურეტს წამოედება,  
ისე, და უცებ გამოუფხიზლდი.

თითქოს ვიღაცამ გამოთიშული სამყა-  
რო ერთბაშად ჩართო, მოულოდნელად  
ახმაურდა ყველაფერი: მანქანაც, გზაც,  
ღამეც, სხვა მანქანებიც. ხოლო ჩემს წინ  
მძლოლმა რაღაცის მოყოლა დაამთავ-  
რა:

— ასე უცნაურად დასრულდა ეს ამ-  
ბავი... — მერე ნაღვლიან-ჩაფიქრებუ-  
ლი კილო ისევ მხიარული, შინაურული  
კილოთი შეცვალა. — საით წავიდეთ?  
მაკა!

— სულ ერთია. რაკი ქალაქში შე-  
მოვედი, აწი აღარაფერი მიჭირს. ფე-  
ხითაც მივალ სახლამდე.

— ასე? — ძალიან გაუკვირდა  
მძლოლს.

მე მისი გაკვირება გამიკვირდა. რა  
„ასე“-მეთქი, ვიფიქრე. ოდნავ გვერდ-  
ზე გავიწიე და მანქანის სარკეში ჩემს  
თავს დაუწყვე ქებნა. მალე მივაგენი  
კიდევ, მაგრამ თავიდან ვერ ვიცანი.  
ვერც მერე ვიცნობდი, მაგრამ რაკი მან-  
ქანაში ჩვენს მეტი არავინ იჯდა, სხვა  
რა გზა მქონდა, უნდა დამეჯერებინა,  
რომ ეს წვერმოშვებული, თმაგაბურძგ-  
ნული კაცი მე ვიყავი. ერთ ხანს ვუყუ-

შამგალ მარხაძე  
მღებურდი



რე ჩემს თავს და ახლაც არ ვიცი, გაკვირვებას უფრო ვგრძნობდი, თუ სასოწარკვეთას. მერე ისიც შევამჩნიე, რომ ხალათი სულ ერთიანად დაჭმუჭნული მქონდა და ორ ადგილას გახეულიც. მაშინ კი მივხვდი, რამ გააკვირვა ასე ეს კაცი, ან პირველი შეხვედრისას რატომ მიყურებდა იმდენხანს.

მისამართი ვუთხარი და გზა განვაგრძეთ.

ჩვენი აღმართით არ ავსულვართ. სხვა გზით წავიდა და ზემოდან მიაღდა დეიდა მარამის სახლს.

— აქ არის?

— აქ არის... — მანქანის კარი გა-

მოვალე. — არც კი ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

— კარგი ერთი! — გაიცინა მძღოლმა. — მერე დაფიქრებული სახე მიიღო. — ნეტა აბელიც მაპოვნინა... ჩემთან წავიყვანდი... — აქ ისევ შეიცვალა კილოცა და სახის გამომეტყველებაც. — აბა, მშვიდობით იყავით! — და ხელი გამოიმწოდა.

მე ხელი ჩამოვართვი და ვუთხარი:

— მშვიდობით და დიდი მადლობა.

მანქანიდან გადმოვედი.

მძღოლმა ხელი დამიქნია და მანქანა დაძრა.

## ქ ე ბ ნ ა

ვერვის ტელ-ფონების ორთა უფალთა მონებად...

სადარბაზოში შევედი, ფრთხილად ავიარე კიბე, ჯიბეები მოვიჩხრიკე, გასაღები ამოვიღე, კარს მოვარგე. უხმაუროდ გადავატრიალე, გავადე, შევედი, კარი ისევ ჩაკეტიე, ფეხაკრფით გავედი სამზარეულოში, ჩემს ოთახში შევედი, ოთახის კარიც დავხურე, შუქი ავანთე.

პირველი, რაც დავინახე, დედოფალ ნეფერტიტის პორტრეტი იყო.

პორტრეტის წინ დავდექი.

დიდხანს ვუყურე.

მერე ლაპარაკი დავიწყე.

ვიდექი, ვუყურებდი და ვლაპარაკობდი.

რა ვილაპარაკე, არ მახსოვს. ის კი მახსოვს, რომ თავზე დამათენდა.

ჩვარი მოვძებნე და სურათი ფრთხილად გავწმინდე. მერე საპარსი ავიღე და წვერის გაპარსვა დავაპირე. როდესაც დავრწმუნდი, ამოდენა წვერს ელექტროსაპარსი ვერ მოერეოდა, ჯერ მაკრატლით შევიკრიბე.

გაპარსვას რომ მოვრჩი, ტანზე გამოვიცვალე.

ამასობაში კარგად გათენდა.

სამზარეულოდან წყლის ჩხრიალი მოისმა. დეიდა მარამი უკვე იქ იყო.

მაშასადამე, უნდა გავსულიყავი, უნდა შევხვედროდი.

ღროის ანგარიში არეული მქონდა. არ ვიცოდი, როდის წავედი და როდის დაებრუნდი.

რაც არის, არის-მეთქი, ვიფიქრე, კარი გამოვალე და სამზარეულოში გავედი.

— გამარჯობათ, დეიდა მარამ.

დეიდა მარამი მოტრიალდა.

— თითქოს ფხიზელი ძილი ვიცი და რატომ ვერ გავიგე შენი მოსვლა?

ეს იყო და ეს. მეტი ამ თემაზე არაფერი უთქვამს.

ცოტა ხანს მაინც შევიცადე. ვიცოდი, რაღაც მქონდა გასარკვევი და მერჩინვა, აქვე გამერკვია.

მაგრამ დეიდა მარამმა გულგრილად შემომამქცია ზურგი და ონკანს მიუბრუნდა. წასვლა რომ დავაპირე, მაშინლა მოიხენდა, ჩაის ხომ არ დალევო, მკითხა.

უარი ვუთხარი და გავედი.



ნათელი დილა იყო. ქალაქს ვეება მზე  
გადმოჰყურებდა და ბრჭყვიალა სხივე-  
ბით მხიარულად ეთამაშებოდა სახლებს.  
სახლები იჭერდნენ მზის სხივებს და  
მერე ხალისიან ფერებად ჰაერში ირეკ-  
ლავდნენ. სივრცე ნათელი და გამჭვირ-  
ვალე იყო.

მე სირბილით დავეშვი ქვემოთ. მივ-  
რბოდი და მეჩვენებოდა, თითქოს მე კი  
არ მივრბოდი, არამედ ქუჩა მორბოდა,  
როგორც დიდი ხნის უნახავი შვილი,  
ხელეგავაშლილი, სახეგაბრწყინებული,  
პირმილიმარე. მორბოდა, ჭყიოდა და  
უხაროდა.

გზაჯვარედინზე წამით შევდექი.

ქვემოთ გავიხედე, სადაც მე და მაკას  
უთვალავი ნაკვალევი იყო დარჩენილი.

მერე გზაჯვარედინი გადავჭერი და  
მაკას ქუჩას გავუყვივი.

და შევჩერდი.

უხაროდ.

ყველაფერი შეჩერდა.

მერე მექანიკურად გადავდგი რამდე-  
ნიმე ნაბიჯი.

და ისევ შევჩერდი.

თავიდან არაფერი მიფიქრია, რადგან  
აზრი არ მოძრაობდა.

თავიდან მართო ის ვიგრძენი ბუნ-  
დოვნად, რომ ჰაერში ხალისიანი ფე-  
რები წაიშალა. მზემ, თითქოს რაღაცის  
შეეშინდაო, სწრაფად აკრიფა ბრჭყვია-  
ლა სხივები და ღრუბელს მოეფარა.  
სივრცეს სინათლე მოაკლდა.

ბოლოს აზრის ბორბალი, რომელიც  
წლან მოწყვეტით შეჩერდა, ხელახლა  
დატრიალდა და თავში ფიქრები ამოძ-  
რავდა.

ჯერ მეგონა, ქუჩა თუ შემეშალა-  
მეთქი.

მერე მივხვდი, რომ ახლა იმას გავი-  
ფიქრებდი, სიზმარში ხომ არა ვარ-  
მეთქი. ამიტომ აღარ გავიფიქრე.

ცხადში ვიყავი და არც ქუჩა შემშ-  
ლია.

უბრალოდ, მაკას სახლი აღარ იდგა  
იქ, სადაც უნდა მდგარყო.

არც მაკას ეზო იყო.

არც ბაღი.

ბაღი აეჩეხათ. მიწა გადაეთხარა  
ძველი სახლი დაენგრიათ და ახლის  
აშენება დაეწყით.

წინ ხარაჩო იდგა. ერთი საართული  
უკვე აეყვანათ.

ეზოში აგური ეყარა, სილა, ცემენტი  
და ათასი წერილმანი ხარახურა. სიღ-  
რმეში ვილაც ახმახი კაცი იდგა, კეპი  
შუბლზე ჩამოეფხატა და განკარგულე-  
ბებს იძლეოდა. ეტყობა, ბრიგადირი  
იყო, ან ინჟინერი, ან სხვა ისეთი ვინმე,  
ვისაც ამქვეყნად განკარგულეების გა-  
ცემა ევალება. ქუჩის მხარეს, ხარა-  
ჩოზე, ორი კალატოზი იდგა და მუშა-  
ობდა.

ორივე ახალგაზრდა იყო, ორივე წელ-  
სხვეით შიშველი. სხეული მშვეზე გა-  
რუჯოდათ, სასიამოვნო, ბავშვურად კე-  
თილი სახეები და სწორი, ოთხკუთხა  
მხრები ჰქონდათ.

თვალის დახუჭვა არც კი დამჭირვე-  
ბია, ისე გაქრა სახლი და მის ადგილას  
პირამიდა გაჩნდა. უცნობი, ჯერაც აღ-  
მოუჩენელი. პირამიდაზე წელს ზევით  
შიშველი მონები იდგნენ. ბრინჯაოსფე-  
რი, ლამაზად ჩამოსხმული ტანით და  
სწორი, ოთხკუთხა მხრებით.

მერე პირამიდა გაქრა და ისევ სახლი  
გამოჩნდა.

მერე მე ქუჩის გადაღმა მხარეს ტრო-  
ტუარზე ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ  
მუშაობდნენ კალატოზები და როგორი  
სწორი, ოთხკუთხა მხრები ჰქონდათ.

მერე კალატოზები ხარაჩოზე აღარ  
იყვნენ. ქვემოთ, ხარაჩოს ძირში გადაბ-  
რუნებულ ვედროებზე ისხდნენ და ძეხ-  
ვსა და პურს ჭამდნენ.

აზრის ბორბალი ისევ დატრიალდა.

მე წამოვდექი და კალატოზებთან  
მივედი.

— გამარჯობათ!

— გამარჯობათ, — კალატოზებმა  
შემომხედეს და წამით შეწყვიტეს ლუქ-  
მის ღებვა.

ჯამალ ჰარახაძე

მღვდელი



— პირამიდას აშენებთ? — ვიკითხე მე.

კალატოზებმა მშენებლობას ახედეს შესამოწმებლად. მერე ერთმა მათგანმა, რომელსაც ემშაკურად მოჭუტული თვალები ჰქონდა, მითხრა:

— არა. პარალელებივდს ვაშენებთ. თვალწინ ბავშვობის ხანამ ჩამიჭროლა. რაც სკოლა დაემათავრე, მას შემდეგ სიტყვა „პირამიდა“ ჩემს წარმოდგენაში არასოდეს დაკავშირებია გეომეტრიას.

გამეღიმა.

— დიდი ხანია აშენებთ?

— დაახლოებით იმდენი ხანი, რამდენი ხანიც პირველი სართულის ამოყვანას დასჭირდა.

არადა, აშკარად გულკეთილი ბიჭი იყო. სახეზე ეტყობოდა.

— აქ რომ სახლი იდგა, ის როდისღა დანაგრეით?

— ის ჩვენ არ დაგვინგრევია. მშენებლები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ერთი ჯგუფი ანგრევს, მეორე აშენებს. ვინც ანგრევს, იმათაც მშენებლები ქვიათ. ჩვენ ვაშენებთ.

— მაშ, არც ის გეცოდინებათ, ის ხალხი რა იქნა, აქ რომ ცხოვრობდა?

— რატომაც არა. ყოველ შემთხვევაში დედამიწის იქით ვერსად წავიდოდნენ.

მეცლის არეში სიმხურვალე ვიგრძენი და მივხვდი, რომ მაჯისცემა გამიხშირდა. ბიჭს ემშაკურად მოციმიციმე თვალებში შევხედე.

— ემპირიული აზროვნება უნაყოფო აზროვნებაა. ინდუქციური დასკვნები ადგილზე ტყეპნაა და ჩარჩოში უმწეო ფართხალი. აზრი თავისუფლად უნდა გადაისროლო. როგორც თესლი ხნულში და როცა შესაძლებელ ვარიანტებს თითებზე ითვლი, არასოდეს გამორიცხო სასწაული. ჩვენ მხოლოდ უმეცარი თავდაჯერებულობის გამო ვცდილობთ ყველა მოვლენა პროკრუსტეს ლოგიკურ სარეცელზე მოვათავსოთ, ყველაფერს ლოგიკა შევუყენოთ ქვეშ, როგორც საყრდენი. სინამდვილეში ამ საყ-

რდენში დინამიტია, რომელიც ხელაც იქნება აფეთქება და ლოგიკური ხუხულიდან ალოგიკური ნამსხვრევებიღა დაგვრჩება. დარწმუნებით ნურასოდეს იტყვიო, დედამიწის იქით ვერსად წავიდოდნენო. კაცმა არ იცის, რას ნიშნავს „დედამიწის იქით“, სად თავდგება დედამიწა, ან რამდენი დედამიწა არსებობს სამყაროში... აქ ერთი ოქროსთმიანი გოგო ცხოვრობდა, რომელსაც თხელი, სწორი მხრები ჰქონდა, და ადვილი შესაძლებელია, დროის სიღრმეში წავიდა. იმიტომ რომ ყველამ იცის, რა არის სივრცე, მაგრამ არავინ იცის, რა არის დრო. ან მოძრაობა. დრო და მოძრაობა ლოგიკის ნაჭუქში ვერ ეტევა. ლოგიკა ვერასოდეს გაიგებს რა არის დრო და მოძრაობა, როგორც რობოტი, რომელიც მშრალსა და ურთიერთგამომრიცხავ კატეგორიებზეა დაგეშლილი, ვერასოდეს გაიგებს, რა არის მწარე სიცილი და თეთრად გათენებული ღამე. ხელალებით ნურაფერს იტყვიო. იცოდეთ, რომ სამყაროში უამრავი სასწაულია. სამყარო მხოლოდ სასწაულებისაგან შედგება.

კალატოზებს ძეხვი და პური მაგრად ჩაებლუჯათ ხელში და თვალებგაფართოებული მომჩერებოდნენ.

მე შუბლზე ოფლი მოვიწმინდე და გავჩუმდი.

მაშინ ისევ იმან მითხრა, თვალები ემშაკურად რომ ჰქონდა მოჭუტული:

— საბავშვო ბაღს ვაშენებთ. ადრე ვინ ცხოვრობდა აქ და სად გადასახლდნენ, არ ვიციო.

ახლა სერიოზული კილოთი ლაპარაკობდა. ხმასაც რატომღაც დაუწია, თითქმის ჩურჩულედა.

ამ დროს კეპჩამოფხატული ახმახი წამოგვადგა თავს.

ღმერთმა იცის, იქნებ დიდი ხანია აქ იყო და აქამდე არ შეგვიჩნევია. იდგა, ხელები მკერდზე დაეკრია, ცალი წარბი მაღლა აეზიდა და მისი პოზა, მისი გამომეტყველება, მთელი მისი არსება გამანადგურებელ ირონიას გამოხატავდა.

როცა დარწმუნდა, რომ შევნიშნეთ, თქვა:

— ნუ შეწუხდებით! ბრძანდებოდეთ! იმუსაიფეთ, იქეიფეთ, დრო ატარეთ. მე აგერ არა ვარ?! მე ავალ ხარაჩოზე და მე ვიშუშავებ.

ეს ბოლო ფრაზა ხარაჩოზე ასვლის შესახებ ისეთი კილოთი თქვა, მართლა რომ ასულიყო და ეშუშავა, ეტყობა, ამას კაცობრიობისათვის ფრიად სავალალო შედეგი მოჰყვებოდა.

კალატოზები წამოცივდნენ, დარჩენილი ძეხვი და პური ერთიანად ჩაიტენეს პირში და ხარაჩოს მიაშურეს. ახმასხმა თვალი ამარიდა, მკაცრად გახედა სივრცეს ჩემს მხარეს ზემოთ და თქვა:

— ძალიან ვთხოვ ყველას, მუშებს ნუ მომიცდენს.

— ვინ ყველას? — გულუბრყვილოდ ვკითხე მე.

— გამგებმა გაიგოს! — დიდაქტიკური კილოთი თქვა ახმასხმა და მკვეთრი მოძრაობით შემაქცია ზურგი, რათა ეგძინებინა, რომ მისი გაფხორილი ღირსებისათვის ჩემთან შემდგომი ურთიერთობა შეურაცხყოფელი იყო.

მე ცოტაზე გავაყოლე თვალი მის საქმიან ზურგს, მერე შევბრუნდი და ნელი ნაბიჯით გაუყევი ქუჩას.

მცირე მანძილი რომ გავიარე, სწრაფად მოვტრიალდი და მოვიხედე.

არა, არ მოხდა სასწაული. არ გაქრა სიზმარი და მის ადგილას არ გაჩნდა პატარა სახლი პატარა ეზოთი.

ხარაჩოზე კალატოზები იდგნენ და ჩემკენ იყურებოდნენ.

გზა განვაგრძე.

ნელი ნაბიჯით მივიდიოდი და ირგვლივ ფიქრები ფუტკრებივით ზუზუნებდნენ.

ეტყობა, ბევრი ბავშვი იბადება, რაკი ამდენ ბავასა და ბაღს აშენებენ. ბევრი ბავშვი... მერე რას შვრებიან, რომ იბადებიან? სად მიდიან? არსად. იზრდებიან ნელ-ნელა. კბილებს იცვლიან. განათლებას იღებენ. განათლება თხელ ფენად ედებათ სხელს და გამოიმეტყველებაში და ჩაცმა-დახურვაში იჩენს

თავს. მერე დედაკაცებად და მამაკაცებად იქცევიან და სამსახურში დადიან.

ყოველდღე. ყოველდღე. ყოველდღე. გავლიან ამქვეყნად და წავლენ. წასვლის წინ ზოგჯერ მოგვაგონდება, რომ დედამიწას ჩვენი კვალი არ ატყვია, და გული შეგვეკუმშება, მაგრამ იქვე ვინუგეშებთ თავს: შთამომავლობა ხომ დაეტოვებოდა? რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ, ისინი გააკეთებენ. იმას არ ვფიქრობთ, რომ შთამომავლობა ჩვენ თვითონ ვართ და, რაც წინაპრებმა ვერ გააკეთეს, ჩვენ უნდა გავაკეთოთ. და მე თუ რამე არ მოვიმოქმედე, მთელს ჩემს გენეალოგიურ ხაზს ჯვარი დაესმება, აზრი დაეკარგება ყველა ჩემი წინაპრის ტანჯულ არსებობას. მაგრამ რას მოვიმოქმედებ მე? რას ჩავიდენ ისეთს, რომ ჩემმა წინაპრებმა შევებით ამოისუნთქონ და თქვან, ამოდ არ ჩაუვლია ჩვენს იმედს, ამოდ არ ვეწამეთ საუკუნეებისა და ათეული საუკუნეების მანძილზე...

იქ, სადაც მაკას სახლი იდგა, საბავშვო ბაღს აშენებენ. ცნობისმოყვარე ბავშვები ათას უცნაურ კითხვას დაუსვამენ თავიანთ მრავალტანჯულ აღმზრდელებს. აღმზრდელები გაჩენის დღეს დაიწყველიან იმის გამო, რომ ბავშვები ასეთი ცნობისმოყვარენი არიან. ბავშვებს წარმოდგენა არ ექნებათ, აღმზრდელებს თუ გულს უწვრილებენ გაუთავებელი შეკითხვებით, და ახალ-ახალ შეკითხვებს მოიგონებენ. მაგრამ არც ერთი მათგანი არასოდეს არ ჰკითხავს თავის აღმზრდელს: ქეთო მასწავლებელი, აღრე რა იყო ამ ჩვენი ბაღის ადგილას? სახლი იყო? ვინმე ცხოვრობდა? რა იქნა? სად წავიდა?... სად წავიდა? სად წავიდა? სად წავიდა? მკაცრად რა იქნა, ქეთო მასწავლებელი? სად წავიდა, ქეთო მასწავლებელი, ოქროსთმიანი გოგო, რომელსაც თხელი და სწორი მხრები ჰქონდა? სად წავიდა, სად?

ზღურბლს რომ გადავაბიჯე, მაშინდა შევდექი, გაკვირვებით მიმოვიხედე ცა-

ჯემალ შარხაძე  
მდგომარეობა



რიელ ვესტიბიულში, და, ეს სად მოვე-  
ლი-მეთქი, გავიფიქრე.

ნაბიჯი უკან გადავდგი. კარზე გაკრულ  
აბრას შევხედე.

„კონსერვატორია“.

აი, თურმე სად მოვსულვარ!

ეძიებდე და ჰპოვებდეო...

ნეტა რა გამოვა, კაცმა რომ ქრისტეს  
მოძღვრება ირონიულ პლანში განიხი-  
ლო? ღირს ამაზე დაფიქრება, დროს  
თუ იპოვი. მაგრამ დრო სადღა გინდა  
იპოვო? დრო ზომ აირია და დაიკარგა?  
იქნებ დროსაც ეძიებდე და ჰპოვებდე?..

ფაკულტეტის მდივანი შუახანს მიტა-  
ნებული ქალი იყო. გამხდარი, ლოყებ-  
ჩაცვივებული, უსახური. ყვითელი, მოკ-  
ლედ შეპირილი თმა ჰქონდა, ალისფრად  
შედებილი ტუჩები და ასევე ალისფრად  
შედებილი გრძელი ფრჩხილები. სახეზე  
ფერ-უშარილი უბზინავდა, მაგრამ თანა-  
მედროვე კოსმეტიკის დიდი მიღწევა,  
რომლითაც ეს ქალი ბუნების განაჩენს  
ებრძოდა, საქმეს ვერ შევლოდა და უფ-  
რო მეტად უსვამდა ხაზს მის შეუხედა-  
ობას და სიგოწვეს. ქალი მდივნისათვის  
მიჩენილ ვალიაში იჯდა, რომელიც ვიწ-  
რო სარკმლით უკავშირდებოდა ვესტი-  
ბიულსა და, საერთოდ, გარესამყაროს.

როდესაც მე სარკმელს მივადექი, ქა-  
ლი სკამზე იჯდა, საზურგეს გადასწო-  
ლოდა, ორივე ხელში გადაშლილი წიგნი  
ეჭირა, მაგრამ არ კითხულობდა. თავი  
უკან გადავდგო, თვალები ნაზად მიე-  
ლულა და ისეთი შთაგონებული სახე  
ჰქონდა, კაცი სიცილს ვერ გაბედავდი.

ცოტა შევიცადე, მაგრამ როცა დავრ-  
წმუნდი, ექსტაზიდან თავისი ნებით კი-  
დევე დიდხანს არ გამოვიდოდა, შევებ-  
მიანე:

— მაპატიეთ, ქალბატონო...

ქალბატონმა თვალი გაახილა, მაგრამ  
პოზა არ შეუცვლია. ასე თავგადავდე-  
ბულმა გამოიხედა. მერე, როგორც იქნა,  
სკამზე გასწორდა, ერთხანს დაბნეულად  
მიყურა, თვალები მიანაბა, რაღაც უცნა-  
ურად გამოიღმა, ისე რომ პირი არ გაუ-  
ღია, მარტო ტუჩის კუთხეები გაეწია  
განზე და გამოთქმით მიიხზა:

— თქვენ არ აღმერთებთ სიტყვაკაზ-  
მულ მწერლობას?

მე უხმოდ ავიჩიე მხრები და გავი-  
ფიქრე, მერე რა, რომ ბუნების განა-  
ჩენს ვერ შეცვლის, ისიც ზომ რაღაცას  
ნიშნავს, ადამიანი რომ ასე შეუპოვრად  
იბრძვის-მეთქი.

— ო! — თქვა ქალმა, — ზოგი მათ-  
განი, ზოგი მათგანი! ჩემი თვალსაზრი-  
სით შექსპირი, — საჩვენებელი თითი  
გაშლილ წიგნს დაუჯაკუნა, — არის  
არა ადამიანი, არამედ ნათლის გვირგ-  
ვინი, რომელიც კაცობრიობას თავზე  
აღვას.

მე უყოყმანოდ დავეთანხმე, მაგრამ  
ამ ფორმალურმა დასტურმა, ეტყობა,  
ვერ დააკმაყოფილა. იჯდა წელში გა-  
მართული, ყელმოღერებული, გამარჯვე-  
ბული სარდალივით მიყურებდა და უშ-  
ნოდ აფახულებდა თვალებს. ალბათ, ამ  
ფრაზას დიდი ხანია ელოლიაევებოდა,  
როგორც სათბურის ყვავალს, და მთელ  
იმედებს მასზე ამყარებდა.

იქნება მართალიც იყო. უბრალოდ,  
ჩემზე არ უნდა გამოეცადა თავისი  
ბრწყინვალე აღმოჩენა. მე შექსპირისთ-  
ვის არა მცხელოდა.

ყურადღება არ მივაქციე მის შთაგო-  
ნებას და პირდაპირ ვუთხარი მისვლის  
მიზეზი.

ჩემმა ვასაკერად, ამან ძალიან და-  
ინტერესა.

— ვის კლასშია?

მე მხრები ავიჩიე.

— არ ვიცი.

— ენახოთ, ენახოთ. — უჯრა გამოა-  
ლო, სიები ამოლაგა, თვალთერებას შე-  
უღდა, მერე უცებ თავი მიანება, შემომ-  
ხედა და ალერსიან-შემპარავი კილოთი  
მკითხა:

— თქვენი რა არის?

ეს კითხვა მე თვითონ არასოდეს მომ-  
სვლია აზრად.

— ნათესავია. — ვუპასუხე მცირე  
პაუზის შემდეგ. მერე ქალის სულელუ-  
რად ეშმაკურმა ღმილმა უცებ გამა-  
ღიზიანა. — ნათესავია, ნათესავი. ორივე  
ადამიდან და ევადან მოვდივართ.

აქ ქალმა კეკელუცად ჩაიკისკისა და ტურის კუთხეები უფრო მეტად გაეწია განხე. თუმცა პირი არც ამჯერად გაუღია.

— ძალიან კარგი. ახლავე ვიპოვით. ეძიებდე და პოულობდით. ასე. აქ არ არის. ადამი და ევა, არა? ადამი ეძებს თავის ევას. ტარიელი ეძებს თავის ნესტანს. ჰამლეტი ეძებს თავის ოფელიას. არც აქ არის. რომელი ეძებს თავის ჯულიეტას. რამინი ეძებს თავის ვისს. არც აქ არის. დონ ხოზე ეძებს თავის კარმენს, დონ კინოტ ლამანჩელი ეძებს თავის დულცინეას არ არის. ქალმა თავი ასწია და გულწრფელი შემოფოთებით შემომხედა. — არ არის.

მე ქალს ვუყურებდი და ვფიქრობდი, არც ისე შეუხედავი ყოფილა, როგორც თავიდან მომეჩვენა-მეთქი. უფრო მეტიც, ეპეიც კი აღარ მეპარებოდა, საღებავში რომ არ ყოფილიყო ასე უგემურად ამოთხერილი, თავისი ასაკის კვალობაზე საკმაოდ სიმპათიური მანდილოსანი იქნებოდა.

— ალბათ გამოგვჩა, — იმედიანი კილოთი მითხრა ქალმა. — ერთხელ კიდევ ვნახოთ.

— ნუ შეწუხდებით, — მივუხე მე. — არ გამოგვჩებოდათ. — აქ კინალამ ვკითხე, ახლა რომელი წელია-მეთქი, მაგრამ დროზე შევიკავე თავი. — მაპატიეთ, რომ გაგაცდინეთ, კარგად ბრძანდებოდეთ.

ქალმა მწუხარე მზერა გამომაყოლა.

მე მისი თანაგრძნობა მალიზიანებდა. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადავდგი, მივიხედე, აბა თუ ისევ მიყურებს-მეთქი. აღარ მიყურებდა. სიები ელავა წინ და ხელახლა ათვალაიერებდა, თან საჩვენებელ თითს აყოლებდა.

რალად უნდოდა, არ ვიცი. გამოვედი და ქვემოთ დაუწყევი ქუჩას.

სამისამართო ბიუროსაც ვიწრო სარკმელი ჰქონდა.

სარკმელს გადაღმა შავთვალწარბა, ეშხიანი გოგო იჯდა. სარკმელთან ახალგაზრდა ბიჭი იდგა. შემოკვართული შარ-

ვალი ეცვა და ფართო მხრები ჰქონდა ხელში სახაზავი ეჭირა. სახაზავს სარკმლის რაფაზე აკაკუნებდა და, ეტყობოდა, გოგოს ელაზღანდარებოდა, რაღაგან გოგო მხიარულად იცინოდა.

ჩემი შესვლა არც ერთს არ გაუგია.

— არავითარი საქმე! — ხუმრობანარევი კატეგორიულობით უთხრა ბიჭმა. — კვირა დღით ჩაიცმევ შარვალს, ჩაიცმევ იმ ხალასს, მე რომ მიყვარს, და ექსკურსიაზე წამოხვალ.

— რომ არ წამოხვალდე? — ცოტა, გამომწვევად ჰკითხა გოგომ და მცირე პაუზის მერე დაუმატა. — არც შენ წახვალ?

— უშენოდ რა მინდა! მწვანე ხეები არ მაინტერესებს მე! — გოგომ გაიცინა. ბიჭმა განაგრძო. — აბა, ერთი არ წამოსულხარ! ნახე, სულ თუ არ ჩავშალე ის ექსკურსია!

გოგომ ისევ გაიცინა. ამჯერად უფრო ხმამაღლა.

— მაინც როგორ ჩაშლი?

— მე ვიცი, როგორც ჩავშლი! — ბიჭს, მგონი, მართლა მოუვიდა გული. სახაზავი უფრო სწრაფად დააკაკუნა სარკმლის რაფაზე.

არადა დღესავით ნათელი იყო, რომ გოგო წავიდოდა ექსკურსიაზე. მეტიც. მწვანე ხეები არც იმას აინტერესებდა და, ბიჭი რომ არ წასულიყო, ექსკურსია მისთვისაც მკვდარი დღე და უსიცოცხლო ბუნებაში მოსაწყენი წანწალი იქნებოდა. ყველაფერი ეს გოგოს გამოხედვაზე ეტყობოდა, სიცილზე და ხმის კილოზე. მაგრამ ბიჭი ბოთე იყო და ვერ ამჩნევდა. თუმცა სხვისას ვატყობთ ადივლად, თორემ, როცა ჩვენ გვეხება საქმე, ყველანი ბოთეები ვართ.

— ვნახოთ. იქნება წამოვიდე, იქნება — არა, — თქვა გოგომ.

ბიჭი გაიბერა და ერთხანს ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა.

გამაღალ შარხხამი  
მღვთსიმი

მე ამ პაუზით ვისარგებლე და სარკმელს მივადექი.

— შეიძლება? — ვკითხე გოგოს.

— ბრძანეთ. — მითხრა გოგომ და ბიჭს შესცინა.

ბიჭმა ბრაზით შემომხედა და ცოტა გვერდზე გაიწია. სახაზავი სარკმლის რაფას დააყრდნო და ზედ ნიკაპით ჩამოაწვა.

მე ვუთხარი გოგოს, რა საქმეც მქონდა.

გოგო წამოდგა და უკან, თაროებთან მივიდა. მშვენიერი ტანი ჰქონდა. ცალი თვალი ბიჭისკენ გავაპარე. ბიჭი ხარბად უყურებდა და მერე, როცა გოგო ჟურნალით ხელში უკანვე მობრუნდა და თავის ადგილას დაჯდა, უთხრა:

— რას იზამ?

— დამაცა ერთი წუთი. — გოგომ ჟურნალი გადაფურცლა და ძებნა დაიწყო.

— განყოფილების გამგემ, ალბათ, უკვე სამჯერ მომიკითხა.

გოგომ ცალი მხარი აიჩჩია.

— წადი მერე! ეს ისეთი კილოთი უთხრა, ექვიც არ ეპარებოდა, რომ ბიჭი ფეხს არ მოიცივლიდა, გინდაც. რაც ქვეყანაზე განყოფილების გამგეებმა, ყველას ერთად მოეკითხა.

— თქვენი, რას იზამ, და წავალ.

— კარგი ახლა, ხომ ხედავ, ადამიანი მყავს გასასტუმრებელი.

გოგო ჟურნალს ჩაჰკირკიტებდა, მერე უცებ ცალი თვალით სწრაფად გახედა ბიჭს, კისერი მხრებში ჩარგო და სიცილი წასკდა.

მე არ მიმიხედავს. ისედაც მივხვდი, რომ ბიჭმა ან ენა გამომიყო, ან მუშტი მომიღერა, ან სხვა რამე ჩაიდინა ისეთი, რითაც შურს იძიებდა ჩემზე და გულს მოიფხანდა იმის გამო, რომ იქ განყოფილების გამგე ელოდა, მე კი აქ ძვირფასი წუთები დავაკარგვინე. მინდადა მეთქვა, შე ლენჩო, მე რა შუაში ვარ, ხომ ხედავ, არ უნდა შენი გაშვე ჯამეთქი, მაგრამ არ მითქვამს.

გოგომ ჟურნალის თვალებზე მოა-

თავა, სერიოზული თვალები მომპყრო და ისეთი ხმით მითხრა, წელანდგლობოვს.

ფაკულტეტის მდივანი გამახსენდა:

— არ არის. ძველი მისამართიდან ამოწერილია და ჩაწერილი არსად არ არის.

მე ერთხანს ვუყურე გოგოს. გოგოც მიყურებდა. როდესაც ქვედა ტუჩი კბილებშუა მოიქცია, გამდლობთ-მეთქი, სწრაფად ვუთხარი და მივეტრიალდი. ბიჭი ახლა მოშორებით იდგა; სახაზავი ორივე ხელში ჩაებლუჯა და ნერვიულად წრიალებდა ერთ ადგილას.

გვერდით რომ ჩავუარე, ხმადაბლა ვუთხარი:

— ექსკუსიასზე კი არა, თუ გინდა, ცხრა მთას იქით წამოგყვება.

ბიჭმა მოულოდნელობისაგან პირი დაალო და გაფართოებული თვალებით შემომხედა.

სამისამართო ბიუროდან გამოვედი, ქუჩა გადავკვეთე და ბაღში შევედი.

მერხზე დავჯექი ხის ძირას.

სასხრები მტკიოდა.

იდაყვით მერხის ზურგს დავეყრდნე. ნიკაპი ხელისგულზე ჩამოვასვენე.

თვალები არ დამიხუტუავს.

ღრუბლები გაჩქარებით მოძრაობდნენ, როგორც უგუნური ენთუზიასტები, და პირს უკრავდნენ ცას. მანამ არ მოისვენეს, სანამ ყველა ლურჯი ხვრელი არ ამოქოლეს. მერე შეჩერდნენ და ჭეშად დახედეს ქვეყანას.

ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და გაწუმზადებულ.

თვალები დავხუქე და გავიფიქრე: „ერთადერთი ბუნებრივი ფერი შავი ფერია, რადგან ის იყო ღასაბამიდან. როცა სამყარო არ არსებობდა, სივრცეში განუყოფლად ბატონობდა მარადიული ღამე და შავი ფერი. დანარჩენი ფერები მისგან შეიქმნა. დანარჩენი ფერები მისი დამახინჯებული ნაირსახეობანი არიან.“

სიბნელეში უხილავი ნამცეცი დაქროდა და ამ უხილავი, თითქმის არარსებული ნამცეციდან შეიქმნა სამყარო.



სადმე წამიკითხავს? თუ მე თვითონ მოვიგონე? ბევრი ცოდნა დავროვდა ქვეყანაზე. ტვინი ვერ იტევს ყველაფერს. ან სადმე წავიკითხე, ან მე თვითონ მოვიგონე. ერთი პაწაწკინტელა ნამცეცი. მთელი სამყარო. მეც იმ ნამცეცში ვიყავი, ეს მერხიც, ეს ხეც, ის მოხუციც, პირდაპირ რომ ზის და თვალები ებლიტება, საფორტეპიანო ფაკულტეტის მდივანიც თავისი მრავალფეროვანი კოსმეტით, კალატოზებიც... სწორი მხრები ჰქონდათ, ოთხკუთხა... ის ბიჭი და გოგოც, კვირას რომ ექსკურსიაზე წავლენ და, როდესაც დანიშნულების ადგილს მიადწევენ, პროფკავშირის დანარჩენ წევრებს ტყეში გაეპარებიან.

ყველანი ერთ ელემენტარულ ნაწილაკში ვართ მოქცეული ჩვენი მძაფრი და მრავალწახნაგოვანი ვნებებით.

მეც, მაკაც, ირინეც...

მაკა! მოხუცმა ზანტად მომაპყრო თავისი ჩაბლიტული თვალები და, გვერდით რომ ჩაუქროლე, თავი ოდნავ მოატრიალა.

ქუჩაში რომ გამოვვარდი და აუჩქარებლად მოსიარულე ხალხი დავინახე, მოწყვეტით შევედექი. წამიც და მათ ნაკადს შევევრე და მათი მოძრაობის რიტმს ავყევი.

გონიერება მძლავრი მუხრუჭია... და რაც მთავარია, ავტომატურად ჩაირთვება ხოლმე, დაუკითხავად.

სამაგიეროდ ახლა ის მაინც ვიცოდი, სად მივდიოდი, და მიკვირდა, ან აქამდე როგორ არ მომაგონდა-მეთქი.

ადამიანების ჭრელი სიმრავლე ფეხაწყობილი მიაბიჯებდა, გადასასვლელს რომ მიუახლოვდებოდა, წითელ შუქზე შეჩერდებოდა. ყვითელ შუქზე აწრიალდებოდა, მწვანეზე ხელახლა იწყებდა მოძრაობას, სანამ ახალ გადასასვლელს არ მიადგებოდა. მიაბიჯებდა საქმიანად, მტკიცედ, სოლიდურად, ღრმად დარწმუნებული თავისი არსებობის აუცილებლობაში.

თვალი გამიშტერდა და მომეჩვენა,

თითქოს ადამიანები კი არ დადიოდნენ არამედ ტროტუარი მოძრაობდა. ტროტუარი ორად იყო სივრდივ გაყოფილი. ერთი ნახევარი იქით მიდიოდა, მეორე ნახევარი აქეთ მოდიოდა. ერთმანეთს დიდი სიფრთხილით უქცევდნენ გვერდს. ტროტუარებს მიჰქონდათ და მოჰქონდათ ადამიანთა უმოძრაო ჭრელა-ჭრულები, როგორც საკუთარი სამოსი.

ბოლოს ქუჩის უძრავ ზედაპირზე რალაც წერტილი შეირხა და მხედველობასა და აზრს შორის გაწყვეტილი კავშირი აღდგა.

წერტილი შორიდან წამოვიდა და, როცა მოახლოვდა, სურათად იქცა.

წინ ბავშვის ეტლი მოგორავდა. შიგ ბავშვი იწვა. ეტლს ბოლოში აქეთ-იქიდან როგორც საპატიო ყარაული, ისე ამოდგომოდა ქალი და კაცი. გამართულები, თავწეულები. ცალ-ცალი ხელი ეტლის სახელურისთვის ჩაეჭიდათ, მოაგორებდნენ, მოდიოდნენ, მალა გასცქეროდნენ სივრცეს და ირგვლივ რალაც ამყსა და თავმომწონე სერიოზულობას აფრქვევდნენ.

კაცი ვარდენ მექვაბიშვილი იყო. ქალი — მისი ლოყებდატკრუტული მეუღლე, ეტლში კი უზრუნველად ეძინა პატარა ვარდენ მექვაბიშვილს.

რაწამს სურათი ვიცანი, გონებაში სხვა სურათმა გაიელვა: დარცხვენილი ვარდენ მექვაბიშვილი, რომელმაც საკუთარ გაუბედაობას გადააღაჯა და ოთახის დაცლა მომთხოვა, ქუჭყიანი ცხვირსახოციტ ნერვიულად იწმენდა გაოფლილ ხელისგულებს.

„მე რომ შენს ადგილას ვიყო, ყვავილებს მაინც მივიტანდი ცოლის საფლავეზე“.

მე რომ შენს ადგილას ვიყო...

მართლა მიიტანა...

იმან კი მიიტანა...

ჯერ ტკივილი ვიგრძენი, მერე ზიზღი.

ოღონდ არ ვიცოდი, ეს ზიზღი მე მე-

ჯამალ შარჩხაძე  
მღვმერი



კუთვნიდა თუ ვარდენ მექვაბიშვილს.  
სწრაფად გამოვეყე ხალხის ნაკადს,  
მოვიხარე და მალაზის ღია კარში შევ-  
ძვერი.

თან ფიქრი ამეღვენა: „როგორც  
ქურდი!“

ფიქრს რალაც ბუნდოვანი აპყვა.  
თითქოს რამე მივიწყებულნი უნდა  
გამხსენებოდა, მაგრამ არ გამახსენდა.

არავინ მკითხავდა, რატომ შემოხვე-  
დი მალაზიაშიო. ეტყობა, საკუთარი  
თავისთვის უნდა წარმედგინა გასამარ-  
თლებელი საბუთი. გამყიდველ გოგო-  
ნას ფული მივაწოდე და სიგარეტი მო-  
ვიტხოვე.

ცალი თვალი ღია კარისკენ მექრა.  
გოგონამ სიგარეტი მომცა.

სურათმა, რომელზედაც გამოსახუ-  
ლი იყო ბავშვის ეტლი საბატო ყარა-  
ულით, ღია კართან ჩაიარა და წავიდა.  
მალაზიიდან გამოვედი და ისევ ხალ-  
ხის ნაკადს შევერიე.

თვალეებში შემორჩენილი მქონდა  
თეთრი საბავშვო ეტლის ანარეკლი. და  
ქუჩას მოდებული ხალხის ერთიან, გა-  
უცალცალკეებულ მასაში მე თვითონ  
შემქონდა დისონანსი, როგორც მაგრად  
დახუტულ თვალებს შეაქვს სიბნელეში  
ნაირნაირი ფერადი ფორმები. თეთრი  
ეტლი ხან აქ იღვებდა ქუჩის უცხო  
ზედაპირზე, ხან იქ.

თავზე მციოდა. თმის ძირებში ვგრძ-  
ნობდი სიცივეს. არ ვიცი, შეიძლება ეს  
სიცივე კი არა, ტკივილი იყო.

სადარბაზოსთან მცირე ხნით შევ-  
ჩერდი. აზრმიუცემლად მივიხედ-მო-  
ვიხედე. მერე კიბეს შევუდექი. ზემოთ  
ავედი. კართანაც შევჩერდი. უკან მო-  
ვიხედე. გაუგებარი შიში უხმაუროდ  
დაძვრებოდა სხეულში. ვღელავდი.  
ლილაკს თითი დავაჭირე. ზარის ხმას  
ფეხის ხმა აყვა. მერე გასაღებმა გაიჩ-  
ხაკუნა და კარი გაიღო.

წითელი ხელები დავინახე. დაკარ-  
წახებული და ვეებერთელა ფეხსაცმე-  
ლები მამაკაცის. წინსაფარი საპნის  
ქაფით იყო დაწინწყლული.

— გამარჯობა, ნინელი!

— გამარჯობათ...

ხმაში დარცხენილი გაკვირვებულ  
გაისმა. კარის ზღურბლზე იდგა და,  
მობრძანდიო, არ მეუბნებოდა.

— ვერ მიცანი?

დარცხენილ გაკვირვებას დარცხე-  
ნილი ღიმილი დაემატა.

— ვერა.

უკან მივიხედე.

ისევ მოვტრიალდი.

წითელი ხელები წინსაფარზე შეიმ-  
შრალა.

მე იატაკს დავაცქერდი. თავი რომ  
ავიღე და შევხედე, კიდევ შეიმშრალა  
ხელები.

— მობრძანდიო.

ყოყმანით თქვა, გაუბედავად.

შევედი.

სკამი გამომიწია.

— დაბრძანდიო.

დავკეჭი.

იდგა და წინსაფარს აწვალებდა.

— ეტყობა, სადარბაზოსთან მიდა-  
რავებდა. პირველად იქ ვიგრძენი, რო-  
გორ დაძვრებოდა სხეულში.

— რა?

— შიში.

თვალი ამარიდა და ფანჯარას გახე-  
და.

— დათო ახლავე მოვა.

— დათო?

— ღიახ.

— ბასვიტარა?

გაიღიმა.

— იცნობთ?

— არა.

ბავშვმა წამოიტერა.

— მამაკითე... ერთი წუთით...

მეორე ოთახში გავიდა.

ისმოდა. როგორ დაგორავდა წინ და  
უკან ბავშვის ეტლი.

მერე ხმაური შეწყდა.

გამოვიდა.

— დაიძინა.

სახეზე ახლა რალაც სხვა, უცხო  
ნათელი ეფინა.

— ხომ არ ჩაისველა?

გაიღიმა.

— არა.

— ერთი გყავს?

— ერთი.

— ღმერთმა გაგიზარდოს. ბიჭია თუ გოგო?

— გოგო.

ისევ გაიღიმა.

— შეიძლება შევხედო?

გაუხარდა.

— მობრძანდით.

მეორე ოთახში შემიძღვა.

თეთრ ეტლში იწვა, თეთრ, ქათქათა ჩერებში შეხვეული. მსუქანი იყო, ფუნჯულა. თვალები დახუჭული ჰქონდა, ტუჩები გამობურცული. მშვიდად ეძინა. მერე უცებ ტუჩები ენერგიულად ააშუშავა. ალბათ, ძუძუს თუ წოვდა სიზმარში.

— რა ქვია?

— მაკა.

— წავალ მე.

— დათო ახლავე მოვა.

— მშვიდობით.

კარამდე გამოიყვა. ზღურბლზე შეჩერდა.

მე ვუთხარი:

— ამ დღით რომ გავიღვიძე და მზეს შევხედე, ერთი ცალი სხივი დამაკლდა სათვალავში. შეუჭრია ვიღაცას. მას მერე დავდივარ და ვეძებ. ჯერ ვერ მივაგენი ქურდს. ვისაც ვკითხე, ყველამ უარი მითხრა. ახლა ჩემს თავზე მაქვს ეჭვი. კარგად უნდა შევამოწმო.

კიბეს დავუყევი. მომესმა როგორ დაიხურა კარი.

სადარბაზოდან გავედი. ისევ შემცივდა თავზე. წელანდელზე უარესად შემცივდა.

ერთხანს ვითმენდი. როცა აუტანელი გახდა, მაღაზიებს დავუწყე თვალბერება. ბოლოს ერთგან წარწერას წავაწყდი: „თავსამკაული“.

შევედი „თავსამკაულში“

— გამყიდველი შუახნის კაცი იყო, სრულიად ჭადარა და ძალიან სიმპათიური.

— ქული მინდა, თუ შეიძლება.

— კი, ბატონო. რომელი გნებავთ?

— სულ ერთია.

— როგორ გეკადრებათ! — ღიმილით მისაყვედურა. — სულ ერთი რომ იყოს, მე აქ არ ვიქნებოდი. ქული ადამიანს თავზე ადევს და ამიტომ არასოდეს არ არის სულ ერთი. — მე დაბნეულად ვათვალისწინებდი ქულებს და წარმოდგენა არ მქონდა, რითი სჯობდა ერთი მეორეს. გამყიდველს კი, ეტყობა, ენა ეფხანებოდა, და სულმოუთქმელად განაგრძობდა, — ქულიანი კაცი და უქული კაცი ორი სრულიად სხვადასხვა კაცია. თუ თქვენ ვერ ავიჩევიათ, ნება მომეცით, მე თვითონ შემოგთავაზოთ. აი, ეს ნახეთ! სოლიდურიცაა და მოდურიც. თუმცა მოითმინეთ! თქვენი გარეგნობის კაცს შავი ფერი უფრო მოუხდება. აი, ეს გაისინჯეთ. — თავისი ხელით დამახურა. — ოჰ! ძალიან კარგია! ძალიან კარგია! აგერ სარკე, კუთხეში. ნახეთ, შეამოწმეთ.

მე არ შემომოწმებია. არც კი გამიხედავს სარკისკენ. ფული გადავუხადე და გამოვედი.

გამყიდველი, მე მგონია, ამის გამო ცოტა ნაწყენი დარჩა. მშვიდობაში მოიხმარეთო, რომ მომადახა, ისეთი კილო ჰქონდა, კაცს რომ ამაგს არ დაუფასებენ.

თავიდან ქული ცოტა მეხამუშებოდა. მე ზომ მთელი სიცოცხლე უქულოდ დავდიოდი.

მაგრამ მალე შევეჩვიე. თავზე დამთბა და რაღაც ზედმეტისა და შემაწუხებლის გრძნობაც თანდათან გაქრა.

ისევ მივდიოდი. ოღონდ ახლა უკვე აღარ ვიცოდი, სად მივდიოდი და რატომ მივდიოდი.

უბრალოდ ვმოძრაობდი, რაკი ადამიანს მისჯილი აქვს მოძრაობა.

არაფერს ვფიქრობდი. არაფერს ვგრძნობდი.

ირგვლივ ხალხი ირეოდა.

ჯემალ შარჩხაძე  
მღვდელი





ხალხი ჯგროდ მიმოდიოდა.

და როცა რომელიმე ჰრელ ნაკადს გე-  
ზი ჩემკენ ეპირა, არც მე ვუქცევდი გზას  
და არც ის მიქცევდა. უბრალოდ, გაივ-  
ლიდა ჩემში, როგორც სიცარიელეში, და  
მშვიდად და არხეინად განაგრძობდა  
გზას, თითქოს არაფერი მომხდარი-  
ყოს.

ხოლო მე დავდიოდი ალალებდზე,  
უგზოუკვლოდ.

სალამო რომ დადგა, ქუჩისპირა პა-  
ტარა სკვერში შევედი და მერხზე ჩა-  
მოვჯექი.

ქუჩაში ელექტროლამფები ენთო და  
ადამიანები ფერმიხდილები ჩანდნენ.  
სულში სიცარიელეს ვგრძნობდი, რო-  
გორც მწვავე ტკვილს. ძარღვები მო-  
მიდუნდა, ალბათ პულსიც გაჩუმდა.  
მერე ტკვილი ნელნელა გაილია და  
გაქრა და ისეთი გრძობა დამჩა,  
თითქოს დავიშალე და სივრცეში გა-  
ვიფანტე.

ტროტუარზე ადამიანები დააბიჯებ-  
დნენ.

ქალები, კაცები, დიდები, პატარები.  
მიდიოდნენ და მიდიოდნენ.

და საკვირველი ის იყო, რომ ზედმი-  
წევნით ზუსტად იცოდნენ, სად მიდი-  
ოდნენ... მიხვალ გაჩერებაზე, ამა და  
ამ მარშრუტის ავტობუსში ჩაჯდები,  
ამდენ და ამდენ გაჩერებას გაივლი და  
ჩამოხვალ. ამა და ამ შესახვევში შე-  
უხვევ, ამა და ამ საღარბოში შეხ-  
ვალ, აივლი კიბეს, ზარის დილაკს  
თითს დააქერ და, სანამ ვაგიღებენ,  
ტილოზე ფეხებს დაიწმენდ. მერე გა-  
გიღებენ, ვაგიღებენ, შენც გაუდი-  
მებ. შეგიატიყებენ, შეხვალ. დასდ-  
ლებით, ისაუბრებთ, იცინებთ. ნაცნო-  
ბები ხართ.

მერედა რა არის ნაცნობი? რითი არ-  
ჩევს კაცი ნაცნობს უცნობისაგან?  
მხედველობით. მხედველობაა ერთად-  
ერთი საშუალება. მაგრამ ვინ იტყვის  
დაბეჯითებით, რომ მხედველობა უტ-  
ყუარი იარაღია?

ნუთუ თვალზე მართლა ამდენი რა-  
მეა დამოკიდებული? მაშ, ბრმა რომ  
ვყოფილიყავი, მაკასა და ირინეს ერთ-

მანეთისაგან ვერ გავარჩევდი? გავარ-  
ჩიე კია? იქნება სწორედ თვალმა  
მატყუა და ირინე მაკა მეგონა? ჰმ!..  
სულელური აზრი. სულელური ფრა-  
ზა. სრულიად ნეიტრალური კილოთი  
რომ თქვა, მინც აყვება რაღაც მკრე-  
ხელური. თვალმა მომატყუა!... აკი  
ნინელიმ ვერ მიცნო!

დღეს ვარდენ მექვაბიშვილს მალა-  
ზიაში დავემალე.

იმიტომ რომ, გამარჯობა-გაგიმარ-  
ჯოს და მიკითხვ-მოკითხვის მერე უეჭ-  
ველად მაკას მიხსენებდა. მომაპყრობ-  
და ჩლუნგ თვალებს და, სად არისო,  
მკითხავდა. მე აწვრილდებოდი, ენა  
დამებმოდა, შუბლზე ოფლს დამასხამ-  
და. ახლა ის შემატყობდა, რომ თავისი  
უტაქტო შეკითხვით უხერხულ მდგო-  
მარეობაში ჩამავდო, და თვითონაც  
უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდე-  
ბოდა. ისიც აწვრილდებოდა, იმსაც  
ენა დაებმოდა და ოფლს დაასხამდა...  
და დავიმალე. ენა რომ არ დამბოდა.  
ბავშვივით რომ არ გავწითლებულიყა-  
ვი. ერთხელ ვურჩიე, ცოლის საფლავ-  
ზე ყვავილები მიიტანე-მეთქი და მარ-  
თლა მიიტანა. მე ყოველთვის დარწმუ-  
ნებული ვიყავი, რომ ამ კაცზე მალლა  
ვიდექი, მაგრამ არასოდეს დავფიქრე-  
ბულეარ იმაზე, თუ რას ნიშნავს „მალ-  
ლა დგომა“. განა მე მეყოფა გამბედა-  
ობა სიკვდილი და სიცოცხლე შევარი-  
გო? ცოლთან ერთად ცოლის საფლავ-  
ზე მივიდე და ყვავილები მივიტანო?  
სასაცილო ის იყო, რომ ვარდენ მექვა-  
ბიშვილი უხმოდ და მორჩილად აღიარ-  
ებდა ჩემს „სიმაღლეს“ და თვითონ  
„დაბლა იდგა“. იქნებ არცაა სასაცი-  
ლო, იქნებ სწორედ ამით შეეძლო, რომ  
სამარე და საქორწინო სარეცელი მშვი-  
დობიანად მიედგა ერთმანეთის გვერ-  
დით?

მე დავემალე იმიტომ, რომ რაღაც  
შეტრიალდა და „სიმაღლემ“ და „სი-  
დაბლემ“ ადგილები შეცვალეს.

თითქოს ბუნებაში უფრო სამართ-  
ლიანი, უფრო მიუყვარებელი საზო-  
მი გაჩნდა, ვიდრე განათლება, ვიდ-



რე ჩაცმა-დანურვა, ვიდრე იერარქია და ნიჭიერებაა. რალაც ნამდვილი და პირველყოფილი საზომი.

სხვის უპირატესობას რომ აღიარებ, ეს ალბათ, უკვე ნიშნავს შენს უპირატესობას, ეს ალბათ უკვე სანახევროდ მოგებული ბრძოლაა...

ბრძოლა...

ვინ იცის, ადამიანთა ურთიერთობა მართლა უპირატესობისათვის ბრძოლაა...

და იქნებ სწორედ ეს ბრძოლა არის წყველა და ვარდენ მექვებიშვილმა თავი დაიხსნა?

ამიტომ დაამყარა სასაფლაოზე სიკვდილ-სიცოცხლის პარმონია...

დააბიჯებენ ადამიანები ტროტუარზე და სახეზე არაფერი ეტყობათ.

სახეზე არც მე მეტყობა რამე.

სინამდვილეში ყველანი ბოლმითა ვართ სავსე.

ამიტომ ვერ დავფრინავთ.

ერთ მშვენიერ დღეს რომ ყველა დარდმა, რაც ოთხი მილიარდი კაცის გულშია ჩაბუღებული, უეცრად ამოხეთქოს, ქვეყნიერება წაილეკება.

დადიან და დადიან.

სახეზე არაფერი ეტყობათ. ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მიზანი აქვთ.

სახეზე მეც არაფერი მეტყობა. უცხო თვალისთვის მე ისეთი კაცი ვარ, რომელიც მცირე ხნით ჩამოჯდა მერხზე, რათა ცოტა დაისვენოს და ისევ გზას გაუდგეს.

გარეგნულად არავის ეტყობა რამე, ფორემ ზოგი რახანია მკვდარია. იმიტომ რომ ბიოლოგები ტყუიან. როდესაც ბიოლოგები სიცოცხლისა და სიკვდილის მეცნიერულად ახსნას ცდილობენ, ადამიანს ჭიკაყელისაგან არ განასხვავებენ. სინამდვილეში ტვინის მუშაობა არაფერ შუაშია. კაცის სიცოცხლე სიყვარულია და სიძულვილი. და როცა სიყვარულიც გაქრება და სიძულვილიც, რა გაცხოველებითაც არ უნდა მუშაობდეს ტვინი, კაცი უკვე მკვდარია.

ვზივარ მწვანე მერხზე მწვანე ხის ძირას და უაზროდ მივჩერებვივარ გამკვლეულთა გაფითრებულ სახეებს. და ყველაფერი სულ ერთია. გაფითრებული სახეებიც, მწვანე მერხიც, გარინდებული ქალაქიც და მკვდრისფერი ღამეც.

ერთმა გამვლელმა ტროტუარიდან გადმოუხვია და სკვერში შემოვიდა.

საშუალოზე მაღალი კაცი იყო, ქერა. თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და გულმოდგინედ დავარცხნილი. დიდი სათვალე ეკეთა და სუფთად და ღამაზად ეცვა. დაფიქრებული და სერიოზული გამონედვა ჰქონდა. მარჯვენა ხელი პატარა გოგოსთვის ჩაეჭიდა და მოჰყავდა.

გოგო მისი სრული ანტიპოდი იყო. თმაგაბურძენილი, მოთხუნული, პირდაუბანელი. ცხრა-ათი წლისა იქნებოდა. ნაოჭებიანი ფართხუნა კაბა კოჭებამდე ჩასთრევდა. აშკარად ეტყობოდა, სხვისი გამოწაცვანი უნდა ყოფილიყო. სახელოებიდან მარტო თითის წვერები მოუჩანდა. ფეხზე რალაც საშინაო წულების მაგვარი ეცვა, თხელ-ლანჩიანი, უქუსლო. წულებიც დიდები ჰქონდა და სიარულის დროს სასაცილოდ მოაფრატუნებდა. ბრიალა თვალებს ველურივით აცეცებდა.

ჩემს გვერდით დასხდნენ.

ცოტა ხანს ჩუმიდ იყვნენ. მერე გოგომ გულგრილად თქვა:

— ყველანი პატარა გოგოებს ირჩევენ.

— მე ყველა არა ვარ. — ასევე გულგრილად მიუგო კაცმა.

— აბა შენ ვინა ხარ?

— მე მე ვარ.

— დიდი ამბავი!.. — მერე უცებ დაინტერესდა. — რალა მე ამირჩიე! ნინიკო წაგეყვანა, ან ინგა. პატარებიც არიან და ღამაზებიც.

— შენ ყველაზე ღამაზი ხარ.

გოგო მკვეთრად მოტრიალდა კაცის-

ჯემალ შარჩხაძე  
მღვდელი



კენ და ეპკით შეხედა. კარგა ხანს თვალი არ მოუშორებია. მერე რაღაც უცნაური სიჭიუტით თქვა:

— ტყუილია.

— მართალია. — კაცი მშვიდად და უბრალოდ ლაპარაკობდა. თითქოს გოგოს დარწმუნებას სრულებით არ ცდილობდა.

— თინა მასწავლებელი სულ იმას მეუბნებოდა, შე მახინჯოო.

— ღმერთმა შეუნდოს თინა მასწავლებელს. შენ ყველაზე ლამაზი გოგო ხარ ამ ქვეყანაზე.

გოგომ თვალი მოაშორა კაცს და თავი ოდნავ ჩალუნა.

— სულ ერთია, პირს მაინც არ დავიბან.

— ნუ დაიბან.

— არც მამას დაგიძახებ.

— ნუ დამიძახებ.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. მერე:

— სათამაშოებს დავამტვრევ.

— დამტვრიე.

— წიგნებს დავხევე და ფურცლები-საგან მტრედებს გავაკეთებ.

— გააკეთე.

— მთელ სახლს ავურევ და ყველაფერს ყირაზე დავაყენებ.

— დააყენე.

გაჩუმდნენ. მერე გოგომ წყნარი, ფიქრიანი ხმით ჰკითხა:

— გაქვს სახლი?

— მაქვს.

და ისევ ჭიუტად:

— ყირაზე დავაყენებ.

— დააყენე.

— ცუდი გოგო ვიქნები. უზნეო და უზრდელო.

— უზნეო და უზრდელო შეიძლება იყო, მაგრამ ცუდი ვერ იქნები.

გოგომ ისევ შეხედა და ხმაში გაკვირვება დაეტყო:

— რატომ?

— იმიტომ რომ კარგი ხარ.

გაჩუმდნენ. გოგო ცოტა დაბნეული ჩანდა. ეტყობა, ვერაფრით ვერ დაუკავშირა „უზნეო და უზრდელო“ „კარგს“. ბოლოს ფიქრი მობეზრდა.

— მე ბიძიას დაგიძახებ.

— დამიძახე. მე ქეთინოს დაგიძახებ.

გოგოს გაუკვირდა.

— რატომ?

— იმიტომ რომ ქეთინოს დაგარქმევ.

— ქეთინო რომ არ მქვია?

— მე დაგარქმევ.

— რატომ?

— იმიტომ რომ ქეთინო ყველაზე ლამაზი სახელია. შენ კი ყველაზე ლამაზი გოგო ხარ.

— არაფერიც!

— შენ გაზაფხულის დედოფალი იქნები. იმიტომ რომ ქეთინოს გავხარ.

— რომელ ქეთინოს?

— იყო ერთი ლამაზი ქეთინო.

— მოკვდა?

— არა.

— აბა რატომ თქვი იყო?

— ისე.

გოგონა კვლავ დაიბნა. ვერ მიხვდა, თუ არ მომკვდარა, მაშ რატომ „იყო“.

— არ ვიქნები ქეთინო!

— იქნები. — კაცი მშვიდად ლაპარაკობდა. — ქეთინო იქნები, გაზაფხულის დედოფალი იქნები და დიდი ხანით მზეს ამოიყვან.

გოგო გამოცოცხლდა.

— მზეს როგორ ამოვიყვან?

— უბრალოდ. ღამე ტკბილად იძინებ, დილით კარგ ხასიათზე გაიღვიძებ, სწრაფად გადაიგდებ საბანს, ლოჯინიდან წამოფრინდები და ხალისიანად გაიცინებ. რაკი ლამაზი გოგო ლოჯინიდან სწრაფად წამოფრინდება და ხალისიანად გაიცინებს, მზეც ამოვა.

ამჯერად უფრო დიდხანს დუმდნენ. გოგო ფიქრობდა და თვალებს აღარ აცეცებდა.

— თუ არ გავიციან? — იკითხა ბოლოს. ხმაში ახლა სიჭიუტის მაგივრად ცოტა შიში ჩანდა.

— თუ არ გაიციან, არც მზე ამოვა.

გოგომ თავი ჩალუნა, მოიკუნტა, გაყუჩდა. ცოტა ხნის მერე ქურღულადა ახედა კაცს. კაცი მისკენ არ იყურებოდა. მაშინ ნელ-ნელა მოატრიალა სახე და თითქოს პირველად ხედავსო, ისე



დაუწყო თვალიერება. ბოლოს წყნარად ჰკითხა:

— მართლა ქეთინო მერქმევა?

— ჰო.

გაჩუმდნენ.

მე სიჩუმეს მივუგდე ყური და უეცრად, თითქოს გარედან შემომპაარესო, ტენიში გაჩნდა ფიქრა: „ეს კაცი კოტე ენუქიძეა“.

თავი მივაბრუნე და დავაკვირდი.

მან იგრძნო ჩემი მზერა და თვითონაც შემომხედა ერთი წამით. მერე ისევ ამარიდა თვალი.

შეკრძლი, სადაც ცოტა ხნის წინ შავი სიცარიელე იდგა, ახლა რაღაც გუგუნებდა და მძლავრად ფეთქავდა.

არ ვიცი, რატომ წამოვვარდი მერხიდან და რატომ გავეცალე ჩქარი ნაბიჯით იქაურობას. არც კაცს და არც გოგოს ჩემი ფიცხი და მოულოდნელი საქციელისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. გოგო ბავშვური ცნობისმოყვარეობით უყურებდა კაცს. ხოლო კაცი იჯდა მშვიდად და დაფიქრებული სახით გასცქეროდა სივრცეს.

ყურებში რაღაც წიოდა და თავში ფრანხებისა და სურათების ნაფლეთები დაფარფატებდნენ.

უკვე შორს ვიყავი, როცა მომაგონდა, რომ ნინელის დანახვაზე რაღაც გამოიკვირდა, მაგრამ მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. ახლალა მივხვდი, ნინელი ვერ ვიცანი. უბრალოდ, რაკი ეს მისი სახლი იყო. ამიტომ დავასკვენი, ნინელია-მეთქი.

მლაზიაშიც ტყუილად შევევარდი შეშინებულნი. სულაც არ იყო ვარდენ მეჭვავიშვილი ის, ვინც მე ვარდენ მეჭვავიშვილი მეგონა. ვილაც სხვა იყო, უცხო, უცნობი.

ფიქრების უკან რაღაც საშინელი გრძნობა იმალებოდა, რომელიც ჯერ არ შემოსულყო ცნობიერებაში. მაგრამ მისი ავი სუნთქვა უკვე მესმოდა და მეშინოდა.

აღმართს მივადწიე.

ავიარე.

გზაჯვარედინზე შევჩერდი.

და ის საშინელი გრძნობა, ფიქრებს რომ იყო ამოფარებული, ცნობიერებაში შემოვიდა.

მაცა!

რომც შემხვედროდა, ერთმანეთს ვერ ვიცნობდით. იქნებ შემხვდა კიდეც სადმე...

მუხლებმა მიმტყუნეს.

მთელ სხეულში საოცარი სისუსტე ვიგრძენი.

მარჯვნივ გავუხვიე, ჩემი ბუნაგისაკენ წავიდე.

მივლასლასებდი, როგორც ასი წლის მოხუცი, და მიკვირდა, რომ ჯერ კიდევ შემეძლო სიარული.

სადარბაზოში შევისვენე. კიბის მოაჯირს ჩავეკიდე.

მერე რამდენჯერმე კიბზეც შევისვენე.

კარი დეიდა მარიამმა გამიღო, უტყვი სახით შემათვლიერა თავით ფეხამდე და მითხრა, სადა ხარ აქამდე, რა ხანია გელოდებიანო.

დეიდა მარიამს შევხედე. რაღაც მოულოდნელი რომ იყო მის ნათქვამში, მხოლოდ იმას მივხვდი, მეტს ვერაფერს.

სამზარეულო გავიარე და ჩემი ოთახის კარი შევადე.

ის შუა ოთახში იჯდა სკამზე.

ჩემს დანახვაზე წამოდგა, პიჯაკის კალთები ორივე ხელით ჩამოიწია და ჩამოისწორა, წელში გაიშართა და თავაზიანად დამიყრა თავი.

მე ვუყურებდი. ფიქრები ჯერ კიდევ დაფანტული მქონდა. ცალი ხელით ღია კარს ვიყავი ჩაჭიდებული.

— ბოდიშს ვიხდი, რომ დაუკითხავად შემოვიჭერი, — მკაფიოდ ლაპარაკობდა, ნელა. — ჩვენმა ხელობა ისეთი გატაცება იცის, ზოგჯერ დადგენილ ნორმებს დაგარღვევინებს კაცს. — ამ სიტყვებით მომიახლოვდა და ხელი გამომიწორდა, მაგრამ, რაკი

შემხალ მარჩხამ  
მღამურია

არ ჩამოვართვი, უხერხულობის დასაფარავად პალსტუხი გაისწორა.

მე უხმოდ ჩავუარე გვერდით, ჩემი შავი კეზი მოვიხადე და საწოლზე დავაგდე მისი შავი კეპის გვერდით.

მან ხელები ზურგესუკან დაიწყო და ნელა მოტრიალდა ჩემკენ.

— კომპოზიციის შეკვრა მაქვს დავალებული, — ოდნავშესამჩნევად გაიღიმა. — ალბათ, გახსოვთ ჩემი პირველი დარბაზობა.

— მახსოვს, — ვუთხარი მე, სკამზე ჩამოვეჯექი და ფეხი ფეხზე შემოვიდე. — მაშინ რევერანსებს არ აკეთებდით და, საერთოდ, ნაკლებ დინჯი ჩანდით.

— სიღინჯე წლების მონაპოვარია, — ისევ ოდნავშესამჩნევად გაიღიმა. — მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ბევრი რამ ვნახე, ბევრი რამ გამოვცადე. დიდი გზა გავიარე. — ბოლთის ცემა შეწყვიტა. ჩემს წინ შეჩერდა. — თქვენც დიდი გზა გაიარეთ. დიდხანს იმტვრიეთ თავი. დიდხანს იჭყლიტეთ ტვინი. დასკვნა კი ვერ გააკეთეთ, — ჩემს პირდაპირ დაჯდა და თვალი თვალში გამიყარა. — იმიტომ რომ ღმერთმა ვერ გავიმართლათ იმედები. ღმერთი სადღაც უკან დარჩა, როგორც უიღბლო მორბენალი, რომელმაც შუა დისტანციაზე ფეხი იღრძო. სული ძველებურად საეჭვო ფენომენია. ერთადერთი რეალური ქვეყანა ეს ქვეყანაა. ერთადერთი სიცოცხლე დაბადებისა და სიკვდილის შემაერთებელი ხაზია. თქვენ ბევრი იხეტიალეთ ამქვეყნად ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, მაგრამ იმაზე უკეთესი ვერაფერი შეიძინეთ, რასაც მე ვთავაზობდით.

— სამაგიეროდ დავკარგე.

— დავარგვაც სიამოვნებაა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ შეძენა სჯობს. შეძენას სიამაყე ახლავს.

— სიამაყე ფუჭი ილუზია გამოდგა.

— სიამაყეს სარგებლობა მოაქვს. რასაც სარგებლობა მოაქვს, ის ფუჭი ილუზია არ შეიძლება იყოს. ფუჭი ილუზია იდეალიზმია. — მე მომავალი

რა თვალი და დედოფალ ნეტურტეტეს პორტრეტს ახედა. — ადამიანი, რომელიც ცილების, ცხიმებისა და შიგნეულობისაგან შედგება, ღვთაებრივი ვერ იქნება. ქალი, რომლის ქმარს საყვარელი ჰყავს, სუბტაყი ვერ იქნება. დედოფალი, რომელსაც ქვეშევრდომები ჰყავს, ამაღლებული ვერ იქნება. იდეალიზმი რეალურ სამყაროში თვითმკვლელობის ტოლია. ცხოვრება მისია, ვინც ოცნებას მოკლავს. თქვენ მწყერი ხართ, რომელმაც თითქოსდა ფრენა იცის, მაგრამ მინც მიწასა მილურსმნული, იმიტომ რომ საკუთარი სხეული ფანჯრიდან ვერ გადააგდეთ, რათა ამით სულის არსებობა შეგემოწმებინათ. კამეჩი კი იმითაა ბედნიერი, რომ გაფრენის პრეტენზია არა აქვს. ყვავილი და პური შეურიგებელი ცნებებია. თქვენ კი არც ერთი გეთმობათ და არც მეორე, იმიტომ მათ შორის მერყეობთ, როგორც რკინის ნაკერი ორ მაგნიტს შუა. თქვენ გშურთ სხვისი მანქანა და ამავე დროს ისიც გინდათ, რომ შურსაც და მანქანასაც ზემოდან დაჰყურებდეთ. ხომ არ ვცდები?

— სიმკაცრე კარგია, მაგრამ ძალიან ამარტივებთ.

— საფუძველი ყველაფერს მარტივი აქვს. ვეებერთელა მუხა სინამდვილეში პაწაწინტელა თესლია. ადამიანის მოცულობის უდიდესი ნაწილი სიცარიელეზე მოდის. გამარტივებაა ამოხსნის ერთადერთი გზა. რამდენჯერ წარმოგიდგენიათ თავი ახალთახალი მანქანის საჭესთან. ლალად და მხიარულად დაქრით აღმა-დაღმა. დედამიწის ყველა გზას ბორბლებქვეშ თელავთ. ხან მთისკენ გიჭირაუთ გეზი, ხან ტყისკენ, ხან ზღვისკენ. ქალბიციც გყავთ, მეგობრებიცა გყავთ, მოშურნეებიცა გყავთ. უმატებთ გაზს და ტელეგრაფის ბოძები უკან გარბიან. ვისაც გინდათ, დაიმგზავრებთ, ვისაც გინდათ, არ დაიმგზავრებთ. როცა გინდათ, გაჩერდებით, როცა გინდათ, წახვალთ. არასოდეს მოიწყენთ, არასოდეს დანადვლიანდებით. წუთისო-



ფელი მხიარულად და სიცილ-სიცილით გაიბრუნა. სიცოცხლის არსი ჯერ-ჯერობით ვერაინ ამოიციო. რა მალალმატერიებსაც არ უნდა წავეპოტინოთ, კაცმა არ იცის, უზენაესი მსაჯული მოგვიწონებს ასეთ საქციელს თუ დაგვიწუნებს. და რაკი არაფერი ვიცი, არა სჯობს ბარემ ის გავაკეთოთ, რასაც გული გვეუბნება და რაც სიამოვნებას გვანიჭებს? მით უმეტეს, რომ დედამიწა ისე მცირეა, სამყაროს გრანდოზულ ფონზე სრულებით არა ჩანს.. ასეთი ფიქრი, ასეთი ოცნება არაერთხელ დაუფლებია რკინის ნაკვერს, რომელიც ორ მავნიტს შუა მერყეობს, ხოლო ახალი აღთქმა ძირითადად იმით გაემიჯნა ძველს, რომ ქრისტემ ნაფიქრს ნამთქმედარის ძალა მიანიჭა. მოწყიდეთ თქვენი ილუზია.

მე უსიცოცხლო სხეულივით ვიდე სკამზე. რომელიდაც ნერვს კი მიღიზიანებდა ამ კაცის სიტყვები, მაგრამ გაღიზიანება დანარჩენ ნერვებს არ გადაედებოდა და იქვე კვდებოდა.

- რად გინდათ?
- კოლექციას ვაგროვებ.
- კოლექცია რაღად გინდათ?
- არაფრად. ბოლოს ცეცხლს წავეკიდებ და დავწვავ.
- წაიღეთ.
- რამდენად?
- მუქთად წაიღეთ. მაინც აღარ მჭირდება.
- მე პატროსანი ვაპარი ვარ. მუქთად არაფერი მიმაქვს, — აქ წამით დაფიქრდა. — კარგი, მაშინ მაქსიმუმს გადავიზიდ. — მაგიდის ქვეშეიდან პორთფელი გამოიღო, რომელიც აქამდე არ შემომჩნევია, გახსნა, დასტა-დასტად ამოალავა ფული და წინ დამიწყო. — ეს არის.
- იყოს.
- ერთი მანქანის ფულია.
- ასე ძვირი ღირს ილუზია?
- მე ამდენი ძიღირს. მაშ, შეიძლება შევუდგე საქმეს?
- შეუდექით.
- დედოფალ ნუფერტიტის სურათს მი-

აღვა და ერთხანს უყურა. მერე ტომდაც ხელები დაიკაპიწა. სურათი ფრთხილად ჩამოსხნა, პორთფელიდან გაზეთი ამოიღო და შიგ გაახვია. მე ვიჯექი და ვუყურებდი.

სურათი იღლიაში ამოიჩარა, პორთფელი აიღო, ოთახი დაკვირვებით მოათვალიერა. ბოლოს საწოლთან მივიდა.

- რომელია ჩემი ქული?
- არ ვიცი. ორივე წაიღეთ. მე არ მჭირდება.
- ორივე არც მე მჭირდება.
- ერთ-ერთი აიღო.
- მშვიდობით! — ხელი აღარ გამოუწოდებია.
- მშვიდობით.

გავიდა და კარი გაიხურა. ერთხანს უაზროდ ვიჯექი. მერე თანდათან ვივრძენი, რომ რაღაც მღიზიანებდა. რაღაც იყო ოთახში ისეთი, რასაც შეუჩვეველი ვიყავი და მაწუხებდა.

ბოლოს მივხვდი. ის ადგილი, სადაც დედოფალ ნუფერტიტის პორტრეტი ეკიდა, თეთრი იყო და მკვეთრად გამოირჩეოდა ჭუჭყიანი კედლის ფონზე.

ზურგი შევაქციე, მაგრამ მაინც მაწუხებდა, როგორც ლამფას შეაქცევ ზურგს, მაგრამ სინათლეს მაინც ვერ დააღწევ თავს.

მაშინ თვალები დავხუჭე და მგონი ჩამეძინა...

არ ვიცი, რა დრო გავიდა. დღეები, კვირეები, თვეები... იქნებ წლებიც. თუმცა ამას ალბათ აღარც ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან დრო თვითონაც მიხვდა, რომ აზრი დაკარგა. თვალი რომ გავახილე, პირველად ჩემს წინ დასტა-დასტად დალაგებული ფული დავინახე.

ერთხანს უაზროდ მივჩერებოდი, მერე საფერფლე და ასანთი მოვიჩოჩე. დასტიდან ერთი ცალი ასიგანცია ავი-

შემალ ძარჩხაძე  
მღვდელი



ღე, ორი თითით დავიჭირე და ქვემო-  
დან ცეცხლი მოვუკიდე. ნელ-ნელა იწ-  
ვოდა. მალე აღმა თითებამდე მიადწია.  
მაშინ ფულის ნარჩენი ფრთხილად  
ჩავდე საფერფლეში. როდესაც სულ  
ჩაიწვა, საფერფლე შევანჯღრიე და  
დასტიდან მეორე ასიგანცია ავიღე.

ღეიდა მარიაში შემოვიდა. ნელა  
მიხსურა კარი ზურგს უკან, თვი-  
თონ კართან შედგა და ხელები მკერდ-  
ზე დაიკრიფა.

იღგა ასე და ჩემს საქმიანობას უყუ-  
რებდა. არც ხმა ამოუღია, არც გან-  
ძრეულა.

საფერფლე რომ აიგოს, თვალით  
ახალ ქურჭელს დავუწყე ძებნა. ბე-  
დად, ჩემი შავი კები შევნიშნე. გამე-  
ხარდა. ავიღე, მაგიდაზე დავდე და სა-  
ფერფლე შიგ მოვაპირქვევე.

მერე ისევ განვაგრძე საქმე.

ღეიდა მარიაში იღგა გულზეხელებ-  
დაკრეფილი და უხმოდ ადევნებდა  
თვალს ჩემს საქმიანობას.

დიდხანს მოუწიდი, რადგან ფული  
ძალიან ბევრი იყო.

ბოლოს, როგორც იქნა, მოვრჩი, თი-  
თებიდან ფერფლი ჩამოვიბერტყე და  
წამოვდექი.

პიჯაკი ჩავიცვი, ოთახში მიმოვიხედე  
და კარისკენ წავედი.

ღეიდა მარიაში გვერდზე გადადგა  
ნაბიჯი და გზა დამითმო.

სამზარეულო გავიარე, შემოსასვ-  
ლელი გავიარე. გარეთ გავედი, ნელი  
ნაბიჯით ჩავუყევი კიბეს.

გვიანი იყო, ყველას ეძინა. ირგე-  
ლივ სამარისებური ღუმელი იღგა.

სადარბაზოს გავცდი.

ქუჩაში კაცის ქაჭანება არ იყო.

ლამის სიგრილე საამოდ მომედო სა-  
ხეზე.

მსუბუქად მივაბიჯებდი.

გზაჯვარედინზე ცოტა ხანს შევჩერ-  
დი.

მერე გზა განვაგრძე.

ნახევრად აშენებული საბავშვო ბა-  
ლი სიბნელეში ძველი ციხის ნანგრე-  
ვებს ჰგავდა.

ეზოში შევედი, შენობას ირგვლივ  
შემოვჯირკე, ბოლოს ქვაზე ჩამოვჯექი.

სიჩუმე იყო.

საშიში და საამო.

სიბნელე ყვავევით იჭდა ძველი ცი-  
ხე-სიმაგრის ნანგრევებზე.

ოღონდ თვითონ ნანგრევები არ  
იყო.

რალაც კი დაანგრიეს, რალაც კი და-  
შალეს და დააქუცმაცეს, მაგრამ კვა-  
ლი აღარსად დარჩენილა.

მერე სიბნელე ოდნავ შეინძრა. მისი  
სქელი და მკვრივი ფენები პაწაწა-  
ტელა სხივმა გამოარღვია და ყვავე-  
ლივით აღმოცენდა.

სხივის ყვაველი ზღაპრული იყო და  
ჯადოსნური სისწრაფით იზრდებოდა.

და განათდა სიბნელე.

მზე იყო ოქროსფერი და მცხუნვა-  
რე.

ცა იყო ლურჯი, ღრმა და კამკამა.

ნილოსი იწვა, როგორც ვეებერთელა  
ნაანგი, და ზანტად სუნთქავდა.

ხოლო ქვეყანა ჩვილ ყრმასავით მის-  
წოლოდა გვერდით და კრუტუნით  
წოვდა ძუძუს.

სინათლე იყო დიდი და თვალის-  
მომჭრელი.

ფერები — მკვეთრი და აუმიღვრე-  
ველი. შეუვალი და მიუკარებელი.

ცასა და ნილოსს ერთნაირი ფერი  
ჰქონდათ. თითქოს ცას ერთი ზოლი  
ააჭრეს და მიწაზე ნილოსად დააგეს.

სინათლე იყო დიდი და ჩახჩახა. მას-  
თან შედარებით სხვა სინათლე სიბნე-  
ლედ მოგჩვენებოდათ.

ოსტატს გული ზაგაბუგით უცემს.

არ იცის დაწყევლის თუ დალოცოს  
ის წუთი, როცა ბირველად მოჰკრა  
თვალი დედოფალს.

პოეტმა და ფარაონმა ახალი სატახ-  
ტო ქალაქი ააგო და ღმერთები გამოც-  
ვალა.

ენერგიული და ავადმყოფი.

ალბათ ავადმყოფური ენერგია.

სატახტო ქალაქზე და ღმერთებზე  
როგორ უნდა იფიქრო ასეთი დედოფ-  
ლის გვერდით.

ფარაონს უყვარს დედოფალი და  
ლექსებს უძღვნის. მაგრამ არ იცის ამ  
სიყვარულის ფასი, რადგან დედოფალი  
მას ეკუთვნის.

ოსტატს მხოლოდ ქვა ეკუთვნის და  
ქვის დედოფალი.

ისიც მალულად, ნაპარევად.

ხვალ ფარაონის კაცები მოვლენ.  
გრძნობს, რომ მოვლენ.

ქვას რომ ეხება, გული ისე უტემს,  
თითქოს ქვის დედოფალი ნამდვილი  
დედოფალი იყოს.

რატომაც არა!

ქვის დედოფალი შეიძლება ნამდ-  
ვილზე უფრო ნამდვილი იყოს.

დედოფალო!

ხვალ ფარაონის კაცები მოვლენ.

ფარაონის გული ხარბია. არც ქვას  
შეგარჩენს.

რა ნაზია, დედოფალო, შენი სული.

რა სპეტაკია, დედოფალო, შენი  
შუბლი.

რა ნატიფია, დედოფალო, შენი სახე.

რა სევდიანია, დედოფალო, შენი  
თვალები.

ქვის სული, ქვის შუბლი, ქვის სა-  
ხე, ქვის თვალები.

არც ქვას შეგარჩენს ფარაონი.

ოღონდ ოსტატმა არ იცის, როგორს  
თლის და როგორს აქანდაკებს.

ურყევად მხოლოდ თავისი სიყვარუ-  
ლი სწამს.

თუმცა სხვა რა უნდა გწამდეს ამ-  
ქვეყნად.

სიყვარული ააფეთქებს ნიქსს, შთა-  
გონებას გააღვივებს, მარჯვენას სიფა-  
ქიზესა და სიმტკიცეს შემატებს. სიყ-  
ვარული თვითონ გამოთლის და გამო-  
აქანდაკებს დედოფალს.

ხვალ ფარაონის კაცები მოვლენ.

ფარაონის კაცები ილუზიებზე ნადი-  
რობენ.

უნდა მოასწროს ოსტატმა. ოსტატი  
გადამალავს თავის სიყვარულს. მიწაში  
ჩაფლავს, როგორც ნაქურდალ საუნ-  
ჯეს. იქ ვერავინ მიაგნებს...

...ეტლით შემოგრიადონენ ფარაონის  
კაცები.

ცულდ. დროს მოვიდნენ ფარაონის კა-  
ცები.

ოსტატი დედოფლის ქანდაკებას მი-  
წას აყრიდაო!

მკრეხელობაო!

ავის მომასწავებელი ნიშანიაო!

ოსტატს თვალების დახუჭვის ეში-  
ნია. რადგან სინათლე დიდია და ჩახ-  
ჩახა.

თორემ სიკვდილი რა ბედენაა! ქვის  
დედოფალი ხომ დარჩა ქვეყანას?

პირზე ღიმილით მოკვდა ოსტატი.

მზე ოქროსფერია. სინათლე დიდია  
და ჩახჩახა.

ნილოსი წევს და ზანტად სუნთ-  
ქავს.

პალმები არ ირხევიან.

ქვის დედოფალი, ნატიფი და სევ-  
დიანი, ვარსკვლავების სიმაღლიდან  
დაჰყურებს ქვეყანას.

ცა ულურჯესი, ღრმა, კამკამა.

ღრო მყარი და უძრავი, მარადისო-  
ბის კედლებში მოქცეული.

გზა უსასრულო.

უსასრულობაში მიმავალი უძრაობა.

თხელი და სწორი მხრები, საოცარი,  
თითქმის არარსებული. თმა — ყოჩი-  
ვარდის თაიგულად შეკრული.

ნილოსი წევს, როგორც მთვლემარე  
ნიანგი.

მე ფართოეულის მალაზიიდან გით-  
ვალთვალებდი, დედოფალო, როდესაც  
რბილი, იმედიანი ნაბიჯით მიდიოდი  
აღმართში.

სიტყვიერადაც ხომ არაფერს დაამა-  
ტებთ მაშინდელ ღიმილს?

სიტყვა ვერ ახსნის ღიმილს, დედო-  
ფალო.

ოსტატი პირზე ღიმილით მოკვდა,  
რადგან იცოდა, რომ ქვის დედოფალი  
ნამდვილზე უფრო ნამდვილი იყო.

რა შეუვლელი რწმენა ახლდა შენს  
სიარულს!

ასე ხომ მთელ სუფთა ჰაერს მარტო

გეგმალ მარჩხაძე  
მღვმერი

თქვენ შეისუნთქავთ და სხვას აღარაფერს დაუტოვებთ.

მე თქვენ მიყვარხართ, დედოფალო, და ეს იქნება ბოლო ფრაზა, რომელსაც თქვენობით გეუბნებით.

ფეხსაცმლის კვინტი ამოღე უბი-რებდა ასფალტს აჩიჩქანს.

ჩანთა ორივე ხელით ჩაბღუჯული და მკერდზე მიკრული.

სახე სერიოზული და ცოტა გაბუ-ტული.

მხრები თხელი და სწორი.

მხრები. მხრები. მხრები.

ნუ მოიხედავ, დედოფალო. წაქცე-ული კაცი შესაბრალისია. სიბრალუ-ლი კი ზიზღზე უარესი ზიზღია.

დრო ხარბი და გაუმადლარია. დაუნ-დობლად ნთქავს ყველაფერს. პირა-მიდები კი რა უშიშრად შესცქერიან თვალებში.

წელსზევით შიშველ მონებს ბრინ-ჯაოსფერი დასდებიან.

შენი მუსიკალური დახასიათება...

მე ვერ ვიხსენებ, დედოფალო, შენს სახეს. ვიცი, შენი სახე ლამაზია და სხივმფენი. მაგრამ სიტყვები რის მაქ-ნისია! მე ვერ ვიხსენებ, დედოფალო, შენს სახეს.

მე სადღაც შეგვყოვნდი და გზა ამე-რია.

ჩემი ოთახი ახლა ცარიელია.

მე კი მეგონა, თქვენც გქონდათ რა-მე სახელი...

უცხო ხმაურმა გამომარკვია.

ყური მივუგდე.

ყრიაპული ისმოდა, თითქოს ქალაქში ყველა ბავშვმა ერთდროულად გაიღ-ვიძა.

გაკვირვებულნი წამოვდექი, ქუჩაში გავედი. გზაჯვარედინს მივაშურე.

ზემოთ, აღმართზე, მხიარული ყი-ვილ-ხივილით დაქროდნენ ბავშვები. უშიშრად დაქროდნენ ყინულზე და მღეროდნენ.

ტროტუარზე დავჯექი.

გაფაციცებულნი ვუყურებდი.

არც ერთი არ დაცემულა.

მღეროდნენ.

მაშ მე რაღა დამემართა-მეთქი, გა-ვიფიქრე და რაღაცა გამიკვირდა. დიდხანს ვიჯექი, დიდხანს ვუყუ-რებდი.

არც ერთი არ დაცემულა.

იქნებ, რომ გაიზრდებიან, არც მერე დაეცნენ-მეთქი, გავიფიქრე და ისევ გამიკვირდა რაღაცა.

სიმღერა თანდათან გაიზარდა და მთელ ქალაქს მოედო.

ქალაქი ისე გუგუნებდა, ღმერთებ-საც კი გაეღვიძათ.

ხოლო ძარღვმაგარი ბიჭები, წელს-ზევით შიშველები და ბრინჯაოსფერები, საბავშვო ბალებს აშენებდნენ.

ბევრს.

და უცებ მიყურდა ყოველივე. გაქრნენ ბავშვები. შეწყდა სიმღერა. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. თით-ქოს სამყარო გაიტრუნა. სამყარომ სუნთქვა შეიკრა.

და ამ დროს მუსიკასავით გაისმა.

თავიდან მართლა მუსიკა მეგონა.

რბილი, მშვიდი, მსუბუქი.

ნაბიჯის ხმაო, ვიღაცამ თქვა ჩემს სხეულში.

ნაბიჯის ხმა იყო.

რბილი, მშვიდი, იმედიანი.

მოახლოვდა.

მოახლოვდა.

მოახლოვდა.

შეწყდა.

— მაკა! — იკივლა ვიღაცამ სულში.

მაგრამ დუმილი არ დაურღვევია ამ კვილის.

ზურგშექცევით ვიჯექი, თვალებდა-ხუჭული.

მინც ვიგრძენი, როგორ აიწია ხე-ლი, როგორ წამოვიდა ჩემკენ. მხარზე რომ შემეხო, დენმა დამკრა.

მხარი ცახცახებდა.

თვალდახუჭული ვიჯექი.

გული შეპყრობილი ნადირივით აწ-ყდებოდა გალიის კედლებს. პულსს თვლა არ ჰქონდა.

თვალდახუჭული ვიჯექი.

ბოლოს სამყაროს უცხო სიჩუმეში



შინაურულად, როგორც უახლოესი ნათესავი, შემოვიდა ხმა.

— ისევ აქ ზიხარ.

არც შევითხვა, არც გავვირევა, არც საყვედური.

არაფერი.

რბილმა, მშვიდმა, მოღუღუნე ხმამ ისე წყნარად და უშფოთველად გადაიარა, თითქოს არავის ეკუთვნოდა.

თვალი გავახილე. მიხედვით არ მიმიხედავს.

— გახსოვს, ერთხელ რომ მაკოცე?

— ოჰ! — ხელი შეკრთა ჩემს მხარზე.

ვიგრძენი, რომ სიწითლემ გადაკრა, და მძლავრად, მთელი არსებით გავიფიქრე:

„ღმერთო! ღმერთო! არ გააქრო ეს წამი! არ მომისპო ეს წამი!“

შერე უცებ შიშმა შემბიჟრო.

— გებრალეები?

— არა.

რა სიმშვიდეა, დედოფალო, შენს ხმაში!

მიხვდის, „არა“ რომ მითხრა, თან თავი გაიქნია.

— მადლობელი ვარ. შებრალემა საშინელი შეურაცხყოფაა.

— ვიცოდი, რომ აქ დაბრუნდებოდი.

შეკრთი.

— მე არ ვიცოდი. როცა ვბრუნდებოდი, მაშინაც არ ვიცოდა.

— მე ვიცოდი.

ლოყა შემეხო თმაზე.

ისევ დავხუჭე თვალები.

ისევ გავახილე.

მიეტრიალდი და წამოვდექი.

იღიმებოდა.

არა. ცრემლი არ უქიაფებდა თვალებში. მხოლოდ იღიმებოდა და ღიმილი ანათებდა ღამეს.

აკანკალებული ხელები თავზე შემოვაჭდე და მისი სახე მკერდზე მივიკაირი.

— რამდენი ტანჯვა გავიარე. სანამ გიპოვიდი. ჩემი სხეული კრილობებითა დასერილი. ზოგ კრილობას შეც-

დომა ჰქვია, ზოგს შეცოდება, ზოგს სიბეცე, ზოგს სულმოკლეობა, ზოგს სასოწარკვეთა, ზოგს სილაჩრე, ზოგს უმადურობა, ზოგს დაცემა, ზოგს მონობა, ზოგს ღლატი... რამდენჯერ დავბერდი, რამდენჯერ დავმარცხდი, რამდენჯერ დამავიწყდი და რამდენჯერ გამახსენდი. სად არ ვინებიალე, რა არ ვნახე, რა არ გამოვცადე. ხელფხვს შეკრულიც ვიყავი, შეჩვენებულიც ვიყავი, სხვისი შემყურეც ვიყავი, იმედგადაწყვეტილიც ვიყავი. დიღეგის გემოც გავიგე, ჭაობის სუნიც გამოვცადე. ვის არ გავუბრყვიებია, ვის არ მოვუტყუებია, ვის არ დაუფონებია. მაინც ყველას ვუღალატე. მაგრამ ღლატი მაცთური ყოფილა. საკუთარ თავსაც ვუღალატე და მოღალატე შევიქენი. ამის გამო მუდამ მეზიზღებოდა ჩემი თავი. ვგრძნობდი, როგორ ვიხრწნებოდი, და მუდამ მეზიზღებოდა ჩემი თავი. მაგრამ მოღალატე მხოლოდ სხეული იყო. სული კი ყოველთვის შენკენ მოისწრაფოდა. სხეულის სიმძიმეს ვერ ერეოდა და ამიტომ ვერ მოაღწია შენამდე. სად არ ვიყავი! ცეცხლიც გამოვიარე, წყალიც გამოვიარე, ლაფიც გამოვიარე. ციცაბო აღმართიც ბევრი შემხვდა, დაკიდებული თავდაღმართიც, ცეცხლმოდებული უდაბნოც და გაუვალი ტყეც. ყველაფერი შემხვდა, ყველაფერი ვნახე. უკვდავი ღმერთებიც ვნახე, ხან მოლიმარე, ხან პირგამეხებელი. ის კაციც ვნახე, ვინც საკუთარი თავი უფრო იწამა, ვიდრე ყოვლისშემძლე ღმერთები. ის კაციც ვნახე, ვინც უკვდავების საქებნელად მთელი ქვეყანა შემოიარა და სიცოცხლე შეუმჩნევლად შემოაცვდა ხელში. გონიერების უგუნურობაც ვნახე და უგუნურობის გონიერებაც. ვნახე, როგორ იშლებოდა მთელი ნაწილებად და რაოდენი თავგანწირულობით ისწრაფოდა ნაწილი მთელისაკენ. რამდენჯერ ამებნა

ჯეჟალ ძარჩხამაძე  
მღვდელი

გზა. რამდენჯერ მიმოვიხედე შეშინებულმა და, სადა ვარ-მეთქი, ჩემს თავს ვკითხე. ყოველთვის „სხვაგან“ მერჩივნა ყოფნა და ყოველთვის ვავრბოდი. ბოლოს მაინც აქ დავბრუნდი; დაღლილი და იმედგადაწურული. და უცებ ჩემს არსებაში ამღვრებული ბავშვები შემოვიდნენ და მანუგეშეს. და მივხვდი, რომ მე მუდამ მეომარი და მიჯნური ვიყავი. და უხსოვარი დროიდან ხმლით ვიკაფავდი გზას შენკენ. მაგრამ სულში მოლაღატე მეჭდა და შხამს მაწვეთებდა. გზას მიბნევიდა. მაცთუნებდა, ხმალს მიჩლუნგებდა. ხან ვაჭრად მაქცია, ხან მათხოვრად, ხან გულხარბად და შურიანად. და დროდადრო მავიწყდებოდა, რომ ჩემი სიცოცხლე შენი ძებნა იყო. ამიტომ გიპოვე გვიან. ბოლოს მოვკალი მოლაღატე, მაგრამ ის კი აღარ ვიცი, მე თვითონ გადავრჩი თუ არა ცოცხალი. ყველაფერი გამოვცადე და ბევრ რამეს მივხვდი. დაგვიანებული მიხვედრა მძიმეა და მტკივნეული, მაგრამ ცუდი მაგალითიც ხომ ისეთივე კარგი მაგალითია, როგორც კარგი მაგალითი. შესაძლებელია, კაცის ცხოვრება ცხოვრება კი არაა, მიჯნაა. ამიტომაც ახლავს ამდენი ტკივილი. მაგრამ ეს მიჯნა მაინც ჩვენი ცხოვრება ყოფილა. თურმე ყოველი კაცი წინაპართა ბოლო წერტილია და ეს წერტილი ისე უნდა დაისვას, რომ კარგად დააჩნდეს... რა გვიან ვიპოვე! რა ცარიელი შეეხვდი მზის ამოსვლას. მოლაღატეც მოვკალი, ვაჭარიც, მათხოვარიც, ხარბიც და მონაც. ახლა მხოლოდ მეომარი ვარ და მიჯნური. მაგრამ დავიგვიანე, რადგან შენ წახვედი, გაჭრი, ოცნებად იქეცი... როგორ მიყვარდი და როგორ დავკარგე! მე მაშინ დავკარგე, როცა მონუსხულვით ვიმეორებდი. ხვალ გვიან იქნება-მეთქი, და ადგილიდან კი არ ვიძროდი. შენ გაზაფხული იყავი. ვაზაფხულის დღესასწაული. ვარდებით მოფენილი მდელო, სიზმარი, როცა დაფრინავ და იზრდები. მე მივატრევე

გაზაფხულის დღესასწაული და რთველში წავედი, გაშლილ სუფრას ვაჯექი, დავთვერი და, როცა გამოვფხიზლდი, ვივარძენი, რომ სიცარიელე გველივით დაძვრებოდა სხეულში და გაზაფხული მზესავით ჩავიდა. მაკა! მაკა! მაკა! სად ხარ, მაკა!

ბავშვები შეირხა ჩემს მკერდთან და გულში წყნარად ჩამჩურჩულა:  
— ყველგან.  
უცებ მომეჩვენა, თითქოს მხრები აუთრთოლდა, და შიშმა შემძრა.  
— მაკა!

თავი გადავუწიე, თვალეში ჩაეხედე.

— ნუ გეშინია, არ ვიტყვებ, — წყნარად მითხრა. იღიმებოდა და ღემეს ანათებდა.

— არ იტირო. — მეც გავიღიე, მაგრამ ჩემი ღიმილი მისი ღიმილის სინათლეში უკვალოდ იკარგებოდა.

— სადღაც ავციდით ერთმანეთს დახლართულ ლაბირინთში და სხვადასხვა სივრცეში მოვხვდით. ეტყობა, ადამიანური ხეუთი გრძნობა საკმარისი არაა იმისათვის, რომ ერთმანეთის სივრცეს მივავნოთ.

ხელები ხელებში ჩამეკიდა. თვალი თვალში გამიყარა. უკან-უკან წავიდა. სანამ მკლავების სივრცე გვეყო, ხელები არ გაუშვია. ნელ-ნელა მიიწივდა უკან. ბოლოს გამიშვა. მე ვიდექი ხელებგაწვდილი და თვალეში ვუყურებდი. ისიც თვალეში მიყურებდა და უკან-უკან მიდიოდა. მერე მსუბუქად ასცდა მიწას, ჰაერში ავიდა. თეთრი კაბა ეცვა. მიდიოდა შორს და მალე. მე ვიდექი ხელებგაწვდილი. ის მშორდებოდა და უკვე აღარ იყო მაკა. თეთრი სინათლე იყო, რომელიც მალე იწივდა. თანდათან იზრდებოდა და ცას გათენებდასავით ეფინებოდა. ცის კიდეს რომ მიადწია, მზის შუქს შეერია...

მე ვიდექი ხელებგაწვდილი და მზეს მონუსხული შევცქეროდი...

## ბალადა სერჟანტზე

შენ გახსოვს, შენ გახსოვს მრავალი, მრავალი, —  
სახელი რომ ჰპოვა გმირული დაცემით.  
შენ გახსოვს სანგართან სულამომავალი  
სერჟანტი და გვერდით სხვა ჯარისკაცები.

შენ ამას ფიქრშიაც როგორ გაივლებდი,  
გული გაგინათდა უეცარ ნუგეშით:  
იცანი, იცანი ის ერთი ბილეთი,  
მომაკვდავ სერჟანტს რომ უნახეს უბეში.

თითქოს სხვას ყველაფერს დაესვა წერტილი,  
ცვრები მოაკმიეს ლორთქო ბალახებმა.  
გული აფართქალდა ტყვიით გახვრეტილი,  
უბე ნაგუბარმა სისხლმა გადაღება.

თხემიდან ღრუბელი თხრილს შემოებოლა,  
ბალახი შეაღებო და შეაფოფინა.  
პირველად სერჟანტი შენ ბავშვი გვეგონა...  
რა გული ჰქონია, როგორი ყოფილა!..

სისხლი წვეთწვეთობით ფურცლებს შეუშვრია  
ვინა თქვა, კვამლი და ჭვარტლი დაახრჩობდა.  
ნახე, ის ბილეთი დღეს მუხეუმშია  
და შუქი ამოდის მოოქრულ ჩარჩოდან

გაკრთება დილა და ყოველგვარ ჩრდილებს შლის,  
მინებში, კედლებზე სინაზე, სინაზე...  
და ცოცხლობს სერჟანტი პარტიულ ბილეთში  
სადღაც შორს დამალულ ფაშისტის ჯინაზე.

დავყურებთ, დავყურებთ თრთოლვით, მღელვარებით  
და ხშირად ცრემლები თვალებს ასველებენ.  
დადიან, დადიან უცნობი გვარები  
და ნაცნობ საქმეებს ახლა გვახსენებენ.

ფიქრები აწეწვას ველარ გაარიდონ —  
ყინვისგან დამზრალი, ქარისგან ნაცემი.  
შენ გინდა სერჟანტი ადიდო, ადიდო,  
და კვლავ გაიგონო ხმა ჯარისკაცების.



აღარ ღირს დასადენ ცრემლებს და მცვრევა,  
სტრიქონში განათდეს თუნდ სხივით მცირეთიც:  
ათასი სერჟანტის ბრძოლა და დაცემა  
და გზები გავლილი — ლენინის ბილეთით.

სახელი სიცოცხლეს უკმად არ უცდიდა —  
გრუსუნით წამოვა და თვალწინ გადივლის.  
მერე რა, მერე რა! ყვითელი ფურცლიდან,  
თუ ზოგჯერ სხვად მოჩანს ცხოვრება ნამდვილი.

დროა გზა სავალი სხვებსაც დაუმარჯონ,  
მზე სხივს, სულერთია, მაინც შეიერთებს.  
უწიგნოდ დარჩენილ გმირებს გაუმარჯოს  
და სისხლით შეღებილ პარტიულ ბილეთებს!

იდექ და იარე შენს დედულ-მამულში  
და სადაც წახვიდე, მუდამ ხელს გიწვდიდეს —  
ეს შენი იმედი, სინდისი, ნამუსი  
და გამოტანჯული დღეების სიწმინდე.

რას ჰქვია დუმბილი და შავი არშია!  
გახედე, როგორი გზებით ვიფონებით!  
ბრძოლაში დაცემულ ბიჭების ვალშია  
აქამდე უთქმელი ჩვენი სტრიქონები.

ვიცხოვრებთ, ვიცოცხლებთ უთვლელი წლის მერეც  
და როსმე თუ ზეცა ღრუბელს გამოირევს,  
ამ წითელ ბილეთებს უბეში ისევე  
ჩაფუთნით, ვით დროშებს ბრძოლაგამოვლილებს.



# ს ი კ ვ დ ი ლ ი

ოთახში შინაურები დარჩნენ: შეიღებია—მათე და ვასო, შეიღოშვილები — კახა და გოდერძი, და შაქრო—კახას პაპის ცოლისძმა. შაქრო გულჩვილი მოხუცი გახლდათ, წამდაუწუმ აწ გარდაცვლილი სიძის ცვილისფერ, დამქნარ სახეს დახედავდა და წამოიტირებდა: ვაი შენ, ჩემო საყვარელო დაო და ვაი შენს საყვარელ ქმარსა... მოდის შენთანა, ჩემო თეო... მოდის შენთანა შენი ლევანი... ვაი თქვენს ფუძესა და ჭილაგასა... ვაი ჩემს თავსაცა უბედურსა... კახამ მამას შეხედა და უკმაყოფილოდ აიჩქრა მხრები. მამამ დამწუხრებულნი თვალები დახარა და თავი დაუქნია. კახამ მოხუცს მკლავი გამოხდო და კარისკენ წაიყვანა. — არა, თავი ნუ მამიყვდება... რას ამბობთ... ესეღა შემოძლიან გაუკეთო და... — რამდენჯერმე გაიმეორა მოხუცმა, კახას მკლავი მოიშორა და კუბოსკენ წავიდა. თან თავისთვის ისევ იმეორებდა, „რას ამბობთ... რას ამბობთ...“ და ასე ისმოდა: „რას ამოფხო... რას ამოფხო...“

კუბო ასწიეს. სამგზის დააბრუნეს, სამგზის კარებს აჯახეს. აივანზე გამოიტანეს, ცა დაანახეს და კიბეზე დაეშენენ. ეზო სახვე იყო ხალხით, ეზოს წინ ქუჩისპირიც — სახვე. კუბო ქუჩაში გაიტანეს და ნათესაოღაც მოჭარდა, კუბოს სახელურებს ეპოტინებოდნენ, შეცვალებს შინაურები. გოდერძი გაიოტდა მხოლოდ: ჭერ მე უნდა ვატაროო კიდევ. პროცესია შეჩვევდა, ამოძრავდა და დალაგდა. პროცესიარაღაც უცნაური ხმაურით ხმაურობდა: თითქოს ცდილობდნენ არ ეხმაურათ, მაგრამ ხანდახან ისეთი ისტერიული სიცილი გაკრთებია მსველელების რომელიმე ნაწილში, რომ წინ მიმავალნი უკან იხედებოდნენ და ამბობდნენ: კარგით, ცოტა შეიკავეთ თავი, ჭორწილში ხომ არა ხართ, კაცი მოკვდა ბოლოს და ბოლოს... დღე იყო მოქუფრული, წინა დღის ნაწივმარო, ნაპირბლანესტიანებულ ასფალტის წარაზე მუქი ფერის მანა გაიწილა—თითქოს სადღაც მრავალდენა მიღოდა და წინ თელის კუბო-

ჩალისფერი ხის ვიწრო და გრძელი თავი აუწვიო. მრავალფენას თავში კახას უოფილი პაპა იწვა, ლევანი. ნაცრისფერი კოსტიუმით შემოსილი სანთლისფერი სხეული საიდანღაც, ქვევიდან და შორიდან ამოკრათ უზარმაზარი ღამის ტუვიისფერად განათებულ მუცელზე და საკუთარი ვარსკვლავის წიაღს უბრუნებდნენ.

— ჩვენი ხალხი ვართ რაღა — მიუახლოვდა კახას ბიძას დაბალი კაცი გერმანე. გერმანეს საოცრად მოკლე, მაგრამ მისთვის მაინც ზომაზე მეტად სრული, მუქი ლურჯი კოსტიუმი ეცვა, თავზე შავი კეპი ეხურა და ჩაგორგომიქვლებულ გავაზე თითისტოლა მკლავები შემოეწყო გაქირვებით. კახას ბიძა, მაღალი, ხშელი კაცი ქალაქგარეთა დიდი საწარმოს დირექტორი გახლდათ. გერმანე — მისი მარჯვენა ხელი, საწარმოს ღინანსთა გამგე და გამრიგე. ამ მწუხარე დღეებში გერმანეს შავი ვოლგა არ მოსცილებია ეზოს კარს. თავის უფროსს ახალი, შავი კოსტიუმიც მოართვა საგანგებოდ დასაფლავების დღისთვის. თავგამოდებით ტრიალებდა—მან მოიტანა შავი ხიზილალა და მოყვითალო-მოვარდისფრო ზურგიელი, მანვე მოიყვანა თეთრი ცხვარი და წითელი ბოჩოლა, ლეგორნის ჭიშის ქთმები. — კიდევ რამე თუ გინდა, ლევანი, არ მოგერიდოს, არ მოგერიდოს, თორემ მეწყინება. მის მიერ წარმოთქმული „ლევანი“-ძალიან საზეიმოდ მწუხარედ და ისტერიულად სასაცილოდ ისმოდა.

ნათესაობამ უკვე ყველაფერი შეაფასა და სცნო: ვასილ ლევანიჩმა უფრო მეტი პატივი სცა მამას, ვიდრე ლევანის უფროსმა შვილმა, კახას მამამ, ისტორიის მასწავლებელმა, პატივცემულმა მათემ. მათემ ის შემლო მხოლოდ, ასი ლიტრა ქარხნის ღვინო ეშოვა და შეეკეთა — თელის კუბო — ჩალისფერი ხის ვიწრო და გრძელი ყუთი. მაგრამ ბევრმა არ იცოდა — და ეს იცოდა გერმანემ—ვინ იყო. ყველაფრის თავიდათავი, ბევრჯერ ჩაუცინა



მრავალმნიშვნელოვან დაბალმა გერმანემ თავის პირად მძღოლს და შორეულ ნათესავს, ლეოპოლდს—ქაბუჯი იოსებვით პირმშვენიერ, უღვაშებკოცხა ყმაწვილს და ყმაწვილმაც ჩაუციცა საპასუხოდ, თან ფაქრობდა: „ილუზიონისტ, ზავის, სლუში... ვსო პანიმატ... ვსო ზნაეტ...“ გერმანემ მართლაც ბუკრია ამ იცოდა.

— ჩვენც ხალხი ვართ-მეთქი, რაღა, ლევანჩი... თაფლის სანთელივით ქარში ვკიდევართ...

— და, და... ნე დაი ბო... — სხვათაშორის ჩაილაპარაკა ვასომ; მას ახლა არ ეცვალა დაბალი გერმანის თავმომადგენლები, აღმოსავლური ფარჩა-ხალიჩა მეტყველებისთვის. ახლა ვასო ისეთ ევროპულ, ნისლიან განწყობილგაზე გახლდათ, ჩრდილოეთის შვილს, დანიის მეფისწულს, ყოფდა თუ არ ყოფნაო, რომ ათქმევინა. კახამ რაღაცა იგრძნო— ბაყალივით ლიბა, მწვანე და მურალი, ზიზლით გაიხედა ბიძამისის მოადგილისკენ და გვერდში ამოშდგარ ბავშვობის მეგობარს გადაუღალაპარაკა: უოლნიუსი. პირველი პირი სასახლეში...

— ხო, ხო... ისე შეპყენინებს ბიძაშენს, როგორც თეთრი ბატი რომის კედელს. — არ დააყვანა საპასუხო ერთუდიციის გამოუღღავენება კახას ბავშვობის მეგობარმა, მექანიკური ქარხნის მოწინავე ქვეოსტატმა სიმონმა. სიმონს ახლთახალი „ჟიგული“ ჰყავდა — 011, სპორტლოტოში მოგებული თანხით შეიძინა და ახლა იშვიათადღა სვდებოდა მეგობრებს, მთელ თავისუფალ დროს ოჯახისთვის იყენებდა — ცოლსა და ბავშვებს ასეირნებდა ქალაქის შემოგარენში.

ქუჩის ბოლოში ავტობუსი დახვდათ. კუბო შავ ხავერდგადაფარებულ ხატვირთო მანქანაზე დაუდეს და მუქი ფერის მრავალფეხა ავტობუსმა შეიწოვა. კახა, კახას დედა, მამა და შაქრო, სიმონს ჩაუსხდნენ ახლთახალ, უვითელ „ჟიგულში“. გოდერძი ავტობუსში ავიდა და მამამისმა, რომელიც გერმანის შავ ვოლგაში გამოიჭიმა წინა სავარძელზე, ცოლს ლომით ჩაუბუხუნა: ჩვენთან არ კადრულოვბს მგზავრობას ძაღლისდეკვი!

— კარგი ერთი, ლევანჩი... უველაფერს ევრე გულით კი არ უნდა შეხედე. ახლგაზრდაა, გაუფლის... გამოიყენა მოადგილის უფლებმა გერმანემ და უფროსის მეუღლეს ნუგეშონად გაუღიმა. იგი მანქანაშიც ძალანა პატარა ჩანდა—ჩიხნური სათამაშო უფუფრეა დათვივით სავარძლად მობღუნებული და კეთილი. ხელში თითქმის თავისივე ტოლი ბორჯომის ბოთლი ეჭირა და უფროსს სთავაზობდა, უფროსის მეუღლის გვერდით წამოსკულებული, სახემოწითალო, კოტიბა თითოვით დამრგვალებული, კაკოსფრად დაპირფული, მშვიდად მოდიმარია.

საფლავი სასაფლაოს საუკეთესო ადგილას გაქურათ—შავი მარმარილოს უზარმაზარი ლოდების, თეთრი მარმარილოს მტრედების, რკი-

ნა ბეტონისა და გრანიტის სტელების და ძველი, ზავსმოღებული ქვის საფლავების ცხელი რში, დანგრეულ ეკლესიასთან, დიდი კვიპაროსის ძირში, პატარა ბექოზე. მუქი ფერის მრავალფეხას ვნა დაესრულებინა, დამრგვალებულიყო, წირედ ჰცეუდიყო, ჩაიხსტერი თავს შეაში მოქცია—ლევანის სამართა პირას მიედ... და სიმონის, სპორტლოტოში მოგებული თანხით შექმნილ, ახლთახალ, უვითელი „ჟიგულ 011“-ს აკუმულატორზე შეერთებულ მაგისტროფონის მიხს გაუჩრებოდა. კუბოს თავით შეიღებდა დაღვენ—ლევანის ძენი, ვასო და მათე-მათეს წინ, მუცელთან დაეკრთა ხელები, ვასოს — უკან, გავაზე. შაქროს სანოვავის კალათა ეცავა ხელში, კალათიდან მწვანე ბოთლს ამოყო თავი, მესაფლავებს ებასებოდა შაქრო დინჯად და სხადაბლა: გაძვირებულა ცაცო, გაძვირებულა...

— მასა, მასა, სენთან წირიბეი, შვენმა ხე-ზენიმ ფეხი დაარბიჯა ერთი ადგილზე, ამს ასი თუშნი აძლიოთ ვერა არა წაიდეი —... გაურკვეველი წარმომოსის, გამხდარი და კისერბობ-ღრეცელი მესაფლავე პაპუთა ცხვირის ისრესდა და საქმიანად მიჩრებოდა სანოვავის კალათას. მერე, როცა ეს მესაფლავე და მისი კალეგა სამარის თავში და ბოლოში დაღვენს, სახურავ დაქედებულ კუბოს მსხვილი თოკი ამოუყარეს და ნელა დაუწვეს ფსერზე, პაპუთა მესაფლავე გადაიხარა, ზვანჭრიდან ჭარბსკაციური, გახუნებული კიტელის ბოლო ამოეჩარა და არაბუნებრივად, თეთრი, წვრილწითელწისწკლედა-ურილი ზურგი გამოჩინდა. დედის და ბიცოლას შორის ჩამდგარმა კახამ თვლით აარიდა მესაფლავეს ზურგს. მერეა ქალაქში განთქმული, გერმანული ექიმის, ძველი კოლონიისტი, ვოლფგანგ კოხის საფლავს გაუშტერა: თეთრი მარმარილოს ჭვარი იყო აღმართული გრანიტის პოსტამენტზე და ჭვრის უკან თეთრი მარმარილოსავე, მარჯვენა ფრთა და თავმოგლეჯილი ანგელოსი იდგა. გვერდით მეუღლის საფლავის ქვაც მოჩანდა. მეუღლემ ერთ დროს ბრწყინვალე თავადის ქალმა, ფრანგული ენის მასწავლებელმა, კიდევ დიდხანს იცოცხლა ქმრის სიკვდილის შემდეგ და თუ მისი საფლავი შედარებით უბრალო იყო, ვიდრე განთქმული ქმრისა, მაინც ღირსეულად და სველიანად გამოიყურებოდა: ლამბადორიტის მომცრო, მთლიურ-გიშრისფერ ფილაზე ჩიხტაკოპიანი, სახედანაოქებელი ქალის პორტრეტი ამოხატათ თეთრი წიწკლებით და პორტრეტის ფოტოგრაფიული სიზუსტე რაღაც მოკრძალებულ, მაგრამ ორპროვან გრძნობას იწვევდა. გოდერძი ექიმისა და მისი მეუღლის საფლავების გასწვრივ იდგა. იდაყვით ვანგინი რკინის წვეტებიან მსეტეს ჩამოურდობოდა და თავგაღუნული ამოღებდა პაპიროსს. „პაპის ნებერი, — გაიფიქრა კახამ, — ვინღა





მისცემს ახლა საკუთარ პენსიას... რა პაპა და-  
 კარგა... წლების განმავლობაში გამოუმუშავ-  
 და -კახს რაღაც გაურკვევლად ყნობი და  
 მტრული გრძნობა თავისი სახელგანი ბიძის  
 და განვივრებული ბიძაშვილის მიმართ. „პმ.  
 ბედისა და პაპის ნებობა...“ კახს ახლა ნათე-  
 საურ ანტიპათიის მამაშისის მოკრძალებული  
 შემგუბნობა და უსიტყვო მორჩილებაც აძ-  
 ლევდა დამატებით სხაბს, რაც მშების ყოველ  
 შეხვედრისას, ყოველ საუბარში ასე აშკარად  
 ხვდებოდა თვალში და მის თავმოყვარეობას  
 უანგივით ხრავდა და აწიშვლევდა. თუმცა  
 გოდერძი არ იყო ურიგო ბიჭი; ბევრი მეგო-  
 ბარი ჰყავდა, მეგობრებს უყვარდათ და ამას  
 კახაც აღიარებდა. განუწყვეტლივ ოპოზიცია-  
 ში ედგა მამაშისის ძლიერი, გამარჯვებული  
 კაცის ბღენძ-მეშჩანურ ფილოსოფიას. გოდერ-  
 ძი თბილისში ცხოვრობდა და მგონი ხატავდა  
 კიდევ... სამსახურს წამდაუწყებლად თავს ანებებ-  
 და და მგონი ანახსაც ეწეოდა ჩუმჩუმად...  
 ეს უჭვი მამაშინ დებდა კახს, როდესაც ბავ-  
 შვობის მეგობარმა, მექანიკური ქარხნის მო-  
 წინავე ქვეოსტატმა სიმონმა უნაშო, თუ რო-  
 გორ ნახა ქალაქის პარკის ბოლოში გოდერძი,  
 გარკი და „ტამანგო“ — ანგელა კაცებს ილ-  
 ლიაში შვიც პურები ამოუჩარათ, კაკალს აუ-  
 რიენებდნენ და გამგებლები ქაბდენო, გა-  
 რიკას და ტამანგოს ყველა იცნობდა ქალაქში,  
 ორივეს მოეწრო ციხეშია ჯდომა და მათ აღ-  
 გულობრივ საზოგადოებრივ სკანდალურად  
 საშინო რეპუტაციას ისაც აგვირგვინებდა, რომ  
 ამბობდნენ, ნარკომანიას მისდევნენ. ეჭვი იმა-  
 ნაც გაუღრმავა, ერთხელ, პაპა ლევანის პენ-  
 სიის მიღების დღეს სტუმრად მოსული რომ  
 დაუხვდა სახლში და ეწოა კარბთან კი გარი-  
 კა ელოდებოდა, დანჯღრეული, ძველისკვეთი,  
 გაურკვეველი ფერის „პოზედოთ“.

ბიძაშვილების ცივი და უცხო დამოკიდებუ-  
 ლება ერთმანეთისადმი, არც ნათესაობას არე-  
 ბოდა შეუმჩნეველი. ისინიც ორ ბანაკად იყე-  
 ნენ გაყოფილნი. ერთი ნაწილი, უფრო მოჰ-  
 თხოვნი და მკაცრი, თუმცა მატერიალურად შე-  
 დარებით მცირედ უზრუნველყოფილი, კახს  
 ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო მეორე, თუმ-  
 ცა რიცხობრივად მცირე, მაგრამ მატერიალუ-  
 რად გაცილებით წელგამართლი ნახევრის  
 აზრით კი გოდერძი იხსახურებდა თანაგრძნო-  
 ბას და მზარდაქერას.

მუსიკა შეუყვდა. ჭირის გამოჩარბებლთა დე-  
 პეუმებიც წაიკითხნ. პაქუა მხსაფლავის არაჩ-  
 ვეულებრივად თერთმა, უბაღნო, წითლად და-  
 დუდუდებულმა ზურგამც გაიღვია წამიერად  
 და უთაეო მრავალფეხა საბოლოოდ დაიშალა.  
 ყოფილი ლევანის აბლონათესაობა სასაფლაოს  
 ორივე განსავლელში ჩაღდა და საითათოდ  
 პატივებდა ყველას: იცოდეთ, გვეყვინება...  
 თქვენ აუცილებლად უნდა წამობრძანდეთ,

ხომ იცით... ლევანის ეწყინება, კაცო... შე-  
 მოდიხარ არა?

ავტობუსი გაივსო, მსუბუქი მქანის კარე-  
 ბები აჯახუნდა. ზოგი გაიბარა, ზოგი დამორ-  
 ჩილდა ნათესავთა ნებას.

ლევანის ყოფილი სახლის ყოფილ ეწოში  
 ბოხაში იხარშებოდა, შილაფლავი ქშინავდა,  
 ხაშლამა თუხთუხებდა. გრძლად გაევიმთ მა-  
 გიდები — თერთი ქალღლი გადებრათ და  
 ვერცხლისფერი ქიკარტებით დამეგარბინათ.  
 უზარმაზარი ნატურმოტი-სიმეტრიული კომ-  
 პოზიცია — მწვანე ბოთლების რიტმი — მკა-  
 ცრად განსაზღვრული მანძილით დაცილებული  
 შვიც, მარცვლოვანი ხიზილალის თერთი ფაი-  
 ვურის არშიიანი დისკოინის განუწყვეტლი  
 მწკრივი — ასთივე განუწყვეტელი მწკრივი  
 ზურგიელის ნახად მოვარდისფრო-მოყვითალო,  
 სიფრიფანა ნაქრებით დაფარული თეფშებისა,  
 რომელიც მკაცრად იმეორებდა პირველი  
 მწკრივის მანძილს და მონაცვლოდ თანამიმ-  
 დევრობას. შედარებით მოზრდილ თეფშებზე  
 მოთერთო მომწვანო, მოზრდილი ნაქრები  
 ეწყო ახლად მოხარული სარკისებრი კობრის  
 და ბრტყელშუბლასი — თუშური პელოს  
 ჩაყვითლებული ზოდები — წითელი ბოლოცი  
 და წითელი პამიდორი, მწვანე კიტრი და მწვა-  
 ნე მწვანილი — მეწამულ, ყანგისფერ ტყემ-  
 ლის წვეწოში ჩაწყობილი შემწვარი წიწილები  
 — ნარინჯისფერ რძისფერი „მაიონეზის“ თა-  
 სები — მზარლად მოხარული ღობრის ხორ-  
 სი მქელ ნაქრები, რომელთაც დარსა და ავდა-  
 რში წლიდან წლამდე გამოხუნებული ხის მეს-  
 რის ფერი დაჰკრავდა — სისხლისფერი საწე-  
 ბლების მომცრო ფინჯნები — ნორწყლით სა-  
 ვსე ღვინის ქიქები — მრგვალდ მოხარული  
 დედლების თაფლისფერი და ხორკლიანი, ზე-  
 ცისკენ აშერილი, პირველად და უკანასკნე-  
 ლად გაშვვლებული ბარკლები — მურაბის  
 „როზედებზე“ ზედაპირგადატყვილი მარილი  
 — ცელისპირებივით ერთმანეთში ჩალაგებუ-  
 ლი დედასურები — დაკოთბული, ბინდგარე-  
 ული მქვირვალებით მქვირვალე ცარიელი  
 ჩაის ქიქები... დასხნენ და მერე, ისე აბიჯ-  
 ბდნენ მაგიდებზე თამაღის სცვლიანი სადე-  
 გრძელობი, როგორც ფრთხილი ავაზის, მო-  
 მენცისმომლოდინე, ნერვებადქცეული თათები,  
 რათა ინსტიქტადქცეულმა სუფრის მულამმა,  
 ერთი საზეიმო გლოვის პოლოგიად იეღვოს,  
 სიცოცხლის უკანასკნელი აკორი ცხადლივ  
 და გარკვეული დამაქრებლობით აიღოს, შე-  
 კრას კამარა და ხრიალი იხუვლოს ძველის  
 ძველ კალაპოტში... მერე აირია სუფრა. მერე  
 აიშალა... ყოფილი ლევანის ყოფილობის დამა-  
 დანსტურებელმა მრავალფეხამ გუდა-ნაბადი აიკ-  
 რა და ცხრა მთის გადაღმა გაუჩინარდა. ცხრა

ბაბაღურ ბაღარჯინშილი  
 მომხიბობები



მთის გადაღმა სხვათა ქირისუფადნი მოითხოვდნენ დასტურს. ცხრა მთის გადაღმა სხვათა მრავალთა ქირისუფადნი ეძიებდნენ აღნიშვნას, განეკრძობნენ და სამაგიეროდ ახალ თავს სთავაზობდნენ მრავალფენას — თელის კუპოს, ჩალისფერი ხის ვიწრო და გრძელ, აბრეშუპამოგებულ კიდობანს...

დაღამდა. მეზობელი ქალები და ნათესაობის, კახას მოსიპათიურე, მატერიალურადაც არც თუ ისე უზრუნველყოფილი ნაწილი, შლევა მხატვრის მიერ გადახეულ ბრწინვადელ ნატურმორტის ნარჩენებს აღაგებდა: ზოგს ერთ დიდ ქვაში მურდინენ, ზოგს განსაკუთრებული განცალკევებით ათავსებდნენ. უწარსულად დარჩენილი ფუძე ოთხი წყვილი თვალთ უმზერდა მომავალს და ხუთსასწილიან, გავარჯარებულ ელნათურას სველები კამიკაქებივით აწყულდებოდნენ. უზარმაზარი ჯანის მოშეხებული მუცლის ქვეშ უვითელი კონუსი ქანაობდა — კონუსი თითქოს ნახევრად უხილავი სანწორის ერთი პინა იყო, ამ ოთხი წყვილი, დღინოსანვამ თვალთა მფლობელთა პირადი საქმით ძირს დაზიდული და თავკენწერით დატრიალებული. მაგიდაც ქანაობდა, მძები და მძისშვილები ერთმანეთს პირისპირ ისხდნენ თითქმის სელუსხლებელ სუფრასთან. მძები და მძისშვილებიც ქანაობდნენ, ქანაობის რიტმს თანებრდა აულოდინ. მაგიდის თავში, წვდამთანადა — ფრთხილი ავაზა რომ წამოდგებოდა ხოლმე, შაქროს ტინა და შუბლი თეფშის კიდულე ისე ჩამოედო, თითქოს წმინდანი შემარუნებულა და საკუთარი ნიმიბ დახვედრიყო წინ. შაქრობა ქანაობდა.

დღმილი შეწყდა. ვასიმ იაპონური საათის ციფერბლატს დახედა, მათეს მხარზე დაჰკრა ხელი, ხოლო კახას თვალი ჩაუკრა და წამოდგა: მოვა ახლა გერმანეს ლეოპარდი თუ ლეოპოლდო და... აბა, ჩემო მათე... რას იზავა. ჩვენც ეგ ბედი გველი. ჩვენ უკნის დაგვასახულავებენ. ეს ჩენი „დოსკომ სვოი“ ბიჭები... — დამცინვად გადახედა საკუთარ პირმშოს და კახას ისევ ჩაუკრა თვალი. — კარგად, ჩემო მათე... ეგ... წუთისოფლის სტუმრები ვართ, ასე უოფილა...

— ხო, ჩემო ძმე... დღეს დამე უთენებიაო... კახას კედლე დიდხანს ესმოდა ბოთლების, ჭამჭურქულის ჩხარუნი, დანა-ჩანგლის ძინძინი და წყლის ჩხრაილი. მერე ხმაური მიჰყდა, რამდენჯერმე ვიდაცის გაურკვეველმა ფრავამ გაიხმაურა. რომელიდაც ნათესავმა ქალმა ცხადილი და გარკვეულად გაიმეორა სამჯერ: რას ამბობ, ქალო, რას ამბობ, ჩემი სიკვდილი... მერე თითქოს ვიდაცამ დაუძახა საიდვლიდაც, ძალიან შორიდან და ძალიან ხმამაღლა... მერე სველაფერი დატრიალდა, გაჩერდა და კახას ჩაეძინა. დღით ცივი მწვადის სუნმა გაღვიძა. „დასკდებოდნენ ამდენი ლემის კამით“, გაფიქრა უსიამოვნოდ და რატომღაც ავრების

ულად დაიჭიმა, წამოიწია და სკამის საწარგადან იატაკზე ჩამოვარდნილი შარვლის უკვე განრისხებთი შეტყვირა: რა არის ეს! რა არის ეს! ამის დედა ვატარე!

— რა იყო, შვილო... დედა გენაცვალოს... — შემოვიდა შემკრთალი, დაჯლილი და დაბნეული დედა. — რა უა. გეპაცვალე! დაჰუნარდო...

— კაი, კაი, დედა... მანაკი, შენი ქორი... ხომ იცი, როგორ მომეშალა ნერვები ამ დღეებში...

— ვიცი, გენაცვალე... ვიცი, შვილო... — სევდიანად იღიმება დედა, სახე დანაოქებულო, თბილი, გაქაღარავებული. სარკმლიდან ცისფერი მთები მოჩანს. ტუკვისფერი ჭანუი გადაკრეფილა. გამევირვალე ჰაერში ფერგახუნებული, ნესტიან ხეებს ელექტრონის მავთულენის ოთხი, მეკეთი, პარალელური, შავი და სწორა ხაზი კეთეს კენწეროებს. „ჰმ... ხატავს... შემოქმედი გოდერძი...“ სიგარეტს მოუკიდა და მარჯვენა ხელი თავქვეშ ამოიღო. „გავიდა უკვლა... ხატვის, წერის, ცეკვის და სიმღერის მებრალარეფერი უნდაო... გადამრეკვს ეს ხალხი... რა კარგი დღეა და რა უფეუო ხასიათზე ვარ, ბიჭო...“ მერე მზარეულების და დაქირავებულთა მომხმარებლების „კამანას“ მიუღია. „აა?.. კი, ასე იყო“. სახლის კუთხეს მოვარებოდნენ და კოცონი ენთათს. მწვადემა დაეშინებინა. ის ორი მესაფლავიც იქ იყო. „მ... წითელდუღუდებიანი და მეორე.“ შეფმზარეულის გარდა ყველანი მაგრად გამობრუულიყვნენ. შეუღებარეული მუარეველური დიმილით ათვალეობდა წამხდარ შეინახებებს და წამალუწუმ ცივი მწვადის ქონის ნაქერს სთავაზობდა ბანჭგლიანი თითებით. „უბ შენი... როგორ უპირალებდა თითები...“ აი! იმ მწვადის სუნმა გააღვიძა სწორედ. ცივი მწვადის სუნმა. ნთუ შექამა?.. „მთი, გეცვალე, მთი... უნა დააუო თუა გიდა ღოო მოვიეოს... მათამ კაცო.“ ხო!... მერე ის გაურკვეველი წარმომოხის მესაფლავე გადაეკიდა — რალცას ეუნებოდა, მკონი მძობას ფეციცებოდა, თან გახუბული კიტელის სახელოთი იხოცავდა ტურნებზე მომდგარ ქავს... კახამ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ზედა ტურს ამოსდო და ცხვირს მიახებინა: ცივი მწვადის სუნე ულვამებს უდიოდა. „ალბათ მაჭამა მინც იმ ვირიშვილმა მზარეულმა“ კინდამ გული აერია. სიგარეტი საფერულგეს დააქულიტა, წამოდგა, ხალათი მოისხა და საბანანოშო შევიდა. დიდხანს იჭდა ცხელი შნაპის ქვეშ. არაფერზე არ ფაქრობდა. წამალუწუმ ნიჩაბივით მოღუნულ ხელისგულს ისვამდა ბაგუნე და აბანანის ქთქთა ნავის კედეში, მოპირდაპირე მხარეს, ირგვლივ კიდრემოუანგულ ზედმეტი წყლის ჩალურჭებულ საწრეტს მიშტერებოდა. მერე, როდესაც თითქმის ჩაეძინა, ძალღონე მოიკრიბა, დაძლია მოდუნე-



ბული სხეულის ყრუ ვარინდება და სწრაფად დაატრიალა ცივი წყლის ონკანის სახელური. თითქოს ლაფვარდისფერმა ბელურებმა გადაფრინესო თეთრი სარეცხის მანქანის თავზე ჩამოკიდებული სარკის ციმცომა წედლაპრზე და თითქოს უოღენე კიდევ მქანელ და შორიდან. კახა ცემენტის იატაკზე გადმოვიდა, დაიფრტუნა, აჩქარებული სუნთქვა დაიოკა და ხელახლა მინება სითბოს. ნელ-ნელა, აუჩქარებლად თებობდა — უყურებდა როგორ იცვლიდა ფერს დაწითლებული კანი და ალაგ-ალაგ ფთხრდებოდა. მერე შიშველმა ფეხებმა შეაჯრუოლეს, ჩაის ნახარშისფერ ფაფუკი რეზინის კვადრატზე გადავიდა, საკიდარიდან ხალხი ჩამოსხნა და შემოიხივა. ჩაის ნახარშისფერი, ფაფუკი რეზინის კვადრატის თეთრი სარეცხი მანქანის თავზე დაკიდებული სარკის წინ ეგო, სახურავგაზარული უნიტაზის გასწვრივ და კახამ უღვავებამურდული სახეჯაჯატკილი და ჩახურებული, ცისფერწოდებთან ბარნესსოვეული არხის დაინახა იქ, აადაც წელან ლაფვარდისფერმა ბელურებმა გადაფრინეს. ხალხი თავიდან ჩამოიკურა, ჩაიკეკა დაუსტივინა და დაბალი ხმით წაიხილა: ტი მენია პალუბიტ ნე სუმელააა, ტი მენია აცენიტ ნე სმოვლაა... მერე მიხვდა, რომ უადგილო იყო ამგვარი ამჩატება და ამოიხირა. ექს... პაპი, პაპი... ქვედა ქუთუთო დაუძმამდა მარჯვენა თვალზე. მერე მარცხენა თვალიც აახამხამა, თითქოს ყველაფერი აკვარიუმის კედლის იქით გაუჩინარდა, ან უფრო სწორად, თითქოს თვითონ გაუჩინარდა აკვარიუმის კედლის იქით. კახა ტიროდა.

იმ დღეს ისევ გავიდნენ სასაფლაოზე. შავაღვინო წაუქციეს ლევანს. მერე კვირის თავზე შეიყარა ნათესაობა. მერე ორმოციც გადაუხადეს. კახას მატრაკეცა ბიცოლამ რაღაც უფორმო და უგემური ტორტი გააკოთა და ტვინი გაუხვრიტა ლევანის ორმოცივე მოსულ სტუმარებს: მოგწონთ ხომ? თუ გნებავთ რეცეპტს გასწავლით... ოცი კვირცხი, ვანილი და რძე... ოღონდ რძის ფხვნილის რძე... აშკარად ეტყობოდა, თვითონაც ახლად განსწავლული გახლდათ ამ განუმეორებელი ნუბარის ალქიმიაში. მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ამ რეცეპტს ყველას სთავაზობდა, განურჩევლად, როგორც ქალებს, ისე მამაკაცებს. მამაკაცები შუა საუკუნეში იჩერებდნენ ლუქას და ხლიჩინ-მლოჩინით უქნევდნენ თავს მოულოდნელად მოვლენილ, მოხალისე კონდიტერს. იცოცხლეთ, ვახოს ებერებოდა ლაყუნები. იცოცხლეთ კარგი დღე ატარა იმ დღეს გოდერძი: თავი მაღლა არ აუწევია, კიქას ჭიქაზე ცლიდა და ლუქმა რა არის, ლუქმა არ დაუყოლებია მწიფე სიმინდისფერ, თხუთმეტგრადუსიანაღვინისათვის. კახა სცამდა. კახა თავმოებე-

რბულ მოწმესავით იქდა და რაღაც არაპეტეოსნურ, ბოროტ სიხარულს შეეპყრო — რაღაც არაპატიოსნური და ბოროტი დანაშაულის სასჯელივით ჩაესმოდა შექიკიკებულ ბიცოლას უპასუხი: „რძე... ოღონდ რძის ფხვნილის რძე...“

მერე ფეხვის ნაუარებმა მოიყარეს ისევ ერთად თავი, ამჯერად უფილი ლევანის უფილი ოთახში. ლევანს შვიდასი მანეთი, გარდაცვლილი მეუღლისაგან დარჩენილი ოქროს ძეწკვი და რამდენიმე თვლიანი ბეჭედი, საბუთები და რაღაც გაუვითლებული ქალაღლის დასტა დაეტოვებინა. ფულის ნახევარზე ვასომ უარი თქვა — შენ დაგჭირდებო, მათე, იხმარეო. ოქროსულობიდან ხანდროს მეუღლემ, კულინარის ქაღოქარმა, ერთი ზაღინანი ბეჭედი ამოირჩია მხოლოდ და ძეწკვი — ჩემს გოდერძის უნდაო, გოდერძი ამირცხა და სხაასხუპით მიყარა დედას: ვინ გითხრა, რომ მიხენდა... ვინ გითხრა, რომ მინდა... ვინ გითხრა, რომ პრაილა ხელჩანათში აღმოჩნდა და ერთგულად იდიოტის ორი ელამი თვლივით მოკრიალებული ნიკელის საკეტი ტკაცანით დაიხურა.

— ნუ გრცხვენია, შვილო, შინაურები ვართ, განა გვეწუნიება... მათემ მხარზე დაუკავებით დაალო ხელი გოდერძის. გოდერძი ადგა და წავიდა. — ლაწირაკია ეს მამაძალი და ამაჟი. უცნაური ხმით წარმოთქვა ვასომ. — მშობლიური სითბოც უღერდა და გაღიზიანებული, ზარმაცი მამალი ლომის უნდილი ღრენაც. ქალაღდებისთვის არავის მიუქცევია ყურადღება და ვიდრე უფროსები საქმიან საუბარს განაგრძობდნენ, კახამ დასტა აიღო. მშობლების საძინებელ ოთახში შევიდა, ოთხი მხრივ

კანფამოტარებულ დასტას გაუვითლებული ქალაღი შემოაცალა და ხელში კიდებშემოცვეთილი მისწავლის რვეულები შერჩა. ისეთ რვეულებს მგონი ოციან წლებში უშვედნენ. იმპერიალისტური ომის დროს ჩამი ტახტადსახაბლი — ეწერა პირველი რვეულის ყდაზე. ცალხაზიან ფურცლებს მოლურჯო-მოყვითალო ფერი დაჰქარავდა, სძველის ფერი. ტექსტი პირველი ფურცლებიდანვე იწყებოდა: „1914 წელს მოხდა დიდი უბედურება მთელ ქვეყანაზე. ამ დროს მეც მამიწია ხალდთობის სამსახურში. მიმე ომის გამო ერთი წლით ადრე წამიყვანეს, რადგან საქრობა მათხოვდა. მიმიყვანეს ქალაქ რასტოვში მარტის 9-ს. აქ ვგანსწავლეს ომის საქმეები, რაც ომში იყო გამოსადეგი. მერე წამიყვანეს ქალაქ სარატოვში და იქიდან გავგაზვანეს ომში. მეუბთმეტ დღეს უკვე პოლონეთში ვიყავი, იმათ სატახტო ქალაქში, რომელსაც ვარშავა ჰქვებოდა. ეს იყო

ზაადურ ბალარჯიშვილი  
მომტარებელი





1915 წლის თბათვის 28-ში...“ ოთხსაშვილი მამა შემოვიდა. კახა თქვის ხალხჩაფენილ საგარძლიდან წამოდგა და რვეული მიაწოდა. მათე სინათლეს მიემარჯვა, ჭიბიდან ცალსაყურე შოტებილი სათვალე ამოიღო და კარგაბანს დუმილით ათვალთერებდა რვეულსებს. — ხო... წერდა. უთქვამს კიდევ ერთი ჩემი თავგადასავალი უნდა დავწერო, როგორც მოვანერხებ. შვილიშვილებმა მინდა იცოდნენ, რა ახალგაზრდობა გამოვიარეო. კახამ ისევ გამოართვა რვეული: — წავიკითხავ და შენ მოგცემ. კარგი?

— წაიკითხე და მერე გოდერძის მიეცი.  
— თავს მოიკლავს გოდერძი და გადააბულბულებს.

## გ გ ა შ ი

— თბილისში არავინ მიდის? გრძელთმისა, შავგვრემანს, ასე, 27-30 წლის ახალგაზრდა კაცს ყვითელი ტყავის პორტყელი ეკვა ხელში, ლურჯი, ტოტებგანიერი შარვალი, ცისფერი პირანგი და უზარმაზარი ფეხსაცმელი ეცვა. იქნებოდა ასე, 177-180 სმ სახე ხორციანი ჰქონდა და ოდნავ შეშუპებული, ნიკაბი რბილი, თვლებების კრილი სწორი, წარბები მორკალული, ტურები ოდნავ კუთხებდაშვებული, ცხვარი მოზრდილი — მსუქანი. ზედა ტუნიდან მსხვილი, ოდნავ მოვლადო და ფუშფუშა უღვაშობა ეშვებოდნენ ნიკაბის ზედა რკალამდე. მერეა გულლია ჰქონდა, ირონიკარტული.

უსაქმოდ დაუდებულმა, ღიპიანმა, ლურჯმა და ყვითელკბილებიანმა ქურთმა თავი მარჯვნივ გადააქანა: ხუთიოდ მეტრზე მწვანე ტაქსი იდგა. შოფერს კარები გამოეღო, მარჯვენა ნახევრით საჭეს ჩამხუტებოდა, როგორც უმწიკლო შვილი მარჩენალ მამას. მარცხენა ფეხი უცხო რამ სანახავივით გადმოეკიდა და გამოღებული კარის ჩასწვრივ, ვახდელ, უთასმო ფეხსაცმელზე ქუსლით დაყრდნობილი, წითელ წინდიანი ტურტი მოჩანდა. „აღბათ ჩაუხურდა და ანიავებს“, — გაიფიქრა შავგვრემანმა.

შედგა ეკიპაჟი: ოთხი სული: ხუთ-ხუთი მანეთი.

ვიდრე ადგილს დაიკვიდრებდა, ერთ მეტად დამახასიათებელ რეციდივს ჰქონდა ადგილი: მანქანას მიუახლოვდა თუ არა, უკან კარი გაიღო და სახეზე წითელღუღუღებდაყრილი კაბუკი გამოიწლანა. „...შუაში ჩასმას მიიბრუნებდა...“ — თავისთვის ჩაიკინა შავგვრემანმა და ქაბუკს წყნარად მიმართა: — შენ დაქეპი შენს ალაგზე, გინაცვალე, მერე წინა კარი გამოაღო და ისეთივე ქაბუკური ასაკის გადაბმულწარბებიან მგზავრს უთხრა: — ერთი უკან გადაქეპი, ძვირფასო, მე, შეიძლება გზაზე ჩა-

— არ შეიძლება, შვილო, ეგრე ლაპარაკი ბიძაშვილზე, შენი სისხლი და ხორცი შეიძლება... ბედსშეგუბებული კაცისთვის დამახასიათებელი სინანულით ჩაქინა ხელი მათემ. თითქმის მთელი დამე გაათენა კახამ ძველი რვეულბების კითხვაში. ორმოცი დღის წინ გარდაცვლილი პაპის სამოცი წლის წინანდელი თავგადასავლისათვის გაეშტერებინა მზერა და ისე მინიღრპობდნენ უსწორმასწორო ასოებით დაწერილი სიტყვები თვალწინ, როგორც ხულიგნების მიერ დაფეთებული, კულზე თუნუქის ნაქერგამომხული ძაღლები: უსიამოვნო ხრიკინით და მოულოდნელი სიბრალულით.

მოსვლა დაქვირდებ. გადაბმულწარბებიანი აშკარად უყვარყოფილოდ ვაღმოსოდა მანქანიდან, ღულღუღებინი თითქმის ძალით შეტენა სალონის უკანა ნახევარში და თვითონ ფანჯარასთან მოკალათა. შეეტყო: იმ დანარჩენ სამ თანამგზავრთა შორის აშკარად გამოხატულ ლიდერის როლს თამაშობდა, რომელთაგან მესამე, თეთრი ნეილონისბერანგიანი და შავპალატუხიანი (ზედ ფიფას ქაღმერთის თასი ენახა, საშინლად ბრჭყვიალებდა ნიკე), ბოყვერა გახლდათ — ბაგზე შეურყვნილი, კეთილი დიმილი აშკარად. თედულები არ ჩანდნენ — „ახლომანოლო სოფლებიდან იქნებიან, შეიძლება სულაც ქისტები ან ოსები, ქართულ რვაწლედამათავრებულნი, რომლებიც ან თბილისის რომელიმე პროფსასწავლებელში აგრძელებენ სწავლას, ან სადმე ქარხანაში მუშაობენ ჭარში წასვლამდე. ახლა კი დედულ-მამული მოუსტუმრებიან და უკან ბრუნდებიან ჯადოსნურად მაცდურ, ცინარტყელებში მოციგვე და შილაჯვლავის ქვაბივით მოთუბთუბე თბილისში...“

წესია და ადათი: შუამთის წყალთან შოფერმა იკითხა: — დალევთ?

— პერეკალზე დავლით, ისე დამაჭერებლად თქვა შავგვრემანმა, უნებურად ყველანი დაეთანხმნენ. შოფერი გამოიცაცხლდა, — ეწარებაო ალბათ შუამთის წყალთან წოწილი, ეჩქარებოდა.

დუმდნენ. დუმილი პირველად წითელღუღუღებინამ დაარღვია: — ბაქამ გააბა ისევ ბაქიბუკი: ერთი კვირის შემდეგ ჩამოგაკითხავთ, თქვენი მასწავლებლები გაპაცინით, თანაც ტკბილი ბურა შევკამოთ... — ლიდერს მიმართა, მაგრამ ლიდერმა ჩაიკინა მხოლოდ. სიტყვა ნეილონიკრანგიათა შუაშველა: — ერთი იმ დათვის ამბავია მართალი და მეორე ევა..



— რა დათვის? — პროფესიული სიმკვირცხელი ჩაერთო შოფერი და ხაქმე გაიჩარხა: იყო გარანტია, რომ თბილისამდე სავალ ორსაათიან გზას მასლათაში გალტვდნენ, უკიდურეს შემთხვევაში, ეს სამინი შინც: ღუღუღებინანი, ფიფასთახინანი და შოფერი. ტაქსი შინების ღრქიალით მიჰყვებოდა გომპროის გადასავლის აღმართებს. თრბილბს უკვე მორეოდო წითელი ფერი. ჭერ არ დადგნობაღუო სექტემბერი, ჭერ კიდევ ცხელიდა. ორა განმარტებული რცხილა გამოჩნდა ბექობზე გადამდგარა — წინიდან მოუარეს და ქვემოთ მოიტოვეს. „მმ... ამ რცხილებს აღმანის სხელები მქვიათ... გაახსენს შეგვრემანს ერთა მეგობრის ნათქვამი — ერთს — დაბალს და განიერს, თელაველი დაბალი და მსუქანი მებუღტბის, ნიყო, ხოლო მეორეს — მაღალს და აზიდულს, მაღალი და გამხდარი დალაქის გგვას სახელი.“

— რა დათვი და... — ლიდერმა გადაწყვიტა ლიდერად დარჩენილიყო: — ვითომც სანადიროდ უოღეს თორღვას აბანოხაყენ და კვალი უნახავს... — ტურნებზე ცერა და სარჩებებელი თითი ჩამოიღვა, ჩაიკიდა, გულიან ქაბადან სიგარეტი ამოიღო და თითები გაატაცუნა. ნილონის პერანგინამა კეთილმა ასანთი მიაწოდა, მოუყიდა, ასანთი წინა სავარძლებს შორის ჩაკეხებულ შვი პლასტმანის ყუთში ჩააგდო, ღრმა ნაფაში დაარტყა, გამოუშვა და ჩალიჩ-ჩალიჩით უფრო მოხერხებულად მოეწყო: — ნწ, ნწ, ნწ, ნწ...

— მერე? ზუსტად განსაზღვრულ დროს იკითხა შოფერმა.

— ხოდა კვალმა წაბლთან მიმიყვანაო... — აღარ დააყოფნა მეტი ლიდერმა: — მივიხედ-მოვიხედვეო და რო ვნახე კვალი იკარგებოდა. ვიანზე და ვაგვიდალიო დაწალუწის ხმა გავიკე თუ არა, თოფი თავზევით აგწივეი, დუბლტვი გამოუშლდევი, უშვი ხელი და ბარღვს ვეტაკე თავითაო.

სამეფე გადაიხარხარა. შოფერი შეცხა: — ვამ? ვითომ ეგ რადათაო!

— რადა რადათაო, მამაძალი... ორივე ტყვია, გასტეაო, ქემულ შეტრიალდაო შეშინებული და უჯანალოთ კონდახზე სწორედ დაცემულ თოფს წამეცოცო...

უკვე შეგვრემანსაც ცვინება, შოფერი განერვიულდა: — ვინაო?... ვინ წამოეცოცო, ტო? — ჩიხვიითი... — ხვიინარბს ღუღუღებინანი.

— ამა თქვენა უოფილბარო, დაა... — სინანულით ამბობს მძლოლი და თვითონაც იცინის—სხვაწიარად არც შეიძლება, თამაშის წესები არ უნდა დაირღვს.

ლიდერი ბეჭითად აგრძელებს: — ვაძრე ბებუთი და ვიდრე გონზე მოზრახუნდებოდა, ზურგზე გადავხსენი, ~~რო~~ თოფი ამამელო და გამეტენა თავიდანაო, რა იცი, რა ხდება, იქნებ მეორეც წამოეიდეს დაწალუწითაო... — გრძე-

ლთმებთან შეგვრემანს გადაჰყრა შეფარებულ მანქანა დაუინებით მიიწეეს ზევით და ზევით. ბაგეზე ყველას დიმილი შერჩენია. აქ ვეღარ გასძლებს დიდხანს დუმილი და შოფერი კითხულობს: — თქვენ თელაველები ხართ? ლიდერი, ღუღუღებინანი და ნილონისპერანგინანი კეთილი დუშან. — მამ, მამ... ნუგეშით დინჯად ამბობს შეგვრემანი, შოფერი ნახვრად შეტრუნდება მისკენ, თან ცალი თვალით დარღმანდულად მიიერება გზას — „ეე, უოველშემთხვევისთვის“. — ერთი თქვენებური ბიჭია, ზღუღუნეიო ვარო, რადაცნარი გრელი შარვალა იცვა, ყველად ყვეთელი ბანტი ეცეთა, ზუშუა რადა... რა ეტყვა... რა ეტყვა... შეგვრემანი მხრებს იჩჩავს, მაგრამ თითქმის შეცხა.

— კარონე ზამთარში წამოვიყვანე თბილიდან პერევალამდე. იმან გზაში იბალამუტა, ნე დაი ზოგ. გულში ვიძახდი, ამა ამსა მყვარებია პლანერებით კატაობა-მეტოქო...

— ნწ, ნწ, ნწ, ნწ... — თავს აქეთ-იქით აქნევს შეწუხებული შეგვრემანი.

— ეგრე ბალამუტით მოველით პერევალამდე. ნე დღევი მანქანამ ბუქაობა დაიწყო, ვეღარ გადავიღვიართ, რადა... ამანა თქვა, ავალზევით ტრაქტორს ჩამოვიყვან, ასი მეტრი გვათრიოს, რა მოხდებოა... წაივია და წაივია...

— ხად? — მკაცრად ჩაეძია შეგვრემანი.

— იქა, რადა. თელავში. იქიდანაც ხო იქნებოდნენ მანქანები, გაბრუნდებოდნენ და წაიყვანდნენ...

— შენ რა იცი?

— ნუ კარგი, რადა... ზნაჩი, მგლებმა შექაშეს, ან შეშერბაში ცხოვრობს, ან ლავინაში მოჰყუა... ერთი სიტყვით, ეგრე იყო... ხოი ზუღუნეიო ვარო, რაყედა მქვანო. შენ თუ გინდა, მოფერებით რაფო დამიძახეო...

— ნწ, ნწ, ნწ, ნწ... — უპყყოფილა შეგვრემანი, მაგრამ აშკარად უაღბობს. შორს რადაც ფიცრულები მოჩანს, ალბათ ფერმებია. უფრო შორს — კლდე და ვიწრო ჩანჩქერი. — ხო... რაბი ილაპარაკო მშაკაც? ტო ესტ, რაბი იბალამუტა?

შოფერი ან უხანებს: — მე რომ პატარა ვიყავი, დიდი რაზბონეი რამე ვიყავიო, ეშმაკის ფეხს მესახდნენო, სკრიპაზე არ უტრავდი, რახან სოფელში ცხოვრობდიო, ბოსტნის მოვლა მიყვარდაო... ერთხელ ეგეთი ამბავი შემეშთხვაო: ერთი დედა ღორი გყვავდა, სულ ცამეტცამეტ გოჭოს. ჰყრიდაო. ზე ღორი თავისუფლად დადიოდაო, ჩვენც მდინარის პირას ცხოვრობდით — სუ მდინარის პირას ეგდოო. გვიხედოთ და გოჭები ეხოცება — რძე აღაბა აქვს და დავაკვირდიო: მდინარისკენ მიდის

ბაბაშვი ბაბაშვი  
მომხრობები



რძე აქ — უკან მოდის — არა, ძუძუებიც ინდურის გრებემოცივით ჰკლიაო. ეგრემე საბარაზილ და, ყველა ძუძუზე ანეისი დავი დეო... ჰა, დამეჭერებინა?

— განაგრძე გენაცვალე, განაგრძე. — უჩვეულად გამოცოცხლა შავგვრემანი.

— ნუ, დილით მურწას გეხალბოდი, შუადღისსა კალმახს და საღამოთი ლოქოს ქინძმარითო... კაბუტო თევზებს უწოვიათო... გქერა?.. ჰამაც ღორი გატენილი ჭიქნებით დადიოდაო... თქვი რაღა, დამეჭერებინა?

— მერე, მერე?

— მერე გავიზარდე და მოსკოვში წავედიო. ერთი ძმაკაცი მხატვარი გავიჩინეო, უცნაური კაცი ყოფილა მამაცხონებული, თურმე ჩადგებოდა უნიტაზში, რუჩკას ჩამოჰკრავდა და ეგრე იზანდა ფეხებს... ზო და, იმ კაცთან იყო ხოლმე ჩემი სურათებო, მოდიოდნენ და სულ პა პაატ ტივი ყიდულობდნენო... ნა ნოვია ძენგავს რაღა... ერთ ზაგრამინჩინი პასოლსაც უნახავს ჩემი სურათებო და გაცნობა მოსლომბო. ჩასულა მოსკოვში. იმ თავისი ძმაკაცის მხატვრსკაიაში მოუწვევია ის ზაგრამინჩინი პასოლო, თან არაყიდ ვიკისტეო... ესლა იმ კეთილშობილი, ზაგრამინჩინი პასოლო, დვესტიპისსატ გრამი არყით გაკვირდებოდა?.. ჰა?..

— რა იცი... რა არ ხდება. — თითქოს რაღაც გადაწყვიტა თავისთვის შავგვრემანმა.

— ნუ ხარაშო... კაროჩე, სურათები ძაან მაქონა, მაგრამ დათვრა და ბოლოს კარგათაც ვაზიარეო.

— რათაო კაცი? შეეშინდა შავგვრემანს.

— რათაო და მითხრა, ეს ნახატები მოუციდეო...

— მერე მაგი გულითვის უძაგუნეო? — ჩაერია ლაპარაკში აქამდე სმენადქცეული ლიდერი.

— ვა პერვი, ეტა ზაპრეშეტხა, მაგრამ მანა თქვა ეს უთხარიო — ჭერ ერთი, რომ ჩემი ნახატები სამშობლოს ცუთუნის და საზღვარგარეთ არ გაუშვებო, ვა ვტარის, შენ ალბათ ვალუტას მამცემ და იცოდე მე ვალუტას არ ავიღებ, მეზიზღებო... ჰა, თქვი რამე... დამეჭერებინა?

შავგვრემანი დინჯად მოუტრიალდა შოფერს: — რა არის აქ დაუჭერებელი? რატომაც არა, შესაძლებელია. შესაძლებელია კი არა, მახეც იქნებოდა. ალბად ამაყია თქვენს მიერ დასახელებული ხელოვანი. მაგრამ პატარა შეცდომის გულისთვის ასე არ უნდა ვაიმეტო კაცი. — მერე კი მეოცნების კილოზე განაგრძო: — ნეტავ თუ გაუგონია ასეთი ანდაზა — მთვრალი კაცი კარგი კაციაო...

— ვაჰ?! — შეტბა მძლოლი, აშკარად არ მოელოდა ასეთ გაგრძელებას. ამასობაში უღელტბილსაც მიაღწენ. მანქანა დაბალი

წყაროს გვერდით გაჩერდა. გადმოვიდნენ ფერმა ქუჩა გამოყოლა.

— ციხა და რა ციხი... ბრბრბ...

— იფ... შენი გულისა..

— მაიტა ერთიოც დაჯლიო...

— ყინულია... ყინული...

— აი, წყაროც ამას ჰქვია...

ისევ განაგრძებს გზა. სახედალუდუდებულმა ბიჰმა ერთი ჩაახველა და დაიწყო: — პაპა მყავს იგეთი, რედაკაცს სიტყვით დააორსულებს, ეგ რო სოფლას შარაზე გამოვა და ჭობს დაეუდება, სამ სოფელს აცდენს ლაპარაკითა. გუშინაც ბუბიანემი ბოსტანში გადავიდა და დაუბარა — კარები ღიაა, ქათმებზე თვალი გეპირსო, პაპანემო ვაჭრებს კიბულაობდა, მობრუნდა ბუბიანემი და ნახა რო ზედ პაპანემის ფეხებთან მოესკლინტა ქათამსა...

— ეგ როგორი პაპა, პაპა-პაპა, თუ მამა-პაპა? — უადგილოდ იკიხა მძლოლმა.

— პაპა გენაცვალე, პაპა. — გააჩუმა შავგვრემანმა და ბიქს ანიშნა, განაგრძეო.

— აი თქვენი ჭილაგი გაწყდეს პარწიკანაშვილებისაო, წუთით გავალ გარეთა, წუთით თვალი მოგარადდეი და ეს რა უქნიაო, ქაა? აჰ ახლად დაგვიღ პოლზე ეგრე ხელათში არ მოუსკლინტიაო... პაპანემო კიდენა ეუბნებდა: — ისევ თქვენი გვარი ამაიუყუოს თუ მაინცა... დაამაიღე ეგრე გაღწყვეტილი, მავასაც რა, შარვლის ჩახდა დასკირდებოდა თუ ქამრის შემოსხნაო...

მხიარულება დაბრუნდა.

— ეს კი არა და, შენ იმისა მომყე, სიმონაზე მოსკოვში რო ჩასულა... — შეკვეთა მისცა ლიდერმა.

— ვაჰ? ისიცა ყოფილა მოსკოვში? — ცუდლუტურად კითხულობს შოფერი.

— ჰო... — ლუდუდებიანმა მაქის ქვემოდაც ამოკრულ „პოლიოტის“ ციფერბლატს დახედა, თითქოს ღრო დანიშნაო. — ერთი ბიძაშვილი მყავს სანიორეში, სიმონა. ბალი ჰქონდა, ძაან ყარფუში მოუვიდა, დაწყიდა, ფული ჭიბეში დაიკვლა და აიტება. წავალ მოსკოვსა ვნაყო. ჩასულა, ტაქსში ჩამჭადა და სერედინა გოროდო, შოფრისთვის უთქვამს, შოფერსაც ცენტრში გადმოუსვია...

— მა რას იზამდა?

— უფლია სიმონასა, უფლია, შემოუვლია მაღაზიებო და გზა აპზნევიო. ან რა გზა იცოდა, რო იძახის, ამებნაო... აღარ იცის, ეხლა საით წავიდეს. უფიქრია, უფიქრია, გზა გადაუქრია და მილიციონერს მისდგომია: — იი სიმონაო. — კაკოი სიმონაო? — უკითხავს მილიციონერს. სიმონაო... სანიორეო... თავისი სოფლის სახელი უთქვამს. ეგონა, გავებული ექნებოა... იმ მილიციონერს კიდენა ყვითელ-ზოლებიანი მანქანა გამოუძახია და შოფრისთვის ამბად გაუტანებია — ეს კაცი შუა ქუ-





ჩაში დალიოდა და იძახდა, სიმონა ვარ, სანი-  
ოჩო. ყველაფერი გაარკვიე, დააზუსტე და  
იქნებ რამე უშველოო...

— მერე, მერე? გაეცინა შავგვრემანს და სა-  
ლონის უკანა სავარძლისკენ შებრუნდა ზან-  
ტად. მანქანამ გაივია. უკვე ასფალტის გზა  
მიჰქრიადა ქვეშ.

— მერე, ეგრე ჰყვება: თოთრხალათიანებო  
დამახვიეს თავზე, რალაცას მეკითხებოდნენ,  
მაგათ ჩემი ენა არ ესმოდათ, მე კიდე მაგა-  
თიო. გინდაც გაიგეო, რას უნახუხებდი, ალა-  
რაფერი აღარ მახსობდა, სულ დამავიწყდა  
ყველაფერიო. ბოლოს ერთმა ღვთისმცოდნეობა  
ახსენა — გრუზინო და წამოვხტო, ყვარილი  
დავიწყე, გულში მუშტს ვიცემი და ვტირო-  
დიო...

გადაიხარხარეს.

— ეგ იყო და ეგა. ცოტა ხანი ჰყვანდათ და  
მერე გამოგზავნენ...

მანქანა იორის საგუბარზე გაეიდა, გზა ხო-  
რხოშელა გახდა, შავად მშენივარე? სადაცაა  
უტარბის ციხე გამოჩნდება.

— მაშ როგო შევიანო, ჰა? — შეეხმინა  
შავგვრემანი შოფერს.

— ხო, ხულონიკი ვარო. სუ მასლიანი  
კრასკებიოთა ვხატამო. ხუქუქა იყო...

— ჰე-ჰე-ჰე... კარგა, კარგი. მე ერთი  
ხუქუქა ძმაცაი მუყას, დოცენტი, თავიდან  
ერთი მატრახაზი ვინე იყო, მერე ქუჩაშია უი-  
ალს თავი გაანება და ცოლა მიაყვანა. მშიშა-  
რა სიმამრი შეხვდა. ეს თურმე სიმამრთან  
თავს იწონებს, დოცენტი კაცი ვარ, ვინც კი  
გამორჩინილი აღმინია სპარტივლოში, ყვე-  
ლას ვიცნობო, ინეინრებს, რეისორებს, ექი-  
მებს... სიმამრს ფრჩხილი ჰქონია ჩაბრუნე-  
ბული ფეხის ცერზე და უაქვამს, აქამდე  
ვერ გავბედი, მოდი. ვინმე სახელგანთ-  
ქვლ პროფესორთან მიმიყვანე, იქნებ რამე  
მიშველოს, ძალიან მაწუხებო. ამ ჩემ ძმა-  
კაცს უხლაფორთია და რომელიღაც საავად-  
მყოფოში დაუწვინია ქალაქის ბოლოში, აქ  
სუ ჩემი ძმაცაეები არიან. პატოვას მცემენ და  
შენც ნურაფრისა გეშინიაო. აქ კაცს მინც  
აუტეხია ხვეწნა-მუღარა ოპერატორისათვის,  
ფხიშელი გონებას დაჯვარავ და ჩემი სიძის  
ხათრი დამაძინეთო. გაუპირებია საქმე ექი-  
მისათვის. იმასაც მომპერებია ბლდამუნი და  
უთქვამს: ასუნთქეთ დასაძინებელი და და-  
ძინეთო. არ ვიცე მეთი მოუფილეთ თუ რა, ან  
ოთონ თუ ჩაჰყვა ძილში, შიშ-წინგ! და გუ-  
ლი განხერებია. აი მაშინ კი მართლა გამოუ-  
ძაბეს ცნობილ პროფესორს და გულის შიშ-  
ველი მასაუი გაუკეთეს...

— ეგ როგორ შიშველი? — საქმიანად  
ეკითხა შოფერმა.

— როგორ და გულისფიცარა გალაუხ-  
სნეს და გულის ქუცდება დაუწვეს. ვეღარ  
მოითმინა, — საკლასო განსწავლულობა გა-

მოამულავნა კეთილმა კრიტიკამალტუხიანმა  
ვინ იცის? იქნებ სამედიცინო ინსტიტუტში  
სწავლავს ოცნებობდა ბევრერი უშუალობით.

— მერე, გადარჩა? — დაინტერესდა უც-  
ნობი აღმანის ბელით ღუღუღებიანი „პალი-  
ოტიანი“.

— კი. მაგრამ როგორც კი საოპერაციოდა  
გამოსვენეს ფერდაკარგული, კისრამდე არტა-  
ხებში ჩასმული, ცოლა გაუხხლდა იმ ჩემ ძმა-  
კაცს და ისე დაეტაკა ვაიმე მამიკოს ძახილით  
საოპერაციო ურიკას, რომ გადააყრია. მამა-  
მისსაც ბრავჯანი გასცივოდა თურქ და თე-  
ძო მოსტკდა...

— უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო,  
განა ტუილია. — ყოველშემთხვევისათვის  
იძახის მძლოლი და შავგვრემანს ამოწმებს:  
ჭერ ერთი, რომ გაუგია დუნიაზე მოარული  
ამბები ამა და ამ ექიმს ავადმყოფის მუცელში  
მაკრეტელი ჩარჩენია, მეორეს საათის სახე-  
ლური გასწვებია და ვერ შეუმჩნევიაო, ბო-  
ლოს საოპერაციები მუცლის წიქიყის რომ  
შეულონებია და გამეერთო ამტყდარა, მერე-  
და მიუგნიათო. სხვას კიდეც სულაც გულის  
ძარღვი შეუერთებია შეცდომით სწორნაწლა-  
ვთან და კაცი ფესხადღოში დაღვლია სის-  
ხლისაგანო. (მერე ექიმსაც თავი მოუკლავს)  
ხოდა მართალია ეს ყველაფერი თუ?... ნე-  
ტავი როგორც მართალი იქნება...

— ეგრე, ეგრე... — განაგრძობს შავ-  
გვრემანი. — დაუღვიათ საბარძყე არტაშანი  
და ეს კაციც ორი კვირის შემდეგ მოსულა  
ვონზე, მაგრამ ვაი ამ გონზე მოსვლას — მუხ-  
ლბიდან კისრამდე ისეა გათანგული, თით-  
ქოს სარზე ააცვებო და დევს კუნძივით, ერ-  
თი ეგ არის, სუნთქავს, საწყალს ძალ-ღონე  
მოუკრებია და საწოლთან ჩამოქედარ, დარ-  
ცხენილ სიძისთვის უკითხავს: ხომ კარგად  
ჩაიარა ფრჩხილის ოპერაციამ, რას იძახიან  
ექიმები, გართულბა ხომ არ ექნებაო...

— ახუსს ვაჟკაც... ბედნი ჩელავეც... —  
თავისთვის ჩაილაპარაკა ევგემპარლამ მძლო-  
ლმა.

ძალიან მძიმედ კი იქნებოდა. — გულწრფე-  
ლად დაენანა შავგვრემანის მეგობრის სიმამ-  
რის ზედრი ნეილონისპერანგინა კეთილს.

— ეგ არაფერი... სიძეს ნუგეში უცია, —  
კრიზისი გაგივლის თუ არა, ფრჩხილს მოგაქ-  
რიან, ნუ გეშინიაო. საწყალს ვონზე ისეც და-  
უქარავს და ერთი კვირა ისეც უტარძობდა  
ყოფილა. მერე ექვსი თვეც ლოგინი ხება და  
მორჩა. ის ფრჩხილი კი დღესაც აწვადებს, სა-  
ხლში სულ ცხვირწაქარილი ფილსტებით და-  
ურატუნებს, ცერს ცოტა შეღავათო მივცეო...

— ნიუთუმი ნიჩვიო ნე პამოეტ?

ბაბაღორ ბაბარჯიშვილი  
მოტიხრობები



— ჯვარს ეცივი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის...

შავგვრემანი გაოცებული შეტრიალდა: უკანა მარცხენა კუთხეში მიმჭდარ ნიღოლის-პერანგინან ბიჭს, მანქანის გასწვრივ მიმჭროლავ ჭერმის ხეებისკენ გადმეტრებიანა მზერა და სადღაც საკუთარი ოცნების ნაკრძალში გადაკარგულიყო, სადაც ლურჯად ლივლივებდა ბროლივით კამკამა წყალი. მზას ათინათი ბავშვური სიწრფელით ჭრიდა თვალებს და მწვანე მოლზე თეთრკაბიანი გოგონა გარბოდა. მგზავრებს შორის ამდენი ხნის ნალოლივებელი ურთიერთობა თითქოს დაირღვა; აიბნა, აირია და გაქრა. შოფერმა შავგვრემანს თვალი აარიდა და აიქედნურად ჩაიციხა. „ვიმპელიანმა“ მუჭლუგუნი წაპკრა ნიღოლისპერანგინანს და ქილიკი გაუგდო: — შა, კაკო, თამილა ხომ არ მოგვლიანდა?

— თამილა რა, მაგის ნაშაა. — სიამოვნებით მოგზავდა მძღოლი. მანქანამ უკანასკნელად მოსუბვია და ლარივით სწორ გზას დაადგა.

— ნაშა არა, ისა... — გაწითლდა კაკო, გამორკვეა და ბრინჯივით დაიბნა.

შავგვრემანს შეეძლოდა და გადაწვევითა ბოროტება აეცდინა კეთილისათვის: — გამოგონია ყველა შოფერს შემართო ჭირსო, მართალია?

— ვაჰ! შემართო რაღაა?

— ბუასილი.

— დოსუსწიმ ნახევარი მართალია. მერე?

— რა მერე. ისე ვიკითხე, რა ერთი ბებერი მეზობელი მომიცვდა, იმან იცოდა მაგის წამალი...

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. „ვიმპელიანმა“ ნიღაუცი წაპკრა ისევე კაკოს და გულითადი ღიმილით ანიშნა — „კარკი, შო... გაგებხმარე“. კაკო იმავ წუთში შეურვიდა და საპასუხოდ გულითადობით დაუბრუნა ღიმილი, თუმცა სიწითლე ისევე უანგვივით მოდებოდა სახეზე.

— თუ მოკვდა, რეცეპტსაც თან წაიღებდა, რაღა.

— თან ხო, თან არა...

— ეკ როგორ, რა?

— როგორ და ბებიაჩემს გაანდო.

— ცოცხალია? — უკვე თავს ვიღარ ვეძებ მძღოლი და თან მტანჯველი ტკივილების გახსენებაზე ღვარძლიანად იგინება გულში.

— არა

— ვაჰ! არ გეწყინოს და ჩერებსურ პაზონად მოქცეულა... — სინანულით ჩაილაპარაკა შოფერმა.

— სამაგიეროდ მე ვცო რეცეპტს სხვენზე ინახავდა, სკივრში. ერთხელ ავიპარე და გადავიწერე...

შოფერი გამწოვის ქვეშ მოექცა. ტურნები ააცმაცუნა და შეპარვით დაიწყო: — ერთი ძმაკაცი მყავს ჩერებსურ დიდი ხანია ტაქსზე მუშაობს...

მანქანა უკვე აერობორტს უახლოვდება, კარგა ხანია გამოსცდენდნ ლოქინს. წინ დიდი მაგისტრალია, მანქანები ირვებიან.

— მახლას, მაჩვენე ერთი ის შენი წამალი... უკანასკნელად მოსუბვიეს და მეტრო „ისინის“ ქვემოთ. ვიწრო ქუჩაზე გაჩერდნენ. უკანა სამმა მგზავრმა ხუთ-ხუთ მანეთი ჩაუთვა და მძღოლს და ხელის აწევით დაემშვიდობნენ.

— კარგად, ბიჭებო. — ხელი აუწია შავგვრემანმა. მერე კარები გააღო და მძღოლის მხარეს მოუარა, ნიღაუცი ჩამოღო კარებზე: — კალამი და ქაღალდი გაქვს. — მძღოლი გადაინხარა მზის საწინააღმდეგო სანარდილობიდან ბლოკნოტი და კალამი დააძრო და მოემზადა.

— თითო ბოთლს ოც მანეთად ვყიდი, თხუთმეტ მანეთს მომიტან და ხუთ მანეთს გზის ფულში გაგიბრძო...

მძღოლი ძალიან ნელა წევს თავს მალა და შავგვრემანს უყურებს.

— თუ არ გინდა, აბა, შენ, ხუთი მანეთი და კარგად იყავი. შავგვრემანმა ხუთმანეთიანი მუხლებზე დაუგდო შოფერს და მეტროსკენ წავიდა: — თუ თელავში მოხვდე, რაფო მომიკითხე!

მძღოლი მგონი იგინება, ან შეიძლება არც იგინება — იცინის. მერე ხელი ისე ჩაიქნია, ნამდვილად გაიფიქრებდა — „აბა ესენი არიან და...“

დაიშალა ეკიპაჟი: ოთხი სული: ხუთ-ხუთი მანეთი.

## მ ს ტ ზ ბ ა რ ი

ჩემი, მეგობარი, ახალგაზრდა ფსიქიატრი, ყოფილი ფეხბურთელი და ერთ-ერთი, საკმარისად ცნობილი თანამდებობის პირის — (უბრალო ხალხი „დიდ კაცს“ რომ ეძახის) — სიძე, გამხდარი, მაგრამ წარმოსადეგი აივანშოს სავარძლიდან წამოდგა, არაბული საწერი მაგიდის მოლოქოვილ-მოლოქოვილი უჭრა გამოადლო,

სხვადასხვა ხარისხის, სხვადასხვა ჯომის და სხვადასხვა ფერის ქაღალდების დასტა ამოიღო და მოამწოდა: — წაიკითხე აბა...

მე წავეკითხე: თათრულ-აღმოსავლური ლირიკის ორი ხაზის შესახებ.

ფატალური და სემდა ფოლიანტი პირველი

ამ ხაზაურის ქვემოთ რატომღაც ჩარლი ჩამო-  
დინის სიმბოლოად ქვეული ქუდი, კვადრატ-  
ული უღვაშები, გადაღრეცილი „ბეკელა მალ-  
სტუხი“ და კაუჭა ჭოხი ეხატა იისფერი ფანქ-  
როთ.

უნდა შეეჩვიო საკუთარ თავს.

უთხრა: რა მოგივიდა?

მერე რა, რომ არ გამოგივიდა?

მინც განაგრძე — უფრო სწორად და უფრო  
ანლოს.

უნდა: შეაჩვიო მზერა სახიფათოს,

უთხრა: არ დამიშვებია მე არაფერი,

თუმცა: ალბათ დავიშვებია.

უთხრა: უნდა: მერე

მერე: შეგიყვარდეს

მერე: განაყოფიერდეს

მერე: ენბელა მოგენატროს

მერე: გაიცინო

და მერე: დაიძინო.

იქ კი ელექტროამბრთველია:

ჩართავ — ინთება

მე ქალაქი მშვიდად დავდე მაგიდაზე და

ფრთხილად შევეკითხე აივენმოს: — მერე რა?

— კიდევ წაიკითხე, კიდევ...

მე კიდევ წავიკითხე: ფოლიანტი მეორე

### აბტომორტობი

როგორც ცნობილი რეკვირისტის გამო-

ჩენა საზოგადოების ერთა ნაწილისთვის,

როგორც უხეში ჭეშმერის ჭეშმ მუცელზე

სიცილი და როგორც ტირილი მოვიდა...

წვიმა...

იმ დღიდან წვიმა და წუშვე წუშვეს მხა-

რით ეკეროდა და რადგან ზღვაში განისვენ-

ნებს ყველა მეკობრე, შენც თევი გელის

მაწანწალა... მშვიდი თევა.

მეორე ფურცელი ჩავამთავრე და მცირე პა-

უხის შემდეგ ვკითხე: — რომელი საათია?

— ჭერ ადრეა. ხომ ვიცი, გაინტერესებს,

წაიკითხე კიდევ...

— ისევ ხმამალა?

— ხო. შენ კარგად კითხულობ, ტექსტთან

უშუალო კავშირს ამჟამებ და საინტერესოა.

— ესე იგი, მეც საინტერესო ვარ შენთვის?

ორივეს გაგვიცინა. მე — გროტესკულად.

ცივად აივენმოს — დაღალულად და მოთენ-

თილად.

— კი ბატონო... ფოლიანტი მესამე. ვიმ-

ვარ მე და რატომ არ ვარ მე... აღარ მაინტე-

რესებს, თუ ძმა ხარ... წამოვდექი და კაზი-

ნეტში გავიარ-გამოვიარე.

— საწყენია. იძახის, ვთარგმნის.

— რა, უცნო ენა იცის?

— ვინა, კაკომ?... არა... ქართულის გარდა  
არც ერთი ენა არ იცის.

— და... — მინცდამანც არ გამევიწყე-  
ბია. აივენმოსთან ადრეც მოვსულვარ სამსა-  
ხურში და ადრე უფრო გასაკვირალი რამეც  
მინახავს და მსჩენია. სარკმილიდან ვაკვირდე-  
ბოდი როგორ დახეირნობდნენ ფერგახუნე-  
ბულ ნაძვებს შორის უცნაურად გარინდებუ-  
ლი ზამბაზის ზოლიან შარვალ-ხალათში შე-  
მოსილი ფიგურები: წყვილ-წყვილად და გან-  
მარტოებით. ოდნავ ციოდა.

— გავიდეთ მაშინ და ქუჩაში დაველოდოთ  
არჩილს. — არ უნდოდა, მაგრამ მინც წამო-  
დგა აივენმოს. — ეფუშპს!... — ერთი ლაზათი-  
ანად გაიშორა, თეთრი ხალათი არაბულ კა-  
რადამში შეკიდა, კოსტიუმი გაიწორა, კარა-  
ლის პრიალა კარებში საკუთარი გარეგნობა  
შეაფხავა ფვალის ერთი შევლებით და გარეთ  
გამიძღვა.

ვიდრე ქუჩაში გამოვიდოდით, ჭერ კლინი-  
კის ეჭო უნდა გაგველო. — აი, დააკვირდი.  
წამჭურჩულა უცებ და ცემენტის კედლის კუ-  
ხბეში აუუღებულ ავადმყოფისკენ გასწია.

— როგორ გრძნობ თავს, კაკო? — მხარზე  
ხელი დაადო ძალიან გამზდარ, შუაბანას  
აუადმყოფს. მე ცოტა მოშორებით შევდექი.  
კაკომ ორი ნაბიჯი გადადგა გვერდულად და  
აივენმოსკენ შემოტრიალდა.

— გაგვიტყვებს დღეს წესი?

კაკომ თავა დაუქნია და მე დავინახე მისი  
თვალები. უვითელ ტრავმადაკრულ შუბლსა  
და უკრიმლებს შორის ჩახიდული, შავად  
მშინავი თვალები, ისინი ჩემს სახეზე წაბიე-  
რად და უმინწოდ გადაკრთნენ და ისევ აივენ-  
მოს ჩააშტერდნენ ინტერესით, მოლოდინით,  
უნდობლად.

— შუბლისას გეძინა?

— მეძინა და ანამ გამაღვიძა... მე დამ-  
ღვეს ანია... ჩამეძინება თუ არა, ძილში: მო-  
დის და მაღვიძებს... ანია აღარ მოვიდეს... არ  
მინდა...

— კარგი, კაკო, დაწყნარდი! ანია აღარ  
მოვა. ანია წავიდა. რვა საათისათვის არ დაგა-  
ვიწყდეს. შენ თვითონ დლიდი!

— მე რაღაც ვიცი... — უცბად და მოუ-  
ლოდნელად შეიცვალა კაკო, ეშმაკურად გაი-  
ღიმა, ზამბაზის ზოლიანი ხალათის სახელოტე-  
ში ხელები შეშალა და საშინლად გამძდარი  
კისერი მხრებში ჩაიტანა.

— კარგი, კარგი. მოიფიქრე, ჩამოაყლობე  
და მითხარი. ასე შევთანხმდეთ. დლით გა-  
მოვიძინებ, — აივენმოს ავადმყოფს მოსცილდა  
და ხელი გამოშალა. — ცოტა ადრე რომ მო-  
ხლულიყავი, ნახატებსაც გიჩვენებდი. ერთი ქა-

ბაბლურ ბაბარჯინილი  
მოთხრობები



ლი მოიყვანეს ახლახან, მარნეულელი ბერძენია, უცნაურ რაღაცეებს ხატავს...

— უკვე შეშინია, ვთქვი მე. უკვე შეშინია მაგათი...

— პირველად მეც შეშინოდა. — გაიცინა აივენშიომ და ქურაში გამოვედი. ათიოდე წუთი მოგვიწია კლინიკის წინ დგომამ. მერე არჩილმა ჩამოიარა მანქანით და ჩვენი ბავშობის მეგობრის დისერტაციის დაცვაზე წავედი. ვიღერ არჩილს ველოდებოდით, მე კლინიკის პიშკრის გისოსებს შორის გავიხდე და დავინახე ცემენტის ლეგა, ალად-ალაგ წითელ-აგურებამოჩენილი კედლის კუთხეში ატუზული კაკო. ის ჩვენსკენ იყურებოდა და რატომღაც მომჩვენა, თითქოს თავს გვიჩვენებდა სწრაფად და წუხილით. თითქოს რაღაცას გვიძახებდა, რაღაცას იქაიღებდა, რაღაცას გვთხოვდა...

მერე უნივერსიტეტის აუდიტორიიდან რომ გამოვიშალეთ და ჩვენი ბავშობის მეგობარს აწ უკვე მეცნიერების კანდიდატს შემოვხვებით, მოულოდნელად გამახსენდა კაკო. მომღიმარ მეგობრებს მოვცილდი და წინ წავედი. აშკარად და ცხადლივ მედგა თვალწინ კაკო — ყვითელ ტუფგადაკრულ შუბლსა და ყვრიმადებს შორის ჩაზიდული ორი შავი, ელვარე თვალი, თითქოს ნეონის ნათურებით ცივად განათებულ პარკეტის იატაკზე მიცურავდა.

სახეზე ზელი მოვისვდი, ასე მეგონა. წელს გადამკრთალი კაკოს თვალების კვალი ნაკვად დამჩნეობოდა... და ძილის წინ გამახსენდა ერთხელ კიდეც, როდესაც ბავშობის მეგობრის დისერტაციის დაცვისადმი მიძღვნილ საწემო ბანკეტიდან დავბრუნდი, ოდნავ თავდამძიმებული და დაქანცული. „ნეტავ რა იცის?“ — გამიელვა ფიქრმა. თვალები დავხუქე და საბანი წავიფარე.



რა კარგია დილით, მზენი და მზიარულნი რომ გამოვდევართ ქურაში, არაფრის გვერიდება და თავდაჭერებით ვამაყობთ კიდეც: უჩაღ, შენ ჩემო თავო!.. და მაშინ აღარც კი გვახსოვს სამყარო, რომელიც სულ ახლოსაა ჩვენგან. ცემენტის ლეგა კედლის გადაღმა-თერი სიჩუმით, ფერგახუნებული ნაძვის ხეებით და ჯოჯოსეთური სიმართლით, გულსაკლავი სიმართლით... თეთრი და ფერგახუნებული... მაგრამ როდისმე გავახსენდება ბამბაწიის ზოლიან შარვალ-ხალათში შემოსილი სასოწარკვეთილების მსტოვარი, ყვითელკან-გადაკრულ შუბლსა და დაწვებს შორის ჩავარდნილი აღგზნებული თვალებით, რომელმაც რაღაცა იცის...

და ჩვენ ვერაფერს შევცვლით.



## ნოველა ჯოხზე

### 1. ლირიკული გადახვევა ანუ შესავალი

საესე უზადო პატიოსნებით,  
მომსწრე ათასი დარდის და ოხვრის, —  
გენიოსებიც,  
გენიოსებიც  
ბოლოს

დადიან  
ჯოხით!

ჯოხი ეჭირა ბოლოს გოეთეს —  
სიბურთით ოდნავ მოხრილს;  
აინშტაინიც ბოლოს

ყოველდღე

დასეირნობდა... ჯოხით!

სიკვდილ-სიცოცხლის სუსტა ბეწვია  
შური დიდებულ მოყვრის,  
თორემ... პუშკინიც —

რომ დაეცლიათ, —

ბოლოს

ივლიდა  
ჯოხით!

უსმინა მამულის ზარსა და მოძახილს,  
ტანზე დროშისფერი ჩაიცვა კაბა  
და საქართველოზე ლოცვაში  
ჯოხით შე

მო

რ

ა

რა ვეროპა საბამ!

### 2. შესავლის გაგრძელება

აი, სულ თოთო ნერგი პაწია, —  
რომ არ წაიქცეს ქარით —  
ამოდგომია მხარში კაცით  
იგივე ჯოხი — სარი.

აი, ვენახი გადავარცხნილი,  
მწვანე, ბიბინა ნოხი;  
და შედგომია ვაშებს კაცივით  
ჭიგო — იგივე ჯოხი.

დაბადებიდან და გაჩენიდან —  
თუ არა ვცდები, ვგონებ, —  
თოვლის ბაბუაც ახალ წელიწადს  
ჯოხით გვეწვევა ხოლმე...

აშენა,  
ჭედა,  
დაწვა,  
იომა,  
აჰყვა ნება-სურვილს ათასი ოხრის —  
და ბოლოს,  
თვითონ კაცობრიობას  
ჯოხი და ჯოხი!  
დაჭირდა ჯოხი!

. . .  
წამოაჩოქეს ყმა ბატონის წინ,  
წამოუწიეს კალთები ჩოხის;  
ურჩობისათვის და განდგომისათვის —  
ჰკრეეს არგანი — იგივე ჯოხი!  
— 10 არგანი!  
— 20 არგანი!  
— 50 არგანი!  
— კაი მაგარი!  
— კაი მაგარი!  
— კაი მაგარი დაკარი!  
— გაჩუმდა!  
— მოკვდა?  
— ჯერ არა!  
— კვდებო?  
გინ დაგიდევდა თვლას ან ანგარიშს —  
და ასრულებდა ბატონის ნებას  
ჯოხი — იგივე არგანი!

სავსეა მთელი კაცობრიობის ფუძე  
ჭირით და ლხინით, სისხარულით და ოხვრით  
რადგან საწყალი, მართალი კაცის ზურგზე  
გა-  
და-  
ტე-  
ხი-  
ლა ჯოხი!



3. სამი ხმა ანუ დასაწყისი და  
დასასრული

პირველი:

ეს ხმა მილიონი წლისაა,..  
სმენა:

ბრძოლაა კბილებით  
და თავგამეტებით  
და დაოსებულ ბრბოს წინ უდევს  
ჯერაც

თბილი მამონტი — მოკლული კეტებით...

აი, მშვიერ კუჭზე რა არის მისწრება!

ბრბო კმაყოფილია მაზანდით.

და ახლა იწყება,

და ახლა იწყება

ფარისევლური ზეიმის აზარტი:

„— რატომ მოგკალი, მამონტო!

— მე სხვა მეგონე!

სხვაში შემეცვალე ამხელა მამონტი —

ვაიმე,

ვაიმე,

ვაიმე...

შენ რას გერჩოდი, მამონტო,

ასეთ მშვიდსა და უწყინარს!

მერე რამოდენა ყოფილხარ...

ვაიმე,

ვაიმე,

ვაიმე...

უფალო, შეგვინდე!

ღმერთო, გვაპატიე!

აბა რა ვიცოდით, მამონტი თუ იყო...

— მამონტი ყოფილა!

— მამონტი ყოფილა!

— მამონტი ყოფილა!

— დედუუ! ვაიმე!

ვაიმე,

ვაიმე..

„აფსუს!..“

გაუძლო საუკუნეების გამოცდას,

აი, ზენიტი ყოველგვარ გამოცდის —

ჯობებით (იგივე — კეტებით) ამოწყდა

ყველაზე დიდი არსება — მამონტი!..

მეორე:

ეს ხმა გუმინდელი ხმა არის,..

სმენა:

ქ. ნიურნბერგში ჯერ ისევ წისლია...  
და მთელი ქვეყანა უყურებს  
ჯერაც  
ხელებს ჯალათისას — სისხლიანს!

„— მე რა ვიცოდი!  
— აფსუს!  
— რა გვიქნია! —  
ცრემლი აღვარღვარეს „კეთილმა ძიებმა“.  
და კვლავ განმეორდა ძველი ტრადიცია —  
ფარისევლური მონანიება.

აშენა,  
ჭედა,  
დაწვა,  
იომა,  
აპყვა ნება-სურვილს ათასი ოხრის  
და ბოლოს,  
ბოლოს კაცობრიობას  
ჯოხი და ჯოხი!  
ჭირდება ჯოხი!

**მესამე:**

ეს ხმა დღევანდელი ხმა არის...  
სმენა:  
ამ ხმას მოწოდებას ვარქმევ:  
ისმინეთ!  
ისმინეთ!  
ისმინეთ ყველამ! —  
კვლავ ჯოხზე არ მიდგეს საქმე!  
თუ არ გამოვიღეთ ხელი,  
აპა, დედამიწის ბედი:  
გავა მილიარდი წელი, —  
მამონტს უნდა ვდიოთ... კეტიოთ.  
მერეც მილიარდი გვინდა,  
კიდევ მილიარდი წელი, —  
რომ აღმოვაჩინოთ რკინა,  
რომ გამოვიგონოთ დენი;  
ძრავების ძალას და უნარს  
კვლავ რომ ავაყოლოთ რიტმი;  
რომ ვთქვათ: დედამიწა ბრუნავს!  
ან ესეც ვინ იცის, ვიტყვი?  
ამისთვის ვიტეხდით კისრებს?  
ამისთვის ვწერდით და ვჭედდით —  
ცხოვრება დაგვეწყოს ისევ  
თავიდან — ჯოხით და კეტით?  
მაგრამ გვირგვინებს და ტახტებს,

ყველა უმეცართ და უნდილთ —  
უნდათ — დედამიწა გახდეს  
ჯოხით საკენწლავი ბურთი.  
ჩვენ, ჩვენ გვაბარია ძველი  
დედის — დედამიწის ბუდი,  
თორემ მილიარდი წელი —  
და პა, — მამონტი და კეტი!

აშენა,  
ჭედა,  
დაწვა,  
იომა,  
აპყვა ნება-სურვილს ათასი ოხრის...  
და ბოლოს,  
ბოლოს კაცობრიობას  
ჯოხი და ჯოხი!  
აშოროს ჯოხი!!!

#### 4. დასასრულის გაგრძელება

საესე უხადო პატიოსნებით,  
მომსწრე ათასი დარდის და ოხვრის, —  
გენიოსებიც,  
გენიოსებიც  
ბოლოს

დადიან  
ჯოხით!

ჯოხი ეჭირა ბოლოს გოეთეს  
სიბერით ოდნავ მოხრილს.  
აინშტაინიც ბოლოს ყოველდღე  
დასეირნობდა ჯოხით!

სიკვდილ-ხიცოცხლის ერთი ბეწვია —  
შური დიდებულ მოყვრის,  
თორემ... პუშკინიც —  
რომ დაეცლიათ —  
ბოლოს

ივლიდა  
ჯოხით!

...ბევრი აშენა, ბევრი იომა,  
არ კი დაღლილა შრომით;  
ჩემო ბებერო კაცობრიობავ  
ღმერთმა გაშოროს ომი.





მასტანე გურული,  
პალმრინა მამარაძე

## საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ პოლონეთში

(ბახლი საპრემიო მასალების მიხედვით)

პოლონეთში რამდენიმე ათეული საბჭოთა პარტიზანული რაზმი მოქმედებდა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანის ისტორია მეცნიერულად შესწავლილი არ არის. მართალია, ამ რაზმების საბრძოლო საქმეების შესახებ დაიბეჭდა ზოგიერთი მონაწილის მოგონება, ან, უკეთეს შემთხვევაში, ზოგიერთი რაზმის ისტორია მეტნაკლებად აისახა ზოგადი ხასიათის შრომებში, მაგრამ ბუნებრივია, ეს საქმის ვითარებას ვერ ცვლის.

პოლონეთის ტერიტორიაზე ორი წლის მანძილზე (1942 წლის მარტიდან 1944 წლის თებერვლამდე) საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“,<sup>1</sup> რომელმაც საყურადღებო შედეგები გამოიღო: ააფეთქა 7 ქარხანა და 5 ხიდი, გაანადგურა 7 ორთქლმავალი, 58 ვაგონი, 2 ტანკი, 37 ავტომანქანა, ჩამოაკლ 2 თვითმფრინავი, მოსპო მტრის 230-ზე მეტი ოფიცერი და ჯარისკაცი, 20-მდე ქანდაკი და პოლიციელი. რაზმი ეწეოდა აგიტაციას ადგილობრივ მოსახლეობაში, რითაც ხელს უწყობდა პოლონეთში ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლას. ამ მონაცემებს სისტულის პრეტენზია არა აქვს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ცხენებულ რაზმის ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის. საბჭოთა ლიტერატურაში, რაზმის ისტორიის ნაცვლად, მხოლოდ ცალკეული ცნობებია მისი მეთაურის ვასილ მანჯავიძის შესახებ.<sup>2</sup> კიდევ მეტი, ზოგიერთ ნაშრომში თვით რაზმის ხელმძღვანელობის თაობაზეც უხეშ შეცდომებს ვაწყდებით. ასე, მაგალითად, ისეთ სპეციალურ ნაშრომშიც კი როგორც მ. სემირიაგას წიგნია, დამოუკიდებელი საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“, წარმოდგენილია როგორც გ. კოტოვსკის სახელობის პარტიზანულ რაზმ-

ში შემავალ ერთეული,<sup>3</sup> რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მ. სემირიაგას ნაშრომში სხვა უზუსტობანიც გვხვდება, რაზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

საბჭოთა პარტიზანული რაზმის „ვასკა გრუზინის“ და მისი მეთაურის ვასილ მანჯავიძის შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული პოლონურ ლიტერატურაში,<sup>4</sup> მაგრამ იგი სათანადო შემოწმებას საჭიროებს, რადგან ხსენებული რაზმი, როგორც დამოუკიდებელი საბრძოლო ერთეული, ანგარიშს არ უდგენდა პოლონეთის პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობას, ამიტომ პოლონური მასალები სიზუსტეს მოკლებულია.

საკითხის შესწავლისას ჩვენ ვისარგებლეთ ცნობილი წყაროებითა და ლიტერატურით. მაგრამ ჩვენთვის ძირითად წყაროს წარმოადგენდა უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივიზი დაცული მასალები.<sup>5</sup>

1942 წლის მარტში ლუბლინის სავოევოდოს ტომაშევის რაიონში ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეულმა საბჭოთა მებრძოლებმა ჩამოაყალიბეს თერთმეტი კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლის მეთაურად არჩეული იქნა ვასილ ტერენტის ძე მანჯავიძე. პარტიზანული ჯგუფის შეიარაღებას შეადგენდა: 1 ჩეხური ტყვიამფრქვევი, 4 შაშხანი, 2 პისტოლეტი, 11 ხელყუმბარა, 800 ვაზნა, რომელიც მიიღეს თანამგობრბო პოლონელებისაგან.

ბუნებრივია, ასეთი პატარა ჯგუფითა და მცირე შეიარაღებით მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაციების ჩატარება შეუძლებელი იყო. პარტიზანულმა ჯგუფმა, პირველ ეტაპზე, 1942 წლის მარტიდან მისამდე, რამდენიმე მცირე მასშტაბის ოპერაცია ჩატარა. ეს იყო საბრძოლო შეტაკებები გერმანულთა მცირე რაზმებ-

თან პოლონელ პოლიციელებთან 1942 წლის მარტში ლუბლინის საოვევოდოს ზამოშინის რაიონის სოფ. დუბსა და სოფ. ჟიერონენის ახლოს; 1942 წლის აპრილში — იმავე საოვევოდოს ტომაშუვის რაიონის სოფ. პავლეცკაში, აგრეთვე ოპერაცია ტომაშუვისა და კრასნობრედს შორის<sup>10</sup>. პირველ ეტაპზე ჩატარებული ოპერაციებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 1942 წლის 1 მაისის ოპერაცია ტომაშუე-ტარნავეტკას გზაზე, სადაც სამჭოთა პარტიზანებმა, ვ. მანჯავიძის მეთაურობით, განადგურეს გერმანელთა რაზმი, დასწრეს 2 ავტომანქანა, ხელთ იგდეს 1 ჩეხური ტყვიამფრქვევი, 1 ავტომარტი, 4 შაშხანა, 3 პისტოლტი, 4 ხელყუმბარა და 1500 ვაზნა.

ამ მთლიან ოპერაციებზე შედეგად მოყვა პარტიზანული ჯგუფის საბრძოლო თვისებების ჩამოყალიბება, შეიარაღების შევსება და შემაღდგენლობის ზრდა. ამასთან, ვ. მანჯავიძის პარტიზანული ჯგუფის არსებობა ცნობილ კახელ ტომაშუვისა და ბილგორაის რაიონებში მოქმედი პარტიზანებისათვის, რასაც მოყვა მისი რიგების ზრდა.

1942 წლის მაისის დამდეგიდან ვ. მანჯავიძის პარტიზანული ჯგუფი უკვე 27 კაცს ითვლიდა. ხელმძღვანელმა ჯგუფი გადაიყვანა ლუბლინის საოვევოდოს ბილგორაის ტყეში, სადაც იგი შეიკრო (10 მაისისათვის 35 კაცს ითვლიდა)<sup>12</sup> და პარტიზანთა გადაწყვეტილებით პარტიზანულ რაზმად გადაკეთდა, რომელსაც „ვასკა გრუზინი“ ეწოდა, ხოლო მეთაურად არჩეული იქნა ვასილ ტერენტის ძე მანჯავიძე.<sup>13</sup>

პარტიზანული რაზმის „ვასკა გრუზინის“ მეთაური ვასილ ტერენტის ძე მანჯავიძე დაიბადა 1020 წელს<sup>14</sup>, ზესტაფონის რაიონის სოფ. პატარა განთიადში. 1940 წელს ვ. მანჯავიძე გაწვეული იქნა წითელი არმიის რიგებში<sup>15</sup> და მსახურობდა ქ. როენოში 215-ე მსროლელი დივიზიის, 711 პოლკის სამაერო თავდაცვის ასეულში<sup>16</sup> ისვენებული ნაწილი 1941 წლის 8 ნოემბერს ჩერნიოვოვის ოლქში ალყაში მოექცა. ალყიდან გამოსვლის ცდისას ვ. მანჯავიძე ჩავარდა ტყვედ და მოათავსეს მიწის ტყვეთა ბანაკში, საიდანაც 1941 წლის დეკემბერში ეშვლინით წაიყვანეს პოლონეთში. ვ. მანჯავიძე სამ ამხანაგთან ერთად, ეშვლინიდან გაიქცა ვარშის ახლოს და 1941 წლის დეკემბრიდან 1942 წლის მარტამდე იმყოფებოდა პოლონეთის სოფლებში<sup>16</sup> ხოლო 1942 წლის მარტში, როგორც ზემოთ ითქვა, ჩამოაყალიბა პარტიზანული ჯგუფი<sup>17</sup>.

1942 წლის მაისში სამჭოთა პარტიზანულმა რაზმმა „ვასკა გრუზინი“ შეიძულა შემდგომი მოქმედების ვეგმა, რომელიც ითვალისწინებდა პარტიზანთა რიგების ზრდას და საბრძოლო ოპერაციების ჩატარებას ლუბლინის საოვევოდოს ტომაშუვის, ბილგორაისა, ზამოშინის რაიონებში<sup>18</sup>.

მოქმედების რაიონი გონიერულად იყო შეარჩეული. როგორც ვ. მანჯავიძის ანგარიშიდან ჩანს, რაზმი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ამ რაიონებზე გადიოდა მთავარი რკინიგზები და შოსეები აღმოსავლეთისაკენ, სადაც გერმანელთა ეშვლინებს უნდა ვიქცეოთ, თანაც გზები გადიოდა ტყის მასივებზე, რაც მოქმედების წარმატების საწინდარი უნდა გამხდარიყო<sup>19</sup>.

თუმცა, რაზმი ჯერ კიდევ არ იყო მრავალრიცხოვანი, მაგრამ მაინც შეუძლო გაბედული საბრძოლო ოპერაციების ჩატარებას. 1942 წლის 20 მაისს ტომაშუვის რაიონის სოფ. ტარნავეტკაში რაზმმა დაწვა ხის დამმუშავებელი ქარხანა, რომელიც გერმანელთა სამხედრო ნაწილებს ამარაგებდა. გაიღო ამისა, განადგურეს 4 ავტომანქანა და მოსპეს მტრის 6 ჭარისკაცი და ოფიცერი. ხელთ იგდეს 1 ტყვიამფრქვევი, 1 ავტომარტი, 3 შაშხანა, 4 პისტოლტი, ერთი ყუთი ხელყუმბარა და 2000 ვაზნა<sup>20</sup>.

იმავე დღეს რაზმმა ჩატარა კიდევ ორი ოპერაცია: პირველი ოპერაციისას, რომელიც იქვე ჩატარდა, რაზმმა მოსპო მტრის 1 მსუბუქი ავტომანქანა, მოკლეს 3 გერმანელი და ხელთ იგდეს 1 ავტომარტი, 2 შაშხანა, 1 პისტოლტი და 120 ვაზნა<sup>21</sup>; ხოლო მეორე ოპერაციისას ტომაშუე-ზამოშინის გზაზე — რაზმმა გაანადგურა მტრის 1 ავტომანქანა, მოსპო მტრის 4 ჭარისკაცი და ოფიცერი. ხელთ იგდო 1 ავტომარტი, 1 შაშხანა, 2 პისტოლტი, 100 ვაზნა.<sup>22</sup>

1942 წლის 25 ივნისს რაზმის მხვერავი ჯგუფი ტომაშუე-ბელეცის შოსეზე თავს დაესხა გერმანელთა ალას; მცველები ვაიქცნენ, პარტიზანებმა ხელთ იგდეს 1 ტონა შაქარი<sup>23</sup>, ხოლო იმავე წლის 26 ივნისს ბილგორაის რაიონის სოფ. პაპერნისთან, რაზმი თავს დაესხა გერმანელ ჭარისკაცთა ჯგუფს, რომლებიც ტყის დამზადებაზე მუშაობდნენ, მტერმა დაკარგა 15 კაცი, პარტიზანებმა ხელთ იგდეს 1 ტყვიამფრქვევი, 4 შაშხანა, 10 ხელყუმბარა და 1000 ვაზნა.<sup>24</sup>

ჩვენ ამ პატარა საბრძოლო ოპერაციების აღწერა იმიტომ მივიჩინეთ საჭიროებად, რომ მკითხველმა იცოდეს, პოლონეთში მოქმედ სამჭოთა პარტიზანებს, რამდენადაც ისინი სამჭოთა პარტიზანულ მოძრაობის ცენტრალურ შტაბთან არ იყვნენ დაკავშირებული, მთლიანად საკუთარი ხელით უზღებოდან იარაღისა და საბრძოლო მასალების მოპოვება, რომლის შემდეგ შეიძლებოდა ეფექტური ოპერაციების გაშლა.

1942 წლის ივნისიდან „ვასკა გრუზინის“ მოქმედება იმდენად ინტენსიური ჩანდა, რომ გე-

**მასხანაზ მურშული, შალვარდინ მახარაძე**  
საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ პოლონეთში



რმანელთა სარდლობამ გადაწყვიტა მოეწყო დამსჯელი ექსპედიციები. ასე, მაგალითად, 1942 წლის აგვისტოში გერმანელებმა 2000 კაცი გადაჭრეს გზები და ვარს შემოერტყნენ ტყეს, სადაც პარტიზანები იყვნენ. ამ დროს რაზმის შემადგენლობაში 85 კაცი იყო, ხოლო რაზმს შეიარაღებულნი გააჩნდა: 16 ტყვიამფრქვევი (მათ შორის 14 პოლონური), ყოველ პარტიზანს ჰქონდა შაშხანი, 3-4 ხელყუმბარა და 100-150 ვაზნა<sup>25</sup>.

როგორც ვხედავთ, პარტიზანელები ურიგოდ შეიარაღებულნი როდი იყვნენ, მაგრამ მტრის ძალები ოცდახუთჯერ უპრებობდა და შეიარაღებულ გერმანელებს უფეთესი ჰქონდათ, ბუნებრივია, ბრძოლის შედეგით სავსეყო იყო, ამიტომ ვ. მანჯავიძემ მიიღო გადაწყვეტილება გაერღვია მტრის ალყა, რაც განხორციელდა კიდეც უმნიშვნელო დანაკარგით. პარტიზანებმა დაკარგეს 4 კაცი (2 პარტიზანი დაიჭრა), ხოლო გერმანელების დანაკარგი მეტი იყო — 13 მოკლული და 6 დაჭრილი.<sup>26</sup>

1942 წლის ოქტომბერში პარტიზანულ რაზმს შეჯახება მოუხდა გერმანელთა სამას კაციან რაზმთან ტომასუვის რაიონის სოფ. ყველონესთან (ტყეში), სადაც საბჭოთა პარტიზანებმა დაწვეს მტრის 1 ავტომანქანა. მოსპეს მტრის 14 ჯარისკაცი და დაჭრეს — 7, ხოლო პარტიზანებმა დაკარგეს 6 კაცი, მათ შორის გენერალი ა. ოგურცოვი<sup>27</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. სემირიაგას წიგნში საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს გენერალი ს. ოგურცოვი 1942 წლის 28 ოქტომბრამდე (დაღუპვამდე) ხელმძღვანელობდა გ. კოტოვსკის სახელობის პარტიზანულ რაზმს, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ვ. მანჯავიძის რაზმი<sup>28</sup>. ეს ცნობა მ. სემირიაგას ნაწილობრივ აღებული აქვს ვ. ზებოლოვის მოგონებებიდან, რომელიც პოლონეთში დაიბეჭდა<sup>29</sup>.

ამ ცნობას მხარს არ უჭერს საარქივო მასალები, სადაც დაწვრილებითი ცნობებია. ვ. მანჯავიძის რაზმის საქმიანობისა და თვით გენერალ ს. ოგურცოვის შესახებ.<sup>30</sup>

როგორც მასალებთან ჩანს, 1942 წლის ივნისში, ვ. მანჯავიძის რაზმში მოსულა ხელმძღვანელობის ტყვეთა ბანაკიდან გამოტყვევებული გენერალი სერგეი იაკობის ძე ოგურცოვი, მე-13 არმიის 56-ე სატანკო დივიზიის ყოფილი მეთაური, რომელიც ტყვედ ჩავარდნილა 1941 წელს.

საარქივო მასალებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, რომ გენერალ ს. ოგურცოვს ვ. მანჯავიძის რაზმში რაიმე თანამდებობა სჭეროდეს. საარქივო მასალებში მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ გენ. ს. ოგურცოვი რაზმში მოვიდა 1942 წლის ივნისში და დაიღუპა იმავე წლის ოქტომბერში ტომასუვის რაიონის სოფ. ყველონესთან გერმანელებთან შეჯახების დროს და დაუსაფლავებიათ სოფ. ყველონეს ახლოს ტყეში.<sup>31</sup>

მასალებში გენერალ ს. ოგურცოვის მეთაურობაში მოუხსენებლობა სინამდვილეს უნდა ასახავდეს და არ უნდა იყოს გამოწვეული ტყვედ წყობით გერმანიის ავტომატური გარდა რაზმის მეთაურის (ვ. მანჯავიძისა) სხვების მოხსენებისათვის. ამის საილუსტრაციოდ ის ფაქტიც კი იკმარება, რომ იგივე მასალები გეგრდნენ არ უელნიან სხვებს, როგორც ამას ქვემოთ დაინახავთ.

1942 წლის დეკემბერში ვ. მანჯავიძის რაზმში მოვიდა ნილოლოზ ივანეს ძე ისახანოვი, რომელიც დაინიშნა ჯერ კონტრაბეგერის უფროსად, ხოლო შემდეგ — რაზმის კომისარად და ამ თანამდებობაზე დარჩა რაზმის არსებობის მთელს მანძილზე, 1944 წლის აპერტებამდე. ნ. ისახანოვი (ეროვნებით სომეხი) დაიბადა 1917 წელს. სამამულო ომის დროს დაამთავრა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარატის სკოლა ქ. გორკში, რის შემდეგ დაინიშნა მე-6 არმიის 244-ე მსროლელი პოლკის გასაწყურებელი ნაწილის უფროსად. 1942 წლის მაისში ხსენებული ნაწილი მოხვდა ალყაში, სადაც ნ. ისახანოვი ტყვედ ჩავარდა და ემელონით წაიყვანეს პოლონეთში. გზაში, ქ. ლუბლინის ახლოს, 1942 წლის ნოემბერში, ნ. ისახანოვი ეშველონინდა გაიქცა და იმავლენით პოლონეთის სოფლებში, სადაც ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შეიტყო, რომ ბილგორაის რაიონში მოქმედებდა საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“. ნ. ისახანოვი პოლონეთში მემუდობით, დაეკავრება რაზმს და 1942 წლის დეკემბერში შევიდა მის შემადგენლობაში<sup>32</sup>.

საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე დაკავშირებული იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც განაპირობებდა მის წარმატებას უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე. კერძოდ, ვ. მანჯავიძის რაზმს კავშირი ჰქონდა პოლონელი პარტიზანების ლულოვის გვარდიის რაზმებთან: ტ. გროხალის რაზმთან, გ. კორჩინსკის რაზმთან და გულთა ბატალიონთან („ბატალიონი ხლოპსკი“), რომლებიც მოქმედებდნენ ლუბლინის, კრაკოვისა და ვარშავის სავოევოდებში<sup>33</sup>. ეს კავშირი კონკრეტულად ვლინდებოდა მრავალი ფორმით: იარაღის მიწოდება, ერთობლივი საბრძოლო ოპერაციების ჩატარება, დახვედრის მასალების მიწოდება და სხვა.

ასე, მაგალითად, საბჭოთა პარტიზანებს გერმანელთა შესახებ ცნობებს აწოდებდნენ, ვლოდისლავ ზაშკო (ზამოშის რაიონის სოფ. მაიდან ნებრტენი) ზიგმუნტი (გვარი უცნობია — ვ. გ. და ვ. მ.), ტაშია ბარანსკა, იუსიკ მარკუხი (ბილგორაის რაიონის სოფ. ლუკოვადანი) სტებან მალიკი (ქ. ლუბლინიდან), შარია გონტაყი (ბილგორაის რაიონის სოფ. ალექსანდრევიდან), ანა ბობერი, ორა ექიმი ქალბ



(სახელმწიფო უწყებები) ტრამპევიდანი და მი-  
დანი სუბიექტის პოლიტიკის უფროსი<sup>34</sup>.

პოლიტიკური მხარეებისა და პარტიული მნიშვნელობის წარმოდგენა რომ ექონიათ, საკმარისი იქნებოდა რამდენიმე კონკრეტული მაგალითის მოტანა: ასე, მაგალითად, ვლადისლავ ზაშკო ერთი წლის მანძილზე ასრულებდა მხედრების მეთაურობას და რეგულარულად აწოდებდა ცნობებს პარტიზანებს, ზიგმუნტი, რომელიც ეგვიპტოში მუშაობდა, სისტემატურად აწვდიდა საბჭოთა პარტიზანებს ცნობას გერმანელთა დამსჯელი ექსპედიციების მხედრების თაობაზე; ზიგმუნტის მეშვეობით იქნა გამოქვეყნებული რაზმში შემოგზავნილი სამი ჯაშუში; ტრამპევიდანი მარტინის სადგურის უფროსისაგან შეიტყო გერმანელთა სამხედრო ემელონების განრიგი სუვეტ-ბიულეტენის რკინიგზაზე და აცნობა პარტიზანებს<sup>35</sup>.

სანამ რაზმს თავისი ექიმები ეყოლებოდა, დაპირებული პარტიზანებს უვლიდნენ პოლიტიკური: ზოია ვაგინა, მარია გონტაქი, ზოია მაქუხა, ევგენია დომანოვსკა და სხვები<sup>36</sup>.

საბჭოთა პარტიზანები ავითარებდნენ ადგილობრივ მოსახლეობაში, ვალდებულნი იყვნენ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, რითაც პოლიტიკური მოქალაქეებს განაწილებდნენ ფაქტობრივად წინააღმდეგ საბრძოლველად. 1943 წლის მარტში საბჭოთა პარტიზანებმა ერთ-ერთი ოპერაციის რაზმს ხელთ იგდეს რაკეტები და სისტემატურად იღებდნენ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, რომელსაც ასმენიებდნენ სანდო პოლიტიკებს (იუზიკ გრანდს, იან ბარანსკის, ტრამპევიდანი, ანა ბობერს, მარია გონტაქის და სხვებს), რომლებიც აყვებდნენ ჩანაწერებს და გადასცემდნენ მოსახლეობას<sup>37</sup>.

საბჭოთა პარტიზანებმა ჩაატარეს მტრის მიმართ ლუბლინის საოვერობის სოფლებში (ბოროვიცში, ბლონიეში, ოსერედოლა, ოსტეში, გლუბში, სუშევიცი და სხვ.). სადაც აქარწყლებდნენ მითს გერმანელთა უძლეველობის შესახებ<sup>38</sup>.

მართალია, პოლიტიკური დიდი ნაწილი საბჭოთა პარტიზანების ეხმარებოდა, მაგრამ პოლიტიკური შორის იყვნენ გერმანელთა აგენტებიც, რომლებიც ეხმარებოდნენ გერმანელებს საბჭოთა და პოლიტიკური პარტიზანების განადგურებაში. ბუნებრივია, გერმანელთა აგენტების ფიზიკური განადგურების გარეშე პოლიტიკური პარტიზანული მოძრაობის წარმატება გამორიცხული იყო. ამიტომ საბჭოთა პარტიზანები სპობდნენ გერმანელთა აგენტებს. ასე, მაგალითად: 1942 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული და დახატებული იქნა გერმანელთა ჯაშუშების ჯგუფი, 1943 წლის მაისში „უესკა გრუზინის“ რაზმის წევრების მიერ დახატული იქნა პოლიტიკური მტრები, რომელიც გერმანელებს აწვდიდა ცნობებს რაზმის შესახებ; 1943 წლის ივნისში დახატეს გერ-

მანელთა ჯაშუში პოლიტიკური მტრული სოფლებიდან (ლუბლინის საოვეროლი)<sup>39</sup>.

პარტიზანები შერს იძებნდნენ აგრეთვე უხეშ გერმანელ მოხელეებზე, რომლებიც ჯალათებდა მოველინენ პოლიტიკური ხალხს. ასე, მაგალითად, 1943 წლის აგვისტოში „უესკა გრუზინის“ რაზმის წევრებმა ბიულეტენ-აროლ-ვეისს გზაზე მოკლეს ქ. ლუბლინის ბერგომისტრი<sup>40</sup>. 1943 წლის ოქტომბერში ხსენებული პარტიზანული რაზმის წევრები, გლუბთა ბატალიონის რაზმებთან ერთად, ქ. ფრაშოლში თავს დაესხნენ პოლიტიკელთა სკოლას, მოკლეს სკოლის უფროსი, ოთხი ეხმარამი და ექვსი პოლიტიკელი<sup>41</sup>.

1943 წლის დასაწყისიდან ვ. მანჯავიძის რაზმმა დაიწყო ფართო მასშტაბის დივერსიები. კერძოდ, 1943 წლის თებერვალში სუვეტ-ბიულეტენის რკინიგზაზე ლიანდაგიდან გადაადგდეს სამხედრო ემელონი, რომელიც დატვირთული იყო ავტომანქანებით. დაიწვა ორთქლმავალი და ექვსი ვაგონი, დიდილად ემელონი დაღვა — 14 კაცი<sup>42</sup> იმავე დამით რაზმის ერთ-ერთმა ჯგუფმა მწყობრიდან გამოიყვანა კავშირგაბმულობის ხაზი 14 კილომეტრზე<sup>43</sup>.

1942-1943 წლების ზამთრის ოპერაცია საბჭოთა ჯარების დიდი წარმატებით აღინიშნა. სტალინისგან დათმავ გერმანელ ფაქტობრივად შენაერთების განადგურებით დაიწყო გარდატეხა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მსვლელობაში, გაქარწყლდა მთი გერმანელთა უძლეველობის შესახებ. ასეთ ვითარებაში იწყება გარდატეხა ვერაპის წინააღმდეგობის მოძრაობაში, რაც საბჭოთა მოქალაქეების პრძოლას ფრთებს ასხამს.

1943 წლის მარტში მანჯავიძის რაზმმა რამდენიმე ოპერაცია ჩაატარა: პირველი — ბილგორის რაიონის სოფ. ლუკოვოში განადგურებულ იქნა მტრის გარნიზონი: მოკლულ იქნა 13 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაწვეს ერთი ეტომანქანა, ერთი მოტოციკლი და გარნიზონის შტაბის მთელი მასალები; მეორე — მოკლეს სოფლის პოლიტიკის უფროსი<sup>44</sup>, მესამე — ტყვიამფრტვევის ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა თვითმფრინავი<sup>45</sup>, მეოთხე — ტრამპევიცის რაიონის სოფ. ოსერედოლთან ხელთ იგდეს 120 კასათეოქველი ნივთიანება და მოსეს მტრის ეტომანქანები<sup>46</sup>.

1943 წლის აპრილში ვ. მანჯავიძის რაზმმა რამდენიმე წარმატებული ოპერაცია ჩაატარა: პირველი — ბიულეტენ-სუშევიცის რკინიგზაზე ლიანდაგიდან გადაადგდეს 2 ორთქლმავალი<sup>47</sup>, სადგურ დღეუი კონტეინერის მოსპო მტრის ხელი ჯარისკაცი და ხელთ იგდო ერთი ტყვიამფრტვე-

**ვახტანგ ვურაული, ვალერიან მახარაძე**  
საბჭოთა პარტიზანული რაზმი „მასკა ბრუზინი“ პოლიტიკური

ვი, ერთი ავტომობილი, ორი შაშხანა, სამი პისტოლეტი და 500 ვაზნა<sup>48</sup>.

1943 წლის მაისში ვ. მანჯავიძის რაზმის მიერ ჩატარებული ოპერაციებიდან აღსანიშნავია: პირველი — სუშეცი-ბილეუცის რკინიგზაზე აფეთქებული იქნა სამხედრო ეშელონი, გზიდან დაააგდეს ორი ორთქლავალი, თითოეტი ვაგონი, განადგურებულ იქნა ორი ტანკი, თორმეტი ავტომანქანა. მცირე შეტაკების შედეგად ეშელონის მთელი შემადგენლობა ტვირთიანად დაწვეს; მოკლულ იქნა ერთი გერმანელი ოფიცერი და ხუთი ჯარისკაცი, ხელთ იგდეს ერთი ტყვიამფრქვევი, ერთი ავტომობილი, სამი შაშხანა<sup>49</sup>. მეორე: — 26 მაისს ბილგორაის რაიონში პარტიზანებმა ცეცხლი წუთყიდეს სპირტის ქარხანას, განადგურებულ იქნა 100 ტონა სპირტი, მოკლულ იქნა სამი გერმანელი ჯარისკაცი, პარტიზანებმა წამოიღეს 10<sup>1</sup> ლიტრი სპირტი<sup>50</sup> მესამე — პარტიზანებმა ბილგორაიტარნოგრადის გზაზე დაწვეს მტრის ორი ავტომანქანა, მოკლულ იქნა რვა გერმანელი, ხელთ იგდეს: ერთი ტყვიამფრქვევი, სამი ავტომობილი, ორი შაშხანა, 800 ვაზნა<sup>51</sup>. მეოთხე: პარტიზანებმა დაწვეს ხიდი ბილგორაიტარნოგრადის გზაზე.<sup>52</sup>

ლუბლინის საოკეიდოში ვ. მანჯავიძისა და სხვა პარტიზანული რაზმების აქტიურობა მოქმედებამ აიძულა გერმანელთა სარდლობა სერიოზული ღონისძიებები კავტარებშია პარტიზანთა წინააღმდეგ. 1943 წლის 16 აგვისტოს გერმანელებმა 35 ათასი კაცისაგან შემდგარი დამსჯელი ექსპედიციით დაიწვეს შეტევა ლუბლინის საოკეიდოში მოქმედი საბჭოთა და პოლონელ პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ. ოპერაცია 16 დღე გაგრძელდა. რაზმის მეთაურმა ვ. მანჯავიძემ მიიღო გადაწყვეტილება ბრძოლაში არ ჩაბმულიყო, რათა შეენარჩუნებინა მებრძოლები, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში მაინც უხდებოდათ შეტაკება, რომლის დროსაც რაზმმა დაკარგა: 11 მოკლულთა და 6 დაჭრილთა სახით, ხოლო გერმანელთა დანაკარგი — 18 მოკლული, 13 — დაჭრილი<sup>53</sup>. რაზმმა, რომლის შემადგენლობაშიც ამჟამად 180 კაცი ირიცხებოდა გაარღვია ალყა<sup>54</sup>.

გერმანელთა შეტევამ ვერ გატეხა პარტიზანები. მათ ივლისში ახალი ძალით გააჩაღეს შეტევა.

1943 წლის ივლისში ვ. მანჯავიძის რაზმმა შეუტია დაბა იუზეუხუვს, საიდანაც განდევნეს გერმანელთა გარნიზონი და გაათავისფლეს დაბა. გერმანელებმა ბრძოლის დროს დაკარგეს მოკლულთა სახით 14 კაცი, დაჭრილთა — 9, ხელთ იგდეს: ერთი ტყვიამფრქვევი, ერთი ავტომობილი, 6 შაშხანა, 100 ვაზნა, პურის საწყობი — 250 ცენტნერი პურით, რომელიც დაუბრუნეს ადგილობრივ მოსახლეობას. პარტიზან-

თა დანაკარგი უმნიშვნელო იყო: დაღუპულნი 11 პარტიზანი და დაჭრა ხუთი.<sup>55</sup>

1943 წლის ივლისში გერმანელთა ტანკებისა და კრაზი განიკადეს კურსკის რაიონში, რათაც დასრულდა ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში. საბჭოთა პარტიზანებისათვის ცხადი იყო, რომ მათ მოქმედება მტრის ზურგში, მორალურად გატეხილი მტრისათვის კომუნიკაციების მოშლას, წითელი არმიის წინსვლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1943 წლის აგვისტოში „ვისკა გრუზინის“ რაზმის პარტიზანებმა აფეთქეს ხიდი რაგარუსკა-უგევიცის რკინიგზაზე, დაწვეს ხიდი მდ. ტანევეზე, ბილგორაი-პარაშოვის გზაზე<sup>56</sup>.

1943 წლის აგვისტოში ვ. მანჯავიძისათვის ცნობილი გახდა, რომ კარპატების მიმართულეობით რიდილი დაიწყო სუმი ოლქის პარტიზანული რაზმების შენაერთობა სილორ კოვაკის მეთაურობით. ვ. მანჯავიძემ მიიღო გადაწყვეტილება წასულიყო კარპატების მიმართულეობით, რათა შეერთებოდა ს. კოვაკის<sup>57</sup>. მაგრამ კოვაკის შენაერთის მორაობა და პოლონეთში მოქმედი საბჭოთა პარტიზანების სურვილი ცნობილი გახდა გერმანელებისათვის და მათ „ვისკა გრუზინის“ რაზმს გზა გადაუღობეს. ვ. მანჯავიძემ გადაწყვიტა გაერღვია გერმანელთა ხაზი და რაზმი გადაიყვანა მდ. სანზე. გერმანელებმა შეამჩნიეს საბჭოთა პარტიზანები რაზეადუვ-ნიუკო-შეაღუტევის შიგნითა სამკუთხედში (ქეშუვის საოკეიდო) და ნაღმტყორცნებიდან სროლა აუტეხეს, ხოლო შემდეგ დაიწვეს რაკოს შეიქრარება ვ. მანჯავიძის რაზმის გაერღვით. ბრძოლა მთელი დღე მიმდინარეობდა. საღამოს გერმანელთა დანაკარგი შეადგინდა 25 კაცი მოკლულს და 18 დაჭრილს. გერმანელებმა საღამოს ალყა მოხსნეს და უკან დაიხიეს. ბრძოლაში დაღუპა 5 პარტიზანი და დაჭრა 7,58 დამთ პარტიზანებმა გზა ვანაგრძეს და 15 კილომეტრი გაიარეს, მაგრამ გერმანელები, მათ კვალს მიჰყვნენ და პარტიზანები იძულებული შეიქმნენ, უკან დაბრუნებულიყვნენ ლუბლინის საოკეიდოს ბილგორაის ტყეში კოვაკელებთან შეერთება ვერ მოხერხდა, ვაგრამ ბრძოლებში უშედეგოდ არ ჩაუვლია. ამ ბრძოლებში პარტიზანებმა მოსპეს სამი ავტომანქანა, ხელთ იგდეს: 1 ტყვიამფრქვევი, 4 ავტომობილი და 1500 ვაზნა.<sup>59</sup>

1943 წლის 12 სექტემბერს ვ. მანჯავიძის რაზმმა, გეგმითა ბატალიონების რაზმელებთან ერთად, პულავე-დემბლინის რკინიგზაზე აფეთქა სამხედრო ეშელონი: 2 ორთქლავალი და 38 ვაგონი (დტვირთული ავტომანქანებით და 1000 ტონა არტილერიის საქურველით), მოსპეს მცველი რაზმი (6 კაცი), მთელი ეშელონი დაწვეს. ხოლო საარტილერიო საქურველის აფეთქებისაგან მწყობრიდან გამოვიდა სატელეფონო-სატელეგრაფო ხაზები 5 კილომეტრზე, დაზიანდა რკინიგზის ხაზი 4 კილომეტრზე. ამ ოპერაციის



შემდეგ პულაე-დემბლინის ხაზზე მატარებლების მოძრაობა შეჩერდა 5 დღით. პარტიზანების დანაკარგი უმნიშვნელო იყო: დაიჭრა 2 პარტიზანი<sup>60</sup>.

1943 წლის სექტემბერში (დაახლოებით 15-16 სექტემბერს) რკინიგზაზე პულაე-კლემენტოვიცის შორის პარტიზანებმა სროლა აუტყვეს სახალხო მატარებელს<sup>61</sup>. იმავე თვეში სოფ. ზავიანიეცში პარტიზანები თავს დაესხნენ ხეტის დამმუშავებელ ქარხანას, იოკლეს 7 გერმანელი და დაწვეს ქარხანა<sup>62</sup>. იმავე წლის სექტემბერში, სოფ. მობიანში პარტიზანებმა დაწვეს ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხანა. მოკლული იქნა 4 გერმანელი (დაიღუპა 2 პარტიზანი, დაიჭრა 1)<sup>63</sup>.

1943 წლის ოქტომბერში რუდეკა-სუშეციის რკინიგზაზე ვ. მანჯავიძის რაზმმა ააფეთქა რკინიგზის 2 ხიდი; იმავე დღეს რუდეკაში პარტიზანებმა გაანადგურეს ხე-ტყის ქარხანა<sup>64</sup>.

1943 წლის 5 ნოემბერს პარტიზანებმა განდევნეს გერმანელების გარნიზონი სოფ. შაროვოლდან — მოკლეს 13 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 2 ეზიდარში და სოფლის მამასახლისი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 1 ტყვიამურტყევი, 4 შაშხანა, 2 პისტოლეტი, 300 ვაზნა<sup>65</sup>.

1943 წლის დეკემბერში პარტიზანები დაესხნენ ქ. ტაროვრდის გარნიზონს. ჯერამ წააწუნდნენ მტრის ძლიერ წინააღმდეგობას და უკან დაიხიეს<sup>66</sup>.

1943 წლის დეკემბერში სოფ. ყურაეცაში პარტიზანებმა გაანადგურეს სპორტის ქარხანა, ყველა მანქანა და 1200 ლიტრი სპირტი. მოკლეს 7 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი<sup>67</sup>.

ჩატარებული ოპერაციების შედეგად პარტიზანებმა მოსპეს ან განდევნეს გერმანელთა მცირერიცხოვანი გარნიზონები და პოლიციელები ლუბლინის საოკეიდოს შემდეგ სოფლებიდან: ვოლაობშანსკაია, ლუკოვა, ალექსანდრუვი, ბაბიცი, ოლხოვეცი, ულაზუვი, ნემს-სტევი, ზამს ზამოსტიე, რუდა რუქანეცა-სუსევი, ოსერედოვი, გრაბოვიცი, მობიანი, იუზუდუვი, კუნევი, ცეტუსევი და სხვ.<sup>68</sup>

რა თქმა უნდა, საბჭოთა პარტიზანების წარმატება გაპირობებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერით. ამიტომ გერმანელებმა გაანადგურეს შემდეგი პოლიტიკური სოფლები: გულხი, კოხიკა და ლარდისუჯა<sup>69</sup>.

1944 წლის 5 იანვარს სუმის ოლქის პარტიზანული რაზმების შენაერთი<sup>70</sup>. პოდპოლკოვნიკ პეტრო ვერვიგორას მეთაურობით შეუდგა ლვოვ-ვარშავის რეიდის განხორციელებას. 71 შენაერთმა გადალახეს მდ. ბუკი და საბრძოლო ოპერაციები გაშალა ლუბლინის საოკეიდო-დომში<sup>72</sup>. 1944 წლის თებერვალში სუმის ოლქის პარტიზანული შენაერთის სარდლობისათვის ცნობილი გახდა, რომ ლუბლინის საოკეიდოს ბილგორაის რაიონში მოქმედებდა რამდენ-

იმე საბჭოთა პარტიზანული რაზმი, რომელთაგან 3 რაზმთან შენაერთმა მალე დაამყარა კავშირი<sup>73</sup>. ეს რაზმებია: „ვასკა გრუზინი“ (რაზმის მეთაური ვ. მანჯავიძე, კომისარი ნ. ისახანოვი), „ანდრეი“ (რაზმის მეთაური ანდრეი ბროლოვი), „კახიკი“<sup>74</sup>.

1944 წლის 13 თებერვალს გენერალ-მაიორ პ. ვერვიგორას წინადადებით პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ შეუერთდა სუმის ოლქის პარტიზანულ შენაერთს<sup>75</sup>. უკრაინის სხელებული პარტიზანული შენაერთის წევრადგენლობაში შევიდა აგრეთვე პარტიზანული რაზმი „ანდრეი“ (მეთაური ანდრეი ბროლოვი)<sup>76</sup> რაც შეეხება „კახიკს“ (სიმონ ჩიჭოვანის რაზმს). იგი აგრძელებდა დამოუკიდებელ საბრძოლო ოპერაციებს.

1944 წლის თებერვალში სუმის ოლქის პარტიზანული რაზმების შენაერთი, როგორც ზემოთ აღნიშნა, გადაეთდა უკრაინის 1 პარტიზანულ დივიზიად, სამი პოლკის შემადგენლობით. „ვასკა გრუზინი“ და „ანდრეი“ გადაიქცნენ დავიზიის ცალკე ასეულებად, თვითნებ მეთაურების ხელმძღვანელობით<sup>77</sup>. პ. ვერვიგორას 1944 წლის 23 თებერვლის ბრძანებით ვ. მანჯავიძე დაინიშნა დივიზიის ს. რუდნევის სახელობის 1 პოლკის (პოლკის მეთაური — დ. ბაქრაძე) მე-2 ასეულის (ყოფ. „ვასკა გრუზინის“) უფროსად<sup>78</sup>.

ვ. მანჯავიძე თავისი ასეულით მონაწილეობდა დივიზიის მიერ განხორციელებულ ლვოვ-ვარშავის რეიდში<sup>79</sup>.

ლვოვ-ვარშავის რეიდის დროს უკრაინის 1 პარტიზანულმა დივიზიამ პ. ვერვიგორას მეთაურობით მოსპო: 5160 ჯარისკაცი და ოფიცერი 13 სპორტის ქარხანა, 75 ტანიკა და ჯავშნიანი მანქანა, 5 თვითმფრინავი, 196 ავტომანქანა, 10 მოტოციკლი; დაანგრია რკინიგზის 3 სადგური, ააფეთქა 24 ეშელონი 347 ვაკონით<sup>80</sup>.

1944 წლის მარტში უკრაინის 1 პარტიზანული დივიზია დაბრუნდა უკრაინაში; ვ. მანჯავიძე მონაწილეობდა რეიდში აღმ. პრუსიის საზღვართან<sup>81</sup>. ხოლო იმავე წლის ოქტომბერ-ნოემბერში დასავლეთ უკრაინაში როგონსა და ვოლინის ოლქში ებრძოდა უკრაინელ ნაციონალისტებს<sup>82</sup>.

ვ. მანჯავიძისა და მისი რაზმის საბრძოლო მოღვაწეობამ პოლონეთის ტერიტორიაზე მაღალი შეფასება მიიღო უკრაინის პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელობისაგან<sup>83</sup>.

უკრაინის პარტიზანული მოძრაობის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ ბონდარევისა და მისი თანამშრომლის მაიორ გორპინიუქის დასკვნაში ხაზგასმულია, რომ

**მახსნან გურული, ვალერიან მაპარაძე**  
საბჭოთა პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ პოლონეთში



პარტიზანული რაზმი „ვასკა გრუზინი“ პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა ძნელ პირობებში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეწეოდა აქტიურ საბრძოლო მოქმედებას, პოლონელ მოსახლეობაში სწორად განმარტავდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკას პოლონეთის სახელმწიფოს მიმართ, რითაც იმსახურებდა პოლონელი მოსახლეობის მხარდაჭერას; იმავე დასვენებაში ნათქვამია:

«За организацию и руководство боевой деятельностью партизан, командир отряда Манджавидзе, ранее награжденный орденом Красное Знамя, достоин награждения орденом Отечественной войны 2-й степени и медалью «Партизану Отечественной войны 1-й степени»<sup>84</sup>.

ვასკა გრუზინისა“ და მისი მეთაურის პოლონეთში 2 წლის საბრძოლო მოღვაწეობას მალე შეფასებას აძლევდა საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-მაიორი პ. ვერშიგირა, რომელიც აღნიშნავდა, რომ «Отряды (ვ. მანჯავიძისა და ა. ბროდოვისა), провели по своим силам большую боевую и политическую работу. Подтверждением этого могут быть факты, что немцы несколько раз в 1943 г. провели карательные экспедиции, бросая против двух отрядов численностью по 100—120 человек каждый по несколько полков жандармерии.

Среди населения Польши отряды прово-

дили правильную Советскую политику и пользовались авторитетом среди трудящихся»<sup>85</sup>.

მადლიერი პოლონელი ხალხი არ იფიქრებს ქართველი მებრძოლების დასახურებას რისი ნათელი დადასტურება იყო 1965 წლის თებერვალში პოლონეთის ელჩის ედმუნდ პშულკოვისკისა და პოლონეთის სამხედრო ატაშის თანამეგობის ფრანჩიშეკ კლუსეკის საგანგებო ჩამოსვლა თბილისში ამერიკაეკავისელი მებრძოლების დასაჩილოდებლად. სტუმრებმა, პოლონეთის სახელმწიფო საბჭოს სახელით, ჭილდოები გადასცეს გენერალ ლ. ჯანკოტაქს («გრიუნვალდის ჯვარი», III ხარისხის). საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძეს («ვირტუტე მილტარე»), ჭიათურელ მემუხტეს, ყოფილ პარტიზანს ვ. მანჯავიძეს («ვირტუტე მილტარე») <sup>86</sup>.

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ მიკვლეულ საარქივო მასალებში არ აღმოჩნდა ვ. მანჯავიძის რაზმის წევრების სია, არც საბრძოლო ოპერაციების დაწვრილებითი აღწერა.

ქართული პარტიზანების თავანწირულ ბრძოლას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ გარკვეული წვლილი შეიტანეს ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების საქმეში, ხოლო პოლონელ პარტიზანებთან ერთად ჩატარებულ საბრძოლო საქმეებში იწრთობოდა ქართველი და პოლონელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა, რომელსაც დიდი ტრადიციები აქვს.

## შენიშვნები:

<sup>1</sup> Партизанские были, М., 1965; О чем не говорилось в сводках. Воспоминания участников Сопротивления (Сборник), М., 1962; Т. Ф. Новак, Лесная быль, М., 1962; Вл. И. Дектерев. Воспоминания. Ростов, 1962; Д. И. Бакрадзе, Кровью героев, Тбилиси, 1953; К. А. Груздев, Солдаты партизанского фронта, Минск, 1969; Память сердца. Воспоминания, М., 1965.

<sup>2</sup> Боевое содружество польских и советских партизан, М., 1959; В. И. Клоков, Борьба народов славянских стран против фашистских поработителей (1939—1945), Киев, 1961; Антифашистское движение Сопротивления в странах Европы в годы второй мировой войны, под ред. В. П. Бондаренко и П. И. Резенева, М., 1962; М. И. Семиряга, Советские люди в европейском Сопротивлении, М., 1972 Братство по оружию, М., 1975; <sup>3</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში რაზმის სახელი „ვასკა გრუზინი“ მქნეულია მხოლოდ მა-

სი მეთაურის პარტიზანული მეთაურად, რაც სწორი არაა. თუმცა რაზმის სახელწოდება მისი მეთაურის ვინაობიდან უნდა მიმდინარეობდეს.

<sup>4</sup> В. И. Клоков, Борьба народов славянских стран против фашистских поработителей (1939—1945), Киев, 1961; К. В. Цкитишвили, Закавказье в партизанской войне 1941—1945 гг. Тбилиси, 1973.

<sup>5</sup> М. И. Семиряга, Советские люди в европейском сопротивлении, М., 1970, стр. 29;

<sup>6</sup> Komunikaty Dowództwa Głównego GL i AL (dokumenty), Warszawa, 1959; Byli z nami, Warszawa, 1966; J. Tobiasz, Na tyłach wroga, Warszawa, 1972; Walczyli razem, Lublin, 1972.,

<sup>7</sup> უკრაინის კვ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 155, ანაწერი 1, საქმე 1; ფონდი 63, ანაწერი 1, საქმე 3.

<sup>8</sup> სიტყვა „რაიონი“ ჩვენ ვიხმარებთ პოლონური აღმინისტრაციული ერთეულის „პოვიატის“ მავივარად.

- 9 უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 155, ანაწერი I, საქმე 1, ფურცელი 6.
- 10 იქვე, ფურცელი 6, 7, 26.
- 11 იქვე, 7.
- 12 იქვე.
- 13 იქვე 3,7.
- 14 იქვე, 3.
- 15 იქვე, 51.
- 16 იქვე, 3.
- 17 სამწუხაროდ, საარქივო მასალებში დაცულ ვ. მანჯავიძის ანგარიშს არა აქვს დართული რაზმის წევრთა სია.
- 18 იქვე, 10.
- 19 იქვე.
- 20 იქვე, 10-11.
- 21 იქვე.
- 22 იქვე.
- 23 იქვე, 11-12.
- 24 იქვე, 12.
- 25 იქვე, 16.
- 26 იქვე, 16-17.
- 27 იქვე, 27, 44.
- 28 М. И. Семиряга დასახ. შრომა, გვ. 29.
- 29 Byli z nami, Warszawa, 1966, გვ. 27, ახ. ასევე Komunykaty... გვ. 111—112, 116, 252, გაზეთი «Gwardzista», 25 czerwca, 1943 г.
- 30 უკრაინის სპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 155, ანაწერი I, საქმე 1, ფურცელი 44.
- 31 იქვე, 27, 44.
- 32 იქვე, 3-4.
- 33 იქვე, 13.
- 34 იქვე, 23-24, 43.
- 35 იქვე, 23-24.
- 36 იქვე, 43.
- 37 იქვე, 13-14.
- 38 იქვე, 37, 38.
- 39 იქვე, 18, 19, 20, 21.
- 40 იქვე, 19.
- 41 იქვე, 21.
- 42 იქვე, 27.
- 43 იქვე.
- 44 იქვე, 27-28.
- 45 იქვე, 28.
- 46 იქვე.
- 47 იქვე.
- 48 იქვე, 28-29.
- 49 იქვე, 29.
- 50 იქვე.

- 51 იქვე.
  - 52 იქვე, 29.
  - 53 იქვე, 17.
  - 54 იქვე, 18.
  - 55 იქვე, 29-30.
  - 56 იქვე, 30.
  - 57 იქვე, 30.
  - 58 იქვე, 30-31.
  - 59 იქვე.
  - 60 იქვე, 31.
  - 61 იქვე, 32.
  - 62 იქვე.
  - 63 იქვე.
  - 64 იქვე.
  - 65 იქვე.
  - 66 იქვე, 32-33.
  - 67 იქვე, 33.
  - 68 იქვე, 33.
  - 69 იქვე.
  - 70 1944 წლის 23 თებერვალს ხსენებული შენაერთი გარდაიქმნა ს. კოვპაკის სახელობის უკრაინის 1 პარტიზანულ დივიზიად.
  - 71 უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 63, ანაწერი I, საქმე 3, ფურცელი 9.
  - 72 იქვე, 195.
  - 73 უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 155, ანაწერი I, საქმე 1, ფურცელი 53.
  - 74 იქვე, 53.
  - 75 იქვე, 45, 52, 53.
  - 76 იქვე, 53.
  - 77 იქვე.
  - 78 იქვე, 53, უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 63, ანაწ. 1, საქმე 3, ფურცელი 131.
  - 79 უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 155, ანაწ. I. საქმე, 1, ფურც. 52, 53.
  - 80 უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 63, ანაწერი I, საქმე 3, ფურცელი 275.
  - 81 უკრაინის კპ ცკ-თან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის არქივი, ფონდი 155, ანაწერი I, საქმე 1. ფურცელი 52, 53.
  - 82 იქვე, 52.
  - 83 იქვე, 4-5.
  - 84 იქვე 4-5.
  - 85 იქვე, 53.
- Газ. «Заря Востока», от 24 февраля 1965 г, стр. 1.

ჯანსუღ ლეონიძის

## „აქს მოჩა და აქს გათავდა!“

1.

ვერც ერთ წერილში ვერ უპოვით აკაი ბაქრაძეს ჰაიპარად ნასროლ ეპითეტს. ეს სრულებითაც არ არის სიტყვაფუნქციონის ნიშანი. შინაგანად გაცნობიერებული უკმარობის გრძობის ბუნებრივი გამოხატულებაა. ასეთი გაცნობიერების აუცილებლობა კარგა ხანია წარმოშვა დრომ. თუ კრიტიკის სფეროთი შემოვისაზღვრებით, მაშინ მეტი კატეგორიულობით შეიძლება თქმა, რომ ჩვენს ხასიათს ამ სფეროში ლიტერატურის საერთო მდინარებამ მოთხოვა ერთგვარი მეტამორფოზა, მოსთხოვა ემპირიული კმაყოფილების ტყვეობიდან თავდასხნა, მეტი თავდაპყრობა და უკმარობის დიდი დონა. თანდათან ეცლება საფუძველი აღფრთოვანების მოგვრელ პათეტიკას, ორატორული ხერხების ბატონობას თვით დასტამბულ წერილებში, და მოჭარბებული იმედების ლოგიკას. ლოგიკა აქ შემთხვევით არ მიხსენებია. თანამედროვე კულტურის შინაარსმა, რომელიც სრულყოფილად ალბათ არც არის შეცნობილი თავისი სირთულისა და მრავალფეროვნების გამო, წარსულთან შედარებით უფრო მაკარი ლოგიკით გააზრება „დაავალდებულა“ კრიტიკას, დაავალდებულა კუბაზიტად ღირებულის გამოჩენა, უზუსტესი საზომების მოშველიება. თვითკმაყოფილებისათვის უკვე აღარ რჩება ადგილი და გონიერი შემოქმედის ცხოვრების ერთადერთ ფორმულად განუწყვეტლივ შექმნის პრინციპი გვევლინება. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს სულის დღესასწაულის ჩაქრობას, არ ნიშნავს, თითქოს აღფრთოვანებას, სიხარულს გამოსცლოდეს საფუძველი. პირობითი. ივარაუდება, რომ მხოლოდ უზუსტესი საზომების საწყაითი აღმოჩენილ შემოქმედებას შეუძლია კუბაზიტად, დიდი აღმართული სიხარული მოგვევაროს. ეს უკვე ბოლომდე გაცნობიერებული სიხარულია, ამდენად ყველაზე უფრო დახვეწილი ფორმა კრიტიკისის შინაგანი დღესასწაულისა.

ასეთ დროს ეპითეტი იქნებ უფრო სრულად გამოხატავდეს კრიტიკის შინაგან სიხარულს, მაგრამ აკაი ბაქრაძე მაინც ამბობს უარს მასზე.

მისი, როგორც კრიტიკოსის, ნამდვილ ხელოვნებასთან შეხვედრით მოგვირილი შინაგანი დღესასწაული თუ სიხარული ამ მხატვრული არსენალის გარეშე სრულად ვლინდება.

ბუნებრივია, ასე ყოველმხრივ მოტივირებული პრინციპი ერთგვარი ანგარიშის გაწევა! მოითხოვს თვით მასზე საუბრის დროსაც.

ერთ თავის წერილში აკაი ბაქრაძეს გატარებული აქვს აზრი, რომ ზნეობრივი გმირის როლი საქართველოს ისტორიაში მუდამ განუსაზღვრელი იყო. კონკრეტული მაგალითებით იმ წერილში დასაბუთებულია, რომ ზნეობრივი გმირის მაგალითი ხალხის სულიერ ცხოვრებად ქცეულა ხშირად და მთელი ქვეყანა, გათვლილი და დაძაბუნებული, გრანტის სიმტკიცით გამართულა წელიწადში. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება აქვე არ ითქვას თვით ზნეობრივი გმირის შინაგანი თვისებაზე, რომლისკენაც ყურადღების მიპყრობა უნდა გადაიქცეს კუბაზიტის საზოგადოების ცხოვრების შინაარსად: ზნეობრივმა გმირმა არ იცის კომპრომისი, სიტუაცია, რომელშიც მას მოვლენები აყენებს, ალტერნატივად ცხადდება. მან ან უნდა მიიღოს მახინჯი სინამდვილე ან გაწირვით ვადარჩინოს თავი. მართალია, ერთეულში, მაგრამ მაინც იბადება უკომპრომისობის გრძობა, რომელიც მისივე ხალხის შინაგან მზადყოფნასაც ნიშნავს ამავე დროს. ეს გრძობა აღამაინების ხასიათის ნიშნად იქცევა და ყველა სფეროში ვლინდება, ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ამოტივტივდება.

ზნეობრივი სიმართლის მოთხოვნილება მუდამ დიდი ჰქონდა ქართველ ხალხს და ჩვენს დროში კიდევ უფრო გაიზარდა ამ ცნების დედააზრი. ზნეობრივი სიმართლე დღეს ერთ-ერთი საიმედო გარანტიაა ერების ღირსეული არსებობის თვალსაზრისით და შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მასზე ჩვენში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ.

ზნეობრივი სიმართლე კი იმ ნიშნის გარეშე



წარმოუდგენელია, რომელსაც უკომპრომიზობის  
გრძობა უკნია. პიპირად, ნახევარი კვლით,  
სახვათაშორისოდ სრულფასოვანი ცხოვრება  
არ იქმნება, არ იქმნება ქვეშაირიტი კულტურა  
და მისი ერთ-ერთი დარგიც — კრიტიკა.

უკომპრომიზობის გრძობა კრიტიკის არსე-  
ბობის წესია — ეს თითქმის აქსიომაა. მაგრამ  
ჩვენი რომ სწორედ ეს გრძობა აქვს გამოც-  
ლილი კრიტიკას — ესეც აქსიომაა. ამ აქსიო-  
მას ჯერჯერობით ერთეულების ხედვლითი წონა  
ვერ არღვევს.

აქაც ბაქრაძის ხასიათში მკვეთრად ზის უკო-  
მპრომიზობის გრძობა. მისი სტილი, კრიტიკო-  
სის სტილი, არ არის სამეზნი. იგი გამოკვეთი-  
ლია და მთელი ქსოვილი ამტიკიებს ამ ნიშნის  
არსებობას.

ამ ზხით იხევეება კრიტიკოსის დამოკიდებუ-  
ლებაც ყოველ კონკრეტულ ფაქტთან, პრობლე-  
მასთან. პრობლემების კომპლექსთან. უშეღავა-  
თობის აუცილებლობა აქაც ბაქრაძის წერილე-  
ში სწორედ ამ ხასიათადღა უამომდინარე წა-  
რმოშობას დასკვნების სიზუსტეს.

როცა ახსნილია მოვლენის არსი, როცა წი-  
ნასწარ გააზრებულია მოვლენის შედეგი, რო-  
ცა ვაცნობიერებულია, რომ კომპრომიზი სათა-  
ვს უდგამს დალობის პროცესს, მაშინ კრიტი-  
კოსი მოვალეა თქვას:

„ჯერ დაიწყო მკირეთი: მოსწია კაცმა უად-  
გილო ადგილას პაპირისი — მერე რა დაშავ-  
და! იზარდა ასე, იზარდა და ბოლოს...“

დაწერა მწერალმა ცული წიგნი, ნუ გააკრი-  
ტიკებთ. ბოლოს და ბოლოს რა დაშავდა ამით?  
ნუ წაიკითხავთ, მორჩა და გათავდა!

არც მორჩა და არც გათავდა. მაკულატურამ  
წარყვანა სიტყვიკაზმული ლიტერატურა.

ყოველად უნიჭოდ დაწერილი დისერტაციაში  
მიანიჭებს ადამიანს სამეცნიერო ხარისხი, ნუ-  
რაფერს იტყვიო. ბოლოს და ბოლოს, რა და-  
შავდა ამით, ერთი უნიჭოდ დაწერილი დისერ-  
ტაცია ვერ შეაფერხებს მეცნიერების წინსვლას.  
კაცმა მატერიალური მდგომარეობა გაითქყო-  
ბესა, მორჩა და გათავდა.

არც მორჩა და არც გათავდა. მეცნიერება გა-  
დაიქცა მატერიალური მდგომარეობის გაუმ-  
ჯობესების საშუალებად.

ამენდა სახლი. დამზადდა საქონელი, ერთიც  
და მეორეც ყოვლად უხარისხოა. რა მოხდა  
მერე, თუ უხარისხოა? ხომ ამენდა, ხომ დამ-  
ზადდა. მორჩა და გათავდა!

არც მორჩა და არც გათავდა. დაკინდა და  
დაეცა ხელოსნობის ღირსება, ზრუნვის საგანი  
გახდა შიშველი ფაქტი და არა მისი არსი.“

ეს ადგილი არ მომიტანია როგორც გარკვე-  
ული სიამოვნების მომიტეხელი შეუფლო-  
ბის ნიშუში. ეს ისედაც ივარაუდება. საგუ-  
ლისხმოდ აქ სხვა რამ არის: უკომპრომიზო და-  
მოკიდებულების წესად დაღვინებას აუცილე-  
ბლობად განვიციდით დღეს წარმოუდგენლად

გაიზარდა შინაგანი მოთხოვნილება ამ მიმარ-  
თულებით. სულ უფრო გამოიკვეთა დედაზრი  
რწმენის, რომ სხვაგვარად ყოფნა უკვე აღარ  
შეიძლება. ცხოვრება დაყენებით მიიწვევს წინ  
და ყველა ქვეყნის, დიდისა თუ მცირის, თვი-  
სებათა კომპლექსს აყენებს მკაცრი გამოცდის  
წინაშე. დიდი ხანია, რაც ჩვენმა სახელოვანმა  
წინაპრებმა ამ გამოცდის სერიოზულობა შე-  
გვახსენეს. თვისებათა კომპლექსს ყოველმხრივ  
შემოწმება, მივლა, ზრუნვა ესაჭიროება და  
სწორედ ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული  
წონა უკომპრომიზობას. წვიდა დრო მოვლენ-  
ების შეღამაზების (იქნებ არც არასდროს არ  
მდგარა ასეთი დრო, უბრალოდ, ჩვენი ხასია-  
თიდან გამომდინარე, გვეგონა, თითქმის იღვა-  
ოღესმე). სულერი და ფიზიკური ცხოვრების  
ყოველ დღესამ უკომპრომიზობით უნდა გა-  
მორჩევა. ამისათვის იგი თანდათან უნდა დავა-  
მკვიდროთ ჩვენს ბუნებაში. ერთხელ და სამუდა-  
მოდ დავემშვიდობოთ უზრუნველი, დაარჩენი-  
ბული ცხოვრების ფილოსოფიას, რომელიც  
თვითღინებისაყენ მოგვაქცევს. ეს პათოსი არ შე-  
იძლება მივიჩნიოთ იაფფასიან ქადაგებად. უკვე  
გაცვეთილ, ანბანურ ქვეშაირტებათა რივიდან,  
ეფიქრობ, აუცილებელია ბევრი რამის დამუხ-  
ტვა ახალი შინაარსით, ბევრი რამის დატვირთვა  
ახალი მისით. ასეთ ანბანურ ქვეშაირტებათა  
შეგრძენება მკითხველს უთუოდ გაუჩნდება აქა-  
კი ბაქრაძის წერილების კითხვისას, მაგრამ და-  
კვირებული თვლი სწორედ ახალი შინაარსის  
სუნთქვას იგრძნობს უმაღ.

„არჩილ სულაკაურის „ოქროს თევზზე“ საუ-  
ბრისას ერთგან აქაც ბაქრაძე საგანგებოდ შე-  
ნიშნავს:

„სათქმელის ბოლომდე ართქვა ქვეტექსტე-  
ბის „თეორიით“ არ გამართლებდა, რადგან არის  
დრო, როცა ზურჩული შეიძლება გამოიხროს  
კაცმა და არის დრო, დედაზარების რეკეაც არ  
გვესმის.

ჩვენი მწერლობის ამოცანა ახლა უფრო დე-  
დაზარების რეკეა, ვიდრე ზურჩული, ქვეტე-  
ქსტებისა და ნახვებრტონების ლიტერატურა  
ერთგვარი ფუფუნებაა, ჩვენ ისე ტბილად არ  
ვცხოვრობთ, რომ ასეთი ფუფუნების უფლება  
გვქონდეს.“

არ შეიძლება მნიშვნელოვან არგუმენტად არ  
ვალაოთ დედაზარების რეკეაზე კრიტიკოსის  
მინიშნება. ამ განცხადებაში ისიც იგულისხმე-  
ბა, რომ აქაც ბაქრაძის წერილებში საერთოდ  
გაბატონებული მკვეთრი ფორმულირება სწო-  
რედ შეგნებულად არჩეული ფორმაა კრიტი-  
კული აზროვნების დღეს ვავრცელებულ ფო-  
რმათაგან. ამ არჩევანის კვალი დედაზარების  
რეკეს აუცილებლობისაყენ მიდის. სიმკვეთრე,  
ამდენად, წარმოუდგენელია მხოლოდ კრიტი-

**ჯანსუღ ლხინელი**

„არც მორჩა და არც გათავდა.“

კოსის ხასიათის გამოხატულება იყოს. ქვეტექსტის სტილის ნიშნად აკაი ბაქრაძე ალბათ იოლად აქცევდა. ეს მისგან უბრალოდ ოსტატობის გარკვეული მიმართულებით წარმართვას მითხვოდა. კრიტიკოსის ოსტატობის მაქსიმუმი სწორედ მევეთრი, პირდაპირი დასკვნების სიზუსტეში მკლავდებდა და ამდენად ქვეტექსტი სრულებითაც არ გვეცინებდა ფუფუნებად (როდესაც საქმე კრიტიკას ეხება!). აკაი ბაქრაძემ შეგნებულად არჩია სწორედ ის ფორმა კრიტიკული აზროვნებისა, რომელიც სხვებთან შედარებით მუდამ მაქსიმალური სისავეით გამოხატავდა სიმართლეს. ეს ფორმას ეყრდნობოდა ზომიერების კალაპოტში აქცევს ფრაზის სილამაზეს, ზედმეტი ორნამენტისაგან განტვირთავს ქსოვილს, იყენებს მხოლოდ აუცილებელ პარალელს და ასოციაციას, უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს უცხო ტერმინს და ბოლომდე ვათავისებელი ცოდნით უხსნის გზას იმ ქეშპირტ გრუდიციას, რომელსაც ფეხები საკუთარი ნიჭის წიაღში უძევს.

დელაზარების რეკავსა და ქვეტექსტზე საგანგებოდ გადატანილი ყურადღება მოსაწყვეტს საკუთარი პოზიციის გამკლავებასაც, ე. ი. კრიტიკოსის სააზროვნო ფორმა ღრმად გაცნობიერებული არჩევანის შედეგია. პრინციპები ამ არჩევანზეა დამოკიდებული. ამ შემთხვევაში ხარისხი სწორედ იმ დიდ სინათლეს ეფუძნება, რომელიც გასდევს კრიტიკოსის არჩევანს. ასე გვეცნობა შინაგანი მთლიანობის პირობა, იგი არეგულირებს იმ ინტერესთა წრეს, რაზეც იხარბება ფიქრი და ოცნება.

„ამ წერილის ავტორი მაშინ რაიკომის მდივანი იყო ...

... ამ წერილის ავტორი მაშინაც და დღესაც ერთ-ერთი პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია ...

... ამ წერილის ავტორი პროფესორია ...

... ამ წერილის ავტორიც პროფესორია და მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებულ მოღვაწე ...

... ამ წერილის ავტორი კი დღესაც გაზეთის რედაქტორია ...“

მოაქვს მავანი ავტორების აშკარად დემაგოგიური, ცილისმწამებლური ციტატები კრიტიკოსს და ამხელს ყველას, ვინც კი თავის დროზე დასაღუბად გაიმეტა ოთარ იოსელიანის ფილმები „გიორგობისთვე“ და „აპრილი“. ერთი მათგანი („აპრილი“) დალუპს კიდევ. წერილის სათაურია „როგორ დაიკარგა „აპრილი“. ამ წერილის ზემოქმედების ძალა იგულისხმება ავტორის სურვილი, გზა გაიკვილოს შელანძლილი ზნობრივი საწყისების მქონე აღმაინათ ხასიათში. დაგვიანახოს არის იმ საშუაში ტენდენციისა, რომელიც ასეთ ხასიათებში თვლავს და უამოდან უამს სიბნელის ბოლქვებზე გათვლინება ვარეთ, მოედება ცხოვრებას, გადაწმენილ ცას. წერდა ახლავს სევდა, სევდა —

აღძრული სიმართლის მაშინდელი დამარცხებით, ბორბოტი საწყისის მაშინდელი გავლენებით. აქ გამართლებულია თვითკრიტიკის ფორმაც, იგი არ აღქმება უბრალო ექსტად. აუცილებელია აქ იმ სიმართლის აღიარება, რომ ჩვენი ფიზიკა თანდაგომს სუსტი აღმოჩნდა. როგორ დაიკარგა „აპრილი“ კრიტიკის ფიზიკა თანდაგომს წვეს ფარზე. მოქმედა ეს მხილება. იგი მართო გაფრთხილებას არ გვკარნახობს. მიმართულია აზრის ასამორბაველად, სინდისის შესანჯღრევად.

„სანამ მილოდინით განაბული კრიტიკა და პრაქტიკიზმით დაეადებული რედაქტორები ყოყმანობენ, ცარიელი ასპარეზი იოლად უვარდებათ ხელთ ხელოვნებაში სრულიად ჩაუხედავად აღაიანებს. რაკი მათ პოლემიკაში, აზრთა ჭიდილში გამარჯვების იმედი არა აქვთ. მიმართავენ დემაგოგიას, თავიდან მოცილების დასაგმობ საშუალებას. მათ არ აწუხებთ ხელოვნების ზედი. უფრო საკუთარი მყუდროება ადარდებთ. უმჯობესია, არ არსებობდეს ის, რაც შეიძლება სალამპარკო გახდეს.

არადა, რა ფასი აქვს ხელოვნებას, თუ იგი ცხარე კამათის საგანი არ არის, აზრთა სხვადასხვაობას არ იწვევს!

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვირწმუნეთ ერთი ურყევი კანონი: შეიძლება არსებობდეს ხელოვნების ნაწარმოების ვარგეში ორი რადიკალურად განსხვავებული აზრი და სამივეს (ნაწარმოებს და ორ სხვადასხვა აზრს) არსებობის თანაბარი უფლება ჰქონდეს.“

აკაი ბაქრაძის კრიტიკის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თვისება ამის ზოგად თუ კერძო მოვლენაში არსებობის გამოჩენის პრინციპი. მთელ არგუმენტაციას იგი ამ არსებობის დასაბუთებას ანდომებს. საკეთილია ინტერესის სფეროში შემოსული ნაკითხების რიგე, მოიცავს კულტურის ბევრ დარგს და არასდროს არ გაწუხებთ დილტანტიზმის განცდა. კრიტიკაში წერს მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელთა არსს ზედმიწევნით კარგად ჩაწვდა. ამ თავისთავად სავარაუდებელ თვისებზე არაფერს ვიტყვი, ყოველთვის რომ ითვალისწინებდნენ წვდომის აუცილებლობას. პირიქით, სულ უფრო იშვიათი ხდება ზედმიწევნითი ცოდნის შეგარძნება — დილტანტიზმი კრიტიკული ანალიზის ბინადარი გახდა.

დაუბრუნდეთ არსებობის გრძნობას, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაა წერილი „აქტუალურობაც არის და აქტუალურობაც!“ ისევ ჩნდება ანაბური ქეშპირტების ილუზია, რადგან აქსიომის შინაარსი აქვს ჩვენთვის ზუსტ ფორმულირებას: აქტუალური შეიძლება იყოს ის ნაწარმოები, რომელიც მაკლამატორული ფორმით გააცხადებს აქტუალურ აზრობრივ შინაარსს. მაგრამ ირყევა, რომ პრაქტიკულად ლიტერატურა ხშირ შემთხვევაში სრულებითაც არ მისდევს ამ ფორმულირებას და მშვენივრად

გჩნდნენ თავის აქტუალური მასალის ამარა. თქვენ წყაროებიდან — ათასგზის ერთი და იგივე მესდარი დებულების განმეორებამ ურყვევი ქვეშაობების შეგრძნება შეიძინა ჩვენში და მანვე დაიჭირა ანბანური ქვეშაობების რეჟიმ სხვისი ადგილი. დღეს კი კრიტიკოსს ათათუ ჭირდება, არამედ ვეალება კიდევ როგორმე ახალი შინაარსი მიანიჭოს უქველეს ქვეშაობებს, რომ მას ზემოქმედების ვარკვეული უნარი დაუბრუნოს. ეს ახალი შინაარსი დააჭრებლად გამოსკვივის აკაცი ბაქრაძის წერილში:

„მასასადამე ორ ფაქტთან გვაქვს საქმე — აქტუალური მასალა და აქტუალური აზრობრივი შინაარსი. თუ ამ კუთხით გადავავლებთ თვალს ქართული პიესების დიდ უმრავლესობას, დაწერილს როგორც წარსულში, ისე დღეს, აღმოჩნდება, რომ უპირატესობა ენიჭება აქტუალურ მასალას და არა აქტუალურ აზრობრივ შინაარსს. ეს შეცდომაა და ამ შეცდომის წყალობით არსებითად დრამატურგიული მემკვიდრეობის გარეშე დავრჩით ...

... რამ გამოიწვია ეს? რატომ მიექცა ყურადღება აქტუალურ მასალას და მიჩქმალა აქტუალური აზრი; იმიტომ რომ ლიტერატურული კრიტიკა წლების მანძილზე თავგამოდებით ქადაგებდა აქტუალური მასალის უპირატესობას. ეს პროცესი ინერციით დღესაც გრძელდება. დღესაც ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების ღირსებას მასალის აქტუალურობით ვზომავთ და არა აზრობრივი შინაარსის აქტუალურობით“.

შეცდომების მწკრივი არ წყდება აქ. იგი ამრავლებს თავის თავს და ერთი შეხედვით მარტივი შინაარსის მოვლენა ძალზე რთული ბუნებრიობის შედეგს იწვევს. აქტუალური მასალის ქადაგების ტენდენცია საყოველთაოდ გავრცელებას ესწრაფვის, რადგან იგი ავტაციის ხელსაყრელ ფორმად გვევლინება და დაუბრალოლებლად მიიკვლევს გზას. რაკი უპირატესობას მასალას ვანიჭებთ, მისი ოპერატიულობაც უნდა ვაღიაროთ და სამწუხაროდ... დადებით თვისებად! ყველა მოვლენას დროზე შეგვიძლია გამოვცხამაუროთ. ეს კი, თუ მხატვრული აზროვნების დონეს არ მოვიტხოვთ, მართლაც უფრო უნიკო მწერლებს საქმება და ისინიც სოკოებივით მრავალდებიან. თავისთავად მიეყვართ კრიტიკოსის მსჯელობის ლოგიკას იქითყენ, რომ ვირწუნთ: აქტუალური მასალის ქადაგება მხატვრულ ლიტერატურას დაენიშნისაკენ ეზიდება.

აკაცი ბაქრაძე გამოყოფს ერთი პრინციპული მნიშვნელობის საკითხს, რომელსაც გარანტირებული საშუალოს პრინციპს უწოდებს. ჩემი აზრით, ამ საკითხზე კონდენსირებულად გამოთქმული დასკვნების შინაარსი ყოველმხრივ ვანალოზებას მოითხოვს. იგი ალბათ

ყველაზე უფრო მტიკინეული საკითხია დღეს ჩვენს ლიტერატურაში.

ხელოვნება, ცნობილია, გამუდმებით უფრო კრულის პირზე სიარულით იქმნება. ვაშლი, მწვანე მინდორზე ითლი ვადარბენით არავის შეუქმნია იგი, თავისთავშივე გულისხმობს სულიერი ენერჯის დაუმთავრებელ წვას, „საწვავი მარაგის“ დაღვეამდე შემართებას; მოძრაი აზრის შემოქმედებით რისკაც გულისხმობს, სულის უხილავი სიღრმეების შეცნობას მოითხოვს, უჩვეულობასთან შეხვედრის მდლოდინს უნდა აღვივებდეს... „გარანტირებული საშუალოს პრინციპი“ ამ სიძნელეთთან ათავისუფლებს ავტორს და სჯობრედ ამიტომ გზას უხსნის მავალატურას. ხელოვნება იცის ორად ორი გზა: ან გამარჯვების ან დამარცხების. თითქოს უცნაურია, მაგრამ ირკვევა, რომ არსებობს მესამეც — საშუალო ანგარიშგასაწევი სივრცე. ილუზიაა ამ მესამის არსებობის განცდა. დრო მუდამ ამტკიცება, რომ ეს „გარანტირებული საშუალო“ დამარცხებულის რიგს ემატება ადრე თუ გვიან. საშუაში ამ შემთხვევაში უფრო სხვა არის, რაზეც ასე ზუსტად მიგვანინიშებს აკაცი ბაქრაძე „გარანტირებული საშუალოს პრინციპი“ ნიჭიერ მწერლებში ადუნებს ქვეშაობი ხელოვნების შექმნისაკენ მისწრაფებას, აზრს უქარავს შინაგან თავგანწირვას, რომლის გარეშეც ხელოვნება დიდი სულიერი ცხოვრების მიზნიდან უეცრად გარდაიხსება პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების იარაღად.

სიფხიზლის ფენომენი დღეს ადამიანის თვისებათა კომპლექსიდან გამორჩეულია დროის ფსიქოლოგის გათვალისწინებით. მას მიენიჭა უნივერსალური შინაარსი, რადგან აღიქმება არსებობის ერთადერთ გარანტიად. სიფხიზლე დღეს ადამიანს ჭირდება ყველა განზომილებით. მხოლოდ სიფხიზლით შეუძლია დამანგრეველი იარაღის უფენდელყოფა, მათი სამშვიდობო მიზნებისათვის რეგულირება, სიფხიზლით შეუძლია დიდი და მცირე ერების თანაარსებობის მეტაკლები პარამონიულობით შენარჩუნება, სიფხიზლის ფენომენს ძალუქს ცალკეული, ქვეყნის ღირსეული თვითგამოხატვა ისევ და ისევ ღირსეული არსებობისათვის; სიფხიზლის ფენომენს ძალუქს ჩამორჩენისაგან იხსნას ყოველი ერი, მაშინ, როდესაც საერთო პროცესისაგან ჩამორჩენა თავისთავად უდრის სიკვდილს. სიფხიზლის ფენომენი კი აბსტრაქტული ცნება როდია. იგი ყველა კუნტულიდან მოეყოლება მთავარ მაგისტრალზე გასავლელად. ე. ი. იგი ყველგან და ყველადღერში უნდა იგრძნობოდეს.

აკაცი ბაქრაძისაგან მოულოდნელი არ იყო ამიტომაც ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება. „რა არის თათქარიძეობა“ — სტრუქტურ-

**ჯანსუღ ღვინჯილია**

„არც მომრბა ლა არც ბათავდა“





რით, შინაარსით, გამიზნულობით სიფხზლის გრძნობის გააღმასხვებს ემსახურება. აქ განსაკუთრებით სავარძნობია დედნაზარებას რეკვა. კრტიკოსი ქართველი ხალხის უარყოფითი თვასებების კომპლექსს ამიშვლებს თათქარბის პირთენების „გენიალოგიით“. აქცენტი მკაცრია მხოლოდ და მხოლოდ იმითომ, რომ დრო გვაგვალდებს, დიდი ილიას გაფრთხილებას წარსულად ნუ მივიჩნევთ, იმ თვისებების კომპლექსს კი — დაშლილად. ეს კომპლექსი ერთომ შემეძრწუნებლად იმიფრება კრიტიკოსის თანადროული ხედვით. თითქოს „აკაცია-ადამიანს“ პირველად ვკითხულობთ დღეს და თითქოს ახლად გვეცნაურა ჩვენი თავი. ისე არავინ გამივოს, თავის დროზე შეუცნობლად დარჩენილიყოს მწერლის სათქმელი. სხვა რომ მინდა ვთქვა: აკაცი ბაქრაძე თათქარბის ხასიათით ვაფრთხილებს. ეს სარკე კი სრულებითაც არ მოქველბულა. რადგან მასში ისევე გარკვევით იკითხება:

„თათქარიძეობა არის ზარმაცობა, ცრუსაქმინანობა, თვითკმაყოფილება, ბაქიაობა, მატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელობა და უნაყოფობა“.

დიდი ილია ქართველობის თანამდევი ნიშნებად თვლიდა მათ და მხილებს საოცარი ძალით უპირისპირდებოდა. ეს ნიშნები რომ თანამდევი იყო და არა ერთი პერსონაჟის შინაარსი, ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა!“ და „ჩაყოს ხიზნების“ ავტორები (გიორგი წერეთელი, მიხეილ ჯავახიშვილი) ამ თვისებათა შემცველ პერსონაჟებს გვიხატავენ. აკაცი ბაქრაძე ანალიზებს კიკოლიკის და თეიმურაზ ხევისთავის ხასიათებს და მათ აბსოლუტურ იფივეობაზე მიგვანიშნებს — ისინი არსით თანხედებიან თათქარიძეს. გიორგი წერეთელს და მიხეილ ჯავახიშვილს სულ სხვა ვაზარებთ აქეთ შემქმნელი თავიანთი ნაწარმოებები, მაგრამ ისინი ვერსად გაექცნენ ქართველი კაცის ბუნებაში ჩაბუდებულ ნეგატიურ თვისებებს და სრულიად ბუნებრივად გააცხადეს ისინი.

დღეს ირკვევა, რომ ამ თვისებების ხაზი გრძელდება, ისევე გრძელდება, როგორც ობლომოვების შინაარსი ჩვენს დროში, შემჩნეული ვ. ი. ლენინის მიერ. ზუსტია აკაცი ბაქრაძის მიერ გამოყენებული ეს პარალელი. სიფხიზლეს სწორედ იმ ხაზის განმეორების საფრთხე გვაგვალდებს. თათქარიძის ხასიათის კომპლექსს თუ ვასაქანი მივიცა, ყოველგვარ ზნეობრივ კატეგორიას მოშლის და მიუღ ქვეყანას გადაუვლის ზურგზე თავისი „ბალნიანი, კოტიტა ფეხებით“.

ამ სიფრთხილის მხოლოდ გაცნობიერება ვერაფრითარ სერიოზულ შედეგს ვერ მოიტანს. იგი მოძრავ აზრად უნდა იქცეს, შინაგან მოთხოვნილებად, ცხოვრების წესის მარეგულირებელ ფაქტორად. თვითონ აკაცი ბაქრაძისათვის სხვა

არჩევანი არ არსებობს. ამდენად, ბუნებრივად რომ მისი სიფხიზლე მიმართულია ყრველთვის ყველაზე მტკივნეული პრობლემებისაკენ. აქ ფრავმენტულად ვაანალიზებული კრიტიკოსის წერილები სრულფასოვანი ასებუთა ამის დასადასტურებლად. ჩვენთვის ისევე განსაკუთრებული შინაარსი აქვს მის ბოლოდროინდელ ორ წერილს. ერთი მათგანი „ჯავახეთში“ კონკრეტული ფაქტების ანალიზის შემდეგ გარდუვალ აუცილებლობად აცხადებს უბატრონოდ მიტოვებულ უზარმაზარი მხარის მოვლას. იქ, ჯავახეთში, საქართველოს ისტორიას მთავარი ძარღვი ფეთქავდა მუდამ; იქ ჯავახეთში, საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის მაქსიმუმს განსახლდრავდა ჩვენი ქვეყნის ძლიერებას მუდამ. ფაქტია, ცოცხალი ფაქტი, უზარმაზარი მოკულობის სინამდვილეა, რომლის არდაწახვა სწორედ ქართველი მწერლის თვალსაწიერს აჩიავებს. „დღევანდელი საქართველოს უპირველესი ამოცანა ამ ნასახლარების ისევე დასახლებაა, ამ ნასოფლარების ისევე გაცოცხლებაა“. ხანვასმულთა ეს სიტყვები წრილში, რადგან ჯავახეთის ნახვა დღეს მართლაც ყველას გულს ტყენს. აკაცი ბაქრაძე ზმირად მოაგონებს მკითხველს ცნობილ შეზღუდულებას გულგრილობაზე. ქართულმა პუბლიცისტიკამ სულ უმოკლეს დროში იმდენი სატყუარი გამოამზეურა და შეახსენა ხალხს, რომ ადამიანი ვაკვირებულ იუნდა დარჩეს: ნუთუ შესაჩლებელია გულმშვიდად, საყუთარი ოჯახის ფარგლებში მოკალათდე და იმ სატყუარების გვერდით ვაგარაქელო დაარჩინებულ არსებობა. ამ სატყუართა კომპლექსი ხომ გაუზომავი წნევით ზღუდავს ცხოვრების შინაარსს და ბოლოს მისგან არაფერს სტოვებს. იგი ხომ ჩვენს ზმირად ცხოვრებასაც ანგრევეს ხვალ თუ ზეკ.

სატყუარათა გრძელი რიგი კი სრულებითაც არ ჩამოვლდა პუბლიცისტიკაში. ემატება და ემატება ერთიმეორეს. რამდენი რამისთვის მოგვიბრძობია ლაგამი, რამდენი რამ დატრიალებულა თავის ნებაზე: წაუღკეკა გონიერი არსებობის კანონები და შინაგანი უწყესრიგობა ცხოვრების წესად აუწყევია ფარზე.

აკაცი ბაქრაძის მეორე წერილი „გადაუდებელი საქმე“ უბარუნდება საქართველოს თანაბარი კულტურულ-ეკონომიური განვითარების საყუთს. ყველას თვალწინ, მოულოდნელად, არანორმალურად აღიზარდა ჩვენი დედაქალაქი — თბილისი. და ყველას თვალწინ ასევე მოულოდნელად, არანორმალურად დაცარიელდა სხვა ქალაქები კულტურის შინაარსისაკენ. კერძოდ და პრიფინცილობი იდენტური ცენტრები გახდა. ეს მაშინ, როდესაც თვით სიტყვას პრიფინციას — თავის დროზე სულაც არ ჰქონია ცალმხრივი შინაარსი. აკაცი ბაქრაძე შეგვახსენებს, რომ დრო მოითხოვს თბილისის განტვირთვას კულტურული დაწესებულებებისაკენ, დრო მუ-



თხოვს პერიფერიებში მათ გადატანას და მოითხოვს დაყინებით, როგორც სირთულითაც არ უნდა ხასიათდებოდეს ამ პროცესის არსი, რა წინააღმდეგობასაც არ უნდა წააგწდეთ მისი განხორციელების გზაზე, რადგან პრობორციების რჩევამ დედაქალაქსა და პერიფერიებს შორის ჩაკლა უმთავრესა: შინაგანი კულტურული ცხოვრების სურვილი, ჩაკლა წყურვილი ეპოქის დონესთან გათანაბრების, გააბატონა ცხოვრების კულში ჩანსლის ფსიქოლოგია, რომელიც დაშვებული სულის ამოსაყარად ჭმა-სმას მისდებდა — ისე რჩება ერთადერთ საკვებად. ასე გაჩნდა ყოველმხრივ მოტივირებული პროცესი — ავადმყოფური ლტოლვა დედაქალაქის კედლებისაყენ. მოჭარბებული ტალღები კი ადვილად შლიან თბილისის შინაგანი და გარეგნული სახის კონტურებსაც — დედაქალაქი ვერ ასწრებს მისთვის ნიშანდობლივი ფორმის განვითარებას. იქმნება ილუზია, თითქოს თანამედროვე ცხოვრების სტილი ცვლიდეს ქალაქის სახეს. სინამდვილეში ავადმყოფური, სწორედ არათანამედროვე ლტოლვა დედაქალაქისაკენ არღვევს განვითარების ყველა კანონზომიერებას და თბილისს ეშუქრება გაპროვინციფიკებით. მატარებლებით, თვითმფრინავებით დღევანდელი მსოფლიო კულტურის ატმოსფეროს შემოტანა შეუძლებელია! ამ საშუალებებით ინფორმაციის შემოტანაა ხერხდება. იმ დღი კულტურის შესატყვისი სულიერი ცხოვრება ადვილზე, დედაქალაქის პერიფერიებთან ცოცხალ ურთიერთობაში თუ დიანდება. მხოლოდ ამ გზით იქნება იგი ქართული და ამავე დროს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მოძრაი აზრის ფსიქოლოგია უნდა მოიცვას ეს ურთიერთობა. დედაქალაქი და პერიფერიები ერთი დონით უნდა სუნთქავდეს, ასეა ყველა კულტურულ ქვეყანაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პერიფერიების ქაობი, რომელიც არაგონიერი გადაწყვეტილებების წყალობით გაჩნდა, დედაქალაქსაც ჩაითრევს თავის ქსოვილში და თვითმფრინავებითა და მატარებლებით შემოტანილი კულტურა ვერასგზით ვერ ამოვითრევს იმ ქაობიდან.

მხოლოდ ქართველ ინტელექტუალს როდი აწუხებს ეს პრობლემა. იგი ყველა რიგით მოქალაქის ფსიქოლოგიას ეუფლება თავისებური ფორმით. შეგრძნება პროვინციალიზმისა ათასგვარ წვრილმანში ამოტეხს ტყვილივით და პატრიოსან მშრომელ ადამიანებში ისადგურებს შინაგანი უკმაყოფილების გრძობა. იგი თანდათან აფუხებს გულგრილობის წვეთებსაც, რადგან ის რიგითი ადამიანები, პერიფერიებში რომ იხდიან თავიანთ ვალს, ჩვენ ნებსით თუ უნებლიეთ, მოვწყობთ კულტურული ცხოვრების წილს, სადაც უნდა ესუნთქა მათ სულიერ მოთხოვნილებებს. დაერთ-

ვით ყოველდღიური საქმიანობის პირისპირ; ეს საქმე სულიერი ცხოვრების გალარობის გამო მძიმე ტვირთად იქცა და რა გასაკვირია, რომ იმ საქმესაც დაეტყოს გულგრილობის კვალა. ასეთია სინამდვილე. იქ, პერიფერიებში, ჩვენ მოქალაქეებს მეთაუხარისხოვან (თუ შეიძლება ასე განისაზღვროს) კულტურას ვთავაზობთ, ფაქტურად მაკულტურით ვკვებთ. ჩვენ გავიბრტყეთ ისინი უმეტესად, ნაციონალიზმი „ხელოვნებისათვის“, რადგან ქალაქები, რომელთაც უნდა მიზიდონ ახლო რაიონებისა და სოფლების მოსახლეობა, ასევე ფაქტურად მაღალი კულტურის გარეშე დარჩნენ. ამან წარმოშვა ის ღიდი სულიერი შიშშილი, რომელმაც თბილისისაკენ აქნენიანა პირი ყველას. ეს სინამდვილე მწარედ იქნა განცდილი ამ ბოლო ხანებში. გაჩნდა სასაზღვრო ტენდენცია მდგომარეობის გამოსწორებისა. მაგრამ ტენდენციამ არ შეიძლება დაფაროს ის უზარმაზარი ზზარი, რომელიც კარგა ხანია გვაფრთხობს. ამიტომ ედება სატკივარზე თქმულს კატეგორიულობის ელფერი. „გადადუბნებელი საქმეც“ ამ კატეგორიულობით იქცევა ყურადღებას. კატეგორიულობა ამ შემთხვევაში ყველაზე კარგი ტონია.

აკაკი ბაქრაძის ღრმად აქვს შეგნებული, რომ ერთი და იგი დონისძიებით ესოდენ დარღვეულ წონასწორობას არაფერი ეშველება. ამიტომ იგი პროცესის საპირისპირო პროცესს მოითხოვს. მოითხოვს საგანგებოდ გამოეყავი, რადგან საპოლოდ უნდა ვირწმუნოთ, რომ ერთი პიროვნების მტკიცება კონკრეტულ შემთხვევაში არაფერს არ ნიშნავს, იგი ჩვენი საზოგადოებრიობის მომწიფებულ აზრად რომ არ გვესახებოდეს.

„ეს სიძარბულ კიდევ უფრო ვირწმუნე, როცა ამას წინათ ახალციხეში თეატრის ახალი შენობის გახსნის ცერემონიალს დავესწარი. ენახე, როგორ არიან ახალციხელები მოწყურებული დიდ კულტურულ ცხოვრებას, როგორ აყეთებენ ყველაფერს ამისთვის (თუნდაც ახალციხის მუზეუმის გასახსნელად მუშაობა რად ღირს. თუმცა მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს იგი). მაგრამ სიხარულს ძირმწარეც გაერია, როცა გავიხსენე, რომ ერთადერთი თეატრი ემსახურება 5 რაიონს — ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის. თუ სკოლებს არ ჩაუვლით, სხვა კულტურული კერა ამ რაიონებში არსებითად არ არის. მეგედა, როგორ გავწდეს 5 რაიონს ერთი თეატრი: ახალციხის თეატრის ყველა თანამშრომელმა რომ თავგანწირვით იმუშავოს, მაინც ვერ მოახერხებენ მარტოდმართა ამ რაიონების კულტურულ აღორძინებას. ამიტომ აუცილებელია ახალციხის თეატრს

**ჯანსუღ ღმინჯილია**  
 „არც მორჩა და არც ბატაგვდა“

გვერდით ამოუდგეს უმაღლესი სასწავლებელიც. მაგრამ ეს არ უნდა იყოს რომელიმე თბილისური უმაღლესი სასწავლებლის ფილიალი. ეს უნდა იყოს რომელიმე თბილისური სასწავლებელი, გატანილი ახალციხეში».

აკაი ბაქრაძის პუბლიცისტური წერილების გულდასმით გაცნობისას ერთბაშად დაგვეფლუებათ სისხლობრივების განცდა. წერილების ქსოვილიდან ამოაზრდება არა ავტორი, ტრაბუნის ვენებათაღვლეული გატაცებული პიროვნება, არამედ ამოაზრდება ჩვენნივე სათქმელის, საუწყხარის, სატყვიარის გაცხადების აუცილებლობა. რწმუნდებით, რომ ამ წერილების ავტორისათვის სხვა ფორმა თვითგამოხატვისა არ არსებობს. ეს სტილი ერთადერთია მისთვის, რადგან პრინციპია ერთადერთი. რა თქმა უნდა, ეს ერთადერთობა არ მიანაშვნებს ერთფეროვნებაზე. მწარე სიმართლის თქმა მას არავითარ შევებას არ გვრის, იგი კი არ იშორებს სათქმელს, არამედ საზრუნავის კომპლექსში იქცევა ჩვენთან ერთად თავს და იმ საზრუნავის კომპლექსივით ფხიზლობს. ჩვენც გვაჯალღებს სიფხიზლეს. ასე იკვრება ერთი საზრუნავის წრე, რომელიც არც ერთი მამულიშვილის დასახურებას არ აქარწყლებს. იგი უბრალოდ აფერკრთალებს დრომოქმულ მანიას, მამულის წინაშე საკუთარი დამსახურების გაზომვით რომ ტკბება ხოლმე. ჩნდება შეგრძნება იმ აუცილებლობისა, რომლის კარნახითაც ჩვენი ფიქრების მთელი ნაკადი პატემოყვარეობის უნაყოფო მდგომარეობიდან უნდა აღწევდეს თავს და საქმის კეთების დაუსრულებელ პროცესში იხარჯებოდეს.

2.

იმაზე, რისი ნატამალიც არ შეინიშნება, ჩვეულებრივ არ საუბრობენ ხოლმე. არ საუბრობენ იმ გონიერული მოსაზრებით, რომ მანუანი ცილისმწამებლის წისქვილზე არ დასხან, წყალი. რაკი რამეზე მსჯელობას ვიწყებთ, თითქოს ვალიაბებთ კიდევ მის არსებობას. ლოგიკას მხოლოდ ამ დასკვნისაყენ მიეყვართ. მაგრამ აკაი ბაქრაძის წერილებთან დაკავშირებით მე მაინც მინდა ვილაპარაკო ერთ ნიშანზე, რომელიც აბსოლუტურად არ არსებობს მის ხასიათში, მაგრამ იგი არსებობს საერთოდ პირუთენელი კრიტიკისადნა ჩვენს დამოკიდებულებაში და დაუფიქრებლად მიეაწერთ ხოლმე სწორედ პირუთენელობას. პირუთენელობა უკომპრომიზობას ვარაუდობს, უკომპრომიზობა სრული სიმართლის თქმას ნიშნავს, სრული სიმართლე კი ჩვენ ხშირად არ გვაწყობს და საკუთარი უსუსურობისაგან თავის დასაფარავად მზად ვართ ნილილიზმს დავეწყოთ სიმართლის მოქმელს.

მე სწორედ ნილილიზმზე მინდა ვილაპარაკო, მიუხედავად იმისა, რომ, ჩემი აზრით, გარკვე-

ულად დავასაბუთო ამ თემაზე საუბრის უნებუნებლობა, მაინც მინდა ბოდიში მიმხმარებოდეს აკაი ბაქრაძეს, რომ მასთან „დაკავშირებით“ ვსაუბრობ ნილილიზმზე, რადგან იქნებ მაინც რჩებოდეს შთაბეჭდილება, თითქოს რაღაც არასასიამოვნო ეპითეტს ვუახლოვებდე მის სახელსა და გვარს.

ჩვენი კრიტიკული აზროვნების ატმოსფერო, რომელიც უფრო პუბლიცისტის ხარჯზე შესამჩნევად ცოცხლდება დღეს, ვერ კიდევ არ არის შინაგანი კანონებით მოწესრიგებული ფენომენი. აგერ აქამდე ვერ მოხერხდა ამ შინაგანი კანონების დდგენება, ვერ მოხერხდა შესატყვისი ფორმების გამოძებნა და კრიტიკული აზროვნების წილი კვლავ რჩება უზრუნველობის, განუთიხთაობის, უპრინციპობის ფონად, რჩება ჭეშმარიტი, ზუსტი საზომების გარეშე, სტიქიური და წყალწყალა ენთუზიაზმის ამარა, მოცვეთალი დითირამებისა და მოყირკებული ეპითეტების წრეში. ცალკეულ განათებანი იძირება ამ უსახო მასაში და დღეს, როდესაც ასე მოგვთხოვა დრომ შინაგანი მოწესრიგებულობა, იქნებ რაღაც სიმპტომებს ვამჩნევდეთ, მაგრამ საერთო დონე ძირითადად ფერუცვლეოია. ამ საერთო დონის ფონზე სასურველი ფორმის შესატყვისი კრიტიკა აძლევს საბაბს ჩვენს შინაგან დამოკიდებულებას ნილილიზმზე ლაპარაკისას. ჩვენ, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, ვალიაბეთ, მაგრამ დავეციწყუეთ ილია ჭავჭავაძისა და კიტა აბაშაძის სიმართლის წვენი. ვალიაბეთ, მაგრამ დავეციწყუეთ, რადგან შინაგანად თითქოს ასე გვაწყობს.

აქ ისევ შეგვახსენებენ თავს დედაზარები. ჩვენ იქნებ ყოველთვის მოგვენახა ჩვენი ხასიათის ზოგი ნიშნის გამართლების საბუთი, მაგრამ დღეს, უფრო ვართულებული ვადგინებულნი ცხოვრების მოკრეში შეცუბულთ სწორედ გულადმა, დასასვენებლად, წოლა არ გვაწყობს. სწორედ შინაგანად არ გვაწყობს დამატრული სიტყვების მოსმენა, ნილილიზმი არის არა უკიდურესი სიმამფრით თქმული სიმართლე, არამედ ჩვენი შინაგანი დამოკიდებულება უკიდურესი სიმამფრით თქმული სიმართლისადმი. ვაეოვრებ საგანგებოდ, პირუთენელი კრიტიკისადმი ჩვენი შინაგანი დამოკიდებულება ნილილიზმი, რადგან ამ დამოკიდებულებით ჩვენ ადგლზე ვაქვავებთ უკომპრომიზობის გრძნობას და არხეინ თვლემას ვანავარობთ. თვლემასი გვეჩვენება, თითქოს რაღაც ვანაკუთრებულს ვქმინთ და არაფერსაც არ ვქმინთ ღირებულს. ამ დამოკიდებულებას ჩვენც, როგორც ვხედავთ, არაფრის შექმნისაყენ მიეყვართ და სწორედ ამიტომ იქცევა იგი თვით ნილილიზმად, მაგრამ საკუთარი თავი ვის ემეტება და შეუვანი, პირუთენელი აზრის ავტორისაყენ მიემართათ იმ ეპითეტს, რომელიც ჩვენს





შინაგან დამოკიდებულებაზეა ზედგამოჭრილი. ნილილიზმის განცდა მწარე სიმართლის მოსმენისას გვეუფლება, მაგრამ კარგა ხანია, დადგა დრო, ადგილი მიუჭირნით მას.

ზოგს ერთობ პრიმიტიულად ესმის შემოქმედისათვის გულის გათბობის, თანადგომის ფილოსოფია. სიმართლე, მათი აზრით, გულს გაუტეხს ხელოვანს, საქმეზე ხელს აალეზინებს, ეს განცდაც იმ უფროსო კრიტიკული აზროვნების წიაღიდან იღებს სათავეს, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკე. სიმართლე გულს კი არ უტეხს ხელოვანს, არამედ შექმნილისადმი განაწყობს კრიტიკულად და ახლის შესაქმნელად უქმარობის გრძნობას უძლიერებს; თვითგამაფილებს, თვითდამშვიდების მოაფადებელი წრიდან გამოყავს და ფიზიკური ცნობიერებით აყენებს დიდი მასშტაბების წინაშე. ასე უნდა აღიქვამოდეს კრიტიკა. ვერც კრიტიკამ და ვერც ჩვენმა საერთო კულტურამ ვერ ვერ შეიძლო ამგვარი პროფესიული დამოკიდებულების შემუშავება. ხელოვნული დღე კი მეტი სიმკაცრით ჩაგვხედავს თვალეზში და ჩვენს კმაყოფილებას ირონიული ღიმილით ცივ წყალს გადაასხამს.

აკაკი ბაქრაძის წერილებს კითხვისას ჩნდება ნაკულუოვანების განცდა. კრიტიკოსს არ უყარს დამშვიდების მიზნით უარყოფითი ტენდენციის გვერდით განსაღის სავანგებო ანალიზი, რადგან სწამს, რომ დამშვიდება კიდევ უფრო გააღრმავებს დამშვიდებულობის საერთო ბანს. ამიტომ იგი განუწყვეტლავ აფორიაქებს აღრესატს მაშინ, როდესაც აშკარად ნეგატიური ქარბობს და მაშინაც, როდესაც ნეგატიური მხოლოდ ტენდენციის სახით გვევლინება. კონკრეტულზე და ზოგადად მსჯელობისას, ყოველთვის, აკაკი ბაქრაძეს აქცენტს შინაგან სიფიზილზე გადააქვს. მას მიაჩნია, რომ აღფრთოვანება, სიხარული, კმაყოფილება (თავის ადვილზე ასე საჭირო და აუცილებელი) დიდი დოზით ისედაც ჩაბუდებულია ჩვენს ხასიათში და მეტი ვანებვებრება არ სჭირდება. შექმნილის დამფასებელი დრო მოვა. იმ შექმნილის სიღიადეს ჩვენ სადაც ფიქრის უმოკლეს მონაკვეთში უნდა განვიცდიდეთ, სხვა დრო კი შესაქმნელის სამსხვერპლოზე უნდა მივუქონდეს.

მაგრამ იქნებ აუცილებელი იყოს იმ სულიერი ენერჯის გამოშვებებაც, რომელიც ღირებულის არსში ივარაუდება, თუნდაც იმისთვის, ვგრძნობდეთ ძალას, შექმნას რომ გვეალებს. ამ მეორე ხაზის წარმოჩენა ამოლიანებს სულიერი ცხოვრების პროცესს და სრულყოფილი ფორმებისაკენ მივყავართ. არ მინდა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნას, თითქოს აკაკი ბაქრაძე ადვილს არ ტოვებდეს ამ მეორე მხარისათვის თავის წერილებში. საკმაო ადვილს ტოვებს, მაგრამ ერთი მდინარების გვერდით მეორე მდინარეებს ტოლვა-

სიფიზილის შეგრძნება ეკარგება. ამიტომ ჩნდება ნაკულუოვანების განცდა.

მე სრულებითაც არ გამოხდია თვითმიზნად კრიტიკოსის პოზიციების დაცვა. მაგრამ უბრალოდ აუცილებლობად უნდა ვცნოთ საენებთან ჩვენი დამოკიდებულების გადაფასება. აქ ლაპარაკია კრიტიკოსის ღირსეულ პოზიციაზე და არა იმაზე, კონკრეტულად ყოველთვის შეუძმდარია თუ არა აკაკი ბაქრაძე. ცალკეულ ნაწარმოებების ანალიზში, ზოგად მოსაზრებაში ჩვენ ზოგჯერ შეიძლება არ ვეთანხმებოდეთ მას, მაგრამ შეუძლებელია არ ვცნოთ ის არსებითი ნიშან-თვისებანი, რომელიც წარმართავს მის შემოქმედებას. უკომპრომიზობა სრულებითაც არ უნდა გავავთო ერთი კრიტიკოსის ხასიათის ნიშნად.

ყოველ შემთხვევაში ეს არის თვისება, რომელიც დღეს, სახელდობრ, დღეს, ქართული კრიტიკული აზროვნების ძვრად უნდა იქცეს. აქ ჩნდება ალტერნატივის სიმკაცრის განცდა. ქართულმა კრიტიკულმა აზროვნებამ ან უნდა დაადგინოს თავისი ღირსეული არსებობის ფორმები ან არსებობაზე უნდა თქვას უარი. აუტანლად გაუქიანურდა თვითგამრახატვის ისტორია და კდში ჩანჩალის დამამკირებელი ყოფა. ამგვარი ყოფით იგი ლიტერატურის (საერთოდ კულტურის) მუხრუქად იქცევა!

უკომპრომიზობის გრძნობაზე, როგორც ფენომენზე ამ წერილში ბევრი ვილაპარაკე და ალბათ კიდევ მომიწევს მასთან მიბრუნება. მაგრამ აქვე, სადაც ნაკულუოვანების განცდაზე მომიხდა შეჩერება, ისიც უნდა ითქვას, რომ ორიოდ წერილში ეს გრძნობა თვალსა და ხელს შუა გაუსხლტა თვითონ აკაკი ბაქრაძეს. გველისხმობ წერილებს კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და ნოდარ წულენისკირის ნაწარმოებებზე. ორივე ავტორის განხილულ ნაწარმოებები ამართლებს პოზიტიურის შემჩნევის ფაქტს, მაგრამ უკომპრომიზობის გრძნობისთვის ალბათ ძნელი დასანახი არ უნდა იყოს, რომ ამ წერილებში ავტორი საგანგებოდ პოზიტიურს შეეხო და საგანგებოდ არ დააკვირდა ნეგატიურს. ეს ორი მაგალითი სასაცილომდე უმნიშვნელოა, მაგრამ საუბარია იმ კაცზე, რომლის ხელში დედაზარი ასე ძლიერ გუგუნებს, „არც მორჩა და არც გათავდა“.

3.

პირობითია ეს განცხადება, მაგრამ აკაკი ბაქრაძის წერილები ლიტერატურაზე, კინოზე თეატრსა და, კერძოდ, დრამატურგიაზე — კონკრეტულ სახელებსა და ფაქტებს ეხება. პირობითია, რადგან ყველა მტკივნეული საკითხი, რაზეც კი ზოგადი საუბარი გვიხდება, ყველა ჩვენთავანისათვის ასევე უაღრესად

**ჯანსუღ ღვინჯილია**  
„არც მორჩა და არც გათავდა“

კონკრეტულია. და მინც წინასწარ უნდა ითქვას კრიტიკოსის ხასიათის ერთ არსებით ნიშანზე — სიმკაცრეზე, რადგან ამ ხასიათიდან მომდინარე „დაუნდობელი“ დასკვნები კონკრეტული სახეობის მიმართ ბევრმა შეიძლება ვერ აღიქვას კეთილი თანადგომის პოზიციიდან თქმულ სიმართლედ. მით უმეტეს, რომ თუ თავს გამოვუტყდებით, ჩვენში არც ასე მაღალია სხვისგან თქმულის მოსმენის კულტურა, მთელი გულსისყურით იშვიათად ვაწარმოებთ ჩვენი მიმასართით თქმულს და გაუაზრებლად საკუთარი ენებათაღლევის კედელს ვაგებებთ მას. სიმკაცრე აკაი ბაქრაძის წერილებში უბრალოდ გამოხატავს სიმართლის ბუნებას და მას ეს „სიმკაცრე“ მიანიხთავის (საერთოდ კრიტიკის) თანადგომად ხელოვანისადმი. ამ თანადგომით არის შეფასებული ლადო მრელაშვილის „ყაბახი“, თინა დონეაშვილის „ალაზანზე“, ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება, აკაი გეწაძის „ყარაპან ყანთელაში“, „ჰინკრაქა“ თეატრების რეჟისორი, კინოხელოვნების ცალკეული მოკლენები და სხვა.

ეს თანადგომა რომ სხვადასხვაგვარად ირეკლება, მოწოდება ერთი საგულისხმო ფაქტით. ლადო მრელაშვილის „ყაბახი“ აკაი ბაქრაძემ გამოწველივით ანალიზით დაუხასიათა მკითხველს. ანალიზში არ არის არც ერთი ზერელე დებულება, ყოველი მათგანი არგუმენტებით არის დასაბუთებული. მტკიცების ლოგიკა — შეუვალი. მოხდა საოცრება, იმავე რომანზე გარდა ერთი-ორი გამოანკლისისა, დაისტამბა წერილები, რომლებიც ხელაღებით აქებენ „ყაბახს“. თავი რომ დავანებოთ შეფასებისათვის მიხმობილი ლოგიკის ზერელეობას, აქ მოუსთმენელია ერთი რამ: მწერალ ლადო მრელაშვილს ნუთუ ასეთი ზერელე ქებით მოუსპობდნენ ამ წერილების ავტორები ეჭვს, რომელიც საფუძვლიანი ანალიზით დაბადა მასში ეკაი ბაქრაძემ? ნუთუ არ იყო აუცილებელი ესაოღენ მეცნიერულად დასაბუთებული ანალიზის უყუფლება სიმიხოდ, რომ საკუთარი პოზიტიური მოსაზრების დამაჩერებლობისათვის მიგვეღწია! რამელიეთ? ერთი მხრივ არსებობს დასაბუთებული უარყოფითი აზრი და მეორე მხრივ დაუსაბუთებელი, ზერელე, ადენად არაკვალიფიციურებული, პოზიტიური შეფასების შემცველი წერილების წყება. ეს კიდევ არაფერი — არსებობს შენაღდელი წესი კრიტიკული აზროვნებისა, რომელიც მოითხოვს ლიტერატურის კანონების დაცვას: თუ ჩვენ გვაჭებს განსხვავებული საპირისპირო მოსაზრება, იგი არგუმენტებით უნდა დავასაბუთოთ და დავამკვიდროთ მას შემდეგ, როცა ასევე მეცნიერულად, დავასაბუთებთ ადრე გამოთქმული მოსაზრების მცდარობას. იქნებმა შთაბეჭდილება, თითქოს პროფესიულ კრიტიკას

არავითარი წონა არა აქვს და მის გვერდით შეგვიძლია როგორც გვინდა, ისე დავაყენოთ; საითაც გვინდა, იქით წარგმართოთ მკითხველის შეფასება. საზომებს როგორც გვსურს, ისე ავრევთ. სწორედ პროფესიული კრიტიკული აზროვნების არაღმადგენის ტენდენციად მელანდნება აკაი ბაქრაძის წერილებთან მიმართებით. ეს თავისთავად გულისხმობს საერთოდ ჩვენს დამოკიდებულებას კრიტიკულ აზროვნებასთან, ჩვენს მზადყოფნას, წავეუაროთ მართალ აზრს.

წერილისათვის, რომელიც თინა დონეაშვილის რომანს „ალაზანზე“ ეხება, კრიტიკოსს „სქემების ტყვეობაში“ დაურქმევია. ამ სათაურის ქვეშ შეიძლება მოვაქციოთ დიდძალი „მხატვრული“ პროდუქცია, რადგან იგი ზუსტად გამოხატავს იმ ლიმიტისმოძვერულ ტენდენციას, რომელიც წლების მანძილზე ბატონობდა ქართულ ლიტერატურაში. სქემების მიხედვით იწერებოდა ლექსი, პოემა, მოთხრობა, ნოველა, რომანი, სქემებს ემორჩილებოდა ნაწარმოების სტრუქტურა, გმირთა ხასიათები, თვით მიზანდასახულობაც კი. ამდენად, თინა დონეაშვილის ნაწილი გასაკვირი არ ყოფილა აკაი ბაქრაძისათვის. მაგრამ ნიშუშად მან მინც ერთი ნაწარმოები აიღო, საგულისხმოა, რომ კრიტიკოსი საგანგებოდ ამაგრებს არგუმენტებით ისეთ მოსაზრებასაც კი, რომელიც ეჭვს არ უნდა იწვევდეს. დაშლილია რომანის მთელი სტრუქტურა და ასეა გაცხადებული მისი ხელოვნობა. ხელოვნობა აქ ყველაფერი უკანასკნელ დეტალამდე. კრიტიკოსის არგუმენტები საპირისპირო მოსაზრებისათვის არავითარ საყრდენს არ ტოვებს. საქმე აქ ერთი ნაწარმოების სქემატობას როდი ეხება. გასათვალისწინებელია უფრო მეტად დამაფიქრებელი გარემოება: სქემების კარნახი, რომელიც დასჩემდა გარკვეული პერიოდის კრიტიკულ აზროვნებას და რომლის წყალობითაც, კერძოდ, თინა დონეაშვილის რომანში ასეთი მიდელი მივიღეთ.

„იქნებ მანანა და ანიკა დარჩნენ მტრებად? რაც არ უნდა იყოს, ან ერთს უნდა დაეკარგა ქმარი, ან მეორეს — საყვარელი, რავინდ გულწრფელი და სუფთა არ უნდა ყოფილიყო მანანას სიყვარული, იგი მინც დანგრეული ემუქრებოდა ანიკას ოჯახს. მაგრამ ამ ორი ქალის ურთიერთობაც მშვიდობიანად დასრულდა. მიუხედავად ორივე ქალის დარდასა; ფიქრის — და წუხილისა, ჩხუბისა (გვ. 410-411), სქესობრივ სიყვარულს მინც დღრმა სიყვარულმა სძლია. თუ მანანამ ზაქრო იძიო, ანიკა დად გაიხადა (გვ. 537).

ეს წინააღმდეგობაც ბედნიერად მოგვარდა. კრიტიკოსის ეს კონკრეტული ანალიზი სრულებითაც არ არის მიმართული თინა დონეაშვილის მწერლობის შესაძლებლობის ეჭვის ქვეშ დასაყენებლად. იგი მიმართულია იმ ზო-

გადი. თეორიების წინააღმდეგ, რომელიც ავალბდა მწერალს „შეუმცდარად“ გაეგლო ხაზები და „შეუმცდარად“ ეტარებინა მასზე ფიგურები, სიცოცხლეგამოღილი და უშინარსი ფიგურები; უსათუოდ შევექმნა კონფლიქტის ილუზია და დასასრულისათვის მოეხსნა წინააღმდეგობა; თვით წერილმანშიც კი უსათუოდ გახელია კეთილი ბოროტისაგან და უსათუოდ დაეთრგუნა ბოროტი. ამიტომ არის წერილი „სქემების ტყვეობაში“ ცხოველყოფელი თავისი არაბით და ამიტომაც არ უნდა ვიგულისხმოდ მხოლოდ ერთი მწერალი მათი ანალიზის საგნად.

საერთოდ არ შეიძლება არ შეიძინეოდება ერთი სასაიამოვნო ნიშანიც. კონკრეტულ საგანზე მჭკვლავის მითავარი აზრი აკავი ბაქრაძის წერილებში მუდამ კონცეპციამდე მალღდება ხოლმე. ის კონცეპცია კი მკვეთრი ფორმულების წყალობით ცხადად გამოიკვეთება ჩვენს წინაშე. ამ კონცეპციების რაგში უთუოდ დგება ერთი დაკვირვება, რომელიც კრიტიკოსმა ლევან ვოთუას „მითრიდატესთან“ დაკავშირებით გამოთქვა: „როგორც ცნობილია, ეროვნულ ერთიანობას ყოველთვის ორი მიზეზი უშლის ხელს: ერთი, დამპყრობლის პრინციპი — „ვათიფი და იბატონე“ divide et impera და მეორე — თავად ერის მიერ ნაციონალური თვითშეგნების უქონლობა. პირველი ნაკლებ საშიშია: მოძალადე ცოტა ხნით თუ მოახერხებს ერის გათშვას, ისიც პოლიტიკურად, სულეოდ, შეგნებით კი ერთი მიანი მთლიანად და ურღვევია. ვაცილებით საშიშია მეორე მიზეზი. როცა ერს არა აქვს, ეროვნული ერთიანობის თვითშეგნება, მაშინ ნაციონალური კატასტროფა გარღუვალია. ამიტომ დაცემისა და წახდენისათვის ყოველ ერთ უპირველესად თავად აუგებს პასუხს“.

დღეს შეიძლება მოსახერხებელ, ათასგზის გადაღებულ აზრად აღვიქვამდეთ ეროვნულ დრამატურგიაზე თქმულ სიტყვას, რადგან ყოველ მათგანს ერთი ზოგადი შეხედულება შეიწოვს, ზოგადი შეხედულება, რომელიც საფუძვლიანად, მაგრამ ხელაღებით აღიარებს დრამატურგის აშკარა ჩამორჩენილობას. ამ ზოგადი შეხედულების თაღქმეში თითქოს უშედეგო ლაყობად გვიჩვენება კონკრეტულ მიზეზებზე საუბარი, მით უმეტეს კონკრეტულ ფაქტებზე.

სინამდვილეში დრამატურგის ხვალინდელი დღისათვის აუცილებელია სერაოხული დაფიქრება, მთელი სიგრძე-სიგანით გაანალიზება მიზეზების იმ კომპლექსისა, რომელიც წინ უდგას ჩვენი ლიტერატურის გაუცხადებელ, პოტენციას დრამატურგის სფეროში. კომპლექსს ამ რთულ სტრუქტურაში კანტიკუნტად გამოურჩევიათ ესა თუ ის მიზეზი და თითოეულ დაკვირვებას, როცა ის დასა-

ბუთებულოა, განსახლერული წონა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის. აკაკი ბაქრაძეს აქვს ერთი ასეთი დაკვირვება, გამოთქმული კარგა ხნის წინათ. მასში კონდენსირებულად არის გადმოცემული ხანგრძლივი პერიოდის გამოცდილება, რაც ქართულ ლიტერატურას დაუგროვებია. საკითხი ეხება პროზის დრამატურგიად გარდასახვის ფართოდ გავრცელებულ სენს. მე არ მოვერიდები ამ გამოთქმას. ეს ტენდენცია ქვეშარტად სენია, როგორც არ გუემენტები არ უნდა იყოს ის გამოართლებული. ამ საკითხზე გაცილებით უკეთესად მსჯელობს აკაკი ბაქრაძე და ამდენად ჩემი დამოკიდებულება მინდა აკაკი ბაქრაძის მოსაზრებებში იგულისხმოს მკითხველმა. ვფიქრობ, ვრცელი ციტატა არ ვადაღლის მკითხველს, რამდენადაც მასში მისი საწუხარად გვენიშნება. კრიტიკოსი პროზის დრამატურგიად გარდასახვას სამი დიდი ზიანის მიზეზად მიიჩნევს:

„პირველი: ინსცენირებით ივსება რებერტური. მკარამ არ იქმნება დრამატურგია — თეატრის არსებობის საფუძველი ...

მეორე: როგორც წესი: ამა თუ იმ პროზაულ ნაწარმოებთა დღევანდელი ინსცენირება, მხატვრულ-იდეური თვალსაზრისით, არასოდეს არ დადებს პირველწყაროს სიმალღზე. გამოდის, რომ კარგ პროზაულ ნაწარმოებს განგებ და ნაძალადევად ვამახიჩვებთ. თუმცა ეს ბუნებრივიც არის, რადგან ირღვევა ესთეტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კანონთავანი, რომელიც გულისხმობს, ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები იმიტომ იბადება ან რომანად ან ლექსად ან პიესად, რომ მას სხვა სახით და სხვა უანრით დაბადება არ შეეძლო. ე. ი. ინსცენირებით ხშირად ირღვევა უანრების თვისთავადობისა და შეუცვლელი კანონი.

მესამე: ინსცენირება გვინდა თუ არ გვინდა, იწვევს დრამატურგის შინაგანი კანონების დამლა-დარღვევას (ეს ხდება უმთავრესად მაშინ, როდესაც ინსცენირებისათვის ანუთული ნაწარმოების ერთგული გვინდა დავრჩეთ). თეატრი ხდება პროზის ილუსტრატორი, სადაც მხოლოდ გაციოცხლებული სურათები მოქმედებენ. დრამატურგია (და ამდენად თეატრიც) კარგავს დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების უნარს და მოქმედების, ხასიათის, კონფლიქტის ჩვენება-გამოგენის საკუთარ, მხოლოდ თეატრისათვის დამახასიათებელ საშუალებებს. ეს კი იწვევს თეატრალური ხელოვნების სპეციფიკის სიკვდილს. ხელოვნების ყველა დარგი კი მკითხველისა თუ მაყურებლისათვის მხატვრული აზროვნების სპეციფიკური საშუალებებით არის სინტერესო, საყურადღებო და მიმზიდველი. სხვანარად

**ჯანსუღ ღვინჯილია**  
„არც მორჩა და არც ბათავდასი“





ისინი ერთმანეთს გაიმეორებდნენ და მათ დამოუკიდებელ არსებობას ღირებულება არ ექნებოდა“.

აქაი ბაქრაძის წერილებში არსებითად უნაკლოდ არის გაანალიზებული ავრეთვე არჩილ სულაიაურის, დავით ჭავჭავაძის, გურამ ვევეშვიძის და სხვათა ნაწარმოებები. არსებითად უნაკლოდ. ანალიზის მრავალი ფორმა არსებობს და გამომდინარე საყოთარი ნა-სიათიდან, ბევრს იქნება სრულყოფილად არ მოეჩვენოს აქაი ბაქრაძისთვის ნიშანდობლო-ვი მეთოდი. მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა. მთავარია, რომ მეთოდი, რომელსაც აქაი ბაქრაძე იყენებს, სრულყოფილია და დახვეწი-ლი. კონკრეტული „ჩხრიკისა“ თანდათან მზადდება ზოგადი კონცეპცია, რომელიც ორ-განულად ვერ გულის უმნიშვნელოზე მსჯე-ლობას. ყოველი წერილის წაკითხვის შემ-დეგ ისეთი შთაბეჭდილება გექმნებათ, თითქოს მზრუნველი მებაღე საითთოდ უსინჯავს მცე-ნარეს ამობრუნებულ ფესვებს და შეუმცდარად გეუბნებათ, ღირს თუ არა მისი დარ-გვა ბაღში, იხარებს თუ არა ამ ფესვების პა-ტრონი.

აქაი ბაქრაძეს ერთი წიგნი მთლიანად კი-ნის პრობლემებისათვის მიუძღვნია. ჩემი აზ-რით, ნიჭის მრავალმხრივობის საბუთად გა-მოდგება ის ფაქტი, რომ კრიტიკოსი თანა-ბარი ძალით წერს, როგორც ლიტერატურის, ასევე კინოსა და თეატრის საკითხებზე. ამაში მხოლოდნელი თითქოს არაფერი არ უნდა იყოს. სამივე სფერო მჭიდროდ არის ერთი-ნეთთან დაკავშირებული. წერილში „კინემა-ტოგრაფიული საკითხები“ გაშიშვლებულია ის უმთავრესი ნაკლი, რაც ქართულ კინოხელო-ვნებას აქვს და რაც გასდევს მას თავისი გან-ვითარების მანძილზე. სქემატიზმი, რომელიც ერთი მწერლის რომანთან დაკავშირებით ცხადყო კრიტიკოსმა, ბუნებრივად აღმოჩნდა კინოხელოვნების აქილეისის ქუსლიც. აქაი ბაქრაძეს მოაქვს ხუთი ფილმის სიუჟეტი ნა-მუშად და ნათლად დავგანახებს საყოველთა-ოდ ფეხმოკიდებულ მცდარ ესთეტიკურ კა-ნონს, რომელმაც ხმა გაუყალბა ისეთ მასიურ ხელოვნებას, როგორც კინოა. ეს სიყალბე შეგვიტარა მსახიობის თამაშის ხელოვნებაში და იმ ფილმებშიც იჩინა თავი, რომელთაც მა-ყურებლის საერთო მოწონება დაიმსახურეს (სფატომა“, „კეთილი აღამიანები“ ...).

თავისებურ ინტერესს ინარჩუნებს თქვენს ყველა წერილში. მათზე საგანგებოდ შეჩერე-ბა არ ხერხდება და, ჩემი აზრით, არც არის საჭირო. ისინი ძირითადად ავლენენ კრიტიკოსის იმ ყველა დადებით ნიშანს, რომლებზეც შეძლებისდაგვარად მივუთითებ სხვა წერილებთან დაკავშირებით. „იუმბიტერი იდი-ნის“ ტელევიკანზე“, „გარდევული შეგნება“, „გეშინოდეთ გულარიათა“, „გეშინდელი“ და ვრცელი გამოკვლევა „პითოლოგიური ენგაბი“ დაინტერესებულ მკითხველს დიდ სი-ამოწენებას მოგვრის.

ჩემს წერილში მე თავი ავირიდე ებითეტს. მაგრამ იქნებ მთელი წერილი მკითხველმა ერთგვარ ებითეტად აღიქვას, ამასთან დაკა-ვშირებით მინდა ვთქვა. რომ გადაჭარბებულა ქება ჩვენთვის მისაღების ფარზე აზიდვას კი არ უნდა ეწოდოს, არამედ ცნობას იმისას, რაც თვითვე არ გვწამს.

მიუხედავად წერილების ქმედითობისა, აქა-ი ბაქრაძის ხუთიოდე მცირე მოცულობის წიგნი მაინც ბაღებს საყვედურის გრძობას. ამ წიგნებიდან გამოსჭვივის არა მხოლოდ უყო-მპრომისო კრიტიკა, არამედ ანგარიშგასაწევი სულიერი ენერჯია, რომელსაც გაცილებით შე-ტის შექმნას ავალგებს დრო, ეს ენერჯია კი ფა-ქტიურად ნაწილობრივ თუ გამეღაგნდა. მე არ ვგულისხმობ მოცულობას და რაოდენობა. დიდი დაკვირვება არ უნდა სჭირდებოდეს იმის დანახვას, რომ აქაი ბაქრაძის წერილებში თვისების სახით დევს უღარესად საინტერე-სო პრობლემები, რომლებიც ღრობე დამუშა-ევებას საჭიროებენ. ძნელია კრიტიკოსს პასიუ-რობა დასწამო, მაგრამ ხომ არ იქმნება შთაბეჭ-დილება, თითქოს მისი წერილები ქმედითობა ერთობ პირობითი დასკვნა იყოს. ყოველ შე-მთხვევაში ასეთი სულიერი წყობის კრიტი-კოსს ეგებება კიდევ ენერჯიის მაქსიმალურად დახარჯვა, შექმნის და მხოლოდ შექმნის თვალ-საზრისით. მით უმეტეს, რომ ჩვენს შეგნებას უნდა წარმართადდეს დედაზარების რეკვა, რო-მელიც ყოველ წამს შეგვახსენებს სიფხიზლეს. შეგვახსენებს, რომ შეღავათი, კომპრომისი არაფერში რგებს ჩვენს საქმეს, შეღავათი და დაზოგვა არც საყოთარი ენერჯიისა შეიძლება და რომ ქართული კრიტიკული აზროვნება უნ-და „დადგეს იქ“, სადაც უკომპრომისობის ნა-ყოფიერი კანონი მოქმედებს.



# სუმბათაშვილი და შექვაძის თეატრი

და აი, 1891 წლის 14 ოქტომბერს ს. ვ. იაბლოჩინას ბენეფისზე დაიდგა „ჰამლეტი“.

ტრაგედიის პირველივე სცენიდან მკაფიოდ გულმოდგინედ უჩვენებდა, მხატვრული თვალსაზრისით მეტად თავისებური, ამიერიდან უკვე ა. სუმბათაშვილისეული ჰამლეტი.

ა. იუენის ჰამლეტის როლი ამ პრემიერადეც მრავალჯერ ჰქონდა შესრულებული რუსეთის პროვინციულ სცენებზე გასტროლების დროს. მაგრამ მკერდ თეატრის სცენისათვის ამ სახის მომზადებისას მან საგანგებოდ შეისწავლა უზარმაზარი ლიტერატურა, რის შედეგადაც ჩამოაყალიბა საკუთარი კონცეფცია დანიის პრინცზე.

ეს კონცეფცია ა. იუენმა კარგად გამოხატა ერთ-ერთ მინაწერში, რომელიც მან დაუდენის წიგნზე „შექვაძის“ ვაკეთა. იგი წერდა: სიტყვებში

„დროთა კავშირი დაირღვა და წყულებმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკრამ!“<sup>1</sup>

და: ბევრი ხედავს ჰამლეტის ნებისყოფის სისუსტის უმალეს გამოვლენებას. გოეთე პირდაპირ მიუთითებს ამ ადგილზე, როგორც დრამის კვანძზე, მის წყაროზე. ნუთუ ადამიანს, რომელიც იძულებულია „შეერთდეს დარღვეული დროთა კავშირი“ და „მოაწყოს აწყვილი“ სამყარო მკვლელობით ან სიკვდილის მისჯითაც კი, არ შეუძლია დაწყველის ზედი, რომელმაც მას ჯალათის ხეცდრი არაგუნა? ნუთუ მხოლოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანები ევედრებიან უფალს: „თანაწარმადედიან მე სასუმელი ესე?“ პირიქით, ვინა დამატკიცებელი არ არის სულსა და ნებისყოფის ძალისა, რომ, მიუხედავად სულიერი წამებისა, რომელიც ამ გოდებაში გამოხატული, ადამიანი ადამიანად იღებს ჯალათის ნაჯახს ან შურისმაძიებლის მახვილს და... მძიმე ეპიკანთის ეპის მთელი თავისი ძალითა და შეგნებით მიზნისკენ მიისწრაფვის? ნუთუ მთელთა სისხლის აღება ან კრისიკული იწმინდება ძალია. ხოლო ჰამლეტი — მისუსტი?

განსაკუთრებით მტანჯველია ჰამლეტისათვის ამ წყევლა-კრულვიდან გადასვლა „წინ მეგობრებო, მძიმე გვირობისაკენ!“<sup>2</sup>

ა. სუმბათაშვილისათვის „ჰამლეტი“ იყო არა ფეოდალური შურისძიების პრინციპზე აგებული ნაწარმოები, არამედ მსოფლიო კლასიკის შედეგები, რომელშიც შექსპირი რენესანსის ჰუმანისტური პოზიციებიდან შეეხო ადამიანის უმალესი მოქალაქეობრივი მოვალეობის პრობლემატიკას.

ჰამლეტმა, დანიის მეგვიდრემ, კლავდიუსის გამეფებით დაკარგა მეგვიდრობის უფლება. რა ამოძრავებს ჰამლეტს? — ტახტი? სხადია, არა. ა. სუმბათაშვილმა წინა პლანზე წამოსწია არა ტახტის პრობლემა, არამედ ჰამლეტის დაულოკებელი მისწრაფება — გაერკვეს ჰუმანისტებაში, მონახოს ძირი ბოროტებისა, ნიღბი ახადოს კლავდიუსის ბოროტმოქმედებას; ჰამლეტს აწუხებს, ადარდებს ქვეყნის ბედი, იგი ცდილობს ჩასწვდეს ეპოქის თავისებურებებს, სასახლეში გამეფებული ბოროტების არსს და გამოიხატოს გზები მისი დაძლევისა.

ჰამლეტი უზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფორმაციათა ცვლის ეპოქის შვილია, ამდენად ა. სუმბათაშვილი მას ანახიერებდა არა როგორც უფლისწულს, არამედ ადამიანს, რომელიც მოწინავე იდეებითაა შთაგონებული. ჰამლეტი — ეპოქის მოწინავე ადამიანი — მხოლოდ ამ პოზიციებიდან შეიძლება იქცეს ყველა დროის, ყველა ეპოქის ადამიანებისათვის უკვდავ მხატვრულ სახედ.

ჰამლეტი ხედავს, რომ წინააღმდეგობებითა და ბოროტებით მოცულ ეპოქის ადამიანი მეტრად, არააობად უქცევა. ბოროტება და ვერაგობა სუფევს ყველგან, მაგრამ ეს ბოროტება ადამიანის უცლობელი თვისება როდია. იგი ადამიანს ეპოქამ, გაბატონებულმა ელიტამ მოახვია თავს, და ჰამლეტი ეძებს იმ მიზეზებს, რომლებმაც „ქუთით დიდებული, სრული ნიჭიერებით,... საქმით სწორი ანკელოზისა, გონებით ღვთისა“ დაჯილდოებულ ადამიანი ვერაგობის ამ ქსელში გახვია.\*

ჰამლეტის როლის შემსრულებელ მრავალ მსახიობს უფლისწულის პესიმიზმი მისი ავადმყოფური ბუნებიდან გამოჰყავდა.

ქმინდა რა ჰამლეტის სახეს, იუენი გამოდიოდა თავისი გმირის ცხოვრებისეული ტრაგეზმიდან — შამის ვერაგული მკვლელობა, მტრული ვარემოცვა. ჰამლეტის სევდა მას გამოჰყავდა ემოქის სოციალური უკუღმართობის შეცნობის, ეჟმთა სიკეთის წინააღმდეგ ბრძოლის სირთულიდან. „ქვეყანა საპყრობილეა, დანია — საშინელი ჯურღმული“. განა უიმედობის პესიმიზმის განწყობილება არ შეუძლია დაბადოს იმ სიძინელებმა, რაც ამ „საპყრობილის“ წინააღმდეგ ბრძოლის სირთულესთანაა დაკავშირებული? ჰამლეტის ტრაგედია ცნობილია ისა, რომ იგი კარგად გრძნობს მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებულ სიძინელებს, ხედავს გაბრწყნელი, გაიძვერა მმართველი წრეების ძალას.

მაგრამ ამ მიმართულებით ა. სუმბათაშვილის „ჰამლეტი“ სხვა თავისებურებითაც ხასიათდებოდა. განსხვავებული იყო მისეული ჰამლეტის პესიმიზმი ხასიათის თვალსაზრისითაც. ა. სუმბათაშვილი არ აკეთებდა აქცენტს ჰამლეტის პესიმიზმზე, მისი ჰამლეტი უფრო სედიტოზა მოცული, თანაც მოაზროვნე, ჩაფიქრებული ადამიანის სედიტი. ცნობილი თეატრალური კრიტიკოსი ს. ვ. ფლეროვი (ვასილიევი) ამის შესახებ წერდა: „იუენის ჰამლეტი ყველაზე უფრო ჩაფიქრებული და სევდიანი ჰამლეტი, რომელიც კი ოდესმე მინახავს. ჩემი სევდა — აი, მთავარი შთაბეჭდილება, რომელსაც დებულაბს მსაყრებელმა ჰამლეტის იუენისეული შესრულებით. ეს შთაბეჭდილება იქნება ჰამლეტის პირველივე გამოსვლიდან. შთაბეჭდილება საბოლოოდ ყალიბდება მონოლოგში „ყოფნა არყოფნა“ და სცენაში ოფელიასთან. იგი აღიქმება შოპენის სედიანი მობივების დარად. ჩაფიქრებული გამოჩნდება ჰამლეტი სცენის სიღრმეში, ჩერდება კართან, მიეყრდნობა და იწყებს მონოლოგს „ყოფნა არყოფნა“. და გრძნობთ, რომ ჰამლეტი ლაპარაკობს არა თქვენთან, არამედ მხოლოდ საკუთარ თავს ესაუბრება. არსებითად იგი ფიქრობს იმაზე, რაც ჩვენც კარგად გვესმის. ჰამლეტი ნელ-ნელა მიიწევს ავანსცენისაკენ. აქ ამთავრებს თავის მონოლოგს და, დიქონი წასული, უცვლად გამოფხიზლდება ოქის გამო, რომ შეამჩნევს ოფელიას. მართალია, აზრი გაწყდა, მაგრამ განწყობილება, რომელიც ჰამლეტს შეუქმნა „ყოფნა არყოფნის“ ეჭვმა, დარჩა. ჰამლეტი მიიჭრება ოფელიასთან, დაიროქებს მიუღებზე, ხელს მოხვევს და დარდიანად რუადებს თავს კალთაში... ეს მსახიობს გამოსდის საოცრად თანმიმდევრულად, ბუნებრივად და უბრალოდ.“<sup>3</sup>

ამრიგად, „ჩაფიქრებული ადამიანის სევდა და არა მელანქოლია, პესიმიზმი — უიმედობა“.

აღსანიშნავია, რომ სცენაში როზენკრანცთან, სადაც საუბარია იმაზე, რომ „მთავარი საპყრობილეა“, ა. სუმბათაშვილი ამ ფრაზაზე განსაკუთრებულ სოციალურ შინაარსს დებდა. გამოკვეთავდა მას და გადმოჰქონდა რუსეთის სინამდვილეზე.

უკვე ითქვა, რომ სუმბათაშვილი არ ეთანხმებოდა მათ, ვინც ჰამლეტში სუსტი ნებისყოფის ან სულიერად ავადმყოფ უფლისწულს ხედავდა. პირიქით, მისი ჰამლეტი იყო ძლიერი პიროვნება, უღრმეი ხასიათის მებრძოლი, რომელიც მართალია, ხანდახან კიდევაც ყოყმანობს, მაგრამ ეს ხდება მანამ, სანამ მთლიანად და ღრმად არ ჩაისყვდება მოვლენებს, არ გაერკვევა ფაქტებში, საბოლოოდ არ დაარწმუნდება კლავდიუსის ვერაგობაში.

ა. სუმბათაშვილი ხატავდა უბრალო, მაგრამ მოწინავე იდეების მატარებელ მოაზროვნე ადამიანს, რომელიც უშინობად ებრძვის სასახლეში გამეფებულ ბოროტებს. სუმბათაშვილის ჰამლეტი რენესანსის ეპოქის ფიცილი შვილია, რომელიც მთელი თავისი ფილოსოფიითა და პრაქტიკული საქმიანობით ფეოდალურ საყაროს ეწინააღმდეგება.

1887 წელს, პეტერბურგში ყოფნის დროს, მისგან ინტერვიუ აიღო გავთუ „პეტერბურგსკი ლისტოკის“ კორესპონდენტმა. მოგვეყვას ნაწყვეტი ამ საუბრიდან, რომელიც დაგვეზმარება გაეარკვიოთ მსახიობის კონცეფცია დანიის პრინცთან დაკავშირებით.

„პეტერბურგში ჩამოვიდა ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი ალექსანდრე ივანეს ძე იუენი (სუმბათოვი).“

ა. ი. იუენი — მოსკოვის საიმპერატორო თეატრის მსახიობი, ჩვენში ფართო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო როგორც სცენის მოღვაწე, არამედ როგორც დრამატურგი.

მე შევხვდი ცნობილ მსახიობს. ა. ი. იუენის ჭერი კიდევ შედარებით ახალგაზრდა კაცი, გულწრფელი გატაცებით საუბრობდა ხელოვნების საკითხებზე და გამოამყვანა იმეიით ალღო, ნაკითხობა.

— თქვენი საყვარელი რეპერტუარი კლასიკურია? — ასეთი კითხვით მივმართე მას.

— დაბ. მე ბევრი ვიმუშავე შექსპირზე და საერთოდ კლასიკური ნაწარმოებები ძალზე მიზინდავს.

— რით ხსნით იმას, რომ კლასიკური ნაწარმოებებს ერთგვარი გულგრილობით ხედავთ ჩვენი საზოგადოება?

ამ შეკითხვის პასუხად მან თქვა: — ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. არ ვიცი ამ მხრივ რა მდგომარეობაა პეტერბურგში, მაგრამ მოსკოვში ხალხს აინტერესებს კლასიკური პიესები.

— როგორია თქვენი შეხედულება ჰამლეტზე?





— დანიის პრინცის სახე ერთ-ერთი ურთულესია შექსპირის რეპერტუარში. მრავალი მსახიობი იზნეოდა, სურდათ აუცილებლად შეექმნათ რაღაც ზებუნებრივი პიროვნება. მე კი ჰამლეტი წარმოდგენილი მყავს ჩვეულებრივ მოკვდავად და რაც უფრო უბრალოდ გამოვსახავთ მას, მით უფრო ახლოს მივალთ სიმართლესთან.

— მე თქვენთან გამოვთქვი ჩემი შეხედულება ჰამლეტზე. — განაგრძო ალექსანდრე ივანეს ძემ, — მაგრამ ვთამაშობ კი ისე, როგორც ვფიქრობ — ეს სხვა საკითხია. მსახიობმა შეიძლება იფიქროს და ილაპარაკოს ერთი, ხოლო სცენაზე გამოუვიდეს მეორე.<sup>4</sup> მართლაც, როგორ თამაშობდა ამ როლს იუენი?

ე. ფეროსი წერდა, რომ დიდებული იყო ა. იუენი ჰამლეტის როლში, იგი იმოწმებდა ერთ-ერთ პეტერბურგელ თეატრალურ კრიტიკოსს, რომლის აზრით, სუბმათაშვილი „...თამაშობდა როგორც დიდი, მე მზად ვარ ვთქვა — უდადესი მსახიობი“<sup>5</sup>

ა. სუბმათაშვილის ჰამლეტს დიდი წარმატება ხვდა უკვე პირველივე წარმოდგენაზე. „მოკლე ნუსხაში“ იგი წერს: „14 ოქტომბერს იაზლოჩინას ბენფეისზე წარმოვადგინეთ „ჰამლეტი“. ვთამაშობდი არათანაბრად, წარმატება დიდი მქონდა, მაგრამ ახალი თარგმანი და სახის განმარტება, ახსნა უცხო იყო მასურბლისათვის.“<sup>6</sup>

მისი ჰამლეტი არაფრით ჩამორჩებოდა მისივე საყოველთაოდ აღიარებულ მკებეტს, თუმცა ეს უკანასკნელი სასცენო ხელოვნების შედეგად იყო მიჩნეული.

„შეკარად შეიშინეოდა „დიდი პრესის“ მობრუნება მისდამი, იმ პრესისა, რომელიც მანამდე „ყოველთვის ქვებს ესრად მას ფეხებში“ (ამფითეატროვი). ა. სუბმათაშვილს უკვე უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული თეატრალურ სამყაროში, იგი საოცრად პოპულარული იყო. „ჰამლეტში“ წარმატებამ კიდევ უფრო განამტკიცა მისი პოზიციები და პრესამაც შეცვალა მისდამი დამოკიდებულება. გაუცხეთებში გამოჩნდა ეპითეტები: „დიდი მსახიობი“, „მოვლენა თეატრალურ სცენაზე“, „მონუმენტური სახე დანიის პრინცისა“ და ა. შ. თუმცა უნდა ითქვას, რომ ე. წ. „წვრილი პრესა“ „შეკარად მტრულად შეხვდა მას.“

ა. სუბმათაშვილმა უკვე პირველივე სცენით მოახადოვა მასურბელი გმირის მხატვრული სახის ორიგინალური გახსნით. შედეგში ჩაცმული ახალგაზრდა პრინცი, გამსჭვალული შურისძიებით, რაღაც არაადამიანურ სევდას მოეცა. სუბმათაშვილი აქ ანახიერებდა მარტოების ტრაგედიას ძლიერი და მაღალი სულის ადამიანისა. მკებეტისაგან განსხვავებით, სუბმათაშვილის ჰამლეტი შორსაა პატივმოყვარეობის გრძნობისაგან, არ იბრძვის ხელი-

სუფლებსათვის. მისი ჰამლეტი კემარტიტების მაძიებელი მებრძოლი ადამიანია, რომელიც ეპოქის მოწინავე იდეების დონეზე დგას.

„ყოფნა არყოფნის“ მონოლოგში სუბმათაშვილის ამოსავალი წერტილი ჰამლეტის მორალური სიწმინდე, მისი სულიერი და ინტელექტუალური სიმძლავრე იყო. ეს მონოლოგი სუბმათაშვილმა საოცარი ლირიზმით, სულიერი სიფაქიზისა და შინაგანი ტრაგედიის საოცარ ერთიანობაში წარმოთქვა. ს. ფლეროვი წერდა, რომ ამ მონოლოგმა იგი ისე გაიტაცა, როგორც მუსიკამ. აქ მსახიობი უდიდეს ეფექტს აღწევდა, ეფექტს უზარმაზარი ილუზიისა, მონოლოგს იგი კითხულობდა საოცარი ბუნებრივობით, ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი ტონით; ამასთანავე, სცენაზე მასურბელის წინაშე იდგა ადამიანი — ტიტანი, ტიტანი თავისი აზრით, გონებით, სულიერი სიწმინდითა და ნებისყოფით. იგი რაღაც „არაადამიანურის“, უფრო ზუსტად — „ზეადამიანურის“ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბუნებრიობისა და არაბუნებრიობის ეს ილუზია მხოლოდ დიდი მსახიობის ხევედრია.

ასევე ფაქიზ ლირიულ ტონში მიჰყავდა მის სცენები ოფელიასთან. იუენიმა — ჰამლეტმა კარგად იცის, რომ, ისე როგორც თვითონ, ოფელიაც ბოროტი, ავი გარემოს მსხვერპლია, სულიერად წმინდა ოფელიას კლავდიუსი ბრმა იარაღად იყენებს თვით ჰამლეტის წინააღმდეგ. ჰამლეტი გრძნობს ოფელიას შინაგან ტრაგედიას, ესმის ამ სუსტი, მერყევი ადამიანის შიშვე მდგომარეობა. ამ პოზიციიდან ამოდიოდა სუბმათაშვილის სცენური მანერა ოფელიასთან დიალოგებში.

მაგრამ უკვე სცენაში თავის დედასთან, როდესაც ჰამლეტი ხვდება, თუ რა ბინძურ ქსელს აბამს კლავდიუსი მის წინააღმდეგ, დანიის პრინცი ლირიკული ნოტებიდან უკიდურეს დრამატიზმში გადადიოდა. აქ მასურბელი მოწმე ხდებოდა მსახიობის შეუღლებელი მგზნებარებისა. მსახიობი უკვე თავის სტიქიაში იყო, თავს იჩენდა მისი უღვევი ქართული ტემპერამენტით.

კიდევ უფრო რთული შემოქმედებით ამოცანის წინაშე იდგა ა. იუენი ებზოლში „სცენა სცენაზე“. აქ, „გონზაგოს მკვლელობის“ სცენაში ჰამლეტი მიზნად ისახავს უთვალთვალს მეფეს, გაიგოს, რა შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე მოხეტიალე მსახიობების წარმოდგენა. ამ სცენაში ჰამლეტს არა აქვს დიდი ტექსტი, აიტომ იუენი ძირითადად მოქმედებდა მიმოკით. ამ უკანასკნელის საშუალებით მიჰქონდა მსახიობს მასურბელამდე რთული, ფსიქოლოგიური დრამატიზმით აღსავსე შინაგანი განცდები. ა. სუბმათაშვილს ღრმად

დავით ჩხიკავაძე

სუბმათაშვილი და შმქსპირის თეატრი



სწამდა, რომ მხატვრულ სიტუაციათა ერთად მიმოვა მნიშვნელოვანი საშუალება მხატვრული გამოსახვისა. მაგრამ ასეთ გამოსახვას იგი აღწევდა არა გრძობის, არამედ იმის საშუალებით, რომ იმორჩილებდა საკუთარ სხეს, თითოეულ ნაკვს. ამ მხრივ იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, დიდი რაციონალიზტი იყო. მსახიობი სხვისგანაც და თავისი თავისგანაც მოითხოვდა უფროდ თავდაპირველობას, სიმკაცრეს, რაციონალიზმს მიმოკაში.

და აი, როდესაც გამოაშვარავებული კლავდიუსი ისტორიული ყვირილით გარბის სცენიდან, ამ მომენტში იუენი — ჰამლეტი რთული სცენური ამოცანის წინაშე დგება. ჰამლეტის ქცევა აქ ორი სიტუაციითაა მოტივირებული: პირველი, შინაგანი კმაყოფილებით, რომ მან შეძლო მამის მკვლელის გამოაშვარავება, მეორე, შემტრფუნებით, უფარესად რთული დრამატულობა, გამოყვეული ჰამის ვერაგული მკვლელობის გამო. ა. სუმბათაშვილი ამას მალალ ტონალობაში წყვეტდა. აქ იფურჩქნებოდა მისი სამსახიობო ძალა, საოცრად ძლერდა მისი ხავერდოვანი პარტიონი.

მიხაილოვსკი წერდა, რომ „განსაკუთრებით ძლიერად გამოსდიოდა მას სცენა ჰამლეტის ველური ავზნებისა ხაფანგის ეპიზოდში, სადაც იუენი გვაიძულებდა გავვეხსენებინა მოჩალოვნი.“<sup>7</sup>

მაგრამ ჩვენ ვთქვათ, რომ სუმბათაშვილს ჰამლეტი ჰეშმარითად ბუნებრივი, ჰეშმარითად აღმაიანური იყო. და დიდი მსახიობი, მიუხედავად უზარმაზარი ვარგელული ეფექტებისა, თეატრალობისა, მაინც აღწევდა როლის ფსიქოლოგიურ დამაყრებლობას. ეს იყო მისი ტალანტის თავისებურება, რომელზეც შესანიშნავად თქვა ა. კუტეშვილი: „სამართოს ორ კონცეფციადან: „იყო“ და „მოეჩვენა“ — იგი ყოველთვის. თავისი ბუნებით, ფარული მისწრაფებებით განეკუთვნებოდა მეორეს, რადგანაც მსახიობი ვალდებულია „მოეჩვენოს“. ამიტომაც იგი მსახიობი და იუენი გვეჩვენებოდა მალალი ტანის კაცად, მაშინ როდესაც იგი საშუალო სიმაღლისა იყო. ეს ობტიკური ეფექტი მე მუდამ მაოცებდა.“<sup>8</sup>

სუმბათაშვილის ჰამლეტზე ბევრი რამ დაიწერა, დიდი და დაუსრულებელი იყო კამათი მის შესახებ. გამოითქვა ბევრი ურთიერთსწინააღმდეგო აზრი, მაგრამ ერთში ყველა ეთანხმებოდა ერთმანეთს: ა. სუმბათაშვილის ჰამლეტი იყო მოვლენა რუსულ თეატრალურ ცხოვრებაში.

ჰამლეტში ნათლად გამოვლინდა ა. სუმბათაშვილის მხატვრული ნიჭის თავისებური, ორიგინალური ხასიათი, მხატვრული სახის დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ახსნა, სიღრმე, თეატრალობა და ბუნებრიობა, მხატვრული გამოსახვის საოცარი დრამატუზმი, ღირიულობა, პოეტურობა.

ქვემოთ ჩვენ მოგვეყვას ე. მიხაილოვსკის აზრი ა. იუენის ჰამლეტზე. ე. მიხაილოვსკის იუენის ჰამლეტს აღარებდა როსისა და პისარტის ჰამლეტებს. მისი აზრით, ა. იუენის თამაში გამსჭვალული იყო უჩვეული უბრალოებითა და ბუნებრიობით, უფაქიზესი ნიუნსებით, განსაკუთრებთ როსისაგან, რომლისთვისაც აბაერთი უხეში შტრიხი იყო დამახასიათებელი (მაგალითად. მამის არჩილის ვულგარული გამოჩენა, რომელიც ჰამლეტს თავიდან აცილდა ქედს). საინტერესოა სცენა ოფელიასთან, სადაც მსახიობები, როგორც წესი, იბნევიან, არ იციან რა, როგორ ახსნან ჰამლეტის დამოკიდებულების შეცვლა სატრფოსსაგან, პისარტი ამას ასაბუთებდა იმით, რომ მას ესმის ხმაური ფარდის მიღმა. იგი მივარდებოდა ფარდის, ვაღსწყვედა და... ხედვდა, თუ როგორ გარბოდა მეფე. იუენი სხვაგვარად მოიქცა: ფარდის მსუბუქი შრიალი, ჰამლეტი გაკვირვებით მიხედვდა მისკენ, შემდეგ კითხვით აღსაგეს თვალებს მიპყრობს ოფელიას, ხედვს მის შეცბუნებას და მისთვის ეს უკვე საესებით საკმარისია: სატრფოს ლაღატი აშკარაა. რამდენად უფრო ფაქიზი და მხატვრული იყო იუენის თამაში პისარტის სამაზრო რეალუზმთან შედარებით! იუენის ჰამლეტმა ჩემზე გაცილებით უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე ყველა სხვა მსახიობმა ამ როლში, როსისა და მუნე-სიულის ჩათვლით.<sup>9</sup>

მაგრამ, როგორც ითქვა, იყო კრიტიკული შენიშვნებიც: უკეთ რომ ვთქვათ, ყვითელი პრესის გამოხდომებში. ა. ლენსკი საერთოდ არ კითხულობდა არც ერთ კრიტიკულ წერილს. დასტამბულს ასეთ გაზეთებში, რადგანაც მათ მხოლოდ ზიანის მოტანა შეეძლოთ. რაც შეეხება ამ რეცენზიების პროფესიულ დონეს, მასზე ლაზარკი, ცხადია ზედმეტია. სასაცილოა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ გაზეთმა „Новости дня“-მ სხვა ვერაფერი ნახა ხელჩასაჭიდი და უზარმაზარი კრიტიკული შენიშვნები მიუძღვნა... ჰამლეტის ჩაემულობას. ვინმე დოროშევიჩი წერდა — ჰამლეტს ფეხთ იმზელა ფეხსაცმელი ეცვა, რომ მის ბრახუნს წინასწორობიდან გამოჰყავდა არა მარტო მასურებელი, არამედ თვით ჰამლეტი-იუენიო. ეს იყო წმინდა წყლის სიტრუტე, გამიზნული მიამბიტი მასურებლის, ობიექტულისათვის. სინამდვილეში მცირე თეატრის სახელოსნოებში შესანიშნავი ჩაემულობა იყრებოდა. ამ მხრივ მცირე თეატრი პირდაპირ სამავალით იყო. დოროშევიჩი, სხვათა შორის, იმასაც წერდა, რომ სპექტაკლის დროს დარბაზში მოწყენილობის გამო ერთი მასურებელი გარდაიცვალაო. თეატრალებს ამ რეცენზიის გამო, ცხადია, ეცინებოდათ, მაგრამ ვულგარული გაზეთი თავის საქმეს მაინც აკეთებდა. მეორედ ღღეს მოსკოვში სხვა ვაგრეცელა: „იუენის თუ-



რამ ისეთი მძიმე ფეხსაცმელები ეცვა, რომ მისი ბრაზუნით დაბრახში მაყურებელს გული გაუსკდაო“.

ზოგჯერ კრიტიკოსი უსაყვედურებდა ა. იუჟინს გრძობების სისუსტეს „ჰამლეტში“. ესეც გაუგებრობის შედეგი იყო. შესანიშნავად წერს ამის შესახებ იაბლოჩინა: „როდესაც ოფელიას როლი მ. ნ. ერმოლოვსაგან მივიღე, განსაკუთრებით ღრმად შევიგრძენი იუჟინის ჰამლეტის სახე. მსახიობ იუჟინის მიმართ მე ოფელიას სიტყვებით აღვნიშნავდი: „მალალი როლი და ძლიერი, მალალი გონება“, რომლითაც ხასიათდებოდა მისი ნიჭი და რის ვაშლი ზოგჯერ ისაყვედურობდა რომ გრძობები მისი შეზოკილიაო. მაშინ, როცა რეჟისორები მსახიობის თამაშში წინა რიგში აყენებდნენ მის გონებას, ოსტატობას, მხატვრული კითხვის განსაკუთრებულ სიღამაზეს. მაგრამ იგი ტოვებდა უზარმაზარ შთაბეჭდილებას და, მე შგონა, კრიტიკოსები სასტიკად ცდებოდნენ როცა მის ემოციებს მეორე პლანზე აყენებდნენ“.<sup>10</sup>

ა. იუჟინის რეპერტუარში მტკიცედ დამკვიდრდა ჰამლეტის როლი. მას იგი მცირე თეატრისა და პროვინციული თეატრების სცენაზე დიდი ხნის განმავლობაში ასრულებდა. 1891 წლის 3 დეკემბერს ა. იუჟინი სწერს პეტერბურგში საიმპერატორო თეატრების დირექტორს ა. ი. ვსევოლოვსკის: „რაც უფრო მეტს ვთამაშობ ჰამლეტის როლში, მით უფრო ღრმად ვცხოვრობ მისი ცხოვრებით, მით უფრო ძვირფასი, ახლობელი და ნათელია ის ჩემთვის... თუ შესაძლებლად მიიჩნევთ, გთხოვთ გამომიძახოთ სეზონის დასასრულს... დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში არ შექნება საინტერესო როლი, რათა ჩამოვიტანო პეტერბურგში. „მაკბეტი“, „ერნანი“, „რუი ბლანი“ და „ოტელიო“ თქვენთან არ იღებება“.<sup>11</sup>

იგი წერდა რომ სურს პეტერბურგელ მაყურებლის უჩვენოს თავისი ჰამლეტი 1892 წლის 5 და 7 თებერვალს. ა. ვსევოლოვსკის მოწვევით შედგა ა. სუმბათაშვილის გამოსვლა ჰამლეტის როლში მიხეილის თეატრში. ამასთან დაკავშირებით მსახიობმა დღიურში ჩაწერა: „ნოვოე ვრემია“ კარგად გამოიმჩნაურა, სხვა გაზეთები — არც ისე, არც ასე. წარმატება დიდი მქონდა, შემოსავალი ორივე სპექტაკლიდან — სრული“.<sup>12</sup>

1893 წლის მაისში ა. სუმბათაშვილი გაემგზავრა სავსტროლოდ როსტოვ-ეკატერინოსლავის მარშრუტით. რეპერტუარში, რუსულ კლასიკისთან ერთად, შექსპირისა და ჰიუგოს დრამებიც ჰქონდა. საინტერესოა მემულისადმი ვაგზანდელი წერილის ერთი ნაწყვეტი რომელიც ნათელს შევსნი იმას, თუ როგორ ზედმოდნენ იუჟინის ჰამლეტს პროვინციაში. იუჟინი წერს:

... ეს ჩემი მეორე და უკანასკნელი წერი-

ლია დღეს ვითამაშებ მეხუთე სპექტაკლს. რაც „ჰამლეტზე“ მოხდა — ვერავითარ აღწერას ვერ ექვემდებარება. ხალხით გაქვილი ჟიბრაში გამოიმძახეს ათეჯერ და მეტად, სცენაზე ისორდნენ ყვავილებს, თიავლებს, ქულებს, ცხვირსახოცებს, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ორასამდე კაცი ამოვიდა სცენაზე. მე მალა მისროდნენ, ხელებზე გოცინდნენ, იხოქებდნენ. ასეთი წარმატება, რომლის მსგავსიც მე არასოდეს განმიცდია, მინახავს მხოლოდ თბილისში ფედოტოვას პირველად ჩამოსვლისას“.<sup>13</sup>

დილია ა. იუჟინის დამსახურება შექსპირის დრამატურების სამამულო სცენაზე დამკვიდრების საქმეში. მან შექმნა ბრწყინვალე სახეები დიდი ინგლისელი ჰუმანისტის ტრაგედიაში. მაგრამ საუკეთესო მხატვრული სახე, რომელიც მსახიობმა შექსპირის რეპერტუარში შექმნა, რიჩარდ III იყო. იგი პირდაპირ აოცებდა მაყურებელს სცენური მრავალფეროვნებით და რთული, შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე მახინჯი მონარქის სულში ღრმა შეჭრით, შეუღარებელი ოსტატობითა და დამაჯერებლობით. „რიჩარდ III“ დაიღვა 1896-97 წლების სეზონში, იუჟინის ბენეფისზე. 1897 წელს დღმა მსახიობმა თავის დღიურში ჩაწერა: „ბენეფისმა (რიჩარდ III) მომანიჭა დიდი, საყოველთაოდ აღიარებული წარმატება“.

ა. სუმბათაშვილი რიჩარდ III-ში ხედავს დესპოტ და ტირან მონარქს, ეგოისტსა და ცინიკოს მზრძანებელს, რომლის ქედმაღლობა და პატივმოყვარეობა, ვერაგობა და ამორალიზმი მკველობასა და ბოროტებას თესს ქვეყანაში, მაგრამ სუმბათაშვილის რიჩარდ III ამავე დროს იყო ინგლისის უშიშარი და უღრეკი მონარქი, რომელიც არავითარი დაბრკოლების წინაშე უკან არ იხევდა.

ა. სუმბათაშვილმა რიჩარდ III გაიზარა, როგორც უარყოფითი პერსონაჟი, მონარქი-მტარავალი, რომლისთვისაც სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება მხოლოდ საშუალებაა ქვეყნის დამონების გზაზე.

ა. სუმბათაშვილი კარგად ხედავდა, რომ შექსპირი ამ დრამით მიანიც რენესანსის ეპოქის ჰუმანისტურ იდეებს ქადაგებდა. მისთვის, მწვავე კონფლიქტებიდან შექსპირს მკითხველი თუ მაყურებელი ჰუმანისტურ იდეალებამდე მიჰყავდა. ნეგატიურ პლანში დახატული მეფე-მტარავალი ამავე დროს შექსპირის დრამატურების ერთ-ერთი ურთულესი პერსონაჟია სცენური განსახიერების თვალსაზრისით. იგი მსახიობისაგან მოითხოვს რაღაც არაადამიანურ ტემპერამენტს, მგზნებარებასა და ძალას.

**დავით ჩხიკვიძელი**  
სუმბათაშვილი და შემსარის თეატრი



ამდენად, დღი მსახიობისათვის, ტრაგიკოსისათვის აქ თავისი მხატვრული ნიჭისა და უნარის გამოსაჩენად, როგორც იტყვიან, ასპარეზი უსასრულოა.

„მეტრებურესკი ლისტოკის“ კორესპონდენტთან საუბარში, ეხებოდა რა რჩიარდ III-ის სახეს, იუენი ამბობდა: „მოსკოველებს ძალზე აინტერესებთ კლასიკური პიესები. ამას წინათ მოსკოვში „რჩიარდ III“ დადგვით და პიესას უდიდესი წარმატება ჰქონდა...“

დახ, მე მიტაცებდა ამ გვირის ხასიათი და ბეგის ვიშუაზე მასზე, რადგან მსურდა, შეძლებისამებრ, ზუსტად გამომეძერწა აღნიშნული სახე. დიდებულმა შექსპირმა მსახიობს უმდიდრესი მასალა მიაწოდა. რჩიარდის სახით ჩვენ ეხედავთ ბოროტების განსახიერებას, ამასთანავე, გვირის ეს უარყოფითი ხასიათი, იმ მდგომარეობისა და მიმართულების შესაბამისად, რომელიც მაშინ ბატონობდა, განსაკუთრებით რელიგიურად არის წინ წამოწეული“<sup>14</sup>

ა. იუენი მხატვრული სახის შექმნის წინ სწავლობდა დრამატურგის ნაწარმოებებს და, აქედან გამოძინარე, ინდივიდუალურად უღებოდა ამა თუ იმ სახის განსახიერებას. როგორც მსახიობი, მისი ძალა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მხატვრული სახის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს მოუენახავდა ხოლმე ადეკვატურ, შესაბამის ვარჯიშულ გამოსახულებას. ამავე დროს ის სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ გვირი ვადაქვეყლიყო ნიღბად: გვირმა არ უნდა შეცვალოს მსახიობის ფიზიონომიის ძირითადი პარამეტრები, — ამბობდა ა. სუმბათაშვილი, — მან მხოლოდ უნდა გააძლიეროს მსახიობის მიმიკის გამოსახულება.

სწორედ მიმიკის გამოყენების კლასიკური ნიმუში მოვეცა ა. იუენმა „რჩიარდ III“-ში.

ბ. ფილიპოვი წერდა, რომ ის, რაც აოცებდათ თანამედროვეებს იუენის მიერ ზორც-შესხმულ სახეში, „იყო უზარმაზარი ოსტატობა, მსახიობისა, ტექნიკური სრულყოფა, სცენური მრავალფეროვნება... ეს გრანდიოზული სახე იუენისა, ექვეარეშეა, პერიოდულ რეპერტუარში რუსული რევოლუციამდელი სასცენო ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი ნიმუშია“<sup>15</sup>

მანამდე და რჩიარდის შემდეგაც ზოგიერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ ა. სუმბათაშვილი იყო სტატიკური მსახიობი, რომ მის მიმიკას აკლდა გამომსახველობა და ა. შ. როგორც ჩანს, ისინი ვერ ხედავდნენ ა. იუენის სცენური ხელოვნების თავისებურებას. ა. იუენი სტატიკური კი არ იყო, არამედ მკაცრი, მომთხონე მიმიკის მიმართ. იგი ვერ ურიგდებოდა მსახიობის ზედმეტ ექსტირეულაციას, მანუვას, გრეხას.

რჩიარდის როლში იგი არაჩვეულებრივად

იყენებდა მიმიკას. ს. ვასილიევ-ფლერაჟი წერდა: „განსაკუთრებით საინტერესოა რჩიარდის სახე. მთავარ როლს აქ თვალები და ტუჩები ასრულებს. ავადმყოფური სიმხდალის ფონზე, რაც ფიზიკურად მახინჯ ადამიანებს ახასიათებთ, რჩიარდის-იუენის თვალები კატასავით ხან ვიწროვდება, ხან ფართოვდება და დროდადრო უნათებს მთელ სახეს... გაიხსენეთ რა ლამაზია. კატა, როცა იგი ვაფართოვებულ თვალებით თვალყურს ადევნებს იმას, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო. ასეთია რჩიარდის თვალები“.

სხვათა შორის, სხვა მსახიობებისაგან განსხვავებით, ა. იუენის რჩიარდი იყო ჰევიანი, გონიერი ტირანი, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო ზედმეწევი თბილიც, ყურადღებანიც, როცა ეს მისი ვერაგული გვეგმების განხორციელების ინტერესებით იყო ნაყარნახევი.

„ძალიან დამახასიათებელია ტუჩები, — განვარტობს ვასილიევ-ფლერაჟი, — ისინი თითქოს გაქრნენ. მის ნაცვლად უჩვეულოდ ტიპური წვირილი და ვიწრო ხაზია. სახე ვითომც ვაიყო ამ ორ ორგანოს შორის. ტუჩები იძლევიან ძირითად დახასიათებას, უძრავია სახის ნაკეთები. თვალებს დაეკისრა, ასე ვთქვათ, დამატებითი ფუნქცია — აღბეჭდოს სახეზე მიძინარე ახალი შთაბეჭდილებები. დახასიათება მდიდრდება ნიჟაბით, თითქმის ნაპოლონისებური ჯიქური ნიჟაბით, რომლიდანაც გამოსჰვივის საშინელი ენერგია და ნებისყოფის უჩვეულო ძალა. თვალებსა და ტუჩებს შორის მდებარე აბე სრულ გასაქანს უქმნდა სახის შესვლას ბოროტების ისტერიის მოზღვაგების დროს, ან კიდევ რჩიარდის წმინდა სამსახიობო ეპიტუოზობისათვის კომედიური თვალთმაქცობისას. რჩიარდი ყოველთვის ცხოვრობს სცენაზე თავისი სახით. ჩვენ ამ სახის ცვლილებით ვგაქმნობთ, როგორი ბოზოქარი ნაკადით მიედინება მის სულში... გრძნობები“<sup>16</sup>

ა. სუმბათაშვილის რჩიარდ III იყო მელანქოლი, ვერაჟი და ფარისეველი მეფე-ტირანი, რომელსაც ამავე დროს შეეძლო ყოფილიყო თბილიც, მიმზიდველიც, როცა ეს ესპერიოებოდა. ეს იყო კოლოსალური ნებისყოფისა და უპარესად ძლიერი აზროვნების მქონე პიროვნება. ტირანი მეფის ყველა ამ თვისებას ა. სუმბათაშვილი ძერწავდა მთლიანობაში. იგი მასში აქსოვდა მთელ თავის ნიქს, ტემპერამენტს, დახვეწილ ოსტატობას.

რჩიარდის, შინაგანი კონფლიქტებით აღსავსე ადამიანის, მრავალფეროვნებას ა. სუმბათაშვილი საოცარი დამაჯერებლობით გამოხატავდა ხმის სხვადასხვა ინტონაციით. სავითოდ, როგორც ითქვამს, იუენის ხმა ჩინებულად ჰქონდა დაყენებული. მისი რჩიარდი ხან მგრვენივი ხმით შიშს ჰგვირდა, აზანზარებდა დარბაზს, ხან კი მისი ხმის ინტონაცია გაღალიდა ლირიკულ ჩურჩულში, რაც სვედით აღა-



გსებდა მაყურებელს. აქაც, ამ სცენებშიც უაღრესად დამაჯერებელი იყო იუენინი. დრამის ფინალში რიჩარდი მარცხდება ბრძოლის ველებზე. ტირანი მეფე სასიყვდილო განაჩენის მოლოდინშია. ამ მიმეც წუთებში მას ტანჯავს არა ჯარის განადგურების ტრაგედია, არამედ ის, რომ ველარ პოულობს ბრძოლის ველიდან გაქცევის გზებს. „ცხენი! ტახტი მას, ვინც მიშვერის მხენს!“ ყვიროს ტირანი. იუენინი ამას წარმოთქვამდა ისეთი სასოწარკვეთილებით, რომ მაყურებლის წინაშე იხატებოდა ოდესღაც ძლიერი მბრძანებლის დაბნელებული სახე. მსახიობის ხმაში ეღერდა განწირული კაცის გოდება, კაცისა, რომლის აღსასრული ადდაც.

ა. იუენინს, ისევე როგორც მცირე თეატრის წამყვან მსახიობებს, განსაკუთრებით კი ა. ლენსკის, ტექსტის, მხატვრული სიტყვის დამუშავების განსაკუთრებული მეთოდი გააჩნდა. იგი ემყარებოდა პრინციპს: მსახიობმა გონიერულად უნდა დაინახოს ის, ვინც უნდა განასახიეროს სხვა სიტყვებით, „შენი გმირი უნდა დაინახოს და შეგრძნოს ისე, როგორც ხედავდა გრძობბ კარგად ნაცნობ ადამიანს, როცა იგი შენთან არაა“. მხატვრული სახის მოდელის ასეთი შერჩევით, დანახვა პირველ ეტაპზე შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული ტექსტის საფუძველზე. ამიტომ მხატვრული განსახიერების პირველი ეტაპი ლიტერატურულ ტექსტთანაა დაკავშირებული. ა. იუენინი პიესის ლიტერატურული ტექსტის გაცნობას იწყებდა არა როგორც მსახიობი, არამედ როგორც უბრალო მკითხველი. ამ ეტაპზე იგი კი არ სწავლობდა ტექსტს, არამედ არკვევდა თავისი გმირის ურთიერთობას სხვა პერსონაჟებთან, გარემოსთან. ამის შემდეგ ის იწყებდა ტექსტის შესწავლას და ამუშავებდა მხატვრული სახის შესატყვის დეტალებს, რაც ტექსტთან, მხატვრულ სიტყვასთან იყო დაკავშირებული. სხვათა შორის, ამ ეტაპზე მას, ყველგან და ყოველთვის თან დაჰქონდა ტექსტი, ან კიბულობდა, ან იმეორებდა მას, რათა დეტალებში დაეხვეწა მხატვრული სახის შესატყვისი ინტონაციები. ასე, ამ გზით იგი რეპეტიციამდე ამთავრებდა გმირის ლიტერატურული პორტრეტის შექმნას, ხოლო სცენური რეპეტიციების დროს ამ ლიტერატურულ პორტრეტს თანდათანობით ხორცს ასახადა, ძერწავდა მას. იგი პრაქტიკულად ამოწმებდა თავისი ჩანაფიქრის სისწორეს, ერთმანეთში ადღებებდა მხატვრული სიტყვის თავისებურებებს სცენური გამომსახველობის სხვა ელემენტებთან. იყო კიდევ უკანასკნელი ეტაპი მხატვრული სახის შექმნისა, სადაც ა. იუენინს უკვე მხატვრულად და იმეორად სწორ შესატყვისში, ურთიერთობაში მიჰყავდა „თავისი გმირი“ სხვა პერსონაჟებთან, საერთო ანსამბლთან, რათა იგი არ ამოვარდნილიყო სპე-

ქტაკლიდან, როგორც ერთი მთლიანი მხატვრული მოვლენიდან, მაგრამ ამ ეტაპისათვის მას გმირის სიტუაციური პორტრეტი, ხმის პლასტიკა უკვე დამუშავებული ჰქონდა.

იუენინი იყო თავისი დროის მხატვრული სიტყვის ერთ-ერთი დიდოსტატი. მასაკეთი თითქმის ევრაივი კითხულობდა მონოლოგს. აქ მსახიობის ძალა იმაში იყო, რომ მისი ხმა ისე ისმოდა, თითქმის მსახიობი ელაპარაკებოდა, ესაუბრებოდა მაყურებელს; ამავე დროს ეს იყო მაღალი, ჰეროიკული მხატვრული სიტყვა, მონოლოგი, იგი აღწევდა ხმის საოცარ პლასტიკურ სილამაზეს. როგორც მაშინდელი თეატრალეები წერდნენ, იგი ამ სილამაზეს აღწევდა ბუნებრივი ენის ბუნებრივი ქლერადობის მეოხებით. ეს იყო კლასიკური რეპერტუარის რუსულ ეროვნულ ფორმაში გადმოცემის შესანიშნავი ნიმუში.

ა. იუენინი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ამ როლზე. მას იტაცებდა ის გარემოება, რომ რიჩარდის როლი სამსახიობო ტალანტის გამოვლენის ყველაზე უფრო ფართო შესაძლებლობას იძლეოდა. და სწორედ იუენინის რიჩარდ III აოცებდა თეატრალურ მოსკოვს მხატვრული სახის მრავალფეროვნებით, თუნცა ეს იყო „ერთი მთლიანი სახე, თითქმის და გამოკვეთილი გრანიტიდან“. ეფროსი წერდა, რომ „ეს ფიგურა შეიძლო გამოეძვრა მხოლოდ პირველი კლასის მსახიობს, რომელმაც კარგად აითვისა დიდი მასშტაბების სცენური სკულპტურა“.

რიჩარდ III იყო არა მარტო ერთ-ერთი უსაყვარლესი როლი იუენინისა, რომელმაც მას საოველთაო ალიარება მოუტანა, არამედ ერთ-ერთი უროთულესი და უმძიმესი როლიც. იგი აღე და ენერჯის მოიხზოვდა და, როგორც წესი, სპექტაკლიდან დიდი მსახიობი დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. ამის გამო, თუ იგი შექსპირის სხვა როლებში წლების განმავლობაში თამაშობდა, რიჩარდ III მან მხოლოდ სამ თეატრალურ სეზონში (1896-97, 1897-98, 1898-99) შეასრულა და შემდეგ თავი მიაჩნდა.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში განახალა 63 წლის მსახიობმა რიჩარდის სახე. სცენაზე. ეს ჰუმანიტური გმირობა იყო. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ა. იაბლოჩკინის მოგონება. იგი წერს: „იუენინი ყოველთვის განაგრძობდა მუშაობას იმ როლებზე, რომლებიც შესრულებული ჰქონდა სცენაზე. ასე, მაკბეტის და რიჩარდ III-ის როლები მისი შესრულებით ფართოდ გავრცელდა და იზრდებოდა... იგი საერთოდ არასოდეს კმაყოფილდებოდა მიღწეულით. „რიჩარდ III“-ში იუენინთან ვასრულებდი ლედი ანას როლს. მე მახსოვს შერჩენება, რომელ-

**დავით ჩხიპრიშვილი**  
სუმბატაშვილი და შემსპირის თეატრი

მაც შემბიჯრო ერთ-ერთ სცენაში მასთან თამაშის დროს: თითქოს გველი მოცოცავს შენსკენ, პიანოსს გიკეთებს თავის მზერით, ნელ-ნელა გეხვევა და სადაცაა მიადწევს შენს გუ-ლიამდე. იუენინი იმ წლებში აიდგალებდა რიჩარდს; მიუხედავად მისი სულმდაბლობისა, მასში იგრძნობოდა რაღაც სიდიადე.

რეგოლუციის შემდგომ პერიოდში „რიჩარდ III“-ის უკანასკნელ დადგმაში (სადაც მე ვთამაშობდი იორკის მთავრის მეფედის როლს) იუენინს უკვე აღარ გააჩნდა უწინდელი ძალა და ის განსაკვირვებელი ძლიერება, რომლითაც იგი ლადალებდა: „ცხენი! ტახტი მას, ვინც მომგვრის ცხენს!“ მაგრამ სამაგიეროდ იუენინმა მიაღწია რიჩარდის ვერაგობის მნიშვნელოვან დროს გახსნას“.<sup>17</sup>

1903 წელს ა. იუენინმა „რიჩარდ III“ თავის თანამემამულეებსაც უჩვენა თბილისში. აი, რას წერდა ამის შესახებ ვახ. „ცნობის ფურცელ“ (1903, 10 მაისი): „ხუთშაბათს, 8 მაისს, მოსკოველმა სტუმრებმა ძალიან საინტერესო წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს პირველი მოქმედება შექსპირის ტრაგედიის „მეფე რიჩარდ მეცამისა“... რიჩარდის როლს ასრულებდა ბ-ნი იუენინი. ვგონებთ, სავსე თავადში არც ერთი არ აღმოჩნდებოდა ისეთი, რომელიც აღტაცებაში არ მოსულიყო ბ-ნი იუენინის თამაშით. ნიჰიერმა არტისტმა მართლაც სამაგალითოდ ჩაატარა ამ ერთ მოქმედებაში ტრაგედიის გმირის როლი. იუენინს წყალობით საზოგადოების ყურადღება ამ საღამოს ყველაზე მეტად სწორედ ამ ერთმა მოქმედებამ მიიქცია“.

ერთი წლით ადრე, 1895-96 წწ. თეატრალურ სეზონში, ა. სუმბათაშვილი ასრულებს ედმუნდის როლს შექსპირის „მეფე ლირში“. ადამიანის უმადურობისა და სულიერი ტანჯვის ამ დრამაში ა. იუენინმა შექმნა ვერაგი ედმუნდის იაგოსეული სახე. ა. იუენინი ედმუნდის ხედავდა ვერაგ, ბოროტ ადამიანს, რომელიც თავისი ბოროტების გამართლების არ-გუმენტებსაც კი არ ეძებს. ედმუნდის საზარელი ვერაგობის შედეგად იღუპება კორდელია, მეფე ლირიც. იუენინი შავი ფერებით ხატავდა და აშუქებდა „თავის კაცის“.

1899 წლის თებერვალში ე. კ. ლეშკოვსკაიას ბენეფისზე დაიდგა შექსპირის ცნობილი კომედია „ჭირვეულის მორჩულება“. ა. იუენინმა აქ დიდი წარმატებით შეასრულა პეტრუჩიოს როლი. კომედიის სიუჟეტი და კომედიური კოლოზები ორი ძირითადი პერსონაჟის: ჭირვეული კატარინასა (ე. ლეშკოვსკაია) და მისი ქმრის პეტრუჩიოს (ა. იუენინი) ირგვლივა აგებული. მოშობლების ურჩ და ჭირვეულ კატარინას ცოლად შეირთავს ძლიერი ნებისყოფის პეტრუჩიო, რომელიც დიდი ოსტატობით „არჩულებს“ კაბას ქალს. ა. სუმბათაშვილი მართლაც საოცარი ოსტატობით ხატავდა

პეტრუჩიოს მეტად მოხდენილ და მიმოხილულ სახეს. ა. იუენინი აქცენტს აკეთებდა არაამაშინებულზე. რომ იგი „არჩულებს“ თავის ცოლს; არამედ იმაზე, რომ იგი აფრებს, არწმუნებს მას ქალური სიდიდისა და სინაზის უპირატესობაში. აქ ცოლის გარდაქმნის საფუძველია არა შიში, არამედ აღტაცება ძლიერი და ჭკვიანი ქმრით, მისი ავტორიტეტით.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ეს იყო ა. სუმბათაშვილის პირველი მნიშვნელოვანი კომედიური როლი, რომელმაც თეატრალური მოსკოვის მოწონება დაიმსახურა. აქედან მოცილებული, კომედიური როლები მტკიცედ დაამკვიდრა ა. იუენინის რეპერტუარში. ა. კუგელი წერდა, რომ როდესაც ა. იუენინი ასაკში შევიდა (ამ დროს იგი მიიღო 42 წლისა იყო), მის პიროვნებაში გამოჩნდა ახალი თვისება — ირონია. მან მეტად შთაბეჭდილად დაიწყო თამაში კომედიებში. ეს არ იყო პეროიკულ და რომანტიკულ როლებზე „გოლის აცრუება, მან გული აიციურა ცხოვრებაზე, რომელმაც თანდათანობით დაკარგა რომანტიკა“. კუგელი ამ აზრს ამთავრებდა შემდეგი შენიშვნებით: იგი დარჩა დიდი მსახიობი, უკეთ რომ ვთქვათ, იგი ამავე დროს გახდა დიდი კომედიოგრაფი. პეტრუჩიოს კომედიურ როლს მოჰყვა ეპოქის შემქმნელი სახეები კომედიურ ფანრში რუსულ სცენაზე: ბელინგბროკისა („ქიქა წყალი“) და ფამუსოვისა.

1901 წლის ნაფხულში ა. სუმბათაშვილი ანსახიერებს კორიოლანოსის სახეს შექსპირის იმავე სახელწოდების ტრაგედიაში. ამასთან დაკავშირებით იგი თავის დღიურებში აღნიშნავს — მიუხედავად იმისა, რომ შექსპირის ეს ტრაგედია არ მიიღო მასურებელმა, „მასში წარმატება მხვდა...“<sup>18</sup>

ა. იუენინი კორიოლანოსის სახით ხატავდა ევაკასა და მამაც გმირს. იგი მუსრს აგლებს მტრებს, მაგრამ ყოველგვარი მისი გმირობა ამაოა. კორიოლანოსის არ გააჩნია მაღალი იდეალები, იგი სძულს ხალხს, ისევე როგორც მას ეჯავრება თავისი თანამემამულენი. შინაგანად გაორებულია კორიოლანოსი; მისი ვაჟკაცობა და გმირობა საკუთარი პატივმოყვარეობის, ქედმაღლობისა და უიღბოების მსხვერპლი ხდება. იგი მიდის მტრის ბანაკში ან იმით, რომ ბედნიერება მოუტანოს რომს, არამედ იმის გამო, რომ აღიდგინოს შერყეული პატივმოყვარეობა, შური იძიოს მტრებზე.

ა. იუენინის კორიოლანოსი ანტიკურ ქანდაკებასავით გამოქმნილი შექსპირისეული ქმნალება იყო. იგი უჩვენებდა თავისი გმირის მრავალ დადებით თვისებას, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ეს თვისებები დაჩრდილულია ავადმოყვარე პატივმოყვარეობით, ქედმაღლობით, რაც საბოლოოდ ღუპავს კიდეც მას.

კიდევ უფრო ადრე, 1891 წლის დეკემბერ-





ში. მცირე თეატრის სცენაზე რეჟისორ ჩერ-ნევისკის ბენეფისზე დაიდგა შექსპირის „ინგო-მენა“ („იუმბელინი“). მთავარ როლს მ. ერ-მოლოვა ასრულებდა. მარამ მ. ერმოლოვასი, პიესაში დაკავებული იყვნენ მცირე თეატრის წამყვანი მსახიობები — ფედოტოვა, იუჟინი, გორევი და რიბაკოვი. ვარაუდობდნენ, რომ მსახიობთა ასეთი ძლიერი ანსამბლი მიიზიდებ-და მაყურებელს. მაგრამ ასე არ მოხდა. შექს-პირის ამ პიესამ ვერ დაინტერესა მაყურე-ბელი, შემოსავალმა უკვე მესამე სპექტაკ-ლიდან იკლო და 11 წარმოდგენის შემდეგ მოიხსნა რეპერტუარიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მ. ერმოლოვამ შექმნა ინგომენის შესა-ნიშნავი, შთაბეჭედავი სახე. მეტად ეფექტური იყო გორევი. იუჟინი ამ წარმოდგენაში პოს-ტუმის როლს ასრულებდა. მაგრამ თეთი როლ-მა არ გაიტაცა მსახიობი და საერთოდ ამ სახეს იგი შემდგომ არასოდეს იხსენებდა.

მოკლე შეჩერდებით ა. იუჟინის ოტელო-ზე.

ამ როლს იუჟინი დიდი წარმატებით თამა-შობდა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ თამაშობდა მხოლოდ პროვინ-ციული თეატრების სცენებზე, საგასტროლო მოგზაურობის დროს.

ა. სუმბათაშვილი, როგორც წესი, მნიშვნე-ლოვან როლებს ჯერ პროვინციულ თეატრის სცენაზე თამაშობდა. ასეთი წესით აშხალებდა იგი ოტელოსაც. დიდი მსახიობის მუდღე იგონებს, რომ სარატოვის თეატრის სცენაზე ოტელის „ახალგაზრდა, ცეცხლოვანი, ტემპე-რამენტისანი შემსრულებელი ლამაზი ხმით, მიხდენილი ფიგურით“ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. „როლი ალბათ ისე სრულყოფილად ვერ ჰქონდა გააზრებული, როგორც 20 წლის შემდეგ, თავისი მოღვაწეობის 25 წლის იუბი-ლეზე მცირე თეატრში, მაგრამ მაშინ მე ახა-ლგაზრდა ვიყავი და მახსოვს, რა სიხარულ-ითა და სიამაყით მიძჭვრდა გულა, როცა მეორე აქტში იგი გამოჩნდა აბჯარში ჩამჯდარი: მზურვალედ მოეხვია დეზდემონას და მგზნე-ბარედ მიესალმა. მახსოვს მეორე მომენტიც, რომელიც ძალზე ძლიერად გამოუვლდა... ეს იყო მისი შეხვედრა იაგოსთან... იგი თითქოს მოკუნტული გამოვიარდა სცენაზე და დარბოდა გაციოფებული. „სისხლი, იაგო, სისხლი!“ ეღე-რდა შემზარავად და მე სისხლა მეყინებოდა. შემდგომ ყოველთვის გულის კანკალით ველო-დი ამ სცენას, მაგრამ იმ პირველი გამომგზავნის მსგავსი შთაბეჭდილება მე აღარასოდეს მიმა-ლია“.<sup>19</sup>

1893 წლის 19 მაისს ა. იუჟინი სწერს თა-ვის მეუღლეს: „...გუშინ, „ოტელოდან“ დამ-რუნებულმა, ძლივს შევძელი გამომგზავნა შენთვის ღებეშა, ისე ვიყავი დადილი და მო-ქანცული... გუშინდელი წარმოდგენა ყოვე-ლმხრივ დიდებულად წარიმართა. ...შემხვე-

ნენ ხანგრძლივი... ტანით და ყოველი სცენის შემდეგ მიხმობდნენ ფარდის წინ, III, IV, V მოქმედების შემდეგ ტანო ოვაციასი გადაიზარ-და... III მოქმედების მეორე სცენა ჩავატარე, როგორც ჩანს, უფრო ძლიერად, ვიდრე ოლეს-მე...<sup>20</sup>

ამავე წლის 8 ივნისს ეკატერინოსლავიდან მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილით იგი წერდა: „ოტელო წარმოდგენიდან წარმოდგე-ნამდე სულ უფრო სინტერესოდ, ძლიერად ვამომდის. ადვილი შესაძლებელია შენც კმა-ყოფილი დარჩე ჩემი ოტელითი მომავალ წელს... ველოზარი, რომელიც ასრულებდა დეზდემონას. ძალიან, მშვენიერია“.<sup>21</sup>

მარია ივანეს ასული ველოზარი, რომელიც მოიხსენია ა. იუჟინმა, დეზდემონას როლის საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა რუ-სეთის პროვინციულ თეატრში. მ. ი. ველოზა-რი იგონებს, თუ როგორ ჩამოვიდა საგასტ-როლოდ მათ თეატრში „მცირე თეატრის ბრწყინვალე მსახიობი ა. იუჟინი და მასთან ერთად ითამაშა „ოტელოში“. მსახიობს განსა-კუთრებით კარგად გამოუვიდა ოტელოს შეხვედრა დეზდემონასთან ხანგრძლივი განსო-რების შემდეგ. ეს იყო ძლიერი ნერვული აღტკინება, უფაქიზესი სიყვარული დეზდემო-ნასადმი“.<sup>22</sup>

1897 წელს მის ოტელოს დიდი წარმატება ხელა ვარშავაშიც, როცა იქ გასტროლებზე იმყოფებოდა მცირე თეატრის დასი. იგი სწე-რდა მეუღლეს: „...არნახული წარმატებით ვი-თამაშე ოტელი, ამ როლს მე კიდევ უფრო მტკიცედ დავუფიქვს: საერთოდ ვანწყობი-ლებაც მქონდა საამისო და ხმაც... ერთი აქ-ტის განმეაღობაში ორჯერ გამოიმჩახსენ... სამ-ხედრო მუნდირიან ერთ მამაკაცს... ისტერიკა დაეწყო. სტუდენტები მიცდიდნენ გამოსასვ-ლელთან და მეტად ამაღლდნენ აღტაცებული შეძახილებით. ლეშინსკა<sup>23</sup> ბოლომდე დარჩა- III მოქმედების შემდეგ მან ხელი ჩამოიშარდა და მოთხრა: „ოსტატი ხარ, იშვიათად, რომ რაიმემ ასე ამაღლეს“.<sup>24</sup>

ა. სუმბათაშვილმა ოტელოს როლი რამდენ-ჯერმე თბილისის სცენაზეც ითამაშა. მაყუ-რებელი ყოველთვის აღფრთოვანებულ რჩებოდა და პრესაც დიითრიამებს უმჯობროდა მას. მაგრამ აი, 1903 წლის მაისში „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტმა მიინც ჩათვალა სა-ჭიროდ, როგორც წერდა ნ. ეფროსი, „იკოლოს ნაქებნი“ დაეფესლა დიდი მსახიობი. იგი წერდა: „პირველხარისსოვან არტიტებს, ბა-ტონი იუჟინი, რალა თქმუ უნდა, ვერ შეედრე-ბა, მაგრამ იგი მაინც ნიჭიერად და სინამდვი-ლით გვიხატავდა მაგისი ძლიერ ხასიათს, მის გაუკურყენელ და ამაყ ბუნებას. მოსული გარეგ-

დაპით ჩხიკვიშვილი  
სუმბათაშვილი და შემსერიის თეატრი

ნობა და ძლიერი რიხიანი ხმა ბატონ იუჟინს ძლიერ უწყობს ხელს ამ როლისათვის. დამსწრე საზოგადოება, რასაკვირველია, აღტაცებით მიეგება ნიჟიერ არტისტს“ (1903, 9 მისი).

„ნოვოე ობოზრენიე“ (1903, 9 მისი) იმავე დღეს სრულიად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამდა: „ოტელოს როლი ა. იუჟინმა ისე მრავალფეროვნად და საინტერესოდ შეასრულა, რომ ჩვენ ეს მსახიობი ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი ვგვონია ოდესმე ჩვენ მიერ ნახულ ამ როლის შემსრულებელთა შორის“.

ამრიგად, ა. იუჟინის ოტელოს დიდი წარმატება ჰქონდა რუსეთის პროვინციული თეატრების სცენებზე. რაც შეეხება მშობლიურ მიწურ თეატრის სცენას, აქ მის თამაშს იგი დიდ ხნის განმავლობაში, პირდაპირ რომ ეთქვამთ, ვერ ბედავდა.

1896 წელს თავისი ბენეფისისათვის როლის შერჩევასა იუჟინი მერყეობდა რიჩარდ III-ის, ოტელოსა და ბრუტუსის როლებს შორის.

შემდეგ არჩევანი რიჩარდ III-ის როლზე შეაჩერა, რადგანაც შეუძლებელი გახდა „იულიუს კეისრის“ როლების განაწილება დასაში, ხოლო, რაც შეეხება ოტელოს როლს, მას ალბათ, როგორც განუცხადა მსახიობმა ვაზეთის კორესპონდენტს, იგი „არასდროს შეასრულებდა მიწურ თეატრის სცენაზე“.

და მართლაც, დიდი ხნის განმავლობაში მისი ეს ნათქვამი უცვლელი რჩებოდა. მხოლოდ 1908 წელს 51 წლის მსახიობმა მიიღო ვადაწყვეტილება თავის ბენეფისზე დაედგა შექსპირის „ოტელიო“.

მაგრამ ეს იყო მისი არა ბენეფისი, არამედ სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც თეატრალური ხელოვნების ქემშარტად დიდ დღესასწაულად იქცა.

ა. სუმბათაშვილის აზრით, „ოტელიო გასათყარი სიმარტივეთა დახატული. იგი გარკვეული, მკაცრი ტრადიციების მიხედვით აღზარდილი ბატონისანი ადამიანია, რომელიც მტკივნეულ ადვილას დაჰტრს. ოტელიო მთლიანი უსაზღვრო ნატურაა, მას ძალუქს უღრმესი სიყვარული და ასეთივე სიძულვილი: მისში საუკეთესოდ არის გამოკვეთილი სამხრეთელი ხასიათი. მე მრავალი წელი ვიცხოვრე კავკასიაში და შეეძლო ჩავწვდომოდი ისეთ ნატურებს, რომლებიც ვერ უღებენ საზღვარს თავისი სიყვარულის ან სიძულვილის გრძნობებს. ოტელიო მე საესებთ ჩვეულებრივ ადამიანად ვთვლი, არ ვაყენებ წინა პლანზე მის გვიანობას და ვფიქრობ, რომ ეს ბევრად უფრო ახლოა სიმართლესთან, ვიდრე მისი წარმოდგენა პირქუშ გმირად, რომელიც სასტიკად დაუტანჯავს ექვებს.“<sup>25</sup>

მაგრამ ეს იყო ნათქვამი 1897 წელს. მის

შემდეგ ა. იუჟინმა კიდევ უფრო დახვეწილი ვისი შეხედულებანი კეთილშობილად დაამუშავა იგი დეტალებში.

ა. სუმბათაშვილი ოტელოსადმი იაგოს სიძულვილს ღრმა სოციალური მოტივებით ხსნიდა. ჯერ ერთი, თვლიდა დიდი მსახიობი, იგი მსოფლმხედველობით კონფლიქტულად დაუქმნებელი. ოტელოს წინააღმდეგ გერაგულ ბრძოლაში იაგოს კასტური მოტივებიც ამოძრავებს. მეორეც, იაგოს, როგორც ვერაც, ბოროტ და გაიძევა ადამიანს, სძულდა ოტელიო როგორც მაღალი სულის, მაღალი ზნეობის და მაღალი ინტელექტის პიროვნება.

სუმბათაშვილისათვის მნიშვნელოვანია იყო გაერკვია, თუ როგორ მოხდა, რომ ოტელიო, არა მარტო მაღალი ზნეობის, არამედ მაღალი იდეალებისა და ღრმად მოაზროვნე ადამიანი, მიენდო გაიძევა იაგოს და მისი გერაგობის მსხვერპლი გახდა. ოტელიომ მისდამი დეზიდემონის უსაზღვრო სიყვარულში თავისი მაღალი ადამიანური თვისებების დაფასება დაინახა. ამ სიყვარულმა რამდენადაც ჩაუტოო კიდევ მას იმის შეგნება, რომ იგი სხვა კასტის, სხვა ქვეყნის შვილია. ამას დაემატა მისი საზღვრო ნიჟის საყოველთაო აღიარება; მას ხომ, როგორც სარდალს, ხორბას ასხამს და აფასებს მთელი ვენეცია. მან, ცხადია, ამის გამო თავი ვენეციის დიდგვაროვანთა ტოლად, თანასწორუფლებიანად წარმოიდგინა. ეს კეთილშობილი, სათნო ადამიანი ცდილობდა ყოველ მათგანში, ვინც კი მის ირგვლივ იყო, მხოლოდ სიყვით დაენახა. იგი საესებთ მიენდო იაგოს არა მარტო იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი დაეხმარა მის დეზიდემონას ცოლად შერთვის საქმეში, არამედ იმიტომაც, რომ მას, მაღალი სულისა და ფაქტიზი გრძნობების მქონე ადამიანს, საერთოდ სწამდა ადამიანებშია. ა. იუჟინი ვერდილიდა ა. პუშკინის იმ აზრიდან, რომ „ოტელიო“ ექვნიანი კი არ არის, იგი მიმნდობია“. იგი უარს ამბობდა ექვზე, როგორც ტრადიციის ძირითად ლერძზე.

დეზიდემონას „ლალია“ იუჟინის ოტელიოსათვის იყო არა მარტო მიზნული, რომელიც წარმოქმნა შურისძიების სურვილი, არამედ საშუალებაც იმისა, რომ დაენახა თავისი ადგილი ვენეციის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ იერარქიაში, შეეგრძნო ის ბოროტება, რაც მის ირგვლივ ტრიალებდა. ესაა მთელი მისი იდეალებისა და რწმენის გაცრევა, როდესაც სიცოცხლე კარგავს აზრს. ამიტომ ა. იუჟინს ოტელიო უნდა დაეხატა არა მარტო როგორც მოტყუებული ქმარი, არამედ აგრეთვე ადამიანი, რომელსაც შეუღლებს ღირსება და იდეალობა.

ქემშარტად უმაღლეს ტრაგიკულ სიმბოლემდე აყვავდა ა. იუჟინს ტრადიციის ბოლო სურათი, სადაც იგი რწმუნდება, რომ დეზიდემონა უდანაშაულოა, რომ მათი სიყვარული



ბორტო გარემოს მსხვერპლი გახდა. აქ მსახიობი, ერთი მხრივ, ვადმოსცემდა სულიერ ზეიმს, გამოწვეულს დეზდემონსადმი რწმენის აღდგენით, და, მეორე მხრივ, იმ შინაგან ტრაგედიას, რაც მას ადამიანების ბორტებამ მოუტანა. იგი თვითმკვლელობას საზეიმო ელფერის აძლევდა, თუმცა მასურებელი იმასაც კარგად ხედავდა, რომ მას საფლავში მიჰქონდა უსახვგრო ნაღველი და სევდა, გამოწვეული ადამიანთა ბორტებით.\*

„საიმპერატორო თეატრების ყოველწლიურში“ მოთავსებულ რეცენზიაში აღნიშნული იყო, რომ იუენის „ოტელო“ ქეშმეზიტად კეთილშობილი მაკრია. უსახვგროა მასში დარბაისლური სიღიადე; პირველ მონოლოგში დოეების წინაშე აშკარად ჩანდა მისი სიძლიერე. იგი მხოლოდ დეზდემონსადმი უსახვგრო სიყვარულით ცხოვრობს. აშკარაა, რომ მან მხოლოდ ახლა შეიგნო ცხოვრების ნამდვილი აზრი!..26

თეატრალური კრიტიკოსი ნ. ეფროსი იუენის ამ როლთან დაკავშირებით წერდა: „როლის ერთი ეპიზოდი — სენატის წინაშე სიტყვა, რომელშიც მაგრი ყველა თავის სიყვარულზე დეზდემონსადმი, — დეკლამაციის ბრწყინვალეების თვალსაზრისით, დამუშავებისა და ფერების სიმდიდრის მიხედვით, და საერთო ემფაზითაც — შეიძლება მივაკუთვნოთ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ბედნიერ მომენტს იუენის შემოქმედებაში. ეს მაღალფარდოვნად რომ ვთქვათ, ერთ-ერთი ბრილიანტია მისი სამსახიობო გვირგვინისა. არსი სახისა, მისი ფსიქოლოგიური შინაარსი მკაფიოდ და გამომსახველად გამოვლინდა როლის თამაშის მთელ მანძილზე, ყველა მის პერაქტივებში. ყოველთვის არ იყო გრძნობების გაგარაგრებული ლავა და იუენის ოტელო არ იქცევა თეატრალურ „ლენგენდად“, როგორც იქცა მოჩალოვის ჰამლეტი, როგორც, შესაძლებელია, იქცეს „ლენგენდად“ იუენის შორტიმერი ან კარლოს ო. მაგრამ იუენის ოტელოც შერჩება თეატრალურ მესსიერებას, როგორც კიდევ ერთი არაგუნტი მსახიობის უზარმაზარი სიყვარული ოსტატობისა, რომელმაც მოისურვა გამზღობიყო შექსპირის ტრაგედიების დიდი მსახიობი შემსრულებელი და კიდევაც გახდა ასეთი“27

ქმნიდა რა ოტელოს სახეს, ა. იუენი ზრუნავდა მაგრის გარეგნობაზე, კოსტუმის მოხდენილობაზე, მოძრაობაზე, პოზაზე, — წერს ვ. ფილიპოვი. მისთვის მნიშვნელოვანია გამოვლინოს ოტელოს წარმოშობის კეთლშობილება, მისი მაღალი სამსახურებრივი მდგომარეობა და მნიშვნელობა, როგორც მხედართმთავრისა. იგი ქმნის შესანიშნავ, დიდ სახეს; იმპოზანტური ტანადობა სარდლისა, რომელიც მიჩვეულია მბრძანებლობას, და მისი დივი, ღირსეული სიტყვა უაღრესად შთაბეჭდავია. სახის დეკლამაციური სიტყვიერი მზარე საერ-

თოდ შესანიშნავი იყო, ხოლო სენატის წინაშე მონოლოგში — უკიდურესად ყოფილი. დამსწრეებისადმი მშვიდი, არონული და ამავე დროს მოკრძალებული მიმართვა იცვლებოდა წარმტაცი, მომზიბლავი თხრობით, რომელიც ელერდა ხან ნაღვილიანად, ხან ძველამოსილად. მას თან ერთოდა ამოცი სიხარულის გრძნობა, რომელიც მისდამი დეზდემონს სიყვარულით იყო გამოწვეული. შესაბამისად მის ხმაში, მეტყველებაში შეინიშნებოდა მოულოდნელი და ნათელი ინტონაციების ნაირნაირი ნაკადი, რიტმის ცვალებადობა, ხმის გადასვლა სასიყვარულო ჩუჩრელოდან მეხის გრიალაძედ, რომელიც დასრულდა შექაზილით:

„ჩემგან გამოვლილი ჰირთათვის მან შემიყვარა, მე შევიყვარე ჩემთა ჰირთა თანაგრძნობისთვის“28.

დიდი იტალიელი ტრაგიკოსი ტომაზო სალვინი (1828-1915), რომელიც ოტელოს როლის უბადლო შემსრულებლად ითვლებოდა, თავის გმირს აფრიკელ ველურად ხატავდა. მისი ოტელო აშკარა პლემები იყო, მას ბევრი რამ არ ესმის, რადგანაც თავისი კულტურით, ინტელექტით უფრო დაბლა დგას, ვიდრე მისა გარემო — ვენეციის ელიტა.

ა. სუმბათაშვილი, რომელიც ახლოს იცნობდა სალვინის, მრავალჯერ უნახავს მისი ოტელო და მასთან იაგოს როლიც კი შეუსრულებია, დიდი ნიჭისა და მაღალი ზნეობის მქონე ძლიერ პიროვნებას ხატავდა. იუენის ოტელო, მართალია, სხვა ქვეყნის, ჩამორჩენილი ხალხის შვილია, მაგრამ იგი გონებრივად არაფრით ჩამოუვარდება ყველაზე დაწინაურებულ ვენეციელსაც კი. იგი სხვა კულტურის, სხვა ცივილიზაციის შვილია. ამდენად ა. იუენის ოტელო იყო არა კულტურისა თუ უკულტურობის, არამედ ორი სხვადასხვა კულტურის კონფლიქტის მსხვერპლი.

ტ. სალვინი იმდენად დაბალი ინტელექტის ოტელოს ხატავდა, რომ ძნელია დაიჯერო, რომ მას შესწევდეს უნარი გადაწყვიტოს რთული სამხედრო (სტრატეგიული თუ ტაქტიკური) პრობლემები, დაამუშაოს სამხედრო გეგმა და ბრძოლის ველზე გადაწყვიტოს იგი. სალვინი უფრო მაგრ ჯარისკაცს თამაშობდა, ვიდრე მაგრ სარდალს.

ა. იუენის ოტელო დიდად ნიჭიერი და მკოდენ სარდალია, რის გამოც იგი, სხვა ქვეყნიდან მოსული, ძლიერმა ვენეციამ თავის მხედართმთავრად გაიხადა. ოტელო — სამხედრო სტრატეგი, ოტელო — მოაზროვნე,

**დავით ჩხიკვიშვილი**  
**სუმბათაშვილი და შემსაირის თეატრი**





ოტელი — მაღალი ინტელექტის პიროვნება, ასეთი იყო იუჯინის გმირი.

ა. ყუგელი, ეხებოდა რა სალვინის ოტელის, წერდა: როდესაც მეოთხე აქტში დეზდემონა აუწყებს ოტელს, რომ შეიკრიბნენ კვიპროსის დიდგვაროვანნი, რომლებიც, ალბათ, ოტელს მოიწვია პოლიტიკური ხასიათის სადილზე, ამას ნაკლებად იყრებოდა მყოფრებელი. რატო ოტელი ხელში აიღებს კალმისტარს, რათა ხელი მოაწეროს რომელიღაც დოკუმენტს, გეჩვენება, რომ ეს სიტყვა, ოდგონაც ასეთმა ოტელმა, ალბათ, წერ-კითხვაც კი არ იცის.<sup>29</sup>

სუმბათაშვილის ოტელი განათლებული მხედართმთავარია, მას არა მარტო ხელის მოწერა, ტრაქტატების შექმნაც შეუძლია და კვიპროსის დიდგვაროვანთა წრეში, ცხადია, ყველაზე მაღლა დგას. კეთილშობილი მავრის მინდობლობა, მიაძრება შედეგი იყო არა უკუღმართობის, უფიცობისა, არამედ, პირიქით, მისი მაღალი გონების, მაღალი ინტელექტისა. ოტელის აზროვნება იმდენად მასშტაბურია, რომ იგი ხშირად ვერ ეჩვენება ცხოვრებისეულ წვრილმანებში.

ა. სუმბათაშვილი, როგორც არაერთხელ ითქვა, თვითონ იყო თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე უფრო განათლებული ადამიანი და მას არ შეეძლო არ დაენახა შექსპირის ოტელში კეთილშობილი მავრის მაღალი ინტელექტი. საინტერესოა ერთი დეტალიც: ტ. სალვინს ნატურალიზმამდე დასყვდა ოტელის სიკვდილი. ვისაც უნახავს ეს სენა, ყველა გაოცებული იყო სალვინის მხატვრული გენიით. მაგრამ ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო შემზარავი სურათი, რის გამოც იკარგებოდა ტრაგედიის დედაზარი. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ იუჯინის ოტელი, იკლავდა რა თავს, ზემოთადა სიკვდილს; მის სხეულ დიდი სევდის გვერდით უზომო სიხარულის სხივი ელავდა, რითაც მყოფრებელში უსაზღვრო სევდას, ნალველსა და თანგრძნობას იწვევდა.

სალვინის ოტელს სიკვდილი იმდენად შემზარავი იყო, რომ გაოცებულ მყოფრებლებს საშინელების ყვირილი აღმოხდებოდათ ხოლმე, მას თვალები უბრუნდებოდა, სახის ფერი ეცვლებოდა, კიდურები უშემდებოდა. შემდეგ, თითქოს გამოცოცხლებოდა, მაგრამ იმავე წუთს თავი ჩამოუვარდებოდა და მკერდთან მომაკვდავის ხროტიანი აღმოხდებოდა. და როდესაც სიკვცხლე საბოლოოდ ტოვებდა მას, იგი მთელი ძალით ეცემოდა დეზდემონას საწოლზე.

ტ. სალვინის ოტელი, მიუხედავად მხატვრული სახის არასწორი აღქმისა, სცენური განსახიერების თვალსაზრისით ბრწყინვალე იყო. ა. იუჯინი ხშირად მიუთითებდა სალვინის გენიალობაზე. იგი თვლიდა, რომ სალვინის ოტ-

ელი ისევე მიუწვდომელია, როგორც მოზარდების ლევის ჰამლეტი.

ნ. ფერისი წერდა, რომ სუმბათაშვილის ოტელის ავლა „გრძნობათა გავარავრებულის ლავა“ და მართლაც ასე იყო. სალვინის ოტელი გამწვანებული ლომით დარბობდა სენაზე. ა. იუჯინი თავისებურად ხსნიდა ოტელის მხატვრულ სახეს, რის გამოც იგი იძულებული იყო შეეზღუდა, დაეთრგუნა თავისი ტემპერამენტი. სუმბათაშვილი უსაზღვრო ტემპერამენტისა და მგზნებარების მსახიობი იყო და როდესაც ამას როლი მოითხოვდა, შეეძლო საოცარი სულიერი მღვდლავაობა გამოეწვია მყოფრებელში. ამგვარად კი მას როლი ზომიერ ტონალობაში მიჰყავდა, „გრძნობათა გავარავრებული ლავის“ გარეშე.

ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება მოვყვანით ცნობილი თეატრმცოდნის — ვ. ა. ფილიპოვის შეხედულება იუჯინის ტემპერამენტის შესახებ. თეატრალური კრიტიკოსთა ნაწილი შენიშნავდა, რომ ზოგიერთ ტრაგედიებში იუჯინი ზედმეტად ზომიერი იყო (ალბათ, იგულისხმება „ოტელი“ და „ჰამლეტი“), რომ იგი „მოკარდნილ გნებებს არ გამოხატავდა უეცარი ამოფრქვევებით“. ვ. ა. ფილიპოვი (ისევე როგორც სხვა მრავალი წამყვანი თეატრმცოდნე) არ იზიარებდა ასეთ აზრს, მას ყოვლად უსაფუძვლოდ თვლიდა. მისი შეხედულებებით, ეს შეეძლო დაეწერა მას, ვინც ახლოს არ იცნობდა სუმბათაშვილს, მის შემოქმედებას, ნატურას. ვ. ფილიპოვი ამტკიცებს, რომ ა. იუჯინი შეგნებულად არ ავლენდა მთლიანად თავის ტემპერამენტს, რადგანაც მცირე თეატრს გააჩნდა თავისი მხატვრული კრედი, სტილი, ტრადიციები. რომლის დარღვევის უფლება არაყის ჰქონდა. სხვათა შორის, ა. იუჯინს დიდი შრომა დასჭირდა, რათა თავისი შემოქმედებისათვის მოეხატა თეატრისათვის შესატყვის ტონალობა. მან ეს მართლაც გააკეთა: შეიმუშავა ისეთი გამოსახვითი საშუალებანი, რომლებიც, ერთი მხრივ, შეეტყუებოდა მცირე თეატრის სცენურ ტრადიციებს, ხოლო მეორეს მხრივ, საშუალებას აძლევდა მას შეენარჩუნებინა გარკვეული მხატვრული თვითმყვადობა.

მაგრამ საკმარისი იყო ა. იუჯინი გამოსულიყო სხვა სენაზე, ანდა მონაწილეობა მიეღო მცირე თეატრის დილის წარმოდგენებში, რომ იგი თამაშობდა ყველა როლს ბუნებრივი შესაძლებლობების სრული გამოყენებით. აქ მას ვერ იცნობდით. თვით ა. იუჯინს არაერთხელ უთქვამს, რომ ასეთ სექტაკლებში იგი თავს ბედნიერად გრძნობდა, რადგანაც მას საშუალება ეძლეოდა მყოფრებელი „გავიანა გრძნობების ქარბუქში“, „გრძნობების ქარცეცხლში“, რის გამოც მოჭადლოებული მყოფრებელი ხშირ შემთხვევაში კარგავდა საკუთარ თავზე

კონტროლს და „გრძნობათა ექსტაზში“ ვარდებოდა. ოტელოს როლს იუყინი პროვინციამი სხვაგვარად თამაშობდა, ვიდრე მოსკოვში.

ვლ. ფილოზოფი წერდა, რომ ა. იუყინის შექმნილ დამაბნელებელ შვიდწილად ერთი შესანიშნავი თავისებურება: „მსახიობი უზარმაზარი ტემპერამენტი, მაგრამ ტემპერამენტი — უჩვეულო რუსული სცენისათვის — სხვაგვარი ტონალობისა, სხვაგვარი მხოლოდისა, სხვაგვარი... გამოამსახვლობისა.

და მხოლოდ ახლა, როდესაც გავცანიოთ ქართული სცენის ბრწყინვალე ოსტატებს, მთელი სიცხადით შეიძლება გავიგოთ, რომ სუბმათაშვილის ქართული წარმოშობის წყალობით იუყინის სცენურ ფორმაში უფლებამოსილად ეონავედა მისი სამშობლო პროვინციული ხალხური ხელოვნება. აქედან — ის უზარმაზარი ზეგავლენა მასურებელთა დარბაზზე, რომელიც ყოველთვის ახლდა იუყინის გამოსვლებს ოტელოს როლში პროვინციული თეატრების სცენაზე, იქ ხომ მსახიობი ვასაქანს აღევდა თავის გრძნობებს, არ ეშინოდა საყვედურისა, რომ იგი არღვევდა რუსულ სცენაზე დამკვიდრებულ წესებს,.... არ ერიდებოდა შრომობიურა ეროვნული ფორმის გამოვლინებას. სწორედ ამის გამო, მისთვის ყველაზე საყვარელი შექსპირის როლი, ოტელი, ინტერპრეტაციის მაღალი ღირსების მიუხედავად, მაღალოსტატური შესრულების მიუხედავად, მთელ რიგ წარმატებთა მიუხედავად, მოსკოვის სცენაზე უფრო ჩინებულიად შექმნილი სახის და არა უშუალოდ განცილი გრძნობების შთაბეჭდილებას ტოვებდა.“<sup>30</sup>

„იუყინი სოციალისტის უკანასკნელ წუთამდე იყო კავკასიის რაინდი“ — წერდა ა. კეგელი.<sup>31</sup> და ბოლოს, მისი უკანასკნელი მნიშვნელოვანი სახე იყო შილოვი შექსპირის „ვენეციელ ვაჟარში“. ტრაგედია დაიდგა 1916-1917 წწ. სეზონში.

„ვენეციელი ვაჟარს“ იდეურ-მხატვრული შინაარსი — ორგანულად ურთიერთდაკავშირებულ სიუჟეტურ ხაზზეა აგებული. ერთი მხრივ, ვითარდება ჯესიკისა და ლორენცოს სასიყვარულო თემა, ხოლო მეორე მხრივ — შილოვისა და ანტონიოს ანტაგონიზმი. ამ ორი თემის სიუჟეტური განვითარებით შექსპირი იძლევა მხატვრულ სურათს ორი იდეურად განსხვავებული ძალისა — სოციალურისა და დარსობრივისა.

მევახშე შილოვი დიდი ქონების პატრონია, მის ანტიპოდ ანტონიოს არაფერი გააჩნია, გარდა ახალგაზრდული ენერჯიისა და ხალისისა. ანტონიოს თავისი სხეულის ერთი გირვანქა ნაჭერიც კი მართებს შილოვისა. სიუჟეტური ხაზის განვითარებასთან ერთად მწვედლება ბრძოლა მათ შორის; მით უფრო მეტი მონდომებითა და უნდობლობით ებრძვის ანტონიოს მზარდი ბანაკი შილოვის.

ა. სუბმათაშვილმა მიზნად დაისახა ანტონიოსა და შილოვის ურთიერთდაპირისპირებულად მოქმედება არა როგორც ქრისტიანობისა და იუდეუზმის ბრძოლის გამოხატულება, არამედ როგორც სამკედრო-სასოციალური შეჯახება ორი სოციალური ჯგუფისა. იუყინმა გამოიკიბა ანტონიოს მტერი განწყობილების ელემენტებიც. მსახიობი „არ მალავდა ეროვნულ ნიშნებს და ამავე დროს არსად ხაზს არ უსვამდა მათ. იგი (იუყინი, დ. ჩ.) შილოვს ხატავდა, როგორც საერთო-საკაცობრიო პირივნებას, რომელიც შეურაცხვეს ყველაზე უფრო წმინდა გრძნობაში. იგი წარმოსახავდა საზოგადოების მიერ დევნილ ადამიანს, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს თავისი სიძულვილის ძალე და ადამიანური ღირსება.“<sup>32</sup>

შილოვის ბოლოს გაურბის ყველა ახლობელი, მსახურ ლანჩლოტის ჩათვლით. გაურბის ქალიშვილი ჯესიკაც, რომელიც უსაზღვროდ უყვარს ყველასაგან დევნილ მამას. ჯესიკა გაურბის ლორენცოსთან ერთად და თან მიჰყვამის ძვირფასეულობა. ბოლო სურათი ასახავს ანტონიოსა და მისი მეგობრების გამარჯვებას. აქვეა შილოვის ქალიშვილი ჯესიკაც, რომელიც თავის გაბედნიერებას ზემოშობს.

შილოვის სახეში იუყინი აქსოვდა მთელ თავის ფაქიზ გრძნობებს, წმინდა სულს, ამის გამო ეს სახე მისი შესრულებით უზომო თანაგრძნობას იწვევდა მასურებელში. ნ. ვეროსი წერდა, რომ არსად, შექსპირის არც ერთ ტრაგედიაში იუყინი იმდენი რომანტიკული სტისიკეიტება არ ჩაუქასოვია, რამდენიც შილოვის სახეში. იუყინის შილოვი გამსჭვალული იყო საოცარი გულწრფელობით, გამოთბარა იყო გულის სითბოთი.<sup>33</sup> მასურებლის ამ თანაგრძნობას იგი იმსახურებდა უსაზღვრო სიყვარულით ქალიშვილისადმი, რომელმაც ის საბოლოოდ მიიტოვა. „უზარმაზარი სინაზე შვილისადმი, სინაზე ღრმად მოსიყვარულე მამისა, რომლითაც გასხივონებული იყო იუყინის შილოვი, გაიძულებდა გაგეგო მისი, გეპატიებინა და მუხლი მოგეყარა მის წინაშე, განსაკუთრებული შინაგანი ძალა, რომლითაც მსახიობს მიჰყავდა სასამართლოს სცენა (ხოლო ზოგიერთ წარმოდგენებში პირდაპირ შეძარწუნებამი მოჰყავდა მასურებელი), გვაიძულებდა ვაიკებში გაგვეხსენებინა არაერთხელ გაგონილი შენიშვნა იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა იუყინი თითქოს „ცივი“ იყო: მსახიობი, რომელიც ხანდაზმულ ასაკში ასეთ ზემოქმედებას ასდენდა მასურებელზე, არ შეიძლება ახალგაზრდობაში ცივი ყოფილიყო.“<sup>34</sup>

ცნობილი რუსი მსახიობი ქალი ვერა პაშენაია იგონებდა: „განსაკუთრებით ცარგად მახსოვს ალექსანდრე ანანეს ძე შექსპირის

#### დაპით ჩხიპიშვილი

სუბმათაშვილი და მემკვიდრის თეატრი



„გენეციელ ვაჰარში“ შილოკის როლში. როგორი შთაბეჭდიანი და უნაკლოდ დახვეწილი იყო შილოკის სახე. ყოველ მოძრაობაში, მოხილოვში, ფრაზაში იგრძნობოდა მძალი კლასის ოსტატობა. მე ვთამაშობდა პორციას როლს, უდიდეს სიხარულს განვიცდიდი, როდესაც წარმოდგენაში შილოკია როლს ასრულებდა იუენი და, რასაკვირველია, სრულიად შეუგნებლად, მაგრამ ვსწავლობდი ალექსანდრე ივანეს ძისაგან სამსახიობო ოსტატობას ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ვაღიარებ, რომ მეორე დიდოსტატი და ასეთივე მსახიობი, რომელიც ალექსანდრე ივანეს ძე იუენის ენაცვლებოდა შილოკის თამაშში — ოსიბ ანდრიას ძე პრავდანი ყოველთვის უფრო ცივი მეჩვენებოდა; ან მისი შემოქმედების მთელი რიტმი არ პასუხობდა ჩემს სცენურ ტემპერამენტს, ან ძალიან შეზღუდული იყო მისი ხმის შესაძლებლობანი, ანდა გარეგნულად ოსიბ ანდრიას ძე არ იყო შთაბეჭდიანი, როგორც ალექსანდრე ივანეს ძე. იუენის შილოკი უდავოდ უფრო ძლიერ მიტაცებდა.“<sup>35</sup>

რამდენიმე სიტყვა მისი ერთი მცირე როლის შესახებ შექსპირის „ჰენრი VIII-ში“.

ა. იუენის უყვარდა დროადრო მიკრო როლში გამოსვლა, სადაც პირდაპირ შედევრებს ქმნიდა. ასე იყო, როცა მან ითამაშა მალანოვიჩის როლი ოსტროვსკის „ტყეში“, ანდა ქანდარპისა „რევიზორში“.

მცირე თეატრის „მეორე რივის მსახიობებსა და სუფლიორებს“ ბუნეფისის უფლებას მისცეს. გადაწყდა დადგმულიყო შექსპირის „ჰენრი VIII“. ბუნეფისის მონაწილეებმა თხოვნით მიმართეს ა. იუენს — შეესრულებინა მთავარი როლი. დიდი მსახიობის თამაში ბუნეფისზე, ცხადია, გაზრდილია შემოსავალს. იუენმა უარი განაცხადა მთავარ როლზე და დათანხმდა წაეითხა პროლოგი.

— „მე გახლავარ თ პროლოგი!“, — ხუმრობდა მსახიობი.

— „მაგრამ ეს ხომ როლი არაა“ — ეკითხებოდნენ მას.

— „შექსპირის“ „აბრაჰამი“, — პასუხობდა იგი, — უფრო ძვირფასია, ვიდრე დიდი როლი რომელიმე სხვა დარმატურგოსა“.

წარმოდგენაში ა. იუენმა პროლოგი შექსპირის გრიმით წაიკითხა. და წაიკითხა ისეთი აღფრთოვანებითა და ოსტატობით, რომ მეორე დღეს ეს ამბავი მთელ მოსკოვს მოედო. შემდეგ წარმოდგენაზე ბილიონს შექმნა ბევრმა ისტურბა. თეატრალურ სალაროებთან შეიქმნა რიგები, დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. მაგრამ მეორე სპექტაკლში იუენმა მონაწილეობა აღარ მიიღო, როლი დუბლიორს გადასცა. მსურველი გაწიბრებული დარჩა. დუბლიორმა პროლოგი უფერულად წაიკითხა.

ა. სუმბათაშვილი იყო უნიჭიერესი მსახიობი. მან სცენაზე ითამაშა ყველაფერი, რისი

თამაშიც სურდა, დაიკმაყოფილა ყოველი რი შემოქმედებითი წყურვილი. მან შექსპირის ტრაგედიებში შექმნა ჰამლეტის, ოტელოს, მაკბეტის, რიჩარდ III-ის, შილოკის, იაგოს, კორიოლანოსისა და სხვათა ბრწყინვალე სახეები.

აქამებდა რა თავის შთაბეჭდილებებს ა. სუმბათაშვილის მიერ შექსპირის ტრაგედიებში შექმნილ სახეებზე, ნ. ფეროსი წერდა: „სახეებით ნათელი ხდება, სტილის საერთო მონუმენტალობის პირობებში, რაოდენ მრავალფეროვანია იუენი, რა მდიდარია მისი სცენური ფანტაზია. იუენმა უდიდესი შედეგები მოიპოვა თეატრალური ხელოვნების ურთულესი ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.“<sup>36</sup>

ვ. მიხაილოვიც თვლიდა, რომ „იუენს მუდამ აქაიათებდა გარდასახვის გენიარული ნიჭი; იგი ერთნაირი სრულყოფილებით თამაშობდა ყოფით როლებს, ხოლო დროადრო კომედირსაც... მაგრამ ჩვენთვის ა. იუენი სამარადისოდ დარჩება რუსული ტრაგედიის მუხის განსახიერებელად. მან მიადწია ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებს და განახორციელა ის იდეალები, რომელზეც ჩვენი თაობა მხოლოდ ოცნებობდა. რომანტიკული ტრაგედია რეალურ შესრულებაში — ასეთი იყო ის სიმბოლო, რომელიც ჩვენ გვჭამდა ხელოვნების ტამარში.“<sup>37</sup>

ცნობილი რუსი მსახიობი ვლ. აკრიონოვი წერდა:

„ძირითადი, რითაც ა. იუენი განსხვავდებოდა სხვა მსახიობებისაგან, ეს იყო მისი ოსტატობა. ა. იუენს არ ჰქონდა ის უადგილო, შთანთქმელი ტემპერამენტი, რომელსაც გონება, აზრი გადაჰყავს უკან პლანზე. ყველა როლი თავიდან ბოლომდე მის მიერ მუდამ გააზრებული და ოსტატურად დამუშავებული იყო.“<sup>38</sup>

მართლაც, იუენი იყო არა ემოციებს აყოლილი მსახიობი, მსახიობი-მოყვარული, არამედ მსახიობი-პროფესიონალი, — ძლიერი ტემპერამენტითა და მგზნებარებით, ტემპერამენტით, რომელიც გონებასა და აზრს ექვემდებარებოდა. ამიტომ თავის ემოციებს, გრძნობებს იგი სხვადასხვა როლში სხვადასხვაგვარად გამოხატავდა იმის მიხედვით, თუ რა დროებით იყო საჭირო მხატვრული სახის სწორად ასახვისათვის. ვ. აქსიონოვი მართებულად მიუთითებდა, რომ „ა. სუმბათაშვილს არ ჰქონია თამაშის ერთი, უცვლელი სისტემა. იგი სრულიად სხვადასხვაგვარად უდგებოდა თითოეულ ავტორს.“

ა. იუენის არ ჰქონია ერთხელ და სამუდამოდ შეუშვებელი სისტემა თამაშისა, რაც ყოველთვის, როგორც წესი, შტამის საშემოვნებს ქმნის. ის ყოველ კონკრეტულ როლს კონკრეტულად უდგებოდა, იმის მიხედვით, თუ რომელი ავტორის მიერ იყო იგი შექმნი-





ლი, რომელი ეპოქის, სოციალური ფენის შეი-  
ლია, რომელ ენარსა და აპლუაშია შექმნილი.  
იგი ჯერ ექებდა ამ მხატვრული სახეების იდ-  
ენტურ-ფილოსოფიულ გასაღებს, შემდეგ კი,  
მდიდარი გამომსახველობითი საშუალებებითა და  
შინაგანი პლასტიკით შეიარაღებული. ძერწა-  
და მის სცენურ მოვლას. აქედან ცხადია, რომ  
მაღალ კონებასა და აზრს დამორჩილებული  
მისი ტემპერამენტი, მგზნებაზე სხვადასხვა-  
ძალითა და დონით იხარჯებოდა სხვადასხვა  
დრამატული სახის შექმნისას. როგორც ვ.  
აქსიონოვი წერს, ტრაგიკულ როლებში, იუქი-  
ნი არასდროს მდებარეობდა უბრალო, ყო-  
ველდღიურ საუბრამდე. ლექსის რითმი და  
შინაგანი პათოსი ა. იუქინის შესრულებით  
ქვრივად გაანგარიშებულად და მკაფიოდ. ყვე-  
ლა ესტონი გამომდინარეობდა მისი შინაგანი  
ამაღლებულობიდან, ყოველი მათგანი დასრუ-  
ლებული და დამაყვრებელი იყო. ტრაგედის  
ყველაზე უფრო ძლიერ მომენტში ა. იუქინის  
სამეტყველო ტონი აღწევდა უკანასკნელ  
ზღვარს, რომლის იქით უკვე სიმღერა იწყება.  
მსახიობის შინაგანი მდგომარეობა ასეთი და-  
ძაბული აღმავლობის, აღფრთოვანების მომენ-  
ტებში, კატასტროფის ესაზღვრებოდა. სუნთ-  
ქვის არარეგულბრები დაყენება მის საშუა-  
ლებას აძლევდა მოსიყვარულ და მგლოდიუ-  
რი ტონიდან უეცრად გადასულიყო მოულო-  
დნელ და აგზნებულ ყვირიაზე. რიჩარდ III  
იყო შესანიშნავი ნიმუში სამსახიობო ოსტა-  
ტობისა, სადაც ძალისა და პათოსის გიგანტურ  
აღმავრების ენაცვლებად რაღაც მარადიუ-  
ლი სიდინჯითა და სიცოცხლე დახვეწილი მისი  
ლილოგები ლედი ანასთან სცენაში ჰენრის  
კუბოსთან და მისი იგუბიტური მანქვა-გარბევა  
ტაბტზე ასკლის წინ. დასრულების რა იარა-  
ლი გააჩნდა ა. იუქინი ტრაგედიაში? — კი-  
თხულობს ვ. აქსიონოვი. უპირველეს ყოვლისა  
მხატვრული სახის მილანანობა. ხუთი აქტის  
განმავლობაში იგი არ აძლევდა თავისთვის  
უფლებას დაესვენა თუნდაც ერთი წუთით,  
ე. ი. გამოსულიყო როლიდან და შეეწყვიტა  
თამაში, მაშინაც კი, როცა მისი თამაში არ  
იყო წინა პლანზე; ასეთ მომენტებზე ყოველ  
წამს „თამაშობდა“. მას ჰქონდა ჩინებული  
გრძნობა ზომიერებისა და თავისი თამაშით  
ასეთ ეპიზოდებში ხელს კი არ უშლიდა, ყუ-  
რადღებდა კი არ გადაჰქონდა მთავრისაგან,  
არამედ, პირიქით, ავსებდა, ამღიდრებდა სუ-  
რათს და სცენის საერთო განწყობილებას.  
მეორე მკაფიო თავისებურება მისი თამაში-  
სა კლასიკურ ტრაგედიაში ის იყო, რომ ა.  
იუქინი არ უმაღავდა მაყურებელს პირად  
დამოკიდებულებას იმ სახისადმი, რომელსაც  
ანსაქიერებდა. იგი თავისებურად ეხმარებო-  
და მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. იუქინი  
აბრუნებდა მაყურებელს განწყობილიყო მის

მიერ ნათამაშევი სახისადმი ისე, როგორც  
თეთონ ჰქონდა იგი წარმოდგენილი.  
ა. ი. იუქინი უყვარდა ტრაგიკული როლები.  
მას არასოდეს წყონია „შემთხვევითობა“ რი-  
გით წარმოდგენებზე. ყველაფერი წინასწარ  
განსაზღვრული, დამუშავებული ჰქონდა თავი-  
დან ბოლომდე: ზუსტი მიზანსცენები, ესტე-  
ტი, ფრაზების წყობა... ა. ი. იუქინი ძუნწად  
ხარჯავდა თავის ძალებს, უკანასკნელი სცენი-  
სათვის ინახავდა მათ. ასე მაგალითად, „ოტე-  
ლოში“ მხოლოდ დეზდემონას მკვლელობის  
შემდეგ ხარჯავდა „ბოლომდე“ ძალის მთელ  
მარაგს და აოცებდა მსმენელს შთავონების  
მოულოდნელად, უეცარი აღმავლობით.  
ა. ი. იუქინი ტრაგიკულ როლებს ხატავდა  
მსხვილ პლანში; ფუნჯის გაბედული მოსმით  
დახატული ეს ნათელი სახე მას მიჰქონდა მა-  
ყურებლამდე. იგი არ აქუცმაცებდა, არ ყოფ-  
და მას მცირე ნაწილებად. და იძვრებოდა ნა-  
თელი, შთავონებული და მილანანი სახე —  
დაასკენის ვ. აქსიონოვი.<sup>39</sup>  
ვლადიმერ ფილიპოვი ასე ახასიათებდა იუ-  
ქინს, როგორც ტრაგიკოსს: „ტრაგიკულ რო-  
ლებში ა. იუქინისათვის მთავარი არ იყო ფსი-  
ქოლოგიური დეტალიზაცია. მას — სიტყვიერ-  
ი ნიუანსების ოსტატს — აქ არ ესაქიერებდა  
სცენური ელერადობის ნატივი, ფაქიზი დამუ-  
შავება, იგი არ მიისწრაფვის თამაშის მკაფიო  
დეტალებისაკენ. ... უმრავლესობას ამ როლე-  
ბში მიაჩნდა იუქინი „უღიდეს“, „გენიალურ“  
მსახიობად, რადვანაც ისინი ამ სახეიდან  
ისმენდნენ ჰიმნს ადამიანის ძლიერებაზე, ძა-  
ლაზე. სილამაზეზე, მის მიწრაფებას სილია-  
დისაკენ — ესმოდათ ის, რაც ასე აკლდა ჩვე-  
ულებრივ. მღორე ცხოვრებას, რასაც ვერ  
ხედავდნენ სინამდვილეში და რაზეც ნაღვლო-  
ბდნენ...  
იუქინის ასეთ სახეებში შინაარსისა და ფო-  
რმის ერთიანობა ქმნიდა ბუნებრივი სილიადი-  
სა და მიუნემენტურობის შთაბეჭდილებას, რაც  
რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ისე ხშირი მო-  
ვლენა იყო რევოლუციამდელ თეატრში. ეს  
აღვიძებდა მაყურებლის შეგნებას, ამკვიდრებ-  
და მასში ადამიანის უძლეველობის ილდას.“<sup>40</sup>  
შექსიბირის ტრაგედიაში რუსულმა თეატ-  
რმა მსოფლიო არენაზე წამოსწია ლეგენდა-  
რული მოჩალოვი, რომლის სახელი მეგვიდ-  
დრობას შემოუნახა დიდმა ბელნსკიმ. ა. იუ-  
ქინი იყო ის პიროვნება, რომელიც უშიშრად  
შეეკიდა შექსპირის თეატრს და სამართლია-  
ნად მოიპოვა დიდება და უკავებდა რუსულ  
თეატრალურ ხელოვნებაში.

**დავით ჩხიკვიშვილი**  
სუმბატაუშვილი და შამსკირის თეატრი

- <sup>1</sup> უილიამ შექსპირი „ტრაგედიები“ ტ. II, გვ. 61 თბილისი, „საბჭოთა მწერალი“ 1954 წ.
- \* „ჰამლეტის“ ინტერპრეტაციის შესახებ იხ. ნ. ყიასაშვილი, „შექსპირი“ თბ; 1959.
- <sup>2</sup> А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания..., стр. 553.
- <sup>3</sup> Э. Бескин, А. И. Южин-Сумбатов, «Искусство», М.-Л., 1936, стр. 75—76.
- <sup>4</sup> «Петербургский листок», № 200, 1897 г.
- <sup>5</sup> Н. Эфрос, А. И. Южин, М., 1922, стр. 81.
- <sup>6</sup> А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания...,
- <sup>7</sup> В. Михайловский, стр. 76
- <sup>8</sup> А. Кугель, Театральные портреты, М., 1967, стр. 116.
- <sup>9</sup> В. Михайловский, стр. 76—77.
- <sup>10</sup> А. Яблочкина, Жизнь в театре, «Искусство», М., 1953, стр. 718.
- <sup>11</sup> А. И. Южин-Сумбатов..., Воспоминания, стр. 58.
- <sup>12</sup> А. И. Южин-Сумбатов; Воспоминания..., стр. 60.
- <sup>13</sup> იქვე, გვ. 75.
- <sup>14</sup> იქვე. «Петербургский листок», 1897, № 200.
- <sup>15</sup> Филиппов, Актер А. И. Южин, стр. 81.
- <sup>16</sup> ციტატა ამოღებულია წიგნიდან: В. Филиппов, Актер А. И. Южин, стр. 81—82.
- <sup>17</sup> А. Яблочкина, Жизнь в театре, «Искусство», М., 1953, стр. 117.
- <sup>18</sup> А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания..., стр. 100.
- <sup>19</sup> იხილეთ ი. სუმბათაშვილის არქივში.
- <sup>20</sup> А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания..., стр. 71—72.
- <sup>21</sup> იქვე, გვ. 77-75.
- <sup>22</sup> Русский провинциальный театр, М.-Л., «Искусство», 1937, стр. 61.
- <sup>23</sup> ცნობილი პოლონელი მსახიობი — ტრაგიკოსი, ოტელოს როლის შემსრულებელი.
- <sup>24</sup> А. И. Южин-Сумбатов, Воспоминания..., стр. 89—90.
- <sup>25</sup> «Петербургский листок», 1897, № 200.
- <sup>26</sup> «Ежегодник императорских театров», сезон 1907—1908 гг.
- „ოტელოს“ დეტალური ანალიზი იხ. ნ. ყიასაშვილი „შექსპირის სამყაროში“, თბ., 1968.
- <sup>27</sup> Н. Эфрос, А. И. Южин, М., 1922, стр. 84—85.
- <sup>28</sup> В. Филиппов, Актер А. И. Южин, ВТО, М.-Л., 1941, стр. 11.
- <sup>29</sup> А. Кугель, Театральные портреты, «Искусство», Л.-М., 1967, стр. 301—302.
- <sup>30</sup> В. Филиппов, Актер А. И. Южин, ВТО, М.-Л., 1941, стр. 85—86.
- <sup>31</sup> А. Кугель, Театральные портреты, стр. 114.
- <sup>32</sup> В. Филиппов, Актер А. И. Южин, стр. 85.
- <sup>33</sup> Н. Эфрос, А. И. Южин, стр. 85.
- <sup>34</sup> Вл. Филиппов, Актер А. И. Южин, стр. 85.
- <sup>35</sup> Вера Пашенная, Искусство актрисы, «Искусство», М., 1954, стр. 95.
- <sup>36</sup> Н. Эфрос, А. И. Южин, стр. 85—86.
- <sup>37</sup> Сборник «А. И. Южин, 1882—1922», М., 1922, стр. 79.
- <sup>38</sup> ЦГА ГССР, г. Тбилиси, фонд 2094, д. 80, л. I—II.
- <sup>39</sup> ЦГА ГССР, г. Тбилиси, ф. 2094, д. 80, л. I—II.
- <sup>40</sup> В. Филиппов, Актер А. И. Южин, М.-Л., 1941, стр. 11.



# „საქმიან ნიღა და ნუსითა რჩეული“

(ვახტანგ მეფისის ხსოვნისათვის)

ამ რამდენიმე ხნის წინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში ფართო საზოგადოებამ არქეოლოგთა საჯარო მოხსენება-ანგარიში მოისმინა. ანგარიში ეხებოდა საქართველოს ცნობილი მოღვაწეების ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ მეორის ნეშტთა მდგომარეობას, არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებს, სპეციალისტებმა ევრანზე უჩვენეს შესწავლილი მასალა, საფლავთა სიღრმეში შეგახედეს, გვაჩვენეს მიცვალებულის ძვლები ვით მიმოფანტულან საფლავში ქამთა სიახით, მიცვალებულის ტანსაცმლის ღილებით დაკვირვებულს, ბევრი უწვლიათ მეცნიერებს და უზრუნვეთა იმის გამო რომ საფლავიდან ამოღების შემდეგ მიცვალებულის ტანსაცმლის ძვირფას ღილებს ფერი შესცვლიათ; მათ აუტყვიათ ღილები, სპეციალური ხსნარებით გაუშვარებიათ და ისევ დაუტყვიებიათ მიცვალებულის ტანსაცმლისათვის, როგორც მეცნიერულად საინტერესო არქეოლოგიური რელიქვიანი. უნდა ითქვას: ძნელია გულშეუჭრებლად, განცდილათაგან გაციებული და გაყინული შემეცნებითი ცნობისმოყვარეობით გაჰყუე ამ სურათების ხატებს, რომელიც შენ ცნობიერებაში რჩება და უნებურ მაინც ფიქრობ ისე, თითქოს თავს იმართლებ საყუთარი თავის წინაშე: ეს მეცნიერებაა, ყველაფერი მეცნიერებაა, ყველაფერი ცოდნას ემსახურება, ცოდნა ჩვენს კეთილდღეობას, და ამიტომ უნდა გავთხაროთ საფლავებიც, უნდა შევისწავლოთ დაშრეტილი გვაშობიც და ნეშტნიც ნეშტთანი. მეცნიერება ყოველად უფლებამოსილია და ნებაშისილი.

«Великое изобретение это кладбище!»  
წერს ერთგან ბარათაშვილი. მისთვის სასაფლაო ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის, სიკვდილისა და სიცოცხლის უდადეს ადამიანურ კოხტევენზე დამაფიქრებელი, სიცოცხლის აზრსა და ამოებაზე განსასჯელად ფიქრთა ამშლელი

და პოეტური განწყობის მოპტანი სულის ღრმა სატყეარია. ეს მიმე ლანდშაფტი პოეტისათვის ხელუხლებელი, და წმიდათაწმინდა ძეგლია სიცოცხლისა, მისი მგონსური ხედვისა და აზროვნებისთვის გზად შემოხვედრილი განსჯის საგანი. და თითქმის ისეთივე ვერმისაკარია მისთვის იგი, როგორც „ზუნაართ სამყოფი“ ცაა შეუძლებელი მისაკარებლად და შორეული... მაგრამ არსებობს მეცნიერება, მეცნიერება თავისი შემოწინებელი და „ნებადართული“ სიფართოვით, მეცნიერება — ყოველისმცოდნეობა, და ამოცანად აქვს ამ ვერმისაკარისა და ხელუხლებლის წიად არსებული და მიწაში შენახულიც. ქამთა და დროთაგან მოღწეულ სიწველეთა შემსწავლელი, არსებობს სპეციალური მეცნიერება ამისათვის. ეს არის არქეოლოგია, რომლის სპეციალური დარგი მიცვალებულთა ნეშტებს სწავლობს. შესაძლოა ამ ვიწრო დარგს ნეშტოლოგიაც ჰქვია. არ ვიცი, ალბათ ასეა. მიმე სპეციალობაა, მაგრამ ყველაფერი უჩვეულო ღირებულებას იძენს ადამიანის ცხოვრებაში და ეს სიმძიმეც ღიად და საბატიო მოვალეობად განიცდება.

ღრონი იცვლებიან, მეცნიერების დარგთა კლასიფიკაცია იცვლება... ამ რამდენიმე წლის წინ გამოცემულ ფიზიკის ერთ-ერთ ფუნდამენტალურ სახელმძღვანელოში ამერიკელი ავტორები წერენ, რომ: გეოლოგია ასტრონომიის შემადგენელი ნაწილია. იგი შეისწავლის ერთ-ერთ ციურ სხეულს — დედამიწას. შესაძლოა ამ კლასიფიკაციას მიჰყუე და თქვა, რომ არქეოლოგიაც ასტრონომიის ნაწილია. ზოგჯერ იგი შეისწავლის დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთა ნეშტებს მათი ისტორიული და შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით. იყო დრო, არსებობდნენ დარგები, რომლებიც სწავლობდნენ აგრეთვე ამ ადამიანთა, ე. ი. დედამიწაზე მცხოვრებ სულთა დევანებას სულთა საგანში. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია აქ ის





საოცარი სიმრავლე წახნაგებისა, რომელთა მხარეებიდანაც შეიძლება შეხედო მოვლენას, ამ შემთხვევაში კი არქეოლოგიას, რომელიც „ასტრონომიის ნაწილია“ და შეისწავლის დედამიწის წიაღში შერჩენილ ნაშთებს სიცოცხლისა და რომელსაც შეიძლება უსახლგროდ აინტერესებდეს მიცვალებულის ტანსაცმელზე შენახული ძვირფასი ღირებულებები. უნდა გითხრათ: გულშემართული ცნობისმოყვარეობით ვუსმენდი მეცნიერს, რომელიც ისეთის სკრუპულოზურობით აღწერდა თეიმურაზის ტანსაცმელთა ღირებულების ისტორიას. მაკვირებდა იმ საოცარი მეცნიერული თადარიგის შესაძლებლობა ღირებულების გადასარჩენად, ის მოულოდნელი მეცნიერული მზადყოფნა, სრულიად გაუთვალისწინებელი შემთხვევისათვისაც კი რომ არსებობდა ნეშტების გახსნის მსვლელობაში.

მოგვიტეოსს ვკითხველმა ეს ძნელი საუბარი, მწუხარე თემაზე, მისი ყურადღება გვიანდა სხვა მხარეს მივაპყროთ, არა მეცნიერულ-არქეოლოგიურს, არამედ ეროვნულ ეთიკურსა და მოქალაქეობრივს, რამეთუ რამდენი წახნაგიც არ უნდა ჰქონდეს მოვლენას უპირველესია ადამიანურ-ეთიკური.

საქმე ედება საქართველოს მოღვაწეთ — ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ს, რომელნიც მეფენი იყვნენ — თავიანთი ხედვრითა და შთამოშავლობით. უფრო ზუსტად, ამჯერად ჩვენ ეგებებით საქართველოს მეფეს, რომელიც ქეშპარიტად პოეტრი იყო. ამაში ცუდი არაფერია. მეფე-პოეტებისა და მეფე-ფილოსოფოსების, ანუ სახელმწიფოს ფილოსოფოსის და პოეტ მმართველთა იდეალები თავისი დროისათვის უმაღლეს იდეალებად დაუსახავს მოახროვეთ კაცობრიობას. პოეტის ბედი აქ მეფის ბედზეა გადაჯაჭვული.

საქართველოს მეფენი პოეტები იყვნენ ხშირად: დავით აღმაშენებელი, დიმიტრი მეფე, თამარი, არჩილი, თავად ვახტანგ VI, თეიმურაზ I... დიდად განათლებული თავისი დროისათვის, განმანათლებელი თავად. დიდი საკეთის შემძღვენი გულითა და გონებით, ქვეყნისა და ერის მეტრეფენი, მაგრამ დიდისა და მძიმე ხედვრის ტვირთით მოსილნი. მძიმე ხედვრითა თავად მეფეთა. ამასთან საქართველოს მეფეთა, მაშინ როცა ქვეყანაზე ფიზიკური ძალა მეფებს, როცა წარწყმედილ საუფუნეთა მოხმარებ მპყრობელ ჯალათებს სიხშირეადაც არ მოსდით სათნოებრივი პრინციპების არსებობაზე, კაცობრიული სამართლიანობის პრინციპებზე ფიქრი და სიცოცხლე. ეს მაშინ, როცა, რაოდენ ძლიერი და ამაღლებულიც არ უნდა იყო სულიერად, რაოდენ სათნოებითაც არ უნდა გვეყრას ხელთ შენი კვერთხი, უძლური ხარ ბარბაროსისა და უსინდისო მძარცველის წინაშე. საქართველოს ისტორია რომ პიროვნებებს ცხოვრებასავით გაიხაროს და ღრმად ჩაიხეირო მის სულში, რომ

შეიძლებოდეს და ჩვენი გათვლენისა და მოვლენისა რაცხუფის ისტორია დიდებული კალმით აღწერილ ერთ ნაწარმოებად აჩვენო მთელ კაცობრიობას სცენაზე, კაცობრიობა განიწმინდებოდა იმ დიდი სულიერი კათარზისით, როგორიც შეიძლება ქეშპარიტი ტარაღის ხილვის შემდეგ. სოფლის სამდურავი, რომელიც ჩვენი მეფე-პოეტების შემოქმედებაში სუფევს, ამაყარა რომ თავისი სიწმირით ძვლებში ატანს.

„დამეკლიტა ღბინი, ბანი მორჩიმილთა განა  
კარი,  
ცხრა მწვერვალი სახმილია გულშიგან მაქეს  
განაყარი,  
დამილტვია უბე, კალთა, წინც ბევრი მაქეს  
განაყარი,  
რა ბრალია, შენი მკვრეტი ექმნას სულსა  
განაყარი.“

წერს ვახტანგ VI. „შენი მკვრეტი“ აქ საქართველოს მკვრეტია. საქართველოს მკვრეტი ჰგოდებს აქ მეფე — თავისი ქვეყნის უბედურებით „სახმილ-შეყრილი“. საქართველოს პატრიონი და ვერმეპატრონე, საქართველოს სულზე და სხეულზე ზრუნვით ნაწამები მეფე, ისტორიის ბედუქუდმართ ბორბალში მოყოლილი, თავადაც მოსთქვამდა: „მე ჩემმან ბედმან არ მომცა ეამი ნებისა ჩემისა“—ო.

ამ სტრიქონების დამწერი ახლა ჩვენს წინაშე თავისი ნეშტით წარმოსდგება. ახლა ამ ნეშტის წინაშე ვიყრით მუხლს. ამ ნეშტის, ქირისუფლისათვის ამ გულსაკლავი ნაკვალავის შესახებ გვიანდა შეგვირდეთ და ერისთვის დამავრალი კაცის ხსოვნა ამ საბაბით ვყოთ მეთი: ხეელის წინაშე. მიწისქვეშეთში მიპარულ ნაშთთან, ეამთასიავემიღებულ და ბედის ტრიანლთან ზიარებულ ამ სატიარალთან, ამ ძვლებთან მთელი საქართველოს ბედია დაკავშირებული. თუ გაიხსენებთ რა ცეცხლი და სახმილი ენთო იმ კაცის გულში, ვისი სულიც ამ ძვალთა ქურტულში იყო დავანებული, თუ მის სტრიქონებს გადავხედავთ, თუ გაიხსენებთ, როგორ იწვოდა ვახტანგ მეექვსე, უნდა ვთქვაქროთ: ამ ძვლებში ნაუწყებად ქცეული მისი ცეცხლია ჩალვერდილი. ვახტანგ მეექვსის ძვლები საფლავშიც ცხელია. იგი იწვის და უერთდება დროსა და სივრცეს. და... შეიძლება იფიქრო რომ არავის, არავის აია აქვს უფლება ამ დიდი ღვთაებრივი კანონის ფარდავლადარულ მსვლელობაში შეიტანოს ფოტომაპარატი.

საკმარისია თვალის გადავალთ საქართველოს ეამთა აღმწერლს, ქეშპარიტმეტყველის მიზანში ამოღებულ სურათებს ეამთა სიავისას, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს რა დღეში უხდებოდათ საქართველოს მეფეებს მეფობა, ხლლო უყვე მეფეთ პოეტობა. საკუთრივ ახლა ვახტანგზე გვიანდა შეგვირ-

დეთ. ვახტანგის წინარე საქართველოს შეგავლათ თვალი. დაქუცმაცებულ საქართველოში ძმა ძმას არ ინდობს, იმერეთის მეფე ისევე არა სთმობს ტახტის ძალაუფლებას და ისევე ებრძვის ქართლის მეფეს, როგორც მონღოლეთი რუსეთს, ან გერმანია საფრანგეთს. ამ დაქუცმაცებული სატახტოების მეფობას კი თავად როდი განაგებენ ქართველნი: ან ოსმალეთის ხონთქარმა უნდა დაამტკიცოს იმერეთის მეფობა, ან ირანის შაჰმა, ანსთან, როცა გულს აღარ ელაშქრებდა მეფე, ჩამოართვას მეფობა და აამოს იმას, ტახტის ბოძებით, ვინც ეამება.

მონღოლოვან ნათელი და განადგურებელი, ირანელოვან, თურქთავან, ოსმალებთავან ნარბევი და ნატორა საქართველო ხან ალავე-ალავ მომავრდებოდა, ფეხვე წაოდეგომას დააბირებდა, ხან ფეხვე დარჩენილი იქცეოდა და ყვარჯნებს ეძებდა, და მაინც ინარჩუნებდა ძალას და არსებობას. ჰქონდა სახარება, ჰქონდა ბიბლია, ჰქონდა „ვეფხისტყაოსანი“ და საკუთარი „ცხოვრება ქართლისა“. და მაინც ერთმანეთის შუღმა და შუღლმა შეჰკამა ქვეყანა. იტალიელი მისიონერი, რომელიც 1661 წელს საქართველოში მოხვედრილა ერთხანს, დიონიზო კარლი წერს თავის ჩანაწერებში: „ქართლის, გურიის, სამეგრელოსა და სხვათა მთავარი ერთმანეთის ნათესაეები არიან. ყველა ეს მთავარი რომ შერათებულყო, მეომარსა და საომარ იარაღში გააფუთლ ქართველებს, რომელთა ქვეყნის ალა და სიდიადე იტალიისას არ ჩამოუვარდებდა, შეეძლოთ ამყამად დაძაბუნებული ირანისათვის შავი დღეც ეყენებინათ, როგორც ეს მათ არაერთხელ უქნიათ“. ეს ემშავეული სახმინა, რომელიც ადამიანურია და არა ეროვნული და ამიტომ ყველა ერის ისტორიაში სუფევს, ყველაზე მეტად ისედაც დავარდნილსა და პატარა ქვეყანას ვნებს, ასნეულებს, ასნეულებს და აზიანებს, და მერე გვიანია. მაგრამ ზიანი შეუვალია თითქოს, აუცილებელი და გარდუვალი, როგორც საკუთარი ნებით მოპოვებული, საკუთარი ხელით შეყრილი ყეთრი. განა იგივე არ იყო როცა იოანე პეტრიწი წერდა, მისიონერის თვალი რად უნდოდა ამას. ლამის განდევნილი ამაქვეყნის ცხოვრებათაგან, ამაქვეყნის სიაშებზე ისედაც უარტყმული თავისი საფიქრალით და მაინც ამაქვეყნიურთაგან დევნილი მოსტყვამდა: — „თანსიყვარულმა რომ მქონოდაო თანამემამულეთაგან, ენამცა ენასდა გამეწყო და ხედამცა ფილოსოფოსთა განცდისა მერისტოტელურა“-ო.

ვახტანგის წინარე ვახტანგებს რომ ვადახედოთ, თუ როგორი იყო ბედისწერის გზა ქართველთა ვახტანგ მეექვსემდეგ, ყამთა აღმწერლის რამდენიმე ამონაწერის მოხმობით წარმო-

სდგება ცოცხლად... „ამთ შფოთთა რა უმარად იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო მათ შინა თესვა, და არცა შენება ყოვლადმე, ვითარ დღეთა აქამ მეფისათა ელიას მიერ სამ წელ და ექუს თუე, გარნა აქა ხუთ წელთა იყო ოხრება, რამეთუ ესოდენთა სიბილწეთა სოდომურთა ცოდვლთა შემოსრულთათვის განრისხდა ღმერთი, და ვიქმნენით მიცემულ პირველად მწარესა ტყუეობასა, და მეორედ ბარბაროზთა მიერ სრევასა და ხოცვასა, და მესამედ იქმნა პურის მოკლება, რამეთუ ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად, არცა დილითა ფასითა. ესოდენ განძვინდა შიმშილი, რომელ მძორსა არაწმიდასა ურიდად ჰქმედეს. სავსე იყუნეს უბანნი და ფოლოცნი გზანი, მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მკუდრებოთა. ყმანი მკუდარს თა დედათა მკუდართა ლეშეთა სწოვდინან, და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს, ქვეყანად — ბექასას, საღა იგი იპოვებოდა სასყიდლად... (ქართლის ცხოვრება). მიბლეთრ წინასწარმეტყველებზე ნაყლებს ხელოვანებით როდია აღწერილი გასაქობი ერისა, ტრაგიკოსის დიდებული კალმით არის მიგნებული, და მიზანში ამოღებული საზარელი სურათი: უპატრონოდ დარჩენილ მიცვალებულთა, მკვდარ დედათა მკერდზე შერჩენილი ძუძუთა ბალები, რომლებიც მიცვალებულის ძუძუს სწოვენ. აი, რა დღეშია საქართველო ვახტანგ VI-ის დიდი პაპის საქართველოს 67-ე ბავრატონი მეფის დროს. ყველაფერი დაქცეულია: სულიცა და სხეულიც ერისა და ქვეყნის. მართლაც კარგად აღმოსტევა დავით გურამიშვილმა, როცა წერდა: „ქართლის ჭირსა ევრცინ მოსთელის, თუ არ ბებენი ენამეკვერი“-ო.

ვახტანგი დიდებულად იყო გაზრდილი და იდეალურ მეფედ იყო მომზადებული: ლიტერატურა, ფილოსოფია, აღმოსავლური თუ დასავლური სიბრძნისმეტყველება, თეოლოგია, ენები, გეოგრაფია, კოსმოგრაფია, ქიმია და სხვა... დიდი სიბრძნე დაავროვა. ენციკლოპედიური განათლების მქონემ თავისი ეპოქა როგორც მეფემ, მიუხედავად ესოდენი დარბაჯებისა, ენციკლოპედიურ ეპოქად აქცია საქართველოში: „სწოთედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეყვრა, უფლებას გვაძლევს, ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად“. მაგრამ რა უნდა ექნა საქართველოს მეფეს. ვახტანგს მეფობა პოეზიაზე მეტად ერის ზნეო-

**დენიზა ზუმბაძე**

„სამშობოა წმიდა და წმინდა რჩეული“



ბის გაწვრთნას ავალდებდა და თავად უნივერსალურად განსწავლულმა ბრძენი გამზრდელი-განგან, სისპეტაკემ ურყევად დამყარებულმა, ერის სიცოცხლის ჭეშმარიტმა მესვეურმა სჯულმდებლობა იტვირთა. დაწერა მან წიგნი სამართლისა და „მით სჯილიანო მსაჯულნი“, გამოგვეცემს ვახუშტი ბატონიშვილი ვახტანგის „დასტურლამალის“ შესახებ. ალბათ მაინც იშვიათია მეფე, რომელიც ბიბლიურ მეფეთა მსგავსად, თვითონ ქმნიდეს სამართლის კანონებს, ესოდენ ესმოდეს რაობა სამართლიანობისა, სჯული ერისა და ღვთისა, რომ თავისივე დაწერილი დროის შესაბამისი პოლიტიკური ან აუტორიული კანონებით კი-არა, სამართლის კანონებით სჯიდეს და მართავდეს ქვეყანას.

ვახტანგის ეს „წიგნი სამართლისა“ მრავალმხრივ არის საინტერესო და ჯერ კიდევ შესასწავლი: „ცნობათა სიუხვითაცა და მრავალფეროვნებითაც — წერს ივანე ჯავახიშვილი, — ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნამდვილ დაუშრეტელ განასწავრავდა“. ვახტანგ მეექვსე მეორე დავით აღმაშენებელი იქნებოდა, რომ მედი ჰქონოდა როგორც თავად საქართველოს მეფეს. მაგრამ რამდენადც შესძლო ამ მრავალგზის გაპარტახებული ქვეყნის შენება, აშენა. ერთნაირად ზრუნავდა ერის სულზე და სხეულზე. არხები გაიყვანა. ხიდები ააგო, სასახლეები და ეკლესია-მონასტრები ააშენა. სტამბა დააარსა, ქართული ხელნაწერები შეკრიბა. სწავლულ კაცთა კომისია შეადგინა, გაწვეტილი „ქართლის ცხოვრება“ შეავსო ისტორიით, ქართულ ყრმთა უკეთეს გაყვანა და გაყიდვა აკრძალა. სახარება დასტამბა, ბიბლია დასტამბა: „ვეფხისტყაოსანი“ დასტამბა და განუმარტა მკითხველს, აღმოსავლური შედევრები ათარგმნინა და თავადაც თარგმნა: „ვახტანგ აღგოს და განანალა ქვეყანა ჩვენი წიგნებითა“ (გერმანე-ხუცეს მონაზონი). სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს სიტყვის-გებანი გალექსა და „მალაღობელ სიბრძნედ“ მიაწოდა თავის ქვეყანას. „განუტყებელი ზღუდე, სიტყვიანობა ბრწყინვალე და საქმითა წმიდა, გებმითა შევნიერი და წესითა რჩეული, განზრახვითა მდიდარი, კეთილ-შეწვენიერ-ჰაეროვან-განთიადი“. — წერს ერთი თანამედროვე. ასეთ მეფეს „საქმითა წმიდას და წესითა რჩეულს“ უფლებაც ჰქონდა და ხელნაწერებში კიდევ განმგებლობა ერის სამართლისა და სჯულისა. დიდი სათნოებით აღზრდილი, ვახტანგი დიდად იყო დავალებული სახასიან, რომელიც ღვთის სამსახურში ჩაბირული განდევნილიც იყო და საქირო შემთხვევაში ცეცხლოვანი ერისკაცობისა ვახტანგ მეექვსისა, მეგობარი, პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, მწვრთნელი იყო მისი კაცური ნებაცაც; თუ რაოდენ

იყო ნაბრძმელი ვახტანგი, თუ რაოდენი სიმტკიცე მისი სულისა და რწმენის, ჭეშმარიტ გზის სიყვარულის, ამას სპარსეთში ყოფნის-დროინდელი მისი ეპიზოდური ისტორიანი ცხადჰყოფს:

ირანის შაჰის კარზე ხმობილნი, შაჰისაგან პატივდებულნი, ცოტანი როდი იყვნენ ქართველი ბატონიშვილნი, ერიც რომ დავიწყებოდათ და ღმერთიც. ირანულ ფუფუნებას დახარბებულნი სიმრუშეში იხირებოდნენ, რამეთუ უცხო ხარბისათვის თავგანწირვის გრძობა, მეტრე შაჰისადმი მლიქვნელობით მოპოვებული ძალაუფლებით საქართველოში მოპოვებოდნენ საყვალულოდ და თან მოჰქონდათ თავიანთი წესით და სისხლით მრუშება და დაუნდობლობა. ვახტანგ მეექვსე კი თავისი განუწყრელი მოძღვრით — ბრძენმეტყველი სულხან საბათი, რომელმაც დავით გარეჯის უდაბნო მიატოვა და მუუდაბნოსი ღმერთთან შეერთებულ მლოცვეარებას მოჰკლიჯა სულა, სულხან საბათი, რომელიც ირანში მიპატოვებულ გაზრდილს ვაჟყვ მეფობის დასამტკიცებლად, შაჰის კარზე ფაქტიურად ტყვედ ჩავარდნილი, ქრისტეს ცეცხლოვანი დამცველი, „გარსკვლავთა კატალოგს“ ადგენდა და ზეცის აგებულებაზე ფიქრობდა. ფიქრობდა იმაზე როგორ მოეტყუა ეს ცოდნა თავისი ხალხისთვის, რომელსაც ცაზე შესამზერად ფაქტიურად არ ეცალა. სამართლის პრინციპებით გაზრდილი, სახარებით შთაგონებული, ქრისტიანობით მაცხოვარი, მეფე ვახტანგი, თავად დიდსულთვანი, დიდსულთვანებს ელოდა დიდ სახელმწიფოთაგან და არ კი ეგონა რომ უანგაროდ მეფე მეფეს არაფერს მისცემდა. ირანის შაჰს მისი მეფობის დამტკიცებასთან ერთად თავისი საკუთარი შურისგება ჰქონდა აშლილი: სამეფო ბეჭდის დასტურში პატივად უნდა უარეყო ვახტანგს და მაჰმადიანად დაბრუნებულს ემართა ქართლი. ეს დიდებული სულის კაცი თავისი ქვეყნის ფიზიკურა უმწეობის გამო უსაზრდრესი მორალის, უკადურესი სულერი სიმუნთლისა და ვერაგობის შემძლე ბარბაროსზე იყო დამოკიდებული. ვახტანგმა დიდხანს იბრძოლა რათა მაჰმადიანობის საზარელი ნიღაბი აეცილებინა. ბალღური უბიწოებით მორწმუნე ქრისტესიც, ვერც ნიღბის მიკარებას ეგუებოდა. არადა ეს ნიღაბი იყო მეფობის განმტკიცებისა და ერის სამსახურის ერთადერთი გზა. ერის სამსახურით ქრისტეს სამსახური მეფისათვის უწმიდესი მოვალეობა იყო. რასაც გულგამხეციებით შეგნებულად ბღალავდა და აჰუჰყვანებდა ბარბაროსი; ამასთან დამპყრობლად მოვლენადა, იგი ისეთი ქვეყნის სათავეში მოქცეულიყო, რომლის წიაღებშიც უსათუთესი და დიდებული პოეზია იყო დაბუდებული, ქართველთა მზობლავი დიდი და ნათელი სიბრძნის მარგალიტები, სიბრძნისა და სიყვარუ-





ლის ზღაპრული ვენებანი: ბადაგი სპარსული პოეზიისა და შხამი სპარსული ვერავობის, ერთიანად იგემეს ქართველებმა. ირანის შაჰის პოლიტიკური ყოფიერების ფორმა არ კრძალავდა არავითარ სულელო შეურაცხყოფას. ვახტანგ მეექვსე კი რომანტიკოსი აღმოჩნდა როგორც მეფედ განწირული მორწმუნე. ქრისტიანად ყოფნა და შაჰის სამსახური ამჟობინა. ეგონა რომ ამით ღმერთი დააყენა ერის წინაშე. უარი თქვა მეფობაზე და შაჰს მოახსენა: გამაჰმადიანებელი ბატონიშვილების მეტი რა გვაყვს, რომელიც გინდა ის გავაზენ მეფედ. მე აქ დავრჩები და ქრისტიანად გემსახურებო. ვახტანგი იმ რაინდობისა და სამართლიანობის ენაზე ელაპარაკებოდა დამპყრობელს, რომლითაც უნდოდა, რომ მთელი ქვეყანა ყოფილიყო მონუქობილი. არ იცოდა საბას გაზრდილმა მეფემ (უფრო სწორად იცოდა ალბათ და არ უნდოდა ამ ცოდნის ენაზე ემართა თავისი სიცოცხლე), არ იცოდა, რომ პიროვნების შეურაცხყოფა და სინდისის დაჭრა, ბარბაროსული პოლიტიკის შაჰისათვის აკრძალული ეთიკურა ნორმა როდია. პირიქით შაჰის ნორმები პიროვნების შეურაცხყოფის ყველაზე მტკივნეულის მოძებნისა და ფეხის დაჭერის, ფიზიკურად დაძულებუბულთა და სულიერად მძლავრთა გათვლებისა და წველების კანონზომიერი ნორმები იყო. ვახტანგის თავგანწირვა ქრისტიანთათვის ამ მიზნით როდი იყო მისგან დასაშვავი, რომ ქრისტიანის შეურაცხყოფას სწირავდა მამკიდს. ასეთი თავისგანწირვა თავისგანწირვას როდი ებრძოდა-იგი. ებრძოდა ძალა ძალას — სარგებლიანობის ველური პრინციპით. მოქცევა როდი სურდა მართლა, სურდა დამონება მოქცივის საბაბით. ღმერთისა და ერის სამსახურის განუყოფლობა ვახტანგ მეფისათვის, ამ სამსახურის შებღალვა, ცოდვისა და დანაშაულის გრძნობას როდი უღვივებდა ირანელ დამპყრობელს. უსინდისოდ გლეჯდა ვიღაც სპარსელი ვახტანგის პიროვნებაში გამოლიანებულ მორწმუნესა და მეფეს. და საოცარი რამ მოხდა. არ ვიცი არის თუ არა მსგავსი რამ ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში. ვახტანგის მეფობა იმდენად სწეუროდა საქართველოს, რომ საქართველოს ქრისტიანულმა სამღვდლოებამ საეკლესიო კრება მოიწვია და ეკლესიამ მოსთხოვა ვახტანგს მამკიდიანობის მიღება. არც ღმერთსა და არც ერს, არც ეკლესიას არ ეპარებოდა ეკვი ვახტანგის სულში. ეტყობა საბავახტანგეზით ებრძოდა ნიღაბს. დავით გარეჯის უღაბნოში წლობით მლოცვარე სასწაულს ელოდა, ელოდა ირმებს, რომლებიც რქეს მოუტანდნენ თავიანთი ჭქძეთი უღაბნოში დარჩენილ, შიმშილით დაღლილ მლოცვარე მეფეს. ვერ უშეგებდნენ საბა და გაზრდილი მისი, რომ დავით გარეჯის გველეხში უფრო შეიძლებოდა ირმების სასწაული, ვინემ ამ დამპყრობე-

ლის ბუნავში. წმინდანად გაზრდილი მეფე პოლიტიკის ენაზე ვერ ალაპარაკავ. ვერა და ვერ შეეგუა პოლიტიკოსში წმინდანის დამარცხებას. ვერ შეეგუა და ვერ დაუშვა რომ შეუძლებელია ურწმუნოს ელაპარაკო მორწმუნის ენაზე. ბარბაროსი — რაინდის, უწმინდურს — წმინდანის, უსინდისოს — სინდისის ენაზე. იგი ისევ ჭვარციმის დანაშაულს ინანიებდა და ვერ ინელებდა, ისევ ღვთისშობლის ღვდურ გლოვას უღრმავდებოდა შვილის წამების შემდეგ, და ამ წამებას ზიარებელი, პოეტური შეგების შეძენელი უწერდა: „ვამ რა მწარედ იწუვოდა ნაწლევანი მარამისა“-ო. ეკლესიის განაჩენმა კიდევ უფრო გააშწრა ვახტანგი. საბა ვაპარა საიღუმლოდ საფრანგეთში მფარველობის სათხოვად. ევროპაში სცადა მხსნელის აღმოჩენა: ეგებ საქრისტიანო ევროპაში მოცეალა ვინმეს დიდი კეთილშობილებებისთვის. ყველაზე დიდი და ყველაზე გულუხვი მეფე ფრანკისა ეიმედებოდა ვახტანგს, მაგრამ ესეც ვახტანგი დაბუდებული პოეტის ოცნება აღმოჩნდა. როგორც ვიცით ამთოდ დამწარა და დაიქანცა მოხუცი საბა ფრანკის მეფისა და რომის პაპისაგან წყალობის ძიებით. ამოთება სუფევდა ირგვლივ ვახტანგისთვის. საქართველო-იბერია დიდხანს ეშუღებოდათ ევროპაში: ხან ეს-პანეთის იბერია ეგონათ, ხან ირლანდიის. არავის ეცალა, ან ვის უნდა მოცეალა, არავის ახსოვდა პატარა ქვეყნის დიდი და მძალი პატრონი. საბასთვის ვახტანგი საქართველო იყო. ვახტანგისთვის საბას „ეწუვოდა ნაწლევნი“, უნდოდა შეუბღალავად ეხსნა იგი და სიცოცხლეს არ ზოგავდა: „ვიცა მოკედნენ მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიანო“, ესეც ახსოვდა მოძღვარს და მამას... სპარსეთის კარზე წლობით ტანჯული, გადაწასახლებ-გაღმოსასახლები, ვახტანგი იძულებული იყო მამკიდიანობის ეს უარყოფილი ნიღაბი მიეღო და ისე ჩამოსულიყო მეფედ საქართველოში. გაპირვების შემთხვევაში კი აღარ მიიხედავდა სპარსეთისკენ. ყველა გზა მოჭრილი იყო. ერთადერთი ერთ-მორწმუნე რუსეთი რჩებოდა, სადაც თავისი ოჯახით და აშლით გაემართა მეგობარს დაპარებული საქართველოს მეფე. მეფის რუსეთმა ქრისტეს რუსული არ დაამოხინა ვახტანგს, პაგრამ უსასყიდლოდ დახმარებისა და დიდსულელებების სასწაული არც მას მოუხდენია. ქვეშევრდომობა მოსთხოვა მეფეს. საქართველოს ამყ მეფეს კი მონობა რომ სდომოდა, მონობის გზა სხვაც ბევრი იყო. მეფის რუსეთისაგანაც გაწობილებული და გაყიდული, ვახტანგი მოსკოვიდან მდინარით გამოიგზავნებოდა, გულგატეხილი და დაღლილი, ატრახანში შეჩერდა, ქვეშევრდომობაზე უარი განაცხადა და დამაშვრალი და დამარცხებული მოიწევა თა-

**დენისა ზმებაძე**  
„სამქიოთა წმიდა და წსიტისა რჩეული“



ვინი ბედისწერის უღელში შემბმული, რომ და-  
ლა აღარ ეყო, სამშობლომდე ვერ მოაღწია;  
როგორც ჩუის ისტორიკოსი წერს, მისი ნატუ-  
რით სიცოცხლემოსწრადებული გარდაცვალა  
ასტრახანში. იმპერატორის ბრძანებით ასტრახან-  
ველს მეფე პატივით დაუკრძალავთ ასტრახან-  
ის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში... დიდი  
უბედურება დასტენიათ ამ სიყვდილით ქართ-  
ველთ. დავით გურამიშვილის გოდებამ უკვდავ-  
ყო ეს სატირალო.

„ვთი, რა ბოძი წაგვექცა, სახლ-კარი  
თავს დაგვექცათ!  
ლხინი, შეება და სიახე სულ ჭირად  
გადაგვექცაო.  
ჩვენ ყმანი დავრჩით, პატრონი წვიდა,  
შორს გაგვექცაო,  
გაფრთხილდი, შენც არ დაგვექცე, ღვთის  
მაცა, მაგრა დექცაო!“

ეს დიდი ბოძი, რომელიც საქართველოს  
ჭერს უნდა შეპყრდნობოდა, ეს დიდი პატრონა  
თავის მიწას ვერ მოღწეული, თავისი ერისა-  
გან, რომელსაც მართლა ეტრფოდა და რომლი-  
თვისაც მართლა იწვოდა, დაუტრირებელი დარ-  
ჩა.

რანი და მოვავანი და, სახლი და, კარი  
ბანი, და  
გათვდა ყოვლი წერილი, ანი, ბანი, და...  
განი, და...  
ვიარე ყოვლა სოფელი, სიგრძე და სიგრძე,  
განი, და  
ვერა ეპოვე რა მის მეტი, დავყარე  
ძმა და დანი, და...  
ხორცს მრავალი დავაკლე, სულს  
მივიცე იქი რჯანი, და  
ვამ ვამ მსაჯეს უბრალოდ არ მომცეს  
მე აჯანი, და  
(ვახტანგ VI).

ეს დიდი მკვიდრი საქართველოსი უცხოდ  
და უშვიდროდ მიეზარა მიწას. „მკვიდრი უშ-  
ვიდრო შეიქმნა“, როგორც თვითონა წერდა  
უცხოდ მყოფი ირანში. ამ დიდი და მგზნებარე  
მოღვაწის, ამ შესანიშნავი და მოშიზღლავი პოე-  
ტის, ერის სულზე და გულზე, ერის საგანძურ-  
ის მამურალის და თავის ქვეყანაზე, როგორც  
სატრფოზე შეყვარებულის (ვახტანგის ლექსებ-  
ში ვერ გაარჩევთ საქართველოზეა ლაპარაკი თუ  
სატრფო ქალზე!), სჯულმდებლის, ვარსკვლავ-  
ამირიხველის, და მეცნიერის ნეშტს ვეკარე-  
ბოდით სიტყვიერად რაცა მკითხველის ყურა-  
დღება ვითხოვეთ ამ წერილის დასაწყისში.  
აღარ შეგჩერდებით თეიმურაზ მეორეზე, რო-  
მელსაც სპეციალისტები დიდად მნიშვნელოვან  
პოლიტიკურ მოღვაწედ და მამულიშვილად  
სთვლიან, პატივისცემისა და არდავიწყების  
ღირსად.

ვახტანგის ნეშტი, მისი დროთაგან, შეუ-  
ხელი საფლავიდან ამოღებული ძვლები, აღწე-  
ლებდა ყველა ქართველს და ყველა მოქალა-  
ქეს. წარწერა საფლავზე, რომ აქ მარხია მეფე  
ქართველთა, დიდებული სოლომონიან-ბაგრა-  
ტიონი, სამარისი იყო ცნობისმოყვარე მძა-  
რეველთათვის, რათა მრავალგზის ჩაეხედათ ამ  
შემომრწმინათ მიცვალებულა, შეეხედათ იქ,  
სადაც აკრძალულია მივარება და ვერაფრის  
მპოვნეთ სიბრაზით შეემუსრათ ნასიცოცხ-  
ლარი.

არის რაღაც დიდი და დაუწერელი კანონები,  
რომლებზედაც არ ვმსჯელობთ და რომლებიც  
ნათელია, და რომელთა დაცვის გარეშე რაღაც  
მძიმე და უსიამოვნო ქაოსი დადგებოდა ქვეყ-  
ნად. ყველა დროსა და ყველა ხალხსა აქვს ამ-  
გვარი კანონები. ამ დაუწერელთა შორის და-  
წერილ კანონებში ძველ წმინდა წიგნებში ერ-  
თი საინტერესო სჯულია დაცული: საველი-  
მისასჯელ ცოდვად ითვლება მიცვალებულს  
სულის გამოძახება. ბიბლიური წინასწარმეტ-  
ყველისდროინდელი მავიერი ცოდნა, რომე-  
ლიც ამგვარ საციოხებას ამუშავებდა საიდუმ-  
ლოდ, როგორც ჩანს, ნიდავსაც ქმნიდა ამგე-  
რი კანონის გამოცემისათვის; დაეხებული სუ-  
ლის შეწვება, სულის სამყაროში აღმდინური  
„ხელის ფათური“ მომავდინებელ ცოდვად და  
დანაშაულად ითვლებოდა. ასეთი შავი დანაშა-  
ულების გამო იყო, რომ დანტე ალიგიერმა თა-  
ვის „ჯოჯოხეთში“ მითათხა შავი მოგვები,  
ყველაზე ღრმად, და ყველაზე მძიმე სასჯელის  
მოსახდელად. შეიძლება თქვას, რომ მიწის  
მიბარებული მიცვალებულის ნეშტიც აკრძა-  
ლულ წიაღში იმყოფება. იგი შეერთებული  
მთელი ღვდამიწის ღინებას, აღმდინისა-  
გან დამოუტოდებელ იდუმალებას, აქაც საკი-  
როებს მოკრძალებას. არავის სჯირდება ამის  
თქმა. ეს დაუწერელი სიტყვად, გვიჩრობ,  
ყოველი დროისა და ხალხის: კარგად გამოხა-  
ტავს ამ კანონს ქართული სიტყვის ძალა: „და-  
კრძალვა“. იგი აკრძალვასთან“ და „აკრძალვას-  
თან“ არის დავაწირებული შინაგანად. ნეშტის  
ადგილიდან დამტრა მხოლოდ რაღაც გარკვეული  
რიტუალით შეიძლება. სხვა შემთხვევაში უშ-  
ლება პირა აქვს არავის, არა ამ ნეშტის, არამედ  
იმ პიროვნებისადმი მოკრძალებისა და პატივი-  
სცემის ნიშნად, რომელსაც ეს ნეშტი ეკუთვ-  
ნის. ნეშტისადმი პატივისცემაში გრძელდება  
რაღაც ფორმით თვით პიროვნებისადმი პატი-  
ვისცემა. უპატივემულობით და გათულებით  
კი გრძელდება მისი უპატივემულობა და შე-  
ურაცხყოფა. მართალი იყო მეფე თამარი,  
როცა მან დამალა თავისი საფლავი. ბევრი მა-  
გალითის გახსენება შეიძლება აცტეკების, ევ-  
გიბტის, პერსების და სხვათა ცხოვრებიდან.  
როგორც ათრევის ჰექტორის გვამს შურისძიებათ  
აღვსილი აქილევსი და სხვა. ერთი სიტყვით,  
ნეშტი შეიძლება უამრავი მოვლენის, განწყო-

ბინ, ერთგულებინ, შეურაცხყოფინ, პატივის, დიდებისა და უარყოფის სიმბოლო გახდეს. როცა ალექსანდრე მკაცრონელს მეგობარი ვარაუდევალა ლაშქრობის დროს, მეგობარი, რომელსაც ლამის აღმერთებდა იგი, ალექსანდრემ დელფოში აფრინა კაცები. ქურთმთავან უნდოდა შეეტყო პასუხი: როგორ დაეკრძალა თავისი მეგობარი, როგორც ადამიანი თუ როგორც ღმერთი. ყველაზე დიდი წყევლა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის თავს მიმართა, ხომ ის იყო: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემსა წინაპართ საფლავებს შორის“. ხოლო აკაკი წერეთელმა ერთადერთ ვედრებად მშობელი ქვეყნის მიმართ ასე წარმოსთქვა: „დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო“. რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს შემოქმედი, მის ადამიანურ სხეულს თან ახლავს თავის მიწასთან, როგორც საკუთარ სხეულთან გაყრის ტკივილი. ეს ტკივილი ხშირად შეუქცნობელია და უხილავი სენიით უჩინდება ადამიანს. ამიტომ ბუნებრივია ის გამოუთქმელი და თითქოსდა უაზრო სურვილი სიკვდილისა საკუთარ ქვეყანაში. თითქოს თავად სხეულშიც არის საკუთარ ბუნებად განფენილი, თანდაყოლილი ღტოლვა საკუთარი მიწისკენ, თითქოს ყოველი ელტვის საკუთარ მიწას, როგორც საკუთარი არსების ნათესაურად შეწყობილ გარემოებას. — ბრძენისთვის-ამბობენ. ბერძნები, — რომელიმე თავისი ქვეყანა კი არა, მთელი სამყაროა სამშობლო. ჭეშმარიტად მაგრამ რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს პოეტო თუ მოაზროვნე, რაოდენ საკაცობრიოც არ უნდა იყოს მისი ნათქვამი და ნაღვაწი და რაოდენ ბრძნულიც, მის ადამიანურ სულ-

სა და სხეულს თან ახლავს თავისი მიწის, როგორც სიცოცხლის მისის, სულის მისის დადი სადგურის სიყვარული. ამიტომ იყო რომ ბაირონის გულამოცლილი სხეული ინგლისში წაიღეს საბერძნეთიდან. ამიტომ იყო, დანტეს ნეშტისთვის ორი ქალაქი მტერვით რომ ებრძოდა ერთმანეთს, ამიტომ იყო რომ ბარათაშვილის ძეგლები განჯიდან თბილისს ვადმოვასვენეთ, დიდუბის ეკლესიის გვერდით დაეკრძალეთ და მერე, უფრო დიდი თავყანისცემის დასტურად უფრო მაღალ მთაზე ავიტანეთ, სიცოცხლეშივე მისივე სულას შეების სავანედ აღიარებულ მთაწმინდაში.

გზაზე დარჩენილი მამულიანი პოეტის, სამშობლოში მოღწევის სურვილით გაღვლევი ვახტანგის ძეგლებიც გაიხარებენ საქართველოს მიწაში. ჩვენი ვახუშტელის ჰაერი მოხედავთ, საქართველოს მიწაში ვაცხელდებიან და მადლიერებით გათბებიან. არ არის საჭირო დიდი სჯა. თუ ბედისწერით არ დაირღვა, უპირველესად თავის სამშობლო მიწას უნდა მიბაზრო მცვალებულის ნეშტი. თავისმა ჭირისუფალმა უნდა მოუაროს მის საფლავს, სანამ არსებობს ჭირისუფალი. ეს ჭირისუფალი კი არსებობს. მთელი საქართველოა ვახტანგ მეექვსის ჭირისუფალი, ისევე როგორც მთელი საქართველოა მისი სულისა და მისი პოეზიის განმკითხველი.

ვისაც დიდი აქვს საზრუნავი, პატრონიც დიდი ჰყავს... თუ თვითონ ვერა, ვახტანგის ძეგლები მინც დაბრუნდებიან საქართველოში და სავგარეულო მიწის მტკაველს მადლიერებით ეზარებებიან ბავრატოთა კუთვნილ სვეტიცხოვლის მიწაში.







მარიკა ჩიქოვანი

## დღიურები

რვა წლის განმავლობაში თავს ვიკავებდი ამ საბუთის გამოქვეყნებისაგან იმ მოსაზრებით, რომ ამებმა, რომლებიც მოთხრობილია ამ დღიურში, უკვე ჰპოვეს თავისებური გამოხატულება სიმონ ჩიქოვანის ბოლო წლების შემოქმედებაში, ხოლო შემოქმედებისათვის შემოქმედის ბიოგრაფიით წაშველება მე, საერთოდ, არასაკადრის საქციელად მიმაჩნია. მაგრამ ამ რვა თუ ათი წლის განმავლობაში სიმონ ჩიქოვანის შესახებ არ დაწერილა არც ერთი წერილი თუ გამოკვლევა, ლექსი თუ მოგონება, რომელშიც არ იყო საგანგებოდ მოხსენებული მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. მკითხველი საზოგადოების უფრადღების ასეთმა გამხვავლებამ პოეტის ბიოგრაფიის ბოლო მონაკვეთზე მათქიცრებინა, რომ მკითხველისათვის ალბათ, უმჯობესი იქნება ინფორმაციის მიღება უშუალოდ პირველწყაროდან.

მკითხველმა უნდა გაიგოს, რომ ჩემთვის სრულიად შეუძლებელი იყო რაიმე შესწორების შეტანა მარიკას დღიურში. მხოლოდ ამ მიზეზით არის დატოვებული ტექსტში უკვლევა რუმინურების გადაცილებული, მაგრამ ერთადერთი შევილის მშობლებისათვის მისატყვებელი ქება ჩემი მისამართით. იმავე მიზეზით არ შევამოკლდე ისეთი ადგილები, რომლებიც შეიძლება მოსაწყენი იყოს მკითხველისათვის, მაგალითად, მნახველთა საკმაოდ გრძელი ჩამოთვლები. ამ ჩამოთვლებში ზოგი სახელი კარგადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ზოგიც არა. მაგრამ მე მაინც მოვერიდე მკითხველის გაგზავნას კომენტარში, რათა იქ, თითქმის ყველა სახელის გასწვრივ, მისთვის დაუმხვედრებინა საკმაოდ ერთფეროვანი განმარტებები: „სიმონისა და მარიკას სიყრმის მეგობარი“, ან „ჩვენი ოჯახის ძველი მეგობარი“ ან კიდევ „ჩვენი ოჯახის ახლო მეგობარი“. მე მხოლოდ ვთხოვე მკითხველს, ასეთებდა იგულოს „დღიურში“ ნახსენებ პირთა უმრავლესობა. და თუ მას „დღიურში“ გაუჭირდა მარიკას ან სიმონის დების გარჩევა მათი მეგობრებისაგან, ესეც სამართლიანად მიმაჩნია, რადგან ყველა ისინი თანასწორნი იყვნენ ზრუნვასა და სიყვარულში:

ახლა ორიოდ სიტყვა იმ ვითარების შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა „დღიურის“ დაწერას: 1962 წლის აგვისტოში მარიკას აღმოაჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. მან გაიკეთა ოპერაცია და გაიარა მკურნალობის სათანადო კურსი, მაგრამ ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1963 წლის აგვისტოში მას დაეწყო აუტანელი ტკივილები კისრის არეში — გამოვლინდა მეტასტაზი, რომელიც ხერხემალში გახუდდა. მდგომარეობა თითქმის უიმედო იყო, მაგრამ სამიტაზი, რომელიც ხერხემალში გახუდდა, მდგომარეობის დროს კატასტროფულად გაუარესდა სიმონის მხედველობა — პრაქტიკულად იგი დაბრმავდა. სიმონი მოვთავსებულა ვადმყოფოში, სადაც მას მკურნალობდა პროფესორი ნ. ბერაძე. თერაპიულმა საშუალებებმა შედეგი არ გამოიღო, ამიტომ გადაწყდა თვალის ოპერაციის გაკეთება. ოპერაციამდე სიმონი გამოწერეს საავადმყოფოდან, რათა დაეხსენა სახლში, ემკურნალა დიაბეტი და ფსიქოლოგიურად მომზადებულიყო საოპერაციოდ. ეს მოხდა 1964 წლის 27 მარტს. ამ დღეს იწყება მარიკას დღიურიც.

6035 ჩიქოვანი

27/III, 1964 წ.

სალამოს 7 საათზე დაბრუნდა სიმონი საავადმყოფოდან. მე დავხვდი ფეხზე. რომ შემოვიდა თავის სახლში, დერეფანში გაჩერდა უმწეოდ და საცოდავად სთქვა „ვერაფერს ვერ ვხედავ...“ საშინელება იყო, ცრემლები ვერ შევიკავეთ. შემდეგ თანდათან გაერთო, ჩვენები მოვიდნენ, გურამ ასათიანიც იყო.

28/III, 1964 წ.

სახლში მოსვლა მაინც ძალიან მიაშაო. მთელი დღე ყოჩაღად არის, მიზის ლოგინთან, სავარძელში, ვუკითხავ ვაზეთებს, ეურნალებს. სალამოს მოსკოვიდან ანდრონიკაშვილებმა დარქვეს, მოიკითხეს სიყვარულით. იყვნენ ბესო, ეთერი, ვია, და სხვ. ღამე, ძილის წინ, ნიკაძე უკითხა.

29/III, 1964 წ.

კვირა დღეა. კვირილე ზღანევიჩმა მოუტანა თავისი წიგნი, „ზარია ვოსტოკაში“ გამოცემული, ფიროსმანზე. ვუკითხე, მერე ვესმინეთ რადიოს, გადაცემდნენ მწველავ ქალზე. სიმონმა სთქვა, ძალიან კარგი ლექსის დაწერა შეიძლება მწველავზე: ქალი, სოფელი, ფიროსმანის ძროხა და მწველავი, ხბო და სხვ. მივიჩივს რატომ არ დავწერეთ. სალამოს, როგორც ყოველთვის, იყვნენ სტუმრები.

30/III, 1964 წ.

დღეს ვერ არის გუნებაზე. ვუთხარი, იქნებ მოსკოვში წავიდეთ-მეთქი. უარი მითხრა, ასეთ მდგომარეობაში არ წავალ, ქვეყანა მოვა და არ შემოძლიაო. კატარაქტს აქ მოვიშორებ და, თუ თვალთ ამებილა, მერე წავალ, თუ არა და საერთოდ სიცოცხლე არ მინდაო. რა ვქნა, არ ვიცი! სალამოს უცებ დაიწყო თავისი ხელის თვალთვლება, თქვა, ვხედავ ხელსო, ჩემი ხალათიც დანახა, საერთოდ მწვანეს და ცისფერს უფრო ხედავს. ნიკას ელოდება მოუთმენლად სამსახურიდან, ისიც მორის ვაზეთებში. უკითხავს, უყვება ახალ ამბებს. დღეს „მნათობის“ იუბილეა. გააგზავნა დეპეშა. მერე გვიამბეს, რომ ხალხს გულთბილად მიუღია, როდესაც წაიკითხეს. ანტერგეებს, რა იყო საერთოდ საღამოზე. დავურჩევთ თინა ასათიანს, გვიამბო, კარგად ჩატარებულა საღამო.

31/III, 1964 წ.

დილიდან თითქოს უკეთ ხედავს. იყვნენ ლამარა აბაშიძე და გოგუჯა. მოუყვეს სალამოს ამბები. მერე ვიკითხეთ ეურნალ „ამერიკაში“ სტატია თანამედროვე არქიტექტურაზე. როგორ მინდოდაო, რომ ნიკა არქიტექტორი ყოფილიყო, მაგრამ ეხლანდელ ტიპიური პროექტების დროს რა უნდა ეკეთებინა. გვაკითხვებს, თუ კი რამეა ფეხბურთზე. იყო გიორგი მხეიძე. ამ კაცს ოცი წელიწადია ვაწვალებთ და მე მგონია მაგ აცოცხლებს სიმონს. სიმონს

ნის საერთო მდგომარეობა მოიწონა, სთქვა, ოპერაციის გაკეთება შეიძლებაო.



1/IV, 1964 წ.

დღეს მწერალთა კავშირიდან მოვიდნენ ჭილაია, ქუთათელი და გაბესკირია. მოუტანეს და გადასცეს შეგენეოს საიუბილეო კომიტეტის მიერ გამოგზავნილი მედალი და შეგენეოს წიგნი. ძალიან ესიამოვნა ყურადღება, საქართველოში მგონი მართო სიმონმა მიიღო. იყო ვია, უამბო „მნათობის“ ბანკეტის ამბებზე ვუსმენთ ფეხბურთის რეპორტაჟს. ვიკითხეთ. სალამოს იყო ბესო, დავემშვიდობა პარიზში წასვლის წინ. ისევ დარქვეს ანდრონიკაშვილებმა, რა ყურადღებანი და მოყვარული ხალხია. მათ პატივისცემას ვერასოდეს გადავიხდით. ამასწინათ ვივა სეციალურად ჩვენთან ჩამოვიდა, ჩემთან იყო ერთი კვირა, გამიკეთა რიკ ოთახში რემონტი და რა ვიცი, რომელი ერთი ეთქვა. ანტოკოსკებმა შემოგვითვალეს, იქნებ ფული გვირდებოთ, გამოგვგზავნითო. რა ჯობია კარგ შეგობრებს. ჩვენებიც გვევლებიან თავზე, სუსანა და ელისო შევიკალით ავტო წელიწადზე მეტია.

2/IV, 1964 წ.

დღეს ესვირნობდით ოთახებში ერთად, რომელს რომელი დაგვყავს ვერ მიხვდებოდა კაცი. ვუსმენთ რადიოს, ვკითხულობთ. სალამოს ართობდნენ ნიკა და ზურიკო, მათთან საუბარი ძალიან უყვარს. ღამის 11 საათზე დარქვეს ნალჩივიდან, ყაისინ ყულეივა მოიკითხა დიდი სიყვარულით (ეს მეორედ რქავს). მერე დარქვეს ნუნამ და ვერცოვმ სოჭიდან.

3/IV, 1964 წ.

დღეს ძალიან ცუდად ხედავს, ძარღვები აშლილი აქვს. თითქმის შუადღემდე უსმენდა რადიოს, ჩინეთზე იყო გადაცემა. ანალიზების პასუხი არ იყო მაინც და მაინც კარგი. იღვე უფრო აეშალა ძარღვები. საღამოთი მოვიდა სერგო კლდიაშვილი, ცოტათი გაერთო.

4/IV, 1964 წ.

დღეს მითხრა, ოც წელზე მეტს დაიბეჭით დაავადებული კაცი ვერ იცხოვრებს და ალბათ ჩემი ბოლოც მოდისო. გავგოყდები, თუ ასეთი უიმედობა მოიკაცს, — მაშინ მართლა არაფერი გვიშველის. მე ოხერსაც ყველაფერი მტკივა, რა დროს ჩემი ავადმყოფობაა, ცვდილობს უფრო ვეხვე ვიყო. ვერ ვწვები — შემინია არაფერს დაეჭახოს. ჩემი არ ერიდება, დამადებს მხარზე ხელს და ასე დავდივართ. სხვების ერიდება. როცა სტუმარი მოდის, ურჩევნია თავის ოთახში დახედეს, სავარძელში დამჯდარი.

ვკითხულობდით ბლოკის ლექსებს, თქვა: „შენ წარმოიდგინე, ცოტა გახუნებულაო, ზო-



იყო ახალგაზრდა კრიტიკოსი ციციაშვილი, მოუტანა „ლიტ. აპარა“ — თავისი სტატიით სიმონზე. იმუსიაფეს ერთი საათი. საღამოთი სიმონი, მე და ელისო ვიყავით მარტო, ბევრი ელაპარაკეთ ისევ მოსკოვში წასვლაზე, ძალიან უარაღე. ჩვენ მაინც მომხრე ვართ მოსკოვში წაყვანის, იქნებ იქ რამე ახალი იციან, ყველაფერი საუკებესოდ უნდა გაკეთდეს, ეს ხომ სიმონის თვალუბს ეხება. მეორე მხრივ, იქნებ ისე ინერვიულოს, რომ შუაქარი და საერთო მდგომარეობა ისე აერიოს, კიდევ რამდენიმე თვით ვადაიღოს ოპერაცია. ერთი სიტყვით, ძნელი გადასაწყვეტია. საღამოთი უცებ ჩემი თავი დაინახა, ვახარადა, ვადამისვა ხელი. სა-ოტარია, ასე ერთი წუთით რამეს დაინახავს, შემდეგ ისევ არაფერს.

გიორგი ლექსი ვეღარ ტოვებს იმ შთაბეჭდილებას, უწინ რომ ტოვებდაო. მერე მთხოვა პასტერნაკის ლექსები წამეკითხა „На ранних поездах“ ეს უფრო დამშვიდებელი ლექსებიაო. ბორისის ლექსებში „Сосны“ წამეკითხა ორჯერ და თქვა „Как спокойно и просто написано“. „Дрозды“ უყვარს კიდევ ძალიან.

საღამოთი ნიკა იყო ჩვენი პატრონი, რა ბიჭია! მე მგონია მეორე არ არის ასეთი. ორ თვე ნახევარი სიმონთან იყო საავადმყოფოში და იქიდან დადიოდა სამსახურში. დღე საშუა ადგა თავზე, ძალიან მოუარა. ნიკამ გაუქვთა ფეხის აბაზანა და დააწვინა. ვენაცვალე, არასოდეს არაფერი გაუქვთებია და ესლა ისე კარგად ახარებებს ყველაფერს. სიმონი ჩემ ოთახში დაეაწვინეთ, რადგან შევატყვევო, იქ მარტო ყოფნა უჭირს. წუხელი მოეჩვენა, რომ ლოფინში დიდი პეპელა ფრთხილდება, ანერვიულდა, ნამდვილად კი არაფერი არ იყო ლოფინში გაგებერტყვით, მაგრამ დიდხანს არ დააწვა.

5/IV, 1964 წ.

წუხელ კარგად ეძინა. დილით სრულებით ვერ ხედავდა, დრუბლიანი დღე იყო დილით. შემდეგ მზე ამოვიდა და თითქოს უცებ გახდა. მითხრა, სულ არ მეჩქარებოდა მუშაობა და თურმე უნდა მეჩქარა, რამდენი რამე მაქვს დასაწერი და ეს რა დამატყდაო თავს. მე რაც შემეძლო ვაიმედე, ოპერაციის მერე ისევ იმუშავებ-მითქო. მართლაც დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება. რამდენი სამუშაო აქვს, ჯერ მარტო 4-5 ათასი სტრიქონი ლექსები აქვს ბოლო დროს დაწერილი, რომელთა საბოლოო დამუშავებაა საჭირო, ახლა წერილები და სხვ.

6/IV, 1964 წ.

დილით ისევ ანალოზები ავუღეთ, დიდხანს ეძინა. ვიცი თხეთ ციციაშვილის სტატია, ძალიან კმაყოფილი დარჩა. სიმონის ლექსში არის ასეთი სახე „და შენ უშგულში, როგორც ვარსკვ-

ლავი თეთრი სახედრით მწუნჩზე ჩახედეო“, სტატიის ავტორს პარალელი გაჰყავს პეპელა, ცნობილ ტილოსთან „ბოლ პიკასო სახედარზე“, სიმონმა სთქვა, თავისთავად ეს საინტერესოა, მაგრამ ეს სახე დაკვებადა, ქრისტე რომ თეთრ სახედარზე იჯდაო. მერე სთქვა, ბოლოს და ბოლოს მაინც იწერება მართალი, აი ეს წერილი, ვიას წერილი, გურამის და სხვა. წერილში მოეწონა პოემა „დავით გურამიშვილის“ გარჩევა, საერთოდ მოეწონა წერილი. ვუკითხე დედუნის პოემა (მან გამოუგზავნა), პასტერნაკის ლექსები, გზეულები. საღამოს ნიკა ადრე მოვიდა, ვენაცვალე, არავინ ეგულებოდა შინ, სიმონს ფეხის აბაზანა გაუქვთა, დაამინა.

7/IV, 1964 წ.

დღეს ნიკაზე მელაპარაკა. მიამბობდა, როგორც მოუთმენლად ელოდა ხოლმე საავადმყოფოში. ჩემთან რომ ეძინა, რაღაც დაწყენარებულ ვიყავიო. რამდენი ხანია ვეფიქრებოდა მაქვს ლექსი მასზე და რაღაც ვერ დავწერე, ჩემი ავადმყოფობის გადამიკიდემო. ესლა კიდევ მომიმატა მასზე სათქმელი. ზედმეტად კეთილშობილი და მორიდებული კაცია, რა გემელება უჩვენოთ ცხოვრებაში არ ვიციო. დარჯა კონსტანტინე გამსახურდიან. ხშირად ნახულობს სიმონს, რეკავს, ძალიან ყურადღებით არის. დღეს იყენენ ნელი გაბრიჩიძე და ლიანა სტურუა, შესანიშნავი მიხაკები. ლიანამ წაუკითხა სიმონს თავისი ლექსები: „გრემი“, „ხე ჩემი სახლის წინ“, მერე სათათრი არ მახსოვს. „მე არ ვარ კაცის გვერდიდან შექმნილი“ — ასეთი სტრიქონი იყო ამ ლექსში. ეს ლექსი მოეწონა სიმონს, „გრემი“ და კიდევ ერთი ლექსი მარტო ისტორიით და სიძველით გატაცებულ ხალხზე. ამ ლექსში რამდენიმე შენიშვნა გაუკეთა ურბანისტული სიტყვების ხმარების შეტანაზე, რომ მას ესამუშა ლექსში სიტყვები პროპორცია, რეზონანსი და სხვ. ამ სიტყვების შეცვლა შეიძლება, ჯახს კი ვერაფრით შეცვლიო. ილაპარაკა მაიაკოვსკიზე, მის პოეზიაში ასეთი სიტყვები ორგანულიაო... ლიანამ უთხრა, რომ ოცნებობდა სიმონის გაცნობაზე და მოსთვის ლექსების წაკითხვაზე. ნელი ძალიან ყურადღებიანი გოგონაა, ხშირად დადის სიმონთან, უკითხავს, ართობს. ანა კალანდამეც ხშირი სტუმარია სიმონის და მისი მოსიყვარულე. საღამოთი იყო მიშა ქვლივიძე ცოლით. იყო თინა ასათიანი. სულ ვორჭოფობ, არ ვიცი სად ვავუქვითოთ ოპერაცია.

8/IV, 1964 წ.

მიშა ქვლივიძემ დამირეკა, საყვამრო ჩანმოთელობის მინისტრი აქ არის და იქნებ გამოვიყენოთ, ვინმე კონსულტანტი ჩამოვუყვანოთო.

მარიამ ჩიქოვანი  
დღიურები



მე დავეტრეკე რეზო ჭაფარიძეს (ის დიდი მოყვარულია სიმონის, სიმონსაც ძალიან უყვარს), რომ მომეხმაროს ამ საქმეში. დაპირდა. ძალიან ველავ. ეხლა მოუვიდა სიმონს დედნის და ყაისინის დებუმა: «Дорогой Симон разжигаёт костры в твою честь в ушелиях Баксана, желает здоровья обнимает Михаил Дудия, Кайсын Кулишев». ძალიან ესაიამოვნა. თინა ასათიანს ჩვენთან ეძინა, გვეყვება იან.

9/IV, 1964 წ.

ანალიზები უკეთესი აქვს. იყო ჩვენი პატარა ნინეო. სიმონი არ დანახა, წაივდა თავის ოთახში, არ მინდა, ბრმად დავაბნოდნო. ნინკა მინი შევარდა მასთან და მერე ზებუას უთხრა ყურში «ძია სიმონმა დამინახაო». მე ვუთხარი სიმონს, რომ ნინკამ ვერაფერი შეამჩნია. იამა. დღეს ზურგიო, ვენაცვალე, ოჯი წლის გახდა. სიმონმა ტელეფონით მიულოცა. ამ დღეს ყოველთვის მათთან ვიყავით... საღამოს ნინა ტაბილე და თინა ასათიანი იყვნენ, ცუცა იყო დღისით. მარო შანშიაშვილი ყოფილა ცუდად. საყვალე ქალი, როგორ გაწვალა.

10/IV, 1964 წ.

წუხელი გამოვიდა 5 საათზე, საშინელი სისმარო ნახა, აშლილი ქონდა ძარღვები. ამბობდა, ოპერაციამდე ვერ მივალწვეო, არაფერი არ უშველის ჩემ თვალსო. რაკ შემეძლო ვამედიე. 7 საათზე, როგორც იქნა ჩაეძინა. ამინდები საშინელია და სიმონზე მოქმედებს საოცრად. დღეს რამდენჯერმე იმეორებს თავის ლექსის სტრიქონს «სიცოცხლეო, გეგებები, შენთან მინდა ჭახანი და ჭირითი.» ვკითხულობდით «Вопросы литературы»-ში ოლეშას უბის წიგნაკის ჩანაწერითა. ძალიან საინტერესოა, სიმონი სულ იძახოდა «блестяше написано», საოცრად მოეწონა მზის ჩასვლის აღწერა და ბოლო, სადაც ამბობს «чтобы дожить до старости, это фантастика, это уже сюжет». ამავე ეტრნალში წაიკითხეთ იტალიური კრიტიკა ქართულ პოეტებზე, სადაც სიმონზედაც არის ციტატა იტალურ ეტრნალ «Еггора литература»-ში დაბეჭდილი რეცენზიიდან.

დღეს ჩამოვიდა და ჩვენთან მოვიდა სერგო ზაქარაიძე, ვდაღებამზე იყო ორი თვე მოსკოვში, უმისოდ ძალიან ოზლად ვიკავით. სიმონს ძალიან გაეხარა მისი ნახვა. კარგია, რომ ჩამოვიდა. იყო ელფთერ ანდრონიკაშვილი, ყვებოდა ამერიკის ამბებს, ძალიან საინტერესოდ. კარგი მოყოლა იცის. იქ ორი კვირა გაატარა. დამე დარეკეს მოსკოვიდან ანტოკოლსკებში, მოგვიკითხეს. სიმონი ელაპარაკა. შეიძლება მაისში ჩამოვიდეთო, პავლეს წიგნი გამოსულა ტვილისში. სიმონს გაეხარა ძალიან.

11/IV, 1964 წ.

წუხუკითხე გიორგი ნატროშვილის წერილი სიმონის სტატიების წიგნზე „ლიტ. საქართვე-

ლოს“ გუშინდელ ნომერში. ძალიან კმაყოფილო დარჩა, ზოგ ადგილას ცრემლოც კი მოერიდა. „დიდი სიყვარულით და სითბოთია დაწერილი“. დღის განმავლობაში მოვიდნენ მორის ფოცხიშვილი (შეგჩერკოს წერილის შესახებ). შეპირდა ჩეხურ ინსულინს — იქნებ მეტი მევექტი მოვეცეს შაქართან ბრძოლაში. შემდეგ იყო ცილიაშვილი. მოუტანა „ცისკარს“ ნომრები, სადაც ხუხუაშვილის სტატია სიმონზე და თავისი ოთარ ტილაძეზე. თხოვა წაიკითხოს. ფეხბურთიდან მოვიდნენ გურამ ასათიანი, ნიკა და ზურიკო. ლაპარაკი უფრო ფეხბურთის შთაბეჭდილებებზე იყო. მოვიდა გია, მერე ელისო და შალიკო. დღეს ანალიზები სამ ლაბორატორიაში მივეცი. პასუხები მივიღე სხვადასხვა, საკმაოდ დაშორებული ერთმანეთს. არ ვიცი, ვინ არის მართალი. დილით დარეკა გამსახურდიამ.

12/IV, 1964 წ.

დილით დარეკა გიორგი ნატროშვილის, მადლობა გადაუხადა წერილისათვის. ვუკითხე „ცისკარს“ სტატიები, მერე ტარიელ ჭანტურია პოემა „მიწის ძახილი“. მოეწონა, ნიჭიერი ბები ყოფილა, დიდი შინაგანი დრამატრჰმია, ოღონდ ცოტა ვაწმენდა უნდაო. განსაკუთრებით მოეწონა „შენ ხარ მაღალი, ჩუმი... და სხვისი... და სხვა ბევრი სტრიქონი. ბოლოს თქვა, სპილოზე ლექსი არ იყო სიჭირო, წინა ლექსზე უნდა გაეთავებიაო პოემა. თამაზის მოთხრობა „მკა“ ძალიან მოეწონა, კარგი ჩანახატიაო. დღეს გვიწახუტეს სერგო ზაქარაიძემ, როდით და ქსენია ქორჭიებმა, გამამ, თამაზმა. საღამოთი იყენენ ქალები: ცუცა და მანანა, გოგუცა, თინა ასათიანი.

13/IV, 1964 წ.

დღეს თითქოს ცოტა უკეთ არის. დილით იყო გია. ეტრნალ «Вопросы литературы»-სა მოუვიდა სიმონს ანექტა ლერმონტოვის შესახებ, ამის ვაკეთება მოუხალისა, რადგან ლერმონტოვი ძალიან უყვარს და ვიას კარნახობდა. მერე მე და ნიკას ბევრი გველაპარაკა ლერმონტოვზე, თქვა, „Выхожу один я на дорогу“ და «в Долине Дагестана»-ზე უფრო საყვარელი ლექსები, ჩემთვის რუსულ კლასიკურ პოეზიაში არ მეგულეზაო. იყვნენ თინა და შალვა მშველიძეები. შალვა რუმინეთიდან დაბრუნდა. ჩამოუტანა სიმონს სახარინი (ძალიან უყვარდა ლეხთი არიან, სადაც წვალენ უტხოვთში, სირინისათვის სახარინის ყიდვა არ დავიწყებდებო). ბევრი საინტერესო ამბები გვიამბო რუმინეთზე, მის ხალხზე, მუსიკაზე. სიმონს ძალიან ესაიამოვნა მათი ნახვა. იყვნენ ლიზიკო, თინა ასათიანი, ოდლო ჰიენიძე და ანეტა. წაუკეთებ ელიოზაშვილის ესკიზი „ჩიტას ჩივლი“, ძალიან, ძალიან მოეწონა, ბევრიც იცინა. თქვა, ძალიან ნიჭიერი ბებიია, ამ პატარა მშვენიერად დაწერილ ესკიზში რამდენ საკითხს ეხებო (ბრაკონიერიობის, სიძველეების დაცვის, ბავშვების აღზრდის და სხვა) და ეს ყველაფერი



ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ბუნებრივად. საღამოთი ნიკამ უკითხა პასტერნაკის ლექსები, გაზეთები. მოგვიანოთ დარეკა ირაკლი აბაშიძემ. შალვა გაბუნია იყო, მოსკოვიდან დაბრუნდა, ინსულინი ჩამოუტანა სიმონს.

14/IV, 1964 წ.

დილით ძალიან ადრე გაეღვიძა, ვეღარ დაიძინა. ვაგაბით მუსსაიფი, რატომღაც ბავშვობა მოიგონა. პირველი ლექსი დავეწერე 12 წლისამ, გაზაფხულზე. მაშინ დგებუაქების ოჯახში ცესოვორბილი და იქ ლიტერატურული ატმოსფერო ტრიალებდა, ყველა ლექსები სწავლიდა. როცა წაიკითხეს ჩემი ლექსი, დიდი სენსაცია მოვახდინეო, მომიწონეს და ქრისტინე დგებუაქემ თქვა, ამას უსათუოდ ნიჭი აქვსო, ამის შემდეგ ქრისტინე რომ ლექსს დაწერდა, წამოკითხავდა და თან იტყობდა: «გაიღვებს ენლა ეს ამ ლექსს?!» ამ ოჯახს დიდი სიბიბითი იგონებს. პაუსია ამზადებდა სასწავლებელში შესასვლელად. ბევრი ვიცინე, როცა მიამბო, პირველად ორი ნატეხი შაქრის ჩაგდება ჩააშა მომერიდაო, მათ მიუქცეს ყურადღება და თქვეს, «ტკბილა ჩაი არ ყვარებია— ერთ ნატეხს ივდებსო». ამის შემდეგ შემტრება და სულ ასე ვსვამდო ჩაის, თუმცა ტკბილი ჩაი მიყვარდა და სოფელში ყოველთვის ორ ნატეხს ვივდებდიო კიქამო. კოწია ჩაჩავამ და დედინაცვალმა ჩამომიყვანეს ქუთაისში და მიმრეყანეს კოლია ჩაჩავას ოჯახშიო, ამიყვანეს ორი მასწავლებელი ბუსულში და სხვა საგნებში, მაგრამ ესენა რევოლუციონერები ყოფილან და მალე დაუჭერიათ, ამიტომ მალე დგებუაქებთან გადასულა, სადაც პაუსია ამზადებდა. გაზაფხულზე გამოცდები ჩაუბარებია და სოფელში წასულა, იგიდან რომ დავბრუნდი, ისევე ჩაჩავებთან ცესოვორბილი. თბილისში რომ ჩამოვიდა, პირველ წელიწადს მათთან ცესოვორბდა. საოცრად უყვარს კოლიას დედა, გოგუტა. ამბობს, საოცარი კეთილი და ტკბილი ქალი იყოო. თავიანდობილად თვლის, მასაც შეიღვივით ვუყვარდიო. ერთხელ მამაჩემს უთხრა «ეს ჩვენი ბავშვები რა თერთებიაო». თავისიანად მთვლიდა და კოლიასთან ერთად ვიწვექო ოთახში. ჩაჩავენა ქართულ გიმნაზიასთან ცესოვორბდნენ და ამიტომ იქაურ ბიჭებს უფრო ვეცდებოდი და ვემეგობებოდიო. პირველი ლექსის შემდეგ ერთი 3-4 წელიწადი არ დამაწერია ლექსით. ერთხელ შევედი ოთახში და კოლია და დათიკო გაჩეჩილამ ერთად სწერდნენ ლექსს «ადამიანი», მაშია გურიელის გავლენით. მეც ჩავერე და ამის შემდეგ უკვე დავიწყე წერაო. მერე მოყვა, პატარაობისას დათიკო მეორე ოთახში იწვა, ეშინოდა კატის და დაწოლის წინ გვეხვეწებოდა: «წამოწყვეით, დაწვეები, შევებევი სანაში და სანბინან ხომ ვერ გამოპათივსო კატა». ქართულ გიმნაზიაში ლიტ. წრეში ვიყავით. ერთხელ მე-5 კლასში რომ იყვნენ, დაუბარებია ოცხელს სიმონი, კოლია და აკაი ქა-

მუშაზე (სიმონი იქ ერთ-ერთი წლის ხელმძღვანელი იყო), მიუტია ფული და უთქვამს: თქვენ უნდა მიეჩვიოთ საზოგადო მოღვაწეობას, კვლამოქმედებას. ამ ფულით გამოეცით რამე წიგნი. მერე მეორე და შემდეგ გამომცემლობაც დაარსეთო. ჩვენც «მოამბეში» ვნახეთ კიტა აბაშიძის წერილები «საფრანგეთის ლირიკული პოეზიის განვითარება XIX საუკუნეში», გამოვეცით და დავეწერეთ გამომცემლობა «აკსიპკოლი» (ეს წიგნი გრიშაშვილს აქვს ბიბლიოთეკაში, მეკითხებოდა, რას ნიშნავსო «აკსიპკოლი», ეს კი არის უბრალოდ აკაი-სიმონი - კოლია), მიუტანეთ წიგნის მალაზიებს ვასაყიდად. ამასობაში ოცხელი გარდაიცვალა, ფული ვეღარ შეგვაროვით და ამაზე გათავდა ჩვენი ეს წამოწყებაო. დიდი სიყვარულით მოიგონათავისი დირექტორი გაჩეჩილამ. ამ ჩანაწერებს სიმონისაგან ჩუმაღ ვაკეთებ.

საღამოთი იყვნენ რეზო ჯაფარიძე, ვარდოსანიძე, მერი და სერგო, პკო და მალიკო, სერგო კლინაშვილი და ჩვენგან ვატარაწული ელისო. დილით იყო ფოტოშეილი, მოუტანა ჩეხური ინსულინი, თითქოს ეს უფრო ვეფექტურაო. ნათელა ცხომელიძე იყო, გაუსინჯა წნევა და საერთოდ გასინჯა.

15/IV, 1964 წ.

დილით იყო რეზო ჯაფარიძე, მერე ვია. სიმონს არაუშავს. დღეს პარიზიდან დარეკა დიდმა იკამ, რომელიც არ გეინახავს 41 წელია. არც წერილებს ვწერდიო ერთმანეთს. კინალამ გავგეჯდით. მე და სუსანა ველაპარაკეთ, ელისო არ იყო. რასაკვირველია ლაპარაკი არ ეწყობოდა, ამდენი ხნის შემდეგ, რა უნდა ველაპარაკა, საიდან დავეწყო, ჩვენ გტაროდით, იმასაც სმა სხვანაირი ჰქონდა, ეტყობოდა ძალიან დელადა, საოცრად დინჯად და ნელა ლაპარაკობდა. გვეხვეწა მის ცოლს დეფლაპარაკებით ფრანგულად, მაგრამ ჩვენ ის ცოტა ფრანგულიც, რაც ვიცოდით, დავვაწყვდა. თითქოს სიზმარი იყო ეს ტელეფონით ლაპარაკი. მთლიანმენლად ველოდები ბესოს. მოაყვება როგორ გამოიყურება, რა შთაბეჭდილება დატოვა მანზე. ბესო დღეს გამოფრინდა ჰაიზიდან.

16, 17, 18/IV, 1964 წ.

ამ დღეებში რაღაც ვერაფერი ჩავეწერე. მარბო შანშიაშვილი გარდაიცვალა, ძალიან მეწყინა და შემეცოდა. ძარღვები სულ ამეკუწა, მან ოპერაცია ჩემზე სამი თვით ადრე გაიკეთა. ვიგონებდიო მასთან შეხვედრებს, ჯუჯანში მათთან ყოფნას... გია იყო, დაწერეს ლერმონტოვზე, ძალიან საინტერესო გამოვიდა.

19/IV, 1964 წ.

დღეს დიდი შიშით და ვაი-ვაულაბით, რომ არ გავაციოთ, სიმონი დავბანეთ ნიკამ და მე, ზუ-

მარიკა ჩიძომხანი  
დღიურები



რიკო გვესმარებოდა. საღამომდე დაეწვივნეთ. დაიწყეთ ბიოლის რომანის „ГЛАЗАМИ КЛОУНА“ კითხვა. დღე იყვნენ მანანა ქიქოძე, ნანა მურ-ლულია, რეზო და ნინა მარგინები, აუარება ყვავილებია სახლში. ბევრი ამბები უამბეს, დიდხანს იყვნენ. საღამოთი მოვიდა ბესო, დღეს ჩამოვიდა პარიზიდან. გვიამბო თავისი მოგზაუ-რობის შესახებ. იკა მოწონებდა აალიან, ერთი საათი ენახეო. გამოკითხაო ყველას ამბავი, ახალგაზრდად გამოიყურებოა. მეგრე გვიამბობ-და უჩუარ მწერლებზე. აკაკი წერეთლის 91 წერილი, შეიღისამდე გაეზავნილი, ჩამოიტანა. ეს დიდი ამბავია. იყვნენ ქალები: ცუტა, ნუნა, ბაბუღია, თინა, რაისა და ნინიკო ქვინტი, ელისო.

20/IV, 1964 წ.

დღეს ადრე გაიღვიძა. უგუნებოდ არის. თქვა, როგორ მიმუხთლაო ბედმა. მე ვუთხარა, გამორჩები და ათამაგი ენერგით იმუშაებ-მეთო. „რას ვიმუშაებ, ნახევრად მკვდარი ვარო“. ბევრი ვამშვიდე და მართლაც დარწ-მუნებელი ვარ, რომ მზედველობა დაუბრუნდებ-ა. მე კი ისეთი ავადმყოფობა მაქვს, ყოველი დღე, რასაც სიკვდილს წავარაძებ, დიდი მიღ-წევია. იქნებ ცოტა მაინც დამაკლოს, სიმონს მოვუარო, ნიკა დაეპარწვილო.

იყო ვიღაც ახალგაზრდა ქუთაისელი პოეტი, სტუდენტი. შეეუყვანეთ სიმონს. როდესაც სი-მონი ამ მდგომარეობაში ნახა, ძალიან შეწუხდა და უტყებ წავიდა. სიმონმა მიიხარა, რატომ შე-მოიყვანეთო, მას ლექსების წაიკითხვა უნდოდა, მაგრამ კარგი ბიჭი იყო, ასე რომ მანამა შეწუხ-და და წავიდაო. ისეც შეაწუხებ და მეცაო, ასე სულ უცნობი ხალხი ნუ შემოგყავთო. იყო გოგუტა, მოუტანა მოსაწვევი „საქართველოს ქალიდან“, კიდევ მოუვიდა მოსაწვევი ცაცა ამირეჯიბიდან, მის საღამოზე. სიმონმა მიკარ-ნახა დეკუშა. იყო გ. მხეიძე. გაინჩა სიმონა, ძალიან კმაყოფილი დარჩა მისი საერთო მდგო-მარობით და სთქვა, ოპერაციის გაკეთებისათ-ვის მზად არისო. საღამოთი დარეკა კოლია ბე-რამეძე, ხედალ მოვი და გადაწყვეტს, როდის გაუ-ყეთებს ოპერაციას.

სიმონმა და ნიკამ რადიოს უსმინეს, საღლაე ჩვენები თამაშობდნენ ფეხბურთს. ძალიან სა-საცილოა სიმონი, თუ ჩვენები ავებენ, გამორ-თავს ხოლმე რადიოს, აღარ უსმენს, ვეღავეს საოცრად, თუ ივებენ, მაშინ საამოვნებით უს-მინს, (ასე იცის საერთოდ, თუ მის წინააღმდეგ არის სტატია, არც კი წაიკითხავს. მაგალითად. ნანიტაშვილის სტატია ვერაფრით ვერ წაეკი-თხე მაშინ). დარეკა ნელი ვაბრიძემე.

20/IV, 1964 წ.

იყო კოლია ბერამე. გადაწყვიტეთ ოპერა-ციის გაკეთება უქმეების შემდეგ. დღეს საჯრ-მნობლად ლელავს ისიც ჩვენც. კიდევ ვერ

გადაწყვიტეთ, საღ ვაუწყეთოთ ოპერაცია, რა გენა რა, არ ვიცი. მეშინია წყუკანა, უარესად გახდეს.

21, 22, 23/IV, 1964 წ.

ეს დღეები ცუდად ვარ, თავბრუ მესხმის. ლოგინიდან არ მაყენებენ. სიმონს ვერ დავედვ ფეხდაფეხ, მეშინია არაფერს დაეჯახოს. ვეკი-თხავ ბიოლის რომანს, ძალიან მოწონს, სულ იბახის „очень остроумно написано“, იქ მოხსენებულია Гофмансталь, სიმონმა მაიმბო, ერთმა ჩვენმა საქმარად ცნობილმა კრიტიკოსმა ორ კაცად ჩათვალაო: Гофман და Сталь და მე უნდა მასწავლონო მავათ — იცინოდა. ვი-კითხეთ ზამლოლოცის და ყაიბის ყულევის ლექსები.

24/IV, 1964 წ.

დღეს დაგვირეკა მიკოლა ბაქანმა მოსკოვი-დან. მოგვიკითხა, მიიხარა, ჩვენც ბევრი ვიფი-ქრეთ; საღ გაიკეთოს სიმონმა ოპერაცია და ვეუქრობო, მანდ ჯობია, რადგან ისე აეშლება ძარღვები მგზავრობაში, შეიძლება კიდევ უფრო გაუროთულდესო. ამაღამ მივდივარ კიევშიო, გაგ-ეხარდა მისი ხმის გაგონება, იმდენი კარგი მო-ვონებები გვაქვს ერთად გატარებულ დღეებზე. ჩემთან იყო ჩემი პროფესორი — ხოლდინა. თითქოს ყველაფერი რიგზე მაქვს, მასაც ველა-პარაკე სიმონის შესახებ. ეგ ოპერაცია არაფერი არ არისო, და ვინც კი აკეთებს ოპერაციემს, ყველა გააკეთებსო. თქვენ კი ისეთი კარგი ექი-მები გყავთ, როგორც ბერამე, რამიშვილი და სტებეიო.

საღამოთი ბესო იყო.

25/IV, 1964 წ.

დღეს ძალიან კარგი ამინდია, გუშინ იდარა. აივანზე ვისეირნეთ ცოტა ხანს. დაფურეკეთ გრიშაშვილის, მივულოცეთ 75 წლისთავი. ქეთომ თქვა, ძალიან გულგრილად იღებს მი-ლოცებებსო. საწყალი კაცი, რა უბედურება დაემართა! თელი დღე სადილამდე მართა ვართ, არაფერი მოსულა, ეს იშვიათი შემთხვევაა. ვეკითხულობთ და გავათავეთ „ГЛАЗАМИ КЛОУНА“, კარგად დაწერილი წიგნია. როგორ ყველაფერი გაბითურებულაო, ისე კი ძალიან მახვილი დაწერილიაო. დიალოგები მოწონს ძალიან. საღამოთი შალიკო, ელისო და ნუნა იყვნენ. რადიოში გადავიკმა იყო გრიშაშვილი-სადმი მიძღვნილი. კითხულობდა სოსო ლექ-სებს, წაიკითხა „ტრიოლეტები“, სიმონმა სთქვა, ეს შესანიშნავი ლექსიაო, იმეორა სტრიქონები „მიყვარს ტფილისი, ირაკლიეთი მუღამ მშფო-თარი! და მუსორ აქ მოვედვ, რომ მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს“. ძალიან კარგიაო „რათ დასკვნა სიტყვა ტფილისისა, რისთვის ჩამოხმა, სიტყვა მზის ნაღმით ნარეკალს ნაშთზე ნატყო-რციო“, მაგრამ ძალიან დაიწუნა „და ვით აშლო-



ლანს ეტმასნება ქალი ავზორცი, არც მე მასვე-  
ნებს საქართველოს დარდი და ბოლმა — ე-  
არ შეიძლებაო. შემდეგ გაიხსენა და წაგვიკითხა  
ადგილები ნოე ჩხიკვაძის ლექსიდან „ვინ მკით-  
ხულობს, ვინ დამეძებს, ვის უყუყუარვარ მე“  
დღი და აღფრთოვანებთ ამბობდა; ასეთი ად-  
მიანური ლექსი თითქმის არ არის ქართულ  
პოეზიაშიო. ლამის თორმეტი საათზე აეროდრო-  
მიდან დარქვეს ანდრონიკაშვილებმა. ჩამოვიდ-  
ნენ, ირაკლის გამოსვლები აქვს. ძალიან გავგე-  
ხარად, მათი ჩამოსვლა სიცოცხლეს შემოიტანს  
ჩვენ ერთფეროვან ცხოვრებაში. რა კარგება  
არაინა!

26/IV, 1964 წ.

დღით იყენენ ირაკლი, ვივა და ნინა ტაბიძე.  
სიმონი გამოცოცხლდა და ბევრი ილაპარაკეს  
ლერმონტოვზე. პრემიებზე, ირაკლის სურათზე  
და სხვა მრავალზე. მერე იყო სერგო კლდია-  
შვილი, მოუყვა ქორჩიას იუბილეზე და მწერ-  
ლების ასალი ამბები. მერე ცოტა ხანს უსმინა  
სიმონმა ფეხბურთის რეპორტაჟს მოსკოვიდან,  
მავრამ მალე დაანება თაფი, რადგან ჩვენები  
აგებდნენ და ამის მოსმენა არ უყვარს. ფეხ-  
ბურთის მერე ზურციკო უკითხავდა გაზეთებს,  
შექსებრზე მორუსს სტატია ძალიან მოეწონა.  
სალამოთი იყენენ ნელი და ირინა შესანიშნავი  
ფრადები მომიტანეს. ირინა ძალიან გალამაზე-  
ნდა, ჩემი ნათლულია და ძალიან მიყვარს,  
კარგი გოგოა. ნიკა გუშინ ნათლობაში იყო,  
დღესაც თორიდან არის, სიმონა უცდის, არ  
იქნება. უკუდ გუნებაზეა, თქვა. ნებაზე ზაფ-  
ხულში ჩემი საქმეები, ნაწერებზე მომეწერა-  
გებია, როგორ აწეწილი მავეს ეკლავფერი, მავ-  
რამ მეგონა, უკეთ გავხედებოდიო, ასე სიცოცხ-  
ლე არ შემოძლიაო. ვამშვიდე, ერთ თვეში უკვე  
დაინახავ და ისევე კარგად იქნები-ნეთქი. ღმერ-  
თო; წუთო სულ გავეწიარეს ბედი! რისთვის?  
მერე ვუკითხე ჰემინგუეის მოთხრობა „Ночь  
перед боем“. ელისომ მოუარა და დააწინა.

27/IV, 1964 წ.

დღეს ჩემი დაბადების დღეა, მეშინია კიდევ  
თქმა, ისე დაგბერდი. დილიდან ზოგი ტელეფონ-  
ნით, ზოგიც მოდის და მილოცავენ. ნიკა მოვი-  
და შუბღლისას, ვენეციალუ იმას, და მომიტანა  
შესანიშნავი „Тюльпан“-ები. არასოდეს დაბა-  
დების დღე არ აღმინიშნავს და არავის არ ახ-  
სოვდა, წელს გაასენდით, ალბათ იმიტომ, რომ  
ივად ვარ. ელისომ რაღაც ნამცნებები გააკეთა,  
სუსკაევი ჩემთან არის. დილიდან მოვიდნენ და  
სალამოს ერთმა ოცმა ცაცმა მოიყარა თავი.  
ლიუბამ მოიტანა უზარმაზარი, თავისი გამოცე-  
ხარი ტორტი. (რა უცნაური მოყვარული და  
თვადღებული ქალია!) თორემ არაფერი არ  
მქონდა. დღის განმავლობაში იყენენ გაბუნებები,  
სირაქები, ქარცივაქები, ბესო და ეთერი,

სერგო და მერი, პოკო და მალიკო, რაისა,  
ლომე, ეორა, ლიუბა, ვივი, ვია, გოგონა და  
ყველაზე მთავარი — ნინიკო. მთელი სახლი ვე-  
ვილუმშია: იასამანი, მიხაკი, ვარდები, „Тюль-  
паны“, „Олегины“ და სხვ. ელისოს — სამ-  
სახურიდან მომილოცეს ყვეაილები. ამდენი ყუ-  
რადლების და სიყვარულის ღირსი ღმერთიანი  
არა ვარ. რა გვეშველებოდა, ეს რომ არ იყოს!

28/IV, 1964 წ.

დღით მოუფარე სიმონს, ვესაუბრე, მერე  
მთხოვა, მომეხენ „ვეფხისტყაოსანი“ და წამი-  
კითხეო „ნესტანის წერილი, საყვარლის წინაშე  
მიწერილი“. წაუკითხე, მერევე წამკითხა და  
თვითონაც ზეპირად კითხულობდა. მერე წამი-  
კითხა „წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას,  
მულაზანზარს“ და „ანდერძა ავთანდილისა  
როსტეანს მეფისა მიმართ, ოდეს გაიპარა“.  
ესენიც თითქმის ზეპირად იცის და კითხულობ-  
და ხმაშლით. ამ თავის კითხვის დროს მთელი  
ლექცია წამკითხა პლატონის ფილოსოფიის შე-  
სახებზე. უწინ „ვეფხისტყაოსანს“ და „სახარებას“  
ცოტა-ცოტას თითქმის ყოველდღე კითხულობ-  
და გავათავეთ „Ночь перед боем“, ძალიან  
მოეწონა, რა წყნარად არის აღწერილი ასეთი  
დასაბულობა, საოცარიო. ნიკამ გაზეთები უკი-  
თხა, იყო ვივა, თინა დონეცაშვილი პატარა ბი-  
ჭით. ხან რადიოს ვესმენდით.

29/IV, 1964 წ.

დღეს დღიდან ძალიან ანერვიულდებოდა.  
საუბრა, უსმინა რადიოს — „პრავდის“ წერილს  
გაღმოცემდნენ ჩინეთზე. ეხლა სძინავს. ვკითხუ-  
ლობთ მორავიას ნოველებს. „ავტობიტი“ არ  
მოეწონა. ძალიან მოეწონა „ფეტიში“. ძალიან  
სასიამოვნოა სიმონისთვის კითხვა. ბავშვივით  
უშუალოდ განიცდის: ირინის, მიოწინის, ყუ-  
ლაფერი სახეზე ეტყობა, თან მოუთმენელია —  
წინის გადაფურცლას არ მაცდის, „ნუ მერე“  
ამბობს. მოვიდა სერგო კლდიაშვილი. მერე გო-  
გუცამ მოუტანა „მნათობი“. ვკითხეთ „Не-  
деля“. მოვიდა ნიკა, უკითხა გაზეთები.  
სალამოთი იყენენ ვივა და ირაკლი. ფიზიკის  
ინსტიტუტში ჰქონდა გამოსვლა და იქიდან მო-  
ვიდნენ. ირაკლი ყვებოდა ვსეველოდ ივანოვზე.  
იგონებდნენ ინგლისში მოგზაურობას. სიმონიც  
მოყვა ფედინის მოყოლილ ვსეველოდის მოთხ-  
რობას. სუფრაზე სიმონს სულ არ ემჩნეოდა, რომ  
ვერ ხედავს. უჩვენა ირაკლის ლერმონტოვზე  
რაც დაწერა. მან მოუწინა ძალიან. უჩვენდნენ  
სიმონს, რომ გვიკარანხოს მოგონებები. ხვალ  
მიდიან მოსკოვში. თინა ასათიანი იყო და მარო.  
დღე იყო კიდევ მამიდა შუშანა. ნიკას ოთახში  
გატყდა ფანჯარა — სიმონმა სთქვა, კარგი ნიშა-  
ნიაო.

მარიკა ჩიქოვანი  
დღიშემბნი

30/IV, 1964 წ.

დღეს ათ საათამდე ეძინა. ეხლა მითხრა მეგობრებმა და დამიდგი საწერი ქალაქი და გათლილი ფანქრებით. რაღაცეები, რაც გამახსენდება, უნდა ჩაიფიქროს. საოცრად გამიხარდა. არ ვციც, მოახერხებს? მე მეონია, ირაკლი ანდრონიკაშვილის გავლენა. მოუვიდა ტვარდოსკვას და დემეტრიძის ძალიან თბილი დეპეშა. საერთოდ არ უთქვამთ ბესისთვის, სიმონის ავადმყოფობა ძალიან გვაწუხებს და არ ვიცით, რა გავუქვითოთ, რომ ვასაბოგნოთო. ეხლა ირაკლი ანდრონიკაშვილმა დამირეკა, კიდევ დაგვემშვიდობა, მითხრა რომ ის პატარა წერილი ლერმონტოვზე ძალიან მოეწონა. „Так умно конкретно, поэтично, тонко, просто подражительно“ მიხოვა, იქნებ როგორმე დააწერიანთ ესეველოდ ივანოვზე მოგონება მისი კრებულისთვის. ვნახოთ... მორავიას „ტრილია“ (?) წაფიქრებთ და ცნობიერის შერბილი კაფეაზე. კაფეას წაიკითხვა არ უნდა — წაიკითხული მკვსო ერთი თობი მოთხრობა **очень мрачные**. მოვიდა ძალიან ნაზი დეპეშა ტიხონოვებისაგან. ნიკამ უკითხა „მნათობში“ რაღაც სტატია და გახუთები. საღამოთი იყენენ ბესო და ცუცა. ბესოს ეუბნებოდა, გოქსში ვიცე-პრეზიდენტი ვიყავი ბოლონეთთან მეგობრობის საზოგადოების და ვადაფტრჩევივართო, რა ეჩქარებათ, სიკვდილი მაცალონო. ეტყობა გწყინა. მართლა რაღაც უღამაზოდ მოიქცენენ. **НЕ ЧУТКО**. მეკოლას და ნინას მლოცვთ მეიღებთ.

1/V, 1964 წ.

დღეს თავის ხელით გააკეთა ჩანაწერები ცალკე სტრიქონების: „დღე ჩაქვრა თუ მიიწურა“, „წავიდა და აღარ მოვა“, „საღამოა ნაღვეიკარია, საღამოა შინდისფერი“, სხვა გაურკვეველი. დღეს გვიხარა მე და ნიკას, ნეტავი ორივე ფეხი მოეჭრა და ეს არ დამმართოდა, ვიჭდებოდი და ვიმუშავებდი. გურამი, ბასასო და თინა იყენენ. საღამოთი ნუნა და გორა. ნიკა მთელი ეს უქმე დღე ჩვენთან იყო, არ მიგვართვია. ბევრი უკითხვა, ილაპარაკეს. მე არ ვიყავი კარგად და ვიწყეცი.

2/V, 1964 წ.

მოვიდა კიდევ დეპეშები რილსკის, ყუღიევის, სუროვეკის და მოსკოვის ეტრნალ-გაზეთების რედაქციების. საღამოთი სიმონი ყვებოდა ძველ ამბებს. სხვათა შორის მოყვა, 23-24 წლებში რამდენიმე ლექსი აქვს დაბეჭდილი ქალების ეტრნალში. მოწერილი აქვს ინიციალები **ო. მ. ან ხ. მ.** და სხვა, რაც ნიშნავდა ოთხი მანეთი, ხუთი მანეთი. **ე. ი.** რაც უნდა მიეღო ლექსში. რას არ მოიფიქრებდნენ?!

ზურაბო. ნიკა და სიმონი უსმენდნენ ფეხბურთის გადაცემას, რადგან ჩვენები ავებდნენ, სიმონი გამოვიდა მეორე ოთახში, გამოიხურა

კარი და არ უსმენდა, მაგრამ როცა ხმაური მოესმებოდა, იკითხავდა, ხომ არ შევადგეს ჩვენი ბურთი? რა უქნაური კაცია! ისე დღევანდეს, მეორის, არც უნდა ვაძლევდე მოსმენის უფლებას.

3/V, 1964 წ.

დღეს ნიკამ და მე ვიბანავეთ. სადილამდე იწვა. მეორე ტომია შესადგენი, სამივე ვისხებოდა და ვარჩევდით ლექსებს, თარგმანებს. სიმონს იმედი ჰქონდა, რომ ამ ტომში ახალ ლექსებს შეიტანდა. ერთი 3-4 ათასი სტრიქონი აქვს, საბოლოო დამუშავება რომ სჭირდება, მაგრამ არ შეუძლია და საშინაოდ ეშვება ძარღვები. მთელი დიდი ცოლა აქვს ბარათა-შვილზე და სხვა ლექსები. თან წვინი უნდა ჩაებაროთ, ფული აღარა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში რაც არის, იმას ჩაებარებთ ეხლა და მერე სიმონი კარგად იქნება და დანარჩენსაც მოათავსებს. ბევრი ძველი ლექსი გადააჩრია და არ შეაქვს. თარგმანებიც ბევრი არ მოწონს. ერთი 4 თუ 5 პეგა აქვს ნათარგმნი, არც მათი შეტანა უნდა, დიდი ხანია არ გადამიხედავს, მაგრამ მგონია არ ღირს მათა დაბეჭდვაო. საღამოთი იყო სერგო ზაქარაიძე. ლაპარაკი იყო „მეფე ღირზე“. სიმონი ეუბნებოდა, უნდა ითამაშოო, სერგო ყვებოდა ინჯლისის თეატრის ღირის შესახებ და თავის შეხედულებას ამ როლის განსახიერებაზე. დამე დარეკა ბესომ. სიმონმა ელაპარაკა ჰანტურის პოეზიაზე, ბესოს არ ჰქონდა წაიკითხული. ძალიან უწო და უთხრა, რომ წაიკითხოს. ეს დღეები სუყველას ამ პოეზიაზე ელაპარაკება, ისე გახარებულა, რომ ახალ-გაზრდა ნიჭიერი პოეტი გამოჩნდა. ეს სამი დღე ნიკა სახლიდან არ გასულა, სულ სიმონთან იყო, რაც შეიძლება აართოდა.

4/V, 1964 წ.

დღეს იყო გიორგი მხეიძე, გასინჯა სიმონი. მკაყოფილი დარჩა. ბევრი იბასეს, მოუსწრო სერგო კლდარევილიც. თინა ღონეაშვილმა დარეკა. გაუვიდა გოქსის ამბავი, წასულა სიმონელი გულმოსული გასაგებად, მაგრამ ტყუილი ყოფილა — იქ დამატებით აღრჩევიათ ვიცე-პრეზიდენტი. ეხლა სიმონელი გულმოსულია, ვინ მოუტანაო მან სიმონს ეს ამბავი, ის არის საცემ-მიო. რა მნიშვნელობა ჰქონდა გოქსის ამბავს, მაგრამ იმდენად, რამდენად სიმონს ეწყინა და რაღაც საოცარი უტაქტობა იქნებოდა. დავურეკე კოლია ბერაძეს. ოთხშაბათს ან ხუთშაბათს დააწვევს. შესამჩნევად უმატა ლეღვას სიმონმა, სთქვა, ტყვილებში სრულად არ მეწვინა, შემდეგ რა იქნება, ეს არის საქმეო. მე-2 ტომზე ვმუშაობდით, დაუმატა ერთი ოცი ძველი ლექსი, შევჩენკოს თარგმანებს ვუკითხავდი, იქიდანაც ირჩევდა. ნიკამ დღეს გაინჯავრდა — საღამოც წავიდა სადღლად და ღამის 2 საათამდე არ მოსულა. ვუცდიდით, სიმონსაც არ დავძინა.

5/IV 1964 წ.

დღეს მომადგინა ლექსების ციკლი ბარათა-შვილზე „სიმღერა სინანულისა“. ორი-სამი ლექსი უნდა პოეზიის დღის კრებულისათვის. ძალიან კარგი ლექსებია, მაგრამ მე ვუთხარი, რაღაც ლიტერატურაშია გამოდიხ — ჯერ გუ-რამიშვილზე დაწერე, ესლა ბარათაშვილზე-მეთქი. მართალია, თითქოს ლიტერატურული ფაქტიდან გამოვიდეთ, მაგრამ თვითონ ჩემ ლექსებს ლიტერატურაშია არ ახასიათებს სრულიადო. ძალიან მაწვავლებდათ ეს თემა და არ შემიძლო არ დამეწერათ. ამოარჩია სამი ლექსი: „უცხო საყურე“, „შენ სავარძელზე ზის პოეზია“ და „ფიქრები მტკიცის პირას“. მერე ეს მესამე ლექსი გადალო — კიდევ იყევს პატარა ხანსო. მუშაობის დროს გამოცოცხლდა, გაახალგაზრდავდა, ისე რიხიანად და ტემპერამენტით ამბობდა სტრიქონებს. შემდეგ გაასწორა ლექსი „თბილისის მთებია“. მე მაწერი-ნებდა, თვითონ, რაც ასეა, ერთხელ ჩაწერა რაღაც სტრიქონები და ეტყობა იგრძნო, რომ წესიერად არ იყო ჩაწერილი და აღარ მიკარე-ბა მაგიდას. მოვიდა სურკოვის ძალიან თბილი დღეშია, იოლშა ფანჯავასი და ელისაბედ პო-ლონსკაის წერილი, სადაც ის თხოვს ნებართ-ვას გამოვჯანვნოს სიმონს თავისი მოვონებე-ბიდან ის ადგილები, რომლებიც საქართველო-ში მის ყოფნას ეხება, რომ სიმონმა შეამოწ-მოს, რამდენად სწორია. ესლა ამას რასაკვირვე-ლია ვერ მოახერხებს. საღამოთა იყენენ პოლი-ნი, არდალიონი და ლადო. მათი ნახვა ესამოთ-ნა. არდალიონს ეს ოპერაცია გაკეთებული აქვს და ამშვიდებდა, ძალიან იოლი ოპერაციითაო.

6/IV, 1964 წ.

დალით მოვიდა ვია. მერე შორის ფოცბი-შვილმა მოაკითხა ლექსებს. წაიკითხეს, თითქოს ვიასაც და შორისსაც ძალიან მოეწონათ. რამ-დენიმე რუსული წიგნი თავისა გაავაზნა მოს-კოვში ლილია ბრივან, ტურკოვთან და კიდევ ვილაცასთან. იყო გოგუცა, მოუტანა „ცისკრის“ მე-4 ნომერი, სიმონმა თხოვა — იქ თამაზას მოთხრობების წაკითხვა უნდა. ევგლამ გაიგო, რომ ხვალ ვაწვევთ თვალის კლინიკაში და ბე-რი ხალხი იყო: ბესო და ეუერი, შოთა და რუსიკო, სერგო კლდიაშვილი, რისა, ნუნა, ცუცა, ლიზიკო, ზურგიკო, ელისო და კიდევ ვი-ლაი, არ მახსოვს. დღისით სიმონმა უსმინა ფეხბურთს სანახევროდ, საოცრად ლელავდა, ხან გამოვიდოდა, მოიხურავდა კარებს, ხან უკან შევარდებოდა, მე მგონია არ უნდა ვაძლევდე მისმინის უფლებას, საოცრად ლელავს. შოთა და რუსიკო პარისის მერე პირველად იყვნენ, სიმონი ემასხრებოდა, რატომ გაიპარაქვით ასე და აქამდე არ მოხვედით, თქვენ ხუთი დღე იყავით პარისში, მე კი ექვსიო.

7/IV, 1964 წ.

წუხელ ორივეს ცუდად გვექნა. სიმონა

საკრძობლად ლელავს, მაგრამ სხეულებზეა ცმჩნევს. ძალიან ადრე ვაღვიძო. როცა გვიღვიძო-და, ნიკა სამსახურში იყო და იკითხე მორიდე-ბულია, არ უკითხავს, ნიკა წამოვიდა თუ არაო. როცა ნიკა სწორედ წასვლის წინ მოვიდა, სახე გაუბრწყინდა, გახსარდა, რომ ვემშვიდობებო-და, გათვარებული იყო. ფანჯრიდან გადავხედე, ძლივს ჩაჭდა მანქანაში, სრულდებოდა ვერაფერს ხედავს. წაყვენი კიდევ საშა და ელისო, იქ დახ-ვედნენ ნუნა და ველა. კარგად მოაწყვეს ცალკე ოთახში, სუფთად. ძალიან ამეშალა ძარღვე-რითუ ისე გავგწვირავს ღმერთი, რომ არ აეხი-ლებოდა თვალს. ასეთი უღმერთობა ვერ წარმო-მიდგენია. ღმერთო, ღმერთო, გვიშველე რამე! საღამოთი დარეკეს, ძალიან მოწყენილიაო. მ საათზე წავიდა ნიკა სიმონთან ღამის სათევდა. საწყალი ბიჭი, დავტანაქეთ. კოლია ჩაჩავა მო-ვიდა მაშინვე, სიმონს რომ ახალი წაყვანილა იყო. საღამოთი იყენენ ბაბუღია, თინა, ნუნა და ეტორა. დარეკეს ბესომ, ვიამ.

8/IV, 1964 წ.

ღამე გვარიანად ექნა. დარეკა კივილიდან ჩა-მოსულმა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენ-ტმა რეზო... (გვარი ვერ გავიგონე). სიმონის ნახვა უნდოდა — ბაქანმა დაპაპარა, ნახე და ჩამომატაქვ ამბავიო. როცა ვაკავო, სავადმყო-ფოში რომ დაეაწვინეთ, ძალიან შეწუხდა. სა-ღამოთი მიდიოდა უკან კივიში და ველარ მო-ასწრო სიმონის ნახვა. საღამოს იყო სერგო ზაქარაძე, დიდხანს იჯდა, ბუერი ილაპარაკა სიმონზე. სერგო ჩვენთან ერთად თანციდის ყუელა ჰქვინს უზმეღურებას, ძალიან თბილი და ყურადღებოვანია. გოგუცა იყო. საღამოს, მოგვიან-ნებით დარეკეს ანტოკოლსკებმა, იკითხეს ჩვენი ამბავი, სიმონზე ლელავენ. შევპარდი, რომ ოპერაციის შედეგს ვაწვინებ. ნიკა სიმონთან არის ღამე.

9/IV, 1964 წ.

მოვიდა „Вопросы литературы“-დან წე-რილი, რომ ძალიან მოეწონათ ანეკტა და და-ბეჭდავენ. გაეხარებდა სიმონს. ეახეთში წაი-კითხეთ, სხვათა შორის, რაღაც წერილში, რომ იუგოსლავიაში არის დასახლებული ადგილი „ჩიქოვანი“. ნიკამ უამბო თუ წაუკითხა სიმონს, საოცრად დაინტერესდა. რატომღაც წინევა მო-უმატა, ალბათ აღუვებისგან. ბესო იყო მას-თან და მამია ასათიანი.

10/IV, 1964 წ.

ნიკამ თქვა, გვარიანად ექნაო. დღეს დღეც და ღამეც ელისოა სიმონთან, როდემდის გაუ-ძლებს არ ვიცი. დამირეკა ელისომ, თვალის წინევა გაუზომეს და ნორმალური აქვსო. კოლია

მარიკა ჩიქოვანი  
დღიურები





ჩაჩავა ყოფილა. ისე მინდა სიმონთან წასვლა, როდის მოვახერხებ არ ვიცი.

11/V, 1964 წ.

დღეს დაიწყო ჩემი წამალი, ისევ ცუდად გავხდები. არ მინდოდა დაწყება, მაგრამ ვინ მიჯერის. ვაციებული ვარ, სიცხე მაქვს. აუარება ხალხი იყო დღეს: მირანდა გამასხურდლია, მანანა ბელიაშვილი, ქეთო გამყარლიძე, რაისა, ცუცა, ნუნა, ბაბუღია, ელისო და მალიკო. სიმონთან ახალი არაფერი არ არის. შაქარი უკეთ აქვს. ნამდვილად პარასკევს უკეთებენ ოპერაციას.

12/V, 1964 წ.

დღლით დარეცა უნივერსიტეტიდან — დღეს პოეზიის დღე არისო და რადგან ბატონი სიმონი ჩვენთან ვერ მოვაო, ჩვენ მაინც მივალთო და კითხულობდნენ სად არისო. სიმონმა დამირეკა: საღამოს, მიაშბო, რომ იყენენ გიგი გაჩეჩილაძე. ნათელა კეშელავა, ჟორდანიანი და სპეციალურად მის სახელზე დაბეჭდილი მილოცვით უნივერსიტეტიდან. ძალიან წასიამოვნება და კმაყოფილი იყო. მეც ბევრი ვიტყვი, ასეთი ყურადღება OЧЕНЬ ТРОГАЕТ საღამოთი საშაშ ხელით გამომიგზავნა სიმონმა ის კალათი ყვავილები და მილოცვა. მარიკას გავხარდებო, მიუტანეთო. ყველა მეუბნება, სიმონი დამშვიდებულია და კარგად გამოიყურებაო. საღამოს მწახეულები მყავდა ისევ ბევრი.

13/V, 1964 წ.

დაეფრეკე კოლია ბერაძეს. მან უკვე დანამდვილებით თქვა, რომ პარასკევს აცეთებს ოპერაციას. ძალიან იმედინად მიიზარა, თვალახელივს დავიბრუნებო. დამართო, შენი ჰიბრიტი, მიშველე რაზე, კიდევ გახარებ სიმონი. საღამოთი ვიღაც კაცმა დარეკა, ძალიან აღელვებული ხმით მეკითხებოდა სიმონის ამბავს, ვკითხე, ვინ ბრძანდებით-მეთქი, ბოდიში მოიხადა და მიიზარა, თქვენ კი არა, სიმონაც არ მიცნობს, ეხლა მიიზარეს ბატონი სიმონის ამბავი, ძალიან ავლელი და ამიტომ შეგაწუხებთო. მეც ხომ მტერი არ მინდა — ვიტყვი და ვიტყვი. დარეკეს დღეს, მგონი აღმასკომის კულტურის განყოფილებიდან — ვიღაც უკრაინელ კომპოზიტორს დაუწერია მუსიკა სიმონის ლექსზე ლენინზე და კითხულობსო მისამართს, უნდა გამოუგზავნოსო. ორი დამე აღარ მძინავს, თუ დამეძინა, საშინელი სიზმრები მაქვს. რა გვეშველება: თუ ოპერაციის შედეგი არ იქნა კარგი. არა მგონია ასე გავაწიროს ღმერთმა. ნიკა, შვილო, ყოველ დამე იქ არის, დილით სამსახურიდან დამირეკავს ხოლმე და მაცნობებს, როგორ იყო სიმონი დამე.

14/V, 1964 წ.

სიმონის ოპერაციის წინა დღეა, საშინელ დამაბული გვაქვს ყველას ძარღვები. სიმონთან აუარება ხალხი ყოფილა: გოგლა, ბესო, სერგო ზაქარიაძე, გია, რეზო მარგინა და მიშა ლუკონინი, ალიო ადამია, კიდევ ქალები: რაისა, ცუცა, ნუნა და კიდევ არ ვიცი ვინ. დაიღალა თურმე ძალიან, მერე ნიკამ დღის 1 საათამდე უკითხა და მერე დღის 7 საათამდე ძინებია. ყოჩაღად იყო, არც ისე ღელავსო.

15/V, 1964 წ.

დილით ყველა სიმონთან არის წასული. მე და სუსანა ვესხედვართ ტილდოვანს. დილით ნიკამ დარეკა. გვარაიანდ ემინა, ყოჩაღად არისო. თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი ავლდა, შეუყვანიათ საოპერაციოში და თორმეტის 20 წუთზე გამოუყვანიათ. ორი საათის შემდეგ დაეწყო ტკივილები, რაც გავრკედიდა ერთ სამ საათს, შემდეგ დაწყებდა. ოპერაციის შემდეგ სწორი რეაქცია მისცა სინათლეზე, ისე არაფერი არ დაუნახავს, გვეუბნებოდა, ეს არაფერს ნიშნავს, ზოგი უფრო გვიან შეხედავს ხოლმეო. ენახოთ, ვეცადოთ, რა იქნება, ნუთუ სულ გავაწირავს ღმერთი. დამე სიმონთან ელისო და ნიკა დარჩნენ. ოპერაციის დროს ბევრი ხალხი მისულა. აქაც მთელი დღე იყო რეკვა. საღამოთი დარეკა ვიღაც უცნობმა, იციოხა ოპერაციის შედეგი, სთქვა, რომ სტუდენტია და დიდი ბოდიშები იხადა. საღამოს დამირეკა ელისომ, საქმელი ჰამა სიმონმა, ეხლა უკითხავსო ნიკა და შედარებით დაწყნარებულიაო. ბერაძე ყოფილა საღამოს, თვითონ გადაუხვევია.

16/V, 1964 წ.

ელისო მოვიდა საავადმყოფოდან. დამე წუხდა და არ ძინია. ტკივილები ძლიერი არ ჰქონდა, მაგრამ თავს რომ ვერ ანძრევდა, ნერვიულობდაო. ამბობდა თურმე, მარიკამ არ იცნოს, როგორ ვწუხვარო. დილით, 6 საათზე, მოჩვენებია, რომ გული ერევა, გაუღვიძებია ნიკა, მერე გადაუარა. დღეს საშა მასთან. ეხლა დარეკა ირაკლი ანდრონიკაშვილმა. ოპერაციის შედეგები იციოხა. სთქვა, მივოლა მოსკოვშია, დღეს იღვლილია კომისიის სხდომაა ცეკაშა და იქ გამოიხატესო. ირაკლი კიევში ყოფილა და და სულ თქვენზე ვლამარაკობდით ბავილებთან ერთადო. რამდენი კეთილისმსურველი ყავს ჩემს სიმონს, ნუთუ არაფერი არ გვიშველის. ელისო და ნიკა მასთან არიან. საღამოთი ისევ გადაუხვია თვითონ კოლია ბერაძემ, მგონი ისევ ვერ ხედავს. კოლია არ ეკითხება, ხედავს თუ არა, რადგან ეშინია, სიმონი, სასოწარკვეთილებში არ ჩაეარდეს, შეიძლება კიდევ უფრო გვიან დაინახოსო. ვერა ვართ გუნებაზე, ვუცდიო, ვეღვათ. ნიკა, შვილო, 2 საათზე წამოვიდა სიმონიდან, 5-ზე უკვე დარეკია მოვიდესო, ვერ ჩერდება უმისოდ.

17/IV, 1964 წ.

გუცდი საავადმყოფოდან ტელეფონის ზარს. ასე 11 საათზე დარეკა ნიკამ. ესლა ეს წუთია გადახვევა გაუკეთეს, ბუნდოვნად დაინახა ხელი პროფესორის, დათვალა სწორად თითები, თვითონ გაეხარდაო ძალიან. ჩემი რეაქცია ტირილია, ვეღარ დავმშვილდი. ნუნა ურეკავს ახლო მეგობრებს, (სუსანას და ელისოს ტელეფონები გაფუჭებულა), სისარულესკან ყველა ტირის, მარტო მე არ ვცოფილვარ ასეთ, მოუთმენლად ვუცდი ნიკას მოსვლას. 3 საათზე ნიკა მოვიდა, მთუვა თითქმის იგივე, რაც ტელეფონში მითხრა, პროფესორის მკლავი კარგად დაინახაო, ალბათ იმიტომ, რომ თეთრი ხალათი ეცვა. დანარჩენი ბუნდოვნად. თვითონ სიმონს უთქვამს, აღარ მქონდა იმედი, რამეს თუ დავინახავდიო. დღერთო მიშველე ოღონდ სიმონი ხედავდეს, მეტი არაფერი მინდა. წარმოადგენის დროს გაიგო სერგო ზაქარაიძემ სიმონის ამბავი. იმან და მანაველა აფხაიძემ დარეკეს ანტრაქტის დროს, ტირილი ატეხიათ სცენაზე. ბევრი ხალხი მოვიდა დღეს საღამოთი. მოვიდნენ ყორა, ლიუბა, სალომე ნამცხვრებით, ჩვენება, ნუნა და აღარ ვიცი კიდევ ვინ.

18-25/IV, 1964 წ.

სიმონი საავადმყოფოშია. ზან იმედიანად არის, ზან უიმედოდ. პირველი 5 დღე, მცდილობდით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, არავის შეეწუხებია. ესლა თანდათან ისევე ვუშვებთ ხალხს. მე თვითონ ძალიან ცუდად ვარ, ამ დღიურსაც ვერ ვწერ. ამ დროის განმავლობაში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. ვარ სრულებით უფულოდ; ვსესხვლობ. წიგნი (მე-2 ტომი) ოზბოის დახმარებით გავაყეთ და ჩავებარეთ, მაგრამ ჭერ არაფერი სჩანს. სიმონი ოპერაციის მე-5 დღეს ააყენეს. ტელეფონით მელაპარაკა. შემომჩივლა, ძალიან ნელა მიდის საქმე გაუმჯობესებისკენო. მოუვიდა ტურკოვის ძალიან კარგი წერილი. ატუპბინებს, რომ 3 ივნისს მოსკოვის ტელევიზიაში აქვს გადაცემა სიმონზე. შეგჩენკოს სააუბილეო კომიტეტიდან მოუვიდა მოწვევა პლენუმზე კვირში. ვენაცავლე, როგორ უნდოდა იქ წასვლა. მოუვიდა წერილი და ნოტები ვილად უკრაინელი კომპოზიტორის, რომელმაც სიმონის სიტყვებზე (ლექსი „პრავდაში“ იყო გამოქვეყნებული) ლენინზე დაწერა სიმღერა. ლილია ბრიკის წერილი მოუვიდა. თითქოს ცოტა ენაბტება მხედვლობა, ერთი სიტყვით იმედი გვაქვს. სიმონთან ბევრი ხალხი დადის. კოლია ჩაჩავა თითქმის ყოველდღე იქ არის. დადიან ბესო, გოვლა, სერგო ზაქარაიძე, გია. ინახულეს ქუთათელმა, კილიამ. დემნამ, მამია ასათიანმა, გრიგოლ ცეცხლაძემ, რეზო ჭაფარიძემ, რადიანმა, გურამ ასათიანმა, რეზო მარგინამ, ნინა, რეზოს ცოლი, იქვე მუშაობს და ძალიან ყურადღებით არის სიმონთან. ჩვენებზე, ჩვენი ქალები და რა

ვიცი კიდევ ვინ. 25-ში დამირეკა კოლია მერაძემ და მითხრა, რომ მდგომარეობა საზღვრულად უნდა მოთინებო, ექიმობა და ხვალ შეიძლება წამოყვანა. ვემზადებით სიმონის შესახებ დრად. სახლში მისთვის უქეთესია, მაინც უფრო ერთობა, ჩვენთან არის.

26-28/IV, 1964 წ.

დილის 12 საათზე ნიკამ, ელიომ და საშამ მოიყვანეს სიმონი, თვალახვეული. ძალიან გაბზნადა და სუსტად არის. აღუღვეჭლია საშინლად. თანდათან დაწვნარდა, მოდის ხალხი, ერთობა. უფრო წევს. ვაწვევებთ წამლებს თვალში. შაქარი მაინც ბევრი აქვს სისხლში. უცხო ხალხის ნახვებზე უარს ამბობს, ეტყობა შეხვდარის პირველი მომენტის ეშინია, შემდეგ თვითონაც ეამება და გაერთობა ხოლმე. დარეკეს მოსკოვიდან ანდრონიკაშვილებმა, ანტოკოლსკებმა. მე სიტყე მაქვს 39ა. თავი არა მაქვს არაფრის, ამ დღიურსაც ვერ ვწერ.

29/IV, 1964 წ.

პოეზიის დღეა. დღით ადრე, როგორც კი ავაყენე სიმონი, მოვიდა მალიკო ბრველიშვილი ვარდისფერი ვარდებით და მოულოცა სიმონს პოეზიის დღე. მერე მოდიოდნენ ყვავილებით გოგუცა, ბაბუთა ციტიშვილი, ნინკა ქლენტი, ჩვენი ზურციკო. მერე, საღამოს 6 საათზე უცებ შემოცივედნენ ეენია ვეტუშენკო (კოლით, მანანა და გურამი). ეენიამ რომ ნახა სიმონი, გადაკოცნა და გავარდა ატრებული დერეფანში. შემდეგ დაწვნარდა. ერთი-ორი საათი იყვნენ, ძალიან ეალერსა სიმონს და იკითხა ბევრი. წაიკითხა ნაწყვეტები პოემიდან: «В Симбирске Ярмака» საოცარი, ძლიერი. ძალიან ისიამოვნა სიმონმა, ბევრი ინახსეს, ნიკა და ზურციკო იყვნენ. შავი ყავა და ხილი მივართვი. მერე ნიკაც წაყვა და წავიდნენ რესტორანში, კიდევ ახალგაზრდები კოცლიან: ვიორგი შენგელაია, სოფიკო და გილაყეები. იქაც რამდენჯერმე დაუღევიათ სიმონის სადღეგრძელა: «Я шел к больному старику, а он вселил в тебя бодрость и любовь к жизни». და რაღაც ასეთები, იქიდან ბიჭებმა გააცილეს და გაისტუმრეს სოხუმში. ნიკა ძალიან ცმყოფილი და ცოტა ნასვამი დაბრუნდა სახლში. ეენიას შემდეგ, საღამოს, მოგვიანოთ პოეზიის საღამოს შემდეგ იყვნენ გრიშა აბაშიძე, გოგუცა და სერგო კლდიაშვილი, ლამის 12 საათამდე იყვნენ. ლაპარაკი იყო პოეზიის საღამოზე, მუხრანზე, საერთოდ ლექსებზე და სხვა. დღევანდელი დღე, ჩვენ სახლშიც პოეზიის დღე

მარტინა ჩიქოვანი  
დღიურიდან

იყო. სიმონი დაიღალა, მაგრამ ეტყობა კმაყოფილი დარჩა.

30/V-11/VI, 1964 წ.

ღილით მოვიდა რეზო მარჯიანი, მოუტანა „პოეზიის დღე“. (საერთოდ რეზო და ნინა ძალიან ყურადღებით არიან). დიდხანს იყო, ბევრი იბასეს. სიმონს მხედველობა თითქმის ემატება, შეხედა თავის წიგნების თაროს, ემატება ფერებიც, მუქსაც ხედავს თანდათან. როდესაც რამეს შეხედავს, მაშინვე სახეზე ეტყობა, გაუბრწყინდება ხოლმე სახე. 3 ივნისს დაბრუნდა ბესო უკრაინიდან, 4-ში საღამოთი იყო ჩვენთან. ყვებოდა იქაურ ამბებს, ბევრი მოკითხვა და კეთილი სურვილი გადმოგვცა მეგობრებს და ნაცნობებისაგან. 5-ში თუ 6-ში მიიღო სიმონმა უკრაინიდან საერთაშორისო ფორუმის პრეზიდენტის დეპუტა, საიდო მაღლოს ხუხ-ლიან შეეჩვენოს თარგმანების და პოპულარიზაციის გამო და უსურებენ ჩანართულობას და სხვ. სიმონს ძალიან გაეხარა ასეთი ყურადღება. 7-ში იყო კოლია ბერაძე, ძალიან გაეხარა სიმონის ნახვა. სთქვა, რომ დიდი წინსვლა იმასთან შედარებით, რაც სავაღდმოფოში იყო და დიდი იმედები მოგვცა. ახალი დანიშვნები გააკეთა და სთქვა, რომ ორი ეკვარს შემდეგ ნახეთ ისევე, მანამდე არ უნდა. ეს დღეები სულ უკეთ და უკეთ არის, მაგრამ კბილი სტკევა და აწუხებს. ალბათ ამოღება დაგეგმილია. ხალხი დადის, გაზეთებს ეუკითხვით, რადიოს უსმენს. სერგო კლდიაშვილმა მოგვითქა თავისი ახალი წიგნი „როცა ზედაზნიდან გავტყობ“, ეკითხულობთ სიამოვნებით. ნოდარ რუხაძემ მოუტანა სიმონს თავისი თარგმნილი ბიოლი „და არ უთქვამს, არც ერთი სიტყვა“, ცოტა წამაქითხა და სთქვა „ყოჩაღ, კარგად თარგმნისო“. ნოდარ კეკელიძემ გამოუგზავნა თავისი წიგნი „ნარკვევები XX საუკუნის გერმანული ლიტერატურიდან“, ეს ჭერ არ წაგვიკითხავს, ისე გადავხედეთ, საინტერესოა. 9-ში ნიკა წავიდა ბაქოში, მითი ინსტიტუტების სესიას, მოხსენება აქვს მე სიტყვი მქონდა სულ, 8-ში დამიკლო და მარტო მაშინ სთქვა, რომ წასასვლელი იყო. არ დაურეკია, გვეინტერესება, როგორ გამოვიდა. ხალხისთან მიდიოდა. ჩვენი სახლი კი უმისოდ კარიგლია და საშინელი. ვენაცავლე, არ დარეკა, არ ვიცო რატომ. სიმონი სულ დღეებს ითვლის მის ჩამოსვლამდე, ენატრება, წუხს, რატომ არ რეკავსო. 10-ში სიმონს კბილი ამოვუღეთ, ყველაფერი კარგად ჩატარდა, მაგრამ მაინც ძალიან შეწუხდა. უნდოდა პაოლოზე პატარა წერილის დაწერა, მაგრამ ვერ მოახერხა. მეც ცუდად ვიყავი და ვერ მოეხმარე, ვერ შევწყე ხელი. ეს დღეები სულ პაოლოზეა ლაპარაკი, ყველას უყვება მის უქანასკნელ დღეზე და სხვ. რადიოშიც უსმინა პაოლოზე გადაცემას. მოუვიდა მოსაწვევი ბარათები.

12/VI, 1964 წ.

იყო ტასო რამიშვილი, კოლიას უთხოვია ენა, ხევენ ძალიან გვინდობა. ვასინჯა ყურადღებით და სთქვა, უსათუოდ დაინახავსო. მას არ მიაჩნია, რომ ამ თვალში სისხლის ჩაქცევა დაიბეტურია, ძალიან დაგვიამბდა. ენახოთ. სიმონმა დღეს დაინახა მიხაკები და გააჩნია უფრო მეტი და ღია ფერის. ჩემზე დაინახა კბიის ფერი. თავის ოთახიდან დაინახა ფანჯარა ჩემ ოთახში. როცა რამე ახალს შეხედავს, სახე უბრწყინდება, უხარია. გამყავს პაერზე — აივანზე. საერთოდ დატბა, არ ვიცი, რა ეგნა ზანდულში. დღეს აკადემიაში პაოლოს საღამოა. სუსანა გახდა ავად, ვენაცავლე, ჩემთან წვეს.

13/VI, 1964 წ.

ღილით დამირეკა მანანა ქიქოძემ, მიამბო აკადემიაში პაოლოს საღამოს შესახებ და მითხრა, რომ გოგლას უთქვამს ძალიან თბილად სიმონის შესახებ, რომ ის მათ შორის არ არის დროებით და უსურვა კარგად ყოფნა. ხალხსაც ძალიან კარგად მიუღია ეს და დიდი ტაში ყოფილა. მე მაშინვე ეუამბე სიმონს. მას აუვიარდა ტირილი, მთელი ავადმყოფობა. ოპერაცია, არ უტირია, ამან კი ასე იმოქმედა. ძალიან ესიამოვნა ეს ყურადღება და სიყვარული. მე კიდევ ვინაფ, რომ ეუთხარო. ცოტა ხნის მერე, გოგლას დაფურევე და მაღლობა გადავხადე მისი კეთილშობილებისთვის და ვეუკაცობისთვის. დღეს გაასწორა ლექსი „ფიჭვი მტკვრის პირას“, სამი ტაბე გაასწორა, მე ჩივწერე. მერე იყვენ სავა მყვიროვი და გია. დიდხანს იყვენ, სავამ მშვენიერი ლექსები იკითხა: «Дети», «Серпухово», «Гая Шапошников», «Вильнюс», «Памяти Пастернака» და სხვა. სულ ახალი ლექსებია, ბევრი უმეშავია წელს. საღამოს იყვენ ბესო, სერგო და ქალები.

14/VI, 1964 წ.

ხალხი წასულია პაოლოს სოფელში, მთელი დღე მარტო ვიყავით. საღამოთა ბევრი ხალხი მოვიდა: ფეფიკო, ნინა ტაბიძე, ბიძინა ახვლედიანი ცოლ-შვილით, თინა თავის ბასასოთ, ლალა კლდიაშვილი, ელისო, ზურაბი, ცუკა სუსანას სიტყე არ ქონდა დილიდან გამექცა.

15/VI, 1964 წ.

დილიდან გუგუდილით ნიკას, სიმონი ღელავს, სამსახურში დამარეკინა, პირდაპირ იქ ხომ არ წავიდაო. დღის 11 საათზე ჩამოვიდა, ერთ წუთს შემოვარდა სახლში და გაიქცა სამსახურში, თითქმის კმაყოფილია. დღისით იყვენ სავა მყვიროვი, გია და სერგო კლდიაშვილი. სერგო უყვებოდა არგვეთის ამბებს, სავამ ისევე იკითხა ლექსები, უამბო სიმონს, რომ ვინაყოროვი ძალიან გატაცებულია სიმონის ლექსებით და ბევრი ლექსი სიმონის გავლენით დაწერა. ნიკამ მოუსწრო სავას. მერე ისინი წავიდნენ და გვი-



ამო ბაქოს ამბები. მოხსენება კარგად წაუკითხავს, ბაქო მოეწონა. საღამოს იყვნენ რეზო მარგინი, ამირან გაბესკირია, სერგო ზაქარიაძე, ბერიტაშვილის ცოლი, ნუნა, თინა ასათიანი, ზურაბი. დავიწყეთ სტრავინსკის წიგნის კითხვა.

29/III, 1965 წ.

ლექსებს მკარნახობდა სიმონი. დარეკა გოგუცამ, მერე სიგუამ, უშანგი კითხულობს „გურამიშვილი“. ჩავრთეთ რადიო. როდესაც უშანგი „ქართული სიმღერა“ წაიკითხა, სიმონს ცრემლი მოერია. ლექსებს რომ უსმენს, თვითონაც ჩუბდა ბუტბუტებს „სად გარბიან, სად მიფრენენ დრონი“ იმეორებდა მერე. ძალიან «расчувствовался» „საწყალი ბიჭი!“ იძახოდა უშანგიზე.

რაც მე აღარაფერი ჩამიწერია, ბევრი რამ მოხდა, ისევ ვიმეორებ შეცდომას და არ ვწერ სისტემატურად.

31/III, 1965 წ.

მიკოლას წერილი და უკრაინული გაზეთი მიიღო თავისი წერილით რილსკაზე.

2/IV, 1965 წ.

დღეს თითქმის მთათავა ლექსების ციკლი „ზღვის პირას“. ლექსებს სათაურებს აწერდა და ასწორებდა. ნასადილევს მე და ნიკას მოგვიყვა, პირველად ჩავედი ქუთაისში სოფლიდან დღის 12 საათზე, 2-ზე კი კოლია ჩაჩავს დედამ წაგვიყვანა ქებურიას აფერნის სანახავადო. იმ დღეს კარგად იფრინა და ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ერთი ლექსი ბართაშვილის ციკლის მეორე ნაწილიდან ამოიღო. ასწორებდა, უნდა „პოეზიის დღეში“ დაბეჭდოს, სთხოვს ლექსი.

4/IV, 1965 წ.

„გამოთხოვება“ გაათავა, ხვალ მოაკითხავენ, გადავებუდ.

5/IV, 1965 წ.

ჩააბარა „გამოთხოვება“ კრებულისათვის. მოაკითხა ფოცხიშვილმა, რამდენჯერმე წააკითხა ლექსი, თითქმის მოეწონა.

9/IV, 1965 წ.

მოუვიდა ირბენიდან ვილაც უცნობის — პედაგოგ კორტიარეცკის გამოგზავნილი წიგნი — შეგინჯოს „ანდერპი“ ყველა ენაზე. სიმონის თარგმანია იქ. წერილსაც სწერს და სთხოვს წიგნს წარწერით.

10/IV, 1965 წ.

არ ჩამიწერია უკრაინელების სტუმრობა ოქტომბერში, მათი დეკადის დროს ჩვენთან. დილის ათ საათზე მთელი დღეგავიცა უკრაინე-

ლებს მიკოლას და გონჩარის მეთაურობით მოვიდნენ საჩუქრებით. პატარა საუზმე გავუწევ. ძალიან თბილი და კარგი სიტყვები შეგვიმთხრონ. მიკოლა სულ ტირიდა, ვერ იკავებდა თავს. იკითხეს ლექსები, საკუთარი, სიმონის უკრაინულად. დაახლოებით ერთი საათი იყვნენ, მიდიოდნენ კახეთში. მათ მოყვენენ ზესო, ირაკლი, ჭილა და ნინეშვილი. თინა ასათიანი იყო და ჩვენები. სიმონი ძალიან ნასიამოვნები იყო.

ამ დროის განმავლობაში იყო კიდევ ვილაც პოლონელი პროფესორი, რომელსაც სიმონი არ იცნობდა. მას ჩამოსვლისთანავე მოუხურვებია სიმონის ნახვა. მოყვა ვილაც მზღებელი მისკოვიდან და ნინეშვილი. ჩვენთან იყო ვინა მარგველაშვილი. ყავით გავუშვასპინქლით, მე არ გავსულვარ. სიმონმა თქვა, ძალიან საინტერესო და განათლებული კაცი იყო.

12/IV, 1965 წ.

ძალიან ინტენსიურად მუშაობს აჭარის ციკლებზე. ასწორებს და ასწორებს. გაზეთებს ნაკლებად მაკითხებს. მარტა თთახში, ხან წევს, ხან ზის, ფიქრობს, ბუტბუტებს. მერე დამიძახებს და რომელიმე სტრიქონს ვამასწორებინებს. რომ შეედე, ხომ არ წაგვიტოხო-მეთქი რამე, მიიხზა, დამაცადე, „გამწარებელი ვმუშაობო“, და გაიცინა.

13/IV, 1965 წ.

დაურეკა „ლიტ. გაზეთს“, უთხრა, ლექსები მაქვსო. მაშინვე დარეკა ნინეშვილმა და სთქვა, რომ გამოგზავნის კაცს და სთხოვა სურათიე გამოტანეთო. მთელი დღე ისევე ასწორებდა. საღამოთი დიბაბრა არჩილ სულვაკური, წააკითხა ლექსები. მან მოუწონა.

14/IV, 1965 წ.

დილით მოვიდა რედაქციის თანამშრომელი (მგონი ბერიტაშვილი) და წაიღო ლექსები და სურათი. მთელი დღე აღარაფერი უკეთებია, ბევრი ვიკითხეთ, კარგ გუნებაზე, ხშირად წამომიღერებს ხოლმე. ისეთი შთაბეჭდილება, თითქო დიდი ტვირთი მოიშორა და ამოსუნთქა.

15/IV, 1965 წ.

მოუტანეს კორექტურა (ჩანგულაშვილმა). წაიკითხეს ერთად. წასვლისას ჩანგულაშვილმა მიიხზა, ძალიან კარგი, შესანიშნავი ლექსებია, პირში ქება ბ-ნ სიმონის მომერიდათ. ისევ ისვენებს, მეტს ვკითხულობთ. მიკოლას დეგეშა მოვიდა, 18-ში ან 19-ში კიევიდან თვალის პროფესორი ჩამოვიო. ძალიან ვლელავ. ადგილს ვერ ვპოულობ. ეს თითქმის უკანასკნელი იმედა და ვინ იცის რას იტყვის. სიმონი თვითონ ძალიან იმედოვნად არის, დიბეტის მხრივ არაფე-

მარია ჩინოპანი

დღიურები



რი მომივიდეს და თვალს ეშველებათ. დაეიწყე მოსკოვის წიგნისათვის მასალას შეგროვება.

16/IV, 1965 წ.

დღლით მივიღეთ ვახეთი სიმონას ლექსებით. კმაყოფილი დარჩა — კარგად დაუბეჭდიათო. მაშინვე დაიწყო ტელეფონმა რეკია. აუარება ხალხი რეკიას და თავის სიხარულს და მოწონებას უზიარებენ სიმონს. პირველმა დარეკა მზია ერისთავმა, მერე ჭეთო ჭაფარიძემ, მარჯანმა, ჭილაბი, სერგო კლდიაშვილმა, შალვა სირაძემ. სიამოით ბესომ, მერე გოგლა ლეონიძემ, უთხრა, ასეთი ლექსები არც აქ, არც რუსეთში არ წამიკითხავსო ბოლო დროს.

17/IV, 1965 წ.

დარეკეს: ლიანა ასათიანმა, რუსიკო ძიძიგურმა, არჩილ სულაყურმა, ვია პარგველაშვილმა, შალვა დემეტრაძემ, კალე ბოზოზაძემ, სერგო ზაქარიაძემ, რამდენიმე უცნობმა მკითხველმა და არ მასხოვს კიდევ ვინ. ვალა ფიფია თავის ოჯახის სახელით, ასათიანებმა და სხვ.

დღეს ჩამაწერინა სქემა პასტერნაკზე მოგონებების და რამდენიმე სტროფი ბარათაშვილის ციკლისათვის. მაკითხა გაზეთები, ყველა გაზეთში ფეხბურთის რეპორტაჟები.

18/IV, 1965 წ.

დღლით დარეკეს ირაკლიმ და ნელიმ ლექსებზე, მერე მოსკოვის ამბები უამიო ირაკლიმ სიმონს, პრემიებზე და სხვ. დიდენს ილაპარაკეს. დარეკა თეო აბაშიაძემ — რედაქციის კოლექტივის სახელით მოულოცა ლექსები და სთხოვა ყურნალისთვის მასალა. კლავდია დედუჩიანი ასათვისი განყოფილების სახელით მოულოცა ლექსები კიდევ პედაგოგმა შიო იმნაძემ. მეგობრები მოდიან ძალიან ბევრი, ალტაცუბული არიან, საოცარია, რომ თითქმის ყველა ადგილები იცის ზეპირად, ბევრმა მთელი ლექსებიც. გუშინ იოსებ ნონეშვილს დაურეკა სიმონმა და მადლობა გადაუხადა, რომ კარგად დაბეჭდა. მან თავის მხრივ უთხრა მადლობა და ალტაცუბა და უთხრა, „ვისაც მოუკლავს, კვლავ მოკლავს“-ო.

20/IV, 1965 წ.

დარეკა მარია ბარათაშვილმა, მოულოცა ახალი ლექსები და სხვ. ღამე დარეკეს ანდრონიკაშვილებმა მოსკოვიდან, მოგვიკითხეს, მერე გეითხრეს, რომ პავლე ანტოლსკის ინფარქტი მოსკოლია და მძიმე მდგომარეობაშია საავადმყოფოში. ძალიან გეწყინა, საერთოდ საშინელი დღეა. ღამევე გავიგეთ გიორგი შატერაშვილის გარდაცვალება. სიმონი საოცრად შეწუხდა, მეც, რასაკვირველია. საწყალი კაცა, ჯერ სულ ახალგაზრდა იყო.

21/IV, 1965 წ.

დარეკა ანა კალანდიაძემ, ელაპარაკა სიმონს მის ლექსებზე, გადასცა თავის სამსახურთან

მისალმება და მოწონება. ცოტა ვიმუშავე. ღამე გავიგეთ ისევ ახალი უბედურება — ნინა ტაბიძე გარდაიცვალა. სიმონმა ბევრი იტირა, ძალიან შეგვიწუხა და დაგვიწუხრა მისმა სიკვდილმა.

22, 23, 24/IV, 1965 წ.

არაფერს არ აკეთებს სიმონი, ძალიან შეწუხებულია. დღეს დავასაფლავეთ ნინა. მას რომ უყვარდა, ისე იყო ყველაფერი, ღამიანად (თუკი შეიძლება ამ დროს ღამიანი იყოს რამე), დიდი სიყვარულით, მოწონებით და დამწუხრებით. გოგლამ კარგი სიტყვა უთხრა. მე დავდიოდა სულ. დაკრძალვის ამბავს რომ ვუყვებოდა, სიმონი სულ ტირიდა. იმ ღამეს კული ცუდად გაუხდა. საღამოთი ნინას სახლიდან მოვიდნენ გია, გივი დორონი, გივი ჭანიშვილი და ტატული წულუკიძე ღვინით და სანოვჯით, რეკეს, ნინას საუბედურო დღე უთქვენოდ არ გეინდოდა მოვევთავებინათო. სიმონს ენაა მთი მოსკლა. მერე მოვიდნენ თამაზ ჭილაძე და გურამ ასათიანი.

25, 26/IV, 1965 წ.

იყო სერგო ზაქარიაძე. ბევრი იბასეს. მუშაობს ლექსზე — პოს თემაზე, უნდა „მინათობს“ მისცეს. შავად ჰქონდა ჩაწყრილი ერთი ლექსი, ის სულ ვადაკეთა, თითქმის თავიდან დაწერა. კარგა ხანია მინდოდათ ამის დაწერა. 19-ში დაიწყო მუშაობა, მერე აღარ იყო გუნებაზე, არ უშეშავნია. ნიკას მოუვიდა საგზური, მიღის საბერძნეთში. არ მიდიოდა, ვერ დაგტოვებთო, მაგრამ სიმონმა დააფიცა თავისი თავი.

27, 28/IV, 1965 წ.

მუშაობს ლექსზე „ბავშვის ტირილი“, გაათავა. ვაფრინდა ნიკა დღეს 27-ში და ღამე დარეკა მოსკოვიდან, დაგვემშვიდობა. ძალიან გვიხარია, რომ წავიდა, ისიამოვნებს. ლექსი გადასცა რედაქციას, გოგუცამ წაიღო. დღეს მიიღო შურა თოიძის და ვოვა მაჭავარიანის წერილი, სადაც დიდ აღფრთოვანებას გამოთქვამენ ლექსებზე. ველით ექიმს, ისევ არ ხნანს. მივიღეთ ნინა ბაენის დებუში, ექიმი უქმეების შემდეგ ჩამოვაო.

29/IV-2/V, 1965 წ.

არ უშუშავნია სრულებით. გკითხულობთ ბევრს, დაგროვდა ყურნალები, გაზეთები. გაზეთში ვაგვიკითხეთ („ზვესტიაში“) ექიმ ფილოლოგზე, მის ოპერაციაზე. სიმონს საშინლად გაეხარა და იმედი მიეცა, რომ შეხედავს. საერთოდ იმედი სულ აქვს. კარგ ვუნებაზეა, სტეპა ეხლა დაეწყინარლიო. დაგაწყვეთ გეგმები, რომ ამ ზაფხულს გავვიდიოთ მანქანას, მე, სიმონი და ნიკა წავალთ არხანგელსკში საექიმოდ. დმერთო, იქნება რამე გვიშველოს! ჯერ უნდა მივეწეროთ იმ ექიმს და მოვებნათ თბილისში

ვილც ტიხომიროვი, მ. ხ., რომელსაც გაუკეთა ოპერაცია ფიოდოროვმა (თბილისში ცხოვრობს).

უქმებზე ბევრმა შეგობარმა გინახულა. გრომად და ლამარამ, ლელიკო ზოტიგარმა, ფატომ, ზაინა ახვლედიანმა, ჩვენმა ქალებმა, ელისომ თავის ოჯახით, ქეთო ჩხვიძემ და სხვ.

პირველში ელისომ კიხისა ტასო რამიშვილს იმ ექიმზე, ფიოდოროვზე. მან არაფერი საიმედო არ სთქვა. სთქვა, სიმონს ეს არ უშველისო საშინელ გუნებაზე გავხდი, როგორც იმედი მქონდა! სიმონს რასაკვირველია არ ვერცხვით ეხლა ისევ პროფ. შვეველიოვს მოველი მოუთმენლად კივიდიან, იქნებ იმან გვიშველოს.

მოუხვდა მოლოცვები ტიხონოვის, ყულეივის, სტეპანოვის, რედკეიციების, ვილც უკრაინელი პედაგოგის, სამხედროების, უკრაინის რაღაც სკოლიდან და სხვ.

3/IV, 1965 წ.

დღეს დილიდან დაიწყო მუშაობა ბარათ-შვილის ლექსებზე. დაიწყო ახალი ლექსი „სიციხე ჰქონდა...“. ეს ორი კვირაა სულ მაკითხებენ შალვა ჩხეტის წიგნიდან მასალებს ბარათაშვილზე. ძაღვიან ბევრს მაძლევს.

15/IV, 1966 წ.

დაბრუნდა ნიკა საბერძნეთიდან, მთელი დღე უყვება სიმონს იქაურ ამბებს, ძალიან კმაყოფილია. იყო ოთარ ჭილაძე, მოუტრანა სიმონს წიგნი.

19/IV, 1965 წ.

დღეს ჩამოდის პროფ. შვეველიოვი. საღამოს 5 საათზე შეგვატყობინებს რომ 7.30 მოდის თეოთფრინავით. ძალიან ავლულით, იტყუდა ფაკო-ფუტი მზალება შესახვედრად. სიმონი საოცრად დღლავს.

ნიკა, ნათელა და მარიკა ბიბილეიშვილი დახვდნენ აეროლოგებზე. მოვიდნენ, ისეთი სიმბათიური და მომხიბლავი კაცია, სიმონი უცებ დაწყნარდა. დაიწყეს მუსიკით. ის ნამღვილი ინტელიგენტია, იცის მხატვრობა, ლიტერატურა, მუსიკა, ყველაფერზე შეუძლია ბასი. ქართველი პოეტები და სიმონის ლექსები იცის, მოვიდნენ კიდევ ბესო, სერგო კლდიაშვილი, სერგო ზაქარაძე, კოლია ბერაძე და სხვ. საღამო კარგად გაატარეს. შემდეგ წაიყვანეს სასტუმროში და დაახინავეს (ჩვენთან არ დარჩა, ავადმყოფები შეგაფუხუნებენო).

20/IV, 1965 წ.

სიმონი შვეველიოვმა და კოლიამ დაიბარეს კლინიკაში. დილის 10-2 საათამდე იქ ყავდათ. შე საოცრად ვლელავდი. ეს თითქმის უკანასკნელი იმედი, იქნებ რამე უშველოს. სიმონი მოვიდა ძალიან დაღლილი. ნიკა და ნათელა ცხომელიძე ახლდნენ. პროფესორმა სთქვა, რომ

ოპერაციას გააკეთებს. ე. ი. რაღაც იმედი აქვს.

21/IV, 1965 წ.

დღეს სიმონი ყავდათ გასასინჯად შეროზის ქუჩაზე, კლინიკაში. იქაც დიდხანს გააჩერეს. იქიდან უფრო კარგ გუნებაზე მოვიდა. იქაც უთხრეს და პროფესორიც ამბობს, რომ ნერვოჯანმრთელია და ნაწილობრივ ზაღურაუც. არის იმედი, რომ საგნებს დაინახავს და შეძლებს სიარულს. ჩვენ მდგომარეობაში ეს ძალიან ბევრია. დმერთო, გვიშველენ რანე! ისაღილეს ჩვენთან: შვეველიოვმა, კოლია ბერაძემ, ბესომ, გრიშა აბაშიძემ, ლევან გოთუამ, სერგო ზაქარაძემ, ქეთო ჩხვიძემ, ნათელა ცხომელიძემ და ჩვენებმა. ნათელა გადაგვყვა ძალიან მონდომებულია, კარგი ქალია. საერთოდ რამდენმა ხალხმა დარეკა, ყველა დღლავს, მთელი დღე არის მისავალ-მისვლა რეკვა. ნასაღილევს ელაპარაკე შვეველიოვს. მითხრა, რომ იფისის დამღვეს ისევ ჩამოვა და გაუკეთებს ოპერაციას. შეიძლება თქვენ ჩამოხვიდეთო კივიში, ერთი სიტყვით, უნდა გადავწყვიტოთ რამე.

22/IV, 1965 წ.

დილით ნიკამ, ელისომ და ნათელა ცხომელიძემ გააცილეს პროფესორი. ამ სამ დღეში საოცრად დავიღალეთ. მთელი დღე არაფერი გეყვებოდა, მიგდებული ვიყავით. დარეკა გამსახურდიამ, უთხრა, გავიგე, საიმედოდ არისო საქმე, ულოცავდა, სიმონმა უთხრა, ჯერ ნაღრევიყო.

23/IV, 1965 წ.

დღეს მთელი დღე ნიკა უვლის სიმონს, მომცა „გამოსასვლელი დღე“. უციხაგს. უწერს, ემუსაიფება. მე კი თითქმის მთელი დღე ვიწეკი. ეტყობა რეაქცია მაქვს ამდენი დღლვის შემდეგ. საღამოთი იყვნენ გურამ ასათიანი და გია მარგველაშვილი.

26/IV, 1965 წ.

გუშინ, 25-ში იყვნენ სერგო ზაქარაძე და ფატი. ლაპარაკი იყო შექსპირის დადგმებზე, ლირის თამაში უნდა სერგოს. 24-ში იყვნენ გიორგი ნატროშვილი და ვახტანგ გორგენული. მოუტანეს „დროშა“, სადაც პიუელი გვერდია სიმონზე. თეთონ გაარჩია, რომ სურათებია. დიდხანს იყვნენ, ჩვენთან ისაღილეს, ბევრი იცინეს. ექიმის წასვლის შემდეგ აღარ უმუშავნია, ძალიან სუსტად არის. დილით 25-ში დარეკა მიკოლაძე, გახარებულა, რომ ოპერაციას უყვთებს შვეველიოვი. გელითო ჩვენთან, იცოდეთ. ჩემი სახლი იგივე თქვენა სახლიაო. ვითხრა, რომ ჰავლე ანტოკოლსკი უყვთ არის, ძა-

მარიკა ჩიქოვანი  
დღიურები





ლიან გაეცხარა. სიმონს „დროში“ ვახტანგ ჭავჭავაძის ლექსი „ომი ყოველთვის გვიან მთავრდება“ მოეწონა. ამას წინათ ზოლიო აბრამიას ლექსები იყო დაბეჭდილი, ერთა ძალიან მოეწონა და გაეხარდა. ისე გაეხარდა, რომ წაიკითხავს ვინმეს კარგ ლექსს, თითქოს თვითონ დაეწეროს. ოთარ ჭილაძის ლექსებს მაკითხებ, სიამოვნებით უსმენს, ამბობს, უნიკერესი პოეტიაო. ბევრს უკითხავს ნიკა, სამსახურის შემდეგ საღამომდე. ნიკა, რომ წასული იყო, სიმონს ძალიან ენატრებოდა, ამბობდა, თითქოს არასოდეს არ არის სახლში, როცა არის, ჩემად არის, მაგრამ მაინც როგორ აესებდაო სახლს, უმისოდ სულ ცარიელიაო სახლა. საღაღად ქეიფობდნენ რგზო ჭავჭავაძე, ვასო კიკნაძე და ვილანტეები. ეტყობა შექეიფიანდნენ, დაუბრუნეს სიმონს, ესიამოვნა.

3/VI, 1965 წ.

იყენენ მიშა ლუკონინი, რგზო მარგინი და გრიშა აბაშიძე. უამბებს მიშას საღამოს შესახებ. მერე მიშამ უკითხა თარგმანები სიმონის და სხვების. ზოგიერთი მოეწონა მე შემთხვევით არ ვიყავი სახლში. ისე უშვითად გავდავარ და მაინცა და მაინც მაშინ არ ვიყავი. დამხვდა გამოცოცხლებული და კარგ გუნებაზე. თორემ ეს დღეები ცუდ გუნებაზეა. ხო, მაისში, შუა რიცხვებში იყო საშა მვეტირევი, ერთხელ მარტო, მეორედ ცოლით. იმათი ნახვაც გაეხარდა. საერთოდ მწერლები რომ მოვლენ და მნახველები, ყველაფერი აუწყდება, გამოცოცხლება და დიდი ხალისით ლაპარაკობს. ხვალ ლევანის ხსოვნის საღამოა. დღეს იყო გურამი და ტელევიზიიდან ჩაწერეს რამდენიმე სიტყვა ლევანზე, ხვალ გადაცემენ. ლელვა ლევანის საღამოზე. კითხულობს. როგორ იქნება. ვინ გამოვყო. იგონებს ეპიზოდებს ლევანის ცხოვრებიდან დიდი სიყვარულით და მწუხარებით. საღამოსაც ბევრი ხალხი იყო. გადატვირთული დღე გამოუვიდა, გადაიღალა.

4/VI, 1965 წ.

დღეს ცოტა იმუშავა, უფრო გადახედა ბჭკარელებს მოსკოვისათვის, დაწერა წერილი არსენი ტარკოვსკისადმი. წაიკითხა „ლიტერატურულ გაზეთში“ ლევანის დღიურის ჩანაწერები. საოცრად მოეწონა ჩანაწერი წინამძღვრზე. სულ იძახის, რამ დააწერინა ეს, ერთ კარგ ლექსს უღრისო. Это Видение, უცნაური მიგნებაა, ხილვაა. ჩვენები ყველანი ლევანის საღამოზე არიან. ვართ მარტო, ვუკითხავ ბევრს, რომ არ მოეწონება. 10 საათის შემდეგ მარკინებს ტელეფონით „გაიგე, საღამო გათავდა თუ არა“-ო. მოუთმენლად ეღის ნიკას, ისიც მოვიდა და დიდხანს დაწერალებით უყვებოდა საღამოს ამბებს, რომ ხალხს ძალიან ბევრი იყო და საღამო

თბილი და კარგი. კმაყოფილი დარჩა, მის შემეხვევებს ბოლო არ ჰქონდა.

5/VI, 1965 წ.

ეს დღეები ლევანის ირგვლივ არის. სიმონმა თქვა, კარგია რომ მოაწყვეს ეს საღამო, ხალხს კი ახსოვს, მაგრამ ეს რამდენიმე ხნით უფრო გააცოცხლებს მის ხსოვნას. ცველას, ვინც მოვა, აკითხებს ლევანის დღიურს და თავის აღტაცებას გამოსთქვამს. ტელეფონითაც დაურეკა ვიორგი ნატროშვილს და გაიას — წაიკითხეთო. მერე იმათ დაურეკეს, მათაც მოეწონათ. საღამოდ ყველანი თინასთან არიან. ჩვენ მარტო ვიყავით. საღამოთი, გვიან, მოვიდა გია. მოსკოვისთვის პჭკარედს საბოლოოდ გადახედა, გააწერა. ხვალ გადავტყუვით. დღისით ცოტა იმუშავა. დღეს რატომღაც გჭვი შევბარა და მითხრა „იქნებ შეველოვი ჩემს დასამშვიდებლად ამბობდა, რომ რაღაც შევეტლება და არ არის მართალიო“. მე ვაშკინდე. ექიმიც იყო — მაღცევა, ძალიან დაამშვიდა. რამოდენიმე რჩეული მოკვცა. ყურადღებიანი და კარგა ექიმი. ლამე ჩემი გვიან დაბრუნდა, სიმონმა გაილიცა, დასვა და ყველაფერი ამბობინა. საერთოდ ასე იცის — რა დროსაც არ უნდა მოვიდეს ნიკა, ჭერ ერთი უცდის და. თუ დაეძინა, გაილიცებს და მუსსაიფობენ. ნიკაც ყველაფერს უამბობს, იუმორით, დაწერილობით. ვენაცვალე იმას. ვიამ დავეიბრუნა პასტერნაკის წერილები. «Вопросы литературы» სთვის ამზადებს ხიხორკას მის წერილებიდან ქართულ მწერლებისადმი. საუაშოს უსმინა ლევანზე გადაცემის ტელევიზორში. ძალიან არ მოეწონა თავისი ხმა. მოხუცებული ხმა მიქესო. გადაცემა საერთოდ კარგი იყო.

ვიამ უამბო, გარკე ბებუთოეს უთქვამს, იქნებ დავაწესო სიმონთან მორიგებას, ვუკითხოთ გაზეთები, ვაგართოთ. სიმონს აამა. ЕГО ОЧЕНЬ ТРОУЛА ТАКАЯ ЧУТКОСТЬ. საოცრად ნასიამოვნები იყო. საერთოდ სომხებმა იციან მეგობრობა. ჩვენ ასე გვაქვს დაცდარი. არასოდეს დამაივიწყდება კიდეც ი. ვ. ავაჯანოვის ყურადღება და ზრუნვა ჩვენდამი ჩვენი უსიამოვნობის დროს. თითქმის უცნობი კაცისაგან ამის დაიფიყება არ შეიძლება.

6/VI, 1965 წ.

ეს დღეები ვიასათვის უნდა გადამერჩია პასტერნაკის წერილები. გადავიკითხეთ თავიდან, 34 თუ 36 წერილი აქვს სიმონს მისგან მოწერილი. რა საოცარი წერილებია წერა იცოდა. ორი თუ სამი წერილი ჩემს მიმართ არის.

16/VI, 1965 წ.

იყო ნორვეგიელი მწერალი და პროფესორა მარტინ ნაგი, მეუღლით. 15-ში ლამით დაურეკა სიმონს ი. ნონეშვილმა და უთხრა, ჩამოვიდა ნორვეგიელი მწერალი და ითხოვა თქვენი ნახ-

ვაო. დილით ჯერ არ გვეინდოდა მიღება, მერე შევატყვევებ სიმონს, რომ გული წყდება და მივღეთ დღის 1 საათზე. 5 საათამდე იყვნენ. სიმონის პოეზიას იცნობდა, ბელას ლექსიდან ზეპირად იცრდა ადგილები, სიმონს რომ უძღვენის. მე არ ვავსულებარ, არ ვუყავი კარგად. ძალიან განათლებული კაცი არისო, სთქვა სიმონმა. უნდა დაწეროს გრიგზე, რომელსაც სიმონი იცნობდა და საერთოდ ქართულ ლიტერატურაზე. ძალიან მოწონებია აქაურობა. სიმონი კმაყოფილი დარჩა, იმან არ უქა თავისი წიგნები. სიმონმა თავისი.

17/VI, 1965 წ.

დღეს გვესტუმრა ლენინგრადის „Библиотека поэта“-ს რედაქტორის ქალი ცერცოვა. მოყვა ნიტა, იყო ვაო.

24/11, 1967 წ. (სიმონის გარდაცვალებიდან 11 თვეა).

გარდაცვალების რამდენიმე დღით ადრე. სიმონმა გაიხსენა თომას მანის «Волшебная гора»-თან რაღაც ადგილი და მითხრა, ხო აგხსოვსო. მე არ მახსოვდა. გამოიჯავრდა, როგორ შეიძლება ეს არ გახსოვდესო, ეს ლავე გადმოიყუ წიგნი და წაიკითხეთო. წიგნი კი გადმოვიღე, მაგრამ წაიკითხვის თავი აღარ მქონდა— სიმონი ცუდად იყო. სიმონის გარდაცვალებიდან

რამდენიმე თვის შემდეგ დავიწეე კითხვა თუ ამ რომანის. რა საოცრება! კონკრეტულად ისე საოცრად არის აღწერილი იოახიმის სიკვდილი, თითქოს სიმონის სიკვდილია აღწერილი. უქანასკნელ დღეს სიმონიც... «жил ускоренными темпами, словно раскрываемая пружина от часов, он галопом проносился через возраста, которых ему не было суждено достигнуть в условиях обычного времени и за последние сутки превратился в старика... Ослабление сердца вызвало отечность лица, придававшую ему изнуренный вид настолько, что... возникло впечатление, будто умирание — это мучительный труд... потом он начал делать какие-то странные движения рукой... Взор... словно надломился, сведенные бессознательным напряжением черты разгладились... затихшее лицо стало опять прекрасным: так это свершилось» თითქმის ასე იყო ყველაფერი. შენ გენაცვალე, როგორ ვალამაზდი და გაახალკვარდავდი! შენ შემოგველე, მე ყველაფერ ამას ვუყურებ და დავრჩი ცოცხალი, რა საშინელებაა...

მარია გარდაიცვალა 1988 წლის 20 აგვისტოს. თანახმად ანდერძისა, მის ნეშტს გაუკეთდა კრემაცია, ფერფლი კი შევეურიეთ სიმონის საფლავის მიწას.



ბალრი ზოხონელიძე

## წვიმა პატარა ქალბჭო

„წვიმა პატარა ქალბჭო“ — წვიმის ეს სათაური შემთხვევითი არ არის. ბოლო ხანებში ქართულ მოთხრობასა თუ რომანში გახშირდა მოქმედების ადგილის დაბატარაება, შემცირება. თითქმის ყოველთვის, რაც კი სადმე ხდება, ეს უთუოდ პატარა ქალბჭო უნდა იყოს, ან ერთი ციციკა სოფელი, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, სადაც ერთი ვადაჩურჩულდება კი წაშში საქვეყნოდ ცნობილი ხდება და რაც მთავარია, ეს სიმცირე (და სიტყვა პატარა) მოქმედების ადგილს, ცოტა არ იყოს, ზღაპრულს, ირეალურს ხდის. ეს, რა თქმა უნდა, ქართული პროზის აღმორჩენა არ გახლავთ.

ქართულ ზღაპრებშიც უხვადაა პატარა ქალბჭოები. და აი, გურამ ბეტრიაშვილის წიგნი. დიდებულ ქართულ ფოლკლორზე გაზრდილი მკითხველი შეიძლება ამ წიგნში ელოდეს სასწაულებს, ელოდეს იმ კაცის მსგავსად, რომელიც მთელი სიცოცხლე დაჯერებული იყო, დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად მოხდება სასწაულიო. რომელიც სულ სასწაულს ელოდა... ეს კაცი ამ წიგნის ერთ-ერთი გმირია. არა, აქ ისეთი არაფერი ხდება. ყოველი ზღაპარი ავტორისეული ლამაზი უცნაურობებითაა სავსე.

გურამ ბეტრიაშვილი პირველ რიგში პოეტი და რაც მთავარია, ისეთი პოეტი, რომელიც წაკითხვის შემდეგ არ გაიწყდება. ძნელი სათქმელი და მისათითებელია რომელიმე შემოქმედის წარმატების ძირითადი კომპონენტი. ჩვენც ვერ გამოვუძებნით შესატყვისს იმას, რაც გ. ბეტრიაშვილის პოეზიაში მოგვეწონს, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, სწორედ ეს აკლია ამ ზღაპრებს, სწორედ ის ძნელად საპოეზო მომხიბვლელობა იშვიათი, ისე ნურავენი გაიგებს, რომ ეს, პატარა ამბებით სავსე წიგნი საერთოდ იმსახურებდეს უარყოფით აზრს. უბრალოდ პოეტი — ბეტრიაშვილი.

ამ წიგნის ავტორი გაურბის ზედმეტად კოჟია და თავმოსაწონ ლეტალებს. თითქმის და სპეციალურად მარტოვი (და არა ღარიბი) ენით მოგვითხრობს. იქნებ სწორედ ენის, ფრაზის გამოარტივებამ გამოიწვია ზღაპრებში უდავოდ პოეტური სახეების, პასაჟების გაფერმკრთალება.

„სულ ცაზე ფიქრობენ პეპლები, ამიტომაც არიან ლამაზები.“

ხშირად ოცნებობენ ამ ზღაპრების გმირები და მათი ოცნება იმითაა მიმზიდველი, რომ მხოლოდ საკუთარ სიკეთეზე არ ფიქრობენ, მხოლოდ საკუთარი თავისთვის არ იბრძვიან.

რადგან ზღაპრებთან გვაქვს საქმე, ალბათ ბოროტ სულელებსაც უნდა ველოდეთ ამ წიგნის ფურცლებზე. მაგრამ ეს ბოროტები ოდნავ ღიმილისმომგვრებლებიც კი არიან. ერთი იმიტომ — მა ბოროტი და ცუდი, რომ ბევრი ჰქონდა უყვარს, მეორე ვერ იტანს მუსიკას... ეს ზღაპრები ზომ ბავშვებისთვისაა და შეიძლება ასეც არის საქირი, ასეც არის აუცილებელი, მოდიო პატარებს ჯერ ვუჩვენოთ ბოროტების საწყისები (ადამიანის უარყოფითი მხარეები), რომლის გამოსწორება არც ისე ძნელია.

ერთი შეხედვით ამ სასაცილო ბოროტებს ბევრი ცუდის გაკეთება, ბევრი რამის გაფუჭება შეუძლიათ.

გ. ბეტრიაშვილის ზღაპრებში ხშირად იგრძნობა ბიძგი, რომ რაღაც შეგაყვაროს. ეს რაღაც შეიძლება ყველა და ყველაფერი იყოს. ოღონდ ჯერ სილამაზე უნდა ეძიო სწორედ ყველასა და ყველაფერში, მერე კი შეიყვარებ, შეიყვარებ მთელი არსებით და ამ სიყვარულით, ნათელი მეოცნებე სულით შეკვებება ნებისმიერ სასაცილო ბოროტთან თუ გამოუწვრთბელ სისაძაგლესთან ბრძოლა...





მეოცნეებები ყოველთვის გამარჯვებულები გამოდიან ამ ზღაპრებში. მკობველიც უპოვარესად მათ მხარესაა. და აი, ერთგან სწორედ ასეთი მეოცნეებ, ოდნავ უცნაური კაცი, ბელსაც წვიმა უყვარს, გაიჩინს დაეთარს. აქედან იწყება მისი უბედურება. დიახ, პოეტურ სულს არ სჭირდება ჩინოვნიკური აღრიცხვები, მითუმეტეს თუ ეს თვითორკლამისთვისაა გამოჩნული და იცით რა ხდება? ოცნებაში უხეში ჩარევა, სილამაზეში თუნდაც ერთი წვეთი უხამსობის ვარევა ყველაფერს აფუჭებს. აფუჭებს არა მხოლოდ ამ ჩამრევისათვის. ირგვლივ მყოფთაც უჭრებათ, ვრღვევით წარმტაცი, ღერადი გარემო და ეკარგებათ ის ხელშეუხებელი, რაც მერე აღარ იპოვნება.

მოდით, ვიოცნებოთ და სხვასაც შევეუწყოთ ხელი ბუნების ამ დიდებული ნაბოჭების გამოყენებაში. ოცნებასთან ერთად ვიმოქმედოთ სიყვითისათვის. ეს ზღაპრები, ეს პატარა უცნაური ამბები ხშირად მოგვიწოდებს ამისკენ.

გურამ პეტრიაშვილის წიგნი ორ ნაწილადაა გაყოფილი:

1. პატარა ქალაქის ზღაპრები.
2. უცნაური ძველისძველი პიანინო.

ცოტა არ იყოს, გაუგებარია რამდენადაა ეს აუცილებელი, რადგან „უცნაურ ძველისძველ პიანინოში“ შემავალი ზღაპრებიც უმთავრესად პატარა ქალაქში ხდება.

ერთიც გვინდა შევინშნოთ. ამ ზღაპრებში ხშირად სილამაზისა და სიწმინდის გამომხატველად პეპლები გვევლინებიან. ნამდვილად წარმტაცია აყვავილებულ მინდვრებში მოფარფარე ქრელი პეპლები. თუნდაც ერთფეროვან ქუჩებსა და სახლებს როგორ აშვენებს მოჩითულნი თუ ერთფერნი, მაგრამ როდესაც ოთახში აფრინდებიან (თუნდაც საოცრად მოხიბვლელნი), თანაც ელექტრონათურებიან ოთახებში, აღარ ტოვებს ისეთსავე შთაბეჭდილებას, შეიძლება უკუტრეპიცია კი გამოიწვიოს.

ეს პატარა წიგნი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ მისი წაკითხვის შემდეგ არაფერ იტყვის, დრო დავკარგოთ.

„იზოვეთ კარგი მელოდია და თქვენი კომპოზიცია, როგორიც უნდა იყოს იგი, მშვენიერი იქნება და უთლოდ მოეწონებათ“.

ი. პიანინის ეს სიტყვები, რა თქმა უნდა დიდ შრომასაც გულისხმობს. გურამ პეტრიაშვილს ამ ზღაპრებში ნაბოჭნი აქვს კარგი მელოდიები.

ნინო კილუშაძე

## საყურადღებო წიგნი ბიჭვინთაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ

გამომცემლობა „მეცნიერება“ ახლან გამოსცა საყურადღებო კოლექტიური ნაშრომი — „დიდი პიტუნტი“, I, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში. ნაშრომის რედაქტორია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციას.

წიგნი ეძღვნება ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციის მიერ ბიჭვინთის კონცხსა და მდ. ბზიფის ხეობაში 1952-1972 წწ ჩატარებულ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს. ნაშრომში შევიდა საქართველოს შავიზღვისპირეთის გეოინანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ცნობილი ციხე-ქალაქის და კულტურულ-არქეოლოგიური ცენტრის „დიდი პიტუნტი“ (ბიჭვინთის) არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები და უმნიშვნელოვანეს არქეოლოგიურ მონაბოვართა (სამზარეულო კერამიკა, ამფორები, მონეტები და სხვა) დიდი ნაწილი.

ნაშრომის წინასიტყვაობაში (გვ. 5-9) მოცემულია ძველის ზოგადი დახასიათება და არქეოლოგიური გათხრების ისტორია და მასთან დაკავშირებული მეცნიერული პუბლიკაციების მოკლე მიმოხილვა.

ა. აფაქიძის ნაშრომი „დიდი პიტუნტი“ — არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში (გვ. 13-125) წარმოადგენს ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისა და მიღებული შედეგების საერთო მიმოხილვას ძველ ავტორთა ცნობების დაწვრილებითი ანალიზის ფონზე.

ავტორის აზრით ტომონიმი „ბიჭვინთა“ — „ბიჭვინთა“ მომდინარეობს შესაბამისი მცე-



ნარის ქართული სახელწოდებიდან „ფიჭვი“, რომელიც ბერძნებს, როგორც ეს ხშირად მო-  
ხდარა, უთარგმნიათ. აქედან „პიტუენტი“ (Pinus) ფიჭვი.

ა. აფჯიძის გამოკვლევის მიხედვით ბიჭვინტის ბერძნულ ქალაქ-კოლონიად, ან ახ. წ. I-V სს მხოლოდ რომაულ სიმაგრედ მიჩნევა არსებული მასალების მიხედვით არ შეიძლება მისი აზრით აქ არსებობდა ადგილობრივი საქალაქო ცენტრიც, თავისი განვითარებული ეკონომიკით და დაწინაურებული საქალაქო ცხოვრებით.

ნაშრომში დაწერილებითაა განხილული „პიტუენტის“ საფორტიფიკაციო ნაგებობანი (გალავანი, კარიბჭე, კოშკები). შესაბამისი ადგილი ეთობა ძეგლების პერიოდიზაციას, გამოყოფილია ქალაქის განვითარების ცალკეული პერიოდები. ასე მაგალითად, ავტორის მონაცემებით მესამე საფეხური (ახ. წ. III-IV სს) საქალაქო ცხოვრების აყვავების ხანადაა მიჩნეული. ამ დროს ბიჭვინტა წარმოადგენს ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას. ამის შედეგია, რომ ამ დროს ბიჭვინტაში შენდება ტაძრები და, საერთოდ, ეკლტმსახურებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნაგებობები. ხოლო ნიკეის I საეკლესიო მსოფლიო კრებაზე 325 წ. შინაწილობს ბიჭვინტის ეპისკოპოსი — სტრატოფილე. შემთხვევით არ არის ის ფაქტი, რომ ტრადიციის მიხედვით საქართველოს უმაღლეს მღვდელთმსახურთა ხელდასხმა-კურთხევა სწორედ ბიჭვინტაში ხდებოდა (გვ. 28).

მეთხე საფეხური (V-VI სს) ქალაქის ცხოვრებაში დაქვეითების ხანაა, რაც ასევე კარგად ასახულია არქეოლოგიურ მასალაშიც.

ნაშრომში გარკვეული ყურადღება ექცევა თანამედროვე, გეოფიზიკური მეთოდებით ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარებულ არქეოლოგიურ ძიებათა შედეგებს. უნდა აღინიშნოს, რომ პირველად საქართველოს არქეოლოგიური კვლევა-ძიების პრაქტიკაში სწორედ ბიჭვინტაში, 1964 წ. ელექტრობოფილბრების გზით შედგენილ იქნა მიწის სიღრმეში ნაგებობათა ნაშთების განლაგების ელექტრომეტრული გეგმა, გეოფიზიკური მეთოდით შედგენილი გათხრულ ფართობებში დადასტურებულ ნაგებობათა სქემებისა და გათხრების შედეგად მიღებული გეგმების დამთხვევამ პერსპექტიული გახადა ბიჭვინტის არქეოლოგიურ პრაქტიკაში ზუსტ მეცნიერებათა მეთოდების გამოყენება.

ბ. ფუთურიძის ნაშრომი ეძღვნება ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგებს (XVI, XVII, XVIII ნაკვეთების 1961-1967 წწ. გათხრები) (გვ. 127-158). გამოკვლევაში შეგამებულია ის მონაცემები, რომელიც მიღებულია ბიჭვინტის შიდა ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის არქეოლოგიური შესწავლის დროს. აქ იყო გამოვლენილი მთავარი ქუჩა და რაგი ნაგებობებისა, რომლებიც თარიღდებიან ახ. წ. II-VI სს.

გ. ნიკოლაიშვილის ნაშრომი, ბიჭვინტის ნაქალაქარის XIX ნაკვეთზე 1967-1970 წწ. ჩატარებული მუშაობის შესახებ (გვ. 161-182), წარმოადგენს ამ უბანზე ჩატარებულ არქეოლოგიური გათხრების მეცნიერულ ანგარიშს. შესწავლილი ტერიტორიის საერთო ფართობი 1500 მ<sup>2</sup> უდრის. მის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილი იყო ახარის კომპლექსი, დასავლეთ ნაწილში კი ნაგებობათა მთელი სისტემა. თხრის დროს გამოვლენილი იყო ოთხი საამშენებლო პორიზონტი: III-IV მიეკუთვნება ახ. წ. II-III ს; I და II კი ახ. წ. IV-VI სს.

დ. ლორთქიფანიძის ნაშრომი „ბიჭვინტის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი“ შეეხება იმ გრანდიოზულ არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც გათხარა ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1961-1963 წწ. მისი დეტალური შესწავლის საფუძველზე ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ ნაგებობათა ძირითადი ნაწილი აშენებულია ახ. წ. II-III სს მიჯნაზე, და შემდგომ ორი საუკუნის განმავლობაში (ახ. წ. IV-V სს) არაერთხელ არის გადაკეთებული და გაფართოებული.

ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლების ჩვენების შესწავლისაგანაა მიღწეული ლ. ასათიანის, ქ. ბერძენიშვილის, რ. ფუთურიძის და გ. ღონღღას ნაშრომები. ლ. ასათიანი თავის ნაშრომში ბიჭვინტის სამხარეულო კერამიკა (გვ. 201-251) ეხება იმ მრავალრიცხოვან მასალას, რომელიც ბიჭვინტელთა ყოველდღიურ საშინაო ყოფასთან არის დაკავშირებული (ე. წ. სამხარეულო კერამიკა). ესაა: ქოთნები, ქვაბები, ზადები, დანგრები, ტოლჩები, ქილები, კოჭობები, დოქები, ხელაღები და სხვა, რომლებიც ახ. წ. II-VI სს თარიღდებიან.

ქ. ბერძენიშვილის და რ. ფუთურიძის ნაშრომი „ბიჭვინტაში მოპოვებული ამფორები. კატალოგი“ მიზნად ისახავს ბიჭვინტის ნაქალაქარზე არქეოლოგიური თხრის შედეგად აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ამფორების შესწავლას, დათარიღებას, კლასიფიკაციას მათი დამზადების ცენტრების განსაზღვრას. ამ მასალის ქრონოლოგიური დიაპაზონი ძალზე დიდია, დაწყებული ძვ. წ. II ს., ვიდრე ახ. წ. VI საუკუნემდე. აქ გვხვდებით სხვადასხვა სახელის მქონე კერების (ახ. წ. II ს. იტალიური, ახ. წ. III ს. სინოპური, ახ. წ. IV ს. სამოსტური და ა. შ. ნაწარმს).



გ. ღუნღუას ნაშრომი „სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობანი ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II—ახ. წ. IV სს.“ (გვ. 280-473) ეძღვნება ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მსოფლიო მნიშვნელობის მრავალრიცხოვანი (1400 მეტი მონეტა, აქედან სამი განძი) სხვა და სხვა ეპოქისა და სხვა და სხვა ზარაფხანაში მოჭრილ ნუმიზმატიკურ მასალას. ავტორი თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე გვაწვდის ამ მეტად რთული მასალის მეცნიერულ განსაზღვრა-ატრიბუციას ქრონოლოგიურ და გეოგრაფიულ კლასიფიკაციას, მის მეცნიერულ კაბალოგიზაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გ. ღუნღუას მიერ ჩატარებული კვლევა ტრაპეზუნტის მონეტებთან დაკავშირებით (გვ. 328-342) მან უარყო აქამდე ვაერცელებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად ტრაპეზუნტის საქალაქო მონეტები მხოლოდ სამონია მიმოქცევას ემსახურებოდნენ და აჩვენა, რომ ისინი გარკვეულ პერიოდში საერთაშორისო ექვივალენტის როლსაც ასრულებდნენ. ბიჭვინტაში აღმოჩენილმა ტრაპეზუნტის მონეტების აქამდე უცნობმა ცალკემა ტრაპეზუნტის ანტიკურ პანთეონს შეჰმატა ღვთაებები: პერაკლე, აპოლონ ლიკიელი, პალაიო (?) და რეა-კიბელე და სხვ.

მონეტებზე გამოხატული ქალაქის მთავარი ღვთაების იკონოგრაფიის ღრმა და ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე ავტორი მიღის მნიშვნელოვან დასკვნამდე. მისი სიტყვებით: „...საფუძველმოკლებული არ იქნება ვივარაუდოთ ამ ღვთაების ქართველურ ნადავზე წარმოშობა. შესაბამისად ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტებიც, ჩვენნი აზრით, ქართული ნუმიზმატიკურ ძეგლთა რკალში უნდა მოექცეს, რადგან ქ. ტრაპეზუნტი კოლხეთის მიწა-წყალზე მდებარეობდა, მისახლეობის დიდი ნაწილი ადგილობრივი „ბარბაროსული“ ტრამეზისაგან შედგებოდა და მონეტებზე ამოტვიფრული გამოსახულებანი შინაარსობლივად მჭიდროდაა დაკავშირებული უძველეს ქართულ რწმენა-წარმოდგენებთან“-ო (გვ. 337-338).

ამრიგად ბიჭვინტაში მოპოვებულმა ტრაპეზუნტის მონეტების შესწავლამ ახალი შუქი მოჰფინა კოლხეთის ღვთაებათა პანთეონს და საშუალება მისცა ავტორს ეს მასალა შემოეტანა ქართულ ნუმიზმატიკურ ძეგლთა რკალში.

როგორც ცნობილია, ადრე სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომლის თანახმად ახ. წ. IV ს. ბიჭვინტის სავაჭრო-ეკონომიური კავშირები მცირე აზიისთან წყდება (გვ. 375). ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის საფუძველზე ეს დასკვნა გადასასინჯი გახდა ახ. წ. IV ს 500 მონეტიდან აბსოლუტური უმრავლესობა მოჭრილია სწორედ მცირე-აზიულ ზარაფხანებში. ამ გარემოებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ანტიკური კერამიკული ცენტრების ლოკალიზაციისათვის, რომელთა ნაწარმი ბიჭვინტის მასალაში ასე უხვად არის წარმოდგენილი. ასევე გადაისინჯა ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ ბიჭვინტა გარკვეულ პერიოდში ბოსფორის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. ბოსფორის ნუმიზმატიკური მასალის სიმცირე, ბიჭვინტის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ამ დებულებას მართლაც საეჭვოდ ხდის.

ამრიგად, ბიჭვინტის ნუმიზმატიკური, ისევე როგორც სხვა არქეოლოგიური მასალის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების, კერძოდ, ბიჭვინტის პოლიტიკურ-ეკონომიური ისტორიის გასაშუქებლად, არამედ გარკვეულ პერიოდში, საზოგადოდ თვით ანტიკური სამყაროს პოლიტიკურ-ეკონომიური თუ კულტურის ისტორიის კარდინალური პრობლემების კვლევისათვისაც.

ამ წიგნში შესულ ყველა გამოკვლევას ახლავს საკმაოდ ვრცელი რუსული რეზიუმე, სადაც ასახულია ნაშრომში მოცემული ძირითადი დასკვნები. წიგნის ბოლოში გამოქვეყნებულია რეზიუმე ინგლისურ ენაზე (გვ. 569-580). ეს ყველაფერი კი მისაწვდომს ხდის ამ წიგნს სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრისათვისაც და საერთაშორისო არენაზე გააქვს ბიჭვინტის უღარესად საინტერესო და უნიკალური მასალა.

წიგნი მხატვრულად კარგადაა გაფორმებული (მხატვარი ლ. ფაველინიშვილი) და შესრულებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

**სიმონ არველაძე**

**დრო და პრობლემები**

ყოველი დრო, ყოველი ახალი ისტორიული შემობრუნება უფოდ ბადებს ახალ ცხოვრებისეულ პრობლემათვალს; ზოგი მათგანს ახალი და აქტუალური. ზოგიც კიდევ მოიხსოვს ახლებურ მიდგომას და გადაწყვეტას. სწორედ ამ ქეზმარბიტების არსიდან გამოდის ცნო-





მომქალაქებისას, არა მხოლოდ მეურნეობის, არამედ კულტურისა და განათლების დონის და  
კვირებაც.

ნარკვევში „ამბროლაური, პრობლემები...“ დაუნდობლად არის მხილებული შორეული  
რაიონის სოფლის მშრომელთა სატყეოარი თუ სამდურავი: ბევრი ახალგაზრდა ადვილად ტო-  
ვებს სოფელს, არავითარი შეგონება არა სჭრის, მიდის და აღარ უბრუნდება მშობლიურ ნია-  
დაგს, ადგილის დედას. მწერალი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სოფლიდან ქალაქსკენ ბევრი  
გზა მიდის, რომ გამქცევს მართლაც აქვს არაერთი საპატიო თუ არასაპატიო მიზეზი. ერთ-  
ერთია გზა იოლი ცხოვრებისაკენ. მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი: კულტურული ცხოვ-  
რების დაბალი დონე და აქედან გამომდინარე მოწყვენილობა და ერთფეროვნება, რაც ასევე  
ქალაქსკენ გზას უხსნის ახალგაზრდობას. „ხალხი ვარბოდა რაიონიდან, — წერს ნარკვევის  
ავტორი, — ხოლო იმათ შეჩერებაზე არავინ ზრუნავდა; ასობით კაცი მიდიოდა რაიონიდან  
ყოველწლიურად...“

არავითარი ყურადღება არ ექცეოდა ახალგაზრდობის თვითმომოქმედებას, კულტურულ  
ცხოვრებას, არც რაიონის ცენტრში და არც სოფელში არ არის არცერთი სპორტული მოე-  
დანი. ერთი სიტყვით, ამბროლაურის რაიონი ურმით მისდევდა დღევანდელი კულტურულ-ინ-  
ტელექტუალური ცხოვრების სწრაფ მანქანას, ამიტომაც მანძილი მათ შორის საშინელი სის-  
წრაფით იზრდებოდა“ (გვ. 88). რა მწარე სიმართლეა, მაგრამ ხომ დოკუმენტური სიზუსტითაა  
წარმოჩენილი მანკიერებანი არც თუ შორეული წლებისა.

განხილულ ნარკვევებში მკითხველი დაინახავს ქალაქისა და სოფლის სატყეოარსაც, დაი-  
ნახავს თითქმის ყველა პროფესიის ადამიანებს, ბევრ მათგანს შეიძლება არ ჰქონდეს ისეთი  
განხილული სახელი, როგორც ბორის ვაშაქიძესა და ამირან ფანცულაიას, მაგრამ მათში  
უმაღლესე გამოიხსნება ქართველი მშრომელი კაცი — მხეწელ-მოხეწელი, მეფოლადე თუ ავ-  
ტომშენებელი; საერთოდ, ქვეყნის ერთგული შვილი და პატრიოტი.

წიგნის ნახევარზე მეტი დათმობილი აქვს ორ ვრცელ ნარკვევს „თბილისი გუშინ, დღეს,  
ხვალ...“ და „რა ელის ჩვენს პლანეტას?“.

თბილისის აღმშენებლობა, მისი გარდაქმნილი სახე და პერსპექტივა არაერთგზის ქე-  
ულა სიტყვაჯამული მწერლობის მთავარ თემად. ამჯერად გურამ ფანჯიკიძე ნარკვევში „თბი-  
ლისი გუშინ, დღეს, ხვალ“ მეტად შთამბეჭდავად, მდიდარი ფაქტობრივი მასალიდან არსე-  
ბითის განზოგადების გზით, არგუმენტირებულად ცხადყოფს და გვიჩვენებს, ძველისა და  
ახლის ქიდილში ჩვენი დედაქალაქი, თუ როგორ შეუქმნეულად, თანდათან ჰკარგავს ეროვ-  
ნულ კოლორიტს, ქართულ სურათობოღერულ ტრადიციას, როგორ უჩნდება მის ჯანსაღ ორ-  
განიზმს გაუმართლებელი „წყულუბი“, რითაც მისი ჯანმრთელობა, მწერლის თქმით, —  
ვერაა სახარბიელო დღეში“. ამ ზოგადი მანკიდან გამომდინარეობს ყველა სხვა ნაკლი, დაუდევ-  
რობა თუ დანაშაული, რაც გულახდილი თხრობით, პირუთვნელად და დაუფარავლად მხილე-  
ბული და გამოვლენილია მწერლის მიერ და, რბილად რომ ვთქვათ, ჩრდილსა ჰყენს დედა-  
ქალაქის ესთეტიკურ იერსახეს.

ჩვენს თხუთმეტსაუკუნოვან თბილისს ბევრი რამ აქვს ხანაშთო, გამძლე და ღირებული  
მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა დარგში, მაგრამ დღეს ხომ აშკარად  
შესამჩნევია არქიტექტორთა თუ მშენებელთა შემოქმედებითი აზრის მოღუწება, ფანტაზიის  
ფრთხმეკვეცილობა და შეზღუდულობა.

ბოლო ნარკვევის „რა ელის ჩვენს პლანეტას?“ პირველსავე ფრაზიიდან ავტორი გვირწმუნ-  
ნებს, რომ ეს არ არის სენსაციური სათაური“, თუმცა, ძლიერი არგუმენტაციისა და სათა-  
ნადო მოტივირების მიუხედავად, მიიღიდ ასე როდია. მართალია, დიდძალი მასალა, დარგობ-  
რივადაც მრავალმხრივი, შესწავლილი და გაანალიზებულია კომპლექსურად. ამასთან გამოჩე-  
ნილ მეცნიერთა (აკად. ვიქტორ ამბარცუშიანი და ევგენი ხარაძე ასტრონომიაში), აწვანსე-  
ნებული კონსტანტინე ვერბიშვილი (ფუტუროლოგიაში) და სხვ. უტყუარ დასკვნებამდე დაყ-  
რნობითაც, მაგრამ შორეული მომავლის პროგნოზირება იმდენად რთულია, რომ ნარკვევში  
ზოგი რამ პარადოქსალურად აღიქმება. ამის მიუხედავად, ფრიალ ორიგინალური მასალისად-  
მი, რომელიც მოიცავს ე. წ. გლობალურ პრობლემატიკას, ნაჩვენებია მწერლის დამოკიდე-  
ბულება და თხრობა იმდენად მიმზიდველად, რომ ნარკვევი შეუწუნებელი ინტერესით იკით-  
ხება.

ცნობილია, რომ ნარკვევი ლიტერატურის ერთ-ერთი სრულფასოვანი ენარია. იგი ყველაზე  
უფრო მოქნილი და პოპულარული ფორმაა თანამედროვე ცხოვრების მოვლენათა გამოსახ-  
ტავად. ვაზნით „პრაგმა“ თავის ადრინდელ მოწოდებაში მიუთითებდა მწერლებს, რომ შეექ-  
მნათ მხატვრული ნარკვევები ჩვენი დროის ადამიანებზე, კომუნისტური შრომის ბრიგადებზე,  
ხუთწლიდის გმირებსა და ნოვატორებზე. ამ მოწოდების საბასუხოდ მწერალმა გურამ ფან-  
ჯიკიძემ კიდევ ერთხელ გააზარა ქართველი მკითხველი ნარკვევების წიგნით „დრო და პრობ-“



ღმებში". ამ წარკვევებზე უნდა ითქვას, რომ ყველა როდი ღვას თანაბარ მხატვრულ სიმართლეს; ზოგ მათგანს აქა-იქ დაჰკრავს სქემატურობის იერი, მაგრამ რაც მთავარია, მთლიანად წიგნი აღბეჭდილია მხატვრული სიმაართლით, მხილებს სიმაფართით, გამსჭვალულია ახალი დროის აღმშენებლობის პათოსით.

ლუიზა გოჩოვაძე

## ოთხივე მხრიდან

ყველაფერს ჩანსწვდა სულით, ყოველივე მოიცვა გრძნობით, ყველაფერს დაეუფლა და არაფერს დემორჩილა... ამასთან, მთელი სამყარო, — ყვავილები, ფერები, ხმები, ბუნებისა და სიცოცხლის ყოველი ფორმა პოეზიის მოვლენად გაიხანდა. მისი არსი არის ის, რაც ამ მოვლენაში იმალება, რაც სიცოცხლეს ანიჭებს მათ მყოფობას.

„შამული“ დაუკმაყოფილებელი, მუდმივი წყურვილია პოეტისა, რომელშიც მიწიერი ცოლის გაუნათებია, ციურს კი მიწიერს შეუთავსებია. ლექსის იდეა სამშობლო. იმდენად მხატვრულია იგი. რამდენადაც ხალხური. ხალხურობა პოეზიაში ასეთივე ნიჭია, როგორც შემოქმედებითი წვა. თუ საჭიროა პოეტად დაბადება იმისათვის, რომ აღამაინს პოეტი იყოს, — საჭიროა დაბადება ეროვნულადაც, რომ აღამაინს შეეძლოს თავისი პიროვნებით გამოხატოს თანამემამულეების, სამშობლოს დამახასიათებელი თვისებები. ა. სულაკაურმა შეძლო სამშობლოს საერთო იდეისათვის ინდივიდუალური ძვლერა მიეცა.

არ ვიცი, ამას რა ჰქვია,  
როცა მთაწმინდა აქვია,  
როცა აქვია მტკვარი...

ქართული ენის აქუსტიკური სიმდიდრე, მელოდიურობა, აზრის მკაფიო ნახატი, შემოქმედებითი დამყუდროების განწყობილება იგრძნობა „გალაკტიონში“.

თითქმის არაფერს აგროვებს, არაფერს ანგარიშობს, მინც უტყუარად წარმოგვისახავს მოვლენის წარმომშობ მიზეზებს. იღუშალება, რომლითაც სულის სიღრმეს აღწევს — სიტყვის სიზუსტეა.

რანაირია მინც ეს ცეცხლი,  
სულ სხვანაირი ფიქრები იცის,  
მას სხვაზე მეტად უყვარს სიცოცხლე  
და მინც იწვის, იწვის და იწვის!..

საჭირო და აუცილებელია თითოეული მარცვალი, თითოეული ბგერა, არსებითა ყოველი პაუზა, ყოველი განმეორება, ყოველი ამოსუნთქვა. თითოეული სიტყვის მიღმა იდუმალი, შინაგანი ხმაური ისმის. მეტყველების ხმინაობაში, ხმის მოდულაციებში, მარცვალ-ბგერათა შესახსრებაში იმალება პოეზიის გუნება.

თუ ყოველი აღამაინური გრძნობა მშვენიერია იმით, რომ აღამაინურია, პოეტის გრძნობა მშვენიარია იმითაც, რომ პოეტურია.

მაგრამ დღემილში ღვიოდა სიბრძნე,  
როგორც მიწაში ხორბლის მარცვალი.

პოეტისათვის პოეზია სიცოცხლის გამოხატვაა, უფრო სწორად, — თვით სიცოცხლეა. მის შემოქმედებაში სიცოცხლე უფრო მეტადაა სიცოცხლე, ვიდრე სინამდვილეში.

დაფიქრებული მოდის ორღობე  
ბროწეულებში.

სულ რამდენიმე სტრიქონში გვაგრძნობინებს ცხოვრების იდეალს, რაც შეიძლება ითქვას აღამაინის შინაგანი სიცოცხლის შესახებ:

და შემზარავი ქარის კვილით  
სხეულს შიგნიდან,  
როგორც კედლებს,  
აწყდები სული..





ეს იმისთვის, რომ ყოველგვარ მიწიერში ზეციური შევიკრძნოთ, რეალურში ფანტასტიკურ ვიხილოთ, სიღაღღში — საყოველღაღღო და ვინახოთ. და ყველაფერი ეს ერთდროულად! პოეტის სულს საერთო აქვს ბუნებასთან — ეს საერთო არის სიცოცხლე. თითოეულ ყვავილში გრძნობს ხასიათს, ინდივიდუალურ თვისებებს და ბუნებაც ამიტომ ელპარაკება გასაგები ენით:

მე მთების შუბლზე ფიქრით ვწვები.  
მაგრამ ძნელია გადიქვე ნისლად  
და უფრო:  
იყო ფიქრი მთებისა,  
და გააგონო ცასა და მიწას  
ხმა ქვეყნად აზრის დაბადებისა.

ყოველ ორიგინალურ იდეას აქვს მისთვის დამახასიათებელი ორიგინალური ფორმა, ყოველი თვითმყოფი სული გვევლინება მის დამახასიათებელ თვითმყოფ პიროვნებაში. მაგრამ, რადგან ფორმა მისი სახით მოვლენილი სულის ქმნილებაა, ამიტომ პირიქით, მხოლოდ სულიდან გამომდინარე, შეიძლება ჩასწვლეთ თვით სულსაც და მის გამომხატველ ფორმასაც. ამიტომ ა. სულაკაურის პოეზიის არსი მდგომარეობს მის იდეაში და არა გარეგანი ფორმის თვითნებურ შემთხვევითობაში.

ოთხივე მხრიდან რომ დავიკვირო  
შენი სიმაღლე,  
შენი სიმაღლეთ,  
შენი სიმდიდრე,  
შენი მშვენიება,  
შენ იდგე უნდა მთაზე ჭვარივით.

გარდა გულის შინაგანი სამყაროსი, ადამიანისათვის კიდევ არსებობს ცხოვრების დიდი ჰერეტი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სამყარო, — ის დიდი სამყარო, სადაც აზრი იქცევა საქმედ, ხოლო მაღალი გრძნობა — გმირობად. ეს არის განუწყვეტელი ქმნადობის სამყარო.

კოპანა,  
ხორბლით ამივსე პეშვი,  
რომ ჩემს მამულში მიმოვახნიო  
სიყვარულის და სიბრძნის მარცვლები...

ა. სულაკაურმა გვიჩვენა თავისი პოეზიის ელემენტების სიმდიდრე, სულის ნათესაობა სამშობლოს ეროვნულ სულთან. გვიჩვენა, რომ სამშობლოს წარსული ისეთივე თანაარსია ბუნებისა, როგორც აწმყო. ყოველი სიტყვა მის ლექსში იმდენად ამოსწურავს ნაწარმოების აზრით ნაკარნახევ მთელ მნიშვნელობას, რომ ცხადი ხდება, ენაში არ არსებობს სხვა სიტყვა, რომელსაც მისი შეცვლა შეეძლოს. მისი ლექსის სიღამაზე არა მარტო ფორმის სიღამაზეა, არამედ ზნეობრივი თვისებების გრძნობადი გამოხატულებაც.

ა. სულაკაურის ლექსები თვალათაც დასანახია. პოეტში, უპირველეს ყოვლისა, გიპყრობთ არა მხატვარი, არამედ გულის მესაიდუმლე, სამყაროს მჭკრეტელი, მის მხატვრობას კი უსიტყვოდ, ასხნა-განმარტების გარეშე აღიარებთ.

მისი ეპოთეტი ისე მკაფიო და გაბედულია, რომ ზოგჯერ მთელ აღწერას ცვლის.

ქარები კოშკებს,  
როგორც ძვლებს,  
ხრავენ  
და მკერდზე მკერდით მაწვება ღამე...

ეს პოეტური სურათია!  
ზოგი ლექსის რიტმი შეუმჩნეველია, სიტყვების სიმძიმე კაპრიზულად სხვადასხვა წონისაა. ფორმა კი მჭკრემეტყველური უფროა, ვიდრე პოეტური.

მიტოვებული, მივიწყებული,  
მაღლობზე იდგა თეთრი საყდარი,  
ხოლო გამხდარი, ბებერი ცხენი,  
რომელსაც ზურგზე ყვავები ასხდნენ,  
იქვე მოწყენით წიწწიდა ბალახს.



საერთოდ ეს წიგნი არის სიახლე, მაგრამ არ არის მოულოდნელობა. ერთხანს ბეგრს წერდნენ ა. სულაკაურის პოეზიიდან პროზაში გადასვლაზე. თუმცა, ერთიანიდან მეორეში გადასვლა-გადმოსვლაზე ლაპარაკი საერთოდ უხერხულია, რადგან ეპოქებს შორის უფსკრული არ არსებობს. ამასთან, ისიც უნდა დავძინო, რომ ლიტერატურული პოტენციის თვალსაზრისით, შემოქმედი ყველა ეპოქაში თანაბარძალოვანი იქნება.

ეს ლექსების კრებული ერთი იმ წიგნთაგანია, საიდანაც ა. სულაკაურის სიტყვებით რომ ვთქვათ:

ფიქრებს ძვირფასი წიგნივით ვიძენ,  
წიგნივით ვფურცლავე,  
წიგნივით ვკეცავე.

**ბ. ტალბაძე**

## პოეტი ქალის სხელი

მაკუტურა რანანის — „მოლექვლური პოეზიის“ ოსტატს — ტანკა აქვს ერთი. საბედნიეროდ, იაპონელი პოეტები საშუალებას იძლევიან, მთელი ლექსი ისე დაიმოწმონ, ამით თავი არავის მოაბეზრონ:

### პოეტი ქალის სონო ძიოს სახლში

ო, არა! ვერა! მტერის ნასახსაც ვერავენ ნახავს  
ამ სახლში, თეთრად მოქათქათე  
ქრიზანთემებზე.

ასეთი ყოფილა იაპონელი პოეტი ქალის სონო ძიოს სახლი (და ალბათ წიგნი). ასეთია ქართველი პოეტი ქალის იზა ორჭონიკიძის წიგნი (და ალბათ — სახლი). პოეტების ხელსაქმიდან იზას სხეებზე მეტად ქარგვა ეხერხება — მის ტილოზე შესაშური ფერებითა და ძაფებითაა გადატანილი ქართლის რბილი და თბილი პეიზაჟები, მშობლიური ტეზერის ცა და მინდორი, მერზობლების კარმიდამო, ნაცნობი ხეების სილუეტები, ძვირფას ადამიანთა სახეები — დიდება, დედა, შვილი — წარსული, დღეისდღე, მომავალი... ერთი მისი ლექსის სტრიქონები მთლიანად ემთხვევა ანა ახმატოვას ერთი ლექსის სტრიქონებს:

«...(Когда) минуя тусклое оконце,  
Моя душа взлетит,  
Чтоб встретить солнце».  
„...ასცდება სარკმელს  
ამოგმანულს  
მსუბუქი სული  
და გაფრინდება,  
გაფრინდება აღმოსავლეთით“;

მაგრამ ამ მსგავსებას ჩემთვის ის სასიამოვნო ცნობა მოაქვს, რომ კეთილი პოეტური ოჯახის დიასახლისს ასევე კეთილი და ძვირფასი სტუმრები ჰყავს, და ახალგაზრდა პოეტი ქალი მათი ბრძნული და ლამაზი სატურბითაა გაზრდილი.

ლამაზი და ზუსტად შიგნებული სიტყვა გვაცნობს ამ სახლის მეოცნებე ბინადრის თითქმის მთელ ცხოვრებას, მოკიდებულ იმ წუთიდან, როცა „ჩვიდმეტი წლისას ემჩატებოდა ქვეყანა მხარზე, და ქვეყანაზე არ არსებობდა მისი ბადალი“, როცა „აცოფებდა კარი, დაკეტული შიგნიდან რაზით, და მთვარე ევლო გზაზე, როგორც მგზავრის სანდალი“. ამ დროს დღეები იყო უზრუნველი, ცხოვრება უნაპირო ბედნიერების აღმოქმედი, და ბავშვობისა და დიდობის გზაგასაყართან სიმღერასავით ისმოდა ორად ორი სტრიქონი:

რა ლამაზია უკლებლივ ყველა—  
ჩიტირეკია ჩვიდმეტი წელი.

შაგნიდან რაზით დაკეტულ კარს არ შეუძლია დაითიოს ჩვიდმეტი წლის მანძილზე ნაგროვები უკნება, და იწყება გზები და გზები, სადაც, დალილსა და ნათესავს მონატრებულს



„სიციხლედ გიღირს სულ უცნობი ხალხის სალამი“. ეს გზები, როგორც ცხოვრებას ჩვეულებრივად ხან ძნელი აღმართებით მიემართება, ხანაც საშიში თავდაღმართებით, და ასეთ დროს ჩიტბრუნების გულში იბადება სტრეიონები:

აი, ახლა გადამაგლებს ცხენი,  
აი, ახლა გამისკდება გული.

და თუმცა ასე ძნელია ეს გზები, მისი გავლა იოლდება, რადგან სულ უცნობი ხალხის სალამთან ერთად დაღლილ მოგზაურს თან ახლავს „მარად და ყველგან“ ჩვენთან მყოფი ნუგეშები:

მე, როგორც ბოშას გამოკრული ძველმანში ჩილი —  
ზურგიით დამქონდი, საქართველოვ, სადაც კი ვიყავ.

მერე ეს გზები მშობელი ქართლისაკენ შეუხვევს, და აქაურ რბილ და შემპარავ აღმართებთან შეხვედრა დაღლაზე უფრო სიხარულსა და იმედს ბადებენ:

მოვითრევე თვალით მოთოყილ სივრცეს  
და ეჭიმება აღმართს კუნთები,  
სიკვდილმა მდიოს და თავში იცეს,  
ან დამიცადოს... და დავბრუნდები.

დაბრუნდა, ოღონდ იმისთვის, რომ ენახა ეს გაზაფხული, და „თეთრი მტრები — ზეცის ნაღები“. დაუბრუნდა სახლს, სადაც „თეთრად მოქათქათე ქრიზანთემებზე მტერის ნასახსაც ვერავინ ნახავს“.

ბოეტი ქალის ბინაში ფარდები ხშირადაა ჩამოშვებული და, სახლი გარემოცულია იღუმალებით, რომელიც ამძაფრებს ცნობისწადილს და თანაზიარობის სურვილს.

დრო იყო, ეს ფარდები, ე. წ. „ბუნდოვანების“ სახელით მონათლული, დიდ ცოდვად ეთვლებოდა ქართველ ბოეტებს!

ცნობილია: ყოველი საიდუმლო ლექსისა შეიძლება გაიშიფროს. მაგრამ ერთია საიდუმლო ლექსისა, და სხვაა იდუმალი ლექსი. ცოდნით ამ უკანასკნელის წვდომა შეუძლებელია იგი მხოლოდ განცდებს აღძრავს ჩვენში, ამ განცდებს კი ყოველთვის როდი აქვთ ზუსტი სახელი!

მაგრამ ფარდებზე ვამბობდით „ამ ფარდებს იქით „ვეთ აბრეშუმი ყვითელ პარკში — პარტია ქალი. ფხოვნთან შუშას ქარცემული ტოტები ბნელი“.

დიდი ჭილივით ჩაქრა იელი  
და უხილავმა აკრიფა სივრცე.

ასეთი საღამოები იცის ამ სახლში.

ამ სახლის სარკმლიდან მოჩანს, თუ როგორ ეცემა წვეთზე წვეთი, „და როგორც ნათლის მაღალი სვეტი, ქუჩაზე მიდის ორსული ქალი“. ხოლო ის, ვინც სარკმლიდან ხედავს ყოველზე ამას, უკვირდება არსებობის აზრს და დაუდალავად ეძიებს უმაღლეს მიზანს:

გინდ ქვესკნელს ჩავალ, ოღონდ აზრი ამოვიტანო,  
ოღონდ წრიაინი არ გასმინა მშრალი კალამის...

ამიტომ ვასაკვირი არაა, რომ დიდ სამზერთან მოკალათებული, იგი იოლად ამჩნევს იმას, რასაც გამორჩეული თვალი სჭირდება:

ასწრაფებული, უმატრონო, ჭიანი ხილი...  
მშვილად მუშაკობს გულისგულში თამამი მდილი.

ხანაც კეთილი სახლის დიასახლისს „ხელში უჭირავს შემოდგომის ყვითელი ტომი“ და მადლობას უხდის ყველას, „ვინც გაიმეტა“ — ესაა ყოველივესთან შერიგებისა და სრული პარმონის მიღწევის იქნებ გულუბრყვილო, მაგრამ მომზიბლავი სურვილი, და ეს სურვილი თუ ენის ასე მძაფრია იმის მიუხედავად, რომ იქვე ამგვარი რამეც დასცდა ბოეტესას:

მე მუდამ ვგავდი იმ დროისს გაშლას,  
რომელსაც უმზერს ათასი ლულა...

(სხვათა შორის, ერთი მომენტი მინდა აღვნიშნო. იგი ლექსის გრაფიკულ მხარეს ეხება. აქ ათ და თოთხმეტმარცვლიანი სტრეიონები ისეა დატეხილი, ხშირად თითო სტრეიონის მაგივრებას თითო სიტყვა სწევს. ამას თავისი დადებითი მხარეცა აქვს — ლექსში მეტია ჰაერი და სივრცე. მაგრამ მეტისმეტი, ეტყობა არაფერი ვარგა. და თუმცა ეს „მეტისმეტი“ აზრობრივი თვალსაზრისით ლექსში არაფერს ცვლის, „ფიზიკური“ თვალსაზრისით სტრეიონს ნაყ-



ლულს ზღის. ან, იქნებ ეს ჩემი სუბიექტური ვიზუალური შთაბეჭდილებაა, ზემოთ უკვე ნახსენებები ფარდების გამო შემცდარი, და სხვებს ასე სულაც არ მოეჩვენოთ? ყოველ შემთხვევაში, ამ შენიშვნას, როგორც უმნიშვნელოს, ფრჩხილებში ვსვამი.

კეთილი დიასახლისის ბინაში მინდვრის ყვავილებიც ხარობენ, და მათი შუქი სხვაგვარად ეღინება გარემოს:

როგორც უეცრად გაჭრილი თითი —  
ყაყაო ისე მტკივა ტუჩებთან.

ამ სახლის კიბეზე არასდროს ამოვა ბალახი, ხოლო მის სტუმრებს — ქართველ მკითხველებს — ნამდვილ პოეზიასთან შეხვედრის სიხარული ელოდებათ.

ლ. ზივარდი

## ერთი ზივარდის გამო

მ. შავლიაშვილი უმთავრესად მცირე ფორმის მოთხრობებს მიმართავს. ზოგიერთი მათგანი თავისი ჟანრული ნიშნებით ნოველასაც უახლოვდება. მიუხედავად მათი სიმცირისა, მწერალი ახერხებს გამოთქვას თავისი აზრი და მკითხველამდე მიიტანოს ამ მოთხრობათა ჩანაფიქრი. მ. შავლიაშვილის ზოგიერთი მოთხრობისათვის დამახასიათებელია სიუჟეტურობა, ზოგიერთისთვის კი არა, მაგრამ ამას არ აქვს მხატვრული წარმოსახვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია ორივე შემთხვევაში დამაჩერებლად იქნას გადმოცემული ადამიანთა ენებები და განცდები. მ. შავლიაშვილი სიუჟეტს, ამბავს არ აკუთვნებს პრიორიტეტს მისთვის არსებითია ადამიანურ მიმართებათა მხატვრული გადმოცემა.

მ. შავლიაშვილის მოთხრობების მამოძრავებელი ძალა არის ზნეობრივი სიწმინდისაკენ ლტოლვა, ადამიანთა შორის კეთილგანწყობის დამყარება, მოყვანისადმი თანაგრძნობა და თანადგომა. ამ მოთხრობების პერსონაჟთა დამახასიათებელი თვისებებია სიკეთის ქმნა და პატიოსანი ცხოვრება. მათი დევიზია: „ეცადე მრუდესა და მახინჯს თვალთა აარილო და ყველგან და ყველადღერში სილამაზე ეძებო და დაინახო“, ზოგჯერ ამ თვისებებით პერსონაჟი ბუნებრივად არის აღჭურვილი, ზოგჯერ აშკარად ეტყობა ხელოვნურობა. ისეთი შთაბეჭდილებაც კი გრჩებათ თითქმის მწერლისათვის სიკეთის მოქარბებულად დახატვას ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდეს.

კონკრეტულად შევხებები რამდენიმე მოთხრობას.

მოთხრობა „თვალები“ ერთი შეხედვით დიდაქტიკური იდეის მატარებელია. მოთხრობის შინაარსში წინა პლანზეა წამოწეული აღმზრდელისა და აღსაზრდელის, მშობლისა და შვილის მოვალეობანი. მაგრამ მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მოთხრობის გარეგნული მხარეა. იგი ცდილობს და ახერხებს კიდევ ამ ამბის მიღმა პერსონაჟთა ინტიმურ სამყაროში ჩავახედდეთ და გავვიცხადოს მათი სულიერი ცხოვრება. დიდაქტიკა შინაარსის უკან ძეგს და შემგონებლური იერი დაკარგული აქვს. მოთხრობის საყრდენი მაღალი მორალი და ზნეობაა. ეს იდეა მოთხრობაში მხატვრულად დამაჩერებლად და საინტერესოდ არის წარმოჩენილი. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს რომ ამ მოთხრობაში სინამდვილის ფოტოგრაფიულობა ნაკლებად შეინიშნება (როგორც ეს ზოგიერთი მისი მოთხრობისათვისა ნიშანდობლივი). მწერალი ახერხებს წარმოგვიდგინოს პერსონაჟთა ხასიათები და თავისი ზნეობრივი იდეალიც გაავიწყდეს.

ფრაგმენტულობის შთაბეჭდილებას სტოვებს მოთხრობა „მამიდა“. ფრაგმენტულია არა მოცულობის, არამედ მასში მოთხრობილი შინაარსის მიხედვით. თუ ცხოვრების ერთი ეპიზოდის ფრაგმენტულმა ჩვენებამ განზოგადოებული ხარისხი დაკარგა, იგი ვიწრო კონკრეტულობის ვერ გაშორდება. ბუნდოვანია მოთხრობის ჩანაფიქრიც, გაუგებარია რა უნდა აეტროს. მოთხრობაში არ ჩანს ერთი მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათი, თითქოს ადამიანები კი არ საუბრობდნენ და მოქმედებდნენ, არამედ თოჯინები. მოთხრობა უფრო პერსონაჟთა შინაგანი ეროტიზმის გამოვლენაზე აგებული. (საერთოდ შავლიაშვილისათვის დამახასიათებელია ეროტიზმის მკვეთრი, ზოგჯერ უხეში გამოვლენა). როცა მწერალი სავანებოდ აღსახურებს ნაწარმოების გმირს გარკვეული მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად, ეს გასაგებია, მაგრამ ტრადიციული თხრობის დროს ხასიათი სქემად არ უნდა იქცეს.

მწერლის ჩანაფიქრი შედარებით მკვეთრად არის გამოვლენილი მოთხრობაში „გზად და-



გზედება“. მოთხრობის მთავარი გმირი მარინე სიკეთის მთესველია. იგი თავის მეგობარს სკანდინავიის კვდილისაგან იხსნის ომის მძიმე წლებში (მძიმე სენით იყო დაავადებული), თვით კი მშვიდ-მწყურვალე ცხოვრობს. ყველაფერს ანაცვალებს მას, თვით საკუთარ ბედნიერებასაც კი, მაგრამ სანაცვლოდ მოტყუებას, სიმდაბლეს იგრძნობს მისგან. მწერლის ჩანაფიქრი კეთილშობილურია (ზნეობრივი სტრუქტურა, მოყვასისადმი თანადგომა), მაგრამ სიუჟეტი ხელოვნურ შთაბეჭდილებას სტოვებს და მკითხველში მარინეს სახე არ იწვევს იმ თანაგრძობას რისი სურვილიც მწერალს აქვს. მარინეს ხასიათში სიკეთე ნაძალადეგია და გარეგნული. სიტუაციებიც არ არის დაზღვეული ხელოვნურობისაგან.

მ. შავლიაშვილის მოთხრობებისათვის დამახასიათებელია სიუჟეტის სწრაფი განვითარება თხრობის ექსპრესივა. ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ემთხვევიან და მკითხველი უფრო მკაფიოდ აღიქვამს მოთხრობაში გატარებულ აზრს. ეს ექსპრესია თუ ზნობრივ თაგის მიზანს აღწევს ზოგჯერ თხრობის გარეთ ტოვებს არსებით და მოთხრობაც ფრაგმენტული გამოდის, ხასიათი სწორხაზოვანი. ასეთი ცალმხრივი ხასიათია მოცემული რაიკომის მდივნის თამარის სახით მოთხრობაში „ციცკრიდან მწუხარამდე“. თამარი, მართალია, პოზიტიური სახეა, მაგრამ ვერც იგი ვერ გადაარჩა, სქემატურობას, თამარი ხალხის საყვარელი რაიკომის მდივანია, დიდიდან დაღამებამდე მათთვის შრომობს, მაგრამ ამით მკითხველს ვერ გადავაჯერებთ, რომ იგი საერთოდ სიკეთის მატარებელი პიროვნებაა. ეს გარეგნულთაა ვერ გადმოსცემს მის სულიერ ცხოვრებას, შრომის ფერხულში ჩაბმულ ქალს აი რა სურვილები აღეძრა საღამოს, თავის მანქანაში, როცა მძღოლს სახლში მიჰყავდა: „უცებ ძალიან მოუნდა დიდსა და ძლიერ ხელებს პატარასავეთ აეყვანათ და საწოლში ჩაეწვიანთ. ამდენ ქედმოშვებულ კაციდან, საბატიო მანქანის დაშორებით რომ დასდევნე უკან, ერთიც ვერა ხედდება: რა უმწეო და უსუსური ქალია მდივანი. როგორ ენატრება, ვინმე ძალიან ძლიერსა და ძალიან კეთილ კაცს დაემორჩილოს თვითონ“. მოთხრობის მთელი აქცენტი იმაზეა გადატანილი, თუ როგორ შეურაცხყო მძღოლმა თავისი უფროსი, და ქალმა როგორ მოხერხებულად დაიძვინა თავი მისგან.

საინტერესო მოთხრობაა „ღმერთო იცოცხლე“. ეს მოთხრობაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც „თვალები“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სადაც მ. შავლიაშვილი არ ცდილობს, თავს მოგვახვიოს შეთხზული იდეები და წმინდა ადამიანურ ინტიმურ გრძნობებს გადმოგვეცემს, უფრო ბუნებრივია და მიმზიდველი მის მიერ დახატული პერსონაჟები. აქაც მშობლისა და შვილის ურთიერთობის საკითხია წამოჭრილი, მაგრამ მწერალი უფრო მეტს გვეუბნება, ვიდრე გვიყვება. სიკეთე წარმართავს ამ მოთხრობის პერსონაჟთა ეთიკურ ტენდენციებს. იქნებ აქაც სქემატურად გამოიყურებოდნენ ეს პერსონაჟები, მაგრამ ვფიქრობ, მწერალს არც კი დაუსახავს მიზნად მათი ხასიათების მთელი სიღრმის წარმოჩენა; იმდენად მთავარია მისთვის იდეური ჩანაფიქრის გადმოცემა, რომ მას უმორჩილებს მთელ შინაარსს.

მოთხრობა „სიკეთე სიკრულისა“ პოეტური განცდით არის დაწერილი; საერთოდ მწერალს ემარჯვება თხრობის პოეტური განვითარება. ამ მოთხრობაში ვერ შეხვდებით არაფრის-მთქმელ დეტალიზაციას. მოთხრობას წითელ ზოლად გასდევს ადამიანისადმი სიყვარული, თანაგრძნობა. ყველაფერი ეს მოქმედებაშია ნაჩვენები და ამდენად მხატვრულად დამაჯერებელიც არის. მასში ნაკლებად შეხვდებით განსჯას, პლაკატურობას, შემოგონებლობას. მწერალმა შესძლო ადამიანის ხასიათი ცხოვრების ერთ მონაკვეთში იჩვენებინა და განეზოგადებინა.

მ. შავლიაშვილის ემარჯვება საინტერესო თხრობა, ფრაზის მოჭნილობა, ზოგჯერ სინატი-ფემდე დახვეწილობაც კი. დიალოგები ბუნებრივია, სხარტი, ცოცხალი; თუმცა ზოგჯერ ნაძალადეობაც შეიმჩნევა. მის მოთხრობებში ვერ შეხვდებით ქალურ სენტიმენტალობას მაგრამ მაინც გაიყოლებენ ცალკეულ სენტიმენტალური თუ უხერხული გამოთქმები. მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს: „გოგომ მამიდას ჯერ თვალები დაუკოცა, მერე ყელი და თეთრი მკერდი დაუჩია“; „საყვედურობდა გოგო და თან თვალს უკოცინდა ქმარს“ (ეს საჯაროდ ხდება)? „გაოცებისაგან კენესა აღმოხდა ქალს“; „დაბლზე გადაიწია და ცრემლიანი თვალები დაუკოცა მოლოდინით გულგაუთულ დედას“ (უცხო უცხო სოცნის)? ფაქიზი სულის გოგო ასე არ იტყვის: „ძია ვიორც მაგას იყისრება? უხერხული ფრაზა: „სმენად და ცქერად ქველად დარბაზს გვირებს იმ გრძნობაში ეზიარებოდა“; „ხვლიკისფერები კი უფრო ზევრდებოდნენ“; გაუმართლებელია ერთმანეთის მიყოლებით ასეთი მსგავსი, სტერეოტიპული ხასიათის სათაურების დართვა მოთხრობებისათვის: „წერილის მაგიერ“, „მადლობის მაგიერ“, „გაფრთხილების მაგიერ“. ხოლო სიტყვები „ექსპორაქმნილი“ და „ტრაპეზი“ თუ სათანადო კონტექსტში არ იქნა ჩამსული, შეუთავსებლობის გრძნობას გამოიწვევენ. მათი მოხმობა ამ შემთხვევაში გაუმართლებლად მიმჩნია.

საინტერესო მოთხრობებია აგრეთვე „ციხანა“, „შეჯიბრი“, „ვისაც ღმერთი სწამდა“, „მადლობის მაგიერ“. მიუხედავად ამ შენიშვნებისა, წინი ინტერესით იკითხება.

## მარილით მადლისაძით...

იბრინე ჭერქაძე — „ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში სხვა ქართველურ ენების მონაცემებთან შედარებით“, გამომც. „მეცნიერება“, 1974 წ., რედ. მ. ჭაბაშვილი, ტრაჟე 900... ერთი სიტყვით, კაცი იფიქრებს, რომ ეს არის ვიწრო სპეციალისტთათვის, კერძოდ, ენათმეცნიერთათვის გამიზნული წიგნი.

წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება, ხოლო პირველი ნაწილი ორ თავად იყოფა: „1. ცხოველების აღმნიშვნელი ქართველური სახელები“, II. „ცხოველების აღმნიშვნელი ნასესხები სახელები“. პირველ ნაწილში ზმელეთის ცხოველებთან დაკავშირებული ლექსიკა განხილული, მეორეში — წყლის ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულებია აღნუსხულ-გაანალიზებული.

შრომა ასეა დაწერილი: სტატიის სათაურად გამოტანილია ცხოველის სახელი (მისი ლათინური შესატყვისით), დამოწმებულია რამდენიმე წინადადება ძველი ქართული ნაბეჭდი წერილობითი ძეგლებიდან, სადაც განსახილველი სიტყვა დასტურდება, შემდეგ მოცემულია სიტყვის გამარტება (ავტორისეული ან რომელიმე ლექსიკონიდან დამოწმებული).

ამის შემდეგ მოყვანილია სიტყვის მეგრულ-ქანური და სვანური შესატყვისი (თუკი ასეთი არსებობს), ზშირად მოხმობილია სხვა ენათა მონაცემები. იქვე ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ამ ლექსიკური ერთეულის შესახებ არსებულ მეცნიერულ ლიტერატურას.

ამ წესით გაანალიზებულია რამდენიმე ასეული სიტყვა (სახელი, ზმნა...). ყოველ შესაძლო შემთხვევაში ნაჩვენებია სიტყვის უცხო ენიდან წესსხეობა ან მისი წარმომავლობა — ქართული ენის მონაცემებზე დამყარებული ეტიმოლოგია სიტყვისა.

წიგნს აქვს წინასიტყვაობა, დასკვნითი დებულებები, რეზიუმე რუსულ ენაზე, ტერმინთა საიხებელი, სადაც ჩაითვლილია მარტო ცხრასამდე ქართული ტერმინი და საიდანაც ჩანს, რომ ავტორის ლექსიკონებისა და მეცნიერული გამოკვლევების საშუალებით შეუჭრებია 70-მდე სხვადასხვა ენის მონაცემები. გამოყენებულია 120 მეცნიერული ნაშრომი ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე და 35 სხვადასხვა სახის ლექსიკონი.

საყურადღებოა, რომ ავტორს ამ ძვირფასი მასალის მოსაპოვებლად დაუმუშავებია ასამდე ძეგლი ძველი ქართული ენისა, — თითქმის ყველაფერი, რაც კი ბეჭდური სახით მოგვეპოვება: ნათარგმნი ძეგლებიდან ამოკრებილი მასალა შეუდარებია დედნებისათვის (ბერძნული, სპარსული...) და ასე დაუზუსტებია თითოეული სიტყვის წარმომავლობა თუ მნიშვნელობა ავტორის გათვალისწინებული აქვს ზოოლოგიური მეცნიერული ლიტერატურა. ამიტომ (და, ცხადია, არა მარტო ამიტომ) იგი ზოოლოგთა და, საზოგადოდ, ბუნებისმეტყველთათვისაც საინტერესო წიგნია.

ჩვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ თითოეულ ლექსიკურ ერთეულთან ავტორს მოაქვს საილუსტრაციო მასალა. ეს მასალა იქნა შერჩეული, რომ წიგნს მხატვრულ ნაწარმოებსაგვით გაეთხებეს. რამდენიმე მაგალითი:

გველისათვის: „გული ჭურელსა იწროსა შევალს და განიძარცუავს სიბერესა“ (გვ. 106), ე. ი. გველი რომ პერანგს ანუ ჩიშს (კანს, ტყავს) გაიძრობს ხერელში გაძრომისას, ამით სიბერეს განიძარცუავს, — ახალ კანს გამოაჩენს. თითქოს ამ ფრაზის პასუხია სვანური ანდაზა: „უიჯდ კან (ტუფ) ქაღიღი, მარე გუი უიჯიშ ლახსად“ — „გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა დარჩა“ (იქვე).

ვაცისათვის: „თუ ვერბი იგი მათი მენედიტა ვაცის პირ არს“ (გვ. 52). „ვაცის პირ“ ნიშნავს ვაცის სახის მქონეს, ვაცის მსგავსს. შდრ. დღევანდელი „ქალისპირა“ (—ქალსავით ლამაზი); „ქალისპირა“ ვაჟაკი გვირად არ გამოდგება, ფშვლის აზრით, იგი მხდალია (ვაჟა). „ჩემ დროს ლამაზი ვაჟაკი არ იყო ქალის პირისა, არამედ შავი, მამაკი, მუხლმგელი, გულით რკინისა“ (ვაჟა); „დათუო, სიქვი შენსა რჯულზედა, ვინ უფრო გეომბოდა?“ „—ვაჟა სვილისფერაი ტოტდატოტ მეომებოდა, ვაჟაი ქალისპირაი გორისპირთ ეფარებოდა“ (ვაჟა V, 73).

კირჩხიბისათვის [„კირჩხიბი — 1. იგვევა, რაც კი ბო. 2. იგნის-ივლისის ზოდიაქო. 3. ეკვატორის ჩრდილოეთით მდებარე ტროპიკის სახელწოდება“ (ქეგლ)]. „სიმრულე კირჩხიბისა ბუნებით არს, ხოლო სიმრულე შენი ნებითა შენითა არს“ (გვ. 213).

მყვარისათვის („მყვარი“ — ბაჟაი, (საბა). „ესე სიტყვაჲ მსგავს არს ელავისა მყუაროსასა და ჩხიუთასა“ (გვ. 219).

ნიკელისათვის „ნიკელი — ღორის ცხვირი“ (საბა), „ეთიარცა საყური ნიკელს ღორისასა, ეგრეცა დედაკცა სახებოროტსა სიკეთე“ (გვ. 124).



ოთხფერკისათვის: — „და ვითარ არს ხატი (-სახე, გარეგნობა. ა. ქ.) ოთხფერ-  
თაჲ? — თავი მათი ქვეყნად დადრეკილ არს, და მუცლისა მიმართ ხედავს, და თვისა განსუ-  
ნებასა მისდევს იგი ყოვლითა სახითა“ (გვ. 6).

პირუტყვისათვის: „ვითარ გარდაცთვის კაცი ღვინითა, უფროჲს პირუტყვსა უგუ-  
ნურ ქმნის“ (გვ. 8).

ცხენთ-სარბიელისათვის: „ვითარ მოვიწიე მე ცხენთ-სარბიელსა მას ქუეყანა-  
სა ქაზრათასასა მისლად ვეფრათად, და დაეჭვალ იგი გზასა ზედა ცხენთ-სარბიელთასა, ესე-  
იგი არს ბეთლემი“ (გვ. 59). მრავალნი არიან მოყუარულნი სარბიელსა ცხენთასა“ (იქვე). ეს  
კომპოზიტი და შესიტყვება დღემდე არსებობს ხევისურულში:

„ამლა, კიმაღა, ახიელა —

ჩემის თითის სახვიელა,

კვირიწმიდას ჭვარ ეწერას,

ცხენთაია სარბიელა“ (გ. დოლიძე, ხევისურული ტექსტები ლექსიკონითურთ, 1975 წ.,

33, 3-5).

საინტერესო და უდავოდ სარწმუნო ავტორისეული ახსნა ზოგიერთი სიტყვისა. რამდე-  
ნიმე მაგალითი:

ძველ ქართულში „კირი“ წვივის მნიშვნელობით იხმარებოდა, ხოლო „გაჩხიბვა“ ქიზი-  
ყურში „ერთმანეთში გაემა-გახლართვას“ ჰქვია. ეს საშუალებას აძლევს ავტორს, რომ „კირ-  
ჩხიბი“ შედგენილ სიტყვად მიიჩნიოს (კირ+ჩხიბი) და ახსნას, როგორც „ფეხმრუდე“, „ფეხებ-  
დახლართული“.

ასევე, „კიბორჩხალი“ თურმე მიღებულია „კირ-ბორჯალი“-საგან („ბორჯალი — კაბე-  
ბიანი, ბორჯღელი“ — საბა). ამის შემდეგ „კიბორჩხალ“-ს გამოჰყოფია „კიბო“, როგორც  
ამავე სახეობის სხვა ცხოველის დამოუკიდებელი სახელი. „კიბო“ — სიტყვაში ორი წინა ბგე-  
რა („კი —“ „კირ“-იდან („წვივი“) მომდინარეა, მისი წინა ბგერებია, ორი ბოლო ბგერა  
(„ბო“-) წინა ბგერებია სიტყვისა „ბორჯალი“. ამრიგად, ორი სიტყვის „გაცევით“ არის მი-  
ღებული მესამე სიტყვა, რომელიც დღეს წამდაუწუმ გაისმის და რომლის ასეთს წარმომაე-  
ლობასაც საქმეში ჩაუხედავი კაცი ვერ წარმოიდგენს (ამის შესახებ იხ. ნაშრომის 213-ე—  
216-ე გვერდები).

ზოგი სიტყვა, რომლის ქართულობაში თითქოს ეჭვი არ უნდა შეგვეპაროდა, ნასესხები  
ყოფილა. მოუესმინოთ ავტორს: „ვერაუდობთ, რომ ნერბი არაა ქართული სიტყვა. იგი შეთ-  
ვისებული უნდა იყოს ბერძნულიდან შედარებით მოგვიანო ხანაში. მხედველობაში გვაქვს  
ირმის ნაშვირის — ნუკრის აღმნიშვნელი ἰρ *veβros* ფუძე. როგორც ნაშვირის აღმნიშ-  
ვნელი, იგი ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვაა, — გულისხმობს როგორც დედას, ასევე  
მამალ ცხოველს (შდრ. ქართ. შვილი). ἰρ *veβros* იქნება „დედალი ნუკრი“, ხოლო  
ἰρ *veβros* — „მამალი ნუკრი“. აღსანიშნავია, ის, რომ ქართულში დასტურდება  
ნერბ ფუძის ორივე ის მნიშვნელობა, რაც აქვს ამ ფუძეს ბერძნულში“ (გვ. 46). ავტორი აქ,  
როგორც ჩანს, ვერაუდობს იმას, რომ საბასთან „ნერბი“ „დედალი ცხვარი“-ა, ხოლო ხევისუ-  
რულში ნერბი დაუკოდავი მამალი ცხვარია, საჯიშედ შერჩეული ყოჩია.

ავტორის ვარაუდი აქაც სარწმუნო ჩანს.

ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მძიმე და კეთილსინდისიერი შრომის შედეგად გამომ-  
ზეურებული და გაანალიზებულია დიდძალი მასალა, ძვირფასი სიტყვები, რომლებზედაც აქამ-  
დე მკითხველს ხელი ძნელად მიუწვდებოდა; ეს მასალა საჭირო და საინტერესოა ყველასათ-  
ვის, ვისაც ქართული სიტყვა უყვარს.

წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „ამ ნაშრომში განხილულია ხმელეთის (ოთხფეხა) და  
წყლის ცხოველების აღმნიშვნელი ტერმინები. ცხოველთა საშუაროს დანარჩენ წარმომადგე-  
ნელთა (ფრინველების, მწერების...) სახელების დამუშავება ივარაუდება მომავალში“ (გვ. 3).

ავტორი აქაც და სხვაგანაც „სახელებზე“ ლაპარაკობს, თუმცა მის მიერ განხილული ლექ-  
სიკა ზმნებასაც მოიცავს („ირემნიცია იზუნეს ველსა გარე და დაუტევენეს ნუკრნი“, გვ. 22). შე-  
საძლავა წიგნის ერთ-ერთი ნაწილიც ის იყო, რომ ავტორს გამოერჩა ზოგი ზმნური წარმომავ-  
ლობის სახელი. მაგ., ტექსტებში დასტურდება და წიგნში განხილული არა ჩანს „მწოვარი“,  
„ქამებული“ („გასუქებული“) და მისთ. სისრულის პრეტენზია კი ვერც ავტორს ექნებოდა.

კიდევ რა დარჩა ვასკეთებელი? ასევე დარგობლივი ლექსიკის გამოვლენის თვალსაზ-  
რისით წასაკითხავია ძველი ქართული ენის ხელნაწერი ტექსტები. მოსაყვლეია  
ცხოველთა საშუაროს წარმომადგენელთა დიალექტური სახელები. ყველაფერ ამას ძალიან დიდი  
შრომა სჭირდება, მაგრამ წინასწარვე ცნობილია ასეთი შრომის უხედაყოფიანობა და ალბათ  
ესეც მისცემს სტიმულს ახალგაზრდა მეცნიერს, რომ „ერთგულად ჰქმნის“ ამ შრომის მძიმე  
ჭაბანი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ძალიან შრომატევად საქმესაც წარმატებით დაძლევს  
ავტორი.

## უჩინარი

ქალაქში ავადმყოფობა გაჩნდა, შეუმჩნეველი, მაგრამ საშიში ჰირი, სნეულება ნელ-ნელა შემოიპარა... არავინ იცის, სად და ვის ოჯახში გაჩნდა პირველად იგი, თუმცა არას მნიშვნელობაც არა აქვს, სენი საოცრად ვადამდები აღმოჩნდა და აირია პატარა, პროვინციული ქალაქის ცხოვრება. დაეარკა სილამაზე ზღვამ, მთებმა, მზემ...

მთელი ქალაქი ფულისა და თვალმარბაგალიტის ჯადომ დაატყვევა, ფულისა და თვალმარბაგალიტის ძალამ და ელვარებამ ნელ-ნელა მაგრამ ჯოტრად მოათუთიაყველა დანარჩენი ადამიანური გრძნობა და გულგრილობისა და ექვის სქელი ფენით დაფარა.

პატარა, ერთ ღროს კობწია ქალაქი ჭაობში იძირება, საშინელ, მომავლდინებელ ჭაობში. დინჯად შემოიპარა ადამიანებში ციებ-ცხელების მზრჩოლავი ალმური.

ადამიანებს სიფხიზზე დაუჩლუნვდათ. ადამიანები ვერ ამჩნევენ მოსალოდნელ კატასტროფას, უფრო სწორად, არ ამჩნევენ და სიამოვნებითაც კი ეფლობიან ფულისა და თვალმარბაგალიტის მოჩვენებით ძლიერებაში.

ხალხმა ცხოვრების წესი ნელა, შეუმჩნეველად გამოიცვალა, რომ ამ ღროს ქალაქში უჩინარი გაჩნდა და ჭაობმა ღლევა დაიწყო, ჭაობმა სუნი გამოუშვა, ციებ-ცხელების დაფარვა უკვე შეუძლებელი გახდა და ახმაურდა ისევე ქალაქი, აღელდა, გადაიარია.

უჩინაჩინმა მიაკვლია ქალაქის ყოველისშემძლე პიროვნებათა განძთასაცაეებს და მათი ფულითა და განძით საშიში, უჩვეულოდ აზარტული თამაში დაიწყო. უჩინარმა ქალაქი ომში გამოიწვია — გამოიწვია დაუნდობლად, ყოველგვარი აკრძალული ხერხების გამოყენებით...

პირველ აენგარდში, რომელსაც უჩინარმა ბრძოლა დაიწყო: ეგოისტი, ფსევდობოიტი დღედ, მომხვეჭელი, ფსევდომონადირე, სტამპის დირექტორი კოლია, ფსიქიატრი თომა, კაცი, რომელიც სიხარულით ჩასვაშ მიველ ქალაქს საკვიეში, ცოდვილი ადვოკატი აბელი, მისი ლამაზი ცოლი კირა, ჭურღების უსტაბაში — ხიდა, სასაფლაოს დირექტორი ბაგრატი, სამომხმარებლო მალაზიის გამვე ხაიმო, გონებაჩლუნგი პოდპოლკოვნიკი სეფე და პატიოსანი ლინოტიპისტი არსენა იყვენენ.

პირველი ეშვლენი ბრძოლაში უჩუმრად ჩაება, მაგრამ ხმაური მაინც ატყდა და მთელი ქალაქიც ახმაურდა.

და რადგან ქალაქი ახმაურდა, ჭაობიც აღელდა და აბობოქრდა, ქალაქმა იგრძნო: ასე აღარ შეიძლება ცხოვრების გაგრძელება, ან მთლიანად უნდა დანებდეს ჭაობის ციებ-ცხელებას, ანდა თავი უნდა დააღწიოს მას.

პირველი, ვინც ჭაობიდან დაღწევას ლამობს, პატიოსანი, გამრვე, ფუსფუსა ლინოტიპისტი არსენა გახლავთ და, მისდა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ არსენამ გააქლო მწერლისა და უჩინარისგან. დავებულ უამრავ ცთუნებასა და მახეს. იგი ჭაობიდან მშრალი და უენებელი ამოვიდა. პატიოსნებამ კვლავ გაიმარჯვა. მშრომელი, მუშა კაცის სინდისი წმინდა შეურყენელი დარჩა. სხვები კი ისე ღრმად იყვენენ ჩაფლუნნი, მათი შველა უკვე შეუძლებელი იყო, ქალაქი უნდა გამოეთხოვოს თავის „რჩეულ“ შვილებს.

სწორად ეს არის მურმან ქოიავას წიგნის — „უჩინარის“ დედა აზრი.

„უჩინარი“ ახლახან მიიღო მკითხველმა და მწერლისა და გამომცემლობა „მერანის“ სასიქალღულოდ უნდა ითქვას, რომ ქართველ მკითხველს ჭეშმარიტად შეემატა კიდევ ერთი ნაღდი და საკირო წიგნი.

თუმცა წიგნში ზოგიერთი სადავო, ზოგჯერ პრინციპული საკითხი გვხვდება. პირველი და ძირითადი კი ის არის, რომ მწერალმა „უჩინარი“ პატარა ქალაქს მოუფლინა, „უჩინარი“ კი მკითხველისათვისაც ბოლომდე უჩინარად რჩება. ზოგჯერ მისი საქციელი მკითხველის აღტაცება იწვევს, ზოგჯერ კი — გამოუსწორებელ უშეაყოფილებას, მაგალითად, უჩინარი საშინელ მდგომარეობაში ავდებს აბელის ცოლს. რაც თვით „უჩინარის“ კეთილსინდისიერებაში ეჭვს იწვევს. გადაჭარბებულად მოგვეჩვენა „პოტ დუდეს“ საუბილუო ქეიფი და აბელის სადღეგრძელოები.

წიგნში გაპარულია ზოგიერთი უმნიშვნელო ლაფსუსი, მაგალითად, 66-ე გვერდზე წერია: „აბდელიალდენენ, აკაშკაშდენენ ძვირფასი ქალები.“

კედლის საათმა დაიჯრიალა.

შუალამე იდგა...

მოულოდნელად, ფანჯრის ფარდები ვიღაცამ გასწი-გამოსწია და ოთახში ქურჩის მკრთალი შუქი შემოიჭრა. (?!).

მურმან ქოიავას „უჩინარი“ უდავოდ ნიჭიერად და მაღალმატერუტლად დაწერილი წიგნია, მისი იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი კიდევ ერთხელ მიგვითითებს ქართველი მწერლების შეურიგებელ ბრძოლაზე ჩვენს საზოგადოებაში არსებული ნეგატიური მოვლენების მიმართ.

ახლა კი ვკრი მკითხველზე...

ინკოზ გალახაშვილი

## სსრკ-ის ალექსანდრე ჭავჭავაძისა

პეტერბურგის პაშთა კორპუსში

ტამბოვის გადასახლებიდან ვადაზე აღრე განთავსდნენ. ალექსანდრე ჭავჭავაძემ პეტერბურგის პაშთა კორპუსში სწავლა 1807 წლის დამდეგიდან დაიწყო.

პაშეთი ხაზინიდან დიდ ჯამაგირს იღებდნენ, ხელზე მსახურებად თავიანთი მამულებიდან ყმების მოყვანის უფლება ჰქონდათ.

კორპუსში, სწავლა ყოველდღიურად ცხრაათი საათის განმავლობაში სწარმოებდა.

„კორპუსის ფუძემდებლები ცდილობდნენ, თავიდან აეცილნათ აღსაზრდელებისათვის ყოველგვარი არასასურველი გავლენა გარედან, რისთვისაც საათობრივ იყო განაწილებული მათი დღიური, ეკრძალებოდათ კორპუსის კედლების დატოვება.“

კამერ-პაეებსაც კი ეკრძალებოდათ უნებართვოდ გასცლოდნენ კორპუსის კედლებს — ამისათვის საჭირო იყო სავანებო ნებართვა და სპეციალური გაიყოლი.“

მიუხედავად ამისა, პაშთა კორპუსში მაინც აღწევდა ახალი ამბავი, რომელნიც უმაღლეს ფართო მსჯელობის სავანი ხდებოდა და პაეულები „სხვადასხვა საბაზით“ ახერხებდნენ განავრდებას. პაეული ვ. ა. ველგრაიდი გვიამბობს „განსაკუთრებულ ონავრობას ჩვენს შორის ადგილი არ ჰქონდა. მაგრამ მოზრდილი პაეები, ზოგჯერ დღესასწაულების დროს, ნევის მოედანზე ალიბიელის საკონდიტროში ქვიფობდნენ.“

აქვე უხვევდნენ ხოლმე კამერ-პაეებიც, რომელნიც ხშირად კორპუსიდან თავს ინთავისუფლებდნენ იმ მიზეზით, რომ მათ სასახლეში სხოულობდნენ. ისეც ხდებოდა, რომ მათ წააყვანად მოდიოდა კარტები, მიჰყავდათ სასახლეში, იქ ირკევოდა რომ ისინი საჭირონი არ

არიან. კორპუსში კი გვიან ბრუნდებოდნენ ან იმავე კარტებით, ანდა უკარტებოდ.“

კამერ-პაეებს, რომელნიც სასახლეში მორიგეობდნენ, სამეფო კარზე გაგონილი ახილი ამბები მოჰქონდათ.

ფ. მარკოვიჩი, რომელმაც პაშთა კორპუსი ალექსანდრე ჭავჭავაძისთან ერთად დაასრულა, გადმოგვცემს:

„იმპერატორიც 4 საათზე მოდიოდა სტუმრებით მაგიდასთან, რომელსაც ახლდნენ თავადის ქალები, გრაფინია ლივენი და მორიგე ფრეილინები.“

ეს სადილები ჩვენთვის ძალზე საინტერესო იყვნენ. ამ სადილებზე საყურადღებო ამბებს ვისმენდით საზღვარგარეთზე, პოლიტიკაზე, რუსეთის ოლქების ცხოვრებაზე.“

მაშინ სასახლეში მოდიოდა ამბები რუსეთის იმპერიაში შემოჭრილი განმანათავისუფლებელი იდეების შესახებ, გლეხთა გამოსვლებზე ასტრახანში, ურალში და სხვაგან.

რა თქმა უნდა, ამ საუბრებსა და ინფორმაციებს ისმენდა ალექსანდრე ჭავჭავაძეც, რომელიც მეფის კარზე კამერ-პაეის მოვალეობას ასრულებდა.

ცხადია, გლეხთა ამბოხებაში მონაწილე, ნაპატიმრად და რადიკალ ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნებით მოწინავე პაეულები ძალზე დაინტერესდებოდნენ და თავიანთ თავადასავე აღსა და შეხედულებებსაც გააცნობდნენ.

ზემოდ მოხსენებული თედორე მარკოვიჩი და ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. მარკოვიჩი პაშთა კორპუსში შესვლამდე ბუდრისთან ერთად სწავლობდა, რომელიც მშა იყო სახელოვანი რევოლუციონერის მარატისა. ბუდრი რამდენიმე წლის შემდეგ ცარსკოსელოს ლიცეუმში ა. ს. პუშკინის მასწავლებელი ყოფილა. ბუდრის რომესპიერზე

გაგრძელება, იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 4.



ერთ-ერთი საუბრისას უთქვამს: „რომესაიერი ფარულად გავლენას ახდენდა შარლოტა კორდუზე და ეს ქალი მეორე რავალიაი გახდაო“.

მუდრი ასევე უწინადად ყვებოდა, თავის მძახე მარატზე, საფრანგეთის რევოლუციასზე, ვოლტერზე, და სხვა განმანათლებლებზე.

ცხადია, რომ მარკოვიჩი ამ საუბრებს გადასცემდა რუსოს იდეებით გატაცებულ, მასთან ოთახში მცხოვრებ ალექსანდრე ჰევეაძეს.

პაეთა კორპუსში სწავლის პერიოდს მეთუყენის ალექსანდრე ჰევეაძის მეტად საყურადღებო ლექსი „პავლე პირველის სასახლისადმი“.

აღნიშნულ ლექსს თავდაპირველად ყურადღება ლიტერატურისმცოდნე მიხეილ ზავერინმა მიჰქცია და ჩვენც სიტყვას მას ვუთმობთ: „ამ წლებში (პაეთა კორპუსში ყოფნის წლებში — ი. ბ.) ალ. ჰევეაძემ, ფრიალ დაინტერესებული იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრებით და ათასნაირი ძაფევით დაკავშირებული საქართველოსთან, განაგრძობდა თავის პოეტურ შემოქმედებას.

ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ლექსი „პავლე პირველის სასახლისადმი“, რომელიც წარმოადგენს იმ წლების სამოქალაქო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშს.

მთელი ქვეტექსტი ლექსისა გვიძიქლებს იგი დავათარილოთ 1806-1807 წლებით, განსაკუთრებით, ტოლიტის ზავის დროით.

ეს იყო ალექსანდრე პირველის პოლიტიკური უკმაყოფილების ხანა. და არ არის საკვირველი, რომ ალ. ჰევეაძის ლექსი შეიცავს ბრალდებებს იმპერატორის მიმართ, იმპერატორისა, რომელიც როგორც ცნობილია, იცნობდა გემგებს მისი მამის — პავლე პირველის მკვლელობის შესახებ:

„ზხედავთ, ერნო, ამა ზღუდეთ რეცა ქმუნვით, რომ არ ძალ-უჩნსთ თქმად საერთოდ, თუ მკვლელობა ჰყვეს ყე მუნვით“.

გასაგებია, რომ ალ. ჰევეაძის ლექსში გამოიხატა უკმაყოფილება ალექსანდრე პირველის პოლიტიკის მიმართ, აქედან — აშკარა დაგმობა თვითმპყრობელობისა და დესპოტიზმისა, როგორც პავლეს ისე ალექსანდრეს გაიცხვა“.

პეტერბურგში, პაეთა კორპუსში სწავლის პერიოდში ალექსანდრე ჰევეაძემ კიდევ უფრო მეტად შეითვისა იმ დროის დასავლეთ ევროპისა და რუსეთის საუკეთესო წარმომადგენელთა მოწინავე შეხედულებანი. პირადად გავიყნო ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ორიოდ ათეული წლის შემდეგ სენატის მოედანზე გამოვიდნენ. დიახ, სწორედ მათგან იყო მსოფლშეგრძნებით დაახლოებული ალექსანდრე ჰევეაძე.

ამის აშკარა დადასტურებაა მთელი მისი უზადო ცხოვრება და შემოქმედება.

1809 წელს ალექსანდრემ პაეთა კორპუსი დაამოყარა და გავაყვანილ იქნა ლეიბგვარდის

პუსართა პოლკში. 1809 წლის 19 დეკემბერს პოდპორუჩიკობა მიიღო.

ალექსანდრე ჰევეაძემ 1810 წელს რამდენიმე ხანი მოსკოვში იყო და ბაგრატ ბაგრატიონთან ცხოვრობდა. პოეტი ამის თაობაზე წერს: „ბატონიშვილ ბაგრატს.. ცოლად ჩემი ნათესავა ჰყავს და მე 1810 წ. მოსკოვში ყოფნის დროს მასთან ვცხოვრობდი“.

1810 წლის 31 ოქტომბერს ალექსანდრე ჰევეაძემ პორუჩიკობა მიიღო.

1811 წლის 7 აპრილს პეტერბურგში წყალმანკით გარდაიცვალა გარსევან ჰევეაძე, რომელიც ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე დაკრძალეს.

გარსევანის ცოლისძმის, გიორგი ავალიშვილის მიერ შედგენილი ეპიტაფია ვეაძეცნობს:

„ქვე სასოვრისა ამისა მდებარებს კახეთის თავადი დავით ჰევეაძე გარსევანად ცნობილი. არ არის არსად მომცემელმან მოქმედმან მან, ათას შეიდას ხუთ ათ შეიდას ღმერთ მამამან, ოცსა ივლისსა მშვა, მზრწყინვალე მყისე, ცამან თანამდებობად მყო წარმზღობ საწუთრომან ამან მიცემად მისდა აწ ესდა ხარკისამან.

მიმცვალა კვალად ათას რეკას ათ ერთ მეტს, აპრილის შეიდას, ბრწყინვალეს პარასკევს დღეს, შემდგომ შუადღის, ეჟსა ნახევარ მეზუთეს, მიოხეთ ღმთისად, მზილველნო, ჰსპირტირა ეს, ვინათ ყოველთად ხვედრი ესე რს. ნაწეს.

თ (ავალი) გ (იორგი) ა (ვალიშვილის) მიერ“.

### საფოვლოვი დაბრუნება, დამოჯანება

მამის გარდაცვალებისა და მისი ალექსანდრე ნეველის სამარხში დაკრძალვის შემდეგ, ალექსანდრე ჰევეაძემ საქართველოში წამოსვლა გადასწყვიტა და კავკასიის მთავარმართებელ მარკოზ პაულუჩთან, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, დანიშვნა ითხოვა.

სენატორი ხგოსტოვი 1811 წლის აპრილში თუ მისში მარკოზ პაულუჩს სწერდა:

«Действительно статского советника князя Чавчавадзе сын, е. и. в. камер-паж Ал. Чавчавадзе, по выпуску по аттестату из корпуса, желает иметь счастье быть у вашего высокопревосходительства адъютантом».

სეი молодой человек сверх европейского просвещения, в императорском корпусе полчиленного, сведущ в языках турецком и персидском».

აღნიშნული დროისათვის ფორმულიარულ სიაში დასმულ კითხვაზე:

«Российской грамоте читать и писать и другие какие науки знает?» მითითებულია:

იაკობ ზალახაშვილი  
ცნობრება ალექსანდრე ჰევეაძისადმი

«Российскому, Французскому, Грузинскому и Турецкому языкам и грамоте: история, географии, статистике, физике, логике, словестности, математике, военным и политическим наукам учился».

შუამდგომლობამ გასჭრა, 1811 წლის 12 ივლისს ალექსანდრე ჭავჭავაძე დაინიშნა საქართველოს მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად.

ჟ. ჭავჭავაძეწერს: «1811 წელს დამნიშნეს გენერალ-ლეიტენანტ მარკიზ პაულუჩის ადიუტანტად, ის მაშინ საქართველოს მთავარმართებლად იყო და მეც მასთან ერთად ჩამოვედი აქ».

1811 წლის 22 სექტემბერს ჰუსართა პოლიც პორუჩიკის წოდებით თბილისში ჩამოსული ალექსანდრე ჭავჭავაძე დაბინავდა სოლოლაქში, ველიამინოვის (ეხლა შალვა დადიანის) სახელობის ჩუქაზე, „ნაზარბეგვანთ დარბაზის“ მახლობლად, დედის ძმის, მწერალ გიორგი ავალიშვილის სახლში.

1811 წლის 27 ოქტომბერს მარკიზ პაულუჩი-

მა ალექსანდრე ჭავჭავაძეს მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსავე მივაღებო მისცა: ა. ჭავჭავაძე ერევანში მიაგვლინა გენერალ-მაიორის რანგით, რათა შეეკრიბა ცნობები ლისაჩევის მიერ სპარსელების წინააღმდეგ მოწყობილი ლაშქრობების შესახებ.

1812 წლის იანვარში ალექსანდრე ჭავჭავაძის თაჩსონობით მოლაპარაკება გაიმართა შირვანელ მუსტაფახანთან, რომელსაც პაულუჩი აბრალეზდა საიდუმლო კავშირს ირანელ ტახტის მემკვიდრე აბას-მირზასთან. პაულუჩის წადილი იყო მუსტაფახანი თავის მხარეზე გადმოეყვანა, დაეალებათა სისრულით შესრულებისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე დაჯილდოვდა ბრილიანტის ბეჭდით.

უიღბლო გამოდგა ალექსანდრე ჭავჭავაძის ტრფიალი თამარ იულონის ასულ ბაგრატიონისადმი და 1812 წლის დამდეგს მან სარდლის-ივანე ჩამბაკურ — ორბელიანის ასული სალომე შეირთო.

ქორწინებიდან თვეს არც კი გაველო, რომ კახეთში გლეხთა ამბოხებამ იფეთქა.

### გაგრძელება იქნება



### ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. პ. მგ. მღვიანი — 99-71-69. განყოფილებათა გაგებები — 99-85-81. პროზის — 99-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 99-75-69. „ნობათი“ — 98-17-63.

გადაეცა ასაწვობად 15. 3. 76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 5. 76 წ., ქალღმერთის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14.35. შეკვეთა № 1032. უე 09446. ტრეჟი 31.000.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
 Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფასი 60 კპპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236